საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

განათლება
GANATLEBA

№ 2(25) 2019

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

განათლება
ГАНАТЛЕБА
GANATLEBA

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

2(25)
2019

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით (ოქმი №7)

№2 (25), 2019 წელი

რედაქტორი — თემურ ჯაგოდნიშვილი, სტუ პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

რედაქტორის მოადგილე - ზურაბ ჩაჩხიანი, სტუ პროფესორი

სარედაქციო კოლეგია:

ლია ქათამაძე — პასუხისმგებელი მდივანი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბედალოვი ჩინგიზ — პროფესორი, ბაქოს სლავური უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადმიის წევრი

კონსტანტინე რამიშვილი — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

გელა ყიფიანი — პროფესორი, საავიაციო უნივერსიტეტი

ელისაბედ ხახუტაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დავით გოცირიძე — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯაგოდნიშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვახტანგ მაღრაძე— პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო ჯავახიშვილი — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ ბონდარენკო — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი ხუხუნი — მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ლია მეტრეველი — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ირჟი კლაპკა — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

რაფაელ გუსმან ტირადო — პროფესორი, გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

ტომას შმიდტი — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)

სესილია ოდე — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

გალინა ტროფიმოვა — პროფესორი, მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი)

რედაქცია: თემურ ჯაგოდნიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტელ.: (032) 236 57 07

web-გვერდი: http://newsletters.gtu.ge

ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

№2 (25), 2019

Editor – **Temur Jagodnishvili,** Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

Sub-editor – **Zurab Chachkhiani,** Professor, Georgian Technical University

EDITORIAL BOARD:

Lia Katamadze – Responsible Secretary, Associate professor Georgian Technical University;

Chingiz Bedalov– Baku Slavic University, Academy Membar of Georgian Academy of Education Sciences;

Konstantine Ramisvhil – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences;

Gela Kipiani – Professor, University of Aviation;

Elisabeth Khakhutashvili – Associate professor, Georgian Technical University;

David Gothsiridze – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Ivane Jagodnishvili– Professor, Georgian Technical University;

Vakhtang Magradze – Professor, Georgian Technical University;

Niko Javakhishvili – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Tamar Bondarenko – Associate professor Georgian Technical University;

Giorgi Khukhuni –Professor, Lingvistic University of Moscow;

Lia Metreveli– Associate professor Georgian Technical University;

Jiri Klapka– professor, Karlos University (CZE);

Raphael Guzman Tirado – Professor, University of Granada (SPA);

Tomas Schmidt – Professor, University of Bern (SUI);

Cecilia Ode – University of Amsterdam (NED);

Galina Trophimova – Professor, Moscow University of Friendship of People (RUS).

Editor office: Temur Jagodnishvili

Technical editor: Asmat Pipia

The author/the authors are responsible for the accuracy of the facts in the article

Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU

TEL.: (032) 236 57 07

web-said's adress: http://newsletters.gtu.ge

e-mail: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

Შ ი ნ ა ა რ ს ი

გიგლა გობეჩია – 60 წელი **13**

განათლების მეცნიერებანი

მარინე სურმავა, თამარ ტაბატაძე
ჯგუფური და დისტანციური სწავლების მეთოდები ევროპას და აშშ-ს განათლების სისტემაში 17

ეკა ჩილაჩავა
აზერბაიჯანელი სტუდენტებისათვის სახელმწიფო ენის სწავლების დონის ზოგადი მიმოხილვა 24

ნინო სეფაშვილი,
უმაღლესი განათლება საქართველოში და ფინეთში 29

ფ ი ლ ო ლ ო გ ი ა

თემურ ჯაგოდნიშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი
აგრესიისა და აგრესიულობის გავლენის რეგისტრები თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაში 33

მურმან თავდიშვილი,
დავით გურამიშვილის ,,კეფისა“ 41

მამუკა შელეგია
„ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ რუსები“ 50

თინათინ კილაძე
წერითი და ზეპირი მეტყველების ზოგიერთი თავისებურების შესახებ 58

ეკა რუსიეშვილი
ენობრივი წარმონაქმნების კლასიფიკაცია 64

მამუკა ჭანტურაია
ალექსანდრე ყაზბეგის “ხევისბერი გოჩა” 70

ჭიღლაძე ლიანა
ქართული პოლიტიკური რომანტიზმი და გულუბრყვილობა გორბაჩოვის დოქტრინის წინააღმდეგ 76

ნინა კაკიაშვილი
რას ნიშნავს ბილინგვური განათლება და რამდენად მისაღებია იგი ჩვენთვის 82

ზურაბ ბოლქვაძე
უცხოური (გერმანული) ენის სწავლებისას მულტიმედიის გამოყენების ეფექტურობის კვლევა 88

ჟ ურ ნ ა ლ ი ს ტ ი კ ა

ქეთევან გიორგობიანი
ეთიკური კოდექსი - თვითრეგულირების ერთ-ერთი მექანიზმი 93

სოფიკო კვანტალიანი
ეკრანის ფენომენი მედიაფილოსოფიის დისკურსში 100

ანა არჩვაძე
ჟურნალისტური გამოძიების თემატიკა და ტენდენციები საქართველოში (1980-2012) 109

ნიკოლოზ ბრეგვაძე
შეურაცხმყოფელი და საწყენი სიტყვები თანამედროვე ვერბალურ კომუნიკაციებში ...115

გურამ გიკაშვილი
მედიასაშუალებათა ეთიკური ნორმების საკანონმდებლო რეგულირების უცხოური პრაქტიკა..... 121

სოფიკო ლაზაძე
ქართული, ბრიტანული და ამერიკული კომუნიკაციის სტილი პოლიტიკურ დისკურსში 128

დიანა ლიპარტელიანი
ბლოგის წარმოქმნის განმაპირობებელი ფაქტორები 133

სოფიკო ლომთათიძე
ტელევიზიის ეფექტების შესწავლის ისტორიის საკითხები *დოქტორანტი 138*

ნატო მახათაძე
ახალი სოციალური მედია და რეალობა 144

თამარ მიქელაძე
მასობრივი კომუნიკაციის ზეგავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე 152

თეა პერტაია
მედიისა და ხელისუფლების ურთიერთობა, როგორც ქვეყნის პოზიციის განმსაზღვრელი ინდიკატორი მსოფლიო რუკაზე 157

ინტერდისციპლინარული ტექსტოლოგია

თამარ მებუკე
სამეცნიერო სტატიის სტრუქტურული და კომპოზიციური თვისებანი (ა.მ. ტურინგის სტატიის „გამომთვლელი მანქანა და ინტელექტი“ მაგალითზე) 167

მანანა ასლანიშვილი, ნინო ლომსაძე
სამეცნიერო ტექნიკური ტექსტების კითხვის თავისებურებანი ინგლისურ ენაში 175

ეკონომიკა

ელისაბედ ხახუტაშვილი,
მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის სტრატეგია 182

თამარ ღამბაშიძე, ალექსი ქურდოვანიძე
საციალური დაცვის სადაზღვევო პოლიტიკის ფორმირება 187

თეონა ბაქანიძე, მაგდა ბაქანიძე
ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტის პერპექტივები და გამოწვევები 195

ასმათ ფიფია, იზაბელა ფერიშვილი
რისკის თეორიულ-კონცეპტუალური წანამძღვრები 200

გვანცა ბერიძე
მარკეტინგული სტრატეგია, როგორც სასტუმრო პროდუქტის წინ წევის საშუალება 210

საერთაშორისო ურთიერთობები

ივანე ოსაძე
გერმანელი მოგზაურის აუგუსტ ჰაქსტჰაუზენის ცნობები XIX საუკუნის თბილისისა და თბილისელთა ყოფა-ცხოვრების შესახებ 215

ალექსანდრე გეგეჭკორი
მეხუთე კოლონა როგორც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი მიმართულება 222

თამილა გოგატიშვილი
ევროკავშირის პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობები აშშ-სა და რუსეთთან 231

ედუარდ დემეტრაშვილი
საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები 238

შოთა მალაზონია
გერმანიის გაერთიანების დასკვნითი ეტაპის - საფრანგეთ-პრუსიის ომის საკითხები (გაზეთ „დროების“ 1866-1885 წწ. ფურცლებზე) 242

ზურაბ მახარაძე
საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები 255

თინათინ კოსტავა
პიროვნული თვისებები და სამოქალაქო პოლიტიკა 265

თამარ სისვაძე
რუსეთის ენერგოპოლიტიკა და ენერგოსუვერენიტეტის გამოწვევები (რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა) 278

გიორგი ტალახაძე
დისკრიმინაციის აღმოფხვრის ძირითადი საერთაშორისო მექანიზმები 289

სამართალმცოდნეობა

ოთარ ხინიკაძე
არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის გამომწვევი სამართლებრივი ფაქტორები.....297

ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ა

როზა გაფრინდაშვილი
აგრესია, ბულინგი და პრევენციის არაძალადობრივი ფორმები 306

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

ვახტანგ აბაიშვილი
ტემპერატურული ძაბვები და დეფორმაციები დისკურ ხერხებში 311

მზია წულუკიძე, დავით გამეზარდაშვილი
სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სისტემა 316

ნიკოლოზ დავითაშვილი
ელექტრონული სერვისები ბიზნესისთვის (G2B and B2G) და სამოქალაქო საზოგადოებისთვის (G2NGO) 325

სოციალური მეცნიერებები

ლიკა არველაძე
საზოგადოებრივი აზრი მეცნიერული ცნობიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ (სოციალური კვლევის შედეგები) 329

ალექსანდრა ლატარია
ჩინური და ქართული ქალაქში მცხოვრები ოჯახების ტრანსფორმაცია 341

მ ე დ ი ც ი ნ ა

ეთერ ვარშანიძე
ფსიქოლოგიური დარღვევებით გამოწვეული გულის იშემიური დაავადებები 345

CONTENTS

Gigla Gobechia – 60 years 13

EDUCATION SCIENCES

Marine Surmava, Tamar Tabatadze
Group and Distance Learning Methods in Europe and the US Education System..... 17

Eka Chilahcava
A general overview of the level of state language teaching for Azeri students 24

Nino Sephashvili
Higher education in Georgia and Finland 29

P H I L O L O G Y

Temur Jagodnishvili, Ivane Jagodnishvili
Registers of aggression and the influence of aggression in modern Georgian journalism 33

Murman Tavdishvili
Davit Guramishvili "Kepisa" 41

Mamuka Shelegia
„Of course, we are not Russians" 50

Tinatin Kiladze
Some of the specifications of written and spoken language 58

Eka Rusieshvili
Classification of linguistic formations 64

Mamuka Chanturaia
Aleksandre Kazbegi "Khevisberi Gocha" 70

Liana Chigladze
Georgian political romanticism and naivety against Gorbachev's doctrine..... 76

Nina Kakiashvili
What does bilingual education mean and what is acceptable for us? 82

Zurab Bolqvadze
Research dealing with teaching a foreign (German) lantuage via multimedia.....88

JOURNALIZM

Ketevan Giorgobiani
Ethic Code – one of the mechanisms of self-regulating 93

Sophiko Kvantaliani
Screen Phenomenon in Discourse of Mediaphilosophy 100

Ana Archvadze
Topics and trends of journalistic investigation in Georgia (1980-2012) 109

Nikoloz Bregvadze
Offensive and nasty words in modern verbal communications 115

Guram Gikashvili
Foreign practice of legislative regulation of ethical norms of media outlets.....121

Sopiko Labadze
Georgian, British and American style of communication in political discourse 128

Diana Liparteliani
The Factors Determining Creation of the Blog.....133

Sophiko Lomtatidze
Television effects studied by historical issues.....138

Nato Makhatadze
New social media and reality 144

Tamar Miqeladze
Influence of Mass Communication on the Formation of Public Opinion.....152

Tea Pertaia
The Media and Government Relationship as an Indicator Determining Country's Position on the World Map 157

INTERDISCIPLINARY TEXTOLOGY

Tamar Mebuke
Structural and Compositional Peculiarities of a Scientific Article (on the example of an article "Computing Machinery and Intelligence" by A.M.Turing).....167

Manana Aslanishvili, Nino Lomsadze
Features of teaching reading scientific and technical literature in English.....175

E C O N O M I C S

Elisabed Khakhutashvili
Strategy of the Policy of Green Economy 182

Tamar Gambashidze, Alex Kurdovanidze
The formation of insurance policy in social service 187

Teona Bakanidze, Magda Bakanidze
Perspectives and Challenges of the Coefficient of Economical Growth.....195

Asmat Pipia, Izabela Perishvili
Theoretical-conceptual introduction to Risk.....200

Gvantsa Beridze
Marketing strategy as a hotel possibility to promote the product.....210

INTERNATIONAL RELATIONS

Ivane Osadze
German Traveler August Haskathausen Report on Life and Life of the XIX Century Tbilisi and Tbilisi.....215

Aleksandre Gegechkori
Fifth column as a hybrid war One of the directions.....222

Tamila Gogatishvili
The European unit political and legal relations with The United States and Russia 231

Eduard Demetrashvili
Georgia and International Organizations 238

Shota Malazonia
The final stage of Germany's unification - France-Prussian war issues on the newspapers "Droeba" (1886-1885) 242

Zurab Makharadze
Main impediments to Georgia's integration into the North Atlantic Treaty Organization.....255

Tinatin Kostava
Personal qualities and civil policy.....265

Tamar Sisvadze
Russia's Energy policy and challenges of Energy sovereignty.....278

Giorgi Talakhadze
Basic International Mechanisms for Elimination of Discrimination 289

LAW

Otar Khinikadze
Legal Factors Causing Delinquency Among Juveniles 297

P S Y C H O L O G Y

Roza Gaprindashvili
Aggression, bullying and nonviolent forms of prevention 306

S C I E N C E

Vakhtang Abaishvili
Temperature stresses and deformation in circular saws.....311

Mzia Tsulukidze, David Gamezardashvili
International system to provide food safety 316

Nikoloz Davitashvili
e-Services for business (G2B and B2G) and civil society organisations (G2NGO) 325

SOCIAL SCIENCES

Lika Arveladze
Public Opinion on Some Issues of Scientific Consciousness (Results of Social Research) 329

Aleksandra Lataria
Transformation of families living in Chinese and Georgian cities.....341

MEDICINE

Eter Varshanidze
Ishemic heart disease based on psychological mental disorder.....345

ჩვენი იუბილარები

გიგლა გობეჩია – 60 წელი

რას ნიშნავს სიტყვა „ფენომენი“, როგორ ავხსნათ, როცა ამავე სახელწოდების ჟურნალის რედაქტორზე ვსაუბრობთ?! დავიწყოთ აწმყოდან – მედიატექნოლოგიების ლაბორატორია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ერთ-ერთი ნათელი წერტილია, სადაც დღეში რამდენჯერმე სტუმრობენ გამორჩეულად საინტერესო ადამიანები, რომლებიც საკუთარ ინტელექტუალურ კაპიტალს ქვეყნისა და ხალხის სამსახურში უშურველად გასცემს. მათი განსაკუთრებულობის აღმომჩენი კი, ამავე ლაბორატორიის ხელმძღვანელი (მასპინძელი) ბატონი გიგლა გობეჩია გახლავთ ადამიანი, რომელიც სამყაროს დაუსრულებელ წრებრუნვაში სწორედ ფენომენალურ ადამიანებს აგროვებს. მან არაერთგზის გაგვაკვირვა ამგვარი აღმოჩენებით, თუმცა თავად არის გაუშიფრავი, დაუმარცვლავი, სანდო, საიმედო ადამიანი და პროფესიონალი, მისი სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „სული, რომელსაც უნდა მიეფიცხო“.

60 წელი შეუსრულდა სტუ ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორს – გიგლა გობეჩიას. იგი და-

იბადა 1959 წლის 1 მარტს დაბა ჩხოროწყუში. 1982 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 1981-1984 წლებში, ასევე, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებათმცოდნეობის ფაკულტეტზე სამართალმცოდნის სპეციალობით. სტუდენტობის შემდეგ, ჟურნალისტის კვალიფიკაციით, უკვე პროფესიონალ ჟურნალისტიკას შეუდგა. 1982-2012 წლებში იყო გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" (ყოფილი „ახალგაზრდა კომუნისტი") კორესპონდენტი, განყოფილების გამგე, რედაქტორის მოადგილე, მთავარი რედაქტორი, დირექტორი; 1987-1988 წლებში – საქართველოს კომკავშირის ცკ-ის პრესის, ტელევიზიისა და რადიოს სექტორის გამგე; 1985 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი, უნივერსიტეტ „ევროპას" პედაგოგი, სდასუ-ს პედაგოგი (შემდგომში ასოცირებული პროფესორი), ჟიული შარტავას სახელობის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის პედაგოგი, უნივერსიტეტ „მცირე აკადემიის" პედაგოგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, ახალციხის სახელმწოფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. დააარსა საგამომცემლო სახლი „მესამე თვალი", გამოსცემს ჟურნალ „ფენომენს" და ამავე დროს, არის მისი მთავარი რედაქტორი. იყო საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთის" ვიცე-პრეზიდენტი. საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 2008 წელს მიენიჭა განათლების აკადემიური დოქტორის წოდება. იგი სხვადასხვა პერიოდში რედაქტორობდა გაზეთებს: „რეფორმა", „შანსი", „შარავანდი", „მერანი", „მესამე თვალი". იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის პრესსამსახურის უფროსი.

გიგლა გობეჩია სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში უძღვება შემდეგ სასწავლო კურსებს: „ჟურნალისტური გამოძიება", „მედიამენეჯმენტი", „გაზეთის წარმოება", „პროფესიული ოსტატობა", „პიარი და მედია", „ანალიტიკური ჟურნალისტიკა", „მასკომუნიკაციის შესავალი", „ინტერნეტჟურნალისტიკა", „საინფორმაციო ომი და მედია", „ჟურნალისტიკის ფუნქციები", „მედიაეკონომიკა", „ბეჭდური მედია", „მედია და არჩევნები".

გ. გობეჩია ერთ-ერთ პირველთაგანია, ვინც ჟურნალისტურ გამოძიებებს ეწევა სახიფათო თემებზე. პირველი გამოძიების მასალა ჯერ კიდევ 1984 წელს დაბეჭდა, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. იგი 1994 წლის 7 აპრილიდან მოყოლებული დღემდე აგრძელებს (უკვე დასკვნით ეტაპზეა) საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეზე გამოძიებას.

გიგლა გობეჩიას აქვს მრავალმხრივი ინტერესები – იგი იკვლევს პარაფსიქოლოგიის საკითხებს; დაინტერესებულია სამყაროს წარმოშობის საიდუმლოებებით; ადამიანის ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ შესაძლებლობათა შეცნობით. აღსანიშნავია მისი შეხვედრები ბულგარელ წინასწარმეტყველ ვანგასთან.

1995 წელს იგი დაჯილდოვდა „ოქროს კალმით“ ჟურნალისტთა კონკურსში გამარჯვებისთვის, 1998 წელს – ღირსებით მედლით, 2006 წელს – „ოქროს ფრთით“.

2013 წლიდან დღემდე გიგლა გობეჩია არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სტუ-ს მედიატექნოლოგიების ლაბორატორიის უფროსი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“ ხელმძღვანელი. ამ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, საარჩევნო კომისიის წევრი, ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის სადისერტაციო კოლეგიების წევრი; სამაგისტრო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშორმების რეცენზენტი.

2017 წელს მან დააარსა საიტი ,,STUDZONA.GE“. ასევე, ელექტრონული ჟურნალი „მედიალოგია“.

2017 წელს გ. გობეჩიამ გამოსცა მონოგრაფია ელსახელმძღვანელო – ,,ჟურნალისტური გამოძიება – ისტორია, თეორია, პრაქტიკა“. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები ჟურნალისტიკის მიმართულებით.

მისთვის ჟურნალისტიკა ფანტასტიკური პროფესიაა, მისი ცხოვრების არსია. ამიტომაც არის იგი მუდმივად კვეთაში ფანტასტიკურ აღმოჩენებთან, მეცნიერებასთან და პოეტურ აღმაფრენებთან. საგანგებოდ არის აღსანიშნავი მისი პიროვნული ღირსებები – კეთილშობილება, გულისხმიერება, პედაგოგიური ალღო, რის გამოც იგი გამორჩეულად უყვართ კოლეგებსა და სტუდენტებს.

სტუ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ჟურნალ „განათლების“ რედაქცია მთელი გულით ულოცავს პროფესორ გიგლა გობეჩიას სახელოვან 60 წლისთავს და უსურვებს ბედნიერებას, ჯანმრთელობას და წარმატებებს პროფესიულ ასპარეზზე.

სტუ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტი

ჟურნალ „განათლების“ რედაქცია

განათლების მეცნიერებანი

EDUCATION SCIENCES

ჯგუფური და დისტანციური სწავლების მეთოდები ევროპას და აშშ-ს განათლების სისტემაში

მარინე სურმავა, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ ტაბატაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დღეს ინტერნეტი მკვეთრად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. თანამედროვე განათლება წარმოუდგენელი გახდა კომპიუტერის და ინტერნეტის გარეშე. მოსწავლეების, სტუდენტების და სხვა მოქალაქეების უმრავლესობა აქტიურად იყენებს კომპიუტერის და ინტერნეტის შესაძლებლობებს სახვადასხვა სფეროში და მათ შორის, განათლების მისაღებად.

ინტერნეტ-ტექნოლოგიების და დისტანციური სწავლების გამოყენება სრულიად ახალ შესაძლებლობებს აძლევს სპეციალისტებს როგორც უწყვეტი განათლების მისაღებად, ასევე სპეციალისტების გადასამზადებლად, მეორადი განათლების მისაღებად და რაც მთავარია, სწავლის პროცესს ხელმისაწვდომს ხდის.

ელექტრონული სწავლება არის კომპუტერული ტექნოლოგიების საშუალებით განხორციელებული დისტანციური სწავლება, რომელიც სრულად იმეორებს "ცოცხალი"ანუ "დასწრებული" სწავლების პროცესს.ამ მიზნით გამოიყენება საგანმანათლებლო კონტენტის შემუშავებისა და მიწოდების უახლესი ტექნოლოგიები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პედაგოგიკის დარგში უკანაკნე მიღწევებს.

ლექტრონული სწავლება ხორციელდება ასინქრონული ან/და სინქრონული

კომუნიკაციის ფორმით. ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინ-ტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ კომუნიკაციას, ხოლო სინქრონული – როდესაც მათი კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება.

უმაღლესი განათლების სფეროში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ელექტრონული დისტანციური კურსები. მითუმეტეს, რომ დღეს მსოფლიოს მასშტაბით- 400 უნივერსიტეტზე მეტს, აქვს მასობრივი ღია ონლაინ კურსი.

საკვანძო სიტყვები: ონლაინ სწავლა, ტექნოლოგია, დისტანციური სწავლება, ვირტუალური, ტელეკომუნიკაცია.

შესავალი

ელექტრონული სწავლების კომპონენტების დანერგვა მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის ამაღლებას და მისი ეფექტურობის ზრდას.

იგი ბოლონიის პროცესის შემადგენელი ნაწილი და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებაა. **„ისწავლეთ რაც გინდათ, როცა გინდათ და სადაც გინდათ" .**

ეს არის „პროცესი, რომელიც ქმნის და ხელმისაწვდომს ხდის სწავლას, როდესაც ინფორმაციის წყარო და მიმღები ერთმანეთისგან დროით, სივრცით ან ორივე შემთხვევაში დაშორებულნი არიან."იგი წარმოადგენს დაჩქარებული ვარიანტით უმაღლესი განათლების მიღების რეალურ და მოქნილ საშუალებას, რაც დროისა და ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან ეკონომიასთანაა დაკავშირებული.

წლების წინ წარმოუდგენელი იყო ქვეყნიდან გაუსვლელად მსოფლიოს ცნობილ უნივერსიტეტებში განათლების მიღება. ამ მეთოდის ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ერთდროულად რამდენიმე უნივერსიტეტში ისწავლოს. ონლაინ სწავლა შედარებით იაფი ჯდება, ვიდრე ადგილზე სწავლა და კურსდამთავრებულს ზუსტად ისეთივე დიპლომი ეძლევა, როგორსაც ის მიიღებდა ადგილზე.

დისტანციური სწავლების სათავედ შეგვიძლია 1728 წელი მივიჩნიოთ, როდესაც პირველად გაზეთში Boston Gazette განცხადება გაჩნდა, მასწავლებელი ეძებდა მსურველებს, რომლებსაც მასალას კვირაში ერთხელ გაუგზავნიდა. თუმცა დღეს ცნობილი არ არის, იპოვა თუ არა მან სტუდენტები, მაგრამ ის ნამდვილად ცნობილია, რომ ეს მეთოდი აქტიურად 19-ე საუკუნეში, საფოსტო სისტემის დახვეწის შემდეგ ამოქმედდა, მინიმუმ 1840-იან წლებში, როდესაც დიდ ბრიტანეთში ისააკ პიტმანი, ფოსტის მეშვეობით ასწავლიდა სტუდენტებს. ლონდონის უნივერსიტეტი London) აცხადებს, რომ სწორედ მან დანერგა პირველად ოფიციალური დისტანციური სწავლება 1858 წელს. მას შემდეგ და მეოცე საუკუნის ბოლომდე ეს სისტემა უფრო და უფრო ვითარდებოდა და

იხვეწებოდა, თუმცა ფეხი მხოლოდ კომპიუტერებისა და ინტერნეტის ფართოდ გავრცელების შემდეგ მოიკიდა.

ძირითადი ნაწილი

დისტანციური სწავლება ადგილის და დროის შეუზღუდავად შესაძლებელს ხდის: გაიცნო უცხო ქვეყნის განათლების სისტემები, მოისმინო ევროპისა და ამერიკის უმაღლეს სასწავლებელთა საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლების მიერ მომზადებული კურსები, მიიღო კონსულტაციები ,,პირველი ხელიდან" - თვით კურსის ავტორისგან, ჩააბარო გამოცდები, მიიღო სერთიფიკატი და მოძებნო სამსახური. ყველა სასწავლო მასალა გადაიცემა კომპიუტერული ქსელით. გამოცდების ჩასატარებლად გამოიყენება ინტერნეტი, აუდიო და ვიდეო კონფერენციები.

რა არის დისტანციური სწავლება? დისტანციური სწავლება ნიშნავს შორი მანძილიდან სწავლებას, როცა ორი სუბიექტი-სტუდენტი და ლექტორი ერთმანეთისგან განცალკევებული არიან, როგორც დროში ასევე სივრცეში. ამ დროს სწავლების დიდი ნაწილი, მიმდინარეობს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების და უახლესი ტელეკომუნიკაციური სისტემების გამოყენებით.

დისტანციური სწავლების ელემენტების გამოყენება დიდი იმედების მომცემია როგორც მასწავლებლისათვის, ისე სტუდენტისათვის. სასწავლო მასალის უმეტესი ნაწილის გადატანით დისტანციური სწავლების რეჟიმში, მასწავლებელს ბევრი გამონთავისუფლებული დრო დარჩება იმისათვის, რომ ფართოდ გამოიყენოს დისკუსიები, საქმიანი თამაშები, გადაწყვიტოს სასწავლო პრობლემები და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ დისტანციური სწავლება არის სააუდიტორიო სწავლის პროცესის გაგრძელება. ამ მეთოდის გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია სალექციო მასალა წარმოადგინოს ელექტრონული სახით, მისცეს სტუდენტებს საშინაო დავალებები, ჩაუტაროს ტესტირებები და მრავალი სხვა. ყველაფერი დამოკიდებულია თვით მასწავლებლის მომზადებასა და ინიციატივაზე. საზღვარგარეთ ბევრი მასწავლებელი, რომელიც იყენებს ასეთ შერეული სწავლების მიდგომას, აღნიშნავს, რომ ისინი ზოგავენ დროს და ზრდიან სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის გამოყენების უნარს.

Coursera და EDX ალბათ ყველაზე ცნობილია ონლაინკურსებს შორის. Coursera სტუდენტებს რამდენიმე ყველაზე ცნობილი უნივერსიტეტის – ბერკლის, ბრაუნის, კოლუმბიის, ჰონგკონგის, ოჰაიოს, ბრიტანული კოლუმბიის, კალიფორნიის, ფლორიდის, ლონდონის – კურსებს სთავაზობს. სულ საიტზე 196 კურსია, მათ შორის – კომპიუტერულ მეცნიერებებში, ეკონომიკაში, განათლებაში, ინჟინერიაში, ჯანდაცვაში, მათემატიკასა და ბიზნესმენეჯმენტში. EDX-ზე კი ჰარვარდის, ბერკლისა და მასაჩუსეტსის უნივერსიტეტების კურსების გავლაა შესაძლებელი.

დისტანციური სწავლების უპირატესობანი შემდეგში მდგომარეობს:

- **მოხერხებულობა და ხელმისაწვდომობა** - ონლაინ სწავლა შესაძლებელია სახლიდან და ოფისიდან გაუსვლელად, ფაქტობრივად ნებისმიერი ადგილიდან, სადაც კომპიუტერთან და ინტერნეტთან ხელი მიგიწვდებათ. რადგანაც დისტანციური სწავლება კიბერსამყაროშია და თქვენითვე რეგულირდება, არ არსებობს აუცილებლობა შეწყვიტოთ მუშაობა, ან აიღოთ აკადემიური და ამით გაიფუჭოთ საქმე ან სამსახურში ან სასწავლებელში.
- **მოქნილობა** - არ არსებობს განსაზღვრული დრო ლექციებისთვის, თვითონ წყვეტთ, როდის გსურთ დავალებების შესრულება. მომხმარებელი თავად ირჩევს სწავლების ტემპს, შეუძლია რამდენჯერმე დაუბრუნდეს ერთსა და იმავე დავალებას, შეუძლია გამოტოვოს ან აირჩიოს მასალის გარკვეული თავები.
- **არჩევანი** - ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე დისტანციური სწავ-ლების შესაძლებლობების ბუმია, რის შედეგადაც ძალიან ბევრმა აკრე-დიტირებულმა და კარგი რეპუტაციის მქონე უნივერსიტეტმა დაიწყო ასეთი პროგრამების შედგენა.
- **ღირებულება** - როგორც წესი, დისტანციური სწავლება უფრო იაფია ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით, რაც განპირობებულია ბევრი ისეთი ფაქტორების არარსებობით როგორიცაა: მგზავრობის, ცხოვრების და თვით სწავლის პროცესის ორგანიზაციული ხარჯები.
- **მართვადი** - სასწავლო გარემოს თვითონ იქმნით, თქვენ არჩევთ ადგილსა და სქემას.
- **ზოგიერთი მოსწავლისთვის უკეთესია** - მაგალითად, მათთვის ვისაც ენობრივი ბარიერი აქვს და მასალის ასათვისებლად მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდება.
- **ონლაინ სწავლება** უნიკალურ შანსს აძლევს უნარშეზღუდულ ადამი-ანებსაც, როგორც ახალი პროფესიის დაუფლების შემთხვევაში ასევე მათი საზოგადოებაში ინტეგრირების საკითხში.

უარყოფითი:

- **ლექტორთან პირისპირ შეხვედრა** - თუ თქვენ ყოველთვის მასწავლე-ბელთან, ლექტორთან ურთიერთობა გირჩევნიათ და ყურადღება გჭირ-დებათ.
- **აღქმა/რეპუტაცია** - მიუხედავად იმისა, რომ ნელ-ნელა მეტი და მეტი ცნო-ბილი უნივერსიტეტი ქმნის ელექტრონულ პროგრამას, მაინც არსებობს გარკვეული სტერეოტიპი ამ ტიპის სწავლების მიმართ.

- **მოითხოვს ახალ უნარებსა და ტექნოლოგიებს** - თუკი თქვენ არ გეხერხებათ კომპიუტერთან და ინტერნეტთან ურთიერთობა ან საერთოდ არ გიყვართ თანამედროვე ტექნოლოგიები.
- **არანაირი სოციალური ინტერაქცია** - მიუხედავად იმისა, რომ თანაკურსელებთან ელექტრონული მეილის, ჩათებისა და ფორუმების მეშვეობით შეგიძლიათ და მოგიწევთ კიდეც კონტაქტი, მაგრამ ეს პირად ურთიერთობას მაინც ვერ შეცვლის.
- **დროის გაყვანა** - თუ თქვენ ადამიანების იმ ტიპს მიეკუთვნებით, რომელსაც ყოველთვის სჭირდება ბიძგი და გარემო, რომ სამუშაო დაამთავროს.
- **სტუდენტური ცხოვრება** - ბევრისთვის სტუდენტობა მნიშვნელოვან და სახალისო პერიოდთან ასოცირდება, მოიცავს ახალი მეგობრებისა და ნაცნობების შეძენას, მათთან ერთად გართობას და ა.შ დისტანციური სწავლება კი სტუდენტურ ცხოვრებას საერთოდ არ მოიცავს.

დასკვნა

ტერმინები – კოლაბორაცია, ჯგუფური სწავლა და თანამშრომლობითი სწავლა ხშირად ერთი მნიშვნელობით გამოიყენება. მათ შორის მსგავსება მართლაც არის, მაგრამ არის განსხვავებაც. ტედ პანიცი შემდეგ განსხვავებებზე საუბრობს: კოლაბორაცია ესაა ხედვა, როგორ უნდა დაამყარო ურთიერთობა სხვებთან – როგორ ისწავლო და იმუშაო. თანამშრომლობა კი ამავე დროს არის სხვა ადამიანებთან ერთად მუშაობა ერთი საერთო მიზნის მისაღწევად. კოლაბორაციულ სწავლებას პირველად ბრიტანელმა პედაგოგებმა ჩაუყარეს საფუძველი. მათ სურდათ, რომ მოსწავლეებს აქტიურად გამოეყენებინათ შესწავლილი ლიტერატურა. თანამშრომლობით სწავლებას საფუძველი ამერიკაში ჩაეყარა. ეს კარგად ჩანს ფსიქოლოგების, ჯონ დიუისა და კურტ ლევინის შრომებში. შეიძლება ისიც ითქვას, რომ თანამშრომლობითი სწავლება კოლაბორაციის ერთ-ერთი გზაა.

ჯგუფური მუშაობა გულისხმობს რამდენიმე მოსწავლის ერთობლივ მეცადინეობას – ისინი შეიძლება თანამშრომლობდნენ და შეიძლება არა.

ანჯელა ო'დონელი და ჯიმ ო'კელი აღწერენ მასწავლებელს, რომელმაც განაცხადა, რომ „თანამშრომლურ სწავლებას" იყენებდა, როდესაც მოსწავლეებს აწყვილებდა და რეფერატის დაწერას ავალებდა. ოღონდ თითოეულ მოსწავლეს რეფერატის მხოლოდ ერთი ნაწილი უნდა დაეწერა. სამწუხაროდ, მასწავლებელმა მათ არ გამოუყო ერთად სამუშაო დრო. მოსწავლეებმა შეფასება მხოლოდ თავიანთი ნაწილის მიხედვით მიიღეს და ჯგუფური შეფასება კი – მთლიანი პროექტის შესაბამისად. ერთმა მოსწავლემ თავის ნაწილში მიიღო

უმაღლესი შეფასება, მაგრამ C შეფასება მთლიან პროექტში, იმიტომ, რომ მისმა პარტნიორმა მიიღო F. გამოვიდა, რომ ერთი მოსწავლე C შეფასებით იმ ნაწილის გამო დაისაჯა, რომლის გაკონტროლებაც თავად არ შეეძლო. ხოლო მეორე მოსწავლე, რომელსაც არაფერი გაუკეთებია, დაჯილდოვდა C შეფასებით. ეს არ ყოფილა თანამშრომლური სწავლება, ამას ჯგუფურ მუშაობასაც კი ვერ დავარქმევთ.

ჯგუფური სწავლების არასწორი გამოყენება. თუ ყურადღებით არ დაგეგ-მავთ და ყველაფერს კარგად არ გააკონტროლებთ, ჯგუფურმა ინტერაქციამ კლასში სოციალური კავშირების განმტკიცების ნაცვლად შეიძლება ხელი შეუშალოს სწავლას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩაჩანიძე გ. სწავლების ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითა-რების ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში. სტუ-ს საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები „საბუნებისმეტყველო და საინჟინრო დარგების განვითარების ისტორიის საკითხებზე“. თბილისი, 2000. გვ: 100-115.
2. ჩაჩანიძე გ, სართარია ვ. ინტერნეტ-განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პერსპექტივები. თბილისი 2004. გვ: 132-136.
3. მღებრიშვილი , ბ., საზოგადოებასთან ურთიერთობა, თბილისი, 2001.
4. Полат Е.С., «Дистанционное обучение», Москва. «Владос» 1998. ст. 180-190. http://edu-guide.ge/news/2010/04/distanciuri-scavla/
5. Буренкова О.М. Педагогические условия эффективности группового обучения в высших учебных заведениях США. Казань, 2000.
6. Булавин В.А. Управление качеством подготовки специалистов в педагогической системе высшего образования США. М., 1982.
7. Георгиева Т.С. Высшая школа США на современном этапе. М., 1989.
8. Кларин М.В. Инновации в мировой педагогике. Рига, 1995.
9. America – 2000: an Education strategy/- Wash: US Gov. Printing office, 1991.
10. https://www.gu.edu.ge/ge/studies/eleqtronuli-swavleba
11. http://mtm1984.wixsite.com/sophie/-1

Group and Distance Learning Methods in Europe and the US Education System

Marine Surmava, associate professor
Georgian Technical University

Tamar Tabatadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

Today the Internet has invaded in our lives. Modern education has become incredible without computer and internet. Most students and other citizens are actively using computer and internet opportunities in different areas, including education.

The use of Internet technologies and distance learning gives all the new opportunities for the uninterrupted education, as well as for preparing specialists for secondary education, and most importantly, the learning process becomes accessible.

E-Learning is a remote learning exercise by means of computer technologies that fully replicates the "live" or "supplementary" teaching process. For this purpose, the latest technologies for the development and delivery of educational content are used. Particular attention is paid to the achievements in the field of pedagogy.

Lecture training is performed in asynchronous and / or synchronous communication form. Asynchronous communication involves interacting when the sender and recipient do not communicate at the same time and simultaneously when their communication is performed at the same time. Electronic distance courses are becoming increasingly important in higher education. More than 400 universities across the world today have a massive online course.

Keywords: E-learning, Technology, Distance Learning, virtual, Telecommunication.

აზერბაიჯანელი სტუდენტებისათვის სახელმწიფო ენის სწავლების დონის ზოგადი მიმოხილვა

ეკა ჩილაჩავა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ–ერთი სერიოზული გამოწვევა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნაა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქვეყანაში ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი პროექტი და კვლევა განხორციელდა.

აზერბაიჯანელ სტუდენტებში ენის შესწავლისადმი ინტერესის კუთხით ორი დადებითი ტენდენცია შეინიშნება: ახალგაზრდებს გაცნობიერებული აქვთ ენის ცოდნის მნიშვნელობა წარმატებული კარიერისთვის, ასევე შედარებით გაიზარდა ინტერესი ქართული კულტურის მიმართ.

პროექტების და კვლევების განხორციელებამ აამაღლა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების მოტივაცია, თუმცა, ეს საკმარისი არაა და დღეს არსებული ენობრივი პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების მიმართ გადახედვას საჭიროებს.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები, სახელმწიფო ენის არცოდნა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული აქტივობები.

შესავალი

ოფიციალური კვლევებით დადასტურებულია, რომ საქართველო მრავალეროვანი და პოლიეთნიკური ქვეყანაა. მისი მოსახლეობის თითქმის 13%-ს ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ.

ბოლო წლების აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას აზერბაიჯანელები წარმოადგენენ. აზერბაიჯანული მოსახლეობა უმეტესად ქვემო ქართლში, კახეთში და შიდა ქართლში, ქალაქებიდან კი - თბილისსა და რუსთავში ცხოვრობს.

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების თემაზე ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ–ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნაა. ეს ფაქტი მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ძირითადი ნაწილი

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ-

თა მიერ ქართული ენის არცოდნა სხვადასხვა მიზეზმა განაპირობა. ერთ–ერთი უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში, საქართველოში მცხოვრებ ეთნოსებს შორის ძირითადი საურთიერთო ენა რუსული იყო. აზერბაიჯანული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი განათლებას რუსულენოვან სკოლებში იღებდა. საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფისთვის რუსული ენის სწავლა გაცილებით ადვილი იყო, რადგან რუსული ენის ცოდნა, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, განათლებისა და სამუშაოს მიღების გარანტიას იძლეოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აზერბაიჯანული მოსახლეობა ისევე, როგორც სხვა ეროვნული უმცირესობები, განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდა. ქვეყნის საზოგადოებრივ–პოლიტიკურ ცხოვრებაში რუსულმა ენამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ასეთ ვითარებაში, აზერბაიჯანული მოსახლეობის ენის არცოდნამ ხელი შეუწყო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან მათ იზოლაციას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობები, ენის ბარიერის გამო, ინფორმაციას აზერბაიჯანული, სომხური და თურქული ტელეარხების საშუალებით იღებენ, რაც ზრდის იმის რისკს, რომ არაქართული მოსახლეობა ადვილად მოექცეს პოლიტიკურად დაინტერესებული პირების გავლენის ქვეშ.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არაა, უფლება აქვთ, მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულებებში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება. მიუხედავად საკანონმდებლო ბაზის არსებობისა, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დღემდე არ იცის სახელმწიფო ენა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აზერბაიჯანელ სტუდენტებთან გასაუბრებამ, რომლის მიზანი იყო, მათ თავიანთი დამოკიდებულება გამოეხატათ სახელმწიფო ენის მიმართ, ცხადყო, რომ გამოკითხული აზერბაიჯანელების თითქმის 100% ხედავს სახელმწიფო ენის შესწავლის აუცილებლობას, თუმცა, ამბობს, რომ ენის შესასწავლად საკმარისი დრო არ აქვთ. არიან სტუდენტები, რომლებიც ამ ეტაპზე ენის შესასწავლად საკმარის საფუძველს ვერ ხედავენ, რადგან შრომის ბაზარი მათთვის საკმარისი რაოდენობით შეთავაზებებს არ იძლევა.

სტუდენტები აზრით, მსგავსი გადაწყვეტილებების მისაღებად და სახელმწიფო ენის შესწავლის დასაწყებად, ისინი დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ ენის შესწავლა მათ სასურველი სამუშაოსკენ გაუკვალავს გზას.

გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს საჭიროდ, გაიზარდოს სკოლებში ქართული ენის სწავლების საათების რაოდენობა, რომ მათ შემდგომში უკეთ აითვისონ სახელმწიფო ენა.

კვლევებით ასევე დასტურდება, რომ ეთნიკური უმცირესობების გაუცხოება სხვა მიზეზებითაცაა გამოწვეული:

კულტურულ–ეთნიკური კავშირების არარსებობა;

- გზებისა და კომუნიკაციების გაუმართაობა;
- ინფორმაციული ვაკუუმი;
- ეკონომიკური სიდუხჭირის გამო უმცირესობების მჭიდრო კავშირი მეზობელ სახელმწიფოებთან, ვიდრე საქართველოსთან.

ამ მიზეზების გამო ეთნიკური უმცირესობები დგებიან ისეთი პრობლემების წინაშე, როგორებიცაა:

- სირთულეები, რომლებსაც ეთნიკური უმცირესობები სახელმწიფო დაწესებულებებთან მიმართებაში და დასაქმების სფეროში აწყდებიან;
- გარკვეული სახის მომსახურების ან სამუშაო ადგილებისადმი შეზღუდული ხელმისაწვდომობა ენის არცოდნის გამო;
- ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- დაბრკოლებები ქვეყნის სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისას.

ზემოაღნიშნული მიზეზებისა და პრობლემების მოსაგვარებლად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ (2003), ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ცენტრთან ერთად, საქართველოში მოქმედი ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის ფინანსური დახმარებით, უამრავი პროექტი განახორციელა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2007 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ცენტრის ერთობლივი კონფერენცია, რომელიც მულტილინგვური განათლების საკითხებს მიეძღვნა.

2008 წლის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციით და ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით, ითარგმნა და გამოიცა ათი მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

სახელმწიფო ენის სწავლების მოტივაციის ამაღლების ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მაშინდელი მინისტრის, ს. ჯანაშიას ბოლო ინიციატივა ეთნიკური უმცირესობებისთვის ეროვნული გამოცდების გამარტივების შესახებ.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად გასათვალისწინებელია სწავლის მოტივაციის მაღალი ხარისხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი სახის აქტივობა, რომელიც უშუალოდ სახელმწიფო ენის სწავლების დონის ამაღლებისკენ იქნება მიმართული, სერიოზულ შედეგებს ვერ მოგვცემს.

დიმიტრი უზნაძე მოტივს ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძველს უწოდებდა.

მკვლევარების აზრით, ენის შესწავლისას მოტივაცია არის გადამწყვეტი ძალა, რომელიც განსაზღვრავს, დაიწყებს თუ არა მოსწავლე დავალების შესრულებას, რამდენ ენერგიას და დროს დაუთმობს მას. მათივე აზრით, ეს არის რთული ფენომენი და მოიცავს ბევრ კომპონენტს: ინდივიდის განზრახვას, წარმატების მიღწევის საჭიროებას, ცნობისმოყვარეობას, სურვილს, მიიღოს ახალი გამოცდილება და ა.შ.

დასკვნა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აზერბაიჯანელ სტუდენტებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ენის შესწავლისას წახალისება და მოტივაციის ამაღლება უმთავრესია. აღნიშნული პრობლემების საილუსტრაციოდ, ერთი კონკრეტული ფაქტის მოყვანაც საკმარისია: აზერბაიჯანელი სტუდენტები ხალისით იწყებენ ენის შემსწავლელ კურსებზე სიარულს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ძალიან ცოტა აგრძელებს რეგულარულ მეცადინეობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სახელმწიფო ენის სწავლებასთან დაკავშირებით უამრავი პროექტი, კვლევა და პროგრამა მომზადდა, ეს საკმარისი არაა. ვფიქრობთ, დღეს არსებული ენობრივი პოლიტიკა უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ გადახედვას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასლამაზიშვილი, ლალი. სახელმწიფო ენის სწავლების მდგომარეობა ბოლნისის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში. ბოლნისის ენის სახლი, თბ., 2009.
2. კომახია, მამუკა. აზერბაიჯანული და ბერძნული მოსახლეობა საქართველოში. კვლევის ანგარიში. საქართველოს გაეროს ასოციაცია, სამოქალაქო განათლების განყოფილება. 2003.
3. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.3&d=HASH01758090b9360b9627b-f8feb.3.4 (17.05.2019)
4. ნადირაშვილი, შოთა. განწყობის ანთროპული თეორია. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2014.
5. ტაბატაძე შალვა, გიორგაძე ნათია. ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის კვლევა. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ცენტრი, თბ., 2016.
6. http://cciir.ge/upload/editor/file/CCIIR%20research%20document.pdf (17.05.2019)

A general overview of the level of state language teaching for Azeri students

Eka Chilachva
Georgian Technical University

Summary

One of the main challenges in Georgia in the field of social integration is lack of knowledge of Georgian language among ethnical minorities, which hinders their full involvement in the political, economic and social life of the country.

Several projects and researches have been implemented around this issue in Georgia.

There are two positive tendencies revealed among Azerbaijanian students regarding their interest to learn the language: they realize the importance of knowing Georgian language for their future successful carrier; their interest towards Georgian culture has been raised.

Implementation of projects and researches has raised motivation of ethnical minorities, but it is still not enough. Current language policy towards ethnical minorities in Georgia needs to be revised.

უმაღლესი განათლება საქართველოში და ფინეთში

ნინო სეფაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ფინელებმა ღრმად გააანალიზეს სხვა ქვეყნების შედეგები, გააკეთეს დასკვნები და განახორციელეს შესატყვისი, ქმედითი ზომები საკუთარ განათლების სისტემაში და შეიმუშავეს „იდეალური" საგანმანათლებლო სისტემა, რომლიც დღევანდელ რეალობაში ყველაზე ეფექტურად არის მიჩნეული. ფინელების მიდგომის საიდუმლო კი ის არის, რომ აქტიურად იყენებენ მოწინავე ნაშრომებს პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში და იზიარებენ ამ მხრივ სხვა ქვეყნებში არსებულ გამოცდილებას. მათ არ ეშინიათ და არც თაკილობენ ისწავლონ სხვებისგან - ამით აღწევენ მაღალ შედეგს! განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებენ მათი მიღწევები უმაღლეს განათლებაშიც: ბოლო მონაცემებით ფინეთის ოცი უმაღლესი სასწავლებელი შედის მსოფლიოში აღიარებული უნივერსიტეტების ასეულში.

რაც შეეხება საქართველოს საკითხი ცოტა რთულად დგას, ფინეთის საგანანმანათლებლო სისტემისგან განსხვავებით ჩვენთან რეფორმა იწყება საბაკალავრო საფეხურიდან. აღნიშნულ რეფორმაში ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება სკოლამდელ და სასკოლო სისტემაზე. ჩემი აზრით აღნიშნული რეფორმების განხორციელების და შედეგების მოტანის შემაფერხებელი ნაწილია ბიუროკრატია, ანუ ყველაფერის წესრიგში ქონა მხოლოდ ქაღალდზე. აღნიშნულზე იმოქმედა აგრეთვე ბოლონიის პროცესმა, ახალი სტანდარტების დანერგვამ და ასე შემდეგ.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათება, იდეალური საგანმანათლებლო სისტემა, რეფორმა, ახალი სტანდარტები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

შესავალი

ფინელები დიდ ყურადღებას უთმობენ თავიანთ საგანმანათლებლო სისტემას, ახდენენ სისტემატიურ დაკვირვებას სხვა ქვეყნების სიტემაზე, აანალიზებენ მათ მიდგომებს, რეფორმებს და შედეგებს. აღნიშნულის საფუძველზე ახდენენ შერჩევას საუკეთესო სისტემის, აქტიურად იყენებენ მოწინავე ნაშრომებს პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებენ მათი მიღწევები უმაღლეს განათლებაშიც: ბოლო მონაცემებით ფინეთის 20 უმაღლესი სასწავლებელი შედის მსოფლიოში აღიარებული უნივერსიტეტების ასეულში. ყველაფერ ამას ფინელებმა მიაღწიეს ორიოდე ათწლეულის განმავლობაში და ამისთვის გააჩნდათ: საზოგადოების ერთსუ-

ლოვანი მოთხოვნილება, ხელისუფლების პოლიტიკური ნება და კონსენსუსის შედეგად მიღწეული, გააზრებული განათლების სტრატეგია.

განათლებას საქართველოში დიდი ისტორია აქვს. განათლების სისტემის შეცვლა მრავალჯერ მოხდა. თავისთავად დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს რუსეთთან შეერთებამაც განათლების, მეცნიერებისა და ქართული კულტურის განვითარებაში. 1855 წელს საქართველოში 150-მდე სასწავლებელი არსებობდა. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის განათლების სისტემას იგი განათლების კლასიკური მოდელი იყო, რომელიც გერმანიიდან და ისრაელიდან გამოიტანეს. ის მთლიანად კლასიკურ პედაგოგიკას ეყრდნობოდა. სისტემა სერიოზული იყო. ძალიან დიდი თანხები იდებოდა განათლებასა და მეცნიერების დაფინანსებაში. საბოლოოდ სისტემა შეცვალა საქართველოს ბოლონიის პროცესში ინტეგრირებამ.

ძირითადი ნაწილი

ფინეთის არსებული საგანმანათლებლო სიტემის განვითარება დაიწყო გასული საუკუნის სამოციან წლებში. 2010 წლის მონაცემებით ქვეყანაში არსებობს 15 უნივერსიტეტი, ყველა სახელმწიფოა. ფინეთი ბოლონიის პროცესის წევრია და შესაბამისად მიღებული აქვს ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის სისტემა. საბაზისო ხარისხად ითვლება ბაკალავრის ხარისხი, აღნიშნულის მიღება სტუდენტს შეუძლია სწავლების დაწყებიდან 3 წლის შემდგომ, აგრეთვე სტუდენტმა უნდა აითვის 120 კრედიტი. შემდეგი ხარისხია მაგისტრის, აღნიშნულზე სწავლება მოიცავს 5 წელს (ან ორი წელის ბაკალავრის ხარისხის შემდგომ), სავალდებულო კრედიტების რაოდენობა შეადგენს 160, აგრეთვე დისერტაციის დაცვა. უმაღლეს საფეხურს მაგისტრის საფეხურის შემდგომ წარმოადგენს დოქტორის ხარისხი. აღნიშნულის პირველ ეტაპს წამოადგენს ლიცენზიანტის სტატუსის მინიჭება, რომლის მიღებაც როგორც უკვე აღვნიშნე შესაძლებელია 2 წლის შემდგომ. დოქტორის ხარისხის მისაღებად საჭირო იქნება კიდევ 2 წლიანი სწავლება, რომელიც მოითხოვს კვლევის ჩატარებას და დისერტაციის დაცვას.

საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის რეგულირება ძირითადად ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის და ბოლონიის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში აკადემიური უმაღლესი განათლება სამსაფეხურიანია: პირველი საფეხური ბაკალავრიატი - პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს; მეორე საფეხური მაგისტრატურა - პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს; მესამე საფეხური დოქტორანტურა - საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების მფლობელს. სწავლის მიზანია სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად, სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება. სწავლება მოიცავს 8 სემესტრს.

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირს. კანონის თანახმად მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა უნდა ჩააბარონ საერთო სამაგისტრო გამოცდა. ამასთან, უმაღლესი სასწავლებლები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესს და მიღების სხვა პირობებს.

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. დოქტორანტურა საქართველოში 2005 წლიდან მოქმედებს, მას შემდეგ, რაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით გაუქმდა ასპირანტურა, ე.წ. მაძიებლობა და მეცნიერებათა კანდიდატის კვალიფიკაციის მინიჭების საბჭოური სისტემა. უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობაში მოქმედებს დოქტორანტურა, როგორც წესი, 3 წლის ვადით, თუმცა, ზოგიერთ სასწავლებელში სწავლის მაქსიმალური ვადა მეტია.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ინფომრაციის მოძიების პროცესში გამოიხატა ძირითადი ორიენტირები და გზები ფინური სწავლების მეთოდში. კერძოდ, მოსწავლე/სტუდენტი გარანტირებულია რომ მიიღებს მასზე ორიენტირებულ განათლებას ინდივიდუალური მიდგომით და შრომის ბაზრის დაკმაყოფილებით. აგრეთვე იგრძნობა თანასწორობა და დამოუკიდებლობა. თანასწორნი არიან აგრეთვე ყველა სასკოლო თუ საუნივერსიტეტო დაწესებულებები. სტუდენტს ყველა საფეხურზე ხარისხის მისანიჭებლად უწევს შრომა და აღნიშნული შრომის დაფასების გარანტიაც გააჩნია, უცხოელი სტუდენტებისათვისაც მოქმედებს თანასწორუფლებიანობა, სწავლობენ უფასოდ და სჭირდებათ მხლოდ მისაღები პროცედურების გადალახვა.

რაც შეეხება მასწავლებლებს და პროფესორებს მოტივირებულნი არიან ყველა მოსწავლე და სტუდენტის ჩართონ სასწავლო პროცესში, ყველა მათგანთან იქონიონ ინდივიდუალური კონტაქტი და მიდგომა. ყველაზე საოცარი კი ის არის მოტივაცია არ არის განპირობებული მატერიალური ნაწილით, ანუ მოტივაციას არ წამოადგენს კარგი ხელფასის ქონა. მათთვის მნიშვნელოვან მისიას წარმოადგენს ცოდნის გადაცემა.

რაც შეეხება საქართველოს საკითხი ცოტა რთულად დგას, ფინეთის საგანანმანათლებლო სისტემისგან განსხვავებით ჩვენთან რეფორმა იწყება

საბაკალავრო საფეხურიდან. აღნიშნულ რეფორმაში ნაკლებად არის ჩართული სასკოლო სისტემა. ჩემი აზრით აღნიშნული რეფორმების განხორციელების და შედეგების მოტანის შემაფერხებელი ნაწილია ბიუროკრატია, ანუ ყველაფერის წესრიგში ქონა მხოლოდ ქაღალდზე. აღნიშნულზე იმოქმედა აგრეთვე ბოლონიის პროცესმა, ახალი სტანდარტების დანერგვამ და ასე შემდეგ.

ლიტერატურა:

1. ფინეთის განათლების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი
2. ფინეთის განათლების სამინისტროს წლიური ანგარიშები 2010,2015,2017წ.
3. ვებ-გვერდი http://studyglobe.ru
4. ვებ-გვერდი http://e-finland.ru
5. ვებ-გვერდი https://vseobr.com/sistemy-obrazovanija/finlyandija/
6. ვებ-გვერდი http://www.finlandia.boom.ru
7. ვებ-გვერდი www.helsinki.fi/yliopisto/
8. Кайса Хууско (Преподаватель финского языка на кафедре общего и финно – угорского языкознания ГОУ ВПО Удмуртский государственный университет) и Корепанова Алевтина Аркадьевна (Муниципальное образовательное учреждение «Средняя общеобразовательная школа №97 с полным днем пребывания детей» г. Ижевск) - ОБРАЗОВАНИЕ В ФИНЛЯНДИИ - 2010 г.

Higher education in Georgia and Finland

Nino Sephashvili, PhD student

Georgian Technical University

Summary

Finns deeply analyzed the results of other countries, made conclusions and concluded the effective measures in their own education system and developed an "ideal" education system that is considered the most effective in today's reality. The secret of the Finnish approach is that they are actively using advanced papers in pedagogical psychology and share the experiences in other countries. They are not afraid and they are ready to learn from others -in this way they achieve a high result! Special achievements are desirable for their achievements in higher education: According to the latest data, the Finnish twenty universities is included in the hundred Recognized Universities of the World.

As regards the issue of Georgia is a bit difficult, unlike the Finnish educational system, the reform starts with the bachelor's level. The reform is less focused on preschool and school system. In my opinion, the bureaucracy is a hindering part of the implementation of these reforms and the consequences, that means that everything is in order only on papers. The Bologna process also introduced new standards and so on.

ფილოლოგია

PHILOLOGY

აგრესიისა და აგრესიულობის გავლენის რეგისტრები თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაში

თემურ ჯაგოდნიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ივანე ჯაგოდნიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია თანამედროვე აქტუალური, უაღრესად დამაფიქრებელი და შემაშფოთებელი მოვლენა - საარსებო სივრცეში ადამიანის დამკვიდრების ფორმა და მისი რეალიზების კომუნიკაციური მოდელები - აგრეია და აგრესიულობა.

მითითებულია, რომ ქართული პუბლიცისტიკის სივრცეში უხამსი, სკაბრეზული (პეიორატული) ლექსიკა-ფრაზეოლოგიის და სამეტყველო მოდელების შეჭრის დრო 2016-2017 წლების მახლობელ ხანებზე მოდის. ამჟამად ამ მოვლენამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ჩვენს სინამდვილეში ლინგვოკრიმინალისტიკის, როგორც აგრესიისა და აგრესიულობის გამოვლენის, დადგენისა და სამართლებრივი შეფასების თეორიისა და მეთოდიკის, დამკვიდრებას ცხადყოფს.

საკვანძო სიტყვები: აგრესია, აგრესიულობა, პუბლიცისტიკა, ლინგვოკრი-მინალისტიკა

შესავალი

კომუნიკოლოგიაში დღეს ბევრს წერენ აგრესიისა და აგრესიულობის მოვლენის შესახებ; გამოკვლეულია მისი გამოვლენის ფორმები, დადგენილია

სახეობები (შემტევი, თავდაცვითი,...). აგრესია და აგრესიულობა თავს იჩენს ჩვენი თანამედროვის გარეგნობაში (ჩაცმულობა, ვარცხნილობა, კინესიკა, ჟესტიკულაცია,...), მეტყველებაში (ლექსიკა-ფრაზეოლოგია, ინტონაცია), ენობრივ ექსტრემიზმში, ნორმატიული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის უგულებელყოფასა და სკაბრეზული, უხამსი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის მეტყველების ნორმად გადაქცევაში. ვერბალურ კომუნიკაციებში აგრესიის ფაქტის დადგენასა და შეფასებაში, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ლინგვოკრიმინალისტიკას.

ძირითადი ნაწილი

ქართულ სინამდვილეში პუბლიცისტიკის სივრცეში უხამსი, სკაბრეზული, ექსტრემისტული, აგრესიული ლექსიკა-ფრაზეოლოგიისა და სამეტყველო მოდელების შეჭრის დრო 2016-2017 წლების მახლობელ ხანებზე მოდის. ამას, მაგალითად, ცხადყოფს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ 2017 წელს (N47(423), 20-26 დეკემბერი) გამოქვეყნებული ჟურნალისტ გიორგი გელაშვილის მედიატექსტი „ნიკა გვარამია: მიიღებთ სრულმასშტაბიან დედის ...ვნას!“

გაზეთის რედაქცია დემონსტრაციულად ემიჯნება ნ. გვარამიას მეტყველების იდეოსტილს, შემტევ აგრესიულობას, ენობრივ ექსტრემიზმს, უხამსობას, სკაბრეზულობას, ხოლო ამგვარი „სამკაულებით“ დამშვენებული მეტყველების ციტირებას „მეტი თვალსაჩინოების“ მიზნით ამართლებს.

გაზეთის რედაქცია ნ. გვარამიას მეტყველების აგრესიულობის, ექსტრემიზმის მასობრივი აუდიტორიის საზოგადოებრივი და კულტურული ცნობიერების ღირებულებით ელემენტებზე შეტევის რაგვარობას შემდეგნაირად ხსნის: ესაო „ლიბერალი ცნობადი სახის უხამსი გამონათქვამები, რომლებიც ადამიანების, რელიგიური ჯგუფების, ეროვნული ფასეულობებისა და, საზოგადოდ, საზოგადოების აბუჩად აგდების“ გამიზნულობის დისკურსი (გვ. 4). ამ აზრის არგუმენტად რესპონდენტის სკაბრეზული გამონათქვამებისა და ლექსიკის მაგალითები უხვად მოჰყავს, მაგრამ აქვე არაქვეტექსტურად, არამედ ექსპლიციტურად (ღიად) ამგვარი პუბლიკაციის სარედაქციო გამიზნულობაც ჩანს. ესაა მმართველი პარტიის დანამუსება, მისი პოლიტიკის სისუსტის (უნიათობის) დემონსტრირება და ოპოზიციური შეფასება „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიასთან შედარების ფორმით.

კრიტიკის ობიექტია, ერთი მხრივ, ნაცმოძრაობის ფუნქციონერი, განათლების ყოფილი მინისტრი, სახელმწიფო მოხელე ნ. გვარამია, მის პოლიტიკურ პარტიასთან ერთად, მეორე მხრივ ქართული ოცნება, მმართველი პარტია, მისი კოჰაბიტაციის პრინციპზე დაფუძნებული თანაარსებობის პოლიტიკა და ამ პოლიტიკის შესაბამისობა სახელმწიფოს სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

პუბლიკაცია ჟურნალისტური გამოძახილია ნ. გვარამიას რამდენიმე (ექვს) ფეისბუქსტატუსზე, რომელთა მიზანია მ. სააკაშვილის უკრაინული პოლიტიკური ინსინუაციების გამო საქართველოში მისი ექსტრადირების და დაპატიმრების სავარაუდო სამთავრობო გადაწყვეტილებებისაგან დაცვა. დაცვის ეს მცდელობა ენობრივი ექსტრემიზმისა და შემტევი აგრესიის ლექსიკა-ფრაზეოლოგიით (ლანძღვა-გინებაში გადაზრდილი) არის გაჯერებული. ეს ლექსიკა-ფრაზეოლოგია, მართალია, ნ. გვარამიას პირით არის ვერბალიზებული, მაგრამ ჟურნალისტი ისე აწვდის მკითხველს, რომ ერთი კონკრეტული პერსონის იდეო სტილის დემონსტრირებად კი არ აღიქმება, არამედ მთელი პოლიტიკური პარტიის - „ნაცმოძრაობის“, პოლიტიკური ფილოსოფიის ენობრივ გამოხატულებად (გაცხადებად). ჟურნალისტის მიზანი მოსახლეობის, მასობრივი აუდიტორიის ნაციონალური მოძრაობისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მუხტის გაძლიერება, სიძულვილის გაღრმავებაა. ამას ემსახურება ჟურნალისტ გიორგი გელაშვილის თუნდაც ასეთი გამონათქვამი:

„ამ „ფეისბუქსტატუსების“ ავტორი, რომელიც საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს (რადგან „ქართული ოცნება“ გამარჯვებული პარტიაა და მას მხარი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაუჭირა), შედარებით კორექტულად რომ ვთქვათ, ფალოსს უწოდებს, არც მეტი, არც ნაკლები, განათლების ყოფილი მინისტრი გახლავთ, ყოფილი სახელმწიფო მოხელე, რომელსაც განათლებული, ჯანსაღი და პროგრესული მომავალი თაობის აღზრდაზე უნდა ეზრუნა“ (გვ. 4). ეს გამონათქვამი ცხადყოფს, რბილად რომ ვთქვათ, ჟურნალისტის ოპოზიციურობას ნ. გვარამიასადმი, თუმცა მიუკერძოებლობას იმით იცავს, რომ არც მეორე მხარის - მმართველი პარტიის („ქართული ოცნების“) პოზიციას ინდობს, ამხელს ნაცმოძრაობისადმი შემწყნარებლობაში. არგუმენტი ნ. გვარამიას ლანძღვა-გინებისადმი „ქართული ოცნების“ პოზიციური, აშკარად პოლიტიკური დუმილია, თანაც იმ ფონზე, როდესაც „კორკოტას“ ზედსახელით ცნობილი ფუნქციონერი კორკოტაშვილი სკაბრეზული საჯარო ლექსიკა-ფრაზეოლოგიისათვის დაუნდობლად გაამათრახეს. „კორკოტას ბილწსიტყვაობა თუ დასაგმობია (და ნამდვილად დასაგმობია), გვარამის გინებაზე რატომ ხართ გატრუნულები?!“

აქ ჟურნალისტი პუბლიკაციის სულისკვეთების უნისონში სარკაზმში შეფუთული შემტევი აგრესიით აფიქსირებს საკუთარ (და რედაქციის) პოზიციას:

„ნიკას გინება ლოცვის ელემენტებს შეიცავს თუ მას მხოლოდ იმიტომ არ აკრიტიკებთ, რომ ერთი და იგივე გარე ძალის დაკვეთას ასრულებთ, დაკვეთას, რომელიც ძირს უთხრის ქართულ სახელმწიფოს?“

გიორგი გელაშვილის რესპონდენტის უხამსობათა, სკაბრეზიზმების ციტირება აქ, რასაკვირველია, მისთვის დიდი პატივი იქნებოდა, თუმცა მისი ლექსიკა-ფრაზეოლოგიაზე წარმოდგენის შესაქმნელად ერთგვარად „თავშეკავე-

ბული“, ევფემიზებული ელემენტებიც შეგვიქმნის წარმოდგენას. ამ ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში ხშირია, მაგალითად, ტერმინოლოგიური დანიშნულებით გამოყენებული სიტყვები: „ბნელი“, „უვიცი“, „ყანა“, „ფალოსი“, „ლუზერები“, „ქათამი“, „ჰიპსტერი“... ანდა ამ ტიპის გამოთქმები:

● „სიძულვილის ენის ტირაჟირება“, „ბანძი ლუზერები“;

● „ფუჰ, საბჭოთა სკოლის მეცხრე კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოა ეს ქვეყანა თავისი ცოდნით, მორალით და გამოცდილებით“;

● „ვაფრენ იმ ხალხზე, გუშინ რომ „ოცნებას“ მისცა ხმა და დღეს ლარის 2,63-ზე ისტერიკაში არიან. სრული ...ები“.

ნორმატიული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის უგულებელყოფის ტენდენციის დამკვიდრება ქართულ სინამდვილეში XXI საუკუნის დამდეგიდან იწყება და საყოველთაოობას 20-იანი წლების დასაწყისში აღწევს. ამ მხრივ, ქართული სინამდვილე ფეხდაფეხ მიჰყვება საერთაშორისო ტენდენციებს.

იმავდროულად ფეხი მოიკიდა ნეოკზისტენციალიზმის კიდევ ერთმა ტენდენციამ მოჭორილი, არარეალური ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ცნობების გავრცელებამ, რაც საყოველთაო, სამყაროულ სენად იქცა, ინფორმაციული აგრესიის სახეობად დამკვიდრდა და საინფორმაციო არხის კონკრეტული სახეობის ინტერნეტის ტერმინოლოგიის ერთეულის „Fake news“ სახელწოდებით დამკვიდრდა. თვალშისაცემი აქტიურობითა და მასშტაბურობით კი 2016 წლიდან გამოირჩა. შეთხზული ახალი ამბების მიზნობრივი გავრცელება და თავსმოხვევა კაცობრიობისათვის უკვე გადაიქცა წარმოუდგენელ საშიშროებად და ტრაგედიების მიზეზად. ამის ერთ მასშტაბურ მაგალითად ამერიკელი მწერალი და ჟურნალისტი გლენ გრინვალდი ასახელებს ერაყის ბირთვული პროგრამის შესახებ შეთხზულ ისტორიას, რასაც უთავბოლო და გაუმართლებელი ომი მოჰყვა და ამ პროგრამის არსებობის დამადასტურებელი ფაქტების მოძებნა მაინც ვერ მოხერხდა (3).

ფეიკ ნიუსების გავრცელების მასშტაბურობა და სისწრაფე, ანალიტიკოსების დაკვირვებით, შესამჩნევი გახდა აშშ პრეზიდენტის 2016 წლის პერიოდში, როცა მათმა რაოდენობამ ნამდვილი (რეალური) ახალი ამბების რაოდენობას გადააჭარბა.

დღეისათვის ტექნოლოგიური პლატფორმების გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე განუზომლად დიდია. ამის გათვალისწინებით 2016 წელს „facebook“-მა აამოქმედა ფალსიფიცირებული ახალი ამბების გამოვლენის მექანიზმი. მომხმარებლებს მიეცათ საეჭვო ინფორმაციის სპეციალური ნიშნით გამოყოფის საშუალება. ამ კომპანიამ პარტნიორებს მიმართა საეჭვო პუბლიკაციების გადამოწმებისა და მარკირების თხოვნით, თუმცა გადაუჭრელი დარჩა ერთი არსებითი საკითხი: ვინ ადგენდა ინფორმაციის ფალსიფიცირების ფაქტს. 2017 წელს, როგორც ცნობილია, „facebook“-მა დეზინფორმაციის

გავრცელების ხელშეშლის ალგორითმი შეიმუშავა.

ყველაზე შედეგიანი საახალამბებო ფალსიფიკაციების საწინააღმდეგო საშუალებას მიაგნო აშშ პრეზიდენტ დ. ტრამპის გუნდმა. ესაა სოციალური ქსელის Twitter-ის მეშვეობით ამომრჩევლებთან უშუალო (პირდაპირი) საინფორმაციო კავშირურთიერთობა. დ. ტრამპის გუნდმა გაითვალისწინა პრეზიდენტობის კანდიდატის ჰ. კლინტონის ხვედრი, რაც მას დამართა ფალსიფიცირებული ისტორიების ტირაჟირებამ, რომელსაც „ეხო მოსკვის" მთავარი რედაქტორის ალექსეი ვენედიკტოვის მტკიცებით, ბალკანეთში დარეგისტრირებული საიტი აქვეყნებდა. დ. ტრამპის გუნდმა თავად გამოიყენა მასობრივ აუდიტორიასთან უშუალო ურთიერთობის ელექტრონული ფორმა და ამით დაუხშო გზა ფალსიფიცირებული ინფორმაციების გავრცელებას პრეზიდენტის მისამართით. ა. ვენედიქტოვმა ამ საშუალებას გენიალური გამოგონება უწოდა.

კარგად არის ცნობილი პრეზიდენტ დ. ტრამპის დაპირისპირება CNN-ის ჟურნალისტებთან გამოგონილი ინფორმაციების და პრეზიდენტის ნათქვამების გამიზნულად არასწორი კომენტარების გავრცელების გამო. SNN-ის ჟურნალისტებს პრეზიდენტ დ. ტრამპის გამოწვევის მიღებისა და ენერგიული საპასუხო ინფორმაციული ომის გაჩაღების მცდელობა მცდელობად დარჩათ.

ცნობილია, რომ ამჟამად „სიმართლისათვის ბრძოლა" პლანეტარული მასშტაბის ინფორმაციული სივრცის უაქტუალურესი პრობლემაა. მანქანური სწავლების ტექნოლოგიების მეშვეობით მსოფლიოს წამყვანი **სტარტაპები** Crisp-ი, New Knowledge, Digital Shadows-ი ადვილად პოულობენ და ბლოკავენ ფალსიფიცირებულ ინფორმაციებს.

სოციალურ ქსელებში დეზინფორმაციის შეზღუდვის პროცესში აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებიც. მაგალითად, ევროკავშირში არსებობს „ფეიკების" წინააღმდეგ მოქმედი საექსპერტო ჯგუფი. ანალოგიური სამთავრობო ორგანო შეიქმნა დიდ ბრიტანეთში. ინფორმაციული სიცრუის წინააღმდეგ ადამიანური ძალისხმევის აუცილებლობაზე 2018 წელს საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება რომის პაპმა ფრანცისკმა. მისი თქმით, ჟურნალისტის (მასობრივი ინფორმაციის მუშაკის) პროფესიული საქმიანობა **მისია** ხდება თავისი უდიდესი მნიშვნელობის გამო სიცრუის რიტორიკისა და სენსაციური სათაურების წინააღმდეგ ბრძოლაში.

2018 წლის აპრილში მალაიზიაში დაფიქსირდა სოციალურ ქსელებში ცრუ ინფორმაციის გამო ადამიანის გასამართლების პირველი შემთხვევა, ციხეში ჩასვეს (მართალია, მცირე ხნით) დანიელი ტურისტი. 2018 წლის რუსეთის ფედერაციის დუმამ მიიღო „ფეიკების" საწინააღმდეგო კანონი. თუმცა ბრძოლის ეფექტურობა ჯერ-ჯერობით სასურველისაგან შორსაა. მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი მოსახლეობას ურჩევს ფაქტების გადამოწმებას, გადაწყვეტილების მიღებას ობიექტური მონაცემების საფუძველზე, მაგრამ ეს

საქმეს ვერ შველის, რადგან ჭორს ბუნებრივად ახლავს ეჭვი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ჭორის ჭორობა (არანამდვილობა) ცხადი ხდება.

ფაიკებთან აქტიურად იბრძვიან ტრადიციული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მაგრამ მათი თავკაცებიც (მაგ., ა. ვენედიქტოვი) იძულებული არიან აღიარონ, რომ სიფრთხილის მიუხედავად, მაინც ეპარებათ შეცდომები. ინტერნეტიდან აღებული ფალსიფიცირებული ფოტო და ვიდეომასალებზე დამყარებული სასამართლო მტკიცებულებების წარდგენის პრაქტიკა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

Fake News-ის fake evidence-ს (მოწმობა) ქცევის პრობლემა მსჯელობის საგანი გახდა პეტერბურგის VIII საერთაშორისო იურიდიულ კონფერენციაზე ადვოკატ **მაიკლ სვეინსტონის** მოხსენებაში. ასე რომ, ინტერნეტი ყოველდღიურად ხელს უწყობს უამრავი ფალსიფიცირებული ახალი ამბების გავრცელებას. ამასთან ბრძოლა სულ უფრო ძნელი ხდება. ამ ფონზე გამოსავალს ხედავენ ტრადიციული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ საკუთარი ღირსების დაცვაში და თუნდაც ამ მიზნით ფალსიფიცირების წინააღმდეგ ბრძოლის გაშლის აუცილებლობაში.

თანამედროვეობისათვის სასამართლო ლინგვისტური ექსპერტიზის აქტუალობის კიდევ ერთი მაჩვენებელია ე. წ. „ამბოხებული მასების“ (ხოსე ორტეგა ი გასეტი) თანამედროვე მოქალაქეობრივი პოზიცია. დიდი ესპანელი პუბლიცისტისა და მოაზროვნის ხოსე ორტეგა ი გასეტის მიხედვით, XVIII-XIX საუკუნეები (ცხადია XX საუკუნეც) კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში იმით გამოირჩა, რომ ქვეყნებისა და სახელმწიფოების, ტრადიციული მმართველმა სოციალურმა კლასმა – არისტოკრატიამ დაკარგა პრივილეგიურობა და მას უწარსულო, აჯანყებების გზით მოსული „ამბოხებული მასის“ წარმომადგენლობა ჩაენაცვლა. ამით შეიცვალა ქვეყნის მართვის პოლიტიკური ფილოსოფია: არისტოკრატიის შეგნებაში არსებულმა ქვეყნის ინტერესების მსახურების იდეამ ადგილი დაუთმო სახელმწიფოს მართვის იმგვარი პრაგმატიკას, სადაც ინდივიდუალურ-პერსონალური სარგებლიანობაც იყო გათვალისწინებული, აქედან გამომდინარე, თავისი შედეგებით. მთავარი ამ ისტორიულ გადატრიალებაში კი ის იყო, რომ ადამიანი დე იურე გათავისუფლდა და ისტორიის უდიდეს მონაპოვრად მისი თავისუფლების (ხელშეუხებლობის) დაცვა გახდა. ამ თავისუფლებამ კი ის მოიტანა, რომ ადამიანის შეგნებაში თანდათან მიინავლა, ხოლო მოგვიანებით – XX საუკუნეში გაქრა პასუხისმგებლობის გრძნობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანმა დაივიწყა, რომ ადამიანური თავისუფლება მისი შესატყვისი პასუხისმგებლობით განიზომება და წონასწორდება. ამ გარემოებამ კი სათავე დაუდო ადამიანის სამოქალაქო თავისუფლების არასწორ გაგებას – ყველაფრის უფლების ეგოცენტრულ დემონსტრირებაში გადაზრდას.

XIX საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის 70-იან წლებამდე ამბოხებული მასის მემკვიდრეები ზედმიწევნით იცავდნენ არისტოკრატიის ენობრივი და კულტურული ცნობიერების ათასწლეულების განმავლობაში აპრობირებულ ღირებულებით სისტემას, რომელიც ემყარებოდა ზნეობრივ, ეთიკურ კოდექსებს, ნიჭიერებას, წიგნიერებას, განათლებულობას, კულტუროსნობას. ღირებულებითი სისტემის ამ ელემენტებს დააკისრეს გვარიშვილობის უქონლობის კომპენსირების ფუნქცია. ამ მიმართულებით იმგვარი მონდომება გამოიჩინეს, რომ არც თუ იშვიათად აზროვნების მწვერვალების დაპყრობაც შეძლეს.

ცოდნისადმი ფანატიკური ლტოლვის გამოხატულებად წარმოდგა ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოს მართვის სათავეებში მოქცეული პიროვნება ძალიან სწრაფად ხდებოდა საკუთარი ლეგენდის გმირი, რომელშიც აქცენტირებული იყო მისი პიროვნულობის გამორჩეულობა – გენიოსობამდე აზიდული ნიჭიერება (ამ მხრივ ვითარებას ვერ ცვლიდა ის გარემოება, რომ იშვიათ შემთხვევაში გენიალურობით გამორჩეული ადამიანები რეალურად ხვდებოდნენ ქვეყნის მმართველობის სათავეებში).

აღნიშნულმა ტენდენციამ, როგორც ითქვა, XX საუკუნის 70-იან წლებამდე გასტანა. „ამბოხებული მასის“ ახალმა თაობებმა უკუაგდეს განათლებით გამორჩეულობაზე დამყარებული ელიტარულობის პრინციპი და სტანდარტები. ახალი პრინციპი გახდა სწორედ მასის ღვიძლიშვილობის დემონსტრირება, წიგნიერების, კულტუროსნობის უგულებელყოფა, ოდენ კაპიტალის გაფეტიშება; ყალბი კულტუროსნობის უარგუმენტო დემონსტრირება; საკუთარი სურვილების, ლტოლვა-მისწრაფებების რეალიზების მცდელობა აშკარა, შემტევი აგრესიულობით.

დასკვნა

ამდენად ცხადია, ადამიანები პიროვნების თავისუფლებისა და დემოკრატიზმის ლოზუნგებით საზოგადოებრივი და პოლიტიკური ეკზისტენციალურობის გზას დაადგნენ. ეს გარეგნულად სულიერი და ხორციელი (სხეულებრივი) ურცხვობის ნიადაგზე საკუთარი ეკზისტენციალური სიშიშვილის აგრესიულ (თანაც შეტევით აგრესიის) დემონსტრირებაში გამოიხატება. სიშიშვლე და დასაფარის დაუფარაობის დემონსტრირება დროსა და სივრცეში საკუთარი ადგილის ძიება-მტკიცების ბუნებრივ თვისებად საღდება. ეს გარემოება ადამიანთა ცნობიერებაში ნეოეკზისტენციალიზმის შეჭრისა და მათი ცხოვრების ფილოსოფიურ საფუძვლად გადაქცევას ცხადყოფს. თანამედროვე ადამიანის სულიერ-სხეულებრივი პორტრეტი გახდა სულის, სხეულის სიშიშვლის თავჩენა, საკუთარი „მე“-ს შემტევი აგრესიულობით დემონსტრირება (რაც არა მხოლოდ მეტყველებით ვლინდება, არამედ ჩაცმულობით,

ვარცხნილობით, ტატუირებებით, ეროვნულ მენტალობასთან ხაზგასმული დაშორება-გაუცხოებით).

თავისებურად გაგებული პიროვნების თავისუფლების ფილოსოფია (რომელიც არ სცნობს თავისუფლების პასუხისმგებლობასთან პირდაპირპროპორციულობას) ისეთ საზოგადოებრივ რეალობას ქმნის, სადაც განსაკუთრებული ხდება სამართლებრივი ინსტიტუტების მისია (ფუნქცია, როლი) არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ კაცობრიული ცივილიზაციის წინაშე. სწორედ ნეოეკზისტენციალიზმზე დამყარებული ეს ახალი რეალობა განსაზღვრავს სასამართლო ლინგვისტური ექსპერტიზის, როგორც ცოდნის ახალი დარგის, სტატუსს, როგორც ცივილიზაციის არსებული ფორმის შენარჩუნების საშუალებას, რადგან სხვასთან ერთად, მისი უმთავრესი ამოცანაა ადამიანის ღირსების დაცვის უზრუნველყოფა რთულსა და წინააღმდეგობებით გაჯერებულ თანამედროვეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Абрамцев В. В., Судебно-психологическая экспертиза в уголовном процессе: традиционные подходы и нетрадиционные аспекты, Новгород, 2004;
2. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ 2017 წელი, N47(423), 20-26 დეკემბერი;
3. https://www.rspectr.com/articles/428/bitva-za-pravdu

Регистры проявления агресии и агресивности в современной грузинской журналистике

проф. И. Т. Джагоднишвили
проф. Т. И. Джагоднишвили

Резюме

В работе рассматривается актуальное и очень оздачивающее явление современности – форма утверждения человека в жизненном пространстве и комуникативные модели её реализации - агрессия и агрессивность.

Указывается, что в грузинской публицистике время проникновения скабрезной, пеиоративной лексики и фразеологии приходится на 2016-2017 гг. В настаящее время это явление достигло таких масщтабов, что очевыдним становится необходимость разработки теории и методики выявления, установления и правовой оценки агрессии и агрессивности, которая известна как лингвокриминалистика.

ключевые слова: агрессия, агрессивность, публицистика, лингвокриминалистика.

დავით გურამიშვილის ,,კეფისა“

მურმან თავდიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

,,დავითიანში“ ავტორი უჩვენებს 1720–იანი წლების ქართლის არეულობას, ივერიელთა გადაგვარებას, სარწმუნოების მიტოვებასა და იოლად გამაჰმადიანების ტენდენციას.

ქართველთა მორღვეულობის შესაჩერებლად მეფე და მისი რჩეულნი გულხელდაკრეფილნი როდი ისხდნენ; სხვა ღონისძიებებთან ერთად ხალხს ,,წაუკითხიან ბრძანება, გამოთარგმნილი **კეფისა**“.

წიგნის კომენტატორები ცნებას **კეფისა** ორგვარად განმარტავენ: 1. თავის უკანა მხარე; 2. ხელნაწერი ფურცლის ორივე გვერდი.

ორივე ამ დეფინიციით ტაეპი ბუნდოვანი რჩება.

ყველაფერი ნათელი გახდება, თუ ტერმინში **კეფისა** დავინახავთ დიდ თეოლოგ თომა კემფელს, რომელსაც ეკუთვნის ქრისტიანულ–დამრიგებლობითი წიგნი ,,ქრისტეს მიბაძვა“. ამ ტრაქტატით ავტორი მორწმუნეებს რელიგიის ღრმა რწმენას უნერგავს და პირველმოწამის კვალზე სიარულს ასწავლის.

სწორედ ამგვარი დამოძღვრა სჭირდებოდათ იმხანად ღვთის პირიდან გადავარდნილ ადამიანებს.

ამრიგად, ვახტანგ მეექვსის რჩეულ ადამიანებს უთარგმნიათ თომა კემფელის წიგნი და მის იდეებზე წვრთნიდნენ მორღვეულ ქართველებსო, – მოგვითხრობს პოეტი.

საკვანძო სიტყვები: კეფი, კეფა, ხელნაწერი ფურცელი, კემფელი.

შესავალი

გურამიშვილის ერთ სტროფში ნახსენებია სიტყვა ,,კეფისა“. პირველად ეგ ბუნდოვანი ცნება განმარტეს, როგორც თავის უკანა ნაწილი; მალევე მიხვდნენ, რომ ეს დეფინიცია არ იყო სწორი და შემოგვთავაზეს ახალი – ხელნაწერის ორი გვერდი.

არც ერთია მართებული და არც – მეორე. აქ უფრო ღრმა საიდუმლოა ჩამარხული და იგი ეხება ეროვნული მრწამსის, იდეოლოგიის, აღმსარებლობისა და კულტურული იდენტობის საკითხებს.

ძირითადი ნაწილი

,,დავითიანის“ ქვეთავში – ,,ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთან შეორგულება“ ვკითხულობთ ერთ ფრიად საინტერესო სტროფს:

,,ასწავლიდიან რჩეულნი თავიანთ ქვეყნის მეფისა,
წაუკითხიან ბრძანება გამოთარგმნილი **კეფისა**:
იქმენით ხარკის მომცემნი, აღმსრულებელნი სეფისა.
მოვიდა დიდი ძვირობა, დრო წახდა სიიეფისა“ (2, 72)

აღნიშნულ სტროფში საკამათოა სიტყვა ,,კეფისას“ აქამდე არსებული კომენტარები. საზოგადოდ კი ,,კეფისა“ სხვადასხვა გამოცემაში სხვადასხვა-ნაირად არის განმარტებული. ასე, მაგალითად, ,,დავითიანის“ 1931 წლის გამოცემის ლექსიკონი გვიხსნის: ,,კეფა – კემხა, თავის უკანა ნაწილი“. ეს განმარტება სათავეს უნდა იღებდეს მ. ნასიძის მიერ გამოცემული გურამიშვილის თხზულებათა კომენტარებიდან: ,,კეფა – თავის უკანა ნაწილი“ (3, 39). შემდგომ გამოცემებში ეს აშკარად მცდარი წაკითხვა უარუყვიათ და სულხან–საბა ორბელიანის ლექსიკონზე დაყრდნობით უცდიათ მისი ახსნა: ,,კეფი – ,,წერილთა ფურცელსა ეწოდების“ (საბა), ორი გვერდი“ (4, 11).

ამ ბოლო განმარტებას უჭერენ მხარს ბოლოდროინდელი გამოცემები; მაგრამ აღნიშნულ კონტექსტში სიტყვის ამგვარი გაშინაარსებაც ეჭვს იწვევს. ჯერ ერთი, გაუგებარი რჩება, თუ რა ბრძანებაზეა საუბარი, რომელიც კეფის (ნაწერი გვერდების) ,,გამოთარგმნილი“ ყოფილა და, მეორეც, საეჭვოა იმდენად, რამდენადაც ქვეთავი ,,ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთან შეორგულება“ ეხება ქართველობის მიერ ღვთისა და ქრისტიანული რელიგიის მივიწყებას, ქრისტიანული წეს–რიგის დარღვევას, და ამის გამო ღვთის მიერ ჩვენი თანამემამულეების შერისხვას. ერთი სიტყვით, აქ გატარებულია ღრმა რელიგიური თვალსაზრისი. ხომ კარგად არის ცნობილი, რომ გურამიშვილი აშკარად რელიგიურად განწყობილი პოეტია და მისი მსოფლშეგრძნება ქრისტიანულ იდეოლოგიაზეა დაფუძნებული. ალ. ბარამიძე აღნიშნავს: ,,მონღოლური პერიოდის ისტორიკოსი ქვეყნის კატასტროფის ფაქტს ღვთის ბუნებრივი რისხვითა ხსნის, რამდენადაც ულმობელი ხვედრი აუცილებელია ,,უძღებებითა“ და ,,უსჯულოებით“ შეპყრობილი ხალხის დასასჯელადო“ (1, 15). ჯერ კიდევ 1887 წელს მ. ნასიძემ შენიშნა: გურამიშვილი ,,მშვენიერს ლექსში ,,სიტყვა ესე ღვთისა“ ეხვეწება ქართველთ, შეუდგნენ ქრისტეს და ნუ დაივიწყებენ მისს მცნებას“. ვ. დონდუა იზიარებს და აღრმავებს ამ აზრს: ,,გურამიშვილი ბაძავს შუასაუკუნეობრივი ტრადიციის მიმდევარ მემატიანეებს ,,მიზეზთა მიზეზის“ ძიებაში: ყველა ეს ,,მკალი“ და სეტყვა ,,ჭირი“ თითქოს ყოფილიყოს ღმერთის ,,პასუხი“ ხალხის ,,შეცოდებაზე“ (5, 22).

მართლაც, პოეტი მკაცრად მისდევს ამ რელიგიურ–მისტიკურ კონცეფციას:

დავითის ძედ თქმულ იესო ქრისტეს მცნებასა და რჯულს მორჩილებდნენ ქართველნი: ,,მას მორჩილებდნენ ქართველნი, ვით წესი იყო მონისა“, მაგრამ ,,შესცდნენ მის გზითა, რა ცოდვის ბურმან მონისა“ (იგულისხმება მონისლა). ამის გამო ,,ჩაცვივდნენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა“.

დაივიწყეს ღვთის ურიცხვი მოწყალება, ზოგს ,,შეუხდა ეშმაკის მანქანებანი“ და ,,დამუსრეს ფსალმუნთ ებანი“. ასე და ამგვარად, გაბოროტებულმა ადამიანებმა ,,უარყვეს“ მცნება უფლისა, ისმინეს თქმა ეშმაკისა, რაც თესეს, ბოლო მოიმკეს თავიანთ ნამუშაკისა“.

ღვთისმშობელიც ასევე მოუწოდებდა განმდგარ ერს, იწამეთ ის, ვინც ციდან გვაწვიმა მანანაო. მაინც ,,არ დაიჯერეს“, ,,არა ქნეს სარწმუნო დასაჯერები“. ამან დაათახსირა ისინი, დარყვნა, დააქსუა. იესოს ყმობას თავი დაანებეს და გათათრდნენ: ,,ყმად წაუვიდნენ ისასა, იქმნენ მამადის ქოლანი“. მიქელ თამარაშვილი სწორედ ამ პერიოდის შესახებ წერს: სპარსელებმა ,,თავიანთის გახრწნილებით და ურწმუნოებით ქართველს შეურყიეს ძველი დროიდან გულში ღრმად ჩანერგილი ქრისტეს სარწმუნოება... ქართველი თავის თავად ჰსტოვებდა ქრისტიანობას და გადადიოდა მაჰმადიანობაზე“ (7, 30). რა ეს ცნა უფალმან, ,,ბრძანა აღება ხელისა, რისხვით გაშვება მის თემთა, გარდახდა საფარველისა“.

ამის შემდეგ პოეტი აღწერს ,,საწყაულის მოწყვას ღვთისაგან“: ,,აღმოსავლეთ მტერი აღძრა, მოუწოდა კვლავ სამხრეთსა...“

ეჭვი არ არის, რომ ამგვარ კონტექსტში ,,თავიანთ ქვეყნის მეფის“ (ვახტანგ მეექვსის) ,,რჩეულნი“ რაღაცას იღონებდნენ, კერძოდ, ,,წაუკითხიან ბრძანება გამოთარგმნილი კეფისა“. ოღონდ ვიმეორებ: საეჭვოა კეფისას აქამდე არსებული ყოველნაირი განმარტება. ,,კეფის“ განმარტებანი რომ ვერ იყო დამაჯერებელი და დამაკმაყოფილებელი, ეს ჯერ კიდევ ვ. დონდუამ იგრძნო. მკვლევარი წერდა: პოეტი ,,აღნიშნავს ზოგ–ზოგ საგულისხმო ფაქტს. კერძოდ, ,,ქართლის ჭირში“ მან გამოაჩინა მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ,,რჩეულნი“, ისინი, ავტორის სიტყვით, ხელმძღვანელობდნენ რაღაც ,,ბრძანებით“, საიდანღაც ნათარგმნით, და მის საფუძველზე მოსახლეობას გადასახადების გაღებას ავალებდნენ“ (ვ. დონდუა, დას. ნაშრომი, გვ. 22). შემდეგ მკვლევარი უფრო შორსაც მიდის: ,,შეწყდა გადასახადების, გურამიშვილის გამოთქმით – ,,ხარკის“ დენა ხელისუფლების სასარგებლოდ, საეკლესიო და სამეფო სალაროებში. საქმეში, რა თქმა უნდა, ჩაერივნენ მეფის ,,რჩეულნი“, რომელთაც ერთად უნდა დაიცვან ურთიერთ მოგვარტომე ქრისტესა და მეფის ინტერესები. ამ საერთო ინტერესებს ასახავს გურამიშვილი გამოთქმით, ,,ბრძანება გამოთარგმნილი კეფისა“, უბრალოდ – წიგნი (,,კეფი“ – სიტყვასიტყვით, ფურცელი), უცხო ენით ქართულზე თარგმნილი, სადაც ვითომც წერებულიყოს: ,,იქმენით ხარკის მიმცემნი, აღმსრულებელნი სეფისა“. ეს გამოძახილია სახარებისა და იქ გამოხატული საეკლესიო დევიზისა: ,,მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმერთისა ღმერთსა“ (იქვე გვ. 44).

მთელი ეს მსჯელობა ღრმად საგულისხმოა და სიმართლეს დიდად მიახლოებულიც, ოღონდ მკვლევარს უფრო დამაჯერებელი შეეძლო გაეხადა

იგი, მელექსიკონეთა შრომების გავლენაში რომ არ მოქცეულიყო. ვ. დონდუა ზემოციტირებულ ნაწყვეტში წერს: ,,კეფი – სიტყვასიტყვით ფურცელიო“.

ჩემი აზრით, კეფისა არც კეფას აღნიშნავს და არც ნაწერ გვერდებს. ეს არის შუა საუკუნეების მოაზროვნე კათოლიკე თეოლოგის, ცნობილი საეკლესიო მოღვაწის თომას კემფელის (თომას კემპენელი) გვარი.

მაგრამ რა შუაშია აქ კემფელი?

თომას კემპენელს (ხამერკენს, 1380–1471) ეკუთვნის რამდენიმე რელიგიური ტრაქტატი. ყველაზე პოპულარული კი მათ შორის გახდა ლათინურ ენაზე დაწერილი ,,ქრისტეს მიბაძვა“.

ნაშრომის იდეა არის ასკეტიზმი, განდგომა, ზნეობრივი თვითსრულქმნა; ქრისტიანული რელიგიის ქება–დიდება და გზათა დასახვა პიროვნებაში ქრისტიანული სულისკვეთებისა და მორალის გასაძლიერებლად.

ბუნებრივია, ქრისტეს მცნების დამვიწყებელ ქართველებს მეფის ,,რჩეულნი“ გადმოუთარგმნიდნენ და წაუკითხავდნენ კემფელის ,,ქრისტეს მიბაძვას“, რითაც ქრისტიანული რჯულისა და რელიგიის რღვევის პროცესის შეჩერებას მოიწადინებდნენ, მაგრამ, როგორცა ჩანს, არც ამას უშველია საქმისათვის და აი, ზენაარმა დასაჯა განმდგარი ერი.

ოღონდ აქ დაისმის რამდენიმე კითხვა, რომელთა გადაუჭრელადაც, რა თქმა უნდა, საერთოდ გაჭირდებოდა კეფისაში უთუმცაოდ და გადაწყვეტილად დაგვენახა თომა კემფელი და კიდევ მეტი – მისი ,,ქრისტეს თანადგომა“.

1. არსებობდა თუ არა ,,ქართლის ჭირის“ პერიოდში კათოლიკე მოღვაწის ცნობილი ტრაქტატის ,,ქრისტეს მიბაძვის“ გადმოთარგმნის სათანადო საფუძველი, მოთხოვნილება და, ბოლოს, თვითონ თარგმანი?

2. შეიძლებოდა თუ არა, დავით გურამიშვილს აღიარებული კათოლიკე–მოაზროვნის ნაშრომი ეხსენებინა?

3. შეიძლება თუ არა, ფორმა **კემფელი** ნათესაობით ბრუნვაში გადაქცეულიყო ფორმად კეფისა?

4. და ბოლოს, შეიძლება თუ არა, ავტორის გვარი კეფისა გულისხმობდეს ამ კათოლიკე ბერის მრავალი ნაშრომიდან მაინცდამაინც ,,ქრისტეს მიბაძვას“?

ა) კათოლიკობის ისტორია საქართველოში შორეული წარსულიდან იწყება. კათოლიციზმს ზოგჯერ აღიარებდნენ ქართველნი, ზოგჯერ კი სიმპათიებით იყვნენ მისდამი განმსჭვალულნი. ამის თაობაზე უხვ მასალას გვაწვდის მ. თამარაშვილის ცნობილი წიგნი. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 1666 წელს რომში, პაპის პირადი მეთვალყურეობითა და მზრუნველობით მოსილ სპეციალურ კოლეგიაში, ,,პროპაგანდა ფიდეს“ სახელით რომ არის ცნობილი, ქართველნი აგზავნიან ორ ყმაწვილს. იგივე ხდება 1702 და 1723 წლებშიც (მ. თამარაშვილის ნაშრომი, გვ. 231, 305, 342).

კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა ფართოდ გაიშალა ვახტანგ მეექვსი-

სა და სულხან–საბა ორბელიანის დროს. კლიმენტე XI სთხოვს ვახტანგს, გაკათოლიკდეს და ჰპირდება შეწევნასა და დახმარებას, ხოლო საბა ორბელიანი გაკათოლიკდა ჯერ კიდევ 1687 წელს (იქვე, გვ. 327, 321). სულხანის მიერ აღზრდილი ვახტანგი დიდ სიმპათიებს იჩენდა კათოლიკეთა მიმართ. იგი, თურმე, ხშირად ,,თავის უბედურებას აწერს იმას, რომ აქამდე შეაყოვნა კათოლიკობის მიღება. მეფე, ამას გარდა, ფიქრობს, ყოველი დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს“ (იქვე, გვ. 321).

მაჰმადიანურ ზღვაშემორტყმული ვახტანგი ევროპაში ეძიებდა დამხმარეს. ასეთად კი მას ვატიკანი და საფრანგეთი ესახებოდა. ამ ვითარებაში კათოლიკეებისადმი სიმპათიები სავსებით მისაღებია. იგი შეადგენდა ვახტანგის პოლიტიკური ორიენტაციის ერთ–ერთ მომენტსაც. ამიტომაც სავსებით გასაგებია, რომ ,,ვახტანგმა კათოლიკე სარწმუნოება მიიღო, მტკიცედ დაიცვა და რუსეთს წასული, კათოლიკედ მიიცვალა“ (იქვე, გვ. 341). თვითონ სულხანი კი ,,პროპაგანდა ფიდეში“ აგზავნის ქართველ ყმაწვილებს და, რაც დიდად საგულისხმოა, ერთ–ერთი მათგანია გორელი დავით ტულუკაშვილი, სწორედ ის პიროვნება, ვინც თომა კემფელის ტრაქტატი ,,ქრისტეს მიბაძვა“ რომშივე თარგმნა 1734 წლამდე (იგი 1734 წელს გარდაიცვალა). აქ საყურადღებოა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება – სულხან ორბელიანის მიერ ,,პროპაგანდა ფიდეში“ წარგზავნილი ყმაწვილი იმთავითვე შესდგომია მთარგმნელობით მოღვაწეობას და სხვა სამისიონერო–კათოლიკური ნაშრომებიც უთარგმნია ქართველთათვის. თომა კემფელის ტრაქტატს კი თვითონვე აწერს ზედ: ითარგმნა ,,ბრძანებითა უფროსთაითაო“. ამ უფროსებში უნდა იგულისხმებოდნენ რომიდან კოლეგიის მესვეურნი და საქართველოდან – ,,მეფის რჩეულნი“, რომელთაც გურამიშვილიც მკაფიოდ ახსენებს: ,,ასწავლიდიან რჩეულნი თავიანთ ქვეყნის მეფისაო“.

ეს რომ ასეც უნდა ყოფილიყო, ამას ამტკიცებს იმ დროის რეალური ვითარება. მ.თამარაშვილი ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით წერს, რომ აღნიშნულ პერიოდში კათოლიკე სარწმუნოებამ ვერ იქონია უწინდელივით ძალა და ვერ მოახერხა საქართველო რომისათვის შეერთებინა. ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ შეერთებისათვის მოწადინებულნი არა მარტო ლათინის მოძღვრები იყვნენ, არამედ საქართველოს თვით უწარჩინებულესნი პირნიც“ (7, 302).

იმ ვითარებაში, როდესაც ქართლში ყველაფერი აირია, გახშირდა ადამიანთა დატყვევება–გაყიდვა, რჯულის დაგდება და სხვა ამგვარი, მეფე და მისი ,,რჩეულნი“ ბევრს მეცადინეობენ. ამგვარ საშუალებათა შორის უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო სხვა ქრისტიანულ წიგნებთან ერთად ,,ქრისტეს მიბაძვის“ თარგმნა, მით უფრო, რომ კემფელის ამ ტრაქტატში ყველაზე უფრო სრულყოფილად არის მოცემული ის წესები, რაც აუცილებელია ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად. საგულისხმოა დავით ტულუკაშვილის მიერ თარგმნილი ამ თხზულების სათაურის ქვეშ არსებული

მინაწერი: ,,სახმარნი ტუქსვანი სულიერი ცხოვრებისათვის“. ამგვარი ,,ტუქსვანი“, ეჭვი არ არის, გურამიშვილისდროინდელ ქართლში დიდად საჭირო იქნებოდა, მით უფრო, რომ მასში ,,არს ყოველი ჭეშმარიტი საქრისტიანო ფილოსოფია“, ხოლო წიგნის უმთავრესი პათოსია: ,,რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელს“ (იოანე 8, 12).

როგორც უკვე ითქვა, 1730–იანი წლებისათვის ქართულად ,,ქრისტეს თანადგომის“ რამდენიმე ეგზემპლარი მოგვეპოვება. ცნობილია, რომ გურამიშვილმა ქართლი დატოვა 1726–1729 წლებში. მაშასადამე, თხზულების თარგმანი უდნა ყოფილიყო 1726–1729 წლებშიც. მართლაც, პატრი ანსელმო მღებრიშვილი, რომელმაც მოგვიანებით თვითონაც თარგმნა ,,ქრისტეს მიბაძვა“ და 1889–1890 წლებში გამოსცა, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღნიშნული თხზულება მანამდე რამდენიმე კაცმა თარგმნაო: ,,მართალია, ზოგიერთ პატივცემულ და შრომის მოყვარე პირთა წინათაც უცდიათ ამ წიგნის გადმოღება ქართულად...“ (8, 1).

ამრიგად, ,,ქართლის ჭირის“ პერიოდში, კერძოდ, 1720–1740–იან წლებში, ჩვენში ,,ქრისტეს მიბაძვის“ რამდენიმე თუ არა, ერთი თარგმანი ან თხზულების ცალკეულ ადგილთა ,,გამოთარგმანებანი“ უსათუოდ არსებობდა. ამაზე, ალბათ, ისიც მეტყველებს, რომ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცულია თხზულების რამდენიმე (8) ხელნაწერი.

ბ) ამრიგად, როგორც სულხან–საბა, ისე ვახტანგ მეექვსე კათოლიკეები გახლდნენ და კათოლიციზმისადმი დიდ სიმპათიებს ავლენდნენ. მეტიც, კათოლიციზმი მათი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. ამიტომაც ვახტანგის ამალა, საფიქრებელია, სწორედ ამ პოლიტიკურ–აღმსარებლობითი ორიენტაციის ხალხით უნდა ყოფილიყო სავსე. და, რაკი ვიცით, რომ დავით გურამიშვილი ვახტანგმა პატივით მიიღო და ჯაბადარბაშობაც უბოძა რუსეთში, გამორიცხული სრულიადაც არ არის მისი კათოლიკობასთან სიახლოვე, ამის მსგავსი მაგალითი ჩვენ მოგვიანებითაც გვაქვს. კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილიც არ იყო გულგრილი კათოლიციზმის მიმართ. იგი წერს ნაშრომს ,,პაპის შესახებ“ (,,ო ვოზვიშენიი ,,პაპიზმა“ და ,,ო პადენიი ეგო“). აღნიშნულ აწ უკვე დაკარგულ ნაშრომში ბარათაშვილს გამოყენებული უნდა ჰქონოდა ჟოზეფ დე მესტრის კათოლიკური ნაშრომები. ბარემ აქვე ვთქვათ, კათოლიკური იდეების მატარებელი წიგნები უცხო არ ყოფილა ალ. ჭავჭავაძის სახლობისთვისაც.

ალ. ჭავჭავაძის შვილის დავითის სახლობა რომ 1854 წელს შამილმა გაიტაცა, ტყვეობაში ჩავარდა გუვერნანტი ქალი მადამ დრანსე. ფრანგ კათოლიკე მასწავლებელს თბილისიდან რამდენიმე წიგნი გაუგზავნეს. ყველა ეს წიგნი კათოლიკური ეკლესიის ძეგლებია. ესენია: შატობრიანის ,,ქრისტიანობის სული“, ,,ღმერთი არს სიყვარული“ (ავტორი ვერ დავადგინე) და თომა კემფელის ,,ქრისტეს მიბაძვა“. მადამ დრანსე წერს:

,,ბარონმა ნიკოლაიმ გამომიგზავნა წიგნი სათაურით – ,,ქრისტეს მიბაძვა“. საბედნიეროდ, იგი ფრანგულ ენაზე იყო დაწერილი და მისი მიხედვით შემეძლო სალომესა და მარიასათვის კითხვა მესწავლებინა, მაგრამ, ამ სიკეთის გარდა, იგი ჩვენთვის ძვირფასი იყო სხვა მხრივაც. ყოველდღიურად ვკითხულობდით წიგნის რამდენიმე თავს და ვსწავლობდით იმ მოთმინებას, რითაც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა უნდა ზიდოს თავისი ჯვარი“ (6, 109).

ყოველივე ამის გამო ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავთ, რომ დავით გურამიშვილს არ შეძლებოდა ,,ქრისტეს მიბაძვის“ წაკითხვა, გაგება და ხსენება.

გ) შეიძლება თუ არა, ფორმა კემფელი ნათესაობით ბრუნვაში იქცეს ფორმად კეფისა? დიახ, შეიძლება და განსაკუთრებით იოლად პოეზიაში, როცა ადვილად დასაშვებია ე.წ. პოეტური ლიცენცია, პოეტური თავისუფლება. ხოლო სავსებით ადვილად გასაგები ხდება ამგვარი მეტამორფოზა სარითმო სიტყვაში.

უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნავ, რომ თომა კემფელს ქართულად ყოველთვის ერთნაირად არ წარმოთქვამდნენ და წერდნენ. მაგალითად, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ხელნაწერ წიგნში (Q-493) კემფელი გადაქცეულა კენთელად. იქვე, სხვა ადგილას ვკითხულობთ კემთელს.

მეორეც, ზოგჯერ ქართულს ახასიათებს –ელ სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსის კარგვა ნათესაობით ბრუნვაში. გვაქვს კახელი, მაგრამ ვამბობთ პატარა კახისა და არა კახელისა.

მესამეც, კემფელი ნათესაობითში რომ ჩავაყენოთ, მას ისედაც დაეკარგება –ელ მაწარმოებელი: კემფელისა – კემფლისა. აქ ნარნარა ,,ლ“ ისეთ ფონეტიკურ პოზიციაშია, სადაც, ჩვეულებრივ, იკარგვის: კემფლისა – კემფისა. ოღონდ ფონეტიკური თვალსაზრისით არ იკარგება ,,მ“. მაშ, საიდანღაა ან რატომაა გურამიშვილთან დაკარგული ,,მ“ თანხმოვანიც? ,,მ“ თანხმოვნის დაკარგვა მიეწერება პოეტურ თავისუფლებას. მივაქციოთ ყურადღება სარითმავ კლაუზულებს: მეფისა – სეფისა – სიიეფისა – კეფისა. სარითმო კლაუზულა პირველ სამ სიტყვაში არის **ეფისა.** ბუნებრივია, ზუსტი რითმების მიმდევარი პოეტი ემფისა–ში ხელოვნურად კარგავს ,,მ“ ბგერას და ღებულობს სუფთა კლაუზულას **ეფისა.**

არის თუ არა ამგვარი თავისებურება დამახასიათებელი გურამიშვილისათვის? არის და ეგ გარემოება თვით კ. კეკელიძესაც შეუმჩნევია (იხ. მისი ეტიუდები, IV, გვ. 173). ერთგან **მონისლა** სიტყვის მაგიერ გურამიშვილი ხმარობს სიტყვას **მონისა:**

,,მას მორჩილებდენ ქართველნი, ვით წესი იყო მონისა,
უმისოდ ჭირად მიაჩნდათ ცხოვრება სიამოვნისა,
მაგრამ კვლავ შესცდენ მის გზითა, რა ცოდვის ბურმან მონისა.
ჩაცვივდენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა“.
(იხ. ,,დავითიანის“ 145–ე სტროფი).

ამგვარად, ფონეტიკურ–გრამატიკულად, აგრეთვე პოეტური თავისუფლების თვალსაზრისით, სრულიად ბუნებრივია **კემფელი** ნათესაობითში იქცეს საძიებელ ფორმად **კეფისა.**

დ) რამდენად არის შესაძლებელი, ავტორის გვარი კეფისა, გულისხმობდეს თომას კემფელის მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან მაინცდამაინც ,,ქრისტეს მიბაძვას"?

ირკვევა, რომ ძველად მთელს მსოფლიოში თომა კემფელის სახელი თავისთავად გულისხმობდა ,,ქრისტეს მიბაძვას", ხოლო ,,ქრისტეს მიბაძვა" – თომა კემფელს. ცნობილია, რომ ამ კათოლიკე პატრს სახელი და დიდება სწორედ ამ თეოლოგიურმა შედევრმა მოუტანა. აი, ამის მკაფიოდ დამამტკიცებელი საბუთიც. ხელნაწერ Q-541–ში ვკითხულობთ: ,,წმინდა იგნატიოსმა დაავედრა... ბერებსა თავ თავის სენაკში თითო თომა კემფელი იქონიონ" (იხ.Q-541, გვ. 9).

ეჭვი არ არის, ,,თომა კემფელში" იგულისხმება ,,ქრისტეს მიბაძვა".

ზოგჯერ, თურმე, საჭიროც არ ყოფილა იმის ახსნა–განმარტება, თუ თომა კემფელის რა წიგნი იგულისხმებოდა ამ პატრის სახელის მიღმა. უფრო მეტიც, ზოგიერთი ქრისტიანი მოღვაწე, თურმე, წიგნს მხოლოდ თომა კემფელის ,,ქრისტეს მიბაძვას" ეძახდა, იმდენად დიდი ყოფილა თხზულების ავტორიტეტი და პოპულარობა. აი, ამის უტყუარი საბუთიც: ,,აწ ერთს დიდ იეპისკოპოზს იმთონად მიაჩნდა ეს წიგნი, რომ რამდენჯერაც ეტყოდა თავის მოსამსახურეებს, რომ ეს წიგნი მოეტანათ საკითხავად, სახელს არ ეტყოდა თუ წადი თომა კემფელი მამიტანეთ, მაგრამ ეტყოდა: მომეც წიგნი – ფიცხლავ მოსამსახურენი შეიტყობდნენ, რომ თომა კემფელი უნდა" (იხ.Q-488, გვ. 8–9).

ყველაფერი ეს ნებას გვაძლევს **დავასკვნათ:**

დავით გურამიშვილი საეკლესიო–სარწმუნოებრივი იდეოლოგიის დანერგვის საქმეში არ ჩამოუვარდება არც ერთ საეკლესიო მწერალს; იგი, როგორც ეპოქის მემატიანე, აღწერს და აღნუსხავს აგრეთვე მეფის იმ ,,რჩეულთა" საქმიანობას, რომლებიც ხალხში ქრისტიანული დოგმებისა და მცნებების ჩაგონება–განმტკიცებას ლამობდნენ და ამ მიზნით ცდილობდნენ თომა კემფელის დიდად პოპულარული ნაშრომის, სულიერი ტუქსვის მიზნით სახმარი წიგნის ,,ქრისტეს მიბაძვის" გამოყენებასაც.

ლიტერატურა:

1. ბარამიძე ალექსანდრე, დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბილისი, 1931.
2. გურამიშვილი დავით, დავითიანი, ქართული მწერლობა, 7, თბ., 1989.
3. გურამიშვილი დავით, დავითიანი, მ. ნასიძის გამოცემა, თბ., 1889.

4. გურამიშვილი დავით, დავითიანი, თბ., 1955.
5. დონდუა ვარლამ, გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, თბ., 1959.
6. დრანსეანა, შამილის ტყვექალები, თარგმნა და სამეცნიერო კომენტარებით აღჭურვა მ. თავდიშვილმა, თბ., 1978.
7. თამარაშვილი მიქელ, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.
8. კემფელი თომა, მიბაძვა ქრისტესი, გორი, 1889.
9. ხელნაწერი Q–235, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა.
10. ხელნაწერი Q–541, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა.
11. ხელნაწერი Q–513, იქვე.

Davit Guramishvili "Kepisa"

MurmanTavdishvili, professor,
Georgian Technical University

Summary

In "Davitiani" the author shows the disorders of Kartli in the 1720s,degradation of Iverians, tendency of leaving Christianity and converting to Islam.

To suspend Georgians behavior the king and his outstanding people made their best, and with other measures, they also "read an order, translated from Kepisa".

The commentators of the book explain the concept "Kepisa" in two different ways: 1. Back of head(Occiput);2. Both side of manuscript sheet.

With this definition, the line of verse remains unclear.

Everything will be clear, if we consider a word Kepisa as a great theologian Thomas A kempis, who wrote the Christian-pastoral book "Imitation of Christ". Due to this treatise, the author emphasized to believers for more faith and encouraged them to live like the first martyrs.

That is what people of this eraneeded.

Therefore, Thomas A Kempis's book was translated by Vakhtang the sixth's feature people and Georgian were trained in accordance of his ideas, - tells us the poet.

Key words: Kepi, Kepa, manuscript sheet, Kempis.

„ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ რუსები“

მამუკა შელეგია, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია გალაკტიონის „თოვლი“ („ხეები თოვლით დაფენილია...“), დიდი გულისტკივილით დაწერილი ნაწარმოები, რომელშიც პოეტი დაუფარავად ამბობს: „ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ რუსები,/ მაგრამ კვლავ გაჩნდა მათი მინდორი,/ მათი თოვლები და ბურუსები.“ აშკარად არის მინიშნება, თუ ვისი მინდორი (საფრთხე) და ბურუსები გაჩნდა კვლავ. რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ ეთნიკურ განსხვავებაზე როდია საუბარი, არამედ ნათლად ჩანს გალაკტიონის დამოკიდებულება რეჟიმისადმი. რასაკვირველია, ცენზურისათვის „საბ-ჭოთა ორდენოსანი“ პოეტის ეს განწყობა მიუღებელი იყო. ხელისუფ-ლებამ ქართველ მკითხველთა რამდენიმე თაობას დაუმალა გალაკტიონის ჭეშმარიტი დამოკიდებულება, ის, რაც 1927 წელს გაიპარა, არ უნდა გამეორებულიყო და ამიტომაც, ლექსი შემდგომ გამოცემებში დაჩეხეს, გული ამოაცალეს - გააქრეს სტრიქონები, რომლებიც ნაწარმოების დედა-აზრს გამოხატავდა.

შესავალი

სტატიის სათაური გალაკტიონის ლექსიდანაა („თოვლი“). ქართველი მკითხველი ამ სახელწოდებით გალაკტიონის ორ ლექსს იცნობს. ერთია ქრესტომათიული, 1916 წლით დათარიღებული („მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის...), მეორე კი ნაკლებად ცნობილი („ხეები თოვლით დაფენილია...), რომელიც პირველად 1927 წელს დაიბეჭდა ე. წ. „ზარნიშიან წიგნში“ (1, გვ. 138).

სიტყვა “თოვლი“ მკითხველში მარტოობის, შორეულისა თუ მიუსაფ-რობის ასოციაციასაც იწვევს. ამაში არცთუ მცირე წვლილი გალაკტიონსაც მიუძღვის. სახეობრივ კომპლექსს, რომლის ძირითად, აქტიურ ნაწილს ეს სიტყვა წარმოადგენს, მის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. „თოვლი“ პოეტის ერთ-ერთი რთული და გამორჩეული სიმბოლოა, რომელიც ფრაზეოლოგიურ კონტექსტში სხვადასხვა ნიუანსს ამჟღავნებს. საერთოდ, სიმბოლოს ხასიათი და მასთან დაკავშირებული სიტყვიერი ასოციაციები პოეტური იდეოლექტის არსებითი შტრიხია, რადგან, სიმბოლო მნიშვნელოვანწილად წარმოდგენას გვაძლევს ავტორის მიერ კონსტრუირებულ პოეტურ სამყაროზე.

ძირითადი ნაწილი

პოეტის ენის ლექსიკონში (თ. სანიკიძე) (2, გვ. 680) ამ სიტყვის

სხვადასხვაგვარი სტრუქტურაა დაფიქსირებული - დაწყებული „თოვს“ და „თოვლჭყაპით“ დამთავრებული (სულ 297). უმეტეს შემთხვევაში, მათ პოეტი პირდაპირი მნიშვნელობით იყენებს. აღებულია ამ ლექსიკური ერთეულით გამოხატული ძირითადი ნიშნები (თეთრი, სპეტაკი, ფაფუკი...), ზოგჯერ კი მათ სიმბოლური დატვირთვა აქვთ. გალაკტიონთან „თოვლი“ და მისი კონცეპტუალური სინონიმები გვხვდებიან როგორც საგნობრივი, ისე სახეობრივი შედარებისას. ეს სემანტიკური ერთეულები სხვადასხვა განწყობას ამჟღავნებენ და ნაირგვარი კომპონენტებით წარმოჩნდებიან: წყნარი, ნათელი, იისფერი, მღვრიე, ცივი და სხვ.: „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის...“, „სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა...“, „გაჰქრნენ ტახტები ვით მღვრიე თოვლი...“, „რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“, „თოვლის ფერია უსივრცობა და გაოცება“… გალაკტიონის პოეზიაში, ამ ლექსიკურ ერთეულზე საუბრისას, ყურადსაღებია ქართულ სამევნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება: „ ანალოგიის პრინციპს, რაც გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში პარალელიზმის ფორმით ვლინდება, თანდათან გაიგივება შეენაცვლა: სულიერი რეალობა ბუნების მოვლენებით (ქარი, წვიმა, თოვლი...) დაიშიფრა და ეს ხერხი ცნობიერების შინაარსის გადმოცემის ერთერთ ძირითად პრინციპად იქცა (თ. დოიაშვილი) (3, გვ. 321).

ავტორმა ლექსი „თოვლი“ („ხეები თოვლით დაფენილია...“) „ზარნიშიან წიგნში“ ერთ ციკლში მოაქცია ისეთ ნაწარმოებებთან, როგორიცაა „მე და ღამე“, „უსიყვარულოდ“, რომელი საათია?“, „ატმის ყვავილები“, „მოვა მაგრამ როდის?..“ „თოვლი“ 1927 წლის კრებულში უთარიღოდ დაიბეჭდა. გალაკტიონის თორმეტტომეულსა (4, გვ. 237) და საარქივო ოცდახუთწიგნეულში (5, გვ. 185) [1927] წლამდე შექმნილად მიიჩნიეს, ახალ, აკადემიურ თხუთმეტტომეულში კი აღნიშნულია: „თოვლი“ სავარაუდოდ ეხმაურება გმირულად დაღუპული ქართველი იუნკრების დაკრძალვას (1921 წ. 7 მარტი), ლექსიც პირობითად, ამის მიხედვით დათარიღდა.“ (6, გვ. 311). ვ. ჯავახაძემ გაარკვია, რომ ამ წიგნში შესული ლექსები 1908-1925 წლებშია შექმნილი, ანუ, „თოვლი“ პოეტის ე. წ. სიმბოლისტური პერიოდის (1915-1925) ნაწარმოებებთან თავსდება. (7, გვ. 705). სამეცნიერო ლიტერატურაში სიმბოლო კარგად არის შესწავლილი, ვრცლად მასზე საუბრის არც დრო და არც საჭიროებაა, ამიტომაც მას მოკლედ შევეხებით. უძველესი დროიდან ადამიანს თან ახლავს სიმბოლო, რომლის მეშვეობითაც ის ცდილობდა და დღესაც ცდილობს თავისი აზრი და იდეები ცხადი და გასაგები გახადოს. სიმბოლო ტროპის გამორჩეული სახეობაა და მას მწერლობასა და ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი შემოქმედებითი გააზრების ისტორია ისეთივე ძველია, როგორც ადამიანური ცნობიერება, თუმცა სიმბოლოს ფილოსოფიურ-ესთეტიკური გაგება კაცობრიობის კულტურული განვითარების შედარებით გვიან პერიოდს მიეკუთვნება, რომელიც სხვადასხვა

ეპოქაში ფერს იცვლიდა. მაგალითად, მითისაგან მან მემკვიდრეობით მიიღო სოციალური და კომუნიკაციური ფუნქციები. დიონისო არიოპაგელთან კი ყოველივე ხილული მიჩნეულია ღმერთის , როგორც უხილავი, იდუმალი და განუსაზღვრელი არსების სიმბოლო. ფრიდრიხ შლეგელისათვის პოეტური შემოქმედება მარადიულ სიმბოლიზაციაა. მეოცე საუკუნეში სცადეს სიმბოლო ეზოთერიზმისაგან გაეთავისუფლებინათ - ერნსტ კასირერმა სიმბოლოს საზღვრები გააფართოვა, ჩათვალა, რომ ადამიანი ცოცხალი სიმბოლოა, ენა, მითი, რელიგია და მეცნიერება სიმბოლური ფორმის არსია, რომლის მეშვეობითაც ადამიანი თავის ირგვლივ არსებულ ქაოსს აწესრიგებს. კარლ იუნგმა კი ადამიანური სიმბოლიკის მთელი სიმდიდრე განმარტა, როგორც ქვეცნობიერის მყარი ფიგურების (არქეტიპების) გამოვლენა. (8, გვ, 830), რაც შეეხება გალაკტიონს, მას მიაჩნდა, რომ „ესხილედან დაწყებული საერთოდ ლიტერატურა სიმბოლური იყო, სიმბოლურია ეხლაც, თვითონ ხალხიც კი სიმბოლურობით სახავს თავის გაჭირვებას.“

ცნობილი გამონათქვამი: „წაიკითხო ტექსტი - ნიშნავს გაიგო ის“, მკითხველსაგან მოითხოვს ცალკეული სიტყვების არა უბრალოდ წაკითხვას, არამედ, მათ შორის კავშირის აღმოჩენასა და აზრის გაგებას. სხვასთან ერთად, ამას ემსახურება სიმბოლო და მასთან დაკავშირებული სიტყვიერი ასოციაციები. გალაკტიონმა კი უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა იდეის განფენის ხელოვნება, ქვეტექსტისა თუ ნართაულობის გამოყენების ოსტატობა. არა მხოლოდ ცალკეულ ნაწარმოებს, არამედ ცალკეულ სიტყვებსაც სიმბოლური დატვირთვა ეძლევა (ნ. ტაბიძე) (9, 343). სხვაგვარად იმ ეპოქაში შეუძლებელი იყო გულისნადების გადმოცემა. საბჭოთა მკითხველიც იძულებული იყო მწერლის ნათქვამს იკლიკანტური გზებით ჩასწვდომოდა, აზრი სიტყვებს შორის ამოეკითხა. ამიტომაც, არცთუ იშვიათად, ნაწარმოები საკმაოდ რთულ გააზრებას ითხოვდა, რაც გამოწვეული იყო როგორც მეტაფორული აზროვნების სირთულით, ისე ქვეტექსტების სიღრმე-სიმრავლით. ამგვარ ჩარჩოში მოექცა ისეთ ფაქიზ და მტკივნეულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები, როგორიცაა თავისუფლებდაკარგული სამშობლო.

მამულიშვილობის თემატიკა გალაკტიონისათვის უცხო არ ყოფილა. ადრეული წლებიდან მის ლირიკაში არის სამშობლოს დატოვების, გამოთხოვების მოტივი, მასთან იბადება გაუცხოების მოტივი, რომელსაც გალაკტიონამდე ქართული პოეზია არ იცნობდა... პოეტი გვიჩვენებს, თუ როგორ იშლება თავისუფლებაწართმეული მამულის კონტურები, იბადება სამშობლოში უსამშობლობის განცდა (თ. დოიაშვილი) (3, გვ. 327). ეს მოტივი თანდათან ღრმავდება და დრამატულ სიმძაფრეს იძენს შემდგომი პერიოდის არა ერთ ლექსში. გალაკტიონი მე-19 საუკუნის მწერლობის ტრადიციას აგრძელებდა. ქართველ მამულიშვილებს ეროვნული ტრაგედიისადმი თავიანთი მტკიცე,

ცალსახა დამოკიდებულება ჰქონდათ. საკმარისია გავიხსენოთ ერთი ფაქტი. ცნობილია, ილიამ მიხეილ ლერმონტოვის „მწირის“ ფინალი შეცვალა: „მას აქეთ, რაცა კურთხევა ღვთისა,/ მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,/ რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,/ ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს“. ა. ბაქრაძე თავის წერილში: „მეცხრამეტე საუკუნე“, ამ ფაქტის შესახებ აღნიშნავს: ეს არ იყო „პოეტური თავხედობა“, ეს იყო ქართული სამეფო კარის მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკის უარყოფაც, რუსეთის იმედის გაცრუების აღიარებაც და მე-19 საუკუნეში შექმნილი ვითარების შეფასებაც. რასაკვირველია, გალაკტიონიც წინაპრების ტრადიციას იცავდა. ერთგან ის წერს: განადგურებული საქართველო გადაიქცა რუსეთის ვასალად, შემდეგ ის გადააქციეს პროვინციად და საქართველოს სამეფომ შესწყვიტა არსებობა... ზნე, ჩვეულება, მრავალსაუკუნიანი (უუძველესი) ეროვნული კულტურა... ყველაფერი, რაც კი ატარებდა ეროვნულ სახეს, გაუპიროვნებას ან განადგურებას ეძლეოდა (10, გვ. 584). მსგავსი დამოკიდებულებაა მთლიანად გალაკტიონის შემოქმედებაში. ამის დასტურია ზევით ნახსენები „თოვლიც“, რომელშიც უფრო მეტი ტკივილია შეფარული, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. გალაკტიონის ეს ნაწარმოები დატვირთულია სახე-სიმბოლოებით: კრავი, ქაშვეთი, მთაწმინდა, ჩრდილი, პეპლები, თოვლი თუ ბურუსი... შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ სიტყვების კონცენტრაცია, რომლებიც კონტექსტში დრამატულ ფონს ქმნიან და მას ემოციურ ტონს აძლევენ. დავიწყოთ სათაურით. ის განსაკუთრებული სინტაქსური პოზიციაა, მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც რამდენიმე ფუნქციას ასრულებს, ტექსტის იდეასთან ორგანულ კავშირშია და ერთგვარი გზამკვლევიცაა. ამ ლექსში „თოვლის“, როგორც სემანტიკური ერთეულის, ფრაზეოლოგიური რიგითობიდან გადატანისა და სათაურად დასმის შემდეგ, მან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, დამატებითი ასოციაციებით დაიტვირთა. ის ტექსტის განუყოფელი ნაწილი გახდა, რომელიც ხაზს უსვამს მთავარს, ამასთან, ტექსტთან დაკავშირებულია არა მხოლოდ ემოციურად, იდეურ- თემატიკურად, არამედ ლინგვისტურადაც. და კიდევ, გალაკტიონის ამ ლექსის სათაური სემანტიკურ ერთეულთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა პოეტური მნიშვნელობა „წინასწარაა დადგენილი“ (აქ შედის სიტყვა-სათაურები, რომლებიც აღნიშნავენ მცენარეებს, ბუნების მოვლენებს, მითოლოგიური, ისტორიული თუ ლიტერატურული პერსონაჟების სახელებს და სხვ. ისინი ცალკეც, სხვადასხვა ხალხების კულტურულ შეგნებაში მყარად დამკვიდრებულ მნიშვნელობებსა და ცნებებს შეიცავენ. თოვლი, როგორც სხვა სიმბოლო, ამბივალენტურია: წმინდა, სპეტაკით დაწყებული და დამთრგუნველ-დამანგრეველით დამთავრებული. ბიბლიის მიხედვით, თოვლი განსაკუთრებული მოვლენაა, მაგალითად, იერუსალიმში თოვლიანი ზამთარი იშვიათია და თუ მოთოვს, ისიც ერთ დღეში ქრება, მაგრამ სწორედ ეს დღე მიიჩნევა არაჩვეულებრივ, განსაკუთრებულ

მოვლენად. რაც შეეხება სათაურად გამოტანილ ლექსიკურ ერთეულს, ის რასაკვირველია, ზამთართან ასოცირდება, აგრეთვე, ის ძილისა და ყოველი ცოცხალის სიკვდილის სიმბოლოცაა. ამგვარად, მკითხველის ყურადღება თავიდანვე გაფაციცებულია. აშკარაა, გალაკტიონის ამ ნაწარმოებში არის მინიშნებები და ქვეტექსტები. ცხადია, საგნებსა და მოვლენების გარკვეულ გარემოში გამოხატვა პოეტის თვითმიზანი არაა, ის უფრო ფონია, უფრი ღრმა გრძნობების წარმომშობი და წარმომჩენი. ჩვენ არასოდეს გვაქვს ცალკეული გარემოცვიდან ამოგლეჯილის, განმხოლოებული საგნის აღქმა: ყოველი საგანი თავის ფონზე აღიქმება... აღქმა ფიგურისა და ფონის მთლიანობაა (დ. უზნაძე).

გალაკტიონის ეს ლექსი ზამთრის საღამოს სურათით იწყება: „ხეები თოვლით დაფენილია/ ფერდობებს ფენენ თოვლის კრავები,/ ზამთრის საღამოს მკრთალი ჩრდილია/ ტფილის სახლის სახურავები.“ თითქოს იდილიური საღამოა, მაგრამ მალე ვრწმუნდებით, ეს სიწყნარე მოჩვენებითია, ამაზე მიგვანიშნებენ სიმბოლოები, რომლებიც თანდათან ჩნდებიან, მაგალითად კრავი, გარდა ცნობილი სიმბოლოსი (იესო ქრისტე), აგრეთვე, მეტაფორულად გამოხატავს განსაცდელში ჩავარდნილს, იმას, ვისაც დახმარება სჭირდება. ან კიდევ, თოვლით დაფენილი ხეები (ხე - მითში დაბრკოლების მეტაფორაა). აქვე უნდა ითქვას, პირველ სტროფში ჯვარედინ რითმად გამოყენებული სიტყვა „კრავები“ 1966 წლის გამოცემაში „კარვებით“ ჩაანაცვლეს (4, გვ. 237), თუმცა, ამით ტექსტის შინაარსი დიდად არ შეცვლილა. გარდა იმისა, რომ კარავი საცხოვრისს აღნიშნავს, იგი ასევე სიმბოლოა ადამიანის ხორციელი, ამქვეყნიური ცხოვრებისა, რომელიც ერთხელაც დაინგრევა. კარავი აგრეთვე, გზააბნეული, პიროვნულ საწყისს მოკლებულ სახე-სიმბოლოდაც მიიჩნევა. ამგვარად, პირველივე სტრიქონებიდან იკვეთება ნეგატიური განწყობა, თანდათან იკვეთება, რომ ეს თოვლი არაა განმასპეტაკებელი და არც ეს საღამოა იდილიური და სიმშვიდის მომგვრელი, ის უფრო ცხოვრებისეული ვითარების სიცივესა და გაუსაძლისობაზე მიგვანიშნებს. ამიტომაც, სათაურით აღძრული საშიშროების გრძნობა სულ უფრო მატულობს, მით უფრო, როცა ირკვევა ზამთრის ეს ქუფრი თბილისს დაფენია, საქართველოს დედაქალაქს, ანუ, აქ უბრალოდ რომელიმე გეოგრაფიული ადგილის ზამთრის სურათი როდია, არამედ უფრო დიდ, საერთოეროვნულ საშიშროებაზეა მინიშნება. საგანგაშოა ის, რომ ტფილისის სახლებს (სიმყუდროვის, კერიის დაცულობის სიმბოლო), ჩრდილი დასწოლია. ჩრდილი კი ნეგატიური საწყისის, შფოთვის, სულიერი და ხორციელი უბედურების სიმბოლოდ მიიჩნევა. მით უმეტეს ვიცით, სახლ-კარი სამყაროა, ურომლისოდაც არ არსებობს ადამიანი, იღუპება სახლ-კარი, იღუპება ადამიანიც. მომდევნო სტროფში განწყობა კიდევ უფრო მძიმდება, ტექსტში მატულობს ტროპი და მისი სახეობანი: „გულშიც პეპლები აუარება,/ არა

თეთრები, არამედ თალხი.“ გული სიმბოლურად განცდათა, თანაგრძნობათა, ადამიანურ აღტაცებათა თუ მწუხარებათა პოეტური წყაროა. პეპელა (თეთრი) კი, ქრისტიანული რელიგიის მიხედვით, უკვდავების, აღდგომის სიმბოლოა, თუმცა გალაკტიონის ამ ლექსში ხაზგასმულია - პეპლები აქ თალხია, რომელიც იგივე ქრისტიანობაში სიკვდილთან, გლოვასთან და განადგურებასთან ასოცირდება. შემდეგ სურათის მომდევნო კადრი ჩნდება: მრუმე ქალაქის გადაბურულ ტროტუარზე მიმავალი ხალხი ჩანს (“გადაბურულა ტროტუარები/ და მიმავალი ქუჩაზე ხალხი”) სვლა მითოლოგიაში უნივერსალური სიმბოლოა, რომელიც ფიზიკურ და მორალურ გამოცდასთან, ადგილის ძიებასთანაა დაკავშირებული. გზა თვითრეალიზაციის, ზოგჯერ ბედის სიმბოლოცაა, ბედი კი გზას წარმოადგენს, საიდანაც გადახვევა შეუძლებელია. იგივე, გზის კონცეფცია ყოველთვის გადარჩენის საიდუმლოსთან არის დაკავშირებული. წმინდა წერილებიდან ვიცით - ამ ქვეყნად ადამიანი მგზავრია, წუთისოფლის სტუმარი. გზად ყოფნა კი მარადიული მოძრაობაა და მიზნიკენ სვლას გულისხმობს. ვინ არის ამ გადაბურულ გზაზე მავალი ხალხი? აქვთ სურვილი და შეძლებენ კი, იმ გზაზე შედგომას, რომელიც მათ აღთქმულ ქვეყანაში მიიყვანს? რა თქმა უნდა, ძნელია (თუ შეუძლებელი არა) ავტორის ჩანაფიქრი ზუსტად ამოიცნო, ერთი რამ კი ცხადია, გალაკტიონი სამშობლოს ტრგედიით შეძრწუნებული იყო და სათქმელის სიმბოლურად გამოთქმას ცდილობდა.

მივყვეთ ტექსტს. შემდეგი მონაკვეთი ნაწარმოების ყველაზე დაძაბული, კულმინაციური მომენტია. ლირიკული გმირი წუხილს მოუცავს, „ხეებში მოსჩანს ქაშვეთის ზოლი/ და როცა მოწყენილ გზაზე გავედი,/ მე დავინახე სახლებზე ბოლი,/ და სულ არ სჩანდა მამა-დავითი.“ მართალია, ხეებში „ქაშვეთის ზოლი“ მოსჩანს, რომელიც იმედს აჩენს, თუმცა ეს შეიძლება ილუზია აღმოჩნდეს (ხე მითოლოგიაში დაბრკოლებაც არის, შემაშინებელი და დემონურიც). მართლაც, ლირიკული გმირი „მოწყენილ გზაზე“ რომ გავიდა, სახლის სახურავებზე ბოლი (დაუცველობის სიმბოლო) დაინახა, ახალ გზაზე შედგომაც არ ნიშნავს თავის დაღწევას, მიზნისკენ სვლას, რადგან „მამა-დავითი“ აღარ ჩანს (ეროვნული სულიერი სიმაღლისა და მარადიულობის სიმბოლო). ისიც ვიცით, რომ მთა ძველ კულტურათა უმეტესობაში უფლის გამოცხადების ნიშანდობლივი ადგილია). ამგვარად, პოეტის მინიშნება ნათელია - ქვეყანას უდიდესი განსაცდელი ადგას. 1944 წლის “რჩეულში“ ლექსი აქ მთავრდება (11, გვ. 332). სწორედ ამ დროიდან დაიწყო ბოლშევიკურმა ცენზურამ ამ ნაწარმოების დამახინჯება, შეკვეცა-გადაკეთება. ოთხსტროფიან ლექსს ბოლო სტროფი ჩამოაჭრეს. ბუნებრივია, მკითხველს უკმარობის გრძნობა რჩება, მოულოდნელი ფინალია, შტრიხები ზოგადად არის მოხაზული, ჭირს აზრის ამოკითხვა, ჩნდება სურვილი გაირკვეს, რა ვერ, თუ არ თქვა პოეტმა ბოლომდე. საბჭოთა პერიოდში ეს ნაწარმოები კიდევ ორჯერ დაიბეჭდა და

ორივე ტექსტი პირველი პუბლიკაციისაგან განსხვავებული იყო. 1927 და 1944 წლის გამოცემებში, ანუ გალაკტიონის სიცოცხლეში ტექსტში იყო სიტყვები, გნებავთ სიმბოლოები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგალითად, იყო „ქაშვეთი“ (ტაძარი, რწმენა, იმედი) რომელიც 1966 წლის გამოცემაში ზოგადი სიტყვით: „ოდნავი“ ჩაანაცვლეს, „მოწყენილი“ „ახალით“ შეცვალეს. ამოაგდეს კონკრეტული მითითება „მათი“ და ჩასვეს „ისეთი“, ანუ შეიცვალა აქცენტი, მიმართვის ობიექტი და ნათქვამმა სულ სხვა შინაარსი შეიძინა. მართალია, აკადემიურ გამოცემაში (1966 წ.) დააბრუნეს ამ ლექსის მეოთხე სტროფი, მაგრამ საგრძნობლად შეცვლილი: „მე არ მინახავს თოვლი იმდარი,/ მოულოდნელი, სწრაფი, უცები,/ ისეთი ნისლით სავსე მინდორი,/ ისეთი თოვლი და ბურუსები.“ სურათი მაინც ბუნდოვანი რჩება. ამ სტროფში არის დამატებითი ინფორმაცია (მინიშნება), მაგალითად, ნისლი მითოლოგიაში გაურკვევლობის, შეცდომებისა და ცვლილებების აღმნიშვნელია, მინდორი კი დაუცველობის სიმბოლოა. რუსული ტრადიციის მიხედვით ველი, მინდორი საშიში, დამღუპველი სივრცეა. ამგვარად, საკმაოდ მძიმე, შეიძლება ითქვას ტრაგიკული, სურათი იკვეთება, მკითხველს უკმარობის გრძნობა კვლავ რჩება: არ ჩანს ვისი მინდორი „გაჩნდა“, არაა გამოკვეთილი „უცები ნისლის“ მიზეზი. ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზევით ითქვა, დაიჯეროს მკითხველმა, რომ დიდ თოვლსა და მოულოდნელ ნისლს გაუკვირვებია ავტორი? ჩავხედოთ პირველი პუბლიკაციის ამ მონაკვეთს: „ჩვენ რა თქმა უნდა, არ ვართ რუსები,/ მაგრამ კვლავ გაჩნდა მათი მინდორი,/ მათი თოვლები და ბურუსები“. აი, აქ კი ყველაფერი ნათელია, რა თქმა უნდა, აქცენტი მხოლოდ ეთნიკურ განსხვავებაზე კი არ კეთდება, არამედ კარგად ჩანს პოეტის დამოკიდებულება იმდროინდელი რეჟიმისადმი. ნათელია ვისი მინდორი (საშიშროება) გაჩნდა კვლავ, ვისი „თოვლები და ბურუსები“ დაატყდა ქვეყანას (ეს სიტყვები ასოციაციურად ჩვენი ისტორიის კონკრეტულ (1801-1917 და 1921-1989 წწ.) მონაკვეთებთან გვაკავშირებენ.

დასკვნა

ამგვარად, ყველაფერი თავის ადგილას დადგა და მკითხველიც ჩასწვდა ავტორის ნათქვამს. რა თქმა უნდა, ეს მინიშნება იმთავითვე, პირველი პუბლიკაციიდანვე, ცხადი და ნათელი იყო, მაგრამ შემდგომ გამოცემებში ნაწარმოები გამოშიგნეს, საყრდენი სტრიქონები გამოაცალეს და ლექსის დედააზრი შეცვალეს. კომუნისტური ცენზურა ვერ დაუშვებდა „ორდენოსანი“ პოეტის რეჟიმის საწინააღმდეგო აზრისა და დამოკიდებულების კვლავ გამოხატვას, ის, რაც 1927 წელს გაიპარა, აღარ გამეორდებოდა და ამიტომაც, ქართველ მკითხველთა რამდენიმე თაობას დაუმალა პოეტის ნამდვილი განწყობა. თითქმის რვა ათეული წლის შემდეგ აღსრულდა ავტორის ნება და

2005 წელს, გალაკტიონის საარქივო ოცდახუთწიგნეულში, ტექსტი პირვანდელი სახით დაიბეჭდა (5, გვ. 185). ამბობენ, მარინა ცვეტაევა კრიტიკოსებს სთხოვდა: „იმის გაგებას ნუ ცდილობთ მე რა მინდოდა მეთქვა, ის მითხარით, თქვენ რა წაიკითხეთო“. მხატვრული ტექსტის წაკითხვა ხომ ინვარიანტულია და ამჯერად, მკითხველს გალაკტიონის „თოვლის“ წაკითხვის ჩვენეული ვარიანტი შევთავაზეთ. ამასთან, ვეცადეთ, ეს წაკითხვა ინტერპრეტაციისათვის დასაშვებ ჩარჩოებს არ გასცდენოდა.

ლიტერატურა:

1. ტაბიძე გ., ლექსები, ტფ. 1927.
2. სანიკიძე,თ. სანიკიძე ც., გ. ტაბიძის ენის ლექსიკონი, თსუ, 1991.
3. დოიაშვილი თ., გზა „არტისტული ყვავილებისკენ“ ლირიკა 1908-1914), ლიტ. ძიებანი, XXV, თბ. 2004.
4. ტაბიძე გ. თხზ. 12 ტომად, ტ. 2, თბ. 1966.
5. ტაბიძე გ. საარქივო გამოც. წ. 3, თბ.2005.
6. ტაბიძე გ. თხზ. 15 ტომად, ტ. 3. თბ. 2016.
7. ჯავახაძე ვ. „უცნობი“, თბ. 2013.
8. მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედია, ტ. 6, მოსკ. 1971.
9. ტაბიძე ნ., გალაკტიონი, თბ. 2000.
10. ტაბიძე გ. თხზ. 12 ტომად, ტ. 12, თბ. 1966.
11. ტაბიძე გ., რჩეული, თბ, 1944.

“Of course, we are not Russians”

Mamuka Shelegia, Associated Professor

Georgian Technical University

Summary

The article discusses poem “Snow” by Galaktion Tabidze. The poem was written with heartbreak where the author do not shy away from saying “of course, we are not Russians/ but their filled still appears/ their snow and their fogs”. This is a clear reference as to whose field (danger) and fogs appeared again. Certainly, this does not concern just ethnical difference but clearly shows Galaktion’s attitude towards the regime. Of course, such attitude of the poet who was “adorned” with Soviet orders was unacceptable for the Soviet censure. So they cut up the poem in other editions in such a way that its content received completely different meaning.

Key words: symbol, metaphor, text, patriotism.

წერითი და ზეპირი მეტყველების ზოგიერთი თავისებურების შესახებ

თინათინ კილაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ადამიანის მეტყველება ორი სახისაა -ზეპირი და წერითი. ამდენად, წერა ადამიანის მიერ აზრის გამოხატვის ფორმა და სახეობაა.

წერითი მეტყველების უმთავრესი ნიშანია დროითი გამძლეობა. ამით ზეპირმეტყველება მას ვერ შეედრება.

ზეპირი მეტყველება, წერითთან შედარებით, უფრო ხნიერია (ადრინდელია), მეტყველების უფრო ბუნებრივი ფორმაა და სრულიად აკმაყოფილებს ადამიანის წმინდა ყოფითი კომუნიკაციების მოთხოვნილებებს. ამის გამო კაცობრიობა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მეტყველების ამ ფორმას იყენებდა ინტელექტუალურ სფეროშიც, არა მარტო ინტელექტუალური პროდუქციის შესაქმნელად, არამედ შესანახადაც. თუმცა შენახულს თავის კვალს ამჩნევდა ადამიანის მეხსიერების უძლურება დროის დინების წინაშე. იგი ვერც იტევდა და ვერც ინახავდა ზეპირი ფორმით დაგროვილ ინფორმაციას, რაც ერის კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. დიდი მონდომების შემთხვევაშიც კი ინფორმაცია ირყვნებოდა, შინაარსობრივი სიზუსტე ეკარგებოდა.

საკვანძო სიტყვები: ზეპირი მეტყველება, წერითი მეტყველება, ენობრივი კომუნიკაციები.

შესავალი

მეხსიერებას ინფორმაციის დახარისხებისა და შედარებით მნიშვნელოვანის გამორჩევის მექანიზმი აქვს რაც მნიშვნელოვანის შენახვასა და ნაკლებადმნიშვნელოვანის მეხსიერებიდან ამოშლას განაპირობებს. დღეს კაცობრიობამ კარგად იცის, რომ ამის გამო დიდად იზარალა, რადგან ზეპირ მეხსიერებას მინდობილი ძველი, ისტორიამდელი ცივილიზაციის, კულტურის მონაპოვართა დიდი ნაწილი სამუდამოდ დაიკარგა. ამ დანაკარგის სიდიადეს სხვადასხვა გზით შემორჩენილი და ჩვენამდე მოღწეული ნაშთების საოცრება ცხადყოფს. აი, ამ დაკარგვის გარდუვალობამ და სიმწვავემ ანუ ზეპირი ინტელექტუალური პროდუქციის "მოუხელთებლობამ" მიიყვანა კაცობრიობა წერის გამოგონების აუცილებლობამდე. წერამ და ნაწერმა დაარწმუნა ადამიანები ამ ფორმით გადმოცემული აზრის დავიწყებასთან ბრძოლის წარმატებაში. ნაწერმა სძლია დროს, ბოლო მოუღო ინფორმაციის დაკარგვას; ნაწერმა გახადა შესაძლებელი მსოფლიო საინფორმაციო ბანკის - ცივილიზაციის მონაპოვრის, კულტურის უკვდავყოფა.

აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა გვეცოდინებოდა ძველი აღმოსავლეთის, ეგვიპტის, ძველი საბერძნეთის, რომის ცივილიზაციებზე, ინფორმაცია წერილობითი ტექსტებით რომ არ გადმოგვცემოდა. შეიძლება სულაც არ გვცოდნოდა, ვინ იყვნენ ჰომეროსი, პლატონი, არისტოტელე, პითაგორა, მათი ის უდიდესი აღმოჩენები, რომლებიც დღესაც თანამედროვე ცოდნის საფუძვლად რჩება. მაგალითად, მათემატიკა დიდად განვითარდა, მაგრამ ეს მეცნიერება დღემდე იყენებს პითაგორას აღმოჩენას, რომელიც "პითაგორას თეორემის" სახელწოდებით არის ცნობილი. ასეთი მონაპოვრების სტატისტიკასაც კი ვერ დაიტევდა არათუ ჩვენი სახელმძღვანელო, არამედ ბევრი სხვა წიგნიც რომ დაგვემატებინა.

ძირითადი ნაწილი

ამბის მოსმენა ინფორმაციის აღქმა-გააზრების სიზუსტეს -ადეკვატურობას ვერ უზრუნველყოფს რამდენიმე მიზეზით: თუ დიდხანს ვისმენთ ინფორმაციას, ვიღლებით, ყურადღება გვეფანტება. ამის მიზეზია გონების მიერ მიღებული ინფორმაციის თავისებური რეზიუმირება. იგი მას ახარისხებს, მთავარს მეხსიერების მატრიცაზე აღბეჭდავს, უმნიშვნელოს კი უგულებელყოფს. ამიტომაც ჭირს მოსმენილი ამბის დეტალების გაგება, მით უფრო მათი გახსენება მოსმენის შემდეგ.

ნაწერი აზრის გაგება-გათავისებას აბსოლუტური სიზუსტით უზრუნ-ველყოფს. ტექსტის ერთხელ წაკითხვით რაიმე გაუგებარიც რომ დარჩეს, უკან მიბრუნებით, ხელახლა წაკითხვით შეიძლება გაგება.

ამასთან, ტექსტს ვკითხულობთ, მაგალითად: "ხშირად კნ შეიძლება მივიღოთ ისეთი გამხსნელებიდან, როგორიცაა თხევადი ამიაკი, თიონილის ქლორიდი, ტეტრაჰიდროფურანი, აცეტონილი, დიმეთილსულფოქსიდი, გოგირდის ბმ მონოქლორიდი და სხვ."

თვალის გადავლებითაც აშკარაა, რომ ტექსტი ერთი წინადადებისაგან შედგება, მაგრამ იგი აგებულებითაც რთულია და ინფორმაციულადაც ტევადია. ამ ინფორმაციის აღქმა ერთბაშად, ერთი წაკითხვით, ძალიან გაჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექსტი მცოდნე მკითხველზეა გათვლილი (ქიმიაში ჩაუხედავი საერთოდ ვერაფერს გაიგებს).

პირველ ეტაპზე მკითხველმა უნდა წაიკითხოს აბრევიატურა **„კნ".** საამისოდ უნდა გაეცნოს წიგნის ბოლოს დართულ შესაბამის საძიებელს, სადაც აბრევიატურებია გახსილი. აქ ქიმიის საერთო ცოდნაზე დამყარება ძნელია, რადგან **„კნ"** შეიძლება აღნიშნავდეს "კოლოიდურ ნივთიერებასაც" და კიდევ ბევრს სხვა რამეს, თუნდაც, "კოორდინაციულ ნაერთს".

მეორე ეტაპზე ყურადღება კონცენტრირდება ზოგადად გამხსნელებისგან გარკვეული ნივთიერებების მიღებაზე, ხოლო მესამე ეტაპზე უკვე ნივთიერებათა

გრძელ ჩამონათვალზე. ასე რომ, მთელი წინადადების სრულფასოვან (აბსოლუტურ) გაგებას ცალკეული ნივთიერების შესახებ, შეიძლება ცალ-ცალკე (ხელახალი) წაკითხვა დასჭირდეს.

ზეპირი მოსმენილი ტექსტით ინფორმაციის ასეთი ეტაპობრივი აღქმა-გააზრება შეუძლებელია. ნაწერი კი ამის საშუალებას იძლევა. აშკარაა, ვწერთ იმისთვის, რომ აზრი, ინფორმაცია აბსოლუტური სიზუსტით გავიგოთ.

ზეპირ თხრობას ემოციური მუხტი ახლავს. კარგად გააზრებულ (გონებაში დეტალურად დალაგებულ) ამბავსაც რომ ვყვებოდეთ, ამის გამო მაინც რაიმე გამოვგრჩება. ემოცია აზრის (ამბის) ერთ რომელიმე ასპექტზე აფოკუსირებს ყურადღებას (მას წამოატივტივებს მოულოდნელად).

წერის დროს ამ ემოციური მუხტის "მართვაც" ხერხდება. თუ რაიმე გამოგვრჩება, დაწერილი შეგვიძლია გადავიკითხოთ და ჩავამატოთ. ეს იოლად მოხერხდება, რადგან ხელახალი წაკითხვა გონებაში გაჩენილი აზრის გახსენებას იწვევს. შესაძლოა, ისეთი ასპექტიც "გაგვახსენოს", რაც აზრის ჩამოყალიბების პირველი ვარიანტის შექმნის დროს საერთოდ არ ფიგურირებდა, არადა შეიძლება სწორედ ეს ახლადგამოვლენილი ასპექტი იყოს აზრის შინაარსობრივი (ინფორმაციული) რაობის განმსაზღვრელი. ასეთი ჩამატებები აზრის (ინფორმაციის) დამახსოვრებას უზრუნველყოფს. ყოველი ჩამატება წინადადების (აზრის) განმეორებით წაკითხვას მოითხოვს, ხელახალი წაკითხვა კი დამახსოვრებას უწყობს ხელს, ზრდის მის კოეფიციენტს. სწორედ **იმისთვისაც ვწერთ, რომ ინფორმაცია დავიმახსოვროთ.**

წერა მხოლოდ აზრის გრაფიკული გამოხატულება არ არის. იგი თავად აზროვნების პროცესია, ამ პროცესის ერთი, ყველაზე ეფექტური ფორმაა. დიდი ხანია შენიშნეს, რომ ადამიანი წერის დროს უკეთ აზროვნებს. ამის მიზეზი ისაა, რომ გონებაში გაჩენილი აზრის ქაღალდზე გადატანა-ჩაწერა ადამიანის მიერ მართვადი პროცესია: მხოლოდ მას აქვს მიზანმიმართული ფორმით წერის ანუ ამ ფორმის გამოძებნის დრო, რადგან გონებაში გაჩენილი აზრი სხვა შემთხვევაში გაექცევა.

წერის დროს ადამიანი აზრს აზუსტებს შინაარსობრივად, ხვეწს მისი გამოხატვის სიტყვიერ ფორმას (ფრაზას, წინადადებას, სტილს...), ფიქრობს იმაზეც, როგორ მიაწოდოს ეს აზრი მკითხველს უკეთ და ცხადად.

განსჯა, აზროვნება სპონტანურ-ასოციაციური პროცესია. იგი წარმოსახვას ემყარება. მოვლენა-ფაქტი გონებაში სურათ-ხატოვნად წამიერად გაიელვებს. აზროვნება საერთოდ, ამ გაელვების დაჭერა-დაფიქსირებაა. წერის დროს აზროვნების ეს ეტაპი უმთავრესია, აზრის ძირითადი ნაწილის, არსის გამოვლენა-დაფიქსირებაა.

წერის დროს ადამიანი მარტო იმაზე კი არ ფიქრობს, რა თქვას, არამედ იმაზეც, როგორ თქვას უკეთ, ანუ როგორ მოძებნოს უფრო დახვეწილი ფორმა, გაგებინების რაც შეიძლება მაღალი ხარისხის მისაღწევად. ამიტომაც იხვეწება

წერის დროს აზრი მრავალნაირად, რაც თავისთავად, აზროვნების პროცესია. ე.ი. წერის დროს აზროვნების პროცესი ერთდროულად რამდენსამე დონეზე მიმდინარეობს.

თუ აზრს წერილობით ვერ ვაყალიბებთ, ეს იმის ნიშანია, რომ აზროვნების რომელიღაც დონეზე საქმე ვერ გვაქვს კარგად, ვგულისხმობთ, გონებაში გაელვებული აზრის გონებაშივე დაფიქსირების დონეზე, რასაც, ჩვეულებრივ, აზრის მოუმწიფებლობას ვუწოდებთ ხოლმე.

აზრის უმწიფრობა აზროვნების პროცესს აფერხებს, ფიქრს გონებაში გაელვებულ შთბეჭდილებებთან აბრუნებს, მის უწყვეტობასა და ლოგიკურ თანამიმდევრობას არღვევს და შესაძლოა, სულაც სხვა მიმართულებით წარმართოს.

ალბათ, ყველას გამოგვიცდია მსგავსი რამ, თხრობა დაგვისრულებია და შემდეგ გაგვხსენებია, რომ თავიდან ამოგვივარდა რაღაც მნიშვნელოვანი და ბოლომდე ვერ ვთქვით, რისი თქმაც გვინდოდა.

წერითი მეტყველება კი ზეპირზე გაცილებით ნელია და მდორე. აზროვნებაც ამიტომ საგრძნობლად გაიოლებულია და, რაც მთავარია, კონტროლს ემორჩილება. ამიტომაც არის, რომ წერის დროს უკეთ ვაზროვნებთ.

ეს კი სწორედ იმის მაუწყებელია, რომ **წერა აზროვნებითი პროცესია.** ვწერთ, რათა უკეთ ვიაზროვნოთ.

აზროვნება თავისი არსით კომუნიკაციური მოვლენაა. აზრის გაჩენის მოტივაცია მისი გადაცემაა საკუთარი თავისა და უმთავრესად სხვისთვის. ამდენად, აზროვნება დიალოგური ბუნებისაა. იგი მუდამ ვიღაცასთან აქტიურ დიალოგს გულისხმობს. ამ გაგებით მონოლოგიც კი დიალოგია, ადამიანის საკუთარ თავთან საუბარი, მსჯელობა, კამათია, ანუ მონოლოგშიც კი ადამიანი მეორე “მეს” ესაუბრება.

აქედან გამომდინარე, **წერა ყველა ვითარებაში დიალოგია.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაწერს ადრესატი ჰყავს და მისთვის გადასაცემი ინფორმაციაა. წერა სხვისთვის ინფორმაციის გადაცემაა.

სხვათა შორის, ქართულ ენას ზედმიწევნით ზუსტად და ცხადად აქვს დაწერილ-დაფიქსირებული აზროვნების პროცესის ამნაირი ბუნება, რასაც ამგვარი გამოთქმაც ცხადყოფს: “აზრის გაზიარება”, ანუ სხვისთვის განაწილება, სხვისი ქცევა აზრის მოზიარედ. ამდენად, აზრის არსებობას აზრი მისი გამზიარებლის არსებობის შემთხვევაში ეძლევა. “გაზიარება” ინფორმაციის გადაცემის პროცესის უმჯობეს ცნება-ტერმინად უნდა ვაღიაროთ, რადგან უზუსტესად გამოხატავს ამ პროცესის არსს. ინფორმაციის გადაცემა ხომ ამ ინფორმაციის სხვის აბსოლუტურ კუთვნილებად ქცევას არ გულისხმობს, არამედ ამ სხვის მოზიარედ, მონაწილედ ქცევას, რადგან ჩვენი ინფორმაცია, ფაქტობრივად, ჩვენთანვე რჩება.

წერის პროცესის ყველა კომპონენტი ამ მთავარ მიზანს ემსახურება, რადგან

აზრის არსებობის პირობაც და დანიშნულებაც ესაა.

ალბათ, ყველას გამოგვიცდია: როცა ვწერთ, უხილავად თვალწინ ვინმე გვიდგას. წერის მოტივაციას სწორედ ეს უხილავი ვიღაც-ჩვენი მკითხველი ქმნის. აზრის გადმოცემის, მისთვის ფორმის ძიების პროცესში ამოსავალი ისაა, თუ როგორ შეხედავს, გაიგებს და შეაფასებს ის სხვა ჩვენს ნაწერს. ყველაფერს იმ ვიღაცის გემოვნებას, აზროვნების წყობას ვუქვემდებარებთ, რათა უფრო ზუსტად და ადვილად გაიგოს ის, რასაც ჩვენს ნაწერში ვამბობთ.

წერისას ეს ვიღაც გამუდმებით თავს გვადგას ვირტუალურად და თავისებურად მეგზურობს და ზედამხედველობს ჩვენი წერითი აზროვნების პროცესს. ამიტომ არის, რომ დროდადრო ვჩერდებით, წამიერად უკან ვბრუნდებით, ვკითხულობთ ჯერაც მელანშეუშრობელ სტრიქონებს და სხვისი თვალით ვზომავთ, ვაფასებთ. ხოლო როცა ვრწმუნდებით, რომ ჩვენი ნაწერი შეესაბამება მის გემოვნებასა და დონეს, წერას განვაგრძობთ და ეს პროცესი წერის გასრულებამდე გრძელდება.

ასე რომ, ჩვენი ნაწერით, პირველ ყოვლისა, საკუთარ აზრს სხვას ვაგებინებთ, ვაწვდით ინფორმაციას, რაც იმდენად ეკუთვნის ჩვენს მკითხველს, რომ მისი რაობის განსაზღვრაშიც კი მონაწილეობს. ჩვენგან მას რეალური ინფორმაცია მისდის, რომლის შეფასებითაც მაკონტროლებელი ვირტუალური ინფორმაცია რეალური ინფორმაციის დახვეწა-დაკონკრეტების მოტივაციის სახით გვიბრუნდება.

თავისთავად ცხადია, რომ მკითხველისთვის გამიზნული ნაწერი მასთან ურთიერთობის დამყარებისთვისაა საჭირო. როდესაც მკითხველს ნაწერით ჩვენს მოსაზრებაზე რაიმე ინფორმაციას ვთავაზობთ, ამით მასთან ურთიერთობას ვამყარებთ. მკითხელის შეფასება, შესაძლოა, შემდეგ, ნაწერის განხილვის დროსაც მოვისმინოთ, რითაც ურთიერთობას უფრო გავამყარებთ.

ადამიანის ამქვეყნიური არსებობა, საერთოდ, საკუთარი თავის შეცნობაა. მის ცხოვრებას გამუდმებით თან სდევს კითხვები: რატომ გავჩნდი ამ ქვეყანაზე? რა დანიშნულება აქვს ჩემს არსებობას? რას წარმოვადგენ? რა შემიძლია? და ა.შ.

წერის პროცესში ადამიანი საკუთარ შესაძლებლობებს ავლენს და ამოწმებს. ამ უნარის გამოვლენა-დადგენით იგი უპირველესად თავის გონებრივ შესაძლებლობებს ანუ საკუთარ არსებობას შეიცნობს.

დასკვნა

წერა, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და მკითხველისთვის წარდგენაა. ეს პროცესი ამავდროულად საკუთარი თავის, "მეს" წარმოჩენაა, რომლის მიზანიც საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრების მცდელობაა.

ადამიანი სოციალური არსებაა. საკუთარ აზრს იგი სათანადო სოციალურ ჯგუფში (საზოგადოებაში) ეძებს და მასთან იდენტიფიცირებით ახორციელებს.

ამ მიზნით ადამიანი სოციალურ ჯგუფს თავის შესაძლებლობებს სთავაზობს. შეთავაზების საფუძველი კი მოცემულ სოციალურ ჯგუფში (საზოგადოებაში) პიროვნების შესაძლებლობებზე მოთხოვნის არსებობაც არის. ამიტომ ნაწერი ადამიანის ინტელექტუალური კაპიტალია, რომელსაც სოციალური ჯგუფი იძენს. ამდენად, წერა, როგორც საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა, საზოგადოებისთვის თავის წარდგენაა.

წერა, როგორც ვხედავთ, მექანიკური პროცესი არ არის. ქვემოთ იმაშიც დავრწმუნდებით, რომ გადაწერაც კი არ არის მექანიკური პროცესი, ისიც შეიცავს ინტელექტუალური, შემოქმედებითი აზროვნების ელემენტებს. რადგანაც წერა ავტორის თვითგამოხატვაა, ამდენად წერის სწავლა ადამიანის ინტელექტუალური ზრდისა და ხვეწის პროცესი, აზროვნების კომუნიკაციების უნარ-ჩვევების შეძენაც არის.

ზემოაღნიშნულის შესწავლა, ბუნებრივია, ყველას მკვლევრად, მეცნიერად ვერ ჩამოაყალიბებს, მაგრამ საკუთარი აზრის თავისუფლად, ეფექტურად, ცხადად, გასაგებად გადმოცემას ნამდვილად ასწავლის, ანუ კულტურის მქონე პიროვნებად აღზრდის.

О некоторых особенностях писменной и устной речи

Тинатин Киладзе, ассоциированный профессор
Грузинский Технический Университет

Резюме

Человеческая речь двух видов – устная и письменная. Поэтому письмо, - форма и вид высказывания человеческой мысли.

Главнейший знак письменной речи – долговременное существование. Устная речь с ней не сравнится.

Устная речь, по сравнению с письменной, более ранняя, более простая форма речи и полностью удовлетворяет потребностям человеческой коммуникации на бытовом уровне. Поэтому человечество на протяжении долгого времени использовало эту форму и в интелектуальной сфере, не только для производства интелектуальной продукции, но и для сохранения. Хотя сохраненное существовало на протежении существования памяти человека, оно подвластно времени. Оно не сохраняло в устной форме собранную информацию, что представляло значительную часть культуры. И даже при большом старании, информация изменялась, терялась содержательная точность.

Ключевые слова: устная речь, письменная речь, языковая коммуникация.

ენობრივი წარმონაქმნების კლასიფიკაცია

ეკა რუსიეშვილი, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მსოფლიო ინტერნეტ-ქსელი არის ახალი არხი, რომელიც წარმოიქმნა XX საუკუნის დასასრულს. ეს არხი გამოირჩევა სპეციფიკურობით, რომელიც განასხვავებს მას როგორც ზეპირი არხის, ასევე წერილობითი არხისაგან. არხის კატეგორიალურ თვისებებს შორის, როლებიც განსაზღვრავენ მეტყველების წარმოქმნას ჩატში, შეიძლება გამოიყოს: 1) არხის მაფორმატებელი თვისებები; 2) წარმოქმნის გამოყენებული სუბსტანცია. არხის მაფორმატებელ თვისებებს განეკუთვნება: 1) მეტყველების წარმოქმნის წინსვლითი, შეუქცევადი პროცესი; 2) აზრის წარმოებისა და მისი ვერბალური აღნიშვნის სინქრონულობა; 3) წინსვლითი ხასიათის მქონე პროცესუალობის უშუალო-რეფლექსიური ტიპი.

საკვანძო სიტყვები: არხი, ჩატი, ზეპირი და წერითი მერტყველება, ლინგვისტიკა

შესავალი

ლინგვისტიკაში განიხილება ძირითადი მიდგომები ენობრივი წარმონაქმნების მიმართ, როგორიცაა ტიპოლოგიის პრობლემა, სახელდობრ, ზოგადგნოსეოლოგიური, სოციოლინგვისტური და ფსიქოლინგვისტური მიდგომები. ანალიზის მიზანია ლინგვისტების მიერ ენობრივი წარმონაქმნების კლასიფიკაციისათვის შემოთავაზებული კრიტერიუმების გამოყოფა და მათი გამოყენება ახალი ემპირიული რეალობის გასააზრებლად, რასაც წარმოადგენს კომუნიკაცია ჩატებში.

ძირითადი ნაწილი

ენობრივი წარმონაქმნების ტიპოლოგიის აგების პრობლემა გაიაზრება ზოგადგნოსეოლოგიური პოზიციებიდან ისეთი ლინგვისტების ნაშრომებში, როგორიცაა ლ.პ. იაკუბინსკი და ა.ა. ხოლოდოვიჩი.

ლ.პ. იაკუბინსკი ენობრივი წარმონაქმნების მისეულ ტიპოლოგიას ორ კრიტერიუმს უდებს საფუძვლად: 1) სამეტყველო ურთიერთქმედების უშუალობა/გაშუალებას ეს კრიტერიუმი, არსებითად, უზრუნველყოფს მეტყველების (კომუნიკაციის) ზეპირი დიალოგური ფორმის შედარებას მეტყველების (კომუნიკაციის) წერით მონოლოგურ ფორმასთან]; 2) კომუნიკაციის მონაწილეთა როლების დროში სწრაფ/გახანგრძლივებულ მონაცვლეობას (ამ კრიტერიუმს თანამედროვე ტერმინით ეწოდება რეპლიცირება მოკლე/გრძელ დისტანციაზე).

ამრიგად, ერთმანეთს უდარებენ, ერთის მხრივ, ზეპირ და წერით

მეტყველებას, მეორე მხრივ, მონოლოგსა და დიალოგს. ავტორი გამოყოფს მოყვანილი პარამეტრების 3 ძირითად, ყველაზე ხშირად გამოყენებულ კომბინაციას. ასე, მაგალითად, დიალოგური ურთიერთობა ყველაზე მეტად ხდება ზეპირი (უშუალო) ფორმით. ამის მიუხედავად, იაკუბინსკი ჯერ კიდევ 1923 წელს უშვებდა, რომ კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებამ შეიძლება გააფართოოს ამ კომბინაციის შესაძლებლობები, რისთვისაც მაგალითად მოჰყავდა ტელეგრაფით შესაძლო საუბარი. იაკუბინსკის მიერ შემოთავაზებული სქემა ლაკონურია და უზრუნველყოფს ენობრივი წარმონაქმნების მთლიანად მოცვას, ამიტომაც მისი იდეები მრავალმა მეცნიერმა გაიზიარა და გააფართოვა თავის კვლევებში.

ა.ა. ხოლოდოვიჩი [66] მისეულ ტიპოლოგიას საფუძვლად უდებს ისეთი რთული მოვლენის ანალიზს, როგორიცაა "სამეტყველო ქცევა". "სამეტყველო ქცევის" ტიპების გამოყოფის პარამეტრებად იგი გვთავაზობდა: 1) გამოხატვის საშუალებებს: ბგერას, წერას; 2) პარტნიორის არსებობა-არარსებობას; 3) "ორიენტირებულობას" - სამეტყველო აქტის ერთი ან ორმიმართულებიანობას; 4) ერთი ან მრავალი აღმქმელის არსებობას, ანუ ინდივიდუალურ ან მასობრივ კომუნიკაციას; 5) სამეტყველო აქტის კონტაქტურობას ან დისტანციურობას. ამრიგად, ხოლოდოვიჩი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების კომბინატორიკა უზრუნველყოფს 32-მდე სამეტყველო ქცევის ტიპს.

ა.ა. ხოლოდოვიჩი უარს ამბობს დიალოგის/მონოლოგის შედარებაზე და ცვლის მას სამეტყველო აქტის ორიენტირებულობის კრიტერიუმზე, რომელსაც გააჩნია ორი მნიშვნელობა: გარდამავლობა და ორმხრივობა. გარდამავლობაში იგი გულისხმობს სიტუაციას, რომელშიც კომნიკაციის ერთი მონაწილე მხოლოდ საუბრობს (წერს), მეორე კი მხოლოდ უსმენს (კითხულობს). სამეტყველო აქტის გარდამავლობა/ორმხრივობა განსხვავდება დიალოგი/მონოლოგის შედარებისგან, რადგან როგორც დიალოგი, ასევე მონოლოგიც, ავტორის აზრით, შეიძლება იყოს როგორც ცალმხრივად მიმართული, ასევე ორმხრივად მიმართულიც. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი, მ.მ. ბახტინის მსგავსად, მზადაა გამოიყენოს დიალოგის უფრო ფართო განმარტება, რომლის თანახმადაც კომუნიკაციის პროცესი უწყვეტია.

ა.ა. ხოლოდოვიჩი იყო ერთ-ერთი პირველი ლინგვისტი, რომელმაც ყურადღება მიაპყრო პიროვნებათაშორისი ურთიერთობისა და მასობრივი კომუნიკაციის გამიჯნვის აუცილებლობას. ამ დაპირისპირებას უზრუნველყოფს მიმღების ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა ერთეულობა /კოლექტიურობა.

კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომელიც გავლენას ახდენს სამეტყველო ქცევაზე, ა.ა. ხოლოდოვიჩის აზრით, არის კონტაქტურობა (მოსაუბრის დანახვისა და მოსმენის შესაძლებლობა) ან სამეტყველო აქტის დისტანტურობა. ავტორი ამ

კრიტერიუმს იღებს იქიდან გამომდინარე, რომ კონტაქტურ სამეტყველო აქტში ინფორმაცია გადაეცემა არა მხოლოდ ვერბალურად (ფონეტიკური, სინტაქსური, ლექსიკური საშუალებების მეშვეობით), არამედ ისეთი პარალინგვისტური საშუალებებით, როგორიცაა ჟესტი, მიმიკა, გამოხედვა, პირისპირ ყოფნა, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა თუ შეუძლებლობა არსებითად ცვლის წარმონაქმნის ხასიათს. ეს კრიტერიუმი მნიშვნელოვანია ელექტრონული დისკურსის ანალიზისას, რადგან კომუნიკაციის პროცესში მომხმარებლები ვერ ხედავენ ერთმანეთს და არც ესმით ერთმანეთის – მათი შესაძლებლობები შეზღუდულია ტერმინალით (ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით) და ჩატის ხილული ველით მონიტორის ეკრანზე. ამის შედეგად ფონეტიკური კომპონენტის, ასევე მიმიკის, ჟესტებისა და პროქსემიკის რეალიზაციის შეუძლებლობა აიძულებს კომუნიკანტებს გააქტიურონ გამოხატვის უკვე არსებული საშუალებები და მოძებნონ ახალი საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ვერბალური და პარალინგვისტური საშუალებების კომპენსირება, რომელთა არარსებობა განპირობებულია კომუნიკაციაში გრაფიკული სუბსტანციის გამოყენებით.

ვაჯამებთ რა შედეგებს, საჭიროა აღინიშნოს, რომ როგორც იაკუბინსკიმ, ასევე ხოლოდოვიჩმა გააანალიზეს კომუნიკაციური აქტის ექსტრა- და პარალინგვისტური მდგენელები და გამოავლინეს პარამეტრები, რომელთა მადეტერმინირებელი გავლენა იჩენს თავს დისკურსის ყველაზე ტიპურ სიტუაციებში.

წერის მკვლევარების უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ წერა გენეტიკურად მეორეულია ზეპირმეტყველებასთან შედარებით. ამ თვალსაზრისს იზიარებდნენ, კერძოდ, ვ. ფონ-ჰუმბოლდტი, ი.ა. ბოდუენ დე კურტენე, ი. ვაჰეკი, დ. ნერიუსი, ლ.ვ. შჩერბა, ლ.რ. ზინდერი.

ლ.რ. ზინდერი წერის წარმოქმნის პრობლემის განხილვისას მივიდა სამართლიან დასკვნამდე, რომ წერა წარმოიქმნა როგორც მეორეული ნიშნადი სისტემა, რომელიც ემსახურება აკუსტიკური მეტყველების ფიქსაციას, თუმცა შემდგომში იგი განვითარდა დისკურსის დამოუკიდებელ ნაწილად.

თუ საკითხი იმის შესახებ, მეტყველების რომელი ფორმა – ზეპირი თუ წერითი არის გენეტიკურად პირველადი, ზედაპირზეა პასუხი ზეპირი მეტყველების სასარგებლოდ, ენობრივი ოჯახების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე გამოხატვის ამა თუ იმ ფორმის ფუნქციური პირველადობის საკითხს ლინგვისტები სხვადასხვაგვარად უდგებიან. მიუხედავად იმისა, რომ წერა ჩამოყალიბების პროცესში დამხმარე როლს ასრულებდა კომუნიკაციაში, შეიძლება დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ XX საუკუნის 70-იან წლებამდე სწორედ მას ეკუთვნოდა ფუნქციური და სოციოკულტურული პრიორიტეტი. თანამედროვე საზოგადოების წევრისთვის წერილობითი ენის ნორმების ფლობა

სავალდებულო პირობა გახდა ამ საზოგადოებაში წარმატებული სოციალური და პროფესიული ინტეგრაციისათვის. გამოხატვის წერითი ფორმა უცვლელად გვხვდება ცხოვრების ყველა სფეროში და წერითი ურთიერთობების წესების ცოდნის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებასთან ადამიანის სრულფასოვანი ურთიერთქმედება. თუმცა, ბოლო დროს შეინიშნება წინსვლა მეტყველების ამ ფორმების თანაფარდობაში: ზეპირი მეტყველება ხდება წერითი მეტყველების სრულუფლებიანი ალტერნატივა. თუ ადრე ტექსტის კითხვა რადიოთი ან ტელევიზიით იყო არა მხოლოდ ნორმალური, არამედ სასურველიც, დღეს ზეპირი მეტყველება ფასდება არა ნორმატიული წერითი მეტყველების პრიზმიდან, არამედ მისი კომუნიკაციური წარმატებულობის მიხედვით. ამის შედეგად ზეპირი შეტყობინებების შეფასებისას მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ხდება სპონტანურობა, გულწრფელობა, ინტერაქტიურობა. მსგავსი ტენდენცია იჩენს თავს ბეჭდური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რომელთათვისაც ბოლო წლებში დამახასიათებელი გახდა წერილობით ტექსტებში დიდი ოდენობით ზეპირმეტყველებითი მოდელების შემოღება.

და ბოლოს, ოპოზიციის ზეპირი/წერილობითი ანალიზის მესამე ასპექტი – ეს არის საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა მეტყველების ეს ორი ფორმა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, ან პირიქით, ერთ-ერთი დამოკიდებულია თუ არა მეორეზე. არსებობს ორი თვალსაზრისი ამ პრობლემასთან დაკავშირებით. პირველი თვალსაზრისის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ წერა და ზეპირი მეტყველება ერთმანეთთანაა დაკავშირებული, რის არგუმენტად მათ მოჰყავთ თეზისი იმის შესახებ, რომ „მხოლოდ ჟღერადი სიტყვა არის ერთგვარი აზრის ხორცშესხმა, წერა – ჟღერადობის ხორცშესხმაა“.

ლინგვისტები, რომლებიც საპირისპირო თვალსაზრისს ემხრობიან, მიიჩნევენ, რომ წერითი და სამეტყველო ფორმები არსებითად განსხვავებული ენებია.

აკადემიკოსი ნ.ი. კონრადი განიხილავს ზეპირი და წერითი მეტყველების ოპოზიციას ენის არსებობის შესახებ თავისი თეორიის ჭრილში. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ ნებისმიერი სამეტყველო აქტი აუცილებლად მოიცავს ორ მხარეს – გამოხატვას და აღქმას, იგი აღნიშნავს, რომ ისინი შეიძლება „განხორციელდეს სხვადასხვა გზებით: 1) საუბრისა და მოსმენის გზით, 2) წერისა და კითხვის გზით“. ამის შედეგად, იგი გამოჰყოფს ენის არსებობის ორ გამოვლინებას – ენების წერითი და ზეპირი ფორმებით არსებობას.

უფრო ერთმნიშვნელოვნად სცემს ამ კითხვაზე პასუხს ა.მ. პეშკოვსკი და ა.ა. ლეონტიევი, რომლებიც წიგნიერებას (ანუ წერითი მეტყველების ფლობას) ბილინგვიზმის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევენ. ორივე ლინგვისტი თანხმდება იმაზე, რომ ზეპირი და წერითი მეტყველება არსებობს ერთმანეთის პარალელურად და მუდმივად ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე, თუმცა,

ბუნებრივი ბილინგვიზმისგან განსხვავებით, წერითი მეტყველება არასოდეს არ არის მისი მატარებლისთვის „მშობლიური“. ზეპირი და წერითი მეტყველების ფორმების შედარების ანალიზის სხვა ასპექტია ის, რომ ზეპირმეტყველებას გააჩნია დროში შეუქცევადი, დინამიური ხასიათი. თუ მოსაუბრე შენიშნავს, რომ არასწორად ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება, მას შეუძლია მისი ფორმულირების შეცვლა, ოღონდ წინსვლით. მოსაუბრისგან განსხვავებით, დამწერს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია დაუბრუნდეს ტექსტის დასაწყისს და შეიტანოს მასში ცვლილებები, თუ ეს აუცილებელია.

დასკვნა

ზეპირი და წერითი მეტყველების შედარებისას აუცილებელია ასევე აღინიშნოს, რომ ზეპირი კომუნიკაციის პროცესში გადაცემული ინფორმაცია იქმნება სხვადასხვა საშუალებებით, რომელთა კომბინატორიკა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ღია ხასიათის მქონე. ვერბალურ დონეზე შეინიშნება ლექსიკურ-სინტაქსური და ფონეტიკური კომპონენტების ურთიერთქმედება, საკომუნიკაციო დონეზე - ვერბალური (ლინგვისტური) და პარალინგვისტური საშუალებების ურთიერთქმედება. ზეპირი შეტყობინებების აღქმაც კომპლექსურად ხორციელდება. იმდენად, რამდენადაც ჩატებში ურთიერთობა ხორციელდება რეპლიცირების ზეპირმაფორმატებელ რეჟიმში, კომუნიკანტების წინაშე იქმნება უფრო მეტი ოდენობით ვერბალური და პარალინგვისტური საშუალებების გამოყენების აუცილებლობა, ვიდრე გამოიყენებოდა ტრადიციულ წერით მეტყველებაში. ინტერნეტში წარმოებს გამოხატვის იმ დამატებითი საშუალებების მოძიება, რომლებიც მომხმარებლებს მისცემს ჟღერადობისა და „პირისპირ“ კონტაქტის არარსებობის კომპენსირების შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Бахтин М.М. Проблема речевых жанров. В кн.: Собрание сочинений в 7 томах. Т. 5-й. Работы 1940-х - начала 1960-х годов. М.: «Русские словари», 1996, стр. 159-207.
2. Конрад Н.И. О «языковом существовании»; - «Японский лингвистический сборник», М., 1959, стр. 5-16.
3. Леонтьев А.А. Функции и формы речи. Основы теории речевой деятельности / под ред. А.А. Леонтьева. М., 1974.
4. Якубинский Л.П. Язык и его функционирование. Избранные работы / Под ред. А.А. Леонтьева. - М.: Наука, 1986. - 208 с.

5. Холодович А.А. О типологии речи. В кн.: Историко-филологические исследования. Сб. статей к семидесятилетию академика Н.И. Конрада. М.» «Наука», 1967, стр. 202 - 208.

Classification of linguistic formations

Eka Rusieshvili, assistant professor
Georgian Technical University

Summary

The World Internet Network is a new channel created at the end of the XX century. This channel is specific which distinguishes it from both oral and written channel. Among the categorical features of the channel, the role of speech can be created in the chat and it can be distinguished: 1) the channel formatted features; 2) generate used substance. The features of the channel are formatted: 1) prevailing, irreversible process of speech formation; 2) synchronization of opinion and its verbal indication; 3) the immediate-reflexive type of progressive process.

Keywords: channel, chat, oral and written speech, linguistics.

ალექსანდრე ყაზბეგის "ხევისბერი გოჩა"

მამუკა ჭანტურაია, ფილოლოგიის დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

შარშანდელი წელი ალექსანდრე ყაზბეგის საიუბილეო წელი გახლდათ. დაიბადა 1848 წლის 8 იანვარს (დაბადებიდან 170 წელი), გარდაიცვალა 1893 წლის 22 დეკემბერს (გარდაცვალებიდან 125 წელი). ეს წერილიც ამ თარიღებს ეძღვნება.

დიდი ქართველი მწერლის, ალექსანდრე ყაზბეგის, მოთხრობებსა და რომანებში მწერლისდროინდელი საქართველოა აღწერილი. ამ ნაწარმოებთა პერსონაჟები ყაზბეგის ეპოქაში ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ. გამონაკლისია „ხევისბერი გოჩა'', რომელშიც XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, საქართველოში, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის მთიანეთში, მის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, ხევში, მომხდარი ამბავია ხორცშესხმული.

მოთხრობა ე.წ. "სიყვარულის სამკუთხედის'' თემაზეა გაშლილი, რამაც დიდი უბედურება მოუტანა როგორც ახალგაზრდებს, ისე მთელ ამ მხარეს - დაიღუპნენ ახალშექმნილი ოჯახის წევრები, თემის წინამძღოლი, ხევისბერი გოჩა, მისი შვილი ონისე, აგრეთვე, ხევის დამცველი ადამიანები. როგორც მოთხრობაშია ნათქვამი, ხევის დამორჩილება მთიულითის ფეოდალმა, გაუმაძღარმა ნუგზარ ერისთავმა მოისურვა, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე მოხევეები აღდგნენ გულბოროტი მთავრის წინააღმდეგ. ომის მსვლელობის დროს, ხევისბერმა მეტად მნიშვნელოვანი საგუშაგოს დარაჯობა თავის ვაჟს, ონისეს დაავალა, სწორედ იმ დროს, როცა ონისე საგუშაგოსკენ მიდიოდა, თავის სატრფოს, ძიძიას შეხვდა, მასთან თავდავიწყებას მიეცა და მტერი გამოეპარა, რასაც საგუშაგოში მოხევეთა სრული განადგურება მოჰყვა. სამშობლოს ღალატში ძიძიას ქმარი გუგუა დაადანაშაულეს და ხევისბერმა მას თემიდან მოკვეთა გადაუწყვიტა. მაგრამ ონისემ თავისი ბრალი აღიარა და თავზე მამის რისხვა დაიტეხა. როცა განრისხებულმა ხევისბერმა შეატყო, რომ თემის თავკაცებს ონისეს გამართლება უნდოდათ, შვილი საკუთარი ხელით განგმირა, მაგრამ სულიერ ტანჯვას ვერ გაუძლო და ჭკუიდან შეიშალა. გონებაშერყეული გოჩა სოფლის მახლობელ ტყეს შეეხიზნა და ერთ ზამთარს ზვავმა იმსხვერპლა კიდეც. როგორც ალექსანდრე ყაზბეგი მოთხრობის სქოლიოში წერს, მისთვის ეს ამბავი ერთ მოხუცებულ მოხევეს უამბნია, რის საფუძველზეც დაწერა მან „ხევისბერი გოჩა'', რომელიც ქართული პროზის ერთ-ერთი შედევრად ითვლება.

საკვანძო სიტყვები: ხევისბერი გოჩა, ონისე, ძიძია, გუგუა, ნუგზარ ერისთავი. "სიყვარულის სამკუთხედი", სამშობლოს ღალატის ბრალდება, ჩაქოლვა, შვილის განგმირვა, ჭკუიდან შეშლა.

შესავალი

ცეცხლი ანთია ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა თითქმის ყველა უბანში, ყველა მონაკვეთში. ცეცხლი მწერლის ტემპერამენტის, მისი ზღვარდაუდებელი გრძნობების უშრეტი გამონაშუქია. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ყაზბეგის ნაწარმოებები ადამიანის სულიერ განცდათა წვდომის მხრივ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ქართულ ლიტერატურაში. ასე ჭარბად ცოტას თუ გადმოუცია იმდაგვარი უკიდეგანო, გონების დაკარგვამდე მისული ვნებათაღელვა, როგორც ამ დიდებულ შემოქმედს. ყაზბეგის პერსონაჟები მის მიერ ობიექტური გარემოდან ლიტერატურულ სივრცეში შემოყვანილი მხატვრული სახეებია, რომლებიც თავიანთი ხასიათით, ზნით, ბუნებით, ფსიქიკით ჰგვანან და არც ჰგვანან სინამდვილეში მცხოვრებ კონკრეტულ პიროვნებებს.

ყაზბეგის სიყვარული უანკარესი, მაგრამ ამავდროულად, რაც უნდა პარადოქსად მოგეჩვენოთ, რაღაც მღვრიე გრძნობაა, ის უკიდურესობაა, რასაც არც ახსნა აქვს და არც გამართლება. იგი ჯოჯოხეთისკენ მიმავალი ბედისწერაა, ჩინდაკარგული ახალგაზრდების უფსკრულში გადაჩეხვაა. ეს ის სიყვარულია, რომელიც ადამიანებს ცხოვრებას უნგრევს. ვისაც ამ გზაზე ერგო სიარული, ყველა სხვა გზა დახშული აქვთ.

თავად ალექსანდრე ყაზბეგმა, რომელსაც არ ეღირსა სიყვარული, კარგად იცოდა, რომ ამ ადამიანურ გრძნობას ხშირად დიდი ტკივილი ახლავს ხოლმე. მკვლევარები ფიქრობენ, რომ ყაზბეგის თავზეც გადაიჯირითა ასეთმა ქარიშხალმა. მწერლის ახლობლების გადმოცემით, ყაზბეგს ჰყვარებია ერთი ქალი, არა სისხლით ნათესავი, რის გამოც მისთვის ერთი ვაიუშველებელი დაუწევიათ, ქალი კი რომელიღაც თავადისთვის, გვარად ბარათაშვილისთვის, მიუთხოვებიათ. მკვლევრები ფიქრობენ, რომ არ არის გამორიცხული, სწორედ ეს უიღბლო სიყვარულია აღწერილი ყაზბეგის რომანში „განკიცხული''.

ყაზბეგის ქალ-ვაჟები მთებში ლაღად გაზრდილი, მაგრამ მეტწილად, ბედისწერას ატანილი ახალგაზრდები არიან. წაიკითხავ ყაზბეგის ნებისმიერ ნაწარმოებს, გაეცნობი მისი გმირების თავზე გადამსხვრეულ ბედ-იღბალს და ფიქრობ: ნუთუ არ შეიძლებოდა ეს ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო? თუნდაც მის სულისშემძვრელ „ხევისბერ გოჩაში'' მეტი სიმშვიდითა და მეტი დაფიქრებით?

როგორც ცნობილია, ავტორი თხზულების დასასრულს წერს, ეს მოთხრობა ერთმა მოხუცმა მოხევემ სიტყვა-სიტყვით მიამბოო. ზეპირსიტყვიერებაში არსებობს მოთხრობა „ხევისბერი გოჩას'' სიუჟეტის შემცველი, მაგრამ მისგან გარკვეულწილად განსხვავებული, თქმულების რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც ყაზბეგის სიკვდილის შემდეგაა ჩაწერილი. ამ თქმულების მიხედვით, ონისეს მკვლელი გუგუაა. ჩვენ არ ვიცით, როგორი ფინალი ჰქონდა

მოხუცი მთქმელის გაჟღერებულ ფოლკლორულ ვარიანტს, რომელიც ყაზბეგმა მოისმინა. შესაძლებელია, მამის მიერ შვილის მოკვლის თემა ამ ვარიანტში არ იყო და მოთხრობაში მწერალმა საგანგებოდ შეიტანა. თუ ეს ასეა, ცხადია, ყაზბეგს სურდა დაეხატა პიროვნება, რომლის მოულოდნელი საბედისწერო განაჩენი აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და ხევის წინამძღოლის ურყევ მორალისტურ ტენდენციას ეფუძნებოდა.

ძირითადი ტექსტი

უწინარესად, უნდა ითქვას, რომ ონისე პატრიოტულ ოჯახში გაზრდილი ახალგაზრდაა, რომელსაც სამშობლოსთვის თავდადების უპირველეს გრძნობას, ცხადია, პატარაობიდანვე უნერგავდა მისი სახელოვანი მამა. ბუნებრივია, ასე გაზრდილი ყმაწვილი ნამდვილ მამულიშვილად ჩამოყალიბდა, რაც არაერთგზის დაადასტურა თავისი საქმიანობითა და განცხადებებით.

აი, ჩვენი ნათქვამის დამამტკიცებელი ძირითადი მომენტები:

როცა ფშავში წასულმა ონისემ ნუგზარ ერისთავის განზრახვა შეიტყო, დაემონებინა ხევი, მრისხანედ შესძახა: „მანამ ნურასა სჭამს, სანამ ხევი ვერც ამოსწყვიტოს და ვერც ყმად გაიხადოს''. იგი სასწრაფოდ დაბრუნდა თავის მხარეში და მამულის დამცველთა რიგებში ჩადგა.

ონისე იყო ის ვაჟკაცი, რომელმაც სახალხო ყრილობაზე, თემის საერთო გადაწყვეტილება, მტრისთვის საკადრისი პასუხი გაეცათ, ასე გამოხატა: "ერთხელ დაბადებულებს ერთხელ გვინდის სიკვდილი... გავწყდეთ, ხალხო და ცხო ხალხს კი ნუ ვიბატონებთ!''; საგუშაგოდ მიმავალი, მოხევეთა გამარჯვებაში დარწმუნებული ონისე, შემდეგი სიტყვებით გამოეთხოვა ლოცვად შემდგარ ხევისბერს: „ღმერთი მოწყალეა!.. მტერს გავიბრუნებთ და თავად მშვიდობიანად დავრჩებით'';

დაბოლოს, გავიხსენოთ ბრძოლის ველი, სადაც სიკვდილის მაძებარი ონისე გმირობის სასწაულებს ახდენდა და თანამებრძოლთა აღტაცებას იწვევდა.

ახლა რაც შეეხება მამის დამოკიდებულებას შვილისადმი. გოჩასთვის ონისე ერთადერთი უსაყვარლესი შვილი იყო. ვერ ვიტყვით, მამა შვილს მკაცრად ზრდიდა თუ არა, რადგან მწერალი ამის თაობაზე არაფერს ამბობს, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ბუნებით მომთხოვნი გოჩა, ვაჟის ყოველ მოქმედებას თვალს არ აცილებდა; ხევისბერი ონისეს ალერსით არ ანებივრებდა, თვალდასანახად მისადმი არც სიყვარულს ავლენდა, თუმცა უნაზესი მამაშვილური გრძნობით უყვარდა პირმშო.

გოჩა ხედავდა, რომ ონისე ღირსეული ჭაბუკი დადგა, საქმეში ღალატი არ იცოდა, თუ საჭირო იქნებოდა, თემისთვის თავს გაწირავდა. ამიტომ ანდოშვილს უკიდურესად მნიშვნელოვანი საგუშაგო. ეს ყველაფერი ჩვენთვის ცნობილია, ისიც ვიცით, რომ თემის სახელოვანი მეთაური არათუ თვითმხილველი იყო

ყოველივე იმისა, რაც ხევში, მის თვალწინ ხდებოდა, არამედ მოთავეც. არც ის უნდა იყოს საკამათო, რომ მართალია, ავტორი არ გვეუბნება, მაგრამ აშკარაა, გოჩა კარგად ხედავდა ონისეს თავგანწირულ კვეთებას ბრძოლის ველზე, სადაც ხევისბერი, ამჯერად როგორც მხედარმთავარი, მებრძოლებს შორის დროშით ხელში დააქროლებდა თავის ბედაურს და თანამემამულეთა გულებს (მათ შორის ონისეს გულსაც) "ფოლადად უწრთობდა''.

ახლა ის ზარდამცემი სამსჯავრო გავახსენოთ:

როგორც ვთქვით, თემის თავკაცები ონისეს საქციელს ყმაწვილური გატაცებით ხსნიან და მას ხევის გამყიდველად არ მიიჩნევენ. ონისე ქვეყნის გამყიდველი რომ არ არის და არც არასოდეს იქნება, ეს ხევისბერმა კარგად იცის. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ თავისი საქციელით (თუნდაც უნებლიე საქციელით), თანამოძმეებს უღალატა და ამდენი სისხლი კისრად იდო. აი, ამას არ პატიობს მამა შვილს, ამიტომ გმობს და კიცხავს ასე სასტიკად, ამიტომაც მოითხოვს სამაგალითოდ მის დასჯას.

გოჩას არსებაში ერთმანეთს დაუპირისპირდა კანონით დადგენილი, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-სამართლებრივი ნორმა და პირადი ზნეობრივი მოვალეობის გრძნობა. ასევე, ერთმანეთის პირისპირ დადგა ონისეს მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი და მის მიმართ სასჯელის გამოტანის გარდუვალობა. და გოჩამ მიიღო ყოვლად წარმოუდგენელი გადაწყვეტილება - შვილის მიმართ სასიკვდილო განაჩენი.

ვფიქრობთ, მწერალმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო: ხევისბერს, სანამ აღესრულებოდა, გონი წაართვა. წაართვა ის, რითაც ყველაზე მეტად ფასობდა. ავტორს შეეძლო სხვა გზას დასდგომოდა. რაღაც მოქმედებით, რაღაც მიზეზით, ადრევე, იმ საზარელ წუთებშივე, მოესპო მისთვის სიცოცხლე, რაც ბედდაწყევლილი მამისთვის უდიდესი შვება იქნებოდა და იმ მწუხარე ამბავსაც წერტილი უფრო ადვილად დაესმებოდა. მაგრამ ყაზბეგს სხვა მიზანი ჰქონდა. სურდა ეჩვენებინა ის არაადამიანური სადარდებელი, მთელს მხარეს წილად რომ ერგო და ადამიანებს სამარადისოდ მოურჩენელ იარად დარჩათ. აბა, წარმოიდგინეთ სამტვეროს ტყეში ჩასახლებული გოჩა, წარმოიდგინეთ ის კოშმარული დღეები, რომელთა გაგება, მისდა ბედად, მოხუცს, თავისი მდგომარეობის გამო, არ შეეძლო. თუმცა იყო წუთები, როცა მისი სნეული გონების რომელიღაც ბნელ კუნჭულში სინათლის რაღაც წინწკალი გაკრთებოდა. ეს მაშინ ხდებოდა, როცა მოეჩვენებოდა, რომ გამვლელ-გამომვლელები, რომლებსაც შვილზე კითხვებით არ ასვენებდა, ონისეს ამბავს არ ეუბნებოდნენ, უმალავდნენ და გაუბედურებული მამა საზარელ ღრიალს იწყებდა.

ამაზრზენია როგორც თანასოფლელებისათვის, ისე ჩვენთვისაც, ამგვარი ხევისბერის ხილვა. ამიტომ, როგორ იოლ ნათქვამადაც უნდა მიიჩნიოთ, ყველა ჩვენგანისთვის შვების მომგვრელია მისი სიკვდილი, უფრო ადვილად

გადასატანი ამ სიკვდილით გამოწვეული ადამიანური სევდა.

საკვირველი მთხრობელია ყაზბეგი. შეიძლება სიტყვა „მთხრობელი'' შეუსაბამოდაც კი მოგვეჩვენოს, როცა ყაზბეგის ენაზეა საუბარი. აბა, დააკვირდით მის მონათხრობს. ამბავს კი არ ჰყვება, როგორც, ჩვეულებრივ, ხდება ხოლმე, ამბავს ხატავს და ასე ნახატებით გადმოგვცემს სათქმელს.

დასკვნა

გულისტკივილით, თან აღტაცებით ვხურავთ თხზულებათა ერთტომეულს, რომელშიც ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩაა'' დაბეჭდილი. ამ წერილს კი შვილისათვის მამის ადრე ნათქვამი სიტყვებით ვამთავრებთ. როგორც გვახსოვს, ეჭვებით შეჭირვებულმა მოხუცმა გონებადაფანტულ ვაჟს თავდაპირველად მათი გვარის ღირსებაზე ჩამოუგდო სიტყვა და მისი გაფრთხილების აუცილებლობაზეც მიანიშნა (სამწუხაროდ, ბედის ირონია ისიცაა, რომ ხევისბერს, რომელსაც ასე ესახელებოდა თავისი გვარი, მემკვიდრე აღარ დარჩა).

ჩვენი დროის ადამიანებმა ყური უნდა დავუგდოთ ბრძენი მოხუცის პირით ნაან-დერძებ ყაზბეგის შეგონებას მკაცრს, გამაფრთხილებელს, მაგრამ, ამავე დროს, მავედრებელს, მღაღადებელს, რომელიც, აგერ, უკვე რამდენი წელია, თაობიდან თაობას გაუბზარავად გადაეცემა და ვალდებულს გვხდის, ფეხშეუშლელად მოვყვეთ მას: „გვახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი!..''

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, თბილისი, 1985.
2. გ. აბზიანიძე, ქართველი კლასიკოსები, თბილისი, 1950.
3. არისტოტელე, რიტორიკა, თბილისი, 1981.
4. დ. ბენაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, თბილისი, 1939.
5. გრ. კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1978.

Aleksandre Kazbegi "Khevisberi Gocha"

Summary

In the stories and novels written by the prominent Georgian writer Aleksandre Kazbegi is depicted Georgia at his times. The characters of his works lived and worked in Kazbegi's epoch. The only exception is "Khevisberi Gocha", in which is embodied the story taking place at the turn of the 16th-17th centuries in Georgia, in particular in our mountainous region, one of the most beautiful corners of Georgia, Khevi.

The story is based on the love triangle, which brought many misfortunes to the youth as well as to the whole region – died newly married couple, community leader, Khevisberi Gocha, his son Onise, as well as the defenders of the community.

As it is said in the story, feudal lord of Mtiuleti, greedy Nugzar Eristavi tried to subjugate the community of Khevi but freedom-loving people of Khevi declaimed against the evil leader. During the process of war, Khevisberi charged his son Onise with guarding the post, when he was approaching the post, he met his love Dzidzia and forgot about everything, it resulted in destroying everyone and everything at the post. Gugua, the husband of Dzidzia, was blamed for the betrayal of the country and the leader decided to exclude him from the community. Onise confessed that it was his fault and overtook his father's wrath on him. When the Khevisberi heard that other leaders of the community wanted to justify Onise, he killed his son, but he could not withstand the spiritual torture and become demented. Senseless Gocha ran away into the forest and became the victim of avalanche.

As Aleksandre Kazbegi writes in the scholium, he was told this story by one of the old Mokheve, based on the story told by the old man, he wrote "Khevisberi Gocha", which became one of the masterpieces of the Georgian prose.

ქართული პოლიტიკური რომანტიზმი და გულუბრყვილობა გორბაჩოვის დოქტრინის წინააღმდეგ

ლიანა ჭიღლაძე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ქართული პოლიტიკური რომანტიზმი მკვეთრად ნეგატიური შედეგების მომტანია ქვეყნისათვის. პოლიტიკური რეალიზმის დროს კი, მისი წარმომადგენლები ჯერ ნიადაგს ამზდებენ დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად და შემდეგ - ელოდებიან იმ დროს, როდესაც შესაძლებელი იქნება ამ ბრძოლის დაწყება.

სამწუხაროდ, საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაიწყო არა ნიადაგის შემზადების შემდეგ და დიდი სიფრთხილით, არამედ რადიკალურად, შეუპოვრად და რეალურ საფრთხეთა გაუთვალისწინებლად. თავშივე არ იქნა გათვალისწინებული „პერესტროიკის“ მამამთავრის, მ. გორბაჩოვის საყოველთაოდ ცნობილი „სამხედრო დოქტრინა“ და შემდეგ საკავშირო ტელევიზიით აცხადებული მისი გამოთქმა, რომ „საბჭოთა კავშირიდან გასვლა საქართველოს შეუძლია, ოღონდ აფხაზთისა და ოსეთის გარეშე“, რაც ღიად გამოხატვადა რუსეთის იმერიულ ზრახვწბს საქართველოსთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური რომანტიზმი, პოლიტიკური რეალიზმი, გადაჭარბებული შეფასება, სამხედრო დოქტრინა, ნეგატიური შედეგი.

შესავალი

ეთნოკონფლიქტი ისეთი მოვლენაა, რომელიც ყველა ქვეყანასა და ყველა ეპოქაში შეიძლება გამწვავდეს. თანაც, მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ განვითარების რა დონეზე დგას ესა თუ ის სახელმწიფო. ეთნოკონფლიქტის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა კი შეუძლებელია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალ რეალობას სრულიად მოუმზადებელნი შეხვდნენ ქართველი ჟურნალისტები, მძლავრი საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა, საბჭოთა აგიტაციის გარდა, იმპერიაში შემავალ რესპუბლიკებს არ აძლევდა საშუალებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განევითარებინათ თავიანთი ჟურნალისტური სკოლა, ან მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აემაღლებინათ კვალიფიკაცია. ასევე არ იყო ხელმისაწვდომი შესაბამისი ლიტერატურა, რომელიც დაეხმარებოდა ქართველ ჟურნალისტს მიუკერძოებლად და შესაბამისი მოთხოვნების დაცვით განეხორციელებინა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1987 წლიდან, საქართველოში დამო-

უკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით ფართომასშტაბიანი გამოსვლები დაიწყო. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება „პერესტროიკის“ მამამთავრის, მიხეილ გორბაჩოვის ცნობილი **„სამხედრო დოქტრინა“** და შემდგომ, საკავშირო ტელევიზიით გაცხადებული მისი ცნობილი გამოთქმა, რომ **„საბჭოთა კავშირიდან გასვლა საქართველოს შეუძლია, ოღონდ აფხაზეთისა და ოსეთის გარეშე“,** რაც ერთმნიშვნელოვნად და ღიად გამოხატავდა რუსეთის იმპერიულ ზრახვებს საქართველოსთან მიმართებაში.

ამ განცხადების საპასუხოდ იმდროინდელ მედიაში, განსაკუთრებით კი, ცენტრალურ გაზეთებში არაერთი სტატია დაიწერა, სადაც ავტორები კომ-პეტენტურად და შეუნიღბავად ასახავდნენ და აანალიზებდნენ რეალობას. მაგალითად, 1991 წლის 3 აპრილის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ პოლიტოლოგი გიგა ბურდული თავის ვრცელ წერილში „გორბაჩოვის დოქტრინა“ საფუძვლიანად მიმოიხილავს რუსეთის პოლიტიკის შორს-მიმავალ და გამიზნულ გეგმებს და გვთავაზობს მოვლენათა განვითარების რეალურ სურათს. გიგა ბურდულის თქმით, **„გორბაჩოვის დოქტრინისათვის განმსაზღვრელია ის ფაქტორი, რომ იმპერიამ განაგრძოს არსებობა რამდე-ნადმე შეკვეცილ ფარგლებში და მის შემადგენლობაში შემავალი რესპუბ-ლიკები მხოლოდ შეზღუდული სუვერენიტეტით სარგებლობდნენ. ხოლო თუ რომელიმე „სუვერენული“ რესპუბლიკა ზედმეტად გალაღებას მოინდომებს, მას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ადრე იყო ბუდაპეშტი, პრაღა, სულ ახლახანს კი, ორიოდე წლის წინ იყო თბილისი, ბაქო, ვილნიუსი...**

ერთი სიტყვით, გორბაჩოვის დოქტრინა უკვე მოქმედებს და ისტორიაში სათანადო ადგილს დაიმკვიდრებს“.

ძირითადი ნაწილი

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის დაწყებისთანავე, ისტორიულ და დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით, ქართულ პრესაში არაერთი წერილი იბეჭდება, რომელთა ავტორებიც გვახსენებენ, თუ როგორ დაკარგა საქართველომ დამოუკიდებლობა მეოცე საუკუნის დასაწყისში. მაგალითად, გრიგოლ ჟვანიას წერილში - **„როგორ მზადდებოდა საქართველოს ოკუპაცია“,** მთელი სისრულითაა წარმოდგენილი საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ 1918 წლის 26 მაისს შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისათვის მზადების მთელი ისტორია.

ქართულ-ოსური კონფლიქტის გაჩაღებაში იმთავითვე ნათლად და დაუფარავად ჩანდა რუსეთის ხელი. ამ თემის ირგვლივ ქართული მედია უდიდეს ყურადღებას აქცევდა ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების შეფასებებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რუბრიკაში „საზღვარგარეთ“

ყოველდღე იბეჭდებოდა ნათარგმნი წერილები უცხოური პრესიდან. ერთ-ერთ მათგანში - „ამერიკული პრესა სამაჩაბლოს შესახებ“, ნათქვამია: **„-ნიუ-იორკ ტაიმსში“ დაიბეჭდა ფრენსის კლაინის სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ოსები ამბობენ, ჩვენთვის პრობლემა არ არის ნებისმიერი იარაღის შესყიდვა საბჭოთა ჯარისკაცებისაგან, რომლებიც პრეზიდენტმა გორბაჩოვმა გამოგზავნა ცხინვალის რაიონშიო“.** ამავე სტატიაში ნათქვამია, რომ **„საქარ-თველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ოსების წაქეზებაში მოსკოვს ადანაშაულებს. იგი ამბობს, რომ „მოსკოვი გვსჯის იმის გამო, რომ უარი ვთქვით საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობაზე და ხელი არ მოვაწერეთ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. გვსჯის იმის გამო, რომ დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვით...ისინი ოსებს აძლევენ ახალ ტექნიკას, რაკეტებს, იარაღს...“**

კონფლიქტის დაწყებიდან 2008 წლის აგვისტოს ომამდე გაზეთ „საქარ-თველოს რესპუბლიკის“ ყოველ ნომერში უცვლელად გვხვდება რუბრიკა: „ვითარება სამაჩაბლოში“, რომელიც ამცნობს მკითხველს ცხინვალის რეგი-ონში არსებულ საომარ ვითარებას. ამ წერილებში კონფლიქტის გამჩაღებლის როლში ისევ მკაფიოდ იკვეთება რუსეთი: **„ცხინვალში სსრ კავშირის სხვადასხვა რეგიონიდან კვლავ გრძელდება სამხედრო ტექნიკის და შინაგანი ჯარების შემოყვანა. ოსმა სეპარატისტებმა კვლავ შეუტიეს ქართულ სოფლებს. 4 აპრილს ცეცხლი დაუშინეს სოფელ ნიქოზს, რაკეტები დააყარეს თამარაშენს...“**

ქართულ-ოსური კონფლიქტის თემაზე წერენ პოლიტოლოგები, სამხედრო ექსპერტები, ჟურნალისტები. ჟურნალისტ გივი ბორცვაძის წერილში „სად არის სიმართლე?“ დაძაბულობის მთავარ მიზეზად დასახელებულია ოსთა ლიდერის სამოქმედო ლოზუნგი - **„სამხრეთ ოსეთი ალანების მიწა-წყალია!“**

გაზეთში გვხვდება სხვა ავტორთა წერილები, რომლებიც დაუფარავად აღწერენ და შეფასებას აძლევენ ამ ომს და ეს სათაურებშიც ჩანს. მაგალითად **„სამაჩაბლო ბანდიტებისა და ჯარების ალყაში“, „გამაგრდით, ქართველებო!**“ და სხვა.

მარტო აქ წარმოდგენილი ფაქტებითაც თუ ვიმსჯელებთ, ქვეყანა კონფლიქტების დასაწყისშივე რეალურად დგას ტერიტორიების დაკარგვის წინაშე და საჭიროა პოლიტიკოსთა მიერ ქვეყნისთვის თავსდატეხილი გან-საცდელის მეცნიერულ დონეზე შესწავლა, გაანალიზება და მხოლოდ ამის შემდეგ შესაბამისი, პრაგმატული ქმედება. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამ პერიოდისათვის უკვე იშლება ძველი ეკონომიკური კავშირები და საქარ-თველოს მოსახლეობას პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ერთად თავს ატყდება გაუსაძლისი ყოფითი პრობლემები - შიმშილი, სიცივე, უშუქობა... ანუ ასე, სამი ათეული წელია, ქვეყანაში ნაბიჯ-ნაბიჯ, უდიდესი ადამიანური დანაკარგებისა და ტკივილის ფონზე სრულდებოდა „ გორბაჩოვის დოქტრინა“...

ქართველი პოლიტიკოსების გულუბრყვილობა არაერთი მეცნიერისა და მოაზროვნის კვლევის საგანი ყოფილა.

ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორიის მკვლევარი, ამბობდა, რომ **„ქართულ პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა“.**

უახლესი ისტორიის განმავლობაშიც პოლიტიკური გულუბრყვილობა აღმოჩნდა ევროპისა და ამერიკისაგან დახმარების გაწევის მოლოდინი საქართველოსათვის (თუ არ ჩავთვლით ჰუმანიტარულ დახმარებას), რომ დასავლეთი უპირობოდ, ყველა შესაძლო საშუალებით დაეხმარებოდა და დაიფარავდა საქართველოს რუსეთის იმპერიალისტური ძალების აგრესიისაგან...

დამოუკიდებლობის მოთხოვნის დასაწყისშივე ქართული პრესა გარკვეულ ყურადღებას უთმობს და იმედით იყურება დასავლეთისაკენ. პოლიტიკური **მიმომხილველი პაატა ცინცაძე** თავის წერილში „ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია“ - საჯაროდ აცხადებს, რომ - **„ზვიად გამსახურდიამ იმედი გამოთქვა, რომ დასავლეთი მორალური და ეკონომიკური დახმარების გარეშე არ დატოვებს ჩვენს რესპუბლიკას, რომელსაც თავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლაში ყოველმხრივი მხარდაჭერა სჭირდება“ .**

როგორც ჩანს, პოლიტიკური გულუბრყვილობა ყოველთვის იყო დამახასიათებელი ქართველი პოლიტიკოსებისათვის. მკვლევარმა კიტა აბაშიძემ მე-19 საუკუნის ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ორი მიმართულება გამოჰყო და მათ პირობითად **„პოლიტიკური რომანტიზმი“ და „პოლიტიკური რეალიზმი“ უწოდა.**

მეცნიერის განმარტებით, პოლიტიკური რომანტიზმის წარმომადგენლები სწუხდნენ სამშობლოს ბედზე და მიზნად ისახავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, მაგრამ, რაც მთავარია, ისინი არასწორად აფასებდნენ თავიანთ შესაძლებლობას და გარდაუვალი იყო მათი დამარცხება.

ქართველი ჟურნალისტების უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ პრესის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა წერილები, რომლებშიც გაანალიზებული იყო არსებული საზოგადოებრივ- პოლიტიკური ვითარება და ის საფრთხეები, რომელთა წინაშეც იდგა ჩვენი სახელმწიფო, მაგრამ პოლიტიკური რომანტიზმი, ვიდრე მკაცრი რეალობის გათავისება და განსჯა, უფრო მომგებიანი აღმოჩნდა მოსასმენად... ყოველივე ამის გააზრება იძლევა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ **პოლიტიკური რომანტიზმი, როგორც თანამედროვეთა მოლოდინების საკვები, არ ასახავს არსებულ რეალობას და მისი შედეგები მკვეთრად ნეგატიურია ქვეყნისათვის.**

უკეთესი იქნებოდა, პოლიტიკურ რომანტიზმზე მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში რომ გვემსჯელა, მაგრამ დღესაც, საზღვრებმორღვეული საქართველოს ფონზე, ისევ იგივე ხდება. მაგალითად, 2018 წლის

ზაფხულში ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ დაეხმარება საქართველოს თავდაცვას... ეს კი ნაცადი ხრიკია, რომელსაც ისევ წამოეგო არაერთი და ააგეს მოლოდინები, რაც არის წამგებიანი, ანუ დიდი ხანია, ერთსა და იმავე წრეზე, **პოლიტიკური რომანტიზმის კარუსელზე ტრიალებს ქართული პოლიტიკა.**

პოლიტიკური რეალიზმის მიმდევრები კი, რომლებიც რეალურად აფასებენ ვითარებას, კიტა აბაშიძის განმარტებით, ორ ნაწილად იყოფიან:

1. პირველი ნაწილი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას არარეალურად მიიჩნევს და ქვეყნის დამამხობელთან შეგუებას ამით ამართლებს;

2.მეორე ნაწილი კი, ნიადაგს ამზადებს დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად და ელოდება იმ დროს, როდესაც შესაძლებელი იქნება ამ ბრძოლის დაწყება.

რეალური ადამიანური და ეკონომიკური რესურსებიდან გამომდინარე, ისტორიული ფაქტების გაანალიზებით, საქართველოსთვის ვფიქრობთ, უპრიანია პოლიტიკური რეალიზმის მეორე ნაწილი.

დასკვნა

პრესაში გამოქვეყნებული წერილების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ასპექტები:

1.ქართულმა საზოგადოებამ ხელისუფლებასთან ერთად, სახელმწიფოებრივი მართვის გამოცდილების უქონლობის გამო ჯეროვნად ვერ შეაფასა და გააანალიზა ის საფრთხეები, რომლის წინაშეც აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ;

2.გამოიჩინა ზედმეტი მოლოდინი დასავლეთის ქვეყნების მიმართ;

3. გადაჭარბებულად შეაფასა საკუთარი პოლიტიკური შესაძლებლობები;

4.დაეყრდნო მხოლოდ ცალმხრივ სასურველ სამომავლო ხედვას;

5. დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლა დაიწყო არა ნიადაგის შემზადების შემდეგ და დიდი სიფრთხილით, რაც აარიდებდა უდიდეს ადამიანურ მსხვერპლს და ნგრევას, არამედ - რადიკალურად, შეუპოვრად და რეალურ საფრთხეთა გაუთვალისწინებლად.

ქვეყანაში წარმოქმნილი ეთნო თუ სხვა, ნებისმიერი სახის კონფლიქტი, როგორც წესი, ადრე თუ გვიან, უნდა გადაიჭრას ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით, მაგრამ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზები აქ, საქართველოში კი არ არის საძებნი, არამედ, მისი სათავე მეზობელ ქვეყანაში მდებარეობს, რომელმაც შეძლო შეცდომაში შეეყვანა საერთაშორისო თანამეგობრობა და თავისი მოქმედება პოლიტიკური კონფლიქტის დარეგულირებისა და ადამიანის უფლებების

დაცვის მცდელობად წარმოეჩინა. ამიტომაც ეს კონფლიქტები ათეულწლობით გაჭიანურდა.

ლიტერატურა

1. ბურდული გ., „გორბაჩოვის დოქტრინა“ – გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 0,.04.1991;
2. ჟვანია გ., როგორ მზადდებოდა საქართველოს ოკუპაცია, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.
3. აბაშიძე კ., პოლიტიკური რომანტიზმი, გაზეთი „ივერია“, N1.
4. ცინცაძე პ., ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.
5.

Georgian political romanticism and naïve against Gorbachev's doctrine

Liana Chigladze, Doctor of Social Sciences
Georigian Technical University

Summary

Georgian political romanticism is largely attributed to negative consequences for the country, while what the representatives of political realism do is create a foundation for the fight for independence, and then wait for the right time to start this fight.

Unfortunately, the fight for independence started, in Georgia, not with laying the foundation first, but radically, without assessing the real risks. The “Military Doctrine” of M. Gorbachev, the expeditor of “Perestroika”, and his statement, that “Georgia is free to leave the Soviet Union, but not with Abkhazia and Ossetia”, expressing the desires of Russian empire towards Georgia, were not taken into account.

Key words: political romanticism, political realism, excessive assessment, military doctrine, negative result.

რას ნიშნავს ბილინგვური განათლება და რამდენად მისაღებია იგი ჩვენთვის

ნინა კაკიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბილინგვური სწავლების პრობლემა. ბილინგვურ სწავლებაში სპეციალისტები ხედავენ ბევრ დადებით მხარეს, მაგრამ არიან სკეპტიკოსებიც, რომელთა აზრი თბილინგვური სწავლება საზიანოა ბავშვის ფსიქოლოგიისთვის.

სტატიაში გატარებულია აზრი, რომ ბილინგვური სწავლება, თანამედროვე მეთოდურ სტატიებში აღრეულია უცხოენის სწავლების კურსის ინტენსიობაში; ხოლო ეთნიკური უმცირესობების სწავლების ენის თემა საგანმანათლებლოსთან ერთად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსაც უკავშირდება.

საკვანძო სიტყვები: ბილინგვური განათლება, ენობრივ-ეთნიკური უმცირესობები, განათლების პოლიტიკა, მონოლინგვური მეთოდი, მოტორული უნარი, ფსიქოლოგიური პრობლემა, ინდივიდის კარიერა.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო წინა საუკუნეებთან შედარებით სრულიად განსხვავებული რეალობის წინაშე დგას: არნახული მასშტაბები შეიძინა მოსახლეობის დროებითმა თუ სამუდამო მიგრაციებმა, რომელთა მიზეზი სხვადასხვაა, ეკოლოგიური ფაქტორებიდან დაწყებული სამხედრო-ეკონომიკურით დამთავრებული. ცხადია, ამ მოძრაობას არა მხოლოდ გადაადგილებულ მასაში, არამედ ადგილებზე დარჩენილთა შორისაც ერთზე მეტი ენის სწავლის აუცილებლობა უჩნდება. პირადი წარმატებისა და კომფორტისათვის ადამიანები საჭიროებენ, ერთი მხრივ, მშობლიურ ენაზე თვითგამოხატვის შესაძლებლობას, და, მეორე მხრივ, რაც შეიძლება ფართო კონტაქტების გამოყენების პირობებს, რაც ენობრივი ბარიერის არსებობამ უნდა უზრუნველყოს. ამიტომაცაა, რომ საგანმანათლებლო სისტემა თავისი მუშაობის დაგეგმარებისას, ნებისმიერ ქვეყანაში, სკოლებში სახელმწიფო ენის გარდა გეგმავს სულ ცოტა მეორე ენის-საერთაშორისო სივრცეში გამოსაყენებელი ენის-სწავლებას; ამასთან სახელმწიფოთა უმრავლესობას დაშვებული აქვს 4-5 ბავშვის შეკრების შემთხვევაშიც კი მშობლიური ენის შემსწავლელი კურსის დაფინანსება ენობრივ-ეთნიკური უმცირესობებისათვის. ამგვარმა მიდგომამ და საჭიროებებმა დღის წესრიგში დააყენა მეთოდოლოგიური საკითხები, მათ შორის: რა ასაკიდან შეიძლება შევთავაზოთ ბავშვს მეორე (ზოგჯერ მესამეც) ენის სწავლა. რა არის მეორე ენა ეთნიკური უმცირესობისათვის, რომელსაც

სახელმწიფო ენის ცოდნა პირველ რიგში ესაჭიროება და მოეთხოვება კიდეც? როგორი ინტენსიობით უნდა მიეწოდოს მოსწავლეს (სწავლების საფეხურის გათვალისწინებით) უცხო ენა, მეორე ენა, მშობლიური ენა და ა.შ. ამგვარი შეკითხვების რაოდენობა უსასრულოდ შეიძლება გაიზარდოს, და როგორც ვხედავთ, სამეცნიერო ანალიზის საფუძველზე მიწოდებული რეკომენდაციების გარეშე საგანმანათლებლო სისტემა ამ სფეროში წარმატებით მუშაობას ვერ შეძლებს.

ძირითადი ტექსტი

განსაკუთრებით დიდი დისკუსიები მოჰყვა ე. წ. ბილინგვური სწავლების შემოღებასთან დაკავშირებულ პროექტებს. მსჯელობა არა ერთი ქვეყნის სამეცნიერო წრეებში გაიშალა და გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი მოსაზრება;

ა) ბილინგვური განათლების შემოღებაში დადებით მომენტად შეფასდა:

1. ადრეულ ასაკში ბავშვები უფრო ადვილად იმახსოვრებენ მეორე ენის ნიუანსებს, რაც მომავალში მესამე, მეოთხე და სხვ. ენების შესწავლას გააადვილებს, რადგან მეტ საერთოს დაინახავს ნაცნობ და ახალ მასალაში;
2. გლობალიზაციის პირობებში ენების ცოდნას პრაქტიკული სიკეთე მოაქვს;
3. ზოგი თვალსაზრისით, ორენოვანი ბავშვების ინტელექტუალური კოეფიციენტი აღემატება მონოლინგვა ბავშვის IQ-ს;
4. ორენოვანი ბავშვი უფრო ტოლერანტულია სხვა კულტურების მიმართ და საკუთარ თავსაც უკეთ გამოხატავს, რადგან სიტყვას მეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

ბ) ნაკლად ჩაითვალა:

1. თუ ბავშვს არ გამოსდის მეორე ენის შესწავლა, ფსიქოლოგიური განცდების გამო შეიძლება მშობლიურ ენაზეც დაუბრკოლდეს საუბარი;
2. ორენოვანი განათლება უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე ჩვეულებრივი;
3. ბილინგვა ადამიანი კარგავს ეროვნულ იდენტობას, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ტრადიციული განათლების მომხრეები;
4. თუმცა ბილინგვური განათლება უკვე საყოველთაო პრაქტიკაში დაინერგა, მას მაინც იშვიათად მიმართავენ და აფინანსებენ; პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური და ნიჭიერი პედაგოგების ნაკლებობაც.

საქართველოს აქვს ბილინგური სწავლების გარკვეული პრაქტიკა და ჩვენშიც შეიძლება არა მხოლოდ სხვათა გამოცდილებისა და მოსაზრებების კოპირება, არამედ საკუთარი დამოკიდებულების შემუშავება საკვლევი საკითხის მიმართ.[1]

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული

[1] მარიამ გოდუაძე, ბილინგვური სწავლების რამდენიმე თავისებურება, 29 იანვარი, 2019 http://mastsavlebeli.ge/?p=20331

სასწავლო აკადემიური ბადით სომხურ/აზერბაიჯანულ სკოლებში სახელმწიფო (ქართულია) ენა 5-7 საათითა გაწერილი. ამას ემატება საბუნებისმეტყველო საგნები - რომლებიც ბილინგვურად ისწვალება საბაზო საფეხურზე. შვიდი ათასზე მეტმა ეთნიკურად აზერბაიჯანელმა/სომეხმა მოსწავლემ შეძლო და მოიპოვა სტუდენტის სტატუსი. ბოლო ორ წელიწადში 2014/15 სასწავლო წელს დაახლოებით 2500 ეთნიკურად სხვა ეროვნების სტუდენტია ჩარიცხული ბაკალავრიატზე. ამ ყოველივეს კი ხელი სამინისტროს მიერ შექმნილმა პროგრამებმა „ქართული, როგორც მეორე ენა“, „ვასწავლოთ, რათა ვისწავლოთ“ შეუწყო ხელი. ასეთია ოფიციალური ვერსია. მაგრამ ამის გარდა არსებობს პედაგოგთა პირადი დაკვირვებები, რომელსაც ისინი მაინც და მაინც არ ახმაურებენ, რათა სამუშაო საათები და ძლივსმოპოვებული დაფინანსება არ დაკარგონ. აი, რას ამბობენ მასწავლებლები კერძო საუბრებში: საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, 1990 წლიდან, ანუ თითქმის 30 წელია ხორციელდება არაქართველებისათვის ქართული ენის სწავლების პროგრამები, თუ სასწავლო პროგრამები კარგადაა დაგეგმარებული, მკვეთრად რატომ არ გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი; რამდენად გამართლებულია საგანგებო ლიმიტის დაწესება მისაღებ გამოცდებზე იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლების ენას ცუდად ფლობენ. განა ეს არ ნიშნავს, რომ მცოდნე და ცუდად მცოდნე სტუდენტების მიმართ თანაბარი პოლიტიკა არ ტარდება? ცხადია, განათლების სისტემას აქვს ამისი პასუხები, მაგრამ ყველა ერთნაირად დამაჯერებელი არაა.

ოფიციალური თვალსაზრისი ასეთია: წლების მანძილზე სომეხი და აზერბაიჯანელი აბიტურიენტი ტოვებდა სამშობლოს და სწავლას საზღვრას იქით აგრძელებდა, საქართველოში კი დაახლოებით 1-2% ირიცხებოდა სტუდენტის სტატუსით. ცხადია, ასეთი მაჩვენებელი სახელმწიფო ენის არცოდნით იყო განპირობებული. დღესდღეობით კი, ინტენსიურად ინერგება არაქართველენოვან სკოლებში ბილინგვური მეთოდიკა. შემეცნებითი რესურსები აღარაა შემუშავებული მონოლინგვურად. ბოლო პერიოდში თემში, სადაც განაწილებულია ქართულის პედაგოგები, ტრენერები დედაქალაქიდან მოშორებით მკვიდრი არაქართველი მოსახლეობა (სკოლის მოსწავლეები/ აბიტურიენტები) მეტწილად ახერხებს ქართულ ენაზე მეტყველებას. - ასეთია ერთ-ერთი ოფიციალური პასუხი... თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ახერხებს მეტყველებას“ არ არის კომპეტენციის განსასაზღვრად გამოსადეგი კრიტერიუმი და სულაც არაა საკმარისი, რომ ამ „მოხერხებით“ ადამიანი სტუდენტი გახდეს და სხვადასხვა მეცნიერებას ამ ცოდნით დაეუფლოს. ეს უფრო დიპლომის ჩუქებას ემსგავსება. გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ორენოვანი სწავლების პროექტებში ჩადებული ფული და მწირხელფასიანი მასწავლებლის დაინტერესება ამ პროექტით, ზოგჯერ ორენოვანი სწავლების გადაჭარბებული

შეფასების მიზეზი ხდება.[1]

ბილინგვური განათლების მეთოდისტები ინტენსიურად იკვლევენ მულტიკულტურული და ორენოვანი სწავლების მხრივ დაგეგმილი სქემების სასიკეთო მაჩვენებლებსა და პრობლემებს.[2] არის აზრი, რომ ბილინგვური განათლება მოზარდს ეხმარება მშობლიური ენოს ცოდნის განმტკიცებაში, მას უვითარდება სხვადასხვა უნარ-შედარების, ანალიზის, დასკვნისა; მიიჩნევა, რომ ორ ენასთან მჭიდრო კავშირი - ორი სხვადასხვა კულტურის სიახლოვეს უწყობს ხელს (ორი სხვადასხვა კულტურის დაახლოება, ათვისება კი პიროვნებას უფრო ჰუმანურს ხდის, სწავლობს დაფასებას, აღიარებას, გაზიარებას და სხვ. ცნებას).

თანამედროვე განათლების სპეციალიტთა დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ბილინგვური განათლება მოსწავლეს თვითრწმენას უღვივებს და მის თვითრეალოზებას უწყობს ხელს. ბილინგვური მეთოდით მიღებული განათლება ინდივიდის კარიერაზეც დადებითად მოქმედებს. ამ ჯგუფის აზრით, ბილინგვური სწავლება სხვადასხვა კულტურის დამაკავშირებელ ხარაჩოს შეგვიძლია მივუსადაგოდ, რადგან პიროვნებას თუ აქვს უნარი უცხო ენაზე წარმოთქვას 100-მდე სიტყვა, დროთა განმავლობაში მას მეტის შესწავლის სურვილი გაუჩნდა. ბავშვმა თუ იცის, რას ნიშნავს სიტყვა - „მოედანი“ მეორე ენაზე, ეჭვგარეშე ისწავლის სიტყვა „ბურთს“ ასეთი სტილით წარმოითქმება სწავლების ჯაჭვი.

ბილინგვური განათლება მოსწავლეში გარკვეულწილად ფსიქოლოგიურ პრობლემას შექმნის. ე. წ. ენის კომპლექსს. მშობელი/მასწავლებელი ვერ უბიძგებს მოსწავლეს შეაყვაროს მოწიფულობის ასაკში უცხო ენა, შესაბამისად, ყოველივე ამას ძალდატანებითი ფორმა მიეცემა და ბავშვს ენის მიმართ სიძულვილი განუვითარდება... ასევე, თუ მოსწავლე ვერ გამოთქვამს უცხო ენათა ბგერებს, როგორიცაა ь, ы, The, T, სავსებით შესაძლებელია დაითრგუნოს და ენის მიმართ დისტანცირებული გახდეს. მიმაჩნია, რომ მკვლევარის მოსაზრებები მედლის წინა მხრიდანაა დანახული, ადრეულ ასაკში მოსწავლეს მშობელმა-ტუტორმა შეიძლება გასართობი, მეტად საინტერესო მეთოდით გაუწეროს სასწავლო

[1] USAD-ის რამდენჯერმე ჩატარდა კვლევა ბილინგვურ განათლებაზე, ასევე ჟურნალ „მასწავლებელში“ იბეჭდება სხვადასხვა მკვლევრის სტატიები, სადაც განხილულია მიღწეული თუ მისაღწევი შედეგები იქ, სადაც სწავლა ორ ენაზე ხორციელდება. კვლევების თანახმად, როდესაც სწავლების ტიპი მონოლიგვურია. თემში დარჩენილი მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენა უცხოა, თუ სწავლება ბილინგვური მეთოდით არ შედგა, ანუ მოსწავლემ თუ ქიმია, ფიზიკა, ისტორია თუ სხვ. საგანი როგორც მშობლიურ, ასევე ქართულ ენაზე არ აითვისა ინდივიდმა - გამართულ, საკომუნიკაციო ენაზე მეტყველება გაუჭირდება. დაკვირვებული მკითხველი ამ ჟურნალში, ქება-დიდების გარდა, ხარვეზებისა და არასანუგეშო პროგნოზების ამოკითხვასაც შეძლებს.

[2] დ. მალაზონია, შ. მაღლაკელიძე, ნ. ჭიაბრიშვილი, გ. გახელაძე, ინტერკულტურული განათლება. პრობლემები, მათი ანალიზი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017
https://www.researchgate.net/profile/David Malazonia2/publication/315816424 Intercultural Educatio Problems their Analysis and Development Perspectives in Georgia/links/58e7f149458515e30dcaf26a/ InterculturaI-Education-Problems-their-Analysis-and-Development-Perspecrives-in-Georgia.pdf

დღე, ასევე შეურჩიოს სასწავლო რესურსები, მაგალითად „ჟღარუნა წიგნი“[1] „მოლაპარაკე ანბანი“ და სხვ. ამ ყოველივეს ნახვის შემდეგ მოწიფულობის ასაკში ინდივიდს გაუჩნდება ინტერესი ენის მიმართ.

დასკვნა

განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია ეს მსჯელობა, რომელიც მეტი სიფრთხილისაკენ მოგვიწოდებს ბილინგვური სწავლების საკითხებთან დაკავშირებით და ყურადღებას გვამახვილებინებს იმ საკვანძო მომენტებზე, რომლებმაც ბავშვის ფსიქიკაზე, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს:

ა) ძალიან ადრეულ ასაკში არაა მიზანშეწონილი რამდენიმე ანბანური ხატის დასწავლა, ვინაიდან სავსებით შესაძლებელია ამ ყოველივემ მოტორული უნარის დაქვეითება და სხვადასხვა ანბანის ერთმანეთში აღრევა გამოიწვიოს. ედინბურგის უნივერსიტეტში 2011 წელს ჩატარდა კვლევა მოსწავლეთა კალიგრაფიაზე და დადგინდა, რომ მოწავლეთა 12%-ს. რომელთა ასაკი 5-12 წლამდეა, უმნიშვნელოდ ერევა ანბანთა ხატი ერთმანეთში, 80%-ს არასდროს ან ძალიან იშვიათად. 8%-ს შესამჩნევად; მაგრამ ეს მაჩვენებელი ბავშვის ასაკის მატების მიხედვით სულ უფრო უკეთესია. სტატისტიკიდან გამომდინარე ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლის მოტორულ უნარზე არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას, რამდენიმე ანბანის შესწავლა. მშობელმა, ტუტორმა პედაგოგმა მოსწავლეს უნდა შესთავაზოს სპეციალური აქტივობები, რომლის შედეგადაც 5-12 წლის მოსწავლე ადვილად მოახდენს სხვადასხვა ასოს დიფერენცირებას.[1]

ბ) არის აზრი, რომ ბილინგვური განათლება მოსწავლეში გარკვეულწილად ფსიქოლოგიურ პრობლემას შექმნის. ე. წ. ენის კომპლექსს. ამიტომ მოსწავლემ ადრეულ ასაკში განათლება მონოლოგიური მეთოდით უნდა მიიღოს და ვინაიდან მისი გონება გადართულია 3-9 წლამდე თამაშზე, მისთვის უმჯობესი იქნება სახალისო გასართობები, ვიდრე ახალი, უცხო სიტყვის დასწავლა.

ვფიქრობთ, ბილინგვური სწავლება, თანამედროვე მეთოდურ სტატიებში აღრეულია უცხო ენის სწავლების კურსის ინტენსიობაში; ხოლო ეთნიკური უმცირესობების სწავლების ენის თემა საგანმანათლებლოსთან ერთად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსაც უკავშირდება.

[1] ირინა შუბითიძე, ხშირად დასმული შეკითხვები ბილინგვიზმის ირგვლივ, გვ. 37-43, ბილინგვური განათლება, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალი, №1, 2010

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოდუაძე მ., ბილინგვური სწავლების რამდენიმე თავისებურება, 29 იანვარი, 2019, http://mastsavlebeli.ge/?p=20331
2. მალაზონია დ. მაღლაკელიძე შ., ჭიაბრიშვილი ნ., გახელაძე გ., ინტერკულტურული განათლება. პრობლემები, მათი ანალიზი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2017;
3. შუბითიძე ი., ხშირად დასმული შეკითხვები ბილინგვიზმის ირგვლივ, ბილინგვური განათლება, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალი, №1, 2010, გვ. 37-43.

What does bilingual education mean and what is acceptable for us?

GTU, Nina Kakiashvili,
invited teacher, philologist

Summary

In the article there is discussed the problem of bilingual teaching. Specialists see many positive sides in bilingual teaching, however, there are skeptics , in whose opinion it is harmful for the psychology of a child.

In the article is given the idea, that in modern methodical articles bilingual teaching is mingled in the intensity of teaching a foreign language; And the issue of ethnic minority language teaching is concerned to political decisions.

Keywords: Bilingual education; Language-ethnic minorities; Education policy; Monolingual method;

Motor skills; Psychological problem; Career of an individual .

უცხოური (გერმანული) ენის სწავლებისას მულტიმედიის გამოყენების ეფექტურობის კვლევა

ზურაბ ბოლქვაძე, დოქტორანტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისა და ლექტორების მულტიმედიის გამოყენების უპირატესობებისა და გამოწვევების თაობაზე შეხედულებების შესასწავლად ჩავატარეთ გამოკითხვა (ანკეტირება), რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა უნივერსიტეტმა (ერთმა საჯარომ და ერთმა კერძომ) და ასევე გოეთეს ინსტიტუტმა (სადაც მრავალი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები სწავლობენ გერმანულ ენას). კვლევის ეთიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტები კონკრეტულად არ არის დასახელებული. მონაწილეების ასეთმა შერჩევამ უზრუნველყო, რომ რესპოდენტთა ჯგუფი ყოფილიყო საკმაოდ წარმომადგენლობითი.

შესავალი

კვლევის მიზანი იყო, ერთი მხრივ, გაგვერკვია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მულტიმედიის გამოყენებით უცხოური (გერმანული) ენის სწავლების მდგომარეობა _ სტუდენტთა და მასწავლებელთა დამოკიდებულება მის მიმართ, მისი გამოყენება/არგამოყენების საკითხი, ენის სწავლების რომელი ასპექტის სწავლებასთან და მუშაობის რომელ საფეხურთან დაკავშირებით მეტად გამოიყენება მულტიმედია, და მულტიმედიის გამოყენების დადებითი მხარეებისა და სირთულეების რეიტინგი. მეორე მხრივ, კვლევის მიზნებში შედიოდა უცხოური ენის სწავლებისას მულტიმედიის შემოთავაზებული მოდელის გამოყენების ეფექტურობა.

ძირითადი ნაწილი

კვლევა, შესაბამისად, დაიგეგმა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ჩატარდა სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვა (ანკეტირება, კითხვარების საშუალებით) აღნიშნულ საკითხებზე, მეორე ეტაპზე კი _ ექსპერიმენტი, მისი მონაწილეების (საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფის) წინა, შუალედური და დასკვნითი ტესტირება (უცხოური ენის კომპეტენციის დონის გასაზომად და მასში ცვლილებების გარკვევის მიზნით).

კვლევის ყველა მონაწილე ნებაყოფლობით იყო ჩართული მასში. მათ იცოდნენ, რომ შედეგების ანონიმურობა დაცული იქნებოდა და ისინი მათ ზიანს არ მიაყენებდნენ. გამოკითხვისა და ექსპერიმენტის მონაწილეები

ინფორმირებულნი იყვნენ, რომ მათ ნებისმიერ მომენტში შეეძლოთ შეეწყვიტათ მონაწილეობა. მონაწილეებმა მიიღეს ზოგადი ინფორმაცია კვლევის შესახებ (რომ ის შეისწავლიდა მულტიმედიის გავლენას უცხოური ენის შესწავლაზე), თუმცა მათ არ მიუღიათ „გამძღოლი“ ინფორმაცია ან შეკითხვა (რომ მკვლევარის მიზანი იყო დაემტკიცებინა ტრადიციულ სწავლებასთან შედარებით მულტიმედიის გამოყენებით სწავლების უპირატესობა). მაგალითად, კითხვარში შედიოდა დადებითი და უარყოფითი საკითხები, რათა სტუდენტებსა და მასწავლებლებს ჰქონოდათ საშუალება საკუთარი შეხედულება გამოეხატათ მოცემულ საკითხზე.

გამოკითხვის მიზნით შემუშავებულ იქნა ანკეტა-კითხვარი, რომელშიც შევიდა ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე მიღებული დებულებები. მომზადდა 9 დებულება/საკითხი, რომლებიც რესპოდენტებს უნდა შეეფასებინათ 5-ქულიანი ლიკერტის სკალის გამოყენებით (1 ქულა _ აზრს სრულიად არ ვიზიარებ, 2 ქულა _ თითქმის არ ვიზიარებ, 3 _ არ მაქვს მკაფიო აზრი ამ საკითხზე, 4 _ მეტ-ნაკლებად ვიზიარებ, 5 _ მთლიანად ვიზიარებ).

კითხვარის საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით ის ჯერ ორმა მკვლევარზე უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტმა შეამოწმა, შემდეგ კი ის იყო პილოტირებული (სტუდენტების ანალოგიურ ხუთ-კაციან ჯგუფში გამოყენებული). ყველა გაუგებარი და ორაზროვანი დებულების ფორმულირება დაიხვეწა ან ამოღებულ იქნა პილოტირების პროცესში.

ექსპერიმენტისთვის გოეთეს ინსტიტუტის მოსწავლეებიდან შეირჩა საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფი. ეს ინსტიტუტი შევარჩიეთ, რადგან მასში რამდენიმე უნივერსიტეტის სტუდენტები სწავლობენ გერმანულ ენას და მიღებული შედეგი, ამდენად, უკეთესად ასახავდა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში არსებულ სიტუაციას. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა ერთი სემესტრის განმავლობაში 2018/2019 სასწავლო წელს. გერმანული ენის სწავლებას ერთ ჯგუფში ეთმობოდა 4 საათი კვირაში.

საკონტროლო ჯგუფში სწავლება მულტიმედიის პრაქტიკულად გამოუყენებლად მიმდინარეობდა (მხოლოდ თუ ამას სახელმძღვანელო ითხოვდა, ეს ხდებოდა ძირითადად მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავსირებით), ხოლო ექსპერიმენტულ ჯგუფში მულტიმედია გამოიყენებოდა მასალის პრეზენტაციის, ვარჯიშის და უნარ-ჩვევების შეფასების პროცესში, ასევე ყველა ენობრივ ასპექტთან დაკავშირებით, მეტ-ნაკლებად პროპორციულად.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისა და ლექტორების მულტიმედიის გამოყენების უპირატესობებისა და გამოწვევების თაობაზე შეხედულებების შესასწავლად ჩავატარეთ გამოკითხვა (ანკეტირება), რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა უნივერსიტეტმა (ერთმა საჯარომ და ერთმა კერძომ) და ასევე გოეთეს ინსტიტუტმა (სადაც მრავალი უმაღ-

ლესი სასწავლებლის სტუდენტები სწავლობენ გერმანულ ენას). კვლევის ეთიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტები კონკრეტულად არ არის დასახელებული. მონაწილეების ასეთმა შერჩევამ უზრუნველყო, რომ რესპოდენტთა ჯგუფი ყოფილიყო საკმაოდ წარმომადგენლობითი.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო გერმანული ენის შემსწავლელმა 100-მა სტუდენტმა და 30-მა მასწავლებელმა. მართალია, კვლევის მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია, მათი აზრი შეიძლება მეტ-ნაკლებად წარმომადგენლობითად ჩაითვალოს, რადგან ისინი წარმოადგენენ უმაღლესი სასწავლებლების ორივე ტიპს (საჯაროსა და კერძოს) და თანაც რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელს. რადგან ჩვენი მიზანი არ ყოფილა გაგვერკვია, რომელი ასაკისა თუ სქესის სტუდენტები და მასწავლებლები გარკვეულ აზრებს გამოხატავენ, ამიტომ არ დაგვიზუსტებია სათანადო მონაცემები.

ცხრილი 1.

გამოკითვაში მონაწილეების დემოგრაფიული მონაცემები

	პირველი უნივერსიტეტი (კერძო)	მეორე უნივერსიტეტი (საჯარო)	გოეთეს ინსტიტუტი (5 უნივერსიტეტის სტუდენტებს მოიცავს)
სტუდენტების რაოდენობა	30	30	40
მასწავლებლების რაოდენობა	10	10	10

ექსპერიმენტისთვის შეირჩა ორი ჯგუფი, რომელთა ენობრივი დონე ერთნაირი იყო. ისინი ერთსა და იგივე სახელმზრვანელოს იყენებდნენ გერმანული ენის სწავლის პროცესში. ჯგუფებში მოსწავლეთა ასაკობრივი და სქესობრივი განაწილება დაახლოებით თანაბარი იყო ორივე ჯგუფში. რომელი ჯგუფი იქნებოდა საკონტროლო და რომელი – ექსპერიმენტული, შემთხვევითობის პრინციპით გადაწყდა.

ცხრილი 2.

ექსპერიმენტის მონაწილეების დემოგრაფიული მონაცემები

	საკონტროლო ჯგუფი	ექსპერიმენტული ჯგუფი
საშუალო ასაკი	24	26
მამრობითი სქესის სტუდენტების რაოდენობა	6	7
მდედრობითი სქესის სტუდენტების რაოდენობა	3	4
სულ	9	11

ყველაფერი ეს გვაძლევდა საშუალებას შეგვედარებინა ჯგუბების შედეგები.

მთლიანობაში გამოკითხვამ აჩვენა, რომ მულტიმედიისადმი დადებითი განწყობა არსებობს როგორს სტუდენტებს (საშუალო ქულა 3,6), ისე მასწავლებლებს (საშუალო ქულა 4,5) შორის. მის გამოყენებასთან დაკავშირებით

გარკვეული გამოწვევები არსებობს, თუმცა ისინი მწვავე ხასიათს ნამდვილად არ ატარებენ. მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს სჭირდება ტრენინგებში მონაწილეობა, რათა გაიუმჯობესონ ტექნიკური უნარ-ჩვევები და გააღრმავონ შეხედულება მულტიმედიის გამოყენების პოტენციალისა და მეთოდების შესახებ.

ექსპერიმენტის პროცესში სტუდენტებს სამჯერ ჩაუტარდათ ტესტირება – წინა-საექსპერიმენტო, ექსპერიმენტის მსვლელობისას (შუაში) და ექსპერიმენტის-შემდგომ. საშუალო შედეგები მოტანილია 3.29 ცხრილში.

ცხრილი 3.

ექსპერიმენტის შედეგები

ჯგუფი/ტესტი	მონაცემები	პრე-ტესტი	შუალედური ტესტი	პოსტ-ტესტი
საკონტროლო:	საშუალო ქულა	47	49	51
	სტანდარტული გადახრა	13	13	14
ექსპერიმენტული:	საშუალო ქულა	48	54	67
	სტანდარტული გადახრა	14	11	8

ცხრილიდან ჩანს, რომ თავდაპირველად ორივე ჯგუფში გერმანული ენის ცოდნის დონე ერთნაირი იყო, შუალედურ ტესტში ექსპერიმენტული ჯგუფი უსწრებს საკონტროლოს, ხოლო პოსტ-ტესტში ეს გასწრება უკვე სერიოზულია. რაც შეეხება სტანდარტულ გადახრას, პრე-ტესტის ორივე ჯგუფში ის დიდია (13/14), ხოლო ექსპერიმენტის მსვლელობისას ის პრაქტიკულად არ იცვლება საკონტროლო ჯგუფში და მცირდება ექსპერიმენტულში. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მულტიმედიის გამოყენებით სწავლება არა მხოლოდ უფრო ეფექტურია, არამედ ის ყველა სტუდენტისათვის ეფექტურია (ექსპერიმენტული ჯგუფი უფრო ჰომოგენური გახდა).

მაშასადამე, ეფექტური, ინოვაციური სასწავლო პროცესი წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. გამონაკლისს არც უცხოური ენის სწავლება არ წარმოადგენს. ჩვენ ქვეყანაში ბევრი რამ კეთდება ამ მიმართულებით კანონმდებლობის დონეზე. საქართველოში უმაღლესი განათლების სტანდარტები, რომლებიც წაეყენება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაციის პროცესში, ყურადღებას ამახვილებს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე, რომელთა შორისაც კომპიუტერული აღჭურვილობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია (განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, 2017).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო. (2017). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. 2017http://mes.gov.ge/content.php?t=srch&search=ავტორი-ზაციის%20სტანდარტები&id7372&lang=geo

Research dealing with teaching a foreign (German) lantuage via multimedia

Zaur Bolkvadze, PhD stdudent

Summary

The articles deals with quantitative (questionnaire and experimental) research on the application of multimedia for foreign language teaching. The questionnaire showed that although both teachers and students positively assess the application of multimedia, teachers' assessment is not high enough, which reveals that teachers need extra trainings on multimedia application for foreign language teaching. As for the experiment, its results supported the efficiency of multimedia application for teaching German.

ჟურნალისტიკა

JOURNALIZM

ეთიკური კოდექსი - თვითრეგულირების ერთ-ერთი მექანიზმი

ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში საუბარია ეთიკური კოდექსის, როგორც მკს-ს თვითრეგულირების ერთ-ერთი მექანიზმის შესახებ; აღნიშნულია, რომ ეთიკური კოდექსები ხელს უწყობს პროფესიული მორალის, ზნეობრივი ნორმების, უმაღლესი სტანდარტების დაცვას ჟურნალისტური მოღვაწეობის პროცესში და თეორიული სამეცნიერო ცოდნის გარდა მოიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებსაც. ეთიკური კოდექსი განსაზღვრავს ჟურნალისტური მისიის არსს და ასევე იმას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს მისია; ყურადღება გამახვილებულია პირველ ეთიკურ კოდექსებზე და იმ დებულებებზე, რომლებიც ამა თუ იმ სახით ყველა არსებულ კოდექსში გვხვდება; საუბარია ჰათჩინსის კომისიის შესახებ, რომელიც აშშ-ში პრესის თავისუფლების ხარისხს იკვლევდა; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „ასოშიეიტედ პრესის“ ეთიკის კოდექსს, მიუნხენის საერთოეროვნულ ქარტიას და ფრანგული ეთიკის კოდექსის თავისებურებებს; განხილულია პოპულარული ბრიტანული გაზეთის „ობსერვერი“ მთავარი რედაქტორის მოადგილის, დევიდ რენდალის მიერ ჟურნალისტებისადმი შეთავაზებული 14 რეკომენდაცია. ნაშრომში ასევე საუბარია ე.წ. „ნაცრისფერი ზონების“, ეთიკური დილემების შესახებ, რომელიც ჟურნალისტისგან მოითხოვს მორალურ არჩევანს.

საკვანძო სიტყვები: ეთიკის კოდექსი, თვითრეგულირება, ზნეობრივი ასპექტები, პროფესიული სტანდარტი, ეთიკური დილემა, მორალური არჩევანი, უფლება და მოვალეობა,ჟურნალისტური მისია.

შესავალი

ეთიკური ჟურნალისტიკა ზნეობრივი ღირებულებების დაცვას ჟურნალისტთა ქცევის აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევს. ეს მოთხოვნა არსებობს საზოგადოების მხრიდანაც ჟურნალისტიკის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, მიმართ. ეთიკური კოდექსები ხელს უწყობენ პროფესიული მორალის, ეთიკური წესების, ნორმების, სტანდარტების დაცვას ჟურნალისტური მოღვაწეობის პროცესში. ეთიკური კოდექსი მოიცავს თეორიულ სამეცნიერო ცოდნას პროფესიული მორალის არსის და სპეციფიკის, ჟურნალისტური პრაქტიკის ზნეობრივი ასპექტების შესახებ, ასევე პრაქტიკულ რეკომენდაციებს. ეთიკური კოდექსი პროფესიული თვითრეგულირების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. მისი მთავარი დანიშნულებაა გავლენა მოახდინოს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებზე და ჟურნალისტთა ქცევაზე, ხელი შეუწყოს პროფესიული სტანდარტების დანერგვას. ეთიკური კოდექსის ამოცანა ჟურნალისტთა მოვალეობების და უფლებების დადგენასა და დაფიქსირებაში მდგომარეობს. ეთიკური კოდექსის ფუნქციაა პროფესიული სოლიდარობა, პროფესიული ღირსების და უმაღლესი სტანდარტების შენარჩუნება. ეთიკურ კოდექსს იურიდიული უფლებამოსილება არ გააჩნია, ნაკლებად ითვალისწინებს კონკრეტულ სანქციებს და სათანადო ზომების გატარებას იმ ჟურნალისტთა მიმართ, რომლებიც არღვევენ კოდექსის დებულებებს. ტრადიციულად ეთიკური კოდექსი განსაზღვრავს ჟურნალისტური მისიის არსს და ასევე იმას, როგორ უნდა განხორციელდეს ეს მისია. არის ორიენტირი ზნეობრივ-მორალური ღირებულებების, ჟურნალისტს ეხმარება თვითგამორკვევაში, აღძრავს ზნეობრივ რეფლექსებს. მეორე მხრივ, წარმოადგენს კრიტერიუმების ნაკრებს ჟურნალისტური მოღვაწეობის შესაფასებლად.

ძირითადი ნაწილი

მკვლევარებს განსხვავებული აზრი აქვთ იმის თაობაზე, თუ როდის გაჩნდა პირველი ეთიკური კოდექსი. ვარაუდობენ, რომ ეს მოხდა აშშ-ში 1890 წელს. ფინელი მკვლევარი ლარს ბრუუნი ამტკიცებს, რომ პირველი კოდექსი შვეციაში შეიქმნა, დაახლოებით 1900 წელს. არის სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვით პირველ ეთიკურ კოდექსად თვლიან 1918 წელს საფრანგეთის ჟურნალისტთა ნაციონალური სინდიკატის მიერ მიღებულ „ჟურნალისტთა ქცევის ქარტიას“. ეთიკის ეროვნული კოდექსები თანდათან ევროპის სხვა ქვეყნებშიც გამოჩნდა, შემდეგ უკვე ამერიკაშიც. 1923 წელს გაზეთების გამომცემლობის ამერიკულ ასოციაციაში მიიღეს „ჟურნალისტიკის კანონი“. დღეისთვის კი ეთიკის კოდექსი არის ყველაზე ხელმისაწვდომი და ფართოდ გავრცელებული თვითრეგულირების მექანიზმი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებისთვის.

თვითრეგულირების მექანიზმის შექმნის იდეა გაჩნდა მე-19 და მე-20

საუკუნეების მიჯნაზე ევროპასა და აშშ-ში. ეს დაკავშირებული იყო მსხვილი საგაზეთო მონოპოლიების გაჩენასთან, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს მკითხველის მანიპულირების იარაღი. თვითრეგულაციასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ვახსენოთ ჰათჩინსის კომისია, რომელიც მუშაობდა აშშ-ში 1940-იან წლებში. რობერტ ჰათჩინსი იყო ჩიკაგოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი. კომისიის შექმნა მას შეუკვეთა მედიამაგნატმა ჰენრი ლიუსმა და ხარჯებიც საკუთარ თავზე აიღო. ლიუსი იმ პერიოდისთვის იყო მფლობელი ჟურნალებისა „თაიმსი“, „ლაიფი“ და „ფორჩუნი“. კომისიას დაევალა გამოეკვლია პრესის თავისუფლების და პასუხისმგებლობის ხარისხი აშშ-ს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში. 4 წლის განმავლობაში კომისიის წევრები, რომელთა შორის იყვნენ წამყვანი სპეციალისტები მასობრივი კომუნიკაციის თეორიის, სოციოლოგიურ მეცნიერებათა და ფილოსოფიის სფეროში, ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. შემაჯამებელი მოხსენება გამოქვეყნდა 1947 წლის 26 მარტს. სხვა საკითხებთან ერთად საუბარი იყო პრესის პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ. ერთ-ერთ დასკვნაში ეწერა შემდეგი: „თუ პრესა ვერ მოახერხებს თვითრეგულირებას, მას გააკონტროლებს სახელმწიფო“. ამან კი შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მედიის თავისუფლებას. მოხსენებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რეაქცია არაერთგვაროვანი იყო, მაგრამ დასკვნების დიდი ნაწილი მიიღეს და შეეცადნენ რეალურ ყოფაში დაემკვიდრებინათ. დღეს მკს-ს თვითრეგულირების მთავარ მექანიზმებად მთელ მსოფლიოში მიიჩნევენ ეთიკურ კოდექსებს, პრესის საბჭოს და ომბუდსმენს.

სხვადასხვა ქვეყნების ეთიკური კოდექსები დიდწილად შეიცავენ ერთსა და იმავე დებულებებს ჟურნალისტთა ქცევის შესახებ, თუმცა სხვაობაც შეინიშნება. ზოგიერთი კოდექსი კმაყოფილდება ჟურნალისტური საქმიანობის ძირითადი პუნქტების ჩამოთვლით, სხვა კოდექსები იძლევა დეტალურ რეკომენდაციებს, ზოგში დაფიქსირებულია სანქციებიც კი, რომელიც შეიძლება გატარდეს კოდექსის დებულებების დამრღვევების მიმართ. მკვლევარებმა გამოყვეს ის 6 ძირითადი პრინციპი, რომელიც ამა თუ იმ სახით ყველა არსებულ კოდექსში გვხვდება: 1. სიზუსტე, სიცხადე და ობიექტურობა; 2. ინფორმაციის ღიად, პატიოსნადმოპოვება;3.აზრისთავისუფლადგამოთქმისუფლება,პლურალიზმი; 4. ყოველგვარი დისკრიმინაციის გამორიცხვა რასობრივი, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური შეხედულების, სოციალური მდგომარეობის, ფიზიკური ან გონებრივი არასრულფასოვნების გამო; 5. საავტორო უფლების დაცვა, პატივისცემა ინფორმაციის წყაროს და ციტირებული ტექსტის მიმართ; 6. დამოუკიდებლობა.

„ასოშიეიტედ პრესის“ ეთიკური კოდექსის თანახმად, ბეჭდური პრესა და ადამიანები, რომლები მას ქმნიან, თავადაც უნდა აკმაყიფილებდნენ ყველაზე მაღალ ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტებს. არც ერთ კოდექსს

არ შეუძლია ნაირგვარი პრობლემების მოსაგვარებლად უნივერსალური რეკომენდაციის და მზა რეცეპტის შეთავაზება. ჯანსაღი აზროვნება, ლოგიკური მსჯელობა, პატიოსნება ნებისმიერ რეალურ სიტუაციაში ეთიკური დილემების გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. კარგ გაზეთად ითვლება ობიექტური გაზეთი, რომელიც მკითხველს აწვდის გადამოწმებულ, სარწმუნო, ზუსტ ინფორმაციას. არასწორი ქმედების, ძალაუფლებად ბოროტად გამოყენების გამოაშკარავება და მხილება სიტუაციის სასიკეთოდ შეცვლის წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს. რეფორმების გატარება და სიახლეების დანერგვა მედიის ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. „ასოშიეიტედ პრესის“ ეთიკურ კოდექსში, ისევე როგორც ევროპის ქვეყნების შესაბამის დოკუმენტებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციის წყაროსთან ურთიერთობას, საჭიროების შემთხვევაში კონფიდენციალურობის დაცვის მიზეზების ახსნის აუცილებლობას, პრესის და სიტყვის თავისუფლების დაცვას, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. სამთავრობო გადაწყვეტილებების საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა,შეხვედრების და პრესკონფერენციებიც ორგანიზებაც შედის მედიის ფუნქციაში. „ასოშიეიტედ პრესის“ კოდექსი მოითხოვს, რომ საგანგებო ყურადღება მიექცეს გაზეთის დიზაინს. პარამეტრების წინასწარ განსაზღვრა, დეკორატიული ელემენტების, შრიფტის შერჩევა რეკომენდებულია სამუშაოს დაწყებისთანავე ბეჭდვითი ორგანოს ხელწერის და ინდივიდუალობის გათვალისწინებით.გაზეთმა თვალი უნდა მიადევნოს იმას, რომ არ გაიპაროს უზუსტობა, შეცდომა უყურადღებობის და უპასუხისმგებლობის გამო. ინფორმაციის დამახინჯებამ შეიძლება მკითხველის ნდობის დაკარგვა გამოიწვიოს.

ობიექტურობა და მიუკერძოებლობა ნებისმიერი ეთიკური კოდექსის მთავარი მოთხოვნაა. ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციის და კომენტარების დაფიქსირებისას უნდა მოხერხდეს ნეიტრალურობის შენარჩუნება. მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ფაქტი და კომენტარი, რეკლამა და ახალი ამბები, რომელიც უნდა გაშუქდეს პირადი ინტერესების გათვალისწინების გარეშე. გაზეთს გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება მკითხველისა და ინფორმაციის მიმწოდებელთა მიმართ. არაეთიკურია ნებისმიერი სახის პლაგიატის, სხვისი მიერ მომზადებული მასალის გამოყენება.

ცალკეპუნქტადარისგამოყოფილი ინტერესთა კონფლიქტის,ჟურნალისტის მატერიალური დაინტერესების (საჩუქრები, განსაკუთრებული შეთავაზებები, ძვირფასი ნივთები, უფასო საგზურები, ფასდაკლებები და ა.შ.) გამორიცხვის აუცილებლობა. სტატია არ უნდა დაიწეროს მხოლოდ ვინმეს გულის მოგების ან ქულების დაგროვების მიზნით.

ევროპის ქვეყნების ეთიკურ კოდექსებში მსგავს და სხვა ფაქტორებზეც არის საუბარი, მაგ. მიუნხენის ჟურნალების საერთოეროვნული ქარტია პრესას

უპირველეს მოთხოვნად უყენებს ჭეშმარიტების სამსახურს და ერთგულებას შედეგის გაუთვალისწინებლად. მნიშვნელოვანია, რომ ქარტია არ ცნობა ანონიმურ ინფორმაციას, მხოლოდ იმ ცნობას აქვეყნებს, რომელთა წყარო ცნობილია. ასევე მიიჩნევს, რომ ჟურნალისტს არ აქვს უფლება ინფორმეციის შესაგროვებლად, დოკუმენტების, ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალების მოსაპოვებლად უკანონოდ იმოქმედოს და არაეთიკური საშუალებები გამოიყენოს.

არაერთ კოდექსში გვხვდება მსჯელობა ჟურნალისტების მოსყიდვის დაუშვებლობის შესახებ. მაგ. ცნობილია შემთხვევები, როდესაც კაზინოს მფლობელები ჟურნალისტებს დიდი თანხას სთავაზობდნენ იმისთვის, რომ არ დაეწერათ იმ ადამიანებზე, რომლებმაც ყველაფერი წააგეს სამორინეში, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ან თვითმკვლელობით დაამთავრეს სიცოცხლე.

ფრანგული ეთიკის კოდექსის თანახმად, ჟურნალისტს უფლება აქვს უარი თქვას დავალებაზე, რომელიც უკავშირდება სარეკლამო საქმიანობას. საფრანგეთში იყო მცდელობა შექმნილიყო ე.წ. „პროფესიული პოლიცია“, თავისებური კონტროლის ორგანო, რომელიც, დაეყრდნობოდა რა ეთიკის კოდექსს, გამოიტანდა თავის ვერდიქტს არაკორექტული, ზნეობრივი ნორმების დამრღვევი ჟურნალისტების მიმართ. მედიის წარმომადგენელთა ნაწილი ამ გადაწყვეტილებას მხარს უჭერდა, თუმცა პროფკავშირი გამოვიდა ამგვარი ორგანოს შექმნის წინააღმდეგ, მიიჩნია რა , რომ ჟურნალისტებმა არ უნდა გაასამართლონ ერთმანეთი, პირიქით, უნდა დაიცვან, გამოავლინონ პროფესიული სოლიდარობა.

კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, პოპულარული ბრიტანული გაზეთის „ობსერვერი“, რომელიც ლონდონში გამოდის, მთავარი რედაქტორის მოადგილემ - დევიდ რენდალმა ჟურნალისტებს შესთავაზა 14 უნივერსალური რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, ჟურნალისტი უნდა ემსახუროს მხოლოდ თავის გაზეთს და თავის მკითხველებს; ინფორმაცია ღიად, პატიოსანი გზით უნდა მოიძიოს, არ დაამახინჯოს ფაქტები, გადამოწმებული და სარწმუნო ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას; არ უნდა დაემორჩილოს უკანონო მოთხოვნებს; სტატიის შინაარსზე არ უნდა იმოქმედოს ვინმეს პირდაპირმა ან ირიბმა გავლენამ, თავს არ უნდა მოიხვიოს ზემდგომი ორგანოების დირექტივები; ჟურნალისტმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი თანამდებობა ვინმეს დასაშანტაჟებლად ან ამბიციების დასაკმაყოფილებლად და პრივილეგირებული მდგომარეობის ხაზგასასმელად. არაეთიკურია ადამიანებს მოტყუებით ან მუქარით გამოსძალო ინფორმაცია. არასდროს იმოქმედოთ გამორჩენის მიზნით, მიცემული პირობა აუცილებლად შეასრულეთ, ყოველთვის გაასწორეთ თქვენი შეცდომები და საჯაროდ ახსენით ამ შეცდომების გამომწვევი მიზეზები - ასეთია დევიდ რენდალის რჩევები.

ჟურნალისტურ პრაქტიკაში არსებობს ე.წ. „ნაცრისფერი ზონები“, ეთიკური დილემები, რომელიც ჟურნალისტისგან მოითხოვს მორალურ არჩევანს: 1. მიზანი ამართლებს თუ არა საშუალებას. ეთიკურია თუ არა დაარღვიო ეთიკური ნორმები, მედიამომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე. 2.პირად კეთილდღეობასა და პროფესიულ მოვალეობას შორის არჩევანი რომელზე უნდა შეაჩერო. 3. როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი, თუკი მის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. 4. უნდა წეროს თუ არა ჟურნალისტმა ხელმძღვანელობის საამებლად თავისი ადგილის შესანარჩუნებლად. 5. რამდენად სწორია მცირედანაზღაურებად ჟურნალისტს, რომელიც გაჭირვებით ახერხებს ოჯახის რჩენას და საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მოვთხოვოთ ეთიკური ნორმების სრულად გათვალისწინება.

დასკვნა

ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს ქვეყანაში თვითრეგულირების მექანიზმის ჩამოყალიბების პროცესი დასრულებულია. ეს პროცესი კვლავაც მიმდინარეობს და ამდენად, ჟურნალისტური ეთიკის პრობლემატიკის საკითხი აქტუალობას არ კარგავს. თვითრეგულირების მექანიზმის ეფექტურობა გარკვეულწილად საზოგადოებაზეც არის დამოკიდებული. პრობლემის გადაწყვეტას დიდად შეუწყობს ხელს საზოგადოების აქტიურობა. მნიშვნელოვანია, ადამიანებმა კარგად იცოდნენ, კანონით რისი უფლება აქვთ მინიჭებული და, რაც მთავარია, ახერხებდნენ ამ უფლებების გამოყენებას. როდესაც სამართლებრივ რეგულირებას თვითრეგულირება ჩაანაცვლებს, მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი უმაღლეს პროფესიულ სტანდარტზე და პრაქტიკულ შედეგზე.

ლიტერატურა:

1. https//sibirp. ru//attachments/file_791_Associatad Press-codex.do.
2. https//uchebnik: rus.com/zahidni_etichni_kodeksi_zhurnalistiv_Providn.

Ethic Code – one of the mechanisms of self-regulating

Ketevan Giorgobiani, Associated Professor
Georgian Technical University

Summary

Ethic Code, as one of the mechanism of self-regulating, is discussed in this article; It is mentioned that Ethic Code promotes protection of professional moral, moral norms, the highest standards in the process of journalistic activity and despite scientific knowledge, comprises of practical recommendations. Ethic code defines essence of journalistic mission and how this mission should be implemented. First ethic codes and regulations are emphasized, which are given in all existing Codes by means of various forms. Hutchins Commission is discussed as well, that was researching the quality of press freedom; Special attention is dedicated to Ethic Code of "Associated Press", Munich general national charter and peculiarities of French Ethic Code; 14 recommendations, offered to journalists by David Rendall, deputy chief editor of popular British journal "Observer", are discussed; So called "Grey zones" – ethic dilemmas are discussed as well, which requires moral choice from a journalist.

Key words: Ethic Code, self-regulating, moral aspects, professional standard, dilemma, ethic dilemma, moral choice, right and obligation, journalistic mission.

ეკრანის ფენომენი მედიაფილოსოფიის დისკურსში

სოფიკო კვანტალიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ეკრანის ფენომენმა თანამედროვე რეალობაში რადიკალურად შეცვალა ადამიანური ყოფის ტექნოლოგიური და ეგზისტენციური მოცემულობა, რის გამოც სავსებით სამართლიანია მისი ცალკე ფილოსოფიური რეფლექსიის საგნად ქცევა. ეკრანის ფილოსოფიური გააზრების საფუძვლად თანამედროვე მედიარეალობაში მისი ტექნოლოგიური და სოციო-კულტურული ასპექტებია მიჩნეული, რადგან სწორედ ეკრანის ყოველი ახალი „თაობის" ფიზიკური პარამეტრი და მახასიათებელი აყალიბებს ახალი სოციო-კულტურული გარემოს ტოპოლოგიასა და მასში ადამიანის არსებობას. ჩვენი მიზანია, ეკრანი გავიაზროთ როგორც სოციოკულტურული ფენომენი, რომლის ღერძი, მართალია, ინფორმაციოლოგიური ფუნქციაა, თუმცა მნიშვნელოვანია იგი, როგორც არა მხოლოდ ინფორმაციის მიმღები, რომელიც ინდივიდისა და სოციუმის მსოფლმხედველობით წარმოდგენებზე ზემოქმედებს, არამედ, როგორც ადამიანის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზე მოქმედი მოცემულობაც.საინტერესოა ეკრანი პოსტჰუმანისტური პრიზმიდანაც, საიდანაც იგი აღიქმება, როგორც ერთგვარი „ანთროპოლოგიური პროთეზი" (მ. იამპოლსკი). ეს მეტაფორა შემთხვევითი არ არის. იგი გულისხმობს იმას, რომ თანამედროვე ადამიანი გარემოცულია ტექნიკური პროთეზებით, რომლის გარეშეც მას უკვე არსებობა აღარ შეუძლია.

საკვანძო სიტყვები: ეკრანის ფენომენი, მედიაფილოსოფია, მედიარეალობა, ეკრანული რეალობა.

შესავალი

ეკრანი (ფრანგ.*écran* – შირმა) _ მოწყობილობაა, რომელიც შთანთქავს, გარდასახავს ან აირეკლავს სხვადასხვა ტიპის ენერგიას. იგი გამოიყენებოდა როგორც გამოსხივებისგან თავდაცვის საშუალება, ასევე, როგორც ხელსაწყო ენერგიის გამოსხივებისთვის. ეკრანის სწორედ ეს უკანასკნელი ფუნქცია ანუ გამოსახულებისმიღება,ეკრანულიკულტურისტექნიკურიბაზისიგახდა.თავისი სრულყოფის ისტორიაში ეკრანმა გაიარა გზა თეთრი ტილოდან ელექტრონულ სატელევიზიო მილამდე თუ კომპიუტერის დისპლეიმდე. ევოლუციის პროცესში მან მიაღწია მაქსიმალურად სრულყოფილი გამოსახულების გადაცემას, რამაც გააფერმკრთალა ზღვარი რეალურსა და ნიშანთა სამყაროს შორის, ეს კი, ახალი რეალობის _ ვირტუალური რეალობის წარმოშობის საფუძველი გახდა.

ფილოსოფიის ტრადიციული დარგები იკვლევენ ყოფიერებას (ონტოლოგია); შემეცნებას (ეპისტემოლოგია), აზროვნების ფორმებს (ლოგიკა) და სამყაროს ჰარმონიურლ აგებულებას (ესთეტიკა). ეკრანის ფილოსოფია, ჩვენი აზრით, ყველა ზემოთხსენებულს მოიცავს, რასაც ფსიქოლოგიაც თან ერთვის. ეკრანული ფილოსოფია ისწრაფვის, მოახდინოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დაკვირვებები, ლოგიკური ანალიზი, განზოგადება, დასკვნები. იგი სამყაროს ინტელექტუალურ გააზრებას გვთავაზობს, მაგრამ არა როგორც ინფორმაციის ერთობლიობის გააზრებას, არამედ სამყაროს, როგორც მთლიანობის აღქმას. ვ. სავჩუკი[1] ერთ-ერთ ინტერვიუში მიუთითებს, რომ ეკრანი ჩვენი ერთგვარი ჰორიზონტია, თუმცა ყალბი ჰორიზონტი, რომელიც მუდმივად გადაცურდება, სხლტება. მისი აზრით, რაც უფრო დახვეწილია ეკრანი, მით უფრო „ეკრანირებს" (ფარავს, მალავს, მიჯნავს) იმას, თუ ვინ აგზავნის, ვინ განსაზღვრავს ინფორმაციას, ვინ ფლობს ინფორმაციულ ნაკადებს. ზემოთქმული ეკრანის ფენომენის მნიშვნელოვნებასა და წინააღმდეგობრივ ბუნებაზე მიგვანიშნებს. როგორც ბოდრიარმა აღნიშნა: „თანამედროვე ტექნიკა ადამიანს დროს უთავისუფლებს მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ ჭიპლარით მიაბას იგი ავტორეფერენტულ ეკრანებს"[2], ეკრანებს, რომლებიც გვიჩვენებენ არა რეალურ მოვლენას, არამედ მოვლენას, რომელიც თავად მედიის მიერაა ინსცენირებული.

ფილოსოფიური თვალსაზრისით, თანამედროვე ეკრანის ფენომენი განიხილება როგორც მედიასახე, რომელიც ახალი ტიპის ცივილიზაციის წარმოშობის საფუძველია. ეკრანის მეშვეობით ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი. იგი აყალიბებს ერთგვარ ქსელურ ზეგეოგრაფიულ საზოგადოებას. ეკრანია მოცემულობა, რომელიც თავის თავში მოიცავს ობიექტურ და სუბიექტურ რეალობას; იგი იძენს ადამიანის არსებობის ონტოლოგიური პირობის სტატუსს; საზოგადოებაში სწორედ ეკრანს შეუძლია წარმოშვას პრობლემები წარმოსახულ რეალობასთან და ფანტომური აზროვნების ფორმირებასთან დაკავშირებით. დაბოლოს, მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ეკრანი მედიაკულტურისა და პოსტთანამედროვე საზოგადოების მედიაგანათლების განუყოფელი ნაწილი გახდა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიზნობრივი განვითარების პირობებში საზოგადოება ეკრანის მედიასახეს იღებს როგორც სოციოკულტურულ, პოლიტიკურ, საგანმანათლებლო სისტემათა ბაზისსა და წყაროს. ეკრანული ინფორმაცია ენტელექიურია, იგი ხელს უწყობს ვირტუალური რეალობის წარმოქმნას და მოდელირების მეშვეობით ადამიანის ცხოვრებაში მის ჩანეგრგვას. ეგზისტენციური თვალსაზრისით, ეკრანის მეშვეობით ხდება რეალობის შეცვლა,

[1] რუსი ფილოსოფოსი, გამომსახველობითი ხელოვნების კრიტიკოსი, მხატვარი, „მედიაფილოსოფიის ცენტრის" დამფუძნებელი.

[2] Бодрийяр Ж. Общество потребления, 2006, გვ.112

ბუნებრივი მოთხოვნილებების გაქრობა, ნამდვილი სულიერი კულტურის მოჩვენებით „ელექტრონული სულიერებით“ ჩანაცვლება. ცნობიერების შეცვლას ზეგეოგრაფიულ სივრცეში პიროვნების თვითიდენტიფიკაციის პრობლემასთან მივყავართ. ეკრანული ზეგეოგრაფიული საზოგადოება ახალი, უსტატუსო კულტურის ფარგლებში იბადება, იგი დაახლოებით ის არის, რასაც ინფორმაციულ საზოგადოებას ვუწოდებთ.

ძირითადი ნაწილი

ვირტუალური რეალობა, ინტერაქტიულობა, თანდასწრება შედარებით ახალი ტექნოლოგიის, ციფრული კომპიუტერის მეშვეობით გახდა შესაძლებელი, თუმცა იმისათვის, რომ თანამედროვე ეკრანის ბუნება გავიაზროთ, მნიშვნელოვანია თვალი გავადევნოთ ეკრანის ისტორიას, აღმოვაჩინოთ ეკრანის არქეტიპი, რაც საშუალებას მოგვცემს, ვისაუბროთ ეკრანის უნივერსალურ ფუნქციაზე, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში მუდმივად აქტუალური იყო აღორძინების ეპოქის ტილოებიდან ვიდრე თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ ეკრანამდე.

თანამედროვე ვიზუალური კულტურა, ფერწერისა და კინემატოგრაფის მსგავსად, საინტერესო მახასიათებელს ავლენს: ეს სხვა ვირტუალური სივრცის, სხვასამგანზომილებიანისამყაროსშექმნაა,რომელიც ჩარჩოშიამოთავსებულიდა ჩვენს სივრცეში მდებარეობს. აღნიშნული ჩარჩო, რომელიც ორ, აბსოლუტურად სხვადსხვა, სივრცეს ერთმანეთისგან ჰყოფს _ კლასიკური ეკრანია. ამგვარად შეიძლება განიმარტოს აღნორძინების ეპოქის ტილოც და თანამედროვე კომპიუტერული დისპლეიც, რომელიც კლასიკური ეკრანის ყველა თვისებას ინარჩუნებს, მაგრამ დამატებითი თვისებებიც აქვს: მას შეუძლია დროში ცვალებადი გამოსახულების გადაცემა. ეკრანის ბუნება მიისწრაფვის, შექმნას ილუზია და ვიზუალური სისავსე. (სწორედ ამ თვისების გამო, ლევ მანოვიჩი[1] თვლის, რომ ეკრანი არ არის ინფორმაციის გადაცემის ნეიტრალური გზა. მკვლევარი თვლის, რომ ის აგრესიულია). 1984 წლისთვის, როდესაც მაკინტოში გამოიგონეს, მომხმარებლისთვის/მაყურებლისთვის სამზერი სივრცული ხაზის წილ ახალი სივრცე გაჩნდა, სადაც ფიზიკური, რეალური და ვირტუალური სივრცე ერთმანეთს დაემთხვა. კლასიკური ეკრანის ცნებაში რეალობა ეკრანის ჩარჩოთია განსაზღვრული ანუ რეალობა დანაწევრებულია. და თუკი რეალობა ორმაგია, ეს მაყურებლის ორმაგობას განაპირობებს, მის არსებობას თავის ნაცნობ ფიზიკურ განზომილებაში და ეკრანული გამოსახულების ვირტუალურ განზომილებაში.

ეკრანული ფილოსოფიის კვლევა საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ თანამედროვე ადამიანის ყოფიერების ეგზისტენციალურ-პიროვნულის

[1] Manovich L, An Archeology of a Computer Screen. Kunstforum International. Germany,1995

პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე. მაგალითად, ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ეკრანულობის აქტიური მატარებელების _ მობილური ეკრანული მოწყობილობების (ტელეფონი, სმარტფონი, აიფონი და სხვ.) მიერ დრო-სივრცული განზომილების ტრანსფორმაციის საკითხი. სწორედ ისინი (მობილური ეკრანული მოწყობილობები) გვთავაზობენ პრივატული და საჯარო სივრცის ახალ მოდელს, რომელშიც ორივე სივრცე ერთიანი, დაუნაწევრებელია, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ გარესამყაროს აღქმის ახალ მოცემულობაზე _ „ეკრანულ“ რეალობაზე, მის პოზიტიურ და ნეგატიურ მახასიათებლებზე.

ზემოხსენებულის თანახმად, ჩვენი მიზანია, დავსვათ საკითხი მობილური ეკრანული მოწყობილობების, როგორც თანამედროვე ადამიანის დომინანტი ნივთების, ფსიქოსოციოლოგიური, კულტუროლოგიური და ფილოსოფიური ასპექტების შესახებ, რომლებიც გარდა იმისა, რომ ახალ რეალობას სთავაზობენ ადამიანს, მის სხეულებრივ-ფსიქო-ემოციურ და სოციოლოგიურ იერსახესაც ცვლიან.

როგორც აღვნიშნეთ, ამ კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეზისი სივრცეთა გადაფარვის საკითხია, როდესაც მობილური ეკრანული მოწყობილობა რამდენიმე სივრცეს ანუ რეალობას წარმოშობს, სადაც ერთმა შეიძლება მეორე გადაფაროს, შეირწყას. ამ თვალსაზრისით საინტერესო დაკვირვება აქვს კულტუროლოგ ე.ვ სალნიკოვას[1], რომელიც ამბობს, რომ უკვე ერთმანეთისგან თითქმის გაუმიჯნავია საჯარო და პრივატული სივრცე. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მედიარეალობა ერთგვარ დამატებით საჯარო სივრცეს აყალიბებს. იგი დისტანციურ, ვირტუალურ საჯაროობას გვთავაზობს, რომელიც ინდივიდის სიმბიოზია, მას ყველგან თან ახლავს. მაგალითად, თუკი ადამიანის გარემომცველ ველში საჯარო სივრცის ელემენტები არ არის ანუ ის, თავის ახლობელ ადამიანებთან ერთად, პრივატულ სივრცეში იმყოფება, ეკრანულ საშუალებებს თავისუფლად შეუძლიათ ტრადიციული საჯაროობის განცდა ვირტუალური, დისტანციური საჯაროობით ჩაანაცვლონ. ამიტომ, რეალურ საჯარო სივრცესთან ადამიანის დამოკიდებულება უკვე აღარ არის აუცილებელი. დღეს ადამიანს თავად შეუძლია გააკეთოს არჩევანი, არეგულიროს ვირტუალურ საჯაროობაში საკუთარი ჩართულობის ხარისხი და კონტენტი. მეცნიერი ფ. ტონკისი[2] ამ მოვლენას „ბრბოში მარტოობის“ კონცეპტს, „მარტოობას ქალაქში“ უწოდებს. ინდივიდის მარტოობა თანამედროვე ადამიანისთვის უკვე სხვა მოცემულობაა _ იგი არ უკავშირდება თავისი საზოგადოების სივრცულ იზოლაციას, შესაბამისად, ნაკლებად სოციალურია, განსხვავებით ადრინდელისგან. აღნიშნული „მარტოობა“ სულ უფრო ძნელად მისაღწევია, შესაბამისად,

[1] SALNIKOVA E.V. The Phenomenon of Mobile Phone. Intimate Communication, Языки художественной культуры, XK 2013 № 9, გვ.116-135

[2] Tonkiss F. Space, the City and Social Theory Social Relations and Urban Forms. Cambridge, 2005

მისი მახასიათებლები ადრინდელისგან განსხვავებულია. თანამედროვე ინდივიდი საჯაროობის ერთგვარ „პირად მოდელს“ ქმნის. ადამიანი, შესაძლოა, ფიზიკურად (სხეულებრივად) ან სულიერად საჯარო სივრცეში დარჩეს, თავისი მზერით, სმენით, აზრით კი, ვირტუალურ განზომილებაში იმყოფებოდეს. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ იგი ერთგვარ სასაზღვრო „ტერიტორიაზე“ იმყოფება, ერთგვარ გარდამავალ სივრცეში. აღნიშნულ საკითხთან ლოგიკურ ბმაშია ადამიანის რეალურ სივრცეში ერთგვარი „გათიშულობის“ სინდრომი, როდესაც იგი თავისი ეკრანული მოწყობილობის კონტენტშია ჩაფლული და თავისი აზრებისა და ემოციების გადაცემა ხდება არა რეალობაში, არამედ სრულიად სხვაგან. ამ მოვლენას თამამად შეგვიძლია თანამედროვე ადამიანისთვის საჯაროობის ტრადიციული აზრის განლევა ვუწოდოთ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო დებულება აქვს ი. ჰაბერმასს[1], რომელიც საჯარო სივრცის გაქრობას დემოკრატიის სივრცის გაქრობის მაპროვოცირებლად მიიჩნევს. მოცემულ მოსაზრებას ბევრი თანამედროვე მკვლევარი ეთანხმება მაგალითად, ნ. ფრაზერი[2], ლ. პოლიაკი[3]. მათი მსჯელობის მცირე რეზიუმე ის გახლავთ, რომ ეკრანული რეალობის აქტივაციით საჯაროობის დეპოლიტიზება ხდება. აქ, პირველ ყოვლისა, პოლიტიკის, ტრადიციულ წარმოდგენაში საჯარო მოღვაწეობის, გაქრობა იგულისხმება. პოლიტიკოსები ვირტუალურ სივრცეში გადადიან; ვირტუალურ სივრცეში გადადის საარჩევნო კამპანიებიც. ეს არსებითი ძვრები ცვლის პრივატულობის მნიშვნელობასაც. აღნიშნული კარგად არის ფორმულირებული კ. სლეიდთან[4], რასაც იგი „გლობალურ პრივატულ სივრცეს“ უწოდებს, რომლისთვისაც დამახასიათებელია, წარმოსახვითი, ჭვრეტითი, ტოტალურად დაქსაქსული აზროვნება. მსჯელობიდან გამომდინარე, XXI საუკუნის დასაწყისი შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც საჯარო და პრივატულ სივრცეთა ერთმანეთში შეღწევის, ერთად თანაარსებობის, (აღრევისაც კი), ერთ მთლიანობად მოაზრების პროცესი. სივრცეთა გადანაცვლების პროცესების მკაფიო გამოვლენაა ასევე, ახალი რეალობის _ მედიარეალობის წარმოქმნა. მაგალითად, 1990-იანი წლების ბოლოდან დაიწყო რეალობის გამრავლება. უჯრედის გამრავლების ანალოგიით, გამრავლება დაყოფით განვითარდა. შეიძლება ვთქვათ, რომ სწორედ ეკრანმა დაცალკევა, თავდაპირველად, ტრადიციული სივრცითი კატეგორიები _ ფიზიკურ რეალობად და მედიარეალობად (ამ უკანასკნელში ინდივიდი, სტაციონარული კომპიუტერის

[1] Habermas J. The Structural Transformation of the Public Sphere: An Inquiry into a category of Bourgeois Society. Cambridge, 1991

[2] Fraser N. Rethinking the Public Sphere: A Contribution to the Critique of Actually Existing Democracy // Calhoun C.J. (ed.) Habermas and the Public Sphere. Cambridge, 1992

[3] Polyak L. Exchange in the Street. Rethinking Open-Air Markets in Budapest // Public Space and the Challenges of Urban Transformation in Europe. Ed. by Madanipour A., Knierbein S., Degros A. N.Y., 2014. გვ. 50

[4] Slade Ch. Global Private Space and Local Public Spheres // Media Communities. Eds. Hipfl B., Hug Th. Munster; New York, 2006. გვ. 96

მეშვეობით, სურვილისამებრ შედიოდა და სურვილისამებრვე ტოვებდა აღნიშნულვირტუალურსივრცეს)დათანამედროვეტოტალურმედიარეალობად, სადაც ფიზიკური რეალობა ფაქტობრივად არ აღიქმება. გამოდის, რომ სწორედ ეკრანია კონცეპტუალური ძვრების გამომწვევი. ეკრანების მრავალფეროვნება და მათი რაოდენობის თანამედროვე ადამიანის რეალობაში უწყვეტი ზრდა მეცნიერებს საშუალებას აძლევთ ცალკე კვლევის სფეროდ გამოყონ ეკრანის არსი, ფორმა და ფუნქციები. აღნიშნულის დასტურად შეიძლება მედიის ისტორიკოსების მიერ აღიარებული ერკი ჰუჰტამოს[1] „ეკრანოლოგიის“ (scree-nology) კონცეფცია მივიჩნიოთ, რომლის ერთ-ერთი ასპექტია ის, თუ როგორ შეცვალა მობილურმა მოწყობილობებმა ადამიანის სხეული. იგი თვლის,[2] რომ ტექნოლოგია არ იმუშავებს, თუკი ადამიანი არ შეასრულებს სხეულის განსაზღვრულ მოძრაობას. ამიტომაც, მედიის ფორმები მუდმივად იხვეწებიან და ცდილობენ მედიის აპარატის ლოგიკის მეშვეობით შეცვალონ ჩვენი სხეული და ენა, ასევე, მთელი კულტურული მეხსიერება, რომელიც ტექსტური არქივის სახით გაციფრებული შემოდის მედიამატარებელში. (აქვე იგი მიანიშნებს ფ. კიტლერის პოსტადამიანის კონცეფციაზე, რომლისთვისაც სრულიად არასაჭირო იქნება სხეული. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარი ამგვარ პარადოქსულ გააზრებას არ იზიარებს, მაინც ამტკიცებს, რომ თანამედროვე მობილური მოწყობილობები, განსაკუთრებით სმარტფონი, ადამიანის სხეულს ცვლის). ეკრანული მოწყობილობებით გამოწვეულ ანთროპოლოგიურ საკითხებს ეხება ჟ. ბოდრიარი წიგნში „ნივთების სისტემა,“[3] სადაც იგი მსჯელობს ადამიანის ფიზიკური შრომის მობილურ ეკრანზე თითის შეხებით სამუშაოს შესრულებით ჩანაცვლების შესახებ, რის გამოც, მისი თქმით, იგი დისტანცირდა საგნების სამყაროსგან და ის აქტიური, ხანგრძლივი ურთიერთობა (იგულისხმება შრომის იარაღებით სამუშაოს შესრულება), რომელიც ადრე ყოველდღიურობის ნაწილი იყო, წარსულს ჩაბარდა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს მობილურ მოწყობილობებთან ერთად რეალობის აღქმის საკითხი, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ შეფერხებულია აღქმული რეალობით სიამოვნების მიღება, რადგან მობილური გაჯეტის მფლობელისთვის პირველადია არსებული რეალობის აღბეჭდვა, გადაღება, რომლის დროსაც მას მხედველობიდან, თუ შეგრძნებათა ველიდან, ეცლება გარემომცველი რეალობა. შეიძლება ვთქვათ, რომ გაჯეტზე დამოკიდებულება და მის მეხსიერებაში კარგად კონსტრუირებული კადრისა თუ მასალის აღბეჭდვა, ადამიანს ხელს უშლის იყოს „აქ და ახლა“ ანუ განიცადოს რეალობა.

[1] ე. ჰუჰტამო (Huhtamo E,1958) _მედია არქეოლოგი.

[2] Эволюция технологий: Эркки Хухтамо о том, чем занимаются археологи медиа (ინტერვიუ) https://theoryandpractice.ru/pos**ts/10145-arkheologiya-media**

[3] Бодрийяр Ж. Система вещей. М., 1995

დასკვნა

როგორც ვხედავთ, მედიარეალობა, ეკრანული რეალობა კომუნიკაციის მონაწილეთა ტრანსფორმაციას ახდენს, ცვლის რა ადამიანის ცნობიერებას, ფსიქიკას. ასევე, ის ზემოქმედებს მოტივაციასა თუ ქცევაზე. მედიაფილოსოფოსი ვ. სავჩუკი მ. პონტისა და ფ. კიტლერის თეზისებზე დაყრდნობით, საკუთარ კონცეპტს აყალიბებს – „მედია ჩვენს შიგნით“. ჩვენ შეგვიძლია განვავრცოთ და ვთქვათ, რომ მედია, ნაწილობრივ ეკრანი, ჩვენს რეცეპტორად იქცა. სავჩუკის თქმით, ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით ეკრანზე გაკრული, ჯვარცმული ადამიანი თავადაც ისეთივე ბრტყელი ცნობიერების გახდა, როგორიც ეკრანია ანუ სახე-ხატმა ონტოლოგიური სტატუსი შეიძინა[1].

სწორედ ეკრანის ნიშან-თვისებები შეიძლება დავუკავშიროთ ტრანსფარენ-ტულობის, გამჭვირვალობის, ზედაპირულობის იდეას. ზედაპირს, რომელსაც არა აქვს სიღრმე, შესაბამისად, მის ქვეშ არ მოიაზრება არსი, აბსოლუტი, ტრანსცედენტი, ფესვი (დელიოზი, გვატარი), არამედ ეს არის ზედაპირი რიზომატული ფესვაკებით, რაც გვთავაზობს პრიალა, მინისებრ ზედაპირს, სადაც ყველაფერი გამჭვირვალეა. ამ თეზას ფასეულობათა პროფანაციის იდეასთან მივყავართ, რაც გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი გამოვლინებაა. ზედაპირის ფილოსოფია ფილოსოფიურ, კულტუროლოგიურ, სოციო-პოლიტიკურ თუ საზოგადეოებრივ სივრეში ადვილად შესამჩნევია, მისი თვალსაჩინო გამოვლინებაა თანამედროვე არქიტექტურა, რომელიც, ძირითადად, მინის ან მინისებრი ზედაპირით არის წარმოდგენილი. ეს ერთგავრი ეკრანული ზედაპირია, რაც მოიაზრებს, ერთი შეხედვით, გამჭვირვალობის, ხელშესახებობის, ხელმისაწვდომობის იდეას, თუმცა, ამავე დროს, ხელშეუხებლობას, მიუწვდომლობასაც მოიცავს. როგორც აღვნიშენეთ, შენობები სარკისებრი ეკრანული ზედაპირით ანუ ე.წ. „მინის არქიტექტურა“ (რომელშიც ხშირად ინტეგრირებულია ჯამბოტრონის ტიპის ეკრანები) თანამედროვე ურბანისტიკისა და არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშანია მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც. **(ახალ ნაგებობებს შორის აღსანიშნავია და სემიოტიკური თვალსაზრისით გარკვეულწილად საინტე-რესოა საქართველოს შსს შენობა, პოლიციის რეგიონული თუ რაიონული განყოფილებები, ასევე, პრეზიდენტის რეზიდენციის გუმბათი, მშვიდობის ხიდი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენობა. მინის არქიტექტურის თანამედროვე ქართული არქიტექტურის კონცეპტუალურ სიმბოლოდ შეგვიძ-ლია მივიჩნიოთ ჭავჭავაძის გამზირზე (#34) სავაჭრო ცენტრი „Pixel shoping“.)**

მინა უხრწნელი მატერიაა, ნივთიერების ერთგვარი ნულოვანი მოცემულობა. იგი აბსოლუტურად უნაკლოდ გვიჩვენებს მის შიგნით არსებულ შიგთავსს, მაგრამ, ამასთანავე, გამორიცხავს მასთან ხელშეხების ალბათობას. სწორედ ამაზე

[1] Савчук, В. Медиафилософия. Приступ реальности, 2013. გვ. 210

მიანშნებს ჟ. ბოდრიარი, როდესაც საუბრობს მაღაზიის ვიტრინაზე, როგორც ერთგვარ „ფრუსტრაციათა ფეერიაზე“ (რასაც ეფუძნება რეკლამის სტრატეგია) _ იგი გიზიდავს, გიჩვენებს, მაგრამ ხელშეხების შესაძლებლობას საფუძველშივე გამორიცხავს, რადგან მინის მიღმა რეალობასთან კავშირი, კონტაქტი ფორმალურია. მინა - ეს რეალობებს შორის ძგიდეა. მინის გამჭვირვალობა იმ ეფექტს ქმნის, რასაც ეკრანის თვისებრიობა შეადგენს. მინისა თუ სარკისებრი ზედაპირიდან ეკრანის სემანტიკა ჩნდება. ეკრანიც გვიჩვენებს, გვთავაზობს რეალობას, მაგრამ ის ჰიპერრეალობაა, რეალობის ოპერაციული ორეული, რომელსაც რეალობასთან კავშირი არა აქვს.

ეკრანის ფილოსოფიურმა გააზრებამ, შესაძლოა, გამოკვეთოს მექანიზმი, თუ როგორ შეიძლება ადამიანის აზროვნება გათავისუფლდეს სტერეოტიპებისგან, აღქმის ცრუ სქემებისგან თუ მრავალრიცხოვანი მანიპულაციური ხაფანგებისგან, რითიც გაჯერებულია თანამედროვე ეკრანული ინდუსტრია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Manovich L. An Archeology of a Computer Screen, Kunstforum International. Germany, 1995
2. Salnikova E. V. The Phenomenon of Mobile Phone. Intimate Comunication, Языки художественной культуры, ХК 2013
3. Бодрийяр Ж. Система вещей. М., 1995
4. Савчук, В. Медиафилософия. Приступ реальности, 2013
5. Эволуция технологий: Эркки Хухтамо о том, чем занимаются археологи медия (ინტერვიუ)
6. (https://theoryandpractice.ru/posts/10145-arkheologiya-media)

Screen Phenomenon in Discourse of Mediaphilosophy

Sophiko Kvantaliani, Associate Professor
Georgian Technical University

Summary

The article deals with the screen phenomenon in modern reality, which has radically altered the technological and existential nature of human existence, for which it is fairly justifiable to be a separate philosophical reflection. The technological and socio-cultural aspects are considered as the basis of the conceptualizing screen philosophy in contemporary media reality discourse, as the physical parameters and characteristics of each new " generation" of the screen form a new socio-cultural environment topology and human existence in it. Our aim is to conceptualize the screen as a socio-phenomenon, whose axis is informative function, though the screen is important as not only recipient of information, which affects social and individual's worldviews , but rather as an acting content on the physiological and physical structure of the human being.

Key words: Screen Phenomenon, Mediaphilosophy, Mediareality, Screen Reality.

ჟურნალისტური გამოძიების თემატიკა და ტენდენციები საქართველოში (1980-2012 წწ.)

ანა არჩვაძე, დოქტორანტი
საქარათველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საქართველოში მესამე ათეული წელია, რაც საგამოძიებო ჟურნალისტიკა არსებობს. თუმცა, მანამდეც იყვნენ ჟურნალისტები, რომელთა შემოქმედებაშიც შეიძლებოდა ჟურნალისტური გამოძიების მეთოდის ელემენტების დანახვა. ამ მეთოდს მიმართავდა სხვადასხვა პერიოდული გამოცემა და სატელევიზიო პროგრამა. იმ დროს კორუფციული სქემების გახსნა და სამსჯავროზე გამოტანა დიდი წინააღმდეგობის დაძლევის, ზოგჯერ კი საკუთარი და ახლობლების სიცოცხლის ფასად ხდებოდა.

მოგვიანებით, ჟურნალისტური გამოძიება სატელევიზიო სივრცეში ჩნდება. 1999 წლის 5 ნოემბერს ტელეკომანია „რუსთავი 2"-ის ეთერში გადაცემა „60 წუთი" გავიდა. თითქმის ყველა მის გადაცემას დიდი ხმაური მოჰყვა.

2003 წლიდან, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ჟურნალისტური გამოძიება ნელ-ნელა განიდევნა სატელევიზიო სივრციდან. Freedom House-ის ანგარიშში ქართული მედია დახასიათებულია, როგორც „ნახევრად თავისუფალი", აქვე ნათქვამია, რომ ქვეყანაში ჟურნალისტური გამოძიების სიმცირე მედიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. არადა ჟურნალისტურ გამოძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფორმირებული და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ჟურნალისტური გამოძიება, უპრეცედენტო შემთხვევა, ნახევრად თავისუფალი მედია.

შესავალი

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოშიც დამოუკიდებელი მედია არსებობას 1990-იანი წლებიდან იწყებს და, ცხადია, მას სურს ეგზომ ნანატრი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით მაქსიმალურად სარგებლობა. ბუნებრივია, რომ სწორედ ამ პერიოდში, საქართველოში პირველ ნაბიჯებს დგამს ჟურნალისტური გამოძიება - მედიის თავისუფლებისა და დემოკრატიულობის მთავარი ინდიკატორი ისეთ დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, როგორებიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი.

თუმცა, მანამდეც იყვნენ ჟურნალისტები, რომელთა შემოქმედებაშიც შეიძლებოდა ჟურნალისტური გამოძიების მეთოდის ელემენტების დანახვა. პირველი ჟურნალისტური გამოძიება პრესაში გამოჩნდა. ამ მეთოდს

მიმართავდა სხვადასხვა პერიოდული გამოცემა და სატელევიზიო პროგრამა, მაგალითად: „ნიანგი," „ოქროპირი," „საზოგადოება და მორალი," ჟურნალისტი იცვლის პროფესიას" და სხვა, რომელთა ავტორებიც იყვნენ: ნარგიზა მგელაძე, ანა ჭავჭავაძე, გურამ ჟვანია, ვახტანგ კობაიძე და სხვები.

ძირითადი ნაწილი

ჟურნალისტ-გამომძიებლის ვახტანგ კობაიძის ჟურნალისტური გამოძიების შესახებ არის მოთხრობილი გამომძიებელი ჟურნალისტის, გიგლა გობეჩიას, წიგნში „ჟურნალისტური გამოძიება: ისტორია, თეორია, პრაქტიკა" [1]. წერილს კი ასე ჰქვია: „ერთხელ, როცა გარდავიცვალე".

1982 წელს სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელობის თხოვნით ვახტანგ კობაიძემ გამოძიება ჩაატარა, რომლის მთავარი მიზანი იყო იმისი ჩვენება, სინამდვილეში რა ჯდებოდა საქართველოში სიკვდილი, ანუ დასაფლავება, და ხომ არ იყო ადამიანის უბედურება სხვისი ბიზნეს-ინტერესის საგანი. სიუჟეტის მთავარი გმირი თავად ჟურნალისტი გახდა, თემა საფუძვლიანად შეისწავლა. საკუთარი გარდაცვალების შესახებ ცნობა თავადვე აიღო. გამოძიებით აჩვენა, რომ გარდაცვალება ფინანსურადაც მძიმე ტვირთი იყო ადამიანისთვის, რითაც გარკვეული ჯგუფები საკუთარ კეთილდღეობას აშენებდნენ.

გაირკვა, რომ ერთი კაცის დაკრძალვას მაშინ 15 ათასი მანეთი სჭირდებოდა. მარტო სასაფლაოზე ადგილის ყიდვა 3000 მანეთი დაჯდა, როცა მთელი ხარჯი მხოლოდ 300 მანეთი უნდა ყოფილიყო.

იმ დროს კორუფციული სქემების გახსნა და სამსჯავროზე გამოტანა დიდი წინააღმდეგობის დაძლევის ფასად ხდებოდა. შესაბამისად, მასალა არ გამოქვეყნებულა.

ჟურნალისტური გამოძიება რომ სწორად იყო ჩატარებული, ის ფაქტი ადასტურებს, რომ აღნიშნული ისტორიით შსს დაინტერესდა და საფუძვლიანი გამოძიება ჩაატარეს, რის შედეგადაც ბევრი ჩინოვნიკი დაისაჯა.

საზოგადოების მხრიდან რომ საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიმართ დიდი მოთხოვნა იყო, გაზეთების ტირაჟებითაც დასტურდებოდა. ხელისუფლებაც და საზოგადოებაც ერთნაირი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ჟურნალისტ-გამომძიებლის, ირაკლი გოცირიძის, „იბერია სპექტრის" გამომცემლისა და მთავარი რედაქტორის, პუბლიკაციებს.

საბჭოთა ჟურნალისტიკაში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა. დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიების უფლება ირაკლი გოცირიძემ თავად საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მიიღო. მან კერძო გამოძიებით მოიპოვა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებული მასალები, რის შედეგადაც ფარდა ახადა 9 აპრილის ტრაგედიის ბევრ დამალულ მიზეზს და ყველა ის პირი სააშკარაოზე გამოიყვანა, რომლებმაც ეს დანაშაული ჩაიდინეს. სხვადასხვა გამოცემაში ქვეყნდებოდა მისი მასალები,

მოგვიანებით კი წიგნად გამოიცა: „სიმართლის კვალდაკვალ“. [2]

ირაკლი გოცირიძე გამოძიების დროს შეხვდა ხელისუფლების ყველა რანგის წარმომადგენელს მოსკოვსა თუ თბილისში. უშიშრად სვამდა კითხვებს. დეტალურად და მარცვალ-მარცვალ აგროვებდა ფაქტებს, რომლებიც შემდგომ საკავშირო და რესპუბლიკური ოფიციალური საგამოძიებო კომისიების დასკვნაში აისახა. გამოძიების შედეგად გამართლდა ჟურნალისტის ინტუიცია იმის შესახებ, რომ 9 აპრილის ტრაგედიის დამნაშავეები უნდა ვეძიოთ არა მარტო რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და საკავშირო სამხედრო უწყებების დონეზე, თუნდაც თავდაცვის მინისტრის ჩათვლით, არამედ კომუნისტური პარტიის საკავშირო ხელმძღვანელ ორგანოშიც.

ირაკლი გოცირიძეს ჟურნალისტური გამოძიებით ნათქვამი სიმართლე არ ეპატია და სასტიკად დაისაჯა. მისი მხატვარი ვაჟიშვილი გიორგი გოცირიძე საეჭვო ვითარებაში პოლიციაში დაიღუპა. ასევე გაურკვეველ ვითარებაში გადაიცვალა მისი მეორე კინორეჟისორი ვაჟი პოლიციაში, ოღონდ მოსკოვში. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ „იბერია სპექტრმა“ ზეწოლას ვეღარ გაუძლო და დაიხურა.

1995 წელს „საქართველოს რესპუბლიკაში“ ქვეყნდებოდა ჟურნალისტური გამოძიება სათაურით „სახიფათო თამაში“. გამოძიების ავტორი ჟურნალისტი ბონდო მძინარაშვილია. მან საზოგადოებას ამცნო ქარელის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის, თემურ გოჩაშვილის, და მისი გუნდის მმართველობითი სისტემის კრიმინალური დანაშაული. იგი იმ საფრთხეებზეც მიუთითებს, რომლებიც გარდაუვალი იქნებოდა, თუ ხელისუფლება შესაბამის ზომებს არ მიიღებდა.

წერილების სერიის გამოქვეყნება დასრულებული არ იყო, რომ მესამე წერილის შემდეგ ქვეყნის პირველმა პირმა რაიონის გამგებელი მოხსნა, მეოთხე, დასკვნითი წერილის გამოქვეყნების შემდეგ კი პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

განვითარების და დემოკრატიის გზაზე მდგარი საქართველოს ჟურნალისტები უფრო რთულ და ძნელად გადასალახავ პრობლემებს აწყდებოდნენ, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

2001 წლის გაზეთ „რეზონანსის“ ყველაზე ხმაურიანი გამოძიების ავტორი ელისო ჩაფიძე იყო. „დინამო“ – 7 პოლიციელის საკუთრება. თარგამაძეს და კომპანიას შევარდნაძე ბიუჯეტიდან 7 მილიონს ჩუქნის“ .

გაზეთი დიდი ტირაჟით გაიყიდა და საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ღირსების და პატივის შელახვისთვის კახა თარგამაძემ ჟურნალისტს სასამართლოში უჩივლა და ერთი მილიონი ლარი კომპენსაცია მოითხოვა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატიაში გამოქვეყნებული ფაქტები სიმართლეს შეესაბამებოდა [3,6-9], რაც იმას ნიშნავს, რომ ელისო ჩაფიძემ გამოძიების

დროს შექმნილი ვითარების თავისი შეფასება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ჟურნალისტურ სტანდარტების შესაბამისად გააკეთა.

მოგვიანებით, ჟურნალისტური გამოძიება სატელევიზიო სივრცეში ჩნდება. 1999 წლის 5 ნოემბერს ტელეკომანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გადაცემა „60 წუთი“ გავიდა. შემოქმედებითმა ჯგუფმა ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხილება დაიწყო. გადაცემა ჯერჯერობით შესწავლილი არ არის თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგებით. შესაძლოა, ჟურნალისტების მხრიდან კორუფციის მხილების მძაფრი სურვილი უფრო იყო, ვიდრე კორუფციის ნამდვილი მხილება. გადაცემას ადანაშაულებდნენ იმაში, რომ ეს გადაცემა სინამდვილეში ვიღაცის პირად ინტერესებს ემსახურებოდა და მას საზოგადოების ინტერესად ასაღებდნენ. ერთი რამ კი ცხადია - მცირე დროში გადაცემა რეიტინგული და გავლენიანი გახდა. მან პოლიტიკური ოპოზიციის ფუნქცია შეითავსა. თითქმის ყველა მის გადაცემას დიდი ხმაური მოჰყვა.

ამ პერიოდში იქმნება სტუდიები „მონიტორი“ და გადაცემა „რეპორტიორი.“ „რეპორტიორის“ ჟურნალისტებმა საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანეს არაერთი მწვავე თემა, რომლებსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა, მაგალითად: საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საეჭვო გარემოებების შესახებ, მარეკ დუდაევის პატიმრობის მოტივები, დეპუტატ კობა ბექაურის უკანონო სამეწარმეო საქმიანობის მხილება და სხვა. ამ უკანასკნელი გამოძიების საფუძველი გახდა ის სკანდალი, რომელიც ტელეკომპანია "202“-ის თანადამფუძნებლის, შალვა რამიშვილის, დაპატიმრებას უკავშირდება.

საგამოძიებო სტუდია „მონიტორი“ 2005 წლის 14 დეკემბერს დაფუძნდა. მას 200-მდე მიუკერძოებელი, სიღრმისეული და მაღალი ხარისხის ჟურნალისტური გამოძიება აქვს ჩატარებული.

2003 წლიდან, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ჟურნალისტური გამოძიება ნელ-ნელა განიდევნა სატელევიზიო სივრციდან. შეიცვალნენ მედიასაშუალებების დამფუძნებლები და მათ ნაცვლად დანიშნეს მაშინდელ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები. ამ დროს ჟურნალისტებზე ძალადობდა არა ხელისუფლება, არამედ თვითონ მედიასაშუალების მფლობელი, რომელიც თავს მედიის მეგობრად და სიტყვის თავისუფლების მცველად აცხადებდა. მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად 2004 - 2005 წლებში დაიხურა, პოზიციები დათმო ან მძიმე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა მედია და განსაკუთრებით საგამოძიებო ჟურნალისტიკა.

ქვეყანაში საგამოძიებო ჟურნალისტიკა სათანადოდ არ არის განვითარებული და მედია-კომპანიებს არ სურთ ამ დარგში ინვესტირების განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ კანონი საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს საგამოძიებო სიუჟეტების გადაცემას ავალდებულებს, არხზე ერთადერთი ასეთი პროგრამაა „გამომძიებელი რეპორტიორი“. გადაცემის ხარისხი კრიტიკას

ვერ უძლებს, მაგრამ ის უფრო შემაშფოთებელია, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ამ გადაცემის არსებობა.

საქართველოში საგამოძიებო გადაცემების სიმცირეს მოწმობს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა. გამოკითხულმა რესპოდენტებმა გამოხატეს დიდი ინტერესი ჟურნალისტური გამოძიებისადმი. რესპონდენტების 75%-ზე მეტმა განაცხადა, რომ ჟურნალისტებმა უნდა აწარმოონ გამოძიება ჯანდაცვის, სასამართლოს, არჩევნების, სიტყვის თავისუფლების დაცვისა და სხვა საკითხების შესახებ. [4]

დასკვნა

მესამე ათეული წელია რაც საქართველოში საგამოძიებო ჟურნალისტიკა არსებობს. ამ ხნის განმავლობაში არაერთი საგამოძიებო გადაცემა შეიქმნა და დაიხურა, რაც ძირითადად მხოლოდ ერთი მიზეზით ხდებოდა - სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მმართველობის პერიოდში მოთხოვნა ერთი იყო - კონტროლი მედიაზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით. Freedom House-ის ანგარიშში ქართული მედია დახასიათებულია, როგორც „ნახევრად თავისუფალი“, აქვე ნათქვამია, რომ ქვეყანაში ჟურნალისტური გამოძიების სიმცირე მედიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა[5]. არადა საგამომძიებლო ჟურნალისტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფორმირებული და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. უმეტეს შემთხვევაში მედიამფლობელები ხელისუფლებასთან თუ სხვა კორპორაციულ ძალებთან თანამშრომლობენ, რაც ხელს უშლის ჟურნალისტური გამოძიების განვითარებას. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია არც ახლა შეცვლილა.

ლიტერატურა:

1. გობეჩია გ., ჟურნალისტური გამოძიება, თბ., 2017, 445 გვერდი
2. გოცირიძე ი., სიმართლის კვალდაკვალ, თბ., 1990, 95 გვერდი
3. ჩაფიძე ე., „დინამო“ – 7 პოლიციელის საკუთრება“, გაზეთი „რეზონანსი“ №072 (2203), 16 მარტი, 2001 წელი
4. http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2016/10/geo_media_research_report_ge_4.pdf ბოლოს ნანახია 3.02.2019
5. http://www.freedomhouse.org/report/freedom-press/2013/georgia#.UzGD-n6hdUTs ბოლოს ნანახია 3.02.2019

Topics and trends of journalistic investigation in Georgia

Ann archvadze, Phd student
Georgian Technical University

Summary

Investigative journalistic have been existed for the third decade in Georgia. However, there were some elements of the journalistic investigation method in the research of some journalists. This method was used by the different periodical editions and TV programs. There was a great deal of resistance, sometimes even the lives of their own and loved ones were under the risk, to open up the corrupt schemes and putting them in trial.

Later, journalistic investigations appear in TV space. On November 5, 1999, TV company "Rustavi 2" have been broadcasted TV program “60 minutes”. Almost all of his programs had a great response from the public.

Since 2003, after the Rose Revolution, journalistic investigation has slowly shifted from the TV space. Georgian media has been described as "semi-free" in the Freedom House report. They say that the lack of journalistic investigation in the country is one of the major problems of the media. Journalistic investigation has a great importance in the awareness and formation of a democratic society.

Keywords: journalistic investigation, unprecedented cases, semi-free media.

შეურაცხმყოფელი და საწყენი სიტყვები თანამედროვე ვერბალურ კომუნიკაციებში

ნიკოლოზ ბრეგვაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში საუბარია შეურაცხმყოფელი და საწყენი სიტყვების გამოყენებაზე თანამედროვე ვერბალურ კომუნიკაციებში. ნაჩვენებია ტენდენციები, რომლებიც უსასრული მოძრაობათა ცენტრში მოაქცევენ ადამიანს - ენობრივ პიროვნებას. აღნიშნულია, რომ თანამედროვე ადამიანი ენობრივი პიროვნებაა, რადგან გონებრივ-ინტელექტუალურის თავჩენა სიტყვით, მეტყველებით, ტექსტის შექმნით ხდება შესაძლებელი. სტატიაში თავმოყრილია მყარ ფორმულებად ქცეული სამეტყველო ფორმები, ასევე, სიტყვით თავდასხმისა და თავდაცვის სტრატეგიები და ტექნოლოგიები, რომლებიც კულტურული და ენობრივი ცნობიერების ელემენტი გახდა.

საკვანძო სიტყვები: შეურაცხმყოფელი, ენობრივი პიროვნება, ვერბალური კომუნიკაცია

შესავალი

თანამედროვეობა, როგორც ინფორმაციისა და კომუნიკაციის ეპოქა, ენობრივი პიროვნების განსაკუთრებულ აქტივობას განაპირობებს. ყველაფერი ამოძრავებულია, ამოქმედებული, არსებითი ნიშანი დინამიკაა, სადაც ყველაფერი პროცესია და პროცესიალურობაა, თვით მისი პროცესუალური შედეგებიც კი პროცესუალურობის ფერხულშია ჩაბმული. ყველა საგანი, მოვლენა, ხდომილება პროცესია. ყოფიერება აღარ არის უძრაობაში გაყურსული თვითკმარობა; ყველაფერი თავის ქმნადობაშია. ტენდენციები ტენდეციებს წარმოქმნიან და უსასრულსა და უსაშველო მოძრაობათა ცენტრში მოაქცევენ ადამიანს - ენობრივ პიროვნებას, რადგან თანამედროვე ადამიანის აქტივობის ფორმა ფიზიკურ-სხეულებრივზე მეტავ გონებრივ-ინტელექტუალურია და მეტიც: ფიზიკურ-სხეულებრივიც გონებრივ-ინტელექტუალურის პრიმატით გამოირჩევა. თანამედროვე ადამიანი, ამის გამო, ენობრივი პიროვნებაა, რადგან გონებრივ-ინტელექტუალურის თავჩენა სიტყვით, მეტყველებით, ტექსტის შექმნით ხდება შესაძლებელი.

ძირითადი ნაწილი

ენობრივი, სიტყვიერი მეტყველებითი კომუნიკაციების მნიშვნელობა, ყველა ეპოქის, მათ შორის ისტორიამდელებისაც, კარგად იყო ცნობილი. სიტყვით

თავდასხმისა და თავდაცვის სტრატეგიები და ტექნოლოგიები იმდენად აქტუალური იყო ყველა დროში, რომ მათი სიტყვიერი, სამეტყველო ფორმები მყარ ფორმულებად იქცა, ბუნებრივი ეროვნული ენის ლექსიკა ფრაზეოლოგიად ჩამოიქმნა, გაფორმდა და კულტურული და ენობრივი ცნობიერების ელემენტი გახდა. ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, ამას სინონიმიც საინტერესოდ მრავალფეროვნად ცხადყოფს.

საინტერესოა, რომ თავდასხმაც და თავდაცვაც ენობრივი აგრესიით გამოიხატა.

l. ქეგლი (ნეიმანი):

- ყიამყრალი
- მწარე ენის პატრონი
- ავყია
- მტერი ჩავარდა მაგის ყბაში
- ენამოსწრებული
- ენაკვიმატი
- იუმორს შეფარებული
- ირონიული აგრესია
- მოენე
- ენატანია

2 . ნეიმანის სინონიმების ლექსიკონი:

ძველად: დასჯის მეთოდი - ენის მოჭრა - ამოგლეჯა

გამოთქმა - ენას ამოგაგლეჯ

სულს ამოგართმევ

სულს ამოგხდი

4.ენობრივი აგრესიის ფორმა - დაბეზღება (მაბეზღარა)

ცილისწამება (დაბრალება - ბრალის დადება - დადანაშაულება)

დაცილება - მიზანს ააცილა - ააცდინა

- გამართლება
- გამტყუნება

XIX საუკუნის მე-2 ნახევარში რუსეთში (ე.ი. საქართველოშიც) სალანძღავი სიტყვებისა (და გამოთქმების) შემდეგი კლასიფიკაცია იყო დაფიქსირებული:

1. სალანძღავი და საგინებელი სიტყვები. მათ განეკუთვნება დედის გინება და საკუთრივ საგინებელი სიტყვები და გამოთქმები (სტერვა, სვოლოჩ, კანალია). "სისხლის სამართლის კოდექსის" ავტორთა მიხედვით, ისინი უშინაარსონია და მოკლებულნია შინაგან მნიშვნელობას".

2. ავენიანობის ანუ საძრახისი, გასაკილავი და ავადსახსენები სიტყვები (პიროვნების საქციელის ზნეობრივი განსჯის გამომხატველი): დურაკი, ფლიდი, უნამუსო, ბოზი, ნამუსგარეცხილი, უნამუსო ქალი, ქურდი, ყალთაბანდი,

თაღლითი, გაიძვერა.

3. სხვა ეროვნების ურიგოდ უხამსად სახსენებელი აბუჩად ამგდები სიტყვები (ებრაელი - ურია, სომეხი, აზერი, თათარი),

4. დამამცირებელი, შემოკლებული სახელები (შაქრუა, დათუა, თიკელა, მიხუა, ქიტესა, კუკურა, ალისა),

5. საყვედურის, დაყვედრების (თუ ვინმე უსაყვედყრებს ქალს აღვირახსნილობისთვის),

6. ამორალური და კანონსაწინააღმდეგო წინადადებები (მაგ., თუ ვინმეს შესთავაზეს ქრთამი ან ქალს შესთავაზეს მამაკაცთან ღამის გათევა).

7. დასაცინი - გასაკილავი, აგდებული დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები (დამცირების მიზნით გამოყენებული): გაუსკდეს მიწა, მიწამ უყოს პირი, მიწამ ჩაყლაპოს, ეგეც მარაქაში ერევა, ნეხვი, ნეხვის ჭია, კუმ ფეხი გამოყო - მეც ნახირ-ნახირო;

რუსული სისხლის სამართლის კოდექსში შეურაცხყოფად არ მიიჩნევდა უადგილო და უხამს განსჯას (მაგ. შენ თავმოყვარე/პატივმოყვარე ხარ, ამპარტავანი, წუწურაქი). სისხ. კოდექსი 1892 წლის (გვ.33).

შეურაცხმყოფლი სიტყვები:

თანამედროვე რუსულ ლიგვოკრიმინალისტიკაში გამოყოფენ სიტყვათა რიგებს, რომელთა გამოყენება გარკვეული პირის მიმართ მიიჩნევა შეურაცხმყოფლად. ასეთ სიტყვებს კი ინვექტივები ეწოდება. ინვექტივებში გამოყოფენ შემდეგ ჯგუფებს:

1. სოციალურად გასაკიცხი საქმიანობის ამსახველ სიტყვები და გამოთქმები (ბანდიტი, ჟულიკი, თაღლითი, მამაძაღლი და ა.შ),

2. ცალკეულ პროფესიათა სახელწოდებები, რომლებიც გამოყენებულია გადატანითი მნიშვნელობით (ყასაბი, მენაგვე, მეწვრილმანე, პროფესორა),

3. ფიტო-ზოოსემანტიკური მეტაფორები, რომლებიც ცხოველთა სახელ-წოდებებს უკავშირდება და ადამიანის რაიმე უარყოფითი თვისების ასასახავად გამოიყენება. მაგ. სიჯიუტის, გაუთლელობის - ვირი, მოუხერხებლობის -ძროხა, შეუფერებლობის - აქლემი, სიავის - ძაღლი, გაიძვერობის - მელა, სიძლიერის -ლომი, ვეფხვი, ნაძირლობის - ძაღლის გაგდებული.

4. ადამიანის ქცევის ექსპრესიული ნეგატიური შეფასების შემცვლელი სიტყვები, კონკრეტულ საქმიანობასა და პოზიციაზე მითითების გარეშე საზიზღარი, არამზადა, უზრდელი, ხეპრე, გავარდნილი, გაქირი, უტრუხუნე, ღვთის პირიდან გადავარდნილი, დედააფეთქებული, ხელიდან წასული.

5. გამკიცხავი მნიშველობის ან უშუალოდ ნეგატიური შემფასებლური ზმნე-ბი (მოპარვა, ჩაყლაპვა, გადასანსვლა...) ჩაცეცხვლა, ცეცხლი ჭამა შენმა პირმა.

6. ზედსართავები გამკიცხავი მნიშვნელობით ან პირდაპირ უარყოფი-თი შეფასებებით (გამყიდველი, საზიზღარი, სულმდაბალი, საძაგელი): გათახსი-

რებული, უნამუსო, ნამუსგარეცხილი, სახელგატეხილი, გამოყეყეჩებული, გამოშტერებული,

7. ევფემიზმები, რომლებიც მაინც ინარჩუნებენ ნეგატიურ შემფასებლურ ხასიათს (მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, ინტერგოგონა, კალთამადლიანი, ჰეტერა, გამოქლიავებული).

8.უცენზურო სიტყვები, გარკვეული პირის დასახასიათებელად გამოყენებული: გამოყლევებული, დედამოტყნული, დედააფეთქებული, შენძრეული, მინძრეული.

9. სპეციალური ნეგატიურ-შემფასებლური კალამბურული წარმონაქმნები (ვიროვნული, ნაცები, ქოცები).

10. არანორმატიული ლექსიკა-ფრაზეოლოგიური ერთეულები ჟარგონებიდან, ტერიტორიული დიალექტებიდან, მდაბიური მეტყველებიდან შესულები (ქაჯი, სოფელო, საქონელი, პირუტყვი).

11. საკუთარი სახელები დამამცირებელი ირონიული ქვეტექსტით (მიხო,ჟუჟუნა, ქეთინო, სეროჟა, ხაჩიკა),

12. საკუთარი სახელები გარკვეული ქვეტექსტით (მაგ.: მიშა გარკვეულ კონტექსტში, შაქრო, გაგრია, ტეტია),

13. სუფიქსიანი დიმინუტივები, რომლებიც სიტყვას დამამცირებელ დამამცრობელ ელფერს ანიჭებენ (დეპუტატუნა - ცუდი დეპუტატი, კაცი - კაცუნია, ქალაჩუნა, ქმარუკა, ცოლუკა).

არსებობს სხვა კლასიფიკაციაც. მაგალითად, ო. მატვეევა გამოყოფს შემდეგ თემატურ კლასებს:

- ინტელექტ-ინვექტივებს (სულელი, ყეყეჩი, დურაკი)
- სოციომორალურ ინვექტივებს: გაიქვერა, გველაძუა, თავხედი
- პოლიტ-ინვექტივებს: რასისტი, ობსტრუქციონისტი, ოპოზიციონერი
- ნაციონალ-ინვექტივებს: ხახოლები, ხაჩიკები, ურიები, შავები (ზანგები - შავის, დაუბანელის მნიშვნელობით გურიაში)

პროფესიონალ-ინვექტივები (ყასაბი, მეღორე, მეთხე, მენახირე, ფინაჩი).

- ზოო-ინვექტივები: ვირი, ღორი, ძაღლი, სპილო, თხა.
- სექს-ინვექტივები: ცისფერი
- ჟარგონ-ინვექტივები: პეტუხ ვერტუხაი
- ევფემიზმი-ინვექტივები: მსუბუქი ყოფაქცევის გოგონა
- კალამბური-ინვექტივები: ვიროვნული
- გინება-ინვექტივები: ინვექტივ-შედარებები ისტორიულ პერსონებთან და ლიტერატურულ პერსონაჟებთან (მატვეევა, 2002: 55)

თუმცა ეს შეურაცხმყოფელი სიტყვები ყოველთვის არ შეიცავს შეურაცხყოფის შინაარსს. ისინი არ გამოხატავენ შეურაცხყოფას, თუ ვინმესადმი არ არიან მიმართულნი, ანუ არ არსებობს ვერბალური და არავერბალიური (მიმიკა-ტექსტით) მითითება დაზარალებულზე.

დასკვნა

შეურაცხყოფა, როგორც სამეტყველო აქტი, აუცილებლად მიემართება კონკრეტულ პირს - შეურაცხყოფის ადრესატს. ანუ შეურაცყოფის სამეტყველო აქტი მოითხობს შესაბამისი უხერხული (შეუფერებელი) გამოთქმების გამოყენებას, რომლებიც მიმართულია კონკრეტული პირისადმი. (Осадкий М.Правовой самоконтроль оратора, М., Альпина Бизнес Букс, 2007).

მანიპულაციურ ტექსტებში გამოიყენება მრავალასპექტიანი ლინგვისტი-კური ზემოქმედების მეთოდები და ხერხები, რომლებიც მიმართულია ადა-მიანის ცნობიერებაზე, შეგნებასა და ქვეცნობიერებაზე. ერთსა და იმავე ტექსტში შეიძლება ჩადებული იყოს ადრესატის დაინტერესებასა, დაინტრიგება-და-შინების მიზნები.

ტექსტით დაინტერესების მიზნით, გამოიყენება ირონია, სატირა, სარკაზმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვერბალური კომუნიკაციები. VERBAL COMMUNICATION. თემურ ჯაგოდნიშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2019 წ.
2. ქართული ორატორული ხელოვნება. თ. ჯაგოდნიშვილი, ი. ჯაგოდნიშვილი, ვ. პაპასკირი, თბილისი, 2000 წ.
3. თამარ დიასამიძე, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია ეტიკეტურ ფორმულებში
4. გვენცაძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის ტიპოლოგია, თბილისი, 1986 წ.
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1892 წ
6. Осадкий М.Правовой самоконтроль оратора, М., Альпина Бизнес Букс, 2007.
7. Матвеева Т.А. Лексическая экспрессивность в языке / Т.А. Матвеева. Свердловск, 1986. - 352 с.
8. Матвеева Т.В. Функциональные стили в аспекте текстовых категорий / Т.В. Матвеева. Свердловск: Изд-во Урал. гос. ун-та, 1990. - 624 с.
9. Femandez . J.W. “Tolerance in a Repugnant world and other Dilemmas in the Cultural Relativism”, New York, 1990.

Offensive and nasty words in modern verbal communications

Nikoloz Bregvadze, PhD Student
Georgian Technical University

Summary

The article deals with the offensive and nasty words in modern verbal communications. Its considered modern trends making human being as the center of continuous movements of global world - language personality. It's mentioned that modern human being is a language personality since the intellectual representation of personality may be provided by the words, oral communication, text. The article deals with fixed speech forms, as well as with damaging words and defense strategy and technology, which became the element of cultural and language awareness.

Key words: Offensive, language personality, verbal communications

მედიასაშუალებათა ეთიკური ნორმების საკანონმდებლო რეგულირების უცხოური პრაქტიკა

გურამ გიკაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ევროპისა და აშშ-ს კანონები, მასმედიის სფეროს რეგულაციებზე, რომლებიც ითვალისწინებენ, აგრეთვე მედიასაშუალებათა საქმიანობასთან დაკავშირებულ ეთიკურ ნორმებს. ამ ქვეყნების კანონმდებლობაში არსებული ნორმები ისეთი ძირითადი პრინციპების რეგულირებასთან დაკავშირებით, როგორებიცაა სიტყვის, ბეჭდვის, აზრის, გამოხატვის თავისუფლება, უფლება ინფორმაციაზე, გამოკითხვაზე, გაწერილია ევროპული ქვეყნების კონსტიტუციებში და კანონმდებლობაში მასმედიის საშუალებების შესახებ - კანონებში „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“, „მედიასამსახურის შესახებ“, „აუდიოვიზუალური პროგრამების შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“, „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ“, „პრესის შესახებ“, „პრესისა და ბეჭდვითი მედიის სხვა საშუალებების შესახებ“, „მედიასაკუთრების შესახებ“, „ტელევიზიის სტანდარტების შესახებ“. საინფორმაიცო საშუალებების ეთიკის საკითხებს არეგულირებს კანონები „საზოგადოებრივი მორალის დაცვის შესახებ“, „ცილისწამების და პირად ცხოვრებაში ჩარევის შესახებ“, „აუდიოვიზუალური მედიასამსახურების შესახებ“, აგრეთვე, პრესის ეთიკური სტანდარტების კოდექსი, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები.

საკვანძო სიტყვები: მასმედია, ეთიკური ნორმები, კანონმდებლობა, კონსტიტუცია, პრესა, დიფამაცია.

შესავალი

კანონები, რომლებიც არეგულირებენ მასმედიის სფეროს, ითვალისწინებენ, აგრეთვე, მედიასაშუალებათა საქმიანობასთან დაკავშირებულ ეთიკურ ნორმებს. ადამიანების დაცვა ცილისწამებისგან, შეურაცხყოფისგან, დიფამაციისგან. დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებისგან, პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევისგან, აგრეთე, ადამიანების ღირსების და პატივის დაცვა მედიასაშუალებების გამოყენებით, არსებული კანონების განხილვის საგანს წარმოადგენს ფედერალურ თუ ადგილობრივ დონეზე.

ძირითადი ტექსტი

გერმანიის და აშშ-ს კონსტიტუციები უზრუნველყოფენ **მოქალაქის ღირსების და პატივის დაცვის** საკონსტიტუციო ნორმებს.

1 ხელისუფლების განსაკუთრებული ორგანო, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს კანდიდატურების შერჩევა მოსამართლეების და პროკურორების თანამდებობაზე, აგრეთვე, მოსამართლეთა საბჭოს დისციპლინარული ფუნქციების შესრულება. 2 მასმედიაში გამონაგონის, მადისკრიმინირებელი ინფორმაციის გავრცელება კონკრეტული ადამიანისა თუ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიმართ. დიფამაცია გულისხმობს განზრახ ბრალს, რაც ცხადია დანაშაულის განზრახ ჩადენაზე მიუთითებს; დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მის მიერ გავრცელებული ცნობა სახელს უტეხს სხვა პირს და სურს მისი ღირსების დამცირება და გათვალისწინებული აქვს მისი მავნე ქმედებით გამოწვეული შედეგები. ეს არის დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის კვალიფიკაციით ცილისწამებას ენათესავება, მაგრამ მისგან ორი ნიშნით განსხვავდება: 1. დიფამაცია არის დამალული და ვიღაცისთვის სასირცხვილო ფაქტები გახმაურდება მხოლოდ მედიაში, მაშინ, როდესაც ცილისწამება შეიძლება განხორციელდეს როგორც მედიის, ისევე ვერბალური საშუალებით, სიტყვებით, ანდა სხვა წერილობით ფორმით. 2. დიფამაციის შემთხვევაში დანაშაული მდგომარეობს ვიღაცისთვის დამამცირებელი ფაქტების გამომზიურებაში, განურჩევლად იმისა, შეესაბამება თუ არა ისინი სიმართლეს. ცილისწამება კი ყოველთვის განიხილება როგორც გამონაგონის, ცრუ ამბების განზრახ გავრცელების მცდელობა. დიფამაციის კონტექსტში ბანალური ჭორის დაყრა იგულისხმება, რომელშიც შესაძლოა, ცილისწამებისგან განსხვავებით, სიმართლის გარკვეული დოზაც ერიოს.

აშშ-ში მასმედიის საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი კანონები **„ცილისწამების და პირად ცხოვრებაში ჩარევის შესახებ“** კანონების ჩათვლით, მიიღება ფედერალურ დონეზე. ავსტრიაში ფედერალური ხელისუფლების ხელშია ყველანაირი უფლებამოსილება მასმედიის საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. **გერმანიაში** მასმედიის ეთიკის საკითხები რეგულირდება ფედერალური კანონით, მაშინ როდესაც, მედიის სხვა ნორმები წყდება მიწების კანონმდებლობის დონეზე.

ავსტრიის „პრესისა და ბეჭდვითი მედიის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის მე-6(1) პარაგრაფის მიხედვით, თუ პირი ბეჭდვით მედიასივრცეში გახდება **ცილისწამების, ძაგების, ლანძღვა-გინების, შეურაცხყოფის ან დაცინვის** მსხვერპლი ან მოხდება მისი კომპრომეტირება საზოგადოების თვალში **პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევით,** მას შეუძლია პრეტენზია განუცხადოს მედიამფლობელს და მოითხოვოს მისგან ანაზღურება მიყენებული მორალური ზარალის კომპენსაციის მიზნით. ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია პუბლიკაციის ტირაჟზე და იმაზე, თუ რამდენად გავლენიანია მედიასაშუალება საზოგადოებაზე. **საფრანგეთის** კანონის მიხედვით „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ“, დანაშაულებრივი ქმედების **წაქეზება** ისჯება

ჯარიმებით ან/და თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, თუ ის რეალურად არ გამოიწვევს დანაშაულს.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად პირი, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე სიტყვით, წამოძახილებით, სიმღერით, მუქარით, ცილისმწამლებლური ფაბრიკაციებით, აგრეთვე, ხალხმრავალ ადგილებში გასაყიდად ან განსახილველად გამოტანილი ლიტერატურული თუ ბეჭდური ნაწარმოების საშუალებით ან ხალხის დასანახად გამოფენილი პლაკატებით და აფიშებით პირდაპირ აქეზებს შემსრულებელს ან შემსრულებელთა ჯგუფს დანაშაულის ჩადენისკენ (ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება, დანაშაული სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოების წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაულებები და კოლაბორაციონიზმი და სხვა), ისჯება კანონით, როგოც დანაშაულის თანამონაწილე, თუკი წაქეზებას მართლაც მოყვება დანაშაულის ჩადენა.

ერთი პირის ან ჯგუფის დისკრიმინაციისკენ, სიძულვილისკენ ან ძალადობისკენ წაქეზება მათი კუთნილების გამო რომელიმე ეთნიკური ჯგუფისადმი, ეროვნებისადმი, რასისადმი ან გარკვეული რელიგიური კონფესიისადმი, ისჯება ჯარიმის გადახდით და თავისუფლების აღკვეთით ერთი თვიდან ერთ წლამდე ვადით.

დასჯადია, აგრეთვე, **დიფამაცია** რამდენიმე დღიდან ერთ წლამდე ვადით.

დიფამაცია შესაძლებელია მიმართული იყოს ქვეყნის პრეზიდენტის, სახელმწიფო ორგანოების (სასამართლოების, არმიის და ფლოტის და სხვ), დაწესებულებების და მათი თანამდებობის პირების (მინისტრი, დეპუტატი, მოსამართლე, დირექტორი, ადმინისტრატორი, კომერციული ან ფინანსური საწარმოს წარმომადგენელი, აგენტი და სხვ.), ეკლესიის მსახურის (რომელიც ხელფასს იღებს სახელმწიფოსგან), აგრეთვე, კერძო პირების მიმართ. პრეზიდენტის დიფამაცია ისჯება კანონით ჯარიმით და თავისუფლების აღკვეთით 3 თვიდან ერთ წლამდე ვადით.

დიფამაციაში დადანაშაულებულ პირს შეუძლია წარმოადგინოს თავისი მტკიცებულებები. თუ ისინი მიიჩნევა სარწმუნოდ, მაშინ პირის საწინააღმდეგოდ შეტანილი საჩივარი გაუქმდება.

საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან ბეჭ-დვითი ორგანო **ცილისწამებისთვის ან დიფამაციისთვის** გადასცენ სასამარ-თლოში. გარდა ამისა, მოითხოვონ მისგან სამსახურეობრივი საქმიანობასთან დაკავშირებული უზუსტობების გასწორება უფასოდ. უცხოეთის ქვეყნების და მთავრობების პირველი პირების, საგარეო საქმეთა მინისტრების და დიპლომატიური წარმომადგენლების საჯარო **შეურაცხყოფა** ისჯება ჯარიმით და თავისუფლების აღკვეთით ერთი თვიდან ერთ წლამდე ვადით.

ესტონეთში ეროვნული მაუწყებლობის პროფესიული საქმიანობის

ჟურნალისტური ეთიკის დადგენილ წესებთან შესაბამისობის მონიტორინგზე პასუხისმგებელია ე.წ. **ეთიკის მრჩეველი,** რომელიც ამავდროულად აწარმოებს ეროვნული მაუწყებლობის პროგრამების შემცველობასთან დაკავშირებული პრობლემების და შემოსული წინადადებების მიმოხილვას, პროგრამული მომსახურების ბალანსის მონიტორინგს.

პრესის მიერ ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის და პირად ცხოვრებაში ჩარევისთვის, ესტონეთში მოქმედებს საჩივრების აღძვრის სისტემა, რომლის მიხედვითაც, სამართალდარღვევის შემთხვევაში, საჩივარი შეიძლება ჩაბარდეს სასამართლოში ან გაიგზავნოს რეკლამის საკითხთა საბჭოში, რომელიც ფუნქციონირებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტში.

„მედიასამსახურების შესახებ“ ესტონეთის კანონის მე-19 პარაგრაფის მიხედვით, მედიამომსახურების უზრუნველყოფის დროს დაუშვებელია სიძულვილის და შუღლის გაღვივება, შეურაცხმყოფელი ქმედება სქესობრივი, რასობრივი თუ ეთნიკურ და რელიგიური რწმენის ნიადაგზე.

იტალიის კანონი „პრესის შესახებ“ ადგენს პასუხისმგებლობის ნორმებს დიფამაციაზე, მორალური კრიტერიუმების დარღვევაზე, მაგალითად, წაქეზება თვითმკვლელობაზე და სხვა დანაშაულებზე, აგრეთვე, გამომცემლობების განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ბავშვებისა და მოზარდების დაცვასთან დაკავშირებით მათი ჯანმრთელობასა და ფსიქიკიკაზე მავნე ზემოქმედების გამომწვევი პირობებისგან.

„მაუწყებლობის შესახებ“ იტალიის 2004 წლის კანონის შესაბამისად, დამოუკიდებელი მაუწყებლები ვალდებულნი არიან:

- პატივი სცენ პლურალიზმის, მიუკერძოებლობის და გამჭვირვალობის პრინციპებს;

- პატივი სცენ ადამიანის ძირითად უფლებებს და თავი შეიკავონ პორნოგრაფიის და ძალადობის დემონსტრირებისგან.

პირის პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების გამოაშკარავება ან მისი გარეგნული გამოსახულების გამოყენება რეკლამის და ვაჭრობის მიზნით პირის თანხმობის გარეშე, არ არის დასაშვები. მაგრამ როდესაც ახალი ამბების საინფორმაციო პროგრამის გადაცემისას აუცილებელი ხდება ამა თუ იმ პირის პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების გამოაშკარავება ან მისი გარეგნული გამოსახულების გამოყენება, ამ დროს თანხმობის მიღების აუცილებლობა შესაძლებელია ცენზურის ან მასმედიის თავისუფლების წინასწარი შეზღუდვის მაგალითი აღმოჩნდეს (რაც მიუღებლად ითვლება დემოკრატიულ ქვეყნებში). ამიტომ ევროპულ ქვეყნებში (მათ შორის იტალიაში, საფრანგეთში) პერსაონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონების ნორმები ითვალისწინებენ გამონაკლისებს ასეთი მონაცემების შეგროვებაზე, შენახვასა და გავრცელებაზე.

ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ასეთი კანონების პროცედურები და შეზღუდვები იწვევეენ პრესის თავისუფლების და სარედაქციო დამოუკიდებლობის საკითხებში ჩარევას. მოთხოვნები რედაქციების და გამომცემლობების მიმართ წინასწარ შეათანხმონ გამოსაქვეყნებელი ცნობები არაკანონიერია აშშ-სა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. ამავე დროს, მაგალითად, პოლონეთის კანონმდებლობა ჟურნალისტისგან მოითხოვს მიიღოს თანხმობა პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების გამოქვეყნების შემთხვევაში.

დასკვნა

მედიასაშუალებათა ეთიკური ნორმების საკანონმდებლო რეგულირების უცხოური პრაქტიკის ანალიზის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების კონსტიტუციები უზრუნველყოფენ მოქალაქის ღირსებისა და პატივის დაცვის ნორმებს. მასმედიის საქმიანობის განმსაზღვრელი კანონები დასჯად ქმედებად განიხილავს ცილისწამებას, პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევას, დიფამაციას და ადამიანის სხვა ძირითადი უფლებების შელახვას. ამასთან ერთად მედიასაშუალებათა ეთიკური ნორმების საკანონმდებლო რეგულირების სფეროში შეინიშნება განსხვავებული მიდგომებიც. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში (მათ შორის იტალიასა და საფრანგეთში), პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონების ნორმები ითვალისწინებს გამონაკლისებს ასეთი მონაცემების შეგროვებაზე, შენახვასა და გავრცელებაზე. აშშ-სა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში არაკანონიერად ითვლება მოთხოვნები რედაქციებისა და გამომცემლობის მიმართ წინასწარ შეათანხმონ გამოსაქვეყნებელი ცნობები. ამავე დროს, მაგალითად პოლონეთის კანონმდებლობა ავალდებულებს ჟურნალისტს, აუცილებლად მიიღოს თანხმობა, პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების გამოქვეყნების შემთხვევაში.

გამოყენებული წყაროები:

აშშ

http://lawtoday.ru/razdel/biblo/info-prav/096.php Права и обязанности средств массовой информации с позиций государственной (национальной) безопасности http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/FIELD/Moscow/pdf/MP5- CI/ International%20Standards%20and%20Foreign%20Practices%20on%20Media%20 Regulation.pdf Международные стандарты и зарубежная практика регули- рования журналистики. ЮНЕСКО – 2011.

გერმანია

http://works.tarefer.ru/26/100038/index.html Право на информацию для журналистов в Германии http://www.iuscomp.org/gla/statutes/RuStaV.htm Interstate Broadcasting

Agreement http://www.iuscomp.org/gla/statutes/LMIguidelines.htm Guidelines issued by the Land Media Institutes on ensuring protection for young persons (youth guidelines)

ავსტრია

http://www.ris.bka.gv.at/Dokumente/Erv/ERV_1981_314/ERV_1981_314.html Act on the Press and othe Publication Media http://www.ris.bka.gv.at/Dokumente/Erv/ERV_2001_1_84/ERV_2001_1_84.html Federal Act on Audio-visual Media Services http://www.ris.bka.gv.at/Dokumente/Erv/ERV_2003_1_70/ERV_2003_1_70.html Federal Act Enacting a Telecommunications Act

იტალია

http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/FIELD/Moscow/pdf/MP5- CI/International%20Standards%20and%20Foreign%20Practices%20on%20Media%20Regulation.pdf http://www.krugosvet.ru/enc/gosudarstvo-i-politika/italiya-konstitutsiya?page=0,1 ИТАЛИЯ. КОНСТИТУЦИЯ http://www.pravo.vuzlib.su/book_z1519_page_32.html Средства массовой информации

ესტონეთი

https://www.riigiteataja.ee/en/eli/509072014004/consolide Media Services Act http://www.legaltext.ee/en/andmebaas/tekst.asp?loc=text&dok=XX10025&keel=en&pg=1&ptyyp=RT&tyyp=X&query =Estonian+National+Broadcasting+Act Estonian National Broadcasting Act http://www.legaltext.ee/text/en/XXX0044.htm Advertising Act1

საფრანგეთი

http://www.khimki-news-lolo107.narod.ru/business3.html Французский закон о свободе печати

Foreign practice of legislative regulation of ethical norms of media outlets

Guram Gikashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article discusses the laws of Europe and the United States Mass Media field Regulation which take into consideration, the ethical norms related to media activities as well. The norms in the legislation of these countries regarding the regulations of such basic

principles as freedom of speech, printing, freedom of expressing one's opinion, the right to receive information, conduct a survey, is given in the constitution of the European countries and legislation about mass media resources, laws about the 'Freedom of Information', laws about 'media service', 'audiovisual programs', 'Broadcasting', 'freedom of printed speech', the press and other printed media resources, about "media property', and 'television Standards'. Issues of ethics of information resources are regulated by the laws about the protection of public morals, defamation and intervention of personal life , about audiovisual Media Services and also the code of ethics of the press, civil and criminal Code.

Key words: mass media, ethical norms, legislation, defamation

Georgian, British and American style of communication in political discourse

Sopiko Labadze, Doctoral student
Georgian Technical University

Resume

National features of communicative behavior, coming across in intercultural communication, are collective habits of nationality and they are reflected in the usage of various communicative strategies and communicative means. As a result, we get national style of communication or communication ethnostyle. Generally, style is shaping by means of extralinguistic factors. National style of communication is reflected by using the relations of socio-linguistics, cultural values, traditions, that are characteristic for certain kind of culture. The thing characteristic for one culture may be unacceptable for another one. In a word, ethnostyle of communication can possibly be defined as a cultural type of communicative behavior and it is presented with its verbal and nonverbal means in intercultural process of communication.

Key words: Ethno style, positive politeness strategies, negative politeness strategies, communication styles ,strategies in political discourse, the role of audience, similar and different strategies for American, British and Georgian political discourse on the basis of Tv debates.

Introduction

Space distance is characteristic for English people, they do not argue with oponents,they do not show remarks towards them. The second significant and valuable factor is equality among speakers. Respectability and attentive relationship are the most defining factors for style of English communication . English peole are tend not to expose their social status even in asymmetrical communication. Snobbing is considered to be a bad tone in English.

Another great value is positive thinking and culture of smiling. Speakers express two essential types of behaviors- they become distant and vice versa come closer to one another. According to this , scientists separate two types of politeness – posive politeness strategies and negative politeness strategies. (Brown Levinson) 1987. Each one has its own formula of communicative strategies – closeness and horizontal and vertical distance. Phatic communication is identified with the category of politeness and not with etiquette and it represents national specific system of communication strategy. That is the direction to nonconflict communication. Using distant strategies are directed to social distance and advocating interpersonal outlines . In this case, while formation the style of communication, distance becomes the major, dominant one and that is the origin of negative commu-

nication .There is no direct impact on speaker and the equivalent of this term in English is "autonomic privacy". This is not exposed in other European countries.

Main Body

Maintaining and demonstrating good mood ,welfare, gaiety is one of the most significant qualities of English communication and culture. Depicting verbal communication and national style, linguistic, psycholinguistic and sociolinguistic determiners are the main one:

1. Distance
2. The level of formality
3. Subjective and objective outline of communicators
4. The level of influence
5. The exposure of emotion
6. Functional meaning of emotion
7. Level of exposure
8. Level of ritualization
9. Laconism

Each culture has its own rules, beliefs, values and the differentiative points of cross-cultural relations is no doubt. While talking about English and American cultural values the similarities are visible and that is caused by the international factor of the Enlish Language. Both cultures coexist in English political communication . Despite existing similarities between English and American culture , the difference is visible: English people are comparatively conservatives. English spoken style is formal in political speeches, parilamentary debates. Theresa May and Jeremy Corbon evidently use formal style while addressing each other: Honourable Gentleman, Honourable Lady. Speaker in English parliamentary debate plays an intermediary role. Opponents deliver their speech through addressing Mr.Speaker. The beginning of debate is processed by the permission of the speaker. As a matter of fact, English people are the protectors of law and order, rules and regulations. Generally, destructive communication is common in political communication , though this factor is presented differently in all countries'culture. The fact of speech Interruption is less evident .Political speech is processed in turning regime and this ensures less destructiveness and it enhances the culture of listening. Addressing factor in British seems to be unacceptable for American and Georgian culture, breaking through distant borders is coherent for them. American and Georgian politicians address one another with names and surnames, whereas addressing with their social status can convey ironic equivalency in major cases. Eg: Clinton, Donald, Saakashvili, Ivanishvili , Mr. Bidzina Ivanishvili. American and Georgian addressing forms can be insulting in British and on second thoughts, acts of active menacing , aggressive forms ,suing in courts are unacceptable for British people.

It is offensive for British and American political discourse ,whilst in Georgian it is not a soring point.

The main ,basic common features for British, American and Georgian political discourse are the following: the same strategies, high tone of speaking, the style of persuasive acts of speech, uniquiness of intention, agonistic function ,personification, invective strategy, false sympathy, and from nonverbal components- pointing with fingers at one another, emotional factor , time of interaction and place , situational model are the same in American and Georgian political discourse ,excluded the British one. One of the noteworthy facts is the discrepancy of gender values, that is clear on the basis of three countries . Political opponents in these three countries are women-Theresa May in Britain, Hilary Clinton in America, and Salome Zurabishvili in Georgia. The destruction of gender values reaches its culminating point through the materials of Donald Trump and Hilary Clinton. Invective lexis is the main tool of achieving goal.

And last but not least, the role of audience is various throughout the basis of three countries' culture. The audience is the third and indirect participant in presidential and parliamentary debates of American and Georgian political culture. Applause is the accompanying component of nonverbal communication. The existence of this latter one in British is intentional , explicit and exceptionally influencial and discouraging. The audience in American culture is more or less controllable and comparatively passive and in Georgian it is invisible at all. From my point of view, audience and emotional factor are interrelated with each other. They make a great impact not only on the psychology of opponents , but on the viewers as well.

Conclusion

In conclusion, the existence of American tendencies are clearly visible for Georgian political discourse in TV debates not only with situational model ,but with technical aspects as well, Though American TV debates' situational model is much more sophisticated. According to this, it is no doubt that Culture of debates in Georgia is less developed in comparison with American one.

From my point of view, copying and immitating of British cultural codes in Georgian and American political discourse will be irrelevant and inadequate, solid .High registered language should be characterized for political culture. Distance, symmetrical relation, formality, complex style of communication tend to coexist in British . Direct intention and expilicitness , assymetrical relations related to social status is shaping in American and Georgian political communication. While Talking about political communication, the issue of destructive tendencies are always distinctly exposed and dominated. The culture of elections is directly connected with political culture. The methodology of polling should be more sophisticated and civil on the basis of managing opinion poll. Interpersonal commu-

nication is essential in resolving these current conflicts. The minimization of destructive tendencies, usage of hate speech are the main components for ensuring healthy political environment . Total eradication of destructive acts of speech is believed to be impossible in the process of debate, I would say it is inevitable and even , to some extent, necessary , but these acts must not be focused on discrimination, discreditation and offending opponents. The culture of debate should serve the development of common sense through constructive and phatic communication .It must be identified with the defendance of human's dignity, arising human rights on the foreground and not vice versa. Recent survey has shown, that Georgian polling methodology is in formative phase and it is not sophisticated. The main aim is to find neutral ways of minimizing destructive tendencies nin political discourse.

To my mind, the following ones are the key factors ,that should be taken into consideration preventing from antiphatic communication: pro- american format of debate, usage of political correctness, symmetrical relations among opponents, democracy, arising the defendance of human rights , distinct strategies and tactics, high registered language, less invective lexis. These components tend to create healthy political environment and formating right choice and option in our political culture. They represent vital tools and components for our country's successful future.

Bibliography:

1. Абрамян- С.А. Янглоязычный политический дискурс в межкультурном контексте 2016
2. Ларина - Т.В. Английский стиль фатической коммуникации. Опубликовано: Английский стиль фатической коммуникации // Жанры речи. Саратов: Колледж, 2005. Вып. 4. - С. 251-262.
3. Куликова Л.В. Коммуникативный стиль в межкультурной парадигме /
4. Л.В. Куликова; Краснояр. гос. пед. ун-т им. В.П. Астафьева. – Монография – Красноярск, 2006. – 392 с.
5. Лаврова А.А.(Нижний Новгород) - Стратегии речевого воздействия в жанре предвыборных теледебатов 2009
6. Лебенкова –британский и американский политический дискурсбКонтрастивный анализ. 2011 монография
7. Татьяна Викторовна Ларина Категория вежливости и стиль коммуникации: Сопоставление английских и русских лингво-культурных традиций 2009
8. Тымбай А.А Коммуникативные стратегии американских политиков
9. (на примере избирательной кампании 2016) 2018 Vol. 9 No 1 105—123

ქართული, ბრიტანული და ამერიკული კომუნიკაციის სტილი პოლიტიკურ დისკურსში

სოფიკო ლაბაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

კომუნიკაციური ქცევის ეროვნული თვისებები, რომლებსაც ჩვენ ვაწყდებით ინტერკულტურულ ურთიერთობაში ეროვნების კოლექტიური ჩვევებია და ვლინდება სხვადასხვა კომუნიკაციური სტრატეგიებისა და კომუნიკაციური საშუალებების გამოყენებაში. შედეგად, ვღებულობთ კომუნიკაციის ეროვნულ სტილს ანუ კომუნიკაციურ ეთნოსტილს. სტილი ,როგორც ცნობილია ფორმირდება ექსტრალინგვისტური ფაქტორების გამოვლენით. კომუნიკაციის ეროვნული სტილი ყალიბდება სოციო-კულტურული ურთიერთობების გამოვლენით, კულტურული ღირებულებებით ,ნორმებითა და ტრადიციებით, რაც დამახასიათებელია გარკვეული სახის კულტურისთვის. რაც დამახასიათებელია ერთი კულტურისთვის ხშირად მიუღებელია სხვა კულტურისთვის. მოკლედ, კომუნიკაციის ეთნო სტილი შესაძლოა განისაზღვროს როგორც წინასწარ განსაზღვრული კომუნიკაციური ქცევის კულტურული ტიპი, რაც ვლინდება ვერბალური და არავერბალური საშუალებებით ინტერკულტურული პროცესების ურთიერთქმედებისას.

საკვანძო სიტყვები : ეთნოსტილი, პოზიტიური ზრდილობიანობის სტრატეგია, უარყოფითი ზრდილობიანობის სტრატეგია, კომუნიკაციური სტილები, პოლიტიკური დისკურსის სტრატეგიები, აუდიტორიის როლი, მსგავსება და სხვაობა ამერიკულ, ქართულ და ბრიტანულ პოლიტიკურ დისკურსში ტელე დებატების საფუძველზე.

ბლოგის წარმოქმნის განმაპირობებელი ფაქტორები

დიანა ლიპარტელიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ინფორმაციული საზოგადოების და ციფრული ტექნოლოგიების ერამ გაამარტივა მასობრივი ინფორმაციების საშუალებებზე წვდომა. შესაბამისად, გაფართოვდა ინტერნეტჟურნალისტიკის მიმართულებები.

შესაბამისად, სიტყვა „ინფორმაციამაც“ მიიღო დამატებითი მნიშვნელობა და აღნიშნავს ყველაფერს, რაც შესაძლებელია კოდირებული იყოს წყაროდან მიმღებზე გადაცემისთვის.

ყოველივე ზემოთაღნიშნულში ინტერნეტიზაციას უდიდესი წვლილი მიუძღვის. სწორედ ამ პროცესმა განავითარა ონლაინ-მედია და მისცა მას ბიძგი, წარმოდგენილიყო სხვადასხვა ჟანრის პორტალების სახით, რომლებიც, თავიანთი მხრივ მოტივირებული იყვნენ ინფორმაციის სწრაფ გავრცელებაზე.

ზემოთ აღწერილმა გარემოებებმა, მედიის რეკლამის და ბიზნესის მჭიდრო კავშირებმა, თავისთავად მოითხოვა ისეთი პლატფორმის დაბადება, რომელიც კონკრეტულ თემაზე ინფორმაციას მიაწვდიდა საზოგადოებას. მკითხველი მისი საშუალებით მიიღებდა ინფორმაცის დაწვრილებით, სტატია იქნებოდა შედარებით მოცულობითი და იქნებოდა უკუკავშირიც. კერძოდ, დაინტერესებულ პირს ექნებოდა საშუალება მკითხველის მოსაზრებაც ენახა ამა თუ იმ საკითხზე. მოთხოვნის შესაბამისად, ინტერნეტმედიამ შვა ახალი პროდუქტი - ბლოგინგი - რომელიც პირდაპირ პასუხობდა არსებულ მოთხოვნას, ამავდროულად კი ექვემდებარებოდა აღიარებულ ჟურნალისტურ სტანდარტებს.

ბლოგის შექმნიდან 25 წლის გასვლის შემდეგ, ბლოგის მკითხველთა მიზნები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1. ინფორმაციის მიღება; 2. კითხვა-გართობა 3. ამა თუ იმ მოვლენაზე აუდიტორიის რეაქციისთვის თვალყურის მიდევნება 4. სოციალიზაციის მიზნით კითხვა, რათა თავი იგრძნონ ცნობილი ადამიანების ცხოვრების ნაწილად.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული საზოგადოება, ინტერნეტიზაცია, ბლოგის მიზნები, მედიაპლატფორმები

შესავალი

ინფორმაციული საზოგადოების და ციფრული ტექნოლოგიების ერამ გაამარტივა მასობრივი ინფორმაციების საშუალებებზე წვდომა. შესაბამისად, გაფართოვდა ინტერნეტჟურნალისტიკის მიმართულებები.

ცვლილებებმა ინფორმაციულ სფეროში მოგვიყვანა თვისებრივად ახალი ტიპის სოციალური მოწყობის აღმოცენებასთან - ინფორმაციულ

საზოგადოებასთან.

სიტყვა "ინფორმაციამ" მიიღო მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც იგი აღნიშნავს ყველაფერს, რაც შეიძლება კოდირებული იქნეს წყაროდან მიმღებზე გადაცემისთვის, თავისი სემანტიკური მნიშვნელობისგან დამოუკიდებლად. [1] ინფორმაციული საზოგადოება კი არის სოციალური სისტემა, რომელშიც საქონლისა და მოხმარების წარმოება არსებითად დამოკიდებულია ინფორმაციის შეგროვებაზე, დამუშავებასა და გადაცემაზე.

თანამედროვე წამყვანი სოციოლოგები დ. ბელი, ო. ტოფლერი, ე. კასტელზი და სხვ. მიუთითებენ, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოება, თავისი არსით, კომუნიკაციური თუ ინფორმაციული საზოგადოებაა. ბელის მტკიცებით, თუ ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი რესურსი კაპიტალი იყო, პოსტინდუსტრიული საზოგადოების სტრატეგიული რესურსებია ინფორმაცია და თეორიული ცოდნა. [2]

„უდავოა, ინფორმაციამ და ცოდნამ - როგორც ყველა ტექნოლოგიურმა სისტემამ, რომლიც "ტექნოლოგიური აფეთქების" თანმდევია, - რაოდენობრივ მიმართებაში მნიშვნელოვანი გავრცელება ჰპოვეს. რთული არაა იმაზე დათანხმებაც, რომ მათ დაიწყეს მნიშვნელოვანი როლის თამაში თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის შრომით საქმიანობაში."[3]

დღეს არსებულ საზოგადოებაში მთავარ ძალას არა მათი ფიზიკური შესაძლებლობები, არამედ ინფორმაცია წარმოადგენს. ბევრი თეორიტიკოსი ასეც მსჯელობს: „ჩვენს დროში ინფორმაცია გახდა მეტი, რაც ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ არის ინფორმაციული". [1]

ინტერნეტიზაციამ თავისი ქნა და ინფორმაციულ საზოგადოებას მისცა საშუალება, უფრო მეტად განვითარებულიყო. საზოგადოების ინფორმირების შედეგად კიდევ უფრო აიწია საზოგადოების თვითშეგნებამ, სამოქალაქო აქტივიზმმა და კიდევ უფრო გაიზარდა ინტერნეტმედიის მკითხველთა რიცხვიც. მსოფლიოში, ონლაინ-მედია, წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის პორტალების სახით. თითოეული მათგანის ძირითადი მოტივაცია ინფორმაციის სწრაფი გავრცელებაა გახდა.

ბიზნესის, რეკლამის და მედიის მჭიდრო ურთიერთკავშირმა დააყენა ისეთი კონტენტის არსებობის აუცილებლობა, სადაც კონკრეტულ თემაზე ინფორმაციას საზოგადოება მიიღებდა დაწვრილებით, სტატია იქნებოდა შედარებით მოცულობითი და იქნებოდა უკუკავშირიც. კერძოდ, დაინტერესებულ პირს ექნებოდა საშუალება მკითხველის მოსაზრებაც ენახა ამა თუ იმ საკითხზე. მოთხოვნის შესაბამისად, ინტერნეტმედიამ შვა ახალი პროდუქტი - ბლოგინგი, რომელიც პირდაპირ პასუხობდა არსებულ მოთხოვნას, ამავდროულად კი ექვემდებარებოდა აღიარებულ ჟურნალისტურ სტანდარტებს.

ძირითადი ნაწილი

ბლოგი არის ვებ-გვერდი, რომელიც შედგება უკუქრონოლოგიური თან ამიმდევრობისგან. ბლოგებს გააჩნიათ ჩვეულებრივ გარკვეული ფუნქციები, მაგალითად - კომენტარები და ბმულები, მეტი ინფორმაციისთვის და საზოგადების მეტად ჩასართავად, რომელთა მეშვეობითაც ბლოგის შემქმნელი კომუნიკაციას ამყარებს აუდიტორიათან. [4]

ბლოგის ავტორს და მკითხველს სხვადასხვა მიზანი აქვთ. ე. გრონი თავის სტატიაში, გარდა ახლობლებთან კომუნიკაციისა, გამოყოფს ბლოგის მკითხველთა შემდეგ მიზნებს: 1. ინფორმაციის მიღება; 2. კითხვა-გართობა 3. ამა თუ იმ მოვლენაზე აუდიტორიის რეაქციისთვის თვალყურის მიდევნება 4. სოციალიზაციის მიზნით კითხვა, რათა თავი იგრძნონ ცნობილი ადამიანების ცხოვრების ნაწილად.

2005 წელს ჩატარდა ბლოგერების გამოკითხვა და გამოიკვეთა შემდეგი ფუნქციები: 1. კომუნიკაცია; 2. თვითწარდგენა/თვითპრეზენტაცია 3. გართობა; 4. სოციალური კავშირის შენარჩუნება და გამყარება 5. მემუარული ფუნქცია; 6. თვითგანვითარება ან რეფლექსია ჩამოყალიბება. 7. ფსიქოთერაპევტული ფუნქცია 8. საქონლისა და მომსახურების რეკლამირება. [5, 284]

ონლაინ-დღიურმა წარმოშვა ბლოგი იმაზე დიდი ხნით ადრე, ვიდრე სამყარო ამ სიტყვას ლექსიკონში შეიტანდა. შესაბამისად, ძნელია, განსაზღვრო ზუსტად როდის წარმოიშვა ბლოგი პრაქტიკაში. ფაქტი ისაა, რომ ადრეული დღეებიდან ის წარმატებით ვითარდებოდა და უფრო და უფრო მეტი ადამიანი უერთდებოდა ამ გუნდს. [7]

Links.net ბლოგინგის პირველი საიტია ინტერნეტში. როდესაც ჯასტინ ჰოლი, კოლეჯის სტუდენტი იყო, ტერმინი „ბლოგი“ ჯერ არ არსებობდა. ბლოგების წერა მასიურად 1990-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო. ადამიანები ყოველდღიურად აწვდიან ინტერნეტსაზოგადოებას ინფორმაციას მათი ცხოვრების და მოსაზრებების [4]

თუმცა, ეს, ყოველთვის ასე არ ყოფილა. ბლოგს, ინტერნეტთან შედარებით მოკლე ისტორია აქვს, ის დაახლოებით 25 წელს ითვლის. ამის მიუხედავად, ბლოგი ონლაინ-ლანდშაფტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა. პირველ ეტაპზე, ბლოგები ახლდებოდა ხელით და უკავშირდებოდა ცენტრალურ გვერდს, ან არქივს. ეს იყო მოუხერხებელი, შენ თუ არ იყავი პროგრამისტი, რომელიც ააწყობდა ბლოგის საკუთარ პლატფორმას, ბლოგის დასაწყებად სხვა შესაძლებლობები არ იყო.

2000-იანი წლების დასაწყისი იყო ბლოგების ზრდის პერიოდი. 1999 წელს, Jesse James Garrett- ის მიერ მომზადებული სიის მიხედვით, ინტერნეტში 23 ბლოგი იყო. 2006 წლის შუა რიცხვებში კი, Technorati‘s State-ის ბლოგოსფეროს ანგარიშის თანახმად, ინტერნეტსივრცეში 50 მილიონი ბლოგი მოიძებნებოდა.

2003 წელს გამოჩნდა AdSense, სარეკლამო პლატფორმა. ის გახლადათ

პირველი სარეკლამო ქსელი, რომელიც რეკალმებს ათავსებდა ბლოგებზე. Ad-Sense- მა შესაძლებელი გახადა ბლოგერებისთვის დიდი პლატფორმების გარეშე ეშოვათ ფული. მას შემდეგ, რაც ბლოგერებმა ფულის შოვნა დაიწყეს, მოიმატა ბლოგერების რაოდენობამაც. მიკრობლოგის საიტი - Tumblr იტყობინება რომ Statistica.com. 2017 წლის ივლისის მონაცემებით, 350 მილიონი ბლოგი არსებობდა.

პრაქტიკულად, ყველა ძირითად საინფორმაციო საშუალებას აქვს მინიმუმ ერთი ბლოგი. ასევეა კორპორაციებში და კერძო ბიზნესში. [6]

დასკვნა

ისევე, როგორც ბევრი განვითარებული და განვითარებად ქვეყანა, საქართველოც ჩაერთო ბლოგინგის ფერხულში და თითქმის ყველა ინტერნეტპორტალმა, თავის გვერდზე განათავსა ბლოგი. ეს ყველაფერი კი მოხდა საზოგადოების გარკვეული ფენების შიშის ფონზე, რომლებიც წერდნენ, რომ არსებულმა ახალმა მედია პლატფორმებმა იმდენად გაიდგეს ფესვები, რომ შესაძლოა მათ ვერ მოეხდინათ ინტეგრაცია ტრადიციულ მედიასაშუალებებთან და მთლიანად გაექროთ ისინი.

დღეს გვყავს 3100 ბლოგერი. [7] ბლოგი, 90-იანი წლების ბოლოდან 2000-იანების დასაწყისში, ერთადერთი გზა იყო საკუთარი მოსაზრების გამოსახატავად, როგორც კი გამოჩნდა "ფეისბუქი" და მარკ ცუკერბერგი, ხალხს მაშინვე მიეცა უფრო ადვილი გზა, საკუთარი მოსაზრება გამოეხატა. ბლოგოსფეროზე თავად სოციალური ქსელების გავლენაც საინტერესოა. ჩვენ ვამბობთ, რომ ბლოგებმა რაღაც უნდა გააკეთოს და მოსახლეობაში რაღაც შეცვალოს, მაგრამ გვავიწყდება, რომ "ფეისბუქმა" ჩაყლაპა ის პოტენციალი, რომელიც ბლოგოსფეროში უნდა წასულიყო. ადამიანები, რომლებიც გახდებოდნენ ბლოგერები და დაიწყებდნენ წერას ისეთ საკითხებზე, რომლებიც აინტერესებთ, ან რომელშიც ექსპერტიზა გააჩნიათ, გადასულები არიან "ფეისბუქზე", დისკუსია მიმდინარეობს იმ ფორმატში და მათ უკან წამოყვანა, ძალიან რთული იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://socium.ge/downloads/info-saz-teoriebi/2-info-i-sazogadoebis-teoriebi.pdf ბოლოს ნანახია: 02.24.19
2. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4499 ბოლოს ნანახია: 02.24.19
3. http://www.socium.ge/downloads/samagistro/shevdivart_ra_info_erashi.pdf ბოლოს ნანახია: 02.24.19
4. https://www.lifewire.com/what-is-a-blog-3476707 ბოლოს ნანახია: 02.24.19

5. მალაღურაძე თ. "ახალი ამბებისა და ანალიტიკური ჟურნალისტიკა", თბ. ,,ტექნიკური უნივერსიტეტი'', 2017
6. https://www.webdesignerdepot.com/2011/03/a-brief-history-of-blogging/ ბოლოს ნანახია: 02.24.19
7. https://ge.boell.org/sites/default/files/downloads/Political_Architecture_of_Internet.pdf ბოლოს ნანახია: 02.24.19

The Factors Determining Creation of the Blog

Diana Liparteliani, PhD student
Georgian Technical University

Summary

The age of information society and digital technologies has facilitated access to the media. Consequently, directions of online journalism have expanded.

Accordingly, the word "information" has also gained an additional meaning and means everything that can be encoded for transmission from the source to the recipient.

Internetization has made an enormous contribution to all of the above said. And this is the process that has developed the online media and gave rise to be presented in the form of various portals, which in turn were motivated by the rapid dissemination of information.

The circumstances described above, the close relationship of media advertising and business obviously required the birth of a platform that would provide the public with information on a specific topic. A reader could receive information through it, an article would be relatively lengthy and there would be a feedback. In particular, an interested person would have an opportunity to learn about the reader's opinion on one or another issue. According to the request, the internet media has created a new product - blogging - that directly met the existing demand and at the same time complied with generally accepted journalistic standards.

25 years after the creation of the blog, the goals of blog readers can be formed as follows: 1. Getting information; 2. Reading and entertainment. 3. Tracking the audience's reaction to one or another event 4. Reading for the purpose of socialization in order to feel a part of the life of famous people.

Keywords: information society, internetization, blog goals, media platforms.

ტელევიზიის ეფექტების შესწავლის ისტორიის საკითხები

სოფიკო ლომთათიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სერიალების ეფექტების პირველი კვლევა რადიოს საპნის ოპერებზე ჩატარდა. ავტორი გახლდათ ჰერტა ჰერცოგი, რომლის შრომა საბოლოოდ მასკომუნიკაციის თეორიას "სარგებლობისა და დაკმაყოფილების მოპოვების თეორია", დაედო საფუძვლად. დღეს იმ მიზეზების შესწავლა, თუ რატომ იყენებენ ადამიანები მედიას და რა ჯილდოს იღებენ ამისთვის, აუდიტორიის წევრების აქტიური როლის გაგების ჩვეულებრივი, მაგრამ სადავო სტრატეგიაა. "სარგებლობისა და დაკმაყოფილების მოპოვების“ თეორია დაფუძნებულია რამდენიმე საკვანძო დებულებაზე, რომლებსაც მიეკუთვნება: აუდიტორიის აქტიურობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობა გარკვეული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მედიამომხმარებელთა რეაქციის დამოკიდებულება სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე. ზოგადსოციოლოგიურ თეორიებსა და პრაგმატულ დაკვირვებებს შორის თავისებური ხიდი გადო რობერტ მერტონმა. ,,ფუნქციური ანალიზის“ ძირითადი თეორემა ამტკიცებს: როგორც ერთ მოვლენას შეიძლება სხვადასხვა ფუნქცია ჰქონდეს, ისე სხვადასხვა მოვლენას შეუძლია ერთისა და იმავე ფუნქციის შესრულება. თუ ფუნქცია ხელს უწყობს სისტემის გადარჩენას, გარემოში მის ადაპტაციას, დისფუნქცია უკუეფექტს იძლევა. ევერეტ როჯერსი ახლებურად მიუდგა ინფორმაციული ნაკადისა და ინდივიდზე მისი გავლენის კონცეფციას, როცა შემოგვთავაზა ე.წ. დიფუზიური ინოვაციების თეორია, რომელსაც ზოგჯერ ინოვაციების ან ადაპტაციის თეორიას უწოდებენ. კლაპერის განმტკიცების თეორიის მთავარი პოსტულატის თანახმად, მედია კი არ ცვლის, არამედ აძლიერებს ადამიანთა უკვე არსებულ განწყობებსა და ქცევის შაბლონებს. მასმედიაში რეპრეზენტაციით სოციალური სწავლება ერთი ან ერთდროულად ყველა შემდეგი საშუალებით ხდება:

გაკვირვების მეშვეობით, დათრგუნვით, გამოფხიზლება - შეჯანჯღარებით.

საკვანძო სიტყვები: სერიალის გავლენა საზოგადოებაზე, ინოვაციების დიფუზიის თეორია, ფრეიმების ანალიზი.

შესავალი

რა არის სერიალი და რა გავლენას ახდენს ადამიანზე? პირველი კვლევა რადიოს საპნის ოპერებზე ჩატარდა. ავტორი გახლდათ ჰერტა ჰერცოგი, რომლის შრომა საბოლოოდ მასკომუნიკაციის თეორიას "სარგებლობისა და

დაკმაყოფილების მოპოვების თეორია", დაედო საფუძვლად.

1944 წელს მისი სტატია ,,ყოველდღიური სერიალების მსმენელთა დაკმაყოფილებისა და მოტივაციის ტიპები" პირველი ნაბეჭდი შრომა იყო, რომელიც მასმედიის გამოყენებით მიღებული კმაყოფილების სიღრმისეულ ანალიზსშეიცავდა. დღესიმმიზეზებისშესწავლა, თურატომიყენებენადამიანები მედიას და რა ჯილდოს იღებენ ამისთვის, აუდიტორიის წევრების აქტიური როლის გაგების ჩვეულებრივი, მაგრამ სადავო სტრატეგიაა. სარგებლობისა და დაკმაყოფილების მიღების პრობლემის შესწავლა ბუნებრივ პირობებში გამოკითხვის მეშვეობით ხდება. შედეგად, შეადგინეს ადამიანების მიერ მედიის გამოყენების სახეებისა და იმ სარგებლობის ჩამონათვალი, რომლის მიღებაც სურთ. თეორიის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა ის, რომ მომხმარებლები აქტიურად ირჩევენ ტელეგადაცემებსა და მედიაინფორმაციის სხვა მატარებლებს თავიანთი ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის. "სარგებლობისა და დაკმაყოფილების მოპოვების" თეორია დაფუძნებულია რამდენიმე საკვანძო დებულებაზე, რომლებსაც მიეკუთვნება: აუდიტორიის აქტიურობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობა გარკვეული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მედიამომხმარებელთა რეაქციის დამოკიდებულება სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე.

ძირითადი ნაწილი

1959 წელს ჩარლზ რაიტ მილსმა მასობრივი კომუნიკაციის პირველი სახელმძღვანელო გამოაქვეყნა, რომელშიც მასმედიის ანალიზისადმი ფუნქციური მიდგომა შემოგვთავაზა. ფუნქციური ანალიზის მთავარი პრობლემა ისაა, რომ ის არ იძლევა საშუალებას, ზუსტად ითქვას მედიის შესახებ, ფუნქციურია ის თუ არა. როგორც წესი, ასეთი ანალიზის შედეგები აკანონებს, ან ასაბუთებს სტატუს-კვოს, რადგანაც ზოგიერთი დასკვნის არაერთმნიშვნელოვნების დაძლევა იმის უბრალოდ აღნიშვნითაა შესაძლებელი, რომ დისფუნქციები ფუნქციებით წონასწორდება.

1962 წელს ევერეტ როჯერსი ახლებურად მიუდგა ინფორმაციული ნაკადისა და ინდივიდზე მისი გავლენის კონცეფციას, როცა შემოგვთავაზა ე.წ. დიფუზიური ინოვაციების თეორია, რომელსაც ზოგჯერ ინოვაციების ან ადაპტაციის თეორიას უწოდებენ. თავიდან სიახლის შესახებ რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა უნდა შეიტყოს. შემდეგ მას შეიარაღებაში იღებს ინოვატორების ძალიან მცირე ჯგუფი(მოსახლეობის 2.5%), რომელიც უფრო მობილურია, კონტაქტები აქვს თავისი წრის გარეთაც, ადვილად აღიქვამს აბსტრაქტულ იდეებს და მზადაა გასარისკავად. მათ მიყვებიან ადრეული ადეპტები(13.5%), ძირითადად პატივცემული ადამიანები, შეხედულების, თვალსაზრისის ლიდერები, რომლებიც ჩათვლიან რა სიახლეს სასარგებლოდ, ვინც მათ სიტყვებს

ანგარიშს უწევენ, მათაც არწმუნებენ გასინჯონ ის. ამ ადრეული უმრავლესობის ჩართვით (34%) სიახლის მიღების დონე საშუალო სტატისტიკურ ნიშნულამდე მიდის. შემდეგ ამ ახალ იდეას ან საქონელს იღებს გვიანი უმრავლესობა, რომელიც ასევე მოსახლეობის 34% შეადგენს. ბოლოს, სიახლისადმი თავის დამოკიდებულებას იცვლის ჩამორჩენილთა ჯგუფიც, ანუ გვიანი ადეპტები (16%), ის კონსერვატორები, რომლებიც ხშირად განიცდიან თანხების სიმწირეს და ეჭვით ეკიდებიან ყველაფერ ახალს. მკვლევართა რამდენიმე ჯგუფმა თითქმის ერთდროულად აღმოაჩინა მასობრივი კომუნიკაციის პროცესში არაფორმალური საზოგადოებრივი კავშირების როლი. მათ დაადგინეს, რომ ნოვაციის მიღება საერთო სოციალური პროცესია. პრაქტიკულად ყველა სიტუაციაში, როდესაც ადამიანებს უხდებოდათ გადაწყვეტილების მიღება საყიდლების, კანდიდატების თაობაზე და მათ არ ჰქონდათ ცნობები პირველი ხელიდან, ჩანდა ინფორმაციისა და გავლენის ორსაფეხურიანი ნაკადი. ისინი რჩევისათვის მათ მიმართავდნენ, ვის აზრსაც ენდობოდნენ და ეს, საბოლოოდ განსაზღვრავდა მათ გადაწყვეტილებას და საქციელს.

ახალ განგსტერულ კინოფილმებსა და ბავშვთა დანაშაულთა ზრდასა და სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებებს შორის კავშირის ყველაზე ყურადსაღები ანალიზი 1928 წელს ჩატარდა პეიკის ფონდის მეშვეობით. სხვადასხვა მეთოდიკის გამოყენებით ჩატარებული-დაწყებული გამოკითხვებითა და ექსპერიმენტებით და დამთავრებული კონტენტ-ანალიზითა და დღიურებით-13 დამოუკიდებელი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ფილმები საგრძნობ და უპირატესად უარყოფით გავლენას ახდენენ ბავშვებზე, მაგალითად, უფრთხობენ ძილს, უმახინჯებენ სიკეთესა და ბოროტებაზე წარმოდგენას, სთავაზობენ ქცევის მაცდუნებელ ნეგატიურ მოდელებს. კამათმა იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს მედია საზოგადოებაში სოციალური არასტაბილურობისა და ძალადობის ზრდაში, პიკს 1960-იანი წლებისთვის მიაღწია, როცა ამერიკაში არეულობა მოხდა. ჯანდაცვის სამინისტრომ რამდენიმე კვლევა შეუკვეთა, რათა დაედგინა, შეეძლო თუ არა ტელევიზიას ბავშვების ქცევაზე არსებითი ზეგავლენის მოხდენა. მათგან ყველაზე ამბიციურს სათავეში ედგა უიმბურ შრამი, რომელმაც ილინოისის უნივერსიტეტთან კომუნიკაციების შემსწავლელი პირველი სამეცნიერო ცენტრი დააარსა. შემდეგ ის სტენფორდის უნივერსიტეტში მიიწვიეს, რათა ამერიკელი ბავშვების ცხოვრებაში ტელევიზიის როლი შეესწავლა. 1958-დან 1960 წლის ჩათვლით შრამის გუნდმა 10 სხვადასხვა ქალაქში 11 სოციოლოგიური გამოკვლევა ჩაატარა, რომელთა მიმდინარეობისას 6000 ბავშვი და 2000 მშობელი გამოიკითხა. ამ შრომის შედეგები 1961 წელს გამოქვეყნდა. ეს წიგნი შეზღუდული ეფექტების იმ პარადიგმის ღირსებებისა და ნაკლოვანებების კლასიკური მაგალითია, რომელიც ორი ათეული წლის განმავლობაში ყალიბდებოდა, მანამ სანამ შრამი თავის კოლეგებთან ერთად

მუშაობას შეუდგებოდა. მათ ემპირიული კვლევების განახლებული მეთოდები გამოიყენეს. უპირველესი-გამოკითხვითი ინტერვიუ, რათა ბავშვებზე ტელევიზიის გავლენის შესახებ კითხვათა ფართო წრეზე ეპოვათ პასუხი. მონაცემთა კომპიუტერიზებულმა ანალიზმა მკვლევრებს შესაძლებლობა მისცა, ცვლადებს შორის, პირდაპირი მნიშვნელობით, ათასობით კავშირი შეესწავლათ და გამოეყოთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. შეზღუდული ეფექტების მკვლევართა უმრავლესობის მსგავსად, შრამმა და მისმა გუნდმაც ამჯობინეს, არ ეხელმძღვანელათ რომელიმე შემუშავებული თეორიული სისტემით, რათა ,,მიკერძოებული" არ მოსჩვენებოდნენ და თავიანთი თეორია სისტემატურ ემპირიულ დაკვირვებებზე ააგეს. ამ დასკვნების არსი ორ აბზაცშია გადმოცემული: ,,არც ერთ ინფორმირებულ ადამიანს არ შეუძლია უბრალოდ თქვას, რომ ტელევიზიას ბავშვებისთვის სარგებელი ან ზიანი მოაქვს.

იმის სისტემურად ასახსნელად, თუ როგორ იყენებენ ადამიანები მოლოდინს ყოველდღიური ცხოვრებისეული სიტუაციებისა და მათში საკუთარი ადგილის გასაცნობიერებლად, ირვინგ ჰოფმანმა ფრეიმების ანალიზის კონცეფცია შემოგვთავაზა. ის დარწმუნებული იყო, რომ ყოველდღიური ცხოვრება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე გვეჩვენება. ჰოფმანი ამტკიცებდა, რომ სიტუაციების, ქმედებებისა და სხვა ადამიანების დეფინიცია ან ტიპიზაცია საზოგადოების წინსვლასთან ერთად იცვლება. ირვინგ ჰოფმანზე (1922-1982) საუბრობდნენ როგორც უკანასკნელ დიდ მოაზროვნეზე, რომელიც იდგა ჩიკაგოს სკოლის სათავეებთან. ის მიიჩნეოდა XX საუკუნის ყველაზე გავლენიან სოციოლოგად. ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მან მიიღო ჩიკაგოში 1953 წელს. 1950-დან 1970-წლებამდე ჰოფმანი გამოსცემს ნარკვევებისა და წიგნების მთელ სერიას, რომელშიც ჩაისახა დრამატურგიული ანალიზი, როგორც ვარიანტი სიმბოლური ინტერაქციონიზმისა.

დასკვნა

ამგვარად, ფსიქოლოგებმა გამოავლინეს, რომ ადამიანები ქცევის ნანახი მოდელების იმიტაციას აკეთებენ და ამ მოდელების გამყარება და ქცევის ნორმად ქცევა სავსებით შესაძლებელია. მასმედიისგან ქცევის მოდელების სესხებით მაყურებელი ეფექტურად სწავლობს ქცევის სრულიად სხვადასხვა სახესა და პრობლემის გადაწყვეტას, ამავე შედეგის მიღწევა სხვა საშუალებით ან ძნელი, ან შეუძლებელი, ან ძალიან ძვირია. მასმედიაში რეპრეზენტაციით სოციალური სწავლება ერთი ან ერთდროულად ყველა შემდეგი საშუალებით ხდება: გაკვირვების მეშვეობით სწავლება - ინდივიდები ითვისებენ ქცევის ახალ მოდელებს ტელეეკრანზე შესაბამისი რეპრეზენტაციის უბრალო ყურებით; დათრგუნვა -რეპრეზენტაციაში იმისი ჩვენებით, რომ მოდელი გარკვეულ საქციელს უარყოფითად აფასებს, კრძალავს, შესაძლებელია იმისი ალბათობის

შემცირება, რომ მაყურებლებიც ანალოგიურად მოიქცევიან; გამოფხიზლება, შეჯანჯღარება - რეპრეზენტაციები, რომლებიც აჩვენებენ აკრძალული ან საშიში საქციელის წახალისებას, ხშირად საკმარისია იმისი ალბათობის გასაზრდელად, რომ მაყურებელიც ასე მოიქცევა.[5]

ლიტერატურა:

1. მალაღურაძე თ.,თანამედროვე მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები; თბ.უნივერსალი, 2013.
2. გემაზაშვილი ზ.,-საზღვარგარეთული მედიათეორიები.
3. Schramm W.,Lyle J.,Parker E.Television in the lives of Our Children. Stanford,1961.
4. Feshbach S.The Stimulating Versus Cathartic Effects of a Vicarlous Aggressive Activity//Journal of Abnormal and Social Psychology. 1961. No63.
5. Bandura A.Psychological Modeling: Convicting Theories, Chicago, 1971.
6. Carey J.Culture Communications//Communication Research. 1975. No2.
7. Schramm,W.,&Roberts,D.F.(Eds). The process and effects of mass communication(Rev.ed.). Urbana, IL: University of IIIinois Press, 1971.
8. ასათიანი მ., კულტურის სოციოლოგია, სალექციო კურსი, თბილისი, 2006.

Television effects studied by historical issues

Sophiko Lomtatidze

Georgian Technical University

Summary

The first research of serial effects was conducted on radio soap operas. The author was Herta Duke, whose work ultimately became the basis for "the theory of obtaining and satisfaction". Today's study of the reasons why people use the media and what awards they receive, is simple, but controversial strategy for understanding the active role of audience members. The theory of "acquisition and satisfaction" is based on several key provisions, including: audience activity, use of mass media to meet certain needs, the attitude of media users to social and psychological factors. Robert Merton connected general theological theories and pragmatic observations. The basic theorem of "functional analysis" asserts: one event can have different functions and different events can perform one and the same function. If the function saves the system, its adaptation to the environment, the dysfunction

gives a rebound effect. Everest Rogers has come up with a new concept of information flow and its impact on the individual when he suggested the theory of diffusion innovations, sometimes called the theory of innovation or adaptation. According to the main postulate of the Clapper Enhancing theory, the media does not change, but strengthens the already existing moods and behavior patterns. In mass media, social teaching takes place by the following means: surprising, suppressing, awaking up - with reconciliation.

Keywords: The influence of the series on the society, the theory of diffusion of innovation, the analysis of the frames.

ახალი სოციალური მედია და რეალობა

ნატო მახათაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

როგორც აღნიშნავენ ცნობილი მეცნიერები დ. მაკვეილი, მ. მაკლუენი ,,ადამიანი, მისი ყოფითი, ყოველდღიური ცხოვრება უფრო მეტად მასურ კომუნიკაციაზეა დამოკიდებული, რომელიც მისთვის, თავის მხრივ, „მეორე რეალობას“, „სუბიექტურ რეალობას“ ქმნის, რომლის ზეგავლენა ადამიანზე, ობიექტური რეალობის ზეგავლენაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. მასური კომუნიკაცია ახალი სოციალური მედიის უმნიშვნელოვანესი პლატფომაა. სტატიაში განხილულია ახალი სოციალური მედიის არსი, მისი ფუნქციები, ზეგავლენა, ასევე სოციალური ურთიერთქმედების პროცესი, ურთიერთდამოკიდებულების ფორმები ამ სივრცეში, რომელსაც ადამიანი დღეს ტექნოლოგიის განვითარების რეჟიმში განიცდის.

შესავალი

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების აქტიური პროცესი მიმდინარეობს. ამ საზოგადოებისთვის კი დამახასიათებელია პირველ რიგში ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარება, და მის პარალელურად სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნეს საზოგადოების, სახელმწიფო ინსტიტუტების, საზოგადო/საჯარო ორგანიზაციების მხრიდან მათი ინტენსიური გამოყენება. იქმნება პროცესი, რომელიც საშუალებას იძლევა, ზოგადად ამაღლდეს ცხოვრების ხარისხი, განვითარდეს საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სფერო, საინფორ-მაციო და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე სრულყოფილ იქნას სახელმწიფო მმართველობის სისტემა. ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება არის თანამედროვე ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ინფრასტრუქტურის ფორმირება, რომელიც უზრუნველჰყოფს მოსახლეობას ხარისხიანი ინფორ-მაციის წვდომით. მიღწევებმა ახალ ტექნოლოგიურ სფეროში, რომელზეც დაფუძნებულია ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება, გამოიწვია კომუნიკაციის/კომუნიკაციური სახეცვლილება. განსაკუთრებული როლი ამ პროცესში ეკუთვნის ე.წ. ახალ სოციალურ მედიას, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს კომუნიკაციის საშუალების ახალ, სპეციფიკურ ინტერაქტიულ მხარეს, და ის უკვე აქტიურად გამოიყენება მნიშვნელოვანი კომუნიკაციური არხის სახით.

ძირითადი ნაწილი

ბოლო ათი წლის მანძილზე სოციალურ ინფორმაციული მედია საზოგადოების განუყოფელი ნაწილი გახდა. ურთიერთობა დიდწილად ინტერნეტ სივრცის გამოყენებით ხდება. როგორც ახალი მოვლენების უმრავლესობას, სოციალურ მედიის ფენომენსაც, შეუძლებელია ამომწურავი განსაზღვრება და ზუსტი საზღვრები მოუძებნო. დღეს მსოფლიოში რამდენიმე სამეცნიერო სკოლაა, რომლებიც მუშაობენ სოციალური ქსელების და სოციალური მედიის კონცეპციებზე. წარმოდგენილ სტატიაში სოციალური მედიის შესახებ მთელ რიგ განსაზღვრებებს შევეხებით, რომელიც მსოფლიოს წამყვანმა მკვლევარებმა და სპეციალისტებმა შემოგვთავაზეს და ამ პროცესის მნიშვნელობას განვიხილავთ არსებული ვითარებიდან გამომდინარე. მაშ ასე, - რა არის სოციალური მედია? ახალი კომუნიკაციური საშუალებების მკვლევარი, ჟურნალისტი პოლ გილინი, თავის გამოცემაში „The New influencers“ ახალ სოციალურ მედიას განსაზღვრავს, როგორც მნიშვნელოვან ტერმინს, რომელიც აერთიანებს განსხვავებულ on-line ტექნოლოგიებს ინტერნეტში, რაც მომხმარებელს ურთიერთქმედების, და ურთიერთობის საშუალებას აძლევს. ამერიკელი ჟურნალისტი ჯერი დოილი შემდეგ განსაზღვრებას გვთავაზობს - სოციალური მედია ეს არის განსხვავებული, სხვადასხვა on-line ტექნოლოგიები, რომელიც ადამიანებს აძლევს საშუალებას მარტივად იურთიერთოს ინტერნეტის საშუალებით, გაცვალოს რესურსები, ინფორმაცია, შთაბეჭდილებები და პერსპექტიული მოსაზრებები. ინგლისელი PR სპეციალისტი სემ ბლეკი, ამტკიცებს, რომ სოციალური მედია უზრუნველჰყოფს დაინტერესებული პირების კომუნიკაციას, რაც ხელს უწყობს პროცესის მონაწილეთა ურთიერთქმედების გაძლიერებას, დასტაბილურებას, საუბარია კომპანიებზეც და მის მოხმარებელზეც. ზიგმუნდ ბაუმანი, პოლონელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი თვლის, რომ სოციალური მედია, არის ხაფანგი: - „სოციალური მედია დიალოგს არ გვასწავლის, რადგან ის აზრთა სხვადასხვაობის თავიდან არიდებას ისე ადვილს ხდის... სოციალური მედია ძალიან სასარგებლოა, ის სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ ის ხაფანგია“. ინტერნეტ ენციკლოპედიაში სოციალურ მედიას განსაზღვრავენ როგორც ინტერნეტსაშუალების მასიური კომუნიკაციის სახეობას, რომელსაც ახასიათებს რიგი ტრადიციული სახეობებისგან არსებითი განსხვავებულობა (Wikipedia), სოცილური მედია წარმოადგენს პირდაპირ საკომუნიკაციო არხებს, სადაც საზოგადოება ურთიერთქმედებს, აზიარებს შინაარსს, თანამშრომლობს და ინფორმირებულია (Watls.com). ინტერნეტის საშუალებით წარმოდგენილი სოციალური ფორმები კომუნიკაციის ახალ ისტორიულ სახეობებია. აქ, გზავნილის შინაარსის მწარმოებლები, მომხმარებელთან შედიან ურთიერთობაში, რაც შემდეგში იწვევს მის/მომხმარებლის ჩათრევას წარმოებაში და აუცილებლად პროვოცირებს შემდეგ ქმედებას, შემდეგ

ნაბიჯს; შედეგად, იწყება ჯაჭვური პროცესი, იტვირთება შიგთავსი, მას ეცნობა მომხმარებელი, ყოველი მკითხველი ავტორის ფუნქციებს და როლს ითავსებს და მოქმედებს, როგორც კომენტატორი, ფოტოკორესპონდენტი, ან მოცემული სამსახურის/სერვისის რედაქტორი.

როდესაც ვსაუბრობთ ახალი სოციალური მედიის არსზე, უნდა აღინიშნოს, რომ საუბარი არსებითად მიდის, პლანეტარულად მნიშვნელოვანი ქმედებების პირველად, დაწყებით ეტაპზე, რომელიც ხორციელდება ელექტროკომუნიკაციის ტექნოლოგიების ერთიანობის მიზანმიმართული განვითარების გზით. დღეს, ეს გზა მილიარდობით ადამიანს საშუალებას აძლევს მიაღწიოს სხვადასხვა მიზნებს. კავშირი მყარდება ელექტრონის სიჩქარით. და რა ხდება ამ დროს? ელექტრონული ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ ცოდნის, გამოცდილების, აზრის, ვიდეომასალის, ფოტოგრაფიების, მუსიკის და ა.შ. გაზიარება, კონტაქტების დამყარება და რაც მთავარია განვითარება და თვითგანვითარება. საინტერესოა ამ თვალსაზრისით ანდრეას კაპლანის და მაიქელ ჰენლაინის მოსაზრება; ჟურნალში „Systems and Information Technology“ ავტორები კომუნიკაციის სოციალურ საშუალებებს განსაზღვრავენ, როგორც ინტერნეტ ჯგუფს, ბმულს WEB 2.0 -ს ამა თუ იმ იდეოლოგიურ და ტექნოლოგიურ ბაზაზე, რომელიც ურთიერთობის მონაწილეებს საშუალებას აძლევს, სოციალური ქსელის გაცვლის პროცესში შექმნან შინაარსი-შიგთავსი ე.წ. User-generated content-ით. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციის სოციალური საშუალებები შეგვიძლია განვიხილოთ თავისი კოლოსალური მართველობისა და პოტენციალის გათვალისწინებით, როგორც ძალაუფლების კონცენტრაციის პრინციპულად სრულიად ახალი საშუალება. ამ ძალაუფლების ზეგავლენისთვის წინააღმდეგობის გაწევა, თავისთავად შესაბამის ძალისხმევას მოითხოვს. საინტერესოა, შემდეგი ფაქტი, ნაწილი მეცნიერებისა თვლიან, რომ მასიური კომუნიკაციის ტრადიციული საშუალებებისგან განსხვავებით, რომელიც ინსტიტუციონალიზებულ ავტორიტეტს ეხება, სოციალური საშუალებები გარკვეული საზოგადოების გრძნობებზე აპელირებს. ამგვარი კომუნიკაციის ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტს on-line რესურსი წარმოადგენს, რომელიც საშუალებას იძლევა, მომხმარებელმა არამარტო მონახოს/ნახოს ინფორმაცია (საინტერესო/ინტერესის სფეროს) მოვლენაზე, არამედ საზოგადო მნიშვნელოვანი პრობლემების განხილვაში მიიღოს მონაწილეობა, შექმნას სხვადასხვა საზოგადოებები და დამოუკიდებლად დაამატოს ინფორმაცია (ორგანიზაციის) მოღვაწეობასთან დაკავშირებით (მაგ.: აუდიო, ვიდეო, ფოტო). ასეთი რესურსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ახასიათებს ახალი სოციალური მედიის WEB 2.0 სერვისებს. საინტერესოა კიდევ ერთი კონკრეტული მაგალითი; ამერიკელი მკვლევარის შონ კარტონი (Sean Karton), თავის ბლოგში ასე განსაზღვრავს სოციალურ მედიას - სიტყვა „სოციალური“ ნიშნავს კომუნიკაციას,

ადამიანები ურთიერთობენ ერთმანეთში, „მედია“ ეს არის ტექნიკები, რომლის საშუალებითაც ინფორმაციას გადასცემენ, ანუ ეს არის ტექნიკური გზა, რომელიც ეხმარება ადამიანებს ინფორმაციის მიღებაში და ურთიერთობაში. თუ ამ ლოგიკას მივყვებით, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანმა დიდი ხნის წინ დაიწყო სოციალური მედიის ქსელების გამოყენება, თანამედროვე კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა კი სიტყვათშეთანხმებას „სოცილური მედია“ ახალი მნიშვნელობა შესძინეს. კარტონის აზრით სოციალური მედიის ისტორიას საფოსტო მომსახურების გამოჩენამდე მივყავართ (შემდეგ მოდის ტელეგრაფი, რადიო, ტელეფონი, ამ გამოგონებების შემდეგ მხოლოდ ტექნიკური სტრუქტურა იცვლება). ყველაზე დიდი ცვლილება თავისთავად კომპიუტერული ტექნიკის და ინტერნეტის შექმნამ განაპირობა; ისტორიული ქრონოლოგია კი ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ: 1966 წელს პირველი ელექტრონული წერილი გაიგზავნა, 1978 წელს პირველი ელექტრონული დაფა შეიქმნა, ელექტრონული დაფების შემდეგ გაჩნდა on-line სერვისები, CompuServe და Prodigy, ეს იყო ინტერნეტის პირველი მცდელობა. 1995 წელს აფუნქციონირდა Yahoo, 1999 წელს გაჩნდა Blogger, შემდეგ Wikipedia (2001), MySpace (2003), შემდეგ Flickr, Facebook (2004), Twitter (2006) და Youtube(2005), WhatsApp (2009) Instagramm (2010), Snapchat (2011) და ა.შ. თავის ბლოგში ამერიკელი მწერალი რონ ჯონსი, სოციალური ქსელის მედიას 4 ჯგუფად ყოფს: 1. ეს არის სოციალური სიახლე-ამ სივრცეში, ვგებულობთ სიახლეს და კომენტირების საშუალება გვაქვს. (მაგალითად Digg.com, Newsvine. com, ambebi.ge) 2. ეს არის სოციალური გაცვლა, ამ მედია ქსელის საშუალებით, ჩვენ ვქმნით, ვტვირთავთ და რაც მთავარია ვიდეო და ფოტო მასალის გაცვლას ვახერხებთ (Flickr, Youtube) 3. სოციალური ქსელები - ეს ადამიანებს შორის ურთიერთობის საშუალებაა. (facebook.com, Myspace. com და ა.შ.) 4. სოციალური სანიშნეები (bookmarks). ეს სისტემა მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეინახოს ინტერნეტმონაცემები, და ამ სანიშნეებით ისარგებლონ ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ ლოკაციაზე. (Blogmarks.net, Diigo.com). ჯგუფების გარდა, მეცნიერები გამოყოფენ სოციალური მედიის სახეობებს: ინტერნეტ-საზოგადოება, ბლოგები, ვირტუალური თამაშები, სოციალური ქსელები, ერთობლივი კონტექსტის შექმნელი საზოგადოება, ერთობლივი პროექტები, გეოსოციალური სერვიზები. სოციალური მედიის განსაკუთრებულობაზე საუბრისას შემდეგ პუნქტებს ვხვდებით: ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა, კერძო სივრცის მინიმიზაცია, ოპერატიულობა (რეალურ დროში რეაგირება). წიგნის „სოციალური მედიის ბიბლია“ ავტორები ლონ საფკო და დევიდ ბრეიკი, თავიანთ ნაშრომში, სოციალური ქსელური მედიის ეკოსისტემის ცნებას განსაზღვრავენ, ისინი თვლიან რომ ეს ეკობიოლოგიური სისტემაა, რომელიც წარმოადგენს ურთიერთქმედებაში მყოფ, ცოცხალი ორგანიზმების რთულ ასოციაციას, სადაც ორგანიზმის თითეული ერთეულები და ორგანიზმის

კოლექტიური პოპულაციები, წარადგენენ თავს როგორც ერთ-ერთ კომპონენტს.

სოციალურ მედიის ფუნქცია და ტიპები უკვე განვიხილეთ. არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, რომელზეც პასუხის ცოდნა მეტ კონკრეტიზაციას მოიტანს წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით: რამდენად ვართ დამოკიდებულნი სოციალურ მედიაზე? ეს დამოკიდებულება აშკარაა და დიდი; განვიხილოთ მარტივი და თვალსაჩინო მაგალითი - ემოციური თვალსაზრისით, „ლაიქი“, ფეისბუქ გვერდზე მიღებული მოწონება - ინფორმაციის ავტორის ქმედების საზოგადო აღიარება, მომენტალურ კმაყოფილებას ანიჭებს მას. და სწორედ ეს მოწონებები აძლევენ ფეისბუქს იმის საშუალებას, რომ უფრო მკაფიოდ გამოიხატოს ავტორის მენტალური სტრუქტურა. ნირ ეიალი, სტენფორდის ბიზნეს სკოლის მასწავლებელი, Forbes -ის, Times-ის და Harvard Business School-ის სტატიების ავტორი, იკვლევს რა სოციალური ქსელების ზემოქმედების საკითხს უნარ-ჩვევებზე, აღნიშნავს, რომ: „გამოყენებული ტექნოლოგიები დამოკიდებულ თუ არა, იძულებით ხასიათს იძენენ, ეს არის იმპულსი შემოწმდეს გზავნილი, (გზავნილის მიღების ნიშანის დაფიქსირების შედეგად), ეს არის სურვილი რამდენი წამით მაინც ვესტუმროთ YOUTUBE-ს, FACEBOOK-ს, TWITTER-ს და იგივე ერთ საათში მაინც გავიმეოროთ.“ ის აღნიშნავს, რომ არსებული სოციალური მედია და შიგთავსი, დიზაინერების მიერ არის დაგეგმილი და შექმნილი, შესაბამისად უარყოფითი ემოციები ამ სივრცეში წარმოგვიდგება, როგორც „თრიგერები“, რომლებიც მუდმივად მოქმედებენ ადამიანზე ანუ მოწყენილობის გრძნობა, მარტოობა, იმედგაცრუება, დაბნეულობა, გაუბედავობა, გადაუწყვეტელობა, არც თუ ისე იშვიათად, მსუბუქ ტკივილს ან გაღიზიანებას იწვევს ადამიანებში, რასაც ხშირად წამიერი და უაზრო (არალოგიკურ) ქმედება მოჰყვება, შედეგად ნეგატიურ შეგრძნება მცირდება. შემსუბუქება იწვევს დამოკიდებულებას და ჩვევას. ფსიქოლოგი ჯინ ტვენჯი, სოციალურ მედიასთან მიმართებაში დაკარგულ თაობაზე საუბრობს, (1995-2012 წელს დაბადებულ თაობას გულისხმობს). მისი აზრით, მათ მარტოობის და დეპრესიულობის მონაცემები იმდენად მაღალი აქვთ, რამდენადაც ცხოვრებით კმაყოფილების და ბედნიერების კრიტერიუმები აქვთ დაბალი; ზემოხსენებული თაობის წარმომადგენლებში, მცირდება, მეგობრებთან პირადად შეხვედრის სურვილი. ტვენჯისეული კრიტერიუმით, მონაცემის, დამოკიდებულების და უნარ-ჩვევების მარჯა შეესაბამება იმ დროს, რომელსაც ადამიანები ატარებენ ონლაინ სოციალურ მედიაში და თამაშებში. სოციალური ქსელები, არსებითად, ადამიანის გრძნობების მართვის ტექნიკური მცდელობაა, თუმცა ყოველივე ისე ხდება, რომ ადამიანი არ კარგავს კავშირს ტექნიზირებულ „მე“-სთან. შედეგად კი, რაც უფრო დიდხანს იმყოფება სოცმედიის მომხმარებელი ონლაინში, მით მეტად იცვლება მისი „მე“. კიდევ ერთი მაგალითი, თუ რამდენად ვართ დამოკიდებულნი სოციალურ მედიაზე -

სოციალურ მედიაში მოწოდებული შინაარსი და კონტენტი მრავალფეროვანია, და საინტერესოა. ამ მიმართულებით კიდევ ერთი საკითხის ხაზგასმაა საჭირო, სოციალურ მედიაში მოწოდებული ინფორმაცია რამდენად შეესაბამება სინამდვილეს. გავიხსენოთ, რომ თანამედროვე სამყაროში საინფორმაციო ნამდვილობის, საიმედოობის მარჯა დაწეულია. ლექსიკონებში ახალი განსაზღვრება გაჩნდა - „ფეიკ სიახლეები“ „Fake news“, და მას ახსნა ასეთი აქვს: “ფეიკ სიახლეები- ეს არის ყალბი საინფორმაციო გზავნილები, რომელსაც ხშირად სენსაციური ხასიათი აქვს, ფართოდ გავრცელებულია ონლაინ სისტემაში და მიმართულია რეკლამისგან შემოსავლის მიღებაზე, პოლიტიკური მოძრაობის, კომპანიების, ოფიციალური პირის პოზიტიური ან ნეგატიური იმიჯის წარმოდგენის ან/და ზოგადად ზრდადი ტრაფიკის შედეგად“. სენსაციურობა იწვევს ინტერესს, ინტერესი კი ხშირ კომუნიკაციას. კომუნიკაცია იზრდება საბოლოოდ, დამოკიდებულებაში.3

ფაქტია, რომ დღეს, სოციალური მედია აღარაა ტექსტური ბიზნესი კომპანიებისთვის. ყოველდღიურად Facebook-ის, Instagram-ის და Snap-chat-ის მომხმარებლები 3,2 მილიარდ ფოტოს აზიარებენ, რაც ვიზუალური კონტენტის ტენდენციას აჩენს ამ სივრცეში. სოციალურ მედიაში Einstein Vision for Social Studio-ს დახმარებით კომპანიებს გაუჩნდათ მეტი საშუალება მოიძიონ ისეთი გამოსახულება, რომელიც მათთან კავშირშია. Salesforce-ის ეს პროდუქტი იყენებს Einstein Image Classification-ის ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს, რომელიც ამოიცნობს გამოსახულებას, ვიზუალური ძიების დახმარებით კომპანიისა და პროდუქტის იდენტიფიკაციის მიზნით. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის კომპანიებს გაუმარტივდებათ ვიზუალური მონაცემების ძიება ტექსტური მონაცემების გარეშეც. მეცნიერები მნიშვნელოვან ადგილს ანიჭებენ Mobile-first სტრატეგიას, ხოლო შემოსული მარკეტინგის გაერთიანებული ძალები, ზემოაღწერილი სტრატეგიით ბიზნესს ახალ საფეხურზე გაიყვანს. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედიის ლანდშაფტი დიდ ცვლილებებს განიცდის (2018 წელს).

მაშასადამე, განვაზოგადებთ რა მოსაზრებებს, განხილვებს, მივდივართ დასკვნამდე, რომ ახალი სოციალური მედია - ეს არის ინტერაქტიული ციფრული საშუალებები, რომელსაც მოაქვს ინფორმაცია, კომუნიკაციის საშუალება და სადაც მთავარი კომუნიკატიური წყარო არის ინტერნეტი. ამ კონტექსტში ახალ სოციალურ მედიას ეკუთვნის სოციალური ქსელები, ბლოგები, ვებგვერდები, „პოდქასტინგი“, ინტერნეტფორუმი, Wiki, „ვიდეოჰოსტინგი“, ბეჭდური, on-line და მობილური პროდუქტი. ახალი სოციალური მედია ეს არის ასევე, ისეთი ინტერაქტიული მოედნები, სადაც ურთიერთობა და მომხმარებელთა შორის მასალის, შიგთავსის გაზიარება ხდება, როგორც ფორუმებზე, ასევე „ფოტოჰოსტინგებზე“ და სხვა მხატვრულ პლატფორმაზე. აშკარა მიღწევაა

ისიც, რომ ტელეკომუნიკაციის პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების განუსაზღვრელი გაფართოება და ისეთი საინფორმაციო ქსელის შექმნა, როგორიც ინტერნეტია, გლობალიზაციის პროცესის სტიმულირებას ახდენს და შესაბამისად ნებისმიერი მანძილის გადალახვა მარტივად და მოკლე დროშია შესაძლებელი. ინტერაქტიულობა ეს არის თანამედროვე საზოგადოების განვითარების მთავარი შემადგენელი მახასიათებელი. ეს არის მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს სიჩქარეს - ერთ მომხმარებელს რამდენად სწრაფად და მოსახერხებლად შეუძლია გავიდეს კავშირზე და გაცვალოს მოსაზრებები სხვა მომხმარებელთან. სიჩქარე/ოპერატიულობა კი დღეს ყველაფერზე მეტად ფასობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Paul Gillin. The New Influencers. USA:Society for new communications Research. 2009. გვ. 80
2. „Systems and Information Technology“ მე-14 გამოშვება ISS. 2pp101-104.
3. Peter Doyle, Warwick University. Marketin management and strategys. Coauthor Pgilipe stern Pearson education, 2010. გვ 450.
4. Сем Блэк "Введение в паблик рилейшнз" Пер Феникс 2011 გვ 317
5. https://matexored.files.wordpress.com/2014/01/42ia15.pdf ბოლო ნახვა 15.03.2018. 21:37
6. http://www.emeraldinsight.com/doi/abs/10.1108/13287261211232126?journalCode=jsit ბოლო ნახვა 1.03.2018. 16:56
7. http://whatis.techtarget.com/definition/social-media ბოლო ნახვა 23.03.2018. 17:15
8. http://dolgenznat.ru/upload/Reklama/Sam%20Black.pdf. ბოლო ნახვა 27.03.2018. 19:15
9. europian.ge/zigmunt-bauman/ ბოლო ნახვა 10.03.2017 15:21
10. https://fr.wikipedia.org/wiki/M%C3%A9dias_sociaux, ბოლო ნახვა 10.03.2017 18:27
11. http://forbes.ge/news/214/socialuri-mediis-ZiriTadi-instrumentebi ბოლო ნახვა 25.03.2018 12:17
12. http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/socialuri-media-205 ბოლო ნახვა 25.03.2018 20:03
13. http://online.tsu.edu.ge/ge/science/10288/?p=12 ბოლო ნახვა 26.03.2018 17:37

New social media and reality

Nato Makhatadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

As famous scientists Denis McQuail, Marshall McLuhan mark, the human, his everyday life is become more dependent on the mass communication process, which for him, in turn, creates "another reality", "subjective reality". This reality's impact on the people is no less important, that than of the objective reality. The mass communication is the most important new social media platforms. The article discuss the essence of the social media, its functions, effects, also the process of the social interactions, interdependence forms in this

მასობრივი კომუნიკაციის ზეგავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე

თამარ მიქელაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში ,,მასობრივი კომუნიკაციის ზეგავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე'', წარმოდგენილია კომუნიკაციის, როგორც უმნიშვნელოვანესი ცნების, არსის და როლის განსაზღვრა, მისი როგორც კაცობრიობის არსებობის, განვითარების და აქტივობის აუცილებელი წინაპირობის წარმოჩენა.

სტატიაში განხილულია მასობრივი კომუნიკაციის ძირითადი ფუნქციები, მიმოხილულია სხვადასხვა საზოგადო მოღვაწის, თეორეტიკოსის და მედიამკვლევარის მოსაზრება მასობრივი კომუნიკაციის როლსა და ზეგავლენაზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და ჩამოყალიბების პროცესში. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ერთ-ერთ ძლიერ იარაღად ითვლება, ამასთან, რამდენადაც ყურადღებით ეკიდება ადამიანი მიღებულ ინფორმაციას, მით მეტად ილექება ეს უკანასკნელი მის ქვეცნობიერში.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაცია, მასობრივი კომუნიკაცია, ინფორმაცია, ზემოქმედება, საზოგადოებრივი აზრი, ქვეცნობიერი.

შესავალი

თანამედროვე გლობალურ სამყაროში ინფორმაცია მთავარ ღირებულებას და კაპიტალს წარმოადგენს ადამიანის აქტივობის თითქმის ყველა სფეროში. ინფორმაციის გადაცემა/მიწოდება კი სხვადასხვა საკომუნიკაციო ტექნოლოგიით ხორციელდება.

კომუნიკაცია ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების, აქტივობის და საქმიანობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესი ცნებაა, რომელიც ოდითგანვე განსაზღვრავდა ადამიანების და არა მარტო მათ არსებობას. კაცობრიობის მთელი კულტურა შესაძლოა წარმოვიდგინოთ ერთ დიდ კომუნიკაციად, რომლის ცენტრში ადამიანია.

ძირითადი ტექსტი

კომუნიკაცია (ლათ. ,,communicatio'') ნიშნავს კავშირს, გაცვლას, ურთიერთობას, საუბარს. კომუნიკაცია წარმოადგენს საზოგადოების, როგორც სოციალური სისტემის მთავარ ინსტრუმენტს. სოციოკულტურული მნიშვნელობით კომუნიკაცია არის ინფორმაციის გაცვლა, ასევე, გაცვლის თავისებურებები

ადამიანებსა და სოციუმებს შორის.

გერმანელი სოციოლოგმა, პოლიტოლოგმა და ფილოსოფოსმა ი.ჰაბერმასმა შექმნა დისკურსისა და კომუნიკაციური ქმედების თეორია ნაშრომში ,,კომუნიკაციური ქმედების თეორია''. ავტორის მოსაზრებით, სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის საფუძველი არის ის, რომ მთავრობა არ არის ხალხის წარმომადგენელი. ჰაბერმასთან ცენტრალური ადგილი დაუმახინჯებელ კომუნიკაციას უჭირავს; კომუნიკაციური მოქმედების რაციონალიზაციას მივყავართ ისეთ კომუნიკაციასთან, რომელიც თავისუფალია ბატონობისაგან, იგი ნებაყოფლობითი და ღიაა.

როგორც აღვნიშნეთ, კომუნიკაცია ადამიანის არსებობის და მოღვაწეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, რომელიც სხვადასხვა სფეროში ვლინდება. მასობრივი კომუნიკაცია წარმოიშვა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც აუცილებელი გახდა ინფორმაციის მასობრივი გავრცელება, განვითარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: რადიომაუწყებლობა, მოგვიანებით კი - ტელევიზია.

მასობრივი კომუნიკაცია არის ინფორმაციის წარმოების მასობრივი პროცესი, სადაც ინფორმაცია ვრცელდება პრესის, რადიოს, ტელევიზიის, ასევე, სოციალური მედიის საშუალებით. მკვლევარები ხშირად აღნიშნავენ, რომ ინფორმაციას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მასობრივ ცნობიერებაზე.

მასმედიის ფუნქციებზე, შესაძლებლობასა და ზემოქმედების ხარისხზე მედიამკვლევარი მარშალ მაკლუენი წიგნში ,,მედიის გაგება'', წერს, რომ პაპი პიუს XII დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებათა კვლევის აუცილებლობას და აღნიშნავდა: ,,გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თანაცხოვრების სტაბილურობა დიდწილადაა დამოკიდებული წონასწორობის შენარჩუნებაზე, კომუნიკაციის საშუალებათა ტექნიკურ სიმძლავრეებსა და ადამიანის ინდივიდუალურ აღქმას შორის''.[1]

საინტერესო და საყურადღებოა ესპანელი მწერლის და საზოგადო მოღვაწის, პროფესიით ჟურნალისტის, გაბრიელ გარსია მარკესის მოსაზრება ჟურნალისტური საქმიანობისა და ჟურნალისტური ეთიკის შესახებ. თავის ერთ-ერთ სტატიაში ,,მსოფლიოში საუკეთესო ხელობა'', ჟურნალისტების შესახებ წერს, რომ ეს ხელობა როგორც არასოდეს ისე გახდა საშიში; ადრე ჟურნალისტი დასწრების ეფექტით ქმნიდა საზოგადოებრივ აზრს, სადაც ზნეობასა და მორალს თავისი ადგილი ჰქონდა. ჟურნალისტიკის კურსდამთავრებულებზე მარკესი აღნიშნავს, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში რეალობას და ცხოვრებისეულ პრობლემებს მოწყვეტილნი არიან. ყველაზე სავალალო ის არის, რომ ჟურნალისტებს საკუთარი გაუაზრებელი არაეთიკური შეტევები, უშიშარი ხელობის ნაწილი ჰგონიათ. ყოველივე ეს კი ექსკლუზივის მოპოვებაზეა

[1] Луман, Никлас, РЕАЛЬНОСТЬ МАССМЕДИА; http://strana-oz.ru/?numid=13&article=621

დაფუძნებული, ისინი ზოგჯერ არაფრად აგდებენ მოსაზრებას, რომ საუკეთესო შეტყობინება არ არის ყოველთვის ის, რაც პირველ გვერდზეა განთავსებული, არამედ, ხშირ შემთხვევაში ის, რომელიც უკეთაა მიწოდებული.

აღსანიშნავია, რომ მედია სისტემები, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები, როგორც დასავლურ, ასევე სხვა ქვეყნებში ისტორიულად განსხვავებული ფორმით ჩამოყალიბდა.

ბეჭდვითი მედიის დასაბამიდან მის ძირითად ფუნქციას პოლიტიკური აგიტაცია წარმოადგენდა. გავრცელებული იყო პუბლიცისტიკა, რომელსაც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენა უნდა მოეხდინა. მე-19 საუკუნის ბოლოს გავრცელდა კომერციული პრესა, პოპულარული გახდა ჟურნალისტის როგორც ნეიტრალური არბიტრის ცნება, რომელიც განზე იდგა პოლიტიკური ინტერესებისა და პარტიებისაგან. ჟურნალისტიკის თანამედროვე ლიბერალური მოდელი, მიუკერძოებელი და ობიექტური ჟურნალისტიკა შედარებით მოგვიანებით წარმოიშვა. სამთავრობო მოდელი, რომელიც ახლოს დგას სახელმწიფო მაუწყებლობის მოდელთან, გამოირჩევა ყველაზე მაღალი პარარელიზმით. პლურალისტული მოდელების შემთხვევაში მაუწყებლობა არ არის პოლიტიკურად ნეიტრალური, მაგრამ არც მონოპოლიზებულია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ე.წ. ,,მეოთხე ხელისუფლებად'' მოიხსენიება. ამასთან, რწმენა ტელევიზიის ყოვლისშემძლეობისა იმდენად დიდია, რომ პოლიტიკური მოღვაწეები თვლიან, ვინც აკონტროლებს ტელემედიას, ის აკონტროლებს მთელ ქვეყანას.

მედიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის საინტერესო მოდელი შემოგვთავაზეს სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორებმა: ფ. სიბერტი, უ.შრამი, და თ. პეტერსონი, ნაშრომში ,,პრესის ოთხი თეორია''. მართალია, ნაშრომი 1956 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ აქტუალობას არ კარგავს დღესაც და მას ხშირად მიმართავენ თანამედროვე მკვლევარები. ნაშრომის მთავარი თეზისს წარმოადგენს, ის რომ მედია ყოველთვის იცვლის ფორმას და იმ სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების ელფერს იღებს, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება.

ცნობილი გერმანელი სოციოლოგი ნიკლას ლუმანი წიგნში ,,მასმედიის რეალობა'' აღნიშნავს, რომ მასმედია მცდარ ან გადაუმოწმებელ ფაქტებს ავრცელებს როგორც ნამდვილ ამბებს, რომლებიც მუდმივად უნდა განახლდეს, რათა სიყალბე შეუმჩნეველი დარჩეს. ლუმანი მასმედიის ცნების ქვეშ გულისხმობს საზოგადოების იმ ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით ინფორმაციის მრავალფეროვან გავრცელებას.

მასმედიის რეალობასთან დაკავშირებით შესაძლოა ვისაუბროთ მასმედიის რეალობის ორაზროვნებაზე, აცხადებს ლუმანი; მისი მოსაზრებით,

მასმედიის რეალობა, ანუ მისი ,,რეალური რეალობა''გულისხმობს: ტექნიკური საშუალებებით მასმედიის არსებობას, რაც მისი აზრით სოციოლოგიურად რელევანტურ რეალობას არ წარმოადგენს, რელევანტურ რეალობას კი ქმნის სისტემათა ერთობლიობა, ანუ კომუნიკაცია, რომელიც მასში ხდება. მისი აზრით, კომუნიკაცია სამეულია: ინფორმაციის (შინაარსი), შეტყობინების (შინაარსის გადაცემა) და გაგების.

მედიამკვლევარი ზელინსკი ს. თავის ნაშრომში ,,მასების ცნობიერების მანიპულირება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით", საუბრობს მასების აზროვნების მანიპულირებაზე, საინტერესოდ წარმოგვიდგენს ცალკეული ინდივიდისა და მასების ფსიქიკაზე ინფორმაციის ზემოქმედებას და მიიჩნევს, რომ ადამიანის ფსიქიკა სამი კომპონენტისაგან შედგება: ცნობიერი, ქვეცნობიერი და მათ შორის ბარიერი, რომელსაც ის ფსიქიკის ცენზურას უწოდებს. მისი აზრით, ინფორმაციად გვევლინება ნებისმიერი გზავნილი, რომელიც ინდივიდის შინაგანი სამყაროს საშუალებით ფსიქიკის ცენზურის გავლით აღწევს ადამიანის ფსიქიკამდე. სწორედ ფსიქიკის ცენზურა წარმოადგენს გარდამავალ რგოლს ინფორმაციის მიწოდების გზაზე ცნობიერსა და ქვეცნობიერს შორის. ვეთანხმები მკვლევარის მოსაზრებას ინფორმაციის მიწოდების პროცესში ცნობიერისა და ქვეცნობიერის როლზე და ჩემი აზრით, ფსიქიკის ცენზურას შეიძლება ვუწოდოთ ინფორმაციის ფილტრი, რომელიც განსაზღვრავს თუ რა მიაწოდოს ცნობიერს და რა ქვეცნობიერს, ამასთან, ადამიანის ქვეცნობიერი უფრო მეტი ინფორმაციის მომცველია, ვიდრე ცნობიერი სამყარო.

კარა მურზა ნაშრომში ,,ცნობიერების მანიპულირება", საუბრობს მასების ცნობიერების მართვასა და მანიპულირებაზე და აღნიშნავს, რომ მასკომუნიკაციის საშუალებებში ხშირად ხდება ფაქტების ფაბრიკაცია, რასაც ის აშკარა ტყუილს უწოდებს. მისი აზრით, რაც უფრო რთულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მით უფრო ურცხვად ცრუობს მედია-საშუალება; განსაკუთრებით ადვილი კი მასების მოტყუება მაშინ არის შესაძლებელი, თუ ის უშუალოდ მიმართულია მათ ქვეცნობიერზე.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ერთ-ერთ ძლიერ იარაღად ითვლება. ამასთან, მასაზე ზემოქმედების მეტი წილი საინფორმაციო გადაცემებზე მოდის . ცნობილი ფაქტია ისიც, რომ რამდენადაც ყურადრებით ეკიდება ადამიანი მიღებულ ინფორმაციას, მით უფრო მეტად ილექება ეს უკანასკნელი მის ქვეცნობიერში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაკლუენი მარშალ., "საშუალება არის შეტყობინება", ტელე-რადიოჟურნალისტიკის საკითხები, VI, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003;
2. ჯაგოდნიშვილი თ, ჯაგოდნიშვილი ი. - ვერბალური კომუნიკაციები. თბ.2009, ,,ტექნიკური უნივერსიტეტი"
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ტომი 1, თბ.,1990 ;
4. ჟურნალი ,,ჩვენი მწერლობა" 9.11.2007; N 23 (49) გვ.4-7;
5. Hallin D., Mancini P. Comparing Media Systems. Three Models of media systems and Politics. Chapter 5. The Mediterranean of Polarized Pluralist Model. 2004;
6. Луман, Никлас, РЕАЛЬНОСТЬ МАССМЕДИА; http://strana-oz.ru/?numid=13&article=621;
7. Маклюен, Маршалл, «Понимание Медиа», Москва-Жуковский, 2003 ;
8. Сиберт Ф., Петерсон Т., Шрамм У. Четыре теории прессы. М.: Фонд Кареги, 1998;

Influence of Mass Communication on the Formation of Public Opinion

Tamar Mikeladze, PhD student

Georgian Technical University

Summary

In the article ,,Influence of Mass Communication on the Formation of Public Opinion'', is presented defining communication as the most important concept, essence and role, as a necessary precondition for human existence, development and activity.

The article discusses the main functions of mass communication, reviewed by the opinion of various public figures, theorist and media researchers in the role and influence of mass communication on the role and influence of public opinion. Mass communication means one of the strongest tools to influence public opinion, and as far as attention is paid to the information received by the person, the latter is more conscious in its subconscious.

Keywords: Communication, Mass Communication, Information, Influence, Public Oponion, Subconscious.

მედიისა და ხელისუფლების ურთიერთობა, როგორც ქვეყნის პოზიციის განმსაზღვრელი ინდიკატორი მსოფლიო რუკაზე

თეა პერტაია, დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი ინფორმაციის, მედიისა და სიტყვის თავისუფლებაა, რომელიც ჩვენს რეალობაში დასავლური ღირებულების ანარეკლია და, შესაბამისად, დემოკრატიული სტანდარტებისკენ მიმავალი ყველაზე ჯანსაღი, ქმედითი და მოკლე გზა. ბუნებრივია, ამ პროცესის ინსპირატორი ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა, რომელიც, როგორც წესი, ადეკვატურად აისახება ქვეყნის მედიის პოზიციონირებასა და ხარისხზე 21-ე საუკუნის მსოფლიო რუკაზე. მედია განსაზღვრავს სახელმწიფოს სახეს და პირიქით, სახელმწიფოს წყობა, მმართველობის ფორმები განსაზღვრავენ მედიაგარემოს. ამ ფონზე, მნიშვნელოვანია, რომ საუკეთესო დასავლური პრინციპების გათვალისწინებით, ერთიანი სამთავრობო საკომუნიკაციო დოკუმენტი შემუშავდეს, რაც ქვეყნის წინსვლისთვის ჯანსაღი ასპარეზია.

საკვანძო სიტყვები: მედიაგარემო, მედია და სახელმწიფო, სტრატეგიული კომუნიკაციები, თვითრეგულირების სისტემები, საზოგადოებასთან ურთიერთობა.

შესავალი

ინფორმაციის გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და ობიექტურობა დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედი და მისი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია. ყოველწლიურად ქვეყნდება სახელმწიფოების მედიის თავისუფლების ინდექსი, რომელშიც, ბოლო წლებში, საქართველოს პროგრესი აღინიშნება.

მედია-თავისუფლების მსოფლიო რუკას თუ დავაკვირდებით, ინდექსის მიხედვით, შეგვიძლია მკაფიოდ გავმიჯნოთ ავტოკრატული და დემოკრატიული სახელმწიფოები და მათი მმართველობის ფორმები.

ძირითადი ნაწილი

მედიის მდგომარეობა ქვეყანაში ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის სტატუსს, განვითარების ტემპებსა და მიმართულებას და პირიქით, ხელისუფლების დამოკიდებულება ქმნის მედიის ხარისხს და, გარკვეულწილად, სტანდარტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მედია-გარემოს და მოცემული კუთხით მსოფლიო

რეიტინგებში სახელმწიფოს პოზიციებს, როგორც წესი, ხელისუფლების მხრიდან მედიასთან მიმართებაში გატარებული პოლიტიკა განსაზღრავს.

ასეთი პროცესები კი, სხვადასხვა დროში, კომუნიკაციის თეორიების განმსაზღვრელად და შთამაგონებლად გვევლინებიან. ანუ ესაა სამეცნიერო თეზისები, სადაც ცხადად არის ასახული მედიისა და ხელისუფლების ურთიერთობის პროდუქტი და მიმართულებები. შედეგად, არსებობს რამდენიმე სახის თეორია და სახელმწიფო რეჟიმი, მათ შორის, ძირითადია: ავტორიტარული, კომუნისტური, ლიბერტარიანული და საზოგადოებრივი პასუხიმგებლობის თეორია და, შესაბამისად, წყობა.

ავტორიტარული თეორია - როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, მოცემული თეორია ასახავს სისტემას, სადაც მედია ექვემდებარება ხელისუფლებას, არ არსებობს ჟურნალისტური დამოუკიდებლობა, სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლება, აქტუალურია ცენზურა და დასჯა.

კომუნისტური თეორია კომუნისტური რეჟიმითაა ინსპირირებული, რომლის დროსაც მედია, ფაქტობრივად, არ არსებობს და ის მძლავრ იდეოლოგიურ მანქანას ექვემდებარება. დამოუკიდებელი მასობრივი კომუნიაციის საშუალებების არსებობა, ცხადია, აქაც გამორიცხულია.

ლიბერტარიანულ თეორიაში აისახა გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-19 მუხლი და მისი ღირებულებები, რომელიც დღეს საერთაშორისო ნორმად მიიჩნევა და, შესაბამისად, ყველაზე მეტადაა აქტუალური. კერძოდ: 1. ყველას აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი, ზეწოლისგან თავისუფალი აზრი. 2. ყველას აქვს აზრის გამოთქმის თავისუფლება; ეს უფლება ასევე მოიცავს თავისუფლებას, შეუზღუდავად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყველა სახის ინფორმაცია, იდეა ზეპირად, წერილობით ან ნაბეჭდი სახით, ასევე, შემოქმედებითი ფორმით მედიის ან ნებისმიერი სხვა, მის მიერ არჩეული საშუალებით; ასევე განსაზღვრულია ის გამონაკლისი შემთხვევები, როცა კანონით განსაზღვრული აუცილებლობით, ზემოხსნებული უფლებების შეზღუდვაა შესაძლებელი.

რაც შეეხება საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის თეორიას, ის ლიბერალური მოდელის ერთგვარი გაგრძელებაა. ის აღიარებს მედიის თავისუფლების აუცილებლობას და ამასთან, მნიშვნელოვნად თვლის, აისახოს მოქალაქეთა რეალური საჭიროებები და განწყობები. საინტერესოა, რომ ამავდროულად, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, თეორიის თანახმად, მედიის თვითცენზურის პოზიტიურ ვალდებულებასაც მოიცავს. ეს იმას ნიშნავს, რომ სასურველია, მედიასაშუალებამ თავად მოახდინოს საკუთარი შეცდომების შესწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასაშვებია რიგი ლეგიტიმური სანქციების გამოყენება.

რა თქმა უნდა, თითოეული ქვეყანა ინდივიდუალურია და მისი წყობა,

მმართველობის ფორმა თუ კანონმდებლობა ზუსტად არ ასახავს განხილულ თეორიებს.

იმის სანიმუშოდ, თუ რა გავლენას ახდენს ქვეყნის მმართველობის ფორმები მედიაგარემოზე, რა ასახვას ჰპოვებს სახელმწიფოს ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობის სტადარტები მედია-თავისუფლების მსოფლიო რუკაზე, საინტერესოა ცნობილი და ავტორიტეტული ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე"-ს წარმოდგენილი რეიტინგების განხილვა.

Reporters Sans Frontières[1] - ესაა პარიზში არსებული მედიის უფლებათა დამცველი ჯგუფი, ანგარიშგასაწევი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოში მედიათავისუფლების ხარისხის მონიტორინგს აწარმოებს და ყოველწლიურ რეიტინგს აქვეყნებს. (აღნიშნულ დოკუმენტში ქულები გაანგარიშებულია 1-დან 100-მდე შკალაზე. ინდექსის თანახმად, რაც უფრო მეტია ქულა, მით უარესია ქვეყანაში მედიის მდგომარეობა).

ორგანიზაცია თავის ყოველწლიურ კვლევას სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე ადგენს, ესენია: 1. პლურალიზმი, 2. მედიის დამოუკიდებლობა, 3. მედია-გარემო და თვითცენზურა, 4. საკანონმდებლო ჩარჩო, 5.გამჭვირვალობა 6. ინფორმაციის მომზადებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის დონე და 7. შევიწროების ხარისხი. თვისებრივი ანალიზი შეჯერებულია ჟურნალისტების წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის აქტების შესახებ რაოდენობრივ მონაცემებთან, რომელთა შეგროვება ცალკეულ ქვეყნებში კორესპონდენტების ქსელის მიერ ხდება.

ნათელყოფისთვის, როგორც 2017, ისე 2019 წლის ინდექსით, რეიტინგში საუკეთესო სამეულს ნორვეგია, შვედეთი და ფინეთი წარმოადგენს. მედიის თავისუფლების კუთხით ყველაზე ცუდი ვითარება, 2017 წლის კვლევის თანახმად, ჩრდილოეთ კორეაში (180-ე ადგილი) დაფიქსირდა. ბოლო ადგილებს იყოფდნენ, ასევე, ერითრეა და თურქმენეთი. 2019 წლის ანგარიშით, მედიის მდგომარეობა ყველაზე სავალალო ისევ ამ 3 ქვეყანაშია, თუმცა რეიტინგში ბოლო ადგილზე თურქმენეთმა გადაინაცვლა.

2017 წლის მონაცემებით, საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების პოზიციები ასე გამოიყურებოდა: სომხეთი - 79-ე ადგილი, რუსეთი - 148-ე, თურქეთი - 155-ე, აზერბაიჯანი - 162-ე.

2019 წელს სომხეთი-61-ე ადგილზეა (სომხეთის პოზიცია საგრძნობლად გაუმჯობესდა, რაც ქვეყანაში ხელისფლების ცვლილებითაა განპირობებული), რუსეთი-149-ე, თურქეთი-157-ე, აზერბაიჯანი- 166-ე. სომხეთის გარდა, ყველა დანარჩენ ქვეყნაში ვითარება გაუარესებულია.

2017 წლის ანგარიშით, საქართველო 64 ადგილზე იყო, 2018 წლის ინდექსით - 61-ე პოზიციას იკავებდა, ხოლო 2019 წლის მაჩვენებლით, რომელიც

[1] https://rsf.org/en

2018 წლის მონაცემებს მოიცავს, საქართველოში მედიის თავისუფლების ხარისხი კიდევ ერთი პოზიციით გაუმჯობესდა და მან რეიტინგში მე-60 ადგილზე გადაინაცვლა (ინდექსი 28). აქვე საგულისხმოა, რომ 2012 წელს საქართველო 105-ე პოზიციაზე იმყოფებოდა, ხოლო მედია-თავისუფლების ინდექსი 38 იყო. ეს იმას გულისხმობს, რომ მსოფლიოს ავტორიტეტული ჟურნალისტების შეფასებით, 7 წელიწადში საქართველომ შეძლო 45 პოზიციით დაწინაურება, შესაბამისად, მედიის განვითარების ხელშეწყობა და მისი მდგომაროების საგრძნობი გაუმჯობესება.

როგორც ვხედავთ, საქართველო ამ კუთხით პროგრესს განიცდის და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მას მხოლოდ ბალტიისპირეთის სამეული უსწრებს. თუმცა ესაა არაა იდეალური მდგომარეობა. მედია-თავისუფლება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების თანმდევი პროცესია და შესაბამისად, მოცემული მიმართულებით ჩვენ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი.

ანგარიშის ავტორები წერენ, რომ ბოლო წლებში ჩატარებულმა რეფორმებმა მედია-მფლობელების გამჭვირვალობა და ტვ-პლურალიზმი გააუმჯობესა, თუმცა, იქვე დასძენენ, რომ მფლობელები სარედაქციო საქმიანობაში მაინც ხშირად ერევიან. ორგანიზაციის 2019 წლის დასკვნა გამაფრთხილებელ გზავნილსაც მოიცავს და აღნიშნავს, რომ „რუსთავი 2"-ის მფლობელების საქმეს, საბოლოოდ, ქვეყნის მედია-გარემოზე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება. საუბარია, ასევე, ჟურნალისტების მიმართ ძალადობის შესახებ. აღინიშნება, რომ ამ კუთხით ვითარება გაუმჯობესებულია, თუმცა იქვე მოხსენიებულია აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საქმე და ხაზგასმულია, რომ მასთან დაკავშირებული გამოძიების შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ხელისუფლება, თავისი გეზისა და განცხადებული ღირებულებების გათვალისწინებით, საქ მიანობაში მასკომუნიკაციის ლიბერალური და საზოგადოებრივი პა სუხიმგებლობის კონცეფციებისკენაა მიდრეკილი და საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ ღირებულებებს იზიარებს. თუმცა ერთია დეკლარირებული მიზნები და მეორე - არსებული რეალობა. ამ ეტაპზე იკვეთება რიგი სისუსტეები. თუმცა ახალგაზრდა დემოკრატიის პირობებში ეს ბუნებრივიცაა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ესაა ცოცხალი პროცესი, რომელიც მუდმივ განვითარებასა და გაუმჯობესებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

საყურადღებოა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა[1] 2018 წლის ნოემბერში განაცხადა, რომ ანტი-დასავლური პროპაგანდის ზეგავლენის

[1] http://gov.ge/

შესამცირებლად და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაზრდის, აგრეთვე, ქვეყანაში ეფექტიანი, კოორდინირებული და პროაქტიული სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა სამინისტროში შეიქმნება სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები.

2019 წელს პრემიერ-მინისტრის აპარატის კომუნიკაციების დეპარტამენ-ტიდან მოხდა სტრატეგიული კომუნიკაციის სამსახურის გამოყოფა და ამჟამად ის პრემიერ-მინისტრის აპარატის შემადგენლობაში ცალკე ერთეულად არსებობს. დანაყოფის კურატორია პრემიერ-მინისტრის სპეციალური მრჩეველი სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხებში.

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი არსებობს საგარეო საქმეთა სამინისტროში, 2019 წლის იანვარში სტრატეგიული კომუნიკაციის სამსახური შეიქმნა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროში. დამოუკიდებელ დანაყოფად არსებობდა სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი თავდაცვის სამინისტროში (2015 წლის 13 აგვისტოდან), თუმცა 2016 წლის 23 სექტემბრიდან ის შეუერთდა საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს და გაერთიანებულ სტრუქტურულ ერთეულს დაერქვა „სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი“. გარდა ამისა, ოთხ სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერ-თობის დეპარტამენტებს სახელწოდებები შეუცვალეს და სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები დაერქვათ. ეს სამინისტროებია: შსს, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ბოლო მონაცემებით, საკომუნიკაციო სტრატეგია შემუშავებული აქვს თავდაცვის სამინისტროს[1] (2017-2020). საგარეო საქმეთა სამინიტროს აქვს „ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის“[2]. დანარჩენი უწყებების საკომუნიკაციო სტრატეგიები ხელმისაწვდომი არაა. არსებული ინფორმაციით, მიმდინარეობს შესაბამის დოკუმენტებზე მუშაობა. ამასთან, არსებულ სტრატეგიებშიც მედიასთან ურთიერთობის კომპონენტი ძალიან ბუნდოვნადაა წარმოდგენილი.

დასკვნა

მედია ხელისუფლებისთვის სარკეა, რომელშიც მისი ყოველი შტრიხი, დამოკიდებულებათა ხასიათი, ღირებულებათა პალიტრა იკვეთება. იდეალურ შემთხვევაში, მედია იცავს ხელისუფლებას გაზულუქებისგან, ხოლო

[1] https://mod.gov.ge/uploads/archive/documents/strategia_geo.pdf

[2] http://gov.ge/files/468_61619_878311_765.pdf?fbclid=IwAR1pKNIZRsJSMJq8Li-2WEWNDJyz_FWyd-ArfIeq2hCrAA7yY7j_4lGRnqU

ხელისუფლება მედიას საუკეთესო, დასავლური სტანდარტების გარემოს უქმნის იმისთვის, რომ უფრო გაიზარდოს და კვალიფიკაცია აიმაღლოს. რადგან განათლებული მედია, ხშირად, გონიერი ხელისუფლების მთავარი დასაყრდენია. შემდგარ სოციუმში მედია ხელისუფლების მოკავშირეა სახელმწიფოს განვითარების გზაზე, ამიტომაა, რომ მედიის თავისუფლების ინდექსის რეიტინგში ყოველთვის ლიდერობენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ნორვეგია, შვედეთი და ფინეთი. ცივილურ ხელისუფალს აწყობს განათლებული, თავისუფალი და პროგრესული მედია. ეს ყველაფერი ერთად კი საერთო მიზანს, ქვეყნის განვითარებას ემსახურება.

ამდენად, ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიზნების განხორციელების გზაზე ხელისუფლება მედიას უნდა განიხილავდეს არა როგორც ანტაგონისტურ ძალას, არამედ ის მოკავშირედ უნდა გარდაქმნას. ამისთვის ვალდებულია, გაუფრთხილდეს მის დამოუკიდებლობას, იზრუნოს მისი განვითარებისთვის აუცილებელ პირობებზე და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საქართველოში მედიის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას. სწორედ ესაა ის იარაღი, რომელიც, თუ საჭირო გახდება, თავად დაამარცხებს უცხო ქვეყნის „ტროლებს“ და საინფორმაციო ომსაც მოიგებს. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ ხელისუფლებას სჭირდება ასეთი „დადარაჯებული მოთვალთვალე“, ოღონდ იმ პირობითა და იმედით, რომ თავად კონტროლი არ გასცდება ეთიკურ და სამართლებრივ ჩარჩოებს. სახელმწიფო მოხელეებმა უნდა გაითავისონ, რომ სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლებაა ის საფუძველი, რომელიც ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის დიალოგს უზრუნველყოფს და სწორედ ასეთი სახის კომუნიკაციაა ხელისუფლების ეფექტურობის წინაპირობა.

თუმცა ეს არაა ცალმხრივი პროცესი. ერთის მხრივ, ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, ხელი შეუწყოს მედიის თავისუფალ განვითარებას და მას თვითრეგულირების ასპარეზი მისცეს, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, მედიის წარმომადგნელების ინიციატივით, თვითრეგულირებისა და ანგარიშვალდებულების სიტემების გააქტიურება, რაც დღეს საქართველოში ჩანასახობრივ ფაზაშია. ამასთან, მედიის თვითრეგულირების სისტემის ერთ-ერთი მკვლევარი, პოლ ჟან ბერტრანი, აღნიშნავს: “სულ უფრო მეტი ადამიანი აცნობიერებს მედიის კარგი მომსახურების სასიცოცხლო მნიშვნელობას; იმას, რომ მედიამ ყველა თავისი მისია უნდა შეასრულოს; რომ ტრადიციული მედია არადამაკმაყოფილებელია. ძალიან ნელა, მაგრამ საზოგადოება მაინც აცნობიერებს, რომ მან რეფორმაში მონაწილეობა უნდა მიიღოს.”[1]

ზემოთ მოცემული მიმართულებების განვითარებას ქვეყნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რატომ? პასუხი მარტივია: იმისთვის,

[1] კლოდ-ჟან ბერტრანი „ მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები“ 2007

რომ საქართველოს მოქალაქეებმა მიიღონ სარგებელი. მიიღონ ობიექტური ინფორმაცია, მედიის საშულებით გააკონტროლონ არჩეული ხელისუფლება და იმავე მედიის გზით მიიღონ ინფორმაცია, თუ რას აკეთებს სახელმწიფო მისი კეთილდღეობისთვისა და სიმშვიდისთვის. გახდეს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პროცესების გულშემატკივარი და თანამოაზრე. გაუღვივდეს ნდობა. საზოგადოების ნდობის რეალური მანდატი არის ის ძალა, რომლიც თითქმის ყველა კრიზისს უმტკივნეულოდ არეგულირებს. იმისთვის, რომ სახელმწიფო ჯანსაღი გზით განვითარდეს, იმისთვის, რომ ხელისუფლების სამ შტოს და ე.წ. მეოთხე ხელისუფლებასაც გააზრებული ჰქონდეს პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხის წინაშე. სწორედ ამ პასუხიმგებლობების ხარისხი განსაზღვრავს ქვეყნის სტატუსსა და პოზიციას მსოფლიო რუკაზე. აღნიშნულის პარალელურად, სპეციალისტების რჩევაა, რომ ბავშვებსა და მოზარდებში განათლებაზე აქცენ-ტირების გარდა, მუდმივად მოხდეს ზრდასრული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა და ანალიტიკური აზროვნების წახალისება, შესაბამისი პროგრამების დანერგვა.[1]

ხელისუფლებამ სისტემატურად უნდა ჩატაროს კვლევები და საუკეთესო დასავლური სტანდარტების უცხოური პრაქტიკისა და ადგილობრივი თავისებურებების გათვალიწინებით, არსებული გამოცდილების გაანალი-ზებით, შეიმუშავოს გონივრული და გრძელვადიანი სტრატეგიები და სამოქ-მედო გეგმები იმისთვის, რომ მედიისა და ხელისუფლების კომუნიკაცია სახელმწიფოს განვითარებაზე დადებითად აისახოს. მოცემული გამოწვევების გათვალისწინებით, ერთიანი სამთავრობო საკომუნიკაციო დოკუმენტის შექმნა პრინციპულად მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Vilmer J-B. J., Escorcia A., Guillaume M., Herrera J. Information manipulation, a challeng for our democracies. Paris:Caps., 2018, pp 9-208
2. ბერტრანი კ.ჟ. მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები. La Deontologie des Medias. თარგმანი, პარიზი, 1997.
3. Почепцов Г. Теория коммуникации . Киев: Ваклер 2001, Стр. 15-600
4. Почепцов Г. PR для профессионалов. Киев : Рефл-бук, Ваклер: 2006, Стр. 4-640
5. Osborne G. Strategic communication. natopdp, 2017, pp 9-80
6. უოლკოქსი დ. ლ., კამერონი გ. ტ. საზოგადოებასთან ურთიერთობა - სტრატეგია და ტაქტიკა. თბილისი: დიოგენე, 2011,გვ.215- 526

[1] Jean-Baptiste Jeangène Vilmer, Alexandre Escorcia, Marine Guillaume, Janaina Herrera „Information manipulation“ 2018

7. როჯერსი დ. საზოგადოებასთან ურთიერთობის ევოლუცია. თარგმანი. თბილისი: პალიტრა L.2016
8. Hulin A., Stone M. The Online Media Self-Regulation Guidebook. Vienna 2013 pp11-89
9. მალაღურაძე თ. თანამედროვე მასკომუნკაციური თეორიების და კონცეფციები. თბილისი:უნივესალი, 2013 გვ.13-85
10. ვეკუა მ., რუე ჟ. ჟურნალისტიკა. თბილისი: ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტამბა, 2016
11. https://rsf.org/en რეპორტიორები საზღვრებს გარეშე-10.05. 2019
12. http://gov.ge/-10.05. 2019
13. https://mod.gov.ge/uploads/archive/documents/strategia_geo.pdf-10.05. 2019
14. http://gov.ge/files/468_61619_878311_765.pdf?fbclid=IwAR1pKNIZRsJSMJq-8Li-2WEWNDJyz_FWyd-ArfIeq2hCrAA7yY7j_4lGRnqU-10.05. 2019

The Media and Government Relationship as an Indicator Determining Country's Position on the World Map

Tea Pertaia, PhD student
Georgian Technical University

Summary

One of the major achievements of modern Georgia is freedom of the information, media and speech, reflecting Western values in our reality and accordingly this is the soundest, shortest and most efficient way toward democratic standards. Obviously, an inspirator of this process is the political will of the government, which, as a rule, is adequately reflected on the position and quality of country's mass media, on the world map of 21st century. Media determines the image of state and vice versa, the political system and forms of governance determine the mass media content. Having such background, it is important to develop unified governmental communications document, with taking into consideration the best Western principles, which represents sound arena for the progress of a country.

Keywords: mass media content, media and state, strategic communications, self-regulation systems, public relations.

ინტერდისციპლინარული ტექსტოლოგია

INTERDISCIPLINARY TEXTOLOGY

ინტერდისციპლინარული ტექსტოლოგია

ამ ნაწილში მოყვანილი სტატიები წარმოადგენენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის მქონე ინგლისური ენის სპეციალისტების ჯგუფის საერთო პროექტზე მუშაობის მეორე ეტაპის შედეგს. პროექტის თემატიკაა -- ინტერდისციპლინარული ტექსტოლოგია -- ფილოლოგიის თანამედროვე დარგი, რომელიც განიხილავს ტექსტს, როგორც კვლევის და სწავლების ძირითად ერთეულს; იკვლევს ტექსტის ფორმის, კომპოზიციის, სტრუქტურისა და შინაარსის სპეციფიკას სხვადასხვა მეთოდის მეშვეობით და ორიენტირებულია ინტერდისციპლინარულ კვლევაზე და კომპარატიულ მიდგომაზე.

პროექტზე მუშაობის ძირითადი მიზანია -- სხვადასხვა ჟანრის (სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, პუბლიცისტური, მხატვრული ლიტერატურის) ტექსტების შესწავლა და შედარება. მუშაობის პირველი ეტაპისთვის შერჩეული იყო სამეცნიერო-პოპულარული ჟანრის სტატია თემატიკაზე **ხელოვნური ინტელექტი,** ვინაიდან სამეცნიერო-პოპულარულ ჟანრს უკავია შუამავალი ადგილი სამეცნიერო, პუბლიცისტური და მხატვრული ლიტერატურის ჟანრებს შორის.

მეორე ეტაპისთვის ჩვენ შევარჩიეთ მუშაობა სამეცნიერო სტატიაზე საერთო თემატიკით **ხელოვნური ინტელექტი,** რაც მოგვცემს საშუალებას შევადაროთ ენობრივი, გრამატიკული, სტილისტური, სტრუქტურული და კომპოზიციური თავისებურებანი ამ ორი ჟანრის.

ჯგუფის ხელმძღვანელის, პროპესორ თამარ მებუკეს, სტატიაში „სამეცნიერო სტატიის სტრუქტურული და კომპოზიციური თვისებანი (ა.მ. ტურინგის სტატიის „გამომთვლელი მანქანა და ინტელექტი“ მაგალითზე)“ განიხელება სამეცნიერო სტატიის, როგორც სამეცნიერო ნაშრომების ქვეჟანრის, სტრუქტურული და კომპოზიციური თვისებანი, რომლებიც განპირობებულია ლოგიკური მსჯელობის პროცესით.

ასოცირებული პროპესორების, მანანა ასლანიშვილის და ნინო ლომსაძეს სტატია „სამეცნიერო ტექნიკური ტექსტების კითხვის თავისებურებანი ინგლისურ ენაში“ განიხილება სამეცნიერო მეტყველების სტილი ტექნიკური ტექსტების მასალაზე დაყრდნობით. განიხილება ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე პრინციპები იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უმაღლეს სასწავლებელში უცხო ენა უნდა ისწავლებოდეს სპეციალური, კონტექსტუალური მიზნებიდან გამომდინარე, და არა აბსტრაქტულად. მოყვანილია სასწავლო ტექსტების შერჩევის პრინციპები. მახვილი კეთდება ტექსტის წაკითხვის სწავლების სხვადასხვა დონეებზე.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი თამარ მებუკე

Structural and Compositional Peculiarities of a Scientific Article (on the example of an article "Computing Machinery and Intelligence" by A.M.Turing)

Tamar Mebuke
Georgian Technical University

Abctract

In the paper are discussed structural and compositional peculiarities of a scientific article, which is a sub-genre of scientific writing that aims at transmitting information to other scientists and is characterized by precision and conciseness. Organization of ideas is consecutive and logical and reflects the order in which they are presented. Headings are used to delimitate each section, or aspect of the issue under consideration. All structural units of an article are organized according to steps, or moves towards the goal. Coherence, or semantic structure of an article is circular with chain, parallel or radial types of cohesion depending on the type of argumentation.

Key words: structure, organization, scientific article, argumentation, precision and conciseness

A scientific article is a genre of scientific writing that is characteristic for peer-reviewed journals; other genres of scientific writing include research or grant proposals, theses or dissertations, laboratory reports, and literature reviews (that summarize and analyze research that has already been carried out). The main peculiarities of a scientific article are determined by the fact that any scientific writing aims at transmitting scientific information to other scientists. Some aspects of the writing may change depending on the genre, however, the most important features of scientific writing remain (Alley M. 1996, Carolyn R. Miller C.R. 2013).

As the primary readers of scientific writing are other scientists, redundant details, definitions, and explanations are usually omitted, as well as descriptions of general-knowledge concepts, or how habitual procedures are carried out. The style of scientific writing is concise and precise as the aim is to present scientific information clearly and comprehensively. In his *History of the Royal Society of London* a founder member Thomas Sprat (Harmon J.E., Gross A.G. 2007) emphasized the importance of plain and accurate description of facts in scientific writing, rather than *rhetorical flourishes*. Most elements of style that are common for academic writing are considered to be appropriate for scientific writing. Though different fields have different conventions, and most journals have their own style guides, there are some features that are common for any scientific writing. They include preference of passive voice, as in scientific writings the emphasis removes from the researcher on the research itself, use of present tense in reports, use of *we* rather than *I* as a personal pronoun.

The use of the first-person pronoun *we*, instead of *I* often expresses not only an accepted polite formula, but also depends on the number of authors, though *we* may also include the readers. However scientific writing is much more complex and uses shifts of tenses and persons to show meaningful changes in different sections of an article (Barrass R. 2002, Day RA, Sakaduski N. 2011).

As science corrects itself and constantly develops, scientific writing references the findings of previously done work, and is placed within the context of other published papers in a particular field of science. This context serves a motivation for proposing a new work, writing a paper, or gives grounds for new findings and interpretations, as well as provides the evidence of the authors' knowledge and expertise in his/her field of science.

The most common structure of a journal article, as well as any *scientific writing, usually follows a standard formal structure, commonly abbreviated as IMRD (Introduction-Methods-Results-Discussion)* (C. R. Miller 2013) frequently followed by conclusions. The last section is used to discuss implications of the work. Journal articles also include such structural elements as a title, abstract, acknowledgements, and references.

The organization of ideas in a scientific article is crucial for the best understanding of presented information and reflects the order in which ideas are presented. In a scientific article organization of information in each part is clearly defined by using headings.

As presentation of ideas in scientific writing is consecutive and logical, a step towards the goal in a certain section is called a move. Subsequent organization takes place within sections and paragraphs. Because every structural unit of a scientific paper serves some purpose and is, consequently, a move towards a goal, this move structure is common for all structural units of an article, such as sentence, paragraph, and subsection, as each of them are steps toward achieving a definite goal (Day RA, Gastel B. 2012). These structural conventions help a reader to understand the paper, or research article as following established structural conventions of paragraphs and sections makes writing easier to read.

The broadest piece of information, such as the reason for research, is generally placed at the beginning. Presentation of information becomes more precise when the details of research are discussed and the results are given. Descriptions of results are often followed by proposals of their implementation.

Scientific writing of all genres has one goal -- to give detailed presentation of data or ideas so that a reader can judge the validity of the results and conclusions on the basis of the data. Arrangement of information should allow a reader to follow the methods used and to judge the facts; the logical thread of thought is used to draw conclusions from the data. Hence, the main elements, that help writers to achieve these goals are: precision (i.e. excluding all ambiguities which may cause confusion and hinder understanding the main points of methodology and synthesis), clarity (presenting scientific concepts and methods in a clear and intelligible way), and objectivity (basing all claims on facts). Precision and

conciseness are also needed because almost every form of scientific writing, especially a journal article, is space-limited.

As in scientific writing *theories are based either upon precise mathematical models, or specific empirical data, or a combination of the two, precise language is used to evaluate and explain these theories* (Alley M. 1996). To avoid ambiguity, most precise and appropriate for a given context words are used. All relevant details, such as information that can enhance the reader's understanding of methodology and logic, are included, while all extraneous and excess information is excluded. This need for precision in scientific writing often requires detailed description, which may lead to complex sentences when several related ideas are expressed without a break point.

Descriptions in scientific writing are quantitative, and not qualitative. Complicated ideas are usually given simple explanations in order to be understandable for readers. Technical terms and abbreviations, which are characteristic for scientific writing, are generally defined after they are first mentioned. As scientific papers deal with data and information, description of background information paraphrases and summaries previously done work, instead of using direct quotations (Alley M. 1996).

The tone of scientific writing is objective and reflects the logic of the scientific method: results that are not repeatable, are not considered to be valid. The main mode of presenting ideas is argumentation, which reflects a logical flow of thought of abstracted or concrete thinking. As introduction usually states the problem the solution to which is given in conclusion, the semantic structure of an article, or its coherence, is circular, i.e. the introduction corresponds to the conclusion. Sentences in paragraphs are joined by a chain of lexico-grammatical connections that represent its cohesion and reflect logical unity of text structure. In case of multiple examples, or a list of details, sentences and paragraphs have parallel structures. When different implementations of innovation, or an invention are suggested, the structure of sentences, as well as paragraphs, may be radial.

In the introduction the author states the question or problem to be solved or studied, proposes the way of solving the problem, relates it to a theory, provides background information that is necessary for understanding the topic of the study, or gives the reason for the research, i.e. explains how and why the research is important (Day RA, Sakaduski N. 2011).

Conclusions of scientific articles usually summarize the findings and generalize their importance. All conclusions should be supported by relevant data. Conclusions that are based on assumptions, or are not proven by research results, are not considered to be relevant. In conclusions authors may raise disputable questions, discuss ambiguous data or results, recommend prospects for further research, provide advice for practical application or implementation of research results depending on the type of research and a scientific paper (Day RA, Sakaduski N. 2011).

As an example of scientific article we have chosen the article by A.M.Turing *Computing Machinery and Intelligence* (1950). Written at the dawn of computer technology development, the article represented a milestone in research into the theory of artificial intelligence, and a good example of a scientific article which states the problem, discusses it from various relevant standpoints, and suggests a hypothetical answer to the problem. The main mode of presenting ideas is argumentation, which reflects a logical thread of thought of abstracted, scientific thinking. To create a vivid picture of the problem, comparisons similes and historical surveys are used.

The text of the article is strictly divided by subsections each of which reflects a "move" in logical argumentation towards a conclusion and has its own subtitle.

The question discussed is "Can machines think?", or possibilities of creating artificial intelligence, its limitations, possible development and threats it can engender. In the introductory part the author gives definitions to the terms "machine" and "think", comes to conclusion of absurdity of using the ambiguous term "think" in the given context and changes it by the term "imitation game" in which a machine takes part substituting one of the three players. In the opinion of the author, the questions: *"What will happen when a machine takes the part of A in this game?" Will the interrogator decide wrongly as often when the game is played like this as he does when the game is played between a man and a woman?* replace the original question *"Can machines think?* (Turing 1950*)."*

The second section of the article is devoted to the critique of the new problem and discusses whether it is a worthy one to investigate. In the opinion of the author, the advantage of the new problem is that it draws a sharp line between physical and intellectual capacities of a man. The question of possible physical equality between man and machine is excluded by the author from the very beginning as an irrelevant one. For testing the intelligence of a machine the method of question and answer is chosen as a suitable one for introducing nearly any of the fields of human endeavour to be tried on a machine. However the question: *May not machines carry out something which ought to be described as thinking but which is very different from what a man does?* (Ibid.) instantly arises.

Section three deals with definition of the type of machines concerned in the game, and the range of machines is limited to a particular kind, usually called an *electronic computer* or a *digital computer.* Logically, section four is devoted to the properties of digital computers, the machines that were designed to carry out operations which can be done by a human computer. The human computer is the one that follows a fixed set of rules from which it cannot deviate. These rules are listed and are altered for each subsequent task.

A digital computer consists of three parts:1 store of information, which corresponds to its memory, 2 executive unit, which carries out various separate operations involved in a calculation and 3 control, whose function is to check that instructions are carried out correctly and in the right order. Constructing instruction tables is known as *programming*.

There are also digital computers with a random element, with instructions involving throwing of a dice or a similar process. Most of existing digital computers have a finite store.

It is often stressed that modern digital computers are electrical, and that human nervous system is also electrical. However, not all computing machines are electrical, though electricity is obligatory where fast signaling is concerned. Nevertheless, in human nervous system chemical phenomena are of the same importance as electrical. In some types of computers the storage system is acoustic. Hence, according to Turing, the feature of using electricity is only a superficial similarity.

Subsection five discusses the universality of digital computers which are classified as the *discrete-state machines.* Such machines move by jumps or clicks from one state to another, though accurate knowledge of a state at a given time enables accurate prediction of the number of subsequent steps. As capacity of computers are compared with human abilities, Turing suggests that *the question: "Can machines think?" should be replaced by: "Are there imaginable digital computers which would do well in the imitation game?"* (Ibid.).

In subsequent sections of the article the author thoroughly examines objections to the possibility of ever creating machines that can think. If up to this point the structure of subsections and paragraphs was a chain one, which reflected the sequence of logical argumentation, from this point on, up to subsection seven, it is radial: that is having theoretically substantiated his theory of possibility of creation of artificial intelligence in the future, Turing goes on to refute opposing viewpoints one by one. Section 6 *Contrary Views on the Main Question* first states the argument in favour of thinking machines. The author trusts that *by the end of the century the use of words and general educated opinion will have altered so much that one will be able to speak of machines thinking without expecting to be contradicted* (Ibid.). However, he goes on to examine nine different conjectures, discussing their pros and contras, considering them to be of great importance as they suggest useful guidelines for research. Each conjecture is made from a different standpoint. Without going into the details of argumentation, we shall list all of them.

The first one is *the Theological Objection* based on the proposition that *thinking is a function of man's immortal soul, which God has given to every man and woman, but not to any other animal or to machines* (Ibid.). Hence, the conclusion that no animal or machine can think. The *Heads in the Sand* objection is based on the fear of the prospect that consequences of machines thinking would be frightening, hence the hope that machines will never be able to do so. *The Mathematical Objection* is based on the results of mathematical logic which indicate that there are limitations to the powers of discrete-state machines. One of the best known of them is Godel's theorem which shows that *in any sufficiently powerful logical system statements can be formulated which can neither be proved nor disproved*

within the system, unless possibly the system itself is inconsistent (Ibid.). Consequently, there are certain things that machines cannot do as there are limitations to the powers of any machine. *The Argument from Consciousness* was expressed by Professor Jefferson's Lister Oration in 1949: *"Not until a machine can write a sonnet or compose a concerto because of thoughts and emotions felt, and not by the chance fall of symbols, could we agree that machine equals brain -- that is, not only write it but know that it had written it. No mechanism could feel (and not merely artificially signal, an easy contrivance) pleasure at its successes, grief when its valves fuse, be warmed by flattery, be made miserable by its mistakes, be charmed by sex, be angry or depressed when it cannot get what it wants* (Ibid.)." Similar objections are expressed in *the Arguments from Various Disabilities* in which machines are described as void of ability to *be kind, resourceful, beautiful, friendly, have initiative, have a sense of humour, tell right from wrong, make mistakes, fall in love, enjoy strawberries and cream, make someone fall in love with it, learn from experience, use words properly, be the subject of its own thought, have as much diversity of behaviour as a man, do something really new* (Ibid.). *Lady Lovelace`s Objection* is based on the argument that the Analytical Engine cannot *originate* anything. It can do *whatever we know how to order it to perform*. *The Argument from Continuity in the Nervous System* asserts that the nervous system is not a discrete-state machine and even a small error in the information, about the size of a nervous impulse on a neuron, may cause a large difference as to the size of the outgoing impulse. Consequently, it is impossible to mimic behaviour of the nervous system with a discrete- state system. *The Argument from Informality of Behaviour* is based on the belief that it is impossible to produce a set of rules of behaviour for a man in every imaginable set of circumstances. An attempt to provide rules of conduct for every eventuality is utterly impossible. *The Argument from Extrasensory Perception* is based on the belief that extrasensory perception, such as telepathy, clairvoyance, precognition and psychokinesis are unimaginable qualities for computing machines.

Having thoroughly discussed all arguments against the possibility of ever creating thinking machines and having presented his counter-arguments, Turing goes on to propose his view on the prospect of creating artificial intelligence. The structure of the text again becomes a chain one as the author goes back to argumentation in order to base and summarize his viewpoint.

In the final subsection *Learning Machines*, as a possibility of creating thinking machines the author suggests, though he acknowledges that *he has no convincing arguments of a positive nature to support his views* (Ibid.), the following: from his standpoint, the problem is mainly one of programming. Trying to imitate an adult human mind, as he rightly suggests, we should try to think about the process which has brought it to the state in which it is. Here he distinguishes three components: a) the initial state of the mind at birth, b) the education to which it has been subjected, and c) other experience, besides education,

to which it has received. Consequently, instead of trying to create a programme to simulate the adult mind, Turing proposes to try to design one which simulates the child's mind. If it were later subjected to an appropriate course of education, we would get the adult brain. This suggestion is thoroughly deliberated, and though Turing hopes that machines will eventually compete with men in all purely intellectual fields, he does not give a ready decision as to where it is the best to start with. There are suppositions, that a very abstract activity, like playing chess, would be best. The other suggestion states, that *it will be best to provide the machine with the best sense organs that money can buy, and then teach it to understand and speak English.* In this way a process of normal teaching of a child would be imitated when things are pointed out and named. Though Turing acknowledges that he does not know what the right answer is, he thinks both approaches should be tried. As he concludes, *A human mind can only see a short distance ahead, but it can see plenty there that needs to be done* (Ibid.).

The language of a scientific article is literary, characterized by frequent use of scientific terms which are thematically connected with the field of research. In the article by Turing the most frequently used stylistic devices are the epithet, simile and comparison. Comparison is used to demonstrate how instructions for a possible sequence of operations are written when the author compares it with an everyday situation on an example of a mother giving her son Tommy a task to bring home some shoes from a shoemaker in two different ways, or when a human nervous system, which is electrical, is compared with modern digital computers, that are also electrical. Possibility to predict future states of a computing machine is compared with the theory by Laplace of "the universe as a whole." Abilities of computing machinery are constantly compared with human abilities as intelligence has always been considered to be a quality of human beings, hence, the need to investigate to what extend a machine of the future can resemble us. Sometimes comparisons are made in the form of a simile or a metaphor. Both are used in the following sentence: *One could say that a man can "inject" an idea into the machine, and that it will respond to a certain extent and then drop into quiescence, like a piano string struck by a hammer* (Ibid.:451). A comparison may be given in a form of an analogy, when Turing uses "*skin of an onion*" analogy trying to get to the essence of the human mind. At times such comparisons take a form of a grotesque, as when discussing extrasensory perceptions of man Turing feels that we come close to believing in ghosts and bogies.

To create a vivid picture of the problem, historical surveys and descriptions of, hypothetical experiments are included. In general, stylistic devices are mainly used in counter-arguments to emphasize the author`s point of view, like an irony in the response to Lady Lovelace`s argument that the Analytical Engine cannot *originate* anything. It can do *whatever we know how to order it* to perform" (her italics). The author wittily replies that *there is nothing new under the sun.*

On the whole, the language of the article is strictly literary with frequent use of special

to the field of informatics terms and follows established laws of scientific argumentation. That is, it starts with a thesis, consecutively substantiates its validity, elaborates it in a form of logical argumentation, shows how the author has come to a certain conclusion, and predicts further possible development of the problem.

Bibliography:

1. Alley M. 1996. The craft of scientific writing. 3rd ed. New York (NY): Springer-Verlag.
2. Barrass R. 2002. Scientists must write. 2nd ed. New York (NY): Routledge.
3. Carolyn R. Miller C.R. 2013. Genres in Scientific and Technical Rhetoric. University of Maryland College Park, MD USA Poroi 9,1 (April 2013)
4. Day RA, Gastel B. 2012. How to write and publish a scientific paper. 7th ed. Cambridge (England): Cambridge University Press.
5. Day RA, Sakaduski N. 2011. Scientific English: a guide for scientists and other professionals. 3rd ed. Santa Barbara (CA): Greenwood.
6. Harmon J.E., Gross A.G. 2007-05-15, On Early English Scientific Writing.
7. Turing A.M. 1950. Computing Machinery and Intelligence. Mind 49: 433-460
8. Williams JM, Bizup J. 2016. Style: ten lessons in clarity and grace. 12th ed. New York (NY): Pearson.

სამეცნიერო სტატიის სტრუქტურული და კომპოზიციური თვისებანი (ა.მ. ტურინგის სტატიის „გამომთვლელი მანქანა და ინტელექტი“ მაგალითზე)

თამარ მებუკე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განიხილება სამეცნიერო სტატიის, როგორც სამეცნიერო ნაშრომების ქვეჟანრის, რომლის მიზანია სხვა მეცნიერებისთვის ზუსტად და მოკლედ ინფორმაციის მიწოდება, სტრუქტურული და კომპოზიციური თვისებანი. მასალის ორგანიზაცია თანმიმდევრულია და ასახავს ლოგიკური მსჯელობის პროცესს. სტატიის თითო ნაწილს აქვს თავისი ქვესათაური. სტატიის ყველა სტრუქტურული ერთეული წარმოადგენს ნაბიჯს, ან სვლას საერთო მიზნისკენ.

სტატიის შეთანხმებულობა, ან სემანტიკური სტრუქტურა წრიულია, მსჯელობის სპეციფიკიდან გამომდინარე ჯაჭვური, პარალელური ან რადიალური სახის გადაბმულობის კავშირებით.

Особенности обучения чтению научно-технической литературы на английском языке

Манана Асланишвили, Ассоциированный профессор
Грузинский Технический Университет

Нино Ломсадзе, Ассоциированный профессор
Грузинский Технический Университет

Резюме

В статье рассмотрены характеристики научного стиля речи на материале технических текстов учебно-методических пособий по специальности. Подчеркивается актуальностьразвития навыков чтения у студентов инженерных специальностей в связи с их обучением другим видам речевой деятельности. рассмотрены принципы преподавания дисциплины для профессиональной коммуникации на английском языке в техническом вузе.

Ключевые слова: речевая деятельность, научно-технические тексты, чтение, научный стиль, профессиональная коммуникация

Вступление

На современном этапе развития нашей страны, когда сформировались качественно новые взаимоотношения с членами мирового сообщества создались благоприятные возможности для изучения иностранных языков и их реального использования в общении с представителями других стран.

Основная часть

В наши дни мир становится все более открытым. В связи с этим возрастает значение английского языка как языка международной коммуникации. Успешное овладение иностранными языками в настоящее время – это необходимая предпосылка для получения интересной работы в стране и за рубежом, укрепления дружбы с представителями различных стран, для продолжения обучения в международных высших учебных заведениях и профессионального роста в избранной области специализации. Одной из возможностей пополнение быстро устаревающих знаний специалиста является получении информации при чтении иноязычных публикаций по соответствующему техническому профилю. И хотя новый социальный заказ диктует делать приоритетным обучение таким видам речевой деятельности (РД) Как аудирование и говорение, роль чтения на иностранном языке в деятельности современного специалиста по-прежнему остаётся значимой.

«Очень важно с самого начала четко и реалистично определять конкретные

задачи обучения иностранному языку: какой именно разновидностью данного языка и в какой степени должен овладеть учащийся за курс обучения. Изучающий язык должен с самого начала сознавать, что он может изучить не «вообще» иностранный язык (никто не знает «вообще» весь английский язык, даже его естественные носители), а какой-то вполне определённый его стиль, разновидность «...». Исходя из этой установки, современная методика преподавания иностранных языков признала наиболее целесообразным обучение «языку для специальных целей», - пишет С. Г. Тер – Минасова. В этой связи представляется важным отметить, что конкретная задача обучения иностранным языкам в технических вузах заключается в том, чтобы научить студентов читать литературу по специальности и говорить на специальные темы.

При этом необходимо выработать у студентов навыки и умение чтения с различной глубиной понимания в зависимости от целей чтения.

В связи с этим можно выделить просмотровое, ознакомительное и изучающее чтение и чтение с элементами анализа. Ознакомительное чтение – это чтение с общим охватом содержания, предметом внимания читающего становится весь текст.

При поиске и подборе материалов для научно-исследовательской для научно-исследовательской работы специалист просматривает большое количество источников информации и принимает решение о полезности для его работы той или иной статьи. На этом этапе он применяет просматровое чтение с целью получить общее представление о содержании текста. Отобрав источник информации специалист приступает к поиску конкретных сведений, интересующих его, т.е. он приступает к поисковому чтению. Чтение с непосредственным пониманием содержания, т.е. с извлечением полной информации, является одной из главных целей обучения иностранному языку.

Знания даны нам в языке и через язык выступает и как форма хранения знаний и как средство и способ их приобретения и передачи. Чтение представляет собой самостоятельный вид речевой деятельности и является рецептивной формой речевого общения; цель чтения – получение новой полезной информации.

Следует отметить, что этот вид речевой деятельности предлагает гораздо больший канал коммуникации по сравнению с устной речью. Специалист всегда может посредством печатных издании и интернета оперативно знакомиться с уровнем международных стандартов в своей профессиональной деятельности.

Овладение чтением позволяет студенту не только извлекать информацию, но и дает ему в руки средство для овладения другими видами речевой деятельности, в том числе устной речью, которая во многом помогает формировать культуру вербального поведения.

При обучении иностранному языку реализуется задача целенаправленного

повышения и углубления профессиональной компетентности студентов за счет чтения и осмысление ими научно-технической литературы по специальности.

На занятиях по иностранному языку в техническом вузе навыки чтения формируются у студентов поэтапно. Предпосылками успешного обучения чтению являются необходимые знания грамматики и лексики.

Как известно, работа над языковым материалом строится на базе учебного текста. Хотя в век аудиовизуальных и электронных средств обучения роль печатного текстового источника уменьшается. Учебный текст представляет содержательную основу при обучении иностранному языку в неязыковом вузе.

Текст для студентов – источник информации, подлежащий декодированию при восприятии (чтение, аудирование), и продукт речемыслительной деятельности автора (говорение, письмо).

Каждому тексту, как известно, свойствен свой функциональный стиль. Для целенаправленного обучения иностранному языку в неязыковом вузе наиболее приемлемым является научный стиль. L.H. Сердобинцева пишет: «Научный стиль отличается серьезной предварительной подготовкой высказывания, которое реализуется преимущественно в жанрах письменной формы речи, в основном монологического характера (в монографиях, научных статьях, диссертациях, рефератах, тезисах, в научных докладах, лекциях, учебной и научно-технической литературе и т. д.)». Следует напомнить, что научный стиль характеризуется логичностью, точностью, доказательностью и обобщенностью. Сфера применения научного стиля очень широка. Этот стиль оказывает большое влияние и на литературный язык. Нужно отметить, что сейчас при составлении толковых словарей учитывается не только язык художественной литературы, но также и специальная лексика научного стиля. для примера, в словаре английского языка Вебстера из 450 000 слов специальная лексика составляет от 60 000 до 70 000.

В зависимости от профиля вуза выбирается соответствующая функциональная разновидность научного стиля. Так, в учебнике английского языка И.В. Орловской, Л.С. Самсоновой, А.И. Скубриевой, представлены технические тексты, соответствующие профильным специальностям, а также тексты общетехнического характера. Техническая разновидность научного стиля находит широкое отражение в текстах учебно-методических пособий для обучения чтению литературы по специальности на английском языке.

Развивая навыки и умения в области чтения текстов по специальности, необходимо учить студентов быстрой четкой ориентации в логической и семантической структуре текста, а также умению различать определенные лексические слои НТТ, обращая особое внимание на многозначность слов.

Использование специальной терминологии является особенностью научного

стиля. Термины, как известно, передают научные знания. И.Ю. Бережанская отмечает, что «терминологическому учению предшествует период терминотворчества, при котором в каком-либо языке накапливается и тематически объединяется определенное количество специальных слов». В отличие от нетерминологической общетехнической лексики, термины концентрируют основное содержание научного текста.

Многолетний опыт преподавания английского языка в техническом университете подтверждает то, что развитие навыков чтения должно происходить с обязательным привлечением элементов анализа текста, причем, что важно отметить, после предварительного ознакомительного чтения. Практика работы показывает, что зачастую студенты игнорируют предварительное чтение, сразу обращаются к словарю в поисках незнакомых слов, и это приводит к типичным ошибкам при переводе: выписыванию подряд всех незнакомых слов из словаря или одного, которое стояло первым в ряду значений; уменьшению роли смысловой догадки на основе экстралингвистических знаний по специальности и искажению смысла высказывания.

Как отмечалось ранее, число терминов в данном отрывке невелико: это связано с тем, что текст носит общетехническую направленность. Анализ научно-технических текстов по специальности позволил выявить некоторую ограниченность состава общенаучной лексики и увеличение доли использования терминологических единиц.

«Однако нельзя думать, что между терминологией и нетерминологией существует непроходимая пропасть «...» Между терминами и нетерминами происходит постоянный обмен: слова общего языка, утрачивая некоторые свои свойства, становятся терминами «...», и наоборот, термины входят в общий язык», - утверждает А.А. Реформатский [13].

Терминология играет важную роль в организации научного текста. Начальным этапом работы над техническим текстом является ознакомление с новой терминологией.

В работах ученых-лингвистов прослеживаются классические определения понятия «термин». А.А. Реформатский определяет термины как «слова специальные, ограниченные своим особым назначением; слова, стремящиеся быть однозначными как точное выражение понятий и называние вещей. Это необходимо в науке, технике, политике и дипломатии» По И.Р. Гальперину, термины - «это слова, которыми обозначают вновь появляющиеся понятия, связанные с развитием науки, техники и искусства».

Научно-технический стиль представляет собой пространство функционирования научно-технических текстов. Это пространство неоднородно. В понятие научно-технического функционального стиля входит язык научно-естественной, научно-

гуманитарной и научно-технической литературы. С лингвистической точки зрения эти тексты различаются по степени насыщенности терминами и специальной лексикой.

Традиционно в рамках каждого функционального стиля можно выделить некоторые языковые особенности. Например, в научно-техническом стиле – это лексико-грамматические особенности научно-технических материалов и, в первую очередь, ведущая роль терминологии и специальной лексики.

Характерными особенностями научно-технического стиля являются его информативность (содержательность), логичность (строгая последовательность, четкая связь между основной идеей и деталями), точность и объективность и вытекающие из этих особенностей ясность и понятность. Отдельные тексты, принадлежащие данному типу, могут обладать указанными чертами в большей или меньшей степени. Однако в этих текстах обнаруживается преимущественное использование языковых средств, которые способствуют удовлетворению потребностей данной сферы общения.

В области лексики это, прежде всего, использование научно-технической терминологии и специальной лексики. «Терминами называют слова или словосочетания, обозначающие специфические объекты и понятия, которыми оперируют специалисты определенной науки или техники».

Термины в языке существуют в составе определенной терминологии. Терминология - это совокупность терминов в данной отрасли производства, профессионального труда, знания. Являясь составной частью словарного состава языка, термины выражают специфические, часто присущие очень узкой сфере профессиональной или научной деятельности, понятия и наименования.

Функция термина в научно-техническом тексте обеспечивает четкое и точное указание на реальные объекты и явления, устанавливает однозначное понимание специалистами передаваемой информации.

Заключение

Итак, вся научно-техническая литература характеризуется высокой степенью информативности, краткостью и точностью изложения материала, а также насыщенностью терминами. для осуществления отбора текстов для обучения студентов чтению научно-технической литературы следует учитывать следующие требования: профессиональная значимость текста, соответствие текста коммуникативной ситуации, его аутентичность, - насыщенность информацией специального характера, соответствие текста лингвистическим параметрам.

Важными аспектами, способствующими успешному обучению чтению научно-технической литературы, как показывает опыт, являются следующие: умение

работать с заголовком текста; умение находить в тексте интернациональные слова; наличие не только лингвистических знаний, но, что еще более важно, владение - терминологией по узкой специальности; умение работать со словарем, принимая во внимание многозначность слов и выражений; умение понимать слово по его словообразовательным элементам; умение работать с терминами, которые являются основой любого профессионально ориентированного текста.

Литература:

1. Тер-Минасова С. Г. О повышении качества учебных пособий по иностранным языкам. Раздел "Типология учебных текстов по иностранным языкам в неязыковом вузе". 1988, с 7-19.
2. Дворецкий И.Х. Латинско-русский словарь. 2-е изд., перераб. и доп. Москва, Русский язык, 1976, 1096 с.
3. Гальперин И. Р. Текст как объект лингвистического исследования. Москва, КомКника, 2007, с. 5-18
4. Кулешов В.В., Долинская Л. Д., Киткова Н. Г. Методическое руководство по преподаванию английского языка на неязыковых факультетах университетов. Москва, Изд-во МГУ им М. В. Ломоносова, 1987 с. 45-73.
5. Фоломкина С. К. Некоторые вопросы обучения чтению на иностранном языке в неязиковом вузе Общая методика обучения иностранным язикам. Хрестоматия, сост. А.А. Леонтьев. М., 1991.
6. Арнольд И. В. Лексикология современного английского языка /The English world/ Москва, Высшая школа, 1986, 241 с.
7. Орловская И. В. Самсонова Л. С., Скубриева А. И. Учебник английского языка для Технических университетов и вузов. Москва, Изд-во МГТУ им. Н.Э. Баумана, 2010, 448 с.

სამეცნიერო ტექნიკური ტექსტების კითხვის თავისებურებანი ინგლისურ ენაში

მანანა ასლანიშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნინო ლომსაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განიხილება სამეცნიერო მეტყველების სტილი ტექნიკური ტექსტების მასალაზე დაყრდნობით. სასწავლო მეთოდოლოგიურ სახელ-მძღვანელოში მოცემულია კითხვის უნარების განვითარებასთან დაკავშირე-ბული საკითხები უცხო ენების შემსწავლელი სტუდენტებისთვის.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული კომუნიკაცია, კითხვა, სამეცნიერო ტექ-ნიკური ტექსტები, მეტყველების განვითარება, სამეცნიერო სტილი.

ეკონომიკა

ECONOMICS

მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის სტრატეგია

ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოც. პროფ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილული „მწვანე ეკონომიკის“ XXI საუკუნის ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტის ძირითადი ინსტრუმენტი, ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე.

თეორიული და ემპირიული კონტენტ-ანალიზის მონაცემების საფუძველზე ჩამოყალიბდა „მწვანე ეკონომიკის“ კონცეპტიალური მდგომარეობა, სტრატეგიები.

მსოფლიო ცივილიზაციის გადასვლა ახალ რეალობაში მოითხოვს დაბალნახშირბადიან ეფექტურ საშუალებებს, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალური პრობლემების გადაჭრას განახლებადი ენერგიის გამოყენებით. მოცემულია „მწვანე ეკონომიკის“ ექვსი მთავარი სექტორი. განხილულია „მწვანე ენერგეტიკა“ – სამრეწველო რევოლუცია, ენერგეტიკული ეფექტურობა, ენერგიის წყაროს აღდგენა, კლიმატური ცვლილებები.

„მწვანე ეკონომიკა“ ასევე წარმოადგენს ბიზნეს შესაძლებლობას, ხელს უწყობს „მწვანე ბიზნესის“ განხორციელებას, ფერმერული მეურნეობის განვითარებას, ეკოსისტემის გაჯანსაღებას, ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, განახლებადი ენერგია, ეკოლოგია, ბიზნესი.

ძირითადი ნაწილი

„მწვანე ეკონომიკა“ არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებაზე. პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს და აქვს ეკონომიკური ღირებულება.

„მწვანე ეკონომიკა“-ეს ტრადიციული „ყავისფერი ეკონომიკის“ ურთიერთსაწინააღმდეგო სახეა, რომელიც ასახავს ბუნებრივ რესურსებში ნახშირბადის შემცველობას, ენერგიის აღდგენას, ასევე ეკოლოგიურ ასპექტს.

ტერმინი „მწვანე ეკონომიკა“ პირველად გაჟღერდა 1972 წელს სტოკჰოლმში UN-ის კონფერენციაზე, ხოლო 1980 წელს გამოყენებული იქნა მსოფლიო კონსერვაციის სტრატეგიის ანგარიშში რესურსების განვითარებისათვის, რომელიც ერთობლივად განახორციელეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა IUCN (International Union for Conservation of Nature), WWF (World Wildlife Fund) და UNDP (United Nations Development Programme). მოგვიანებით, 1989 წელს მდგრადი განვითარების შესახებ ლიტერატურულ წიგნში „მწვანე ეკონომიკის კონცეფცია“ განისაზღვრა მწვანე ეკონომიკა, რომლის მიხედვით ის განსაზღვრავს ადამიანის კეთილდღეობას და აუმჯობესებს სოციალურ მდგომარეობას, გარემოსდაცვით რისკებსა და ეკოლოგიურ პრობლემებს [1]. მდგრად განვითარებას ხელს უწყობს მწვანე ეკონომიკა. შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებით ერთიანდება გარემოსდაცვით სოციალური და ეკონომიკური ძალები. ეკონომიკის გამწვანება შეიძლება გახდეს მდგრადი განვითარების და სიღარიბის აღმოფხვრის მექანიზმი. მას შეუძლია ბუნებრივი და ფინანსური კაპიტალის უფრო ეფექტურად და ოპტიმალურად გამოყენება.

მწვანე ეკონომიკა მოიცავს ექვს მთავარ სექტორს: 1. განახლებად ენერგიას (მზის, ქარის, გეოთერმულ, საზღვაო, მათ შორის ტალღების მიმოქცევის, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერგიას); 2. მწვანე შენობებს (ენერგიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე სამშენებლო მასალები და პროდუქტები); 3. სუფთა ტრანსპორტს (ალტერნატიული საწვავით, ჰიბრიდული საზოგადოებრივი და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები); 4. წყლის მენეჯმენტს (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება); 5. ნარჩენების მენეჯმენტს (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა); 6. მიწის მენეჯმენტს (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები, პარკები, ტყეების განაშენიანება) [2], მდგრად განვითარებას, რომელიც მწვანე ეკონომიკის საფუძველს განსაზღვრავს შემდეგი კაპიტალი. ესენია: **ბუნებრივი კაპიტალი** – ბუნებრივი რესურსებით, ეკოსისტემით და მომსახურებით; **ადამიანური კაპიტალი** – სამუშაო ძალა, განათლება, ჯანმრთელობა; **სოციალური კაპიტალი** – ინფრასტრუქტურა, კულტურა, ძირითადი სერვისები და მომსახურება;

წარმოება – ფიზიკური ინფრასტრუქტურა, ინდუსტრია; **ფინანსური კაპიტალი** – ფინანსური ინსტიტუტები, ინვესტიციები და ა.შ.

„მწვანე ეკონომიკის“ მხარდაჭერისთვის მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგიები ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით – რადიაციის, გამონაბოლქვის, ნარჩენების შემცირებით; ნარჩენების გადამუშავებით, წყლის დაზოგვით წყლის ხელმეორედ გამოყენებით, ბუნებრივი რესურსების გამოყენებით.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ „მწვანე ეკონომიკა“ არ არის აბსტრაქტული კონცეფცია. ის რეალობაა, რასაც სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდისკენ მივყავართ სუფთა ენერგიის გეგმის შემუშავებისას.

მწვანე ეკონომიკა არის ასევე საუკუნის ბიზნეს შესაძლებლობა და მრავალფერიან ეკონომიკაში, როგორც მეცნიერი კლერ გრეივზი (Clare Graves) აღნიშნავს [1], ეკონომიკა ეს ტექნოლოგიების სისტემაა, დაკავშირებული აზროვნების პარადიგმებთან. ის შედგება ტექნოლოგიური ინფორმაციული პაკეტებისაგან – ბიო და ნანოტექნოლოგიების **სინთეზისაგან,** ეკოტექნოლო-გიებისაგან, რომლებიც ქმნიან დაფინანსების ბაზრების ორგანიზაციის ახალ სისტემებს. ხშირად მწვანე ეკონომიკას მოიხსენიებენ როგორც **ეკოლოგიურს** თავისი ახალი წარმონაქმნებით როგორიც არის:

ვიკინომიკა, კრაუდსორსინგი და „ღია კოდი“ წარმოების ახალი სისტემები; კრაუდფანდინგი და „ეთიკური ბანკინგი“; დაფინანსების ახალი სისტემები პრინციპიალურად: გაჩუქების ეკონომიკა და მოხმარების განაწილების ეკონომიკა; პრინციპულად საკუთრების ახალი სისტემები; მექანიზმები კონკურენციასთან ბრძოლისათვის, პრინციპიალურად ბაზრის ორგანიზაციის ახალი სისტემები.

ამჟამად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სტიქიურად ინერგება „მწვანე ეკონომიკის“ ელემენტები. „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირებისთვის 5 ძირითადი ასპექტია გასათვალისწინებელი: 1. ეროვნული ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა. 2. ადგილობრივი უფლებები და შესაძლებლობები. 3. ინკლუზიური მწვანე ბაზრები. 4. საერთაშორისო პოლიტიკის ჰარმონიზაცია და მხარდაჭერა. 5. პროგრესის გასაზომად ახალი პარამეტრების შემოღება. გასათვალისწინებელია პოლიტიკის ფორმირების ინსტრუმენტები – სამართლებრივი ეროვნული ჩარჩო; საერთაშორისო ვალდებულებები; ლიცენზიები და ნებართვები, სტანდარტები; ეკონომიკური ინსტრუმენტები – გადასახადები, სავაჭრო ნებართვები, საბაზრო ინსტრუმენტები, კონკურენცია, იმიჯი; საინფორმაციო ტექნოლოგიური ინსტრუმენტები [3].

მწვანე ეკონომიკა არ არის აბსტრაქტული კონცეფცია, ის რეალობაა, სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდისათვის.

მწვანე ეკონომიკა არის ამ საუკუნის ბიზნესშესაძლებლობა. გამომდიანრე იქიდან, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მუდმივად იზრდება, მაშინ როდესაც

ბუნებრივი რესურსების მოცულობა იგივე რჩება ან მცირდება კიდეც. აქედან გამომდინარე, მწვანე ბიზნესის განხორციელება აქტუალურია როგორც არასდროს.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხორციელდება „მწვანე ეკონომიკის“ პროექტები განახლებადი ენერგიის მოძიებაში, ორგანული სოფლის მეურნეობის წარმოებაში ორგანული ფერმერული მეურნეობის ჩანაცვლებით ეკოსისტემის გაჯანსაღებისათვის სინთეტიკური მასალების გამოყენების – შხამ-ქიმიკატების გარეშე, მზის ენერგიის გამოყენება. მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდა, ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რადიაციის, ნარჩენების, გამონაბოლქვის შემცირება; წყლის დაზოგვა ხელმეორედ გამოყენებით. ენერგიის მოხმარების ეკონომია. „მწვანე ეკონომიკა“ აუმჯობესებს გარემოს – დედამიწას, პლანეტის საზღვრებს, ხელმისაწვდომს ხდის ახალი ინ-ფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისა.

დასკვნა

„მწვანე ეკონომიკა“ როგორც ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტის მოდელი დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკაზე. ის წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების შეფასების ინსტრუმენტს. „მწვანე ეკონომიკის“ მთავარი რეგულატორია არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესი, არამედ საზოგადოება. გლობალური ეკონომიკური კრიზისის სტიმულირება ითვალისწინებს: განახლებად ენერგიაზე გადასვლას; მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდას; მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერას; ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

„მწვანე ეკონომიკა“ ბიზნეს შესაძლებლობას და სამუშაო ადგილების შექმნას ხელს უწყობს.

ასეთია „მწვანე ეკონომიკის“ პოლიტიკის სტრატეგიები.

ლიტერატურა

1. Пекар Валерий. Разноцветная экономика.
2. http://www.managment.com.ua/strategy/str246.html
3. კრიალაშვილი ქ. მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერა. 2017. K.Krialashvili@ gmail.com, ბათუმი.
4. Пахомова Н.В., Рихтер К.К., Ветрова М.А. Зелёная экономика и экологический менеджмент. М., 2017. Вестник Санк-Петербургского университета. Экономика. Т.33.Вып.2

Strategy of the Policy of Green Economy

Elisabed Khakhutashvili, associate professor
Georgian Technical University

Summary

There is discussed the major instrument of XXI century ecological problems solution of the "Green Economics", the models of economical development, which is based on the sustainable development and knowledge of the ecological economy, in the present Article.

The conceptual condition, strategies of the "Green Economy" had been formed based on the data of theoretical and empirical content analysis.

The transformation of world civilization into new reality requires effective means, solution of economical, ecological and social problems by using renewable energy.

There are given 6 main sectors of "Green Economy"; is discussed "Green Energetic" – industrial revolution, energy efficiency, energy source recovery, climatic changes.

"Green Economics" presents business opportunity, supports implementation of "Green Business", development of farming industry, improvement of ecosystem and ecological infrastructure.

Modernization of "Green Business" it is a new condition for the transition to the industrial revolution.

Keywords: Green economics, Sustainable Development, Renewable Energy, Ecology, Business

საციალური დაცვის სადაზღვევო პოლიტიკის ფორმირება

თამარ ღამბაშიძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ალექსი ქურდოვანიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სოციალური დაცვა, ეკონომიკურ-სამართლებრივი კუთხით, განპირობებულია საკუთრებისა და უფლების ურთიერთობების სისტემით. საბაზრო ეკონომიკაში ასეთი ურთიერთობები, რომელთაც ადგილი აქვს წარმოების საშუალებების მესაკუთრეებსა და დაქირავებულ მუშაკებს შორის, (რომელთაც მხოლოდ შრომის უნარი გააჩნიათ,) მოსახლეობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმსაზღვრელია. დაავადების, უბედური შემთხვევის ან სიბერის გამო მუშაკთა შრომისუნარიანობის დაკარგვა (დროებითი ან მუდმივი) და შრომაზე მოთხოვნილების დაკარგვა წარმოშობს მატერიალურ სიდუხჭირეს. ასეთ შემთხვევებში ადამიანებს მხოლოდ ერთი ბუნებრივი უფლება - სიცოცხლის უფლება რჩება. ამასთან დაკავშირებით სოციალურ დაცვას პრაქტიკული კუთხით განიხილავენ, როგორც ადამიანის უმნიშვნელოვანესი - ღირსეული ცხოვრების უფლების უზრუნველმყოფი მექანიზმებისა და გარანტიების სისტემას.

საკვანძო ტერმინები: სოციალური დაცვა, ,საბაზისო პირობები საპენსიო დაზღვევა, საბიუჯეტო უფლება ფინანსური ვალდებულებები

შესავალი

მოსახლეობის სოციალური დაცვა სახელმწიფოს სოციალურ-შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი მიზანია ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საბაზისო პირობების, კერძოდ მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფისა და საზოგადოების შრომისუუნარო წევრების სოციალური და სამედიცინო დახმარების ორგანიზება. ფართო გაგებით, სოციალურ დაცვაში მოიაზრებენ სახელმწიფოსა და სოციალური ინსტიტუტების საქმიანობას, რომელიც მიმართულია მოსახლეობის ნორმალური ცხოვრებისა და მოღვაწეობისაკენ. ვიწრო გაგებით, "სოციალური დაცვა" - ეს არის სახელმწიფო სოციალური გარანტიების, სოციალური დაზღვევის და სოციალური დახმარების სისტემა. კატეგორია "სოციალური დაცვა" - მთელი რიგი საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კვლევის ძირითადი ატრიბუტია.

ძირითადი ტექსტი

შრომის ეკონომიკა "სოციალური დაცვის კატეგორიას განიხილავს მუშაკისა და მისი ოჯახის წევრების საარსებოდ აუცილებელი მატერიალური სახსრებით უზრუნველყოფის პოზიციიდან. აგრეთვე, სიღატაკის, გაჭირვების, სამუშაო ძალის ნაადრევად დაკარგვის თავიდან აცილების საშუალებას. სოციალური დაცვის უფლება - აღნიშნულ კატეგორიას შეისწავლის საკანონმდებლო პოზიციიდან, რომელიც არეგულირებს დაქირავებული მუშა-მოსამსახურის უფლებებს შრომითი საქმიანობის პროცესში და მოქალაქის არსებობისათვის ღირსეული პირობებით სოციალურ უზრუნველყოფას. საბიუჯეტო უფლება - სოციალური ნორმატივების პოზიციიდან აანალიზებს სოციალური დაცვის საკითხებს, სახელმწიფოს ფინანსურ ვალდებულებებს, მოსახლეობის სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების სფეროში.

სოციალური რისკების არსის, პრინციპების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებთან დაკავშირებით გაურკვევლობა და აზრთა სხვადასხვაობა, მნიშვნელოვნად აფერხებს არა მხოლოდ თეორიის განვითარების, არამედ სოციალური დაზღვევის პრაქტიკაში სოციალური რისკების დაზღვევადობის გაუმჯობესებას. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, პირველ ყოვლისა, ხასიათდება, მის ერთ გარკვეულ, ან ერთდროულად რამდენიმე კატეგორიაზე (სოციალურ ჯგუფები) მიკუთვნებით, რომელთა ჩაშლა შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმებით: მუშა, მოსამსახურე (საჯარო მოხელე), უმუშევარი, სტუდენტი, პენსიონერი, ინვალიდი;

მეორე, სოციალური მდგომარეობა ხასიათდება: პროფესიული კვალიფიკაციის დონით, ქონებრივი სტატუსით (უძრავი და მოძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების, საბანკო დეპოზიტების, აქციების ფლობა) და შემოსავლით;

მესამე, განისაზღვრება მოქალაქეების უფლებებით, მოვალეობებით და პასუხისმგებლობით. სოციალური რისკების და სოციალური დაზღვევის საკითხების შესასწავლად მნიშვნელოვანია გავერკვეთ იმაში, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ მოქალაქეების სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებებში, რაც ახასიათებს მოქალაქის სიცოცხლის მატერიალურ დონესა და ხარისხს. ეს უკანასკნელი პირდაპირაა დამოკიდებული მოქალაქის სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალური მოთხოვნილებების შემადგენლობა საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი გაეროს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლში. სადაც ვკითხულობთ: "ყველა ადამიანს აქვს უფლება ისეთი დონის ცხოვრებისა, (მათ შორის საკვები, ტანსაცმელი, თავშესაფარი, სამედიცინო და საჭიროების შემთხვევში სოციალური მომსახურების,) რომელიც აუცილებელია თვით ადამიანისა და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, ასევე უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის,

ქვრივობის ან სხვა მიზეზით, მატერიალური რესურსების ზარალის შემთხვევაში უზრუნველყოფის უფლება." (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია - გაეროს ადამიანის უფლებათა ქარტია 1948 წ.: მუხლი 25) სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემების განვითარებამ, მოქალაქეების ურთიერთდამოკიდებულების პოზიტიურმა ცვლილებამ, ურთიერთდახმარების გაწევის მიზნით, მათმა მაღალმა მოტივაციამ – მოითხოვონ სოციალური დაცვის სტანდარტებით დაკმაყოფილება, გაზარდა სახელმწიფოს როლი სოციალური რისკებისაგან დაცვაში. ვ. დ. როიკი წიგნში – „პროფესიული რისკები", სოციალურ რისკებს განსაზღვრავს, როგორც „ტიპიურ მასობრივი სახის საშიშროებებს, როგორიცაა მოსახლეობის დიდი ჯგუფების სოციალური მდგომარეობის ფაქტორების გაუარესება, რაშიც იგულისხმება საზოგადოების მხრიდან მათი მნიშვნელობის შეფასება და შესაბამისობა ცხოვრების პირობებთან". ეს ნიშნავს, რომ სოციალურ საშიშად აღიარებულია ის რისკები, რომლებიც საზოგადოებრივი ხასიათის მიხედვით წარმოიქმნება და ხშირ შემთხვევაში მათგან ინდივიდუალურად მაღალი ხარისხით დაცვა შეუძლებელია". ამ კონცეფციის უფრო დეტალური განმარტება დაახლოებით ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს: „სოციალური რისკს ქმნის ადამიანის ნორმალური სოციალური მდგომარეობის ჩაშლის ფაქტორები. კერძოდ: ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის დაკარგვა, ან შრომის მოთხოვნილების არარსებობა (უმუშევრობა), რასაც თან ახლავს დასაქმებული მოსახლეობის მიერ მატერიალური უზრუნველყოფის გაურესება, მკურნალობასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაჩენა, ხოლო ოჯახებისათვის - მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში შემოსავლის წყაროს შეწყვეტა". „სოციალური რისკის" ცნების მოცემულ განმარტებას არსებული მოვლენების ასახვაში თავისი მომცველობისა და მიმზიდველობის ქვეშ სოციალურ რისკებთან მიმართებაში გააჩნია აშკარა შეზღუდულობა. აუცილებელი სამედიცინო და საპენსიო დაზღვევები ვრცელდება მოსახლეობის უმუშევარ ფენაზეც (მათ შორის ბავშვებზე, პენსიონრებსა და ინვალიდებზე). მეორე მხრივ, ვ. დ. როიკი სოციალური რისკების ბუნებას აკავშირებს მოქალაქეთა შრომითი მოღვაწეობის სახეობებთან, პირობებსა და თავისებურებებთან, ანუ შრომის ბაზრის განვითარებასთან. თუმცა, სოციალური მდგომარეობის გაუარესების არანაკლებ ფაქტორებს წარმოადგენენ ისეთი სოციალური რისკები, როგორიცაა: სხვადასხვა დაავადებები, საყოფაცხოვრებო ხასიათის მოვლენები, მასშტაბური ტექნოგენური და ეკოლოგიური კატასტროფები, რომლებიც მოიცავენ სიცოცხლისათვის საშიშ ტრავმებსა და სხვა სახის დაზიანებებს, რამაც შეიძლება ადამიანების დაღუპვა გამოიწვიოს; მართალია სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით კონკრეტული ინდივიდის სოციალური მდგომარეობის გაუარესება სოციალური რისკის არსებობაზე მიუთითებს, მაგრამ აქ მთავარია ერთმანეთისაგან გავაცალკევოთ სოციალური

რისკები, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ ადამიანის საქმიანობასთან, და სოციალური რისკები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები არ ეწვიან საქმიანობას მაინც ექცევიან სოციალური რისკების ზემოქმედების ქვეშ. სოციალური რისკების დაზღვევადობის პრინციპების მიხედვით, ზემოთ აღნიშნული ორივე კატეგორია საჭიროებს სადაზღვევო დაცვას. ამგვარად, სოციალური დაცვის მოდელის შექმნა უნდა დაეფუძნოს სოციალური რისკის სწორ განსაზღვრებას, მისი შეფასების შემდეგ უნდა მოხდეს მიკუთვნება სოციალური დაცვის მექანიზმის ერთ–ერთ ფორმაზე, კერძოდ, უნდა განისაზღვროს, რომ რისკი, რომელიც ინდივიდს ან ინდივიდთა ჯგუფს ემუქრება ექვემდებარება სოციალურ დახმარებას თუ სოციალურ დაზღვევას. ჩვენ მიერ განმარტებული სოციალური რისკის დადებითი მომენტები უნდა დაექვემდებაროს, როგორც სოციალურ დაცვას, ასევე სოციალურ დაზღვევას ინდივიდთა გადაწყვეტილების მიხედვით, ხოლო სოციალური რისკი, რომელიც საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად ზემოქმედებს მოსახლეობაზე მიეკუთვნება სოციალური დახმარების მიმღებ კატეგორიას. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიმართულება არის სოციალური დაზღვევის გამოყენება სოციალური რისკებისაგან დაცვაში, ამიტომ ნაშრომში ძირითადი ნაწილი სოციალურ დაზღვევის განვითარების პრობლემებია, თუმცა მისი არსებობა სოციალური დაცვის სხვა ინსტიტუტების გარეშე წარმატებას მოკლებული იქნება.

სოციალური დაცვა, ეკონომიკურ-სამართლებრივი კუთხით, განპირობებულია საკუთრებისა და უფლების ურთიერთობების სისტემით. საბაზრო ეკონომიკაში ასეთი ურთიერთობები, რომელთაც ადგილი აქვს წარმოების საშუალებების მესაკუთრეებსა და დაქირავებულ მუშაკებს შორის, (რომელთაც მხოლოდ შრომის უნარი გააჩნიათ,) მოსახლეობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმსაზღვრელია. დაავადების, უბედური შემთხვევის ან სიბერის გამო მუშაკთა შრომისუნარიანობის დაკარგვა (დროებითი ან მუდმივი) და შრომაზე მოთხოვნილების დაკარგვა წარმოშობს მატერიალურ სიდუხჭირეს. ასეთ შემთხვევებში ადამიანებს მხოლოდ ერთი ბუნებრივი უფლება - სიცოცხლის უფლება რჩებად. (Роик 2000:42) ამასთან დაკავშირებით სოციალურ დაცვას პრაქტიკული კუთხით განიხილავენ, როგორც ადამიანის უმნიშვნელოვანესი - ღირსეული ცხოვრების უფლების უზრუნველმყოფი მექანიზმებისა და გარანტიების სისტემას. სოციალური პოზიციიდან კატეგორია "სოციალური დაცვა" - ეს არის საზოგადოებაში ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც განპირობებულია მისი მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის დაცვის აუცილებლობით – სოციალური რისკების არახელსაყრელი გავლენისაგან, რასაც სამუშაოს და შრომისუნარიანობის დაკარგვის, ან ავადმყოფობის და სოციალური დეზინტეგრაციის საფრთხე მოსდევს. მის ქვაკუთხედს

წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებებითა და კანონმდებლობით განმტკიცებული სოციალური გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც მიმართულია სოციალური რისკების შედეგების კომპენსირებაზე და ადამიანთა ნორმალური სასიცოცხლო პირობების უზრუნველყოფაზე. ამიტომ საბაზრო ეკონომიკაში სოციალური დაცვა გვევლინება როგორც საზოგადოებრივი სოციალური და სამეურნეო ცხოვრების ორგანიზების უმთავრესი კომპონენტი. ხოლო მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები უზრუნველყოფენ სამუშაო პროცესის უწყვეტ ხასიათს და სამუშაო ძალის კვლავწარმოებას. კატეგორია "სოციალური დაცვა" მჭიდროდაა დაკავშირებული კატეგორიასთან "ცხოვრების დონე", რომელიც გაეროს რეკომენდაციებით რამდენიმე ელემენტს მოიცავს: ჯანმრთელობას, დემოგრაფიულ პირობებს, საკვებს, ტანსაცმელს, მოხმარების და დაგროვების ფონდებს, შრომის პირობებს, დასაქმებულებს, შრომის ორგანიზებას, განათლებას, მათ შორის წერა-კითხვის ცოდნას, საცხოვრებელს და მის კეთილმოწყობას, ადამიანურ თავისუფლებას. მშრომელთა სოციალურ დაცვაში ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია როგორც ადამიანის ბუნებით (როგორც ბიოლოგიური არსებისა, მისი ცხოვრებისეული ციკლებით, ბიორიტმების, შრომისა და შრომის შემდგომი მოსამზადებელი პერიოდების ჩათვლით), ასევე ადამიანების ურთიერთ დამოკიდებულებითი ფაქტორების ფართო სპექტრზე, რომლებიც განსაზღვრავენ შრომის პროცესში მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ესენია: საწარმოო გარემო (ზეგავლენის მომხდენი ადამიანის შრომისუნარიანობაზე და ჯანმრთელობაზე), შრომის პირობები (გავლენას ახდენს შრომის არსზე, შემოსავლების დონეზე, შრომის რეჟიმზე, დასვენებაზე და ა.შ.), და შრომითი ურთიერთობები (პირდაპირ კავშირშია თანამშრომლობის ატმოსფეროზე, სოციალურ პარტნიორობაზე, ან კონფლიქტურ სიტუაციებზე და კოლექტივის წევრების დისკრიმინაციაზე). ამასთან, სოციალურ-შრომითი ურთიერთობები ვრცელდება ორგანიზაცია-საწარმოების ტექნოგენური და ბუნებრივი ფაქტორების რთული კომპლექსისაგან პერსონალის დაცვაზე (საწარმოო და ბუნებრივი გარემო პირობები), ეკონომიკური (პერსონალის დაქირავების და შრომის ბირჟის საკითხები), ბიოლოგიური (ასაკი, ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა); ეს ყველაფერი თავს იჩენს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, დასაქმებულსა და სახელმწიფოს შორის, დამსაქმებელსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში. (Меликьяна 1996:331) ამგვარად ცნება "სოციალური დაცვა" ჯდება "ცხოვრების დონის" კატეგორიაშიც, რომელიც მოსახლეობის სოციალურად სუსტი ფენების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მინიმალური სოციალური სტანდარტების უზრუნველყოფას მოიცავს.სოციალური დაცვის სისტემების წყობაზე დაკვირვებისას, ირკვევა, რომ მის საგნობრივ არსს საკითხების ფართო წრე ეხება. კერძოდ: სუბიექტური

შემადგენლობა, ფორმები, მექანიზმები და ინსტიტუტები, ფუნქციონირების ეკონომიკურ-სამართლებრივი საფუძვლები, აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურა. ასე მაგალითად, სოციალური დაცვის ინსტიტუტების (იქნებიან ისინი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო) ორგანიზება,

მართვა და დაფინანსება სახელმწიფოს მონაწილეობაზეა დამოკიდებული. თავის მხრივ, სახელმწიფოს მონაწილეობამ შეიძლება მოიცვას, სისტემის საერთო დონე, ან შემოიფარგლოს მუნიციპალურ–რეგიონულ დონეზე. მუშაკთა სოციალური დაცვის საკითხებში სოციალურ-შრომითი ურთიერთობები გამოიყოფა საწარმოს (ორგანიზაცია და კორპორაცია), რეგიონის და დარგის დონეზე. თითოეული დონისთვის სპეციფიურია ურთიერთობის საგნები და მათ შორის კავშირები, რომლებიც ერთობლიობაში განსაზღვრავენ მუშა-მოსამსახურის სოციალურ მდგომარეობასა და შრომითი ცხოვრების ხარისხის დონის პარამეტრებს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ადამიანთა, საზოგადოებებისა და სოციალური ჯგუფების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მახასიათებელია და გააჩნია არსებობის ორი ფორმა: პირველი - კონკრეტული ადამიანების, ოჯახების, სოციალური ჯგუფების ფაქტობრივი სოციალური მდგომარეობა (ობიექტურ-სუბიექტური დონეები); მეორე - ფაქტობრივი სოციალურ-შრომითი ურთიერთობების ნორმატიულსაკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე პროექციის (რეფლექსიის) ამსახველი სოციალური მდგომარეობა სოციალურ გარანტიების სახით. იმის მიხედვით თუ ვისკენ არის მიმართული სოციალური დაცვის მექანიზმების და ვის მიერ არის მართული სოციალური დაცვის სისტემაში გამოიყოფა შემდეგი სტრუქტურული შემადგენლები:

სოციალური დაცვის სუბიექტები:

დაქირავებული მუშა და მისი ოჯახის წევრები, დამქირავებელი, სახელმწიფო და მოქალაქე, აგრეთვე სოციალური დაცვის და სოციალურ უზრუნველყოფის სფეროს ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები, საჯარო-სამართლებრივი სტატუსის მქონე სადაზღვევო ორგანიზაციები;

სოციალური დაცვის დონეები: ინდივიდუალური (მუშა-მოსამსახურე, დამქირავებელი, მოქალაქე, სახელმწიფო) და ჯგუფური (დაქირავებულ მშრომელთა პროფესიული კავშირები და დამსაქმებელთა გაერთიანებები);

სოციალური დაცვის საგანი და მისი სტრუქტურა: სუბიექტების (მოქალაქე და სახელმწიფო, დაქირავებული და დამქირავებელი) საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებსაც შეიძლება დაემუქროს ნორმალური ცხოვრებისა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული რისკები (ავადმყოფობა, შრომის უნარის დაკარგვა), რომელთა დაცვის სისტემა მოიცავს ხელფასის და შრომის უნარის დაკარგვის კომპენსაციის მექანიზმების შემუშავება-ფუნქციონირებას, სამედიცინო და სოციალურ-სარეაბილიტაციო დახმარების ორგანიზებას;

სოციალური დაცვის ტიპები და პრინციპები, რომლებიც სოციალური სამართლიანობისა და სოლიდარული ურთიერთდახმარების რეალიზების ხარისხს ახასიათებს.

სოციალური პარტნიორობა (დამსაქმებელთა და დაქირავებულთა ურთიერთ თანამშრომლობის საშუალებების ფართო სპექტრი) და ამის საფუძველზე სავალდებულო და ნებაყოფლობითი სპეციალიზირებული ინსტიტუტების ფორმირება.

სოციალური დაცვის შეფასების კრიტერიუმებია - შრომითი ცხოვრების ხარისხის სოციალური გარანტიები და აღიარებული ეროვნული მახასიათებლები (ნორმები): საწარმოო სფეროს მდგომარეობა, შრომის დაცვა და უსაფრთხოება; შრომითი დატვირთვის ფსიქოფიზიოლოგიური ნორმატივები; შრომის პირობები (შრომის და დასვენების რეჟიმები, მატერიალური ანაზღაურება); მშრომელთა ჯანმრთელობის და შრომისუნარიანობის მდგომარეობა; პროფესიული მომზადების კვალიფიკაციური მაჩვენებლები; კვების პროდუქტების მოხმარების ნორმები და ა.შ. ტერმინი "სოციალური დაცვა" პირველად 1935წ. აშშ-ში სოციალური დაცვის კანონში იყო გამოყენებული, რომელმაც კანონმდებლობით განსაზღვრა ამ ქვეყნისათვის ახალი სავალდებულო დაზღვევის ინსტიტუტი ხანდაზმულობის, სიკვდილის, ინვალიდობის და უმუშევრობის შემთხვევებზე. სულ მალე ამ ტერმინის ფართოდ გამოყენება დაიწყეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში (შსო), რამეთუ იგი მარტივად და გასაგებად გამოხატავდა შრომისუუნარო, მოხუცთა დახმარების სისტემების და ეროვნული პროგრამების ორგანიზების პრობლემის არსს. შემ-დგომში ამ დეფინიციის ფარგლები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, სოციალური დაზღვევისა და სოციალური დაცვის, მშრომელთათვის სოციალური რისკების დროს გარანტირებული მინიმალური შემოსავლების, შრომის დაცვის პირობების და ანაზღაურების მექანიზმების ფორმირების საკითხებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბახტაძე ლ. "ცხოვრების დონე და სოციალური დიფერენციაცია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში", ჟ. სოციალური ეკონომიკა. 2010
2. ბერიძე …….. 2005: ბერიძე ლ., ჭიპაშვილი მ. "საქართველოს შრომის ბაზრის აქტუალური პრობლემები:, ჟ. საქართველოს ეკონომიკა. 2013
3. Важенин С. Г. «Социальная инфраструктура национальной экономики», М. 2007:
4. Report of the High-Level Group on the Future of Social policy in an enlarged European Union", European Commission. Directorate-general for Employment and Social Affairs.- . Report ….. 2004:

The formation of insurance policy in social service

Tamar Gambashidze, associate professor
Georgian Technical University

Alex Kurdovanidze, PhD student
Georgian Technical University

Summary

Social service, an economical and judical course of action is due to communes of property and proxy system. This kind of intercourse occurs in market economies in between the enterprise proprietur and the efficacy employee, is a determine value of population life being and activities. On account of disease, accidents, senility, temporary or permanent fitness for work, loss of faculty in labour market engender material penury. Under such conditions there is a solo natural right – conduct of life. Social service is reviewed as a practical application, alleguedly prime advantage, rewarding unalienable natural right, providing device and implied warranty system.

Key words: Social service, principal conditions, pension insurance, Budget authority, pecuniary liability (financial obligation).

ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტის პერპექტივები
და გამოწვევები

თეონა ბაქანიძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგდა ბაქანიძე, ასისტენტ პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენა - ეკონომიკური ზრდა, მისი არსი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

წარმოდგენილი და გაანალიზებულია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც უშალოდ განაპირობებენ ქვეყნის კეკონომიკურ განვითარებას. განხილულია ექსტენსიური და ინტენსიური ეკონომიკური ზრდა. ასევე თუ რა არის ქვეყნის მწარმოებლურობა, რა ფაქტორები მოქმედებს მწარმოებლურობის ზრდაზე და რა გავლენას ახდენს მწარმოებლურობის დონე ქვეყნის ეკონომიკის სწორ და უწყვეტ განვითარებაზე.

სტატიაში ასევე განხილულია თუ რა შეიძლება მოიმოქმედოს მთავრობამ მწარმოებლურობისა და ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებისათვის. წარმოდგენილია სხვადასხვა რეკომენდაციები თუ რა დადებითს მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას, მაგალითად,როგორიცაა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და უცხოური პორტფელური ინვესტიციები; განათლების მაჩვენებელი ქვეყანაში; საკუთრების უფლებები; ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა და არასტაბილურობა; საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები; თავისუფალი ვაჭრობა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა, ექსტენსიური და ინტენსიური ეკონომიკური ზრდა, მწარმოებლურობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, პორტფელური უცხოური ინვესტიციები, პოლიტიკური არასტაბილურობა, საკუთრების უფლება, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები.

შესავალი

თუ ეკონომიკას ხანგრძლივი დროის განმავლობაში, დინამიკაში დავაკ-ვირდებით დავინახავთ, რომ იგი მუდმივად იცვლება. ცნება ეკონომიკური ზრდა მოიცავს და გულისხმობს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მყარ ზრდას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი მთავარი არსი ეკონომიკური ზრდის არის მისი კავშირი მოსახლეობის ცხოვრების დონესთან. ასევე ეკონომიკური ზრდის

ცნება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში აისახება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხასიათი. ეკონომიკურმა ზრდამ უნდა უზრუნველყოს ხალხის კეთილდღეობის ამაღლება, რაც გამოიხატება ერთ სულ მოსახლეზე ქვეყნის სიმდიდრის მოცულობის გადიდებით. თავისი ხასიათითა და ფაქტორებით, ეკონომიკური ზრდა, არაერთგვაროვანი, რთული პროცესია. იგი მერყევია და დაკავშირებულია ეკონომიკური დინამიკის ციკლურობასთან და არაციკლურ ცვლილებებთან.

ძირითადი ნაწილი

ტერმინი „ეკონომიკური ზრდა" თავისთავად გულისხმობს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, რომელიც ხასიათდება ზრდის ხანგრძლივობითა და მყარი, უწყვეტი ზრდით. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას ადგილი აქვს მაშინ , როდესაც ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა მრუდი გადაინაცვლებს მარჯვნივ. ეს ყოველივე კი უშალოდაა დაკავშირებული ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მოცულობის ზრდის ტემპებთან.

მსოფლიოში ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის უზარმაზარი განსხვავება არსებობს. ეს აიხსნება იმით, რომ სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება., მაგალითად, აშშ-ს საშუალო მოქალაქის შემოსავალი, სულ ცოტა თჯერ მაინც აღემატება ღარიბი ქვეყნის, მაგალითად, ინდოეთის საშუალო მოქალაქის შემოსავალს. [1]. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის განსხვავების ახსნა შეიძლება ქვეყნის მწარმოებლურობით. ტერმინი „მწარმოებლურობა" საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობას ასახავს, რომლის წარმოებაც დასაქმებულს ერთი სამუშაო საათის განმავლობაში შეუძლია. მწარმოებლურობა ერთ სამუშაო საათში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობაა. [2]. მწარმოებლურობა ცხოვრების დონის ერთ-ერთ ძირითად დეტერმინანტად გვევლინება. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ცხოვრების დონე დამოკიდებულია უშუალოდ ქვეყნის მხრიდან საქონლისა და მომსახურების წარმოების მისეულ უნარზე, ხოლო მისი მწარმოებლურობა კი დამოკიდებულია ფიზიკურ კაპიტალზე, ადამიანურ კაპიტალზე, ბუნებრივ რესურსებსა და ტექნოლოგიურ ცოდნაზე. თითოეული ფაქტორის კლასიფიცირება შემდეგნაირად შეიძლება მოვახდინოთ:

1) ფიზიკური კაპიტალი- ის შენობები და მოწყობილობები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება საქონლისა და მოსახურების საწარმოებლად;

2) ადამიანური კაპიტალი - ის ცოდნა და უნარია, რომელსაც ადამიანი იძენს განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების გზით;

3) ბუნებრივი რესურსები - საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად გამოყენებული ის ბუნებრივი მასალა, რომელსაც ბუნება გვაძლევს

(განახლებადი და არაგანახლებადი)., მაგალითად, ტყე, ნავთობი, მინერალები, მიწა, მდინარეები და ა.შ.;

4) ტექნოლოგიური ცოდნა და მისი განვითარება - მის ნათელ მაგალითად გვევლინება კომპიუტერული რევოლუცია.

ეკონომიკური ზრდა იწვევს ასევე დროის განსაზღვრულ პერიოდში საქონლისა და მომსახურების ეროვნული წარმოების გადიდებას. მაგალითად, თუ ქვეყანაში მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ) მიმდინარე წელს 5% - ით მეტია ვიდრე წინა წლის ეროვნული პროდუქტი, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული წარმოების მოცულობა 5%-ით გაიზარდა. [3].

ეკონომიკურ ზრდასა და ქვეყანში მიმდინარე ინფლაციას შორის კავშირზე, შეიძლება ითქვას, რომ თუ ინფლაციის წლიური 12% - იანი ტემპის დროს, მთლიანი ეროვნული პროდუქტის ნომინალური სიდიდე 7%-ით გაიზარდა, უნდა აღინიშნოს რომ მაშინ ეს იქნება ეროვნული წარმოების 7%-ით შემცირების და არა ეროვნული წარმოების ზრდის მაჩვენებელი.

ექსტენსიური არის ეკონომიკური ზრდა, თუ ის ხორციელდება დამატებითი რესურსების გამოყენებით და საზოგადოებაში შრომის საშუალო მწარმოებლურობას არ ცვლის, ხოლო ინტენსიური ზრდა დაკავშირებულია უფრო მეტად სრულყოფილი წარმოების ფაქტორებისა და ტექნოლოგიების გამოყენებასთან. სწორედ ინტენსიური ზრდა პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასთან.

ეკონომიკური ზრდის პრობლემა მსოფლიოს ქვეყნებში ერთ-ერთ მწვავე პრობლემად განიხილება, შესაბამისად ყოველთვის ისმის კითხვა თუ რა უნდა მოიმოქმედოს მთავრობამ მწარმოებლურობის და ეკონომიკური ზრდისთვის?

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დანაზოგებისა და ინვესტიციების როლი ქვეყანაში. ქვეყნები რომლებიც მთლიანი შიდა პროდუქტის დიდ ნაწილს ხარჯავენ ინვესტირებაზე, როგორც წესი, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდებიან. ასევე მეტად მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციები.

უცხოური ინვესტიციები რამდენიმე სახისაა: უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და უცხოური პორტფელური ინვესტიციები. მათ შორის სხვაობა ძირითადადსემდეგშიმდგომარეობს:პირდაპირიუცხოურიინვესტიციაეწოდება ინვესტიციას, რომლის დროსაც კაპიტალური ინვესტიციის მფლობელიც და მმართველიც უცხოური ფირმაა, ხოლო რაც შეეხება პორტფელურ ინვესტიციებს ამ შემთხვევაში ინვესტიცია ფინანსდება უცხოური ფულით, მაგრამ იმართება ქვეყნის მოქალაქეების მიერ.

განათლება - ადამიანური კაპიტალის ინვესტირება, მას ისეთივე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდისთვის, როგორც ფიზიკური კაპიტალის ინვესტირებას.

საკუთრების უფლებები და ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური ზრდისათვის. ეს კიდევ ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანია რითიც შეუზღლია მთავრობას ხელი შეუწყოს ზრდის ტენდენციას. საკუთრების უფლება გულისხმობს ადამიანების უნარს, სრულ განკარგულებაში იქონიონ მათ ხელთ არსებული რესურსები. ერთ-ერთი საშიშროება, რომელიც საკუთრების უფლებებს ემუქრება პოლიტიკური არასტაბილურობაა. ქვეყანასი სადაც პოლიტიკური არასტაბილურობაა ქვეყნის მოქალაქეებს დაზოგვის, ინვესტირების და ახალი კომერციული საქმიანობის დაწყების ნაკლები სტიმული აქვთ.

თავისუფალი ვაჭრობა - ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების დაუბრკოლებლად, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე სხვა ქვეყანაში გატანაა. ეკონომისტთა უმრავლესობა თვლის, რომ ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესია მაშინ, როდესაც ეს ქვეყნები მსოფლიო ბაზარზე ორიენტირებულ პოლიტიკას მიმართავენ, რომელიც ამ ქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკაში აერთინებს. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნის მოქალაქეთა ეკონომიკურ მდგომარეობას აუმჯობესებს.

დასკვნა

მსოფლიოში ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის უზარმაზარი განსხვავება არსებობს. ეს აიხსნება იმით, რომ სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. თუ ეკონომიკას ხანგრძლივი დროის განმავლობაში დავაკვირდებით დავინახავთ, რომ იგი მუდმივად იცვლება ზოგჯერ დადებითისკენ და ზოგჯერაც პირიქით, უარყოფითისკენ. ცნება ეკონომიკური ზრდა მოიცავს და გულისხმობს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მყარ ზრდას.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის განსხვავების ახსნა შეიძლება ქვეყნის მწარმოებლურობით. ტერმინი „მწარმოებლურობა“ საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობას ასახავს, რომლის წარმოებაც დასაქმებულს ერთი სამუშაო საათის განმავლობაში შეუძლია. მწარმოებლურობა ცხოვრების დონის ერთ-ერთ ძირითად დეტერმინანტად გვევლინება. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ცხოვრების დონე დამოკიდებულია უშუალოდ ქვეყნის მხრიდან საქონლისა და მომსახურების წარმოების მისეულ უნარზე, ხოლო მისი მწარმოებლურობა კი დამოკიდებულია ფიზიკურ კაპიტალზე, ადამიანურ კაპიტალზე, ბუნებრივ რესურსებსა და ტექნოლოგიურ ცოდნაზე.

ლიტერატურა:

1. ბერიძე ლ., ჭიპაშვილი მ., მუჯირიშვილი დ., მაკროეკონომიკა, თბ., 2010, 448 გვერდი

2. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2000, 1064 გვერდი
3. ვეშაპიძე შ., ეკონომიკის საფუძვლები, თბ., 2015, 345 გვერდი
4. ლემონჯავა პ., აბრალავა ა., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2011, 408 გვერდი
5. სამადაშვილი უ., შენგელია რ. თანამედროვე ეკონომიკა, თბ., 2013, 405 გვერდი
6. https://www.eprc.ge/index.php?a=main&pid=1493&lang=geo (ბოლოს ნანახია 1.05.2019)

Perspectives and Challenges of the Coefficient of Economical Growth

Teona Bakanidze, associate professor
Georgian Technical University

Magda Bakanidze, assistant-professor
Georgian Technical University

Summary

The article discusses one of the important economic events - economic growth, its essence and importance on the development of the country's economy.

Important factors, which are affecting on the economic growth of the country and are unmistakably determined by the country's economic development are presented and analyzed in the article. Extensive and intensive economic growth is considered here. What is the productivity of the country, what factors affect the growth of production and the effectiveness of the productivity on the right and continuous development of the country's economy is presented below.

The article also discusses what the government can do to improve productivity and economic growth. Various recommendations are presented on the prospects of the country's economy, such as foreign direct investments and foreign portfolio investments; Education index in the country; Property rights; Political stability and instability of the country; International trade relations; Free trade.

Keywords: Economic growth, extensive and intensive economic growth, productivity, direct foreign investment, portfolio investments, political instability, property rights, international trade relations.

რისკის თეორიულ-კონცეპტუალური წანამძღვრები

ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

იზაბელა ფერიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია – „რისკის თეორიულ-კონცეპტუალური წანამძღვრები“ – მოიცავს რისკებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. ახსნილია „რისკის“ კატეგორიის შინაარსი მისი ფუნქციების ჭრილში, რომლებიც იძლევიან რისკის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის ვრცელ დახასიათებას.

განხილულია რისკების თეორიის შესახებ არსებული ლიტერატურა, რომლებშიც რისკის განმარტება არაერთგვაროვანია და სხვადასხვა ავტორი განსხვავებულად აღიქვამს, ხოლო თავად ტერმინმა „რისკი“ საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული განვითარების გზა განვლო. თავად კატეგორია „რისკი“ გვხვდებოდა ადრეული პოლიტეკონომიის წარმომადგენლების ა. სმიტის, დ. რიკარდოსა და ჯ. მილის ნაშრომებში. გ. ფონ ტიუნენი კი ცნებებს – „რისკი“ და „მოგება“ – აკავშირებს., ხოლო ფ. ჰ. ნაიტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „რისკისა“ და „გაურკვევლობის“ თეორიაში. ცნობილმა ეკონომისტმა - ადამ სმიტმა აღნიშნა, რომ მოგება იზრდება რისკის ზრდასთან ერთად, მაგრამ თანდათან სცილდება მას.

მიუხედავად იმისა, რომ რისკის ცნების რამდენიმე განსაზღვრება არსებობს, მათ შორის არის როგორც მსგავსება, ასევე განსხვავება. მაგრამ ყველა მათგანს ერთმანეთთან აკავშირებს მოვლენის გაურკვევლობა, გეგმის ჩაშლის ალბათობა და შესაძლო დანაკარგები.

თუ გავაანალიზებთ რისკის პრობლემისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ წყაროებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღემდე მეცნიერ-მკვლევარებს შორის არ არსებობს ერთიანი შეხედულება „რისკის“ კატეგორიის არსთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: რისკები, გაურკვევლობა, მოგება, ანალიტიკური, ინოვაციური, დაზღვევა, ზარალი.

შესავალი

ნებისმიერი მმართველობითი საქმიანობა ამა თუ იმ ხარისხით სარისკოა, რაც განპირობებულია როგორც მართვის ობიექტის მრავალფაქტორიანი დინამიკით და მისი გარემოცვით, ასევე ზემოქმედების პროცესში ადამიანური ფაქტორის როლით. საწარმოს შიდა მართვის, დაგეგმვისა და კონტროლის თეორიისა და პრაქტიკის თითქმის ყველა განყოფილებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია

რისკების შეფასებისა და მართვის პრობლემას, ასევე რისკისა და საქმიანი აქტიურობის დონის, შემოსავლიანობისა და საიმედოობის ოპტიმალური თანაფარდობის არჩევას, რაც დაფუძნებული იქნება რისკის როლისა და ადგილის ანალიზზე, რომელიც შეადგენს სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის პროცესის შინაარსის მნიშვნელოვან ნაწილს.

ძირითადი ნაწილი

„რისკის" კატეგორიის შინაარსის ახსნა ხდება მისი ფუნქციების ჭრილში. ესენია: **ანალიტიკური, ინოვაციური, რეგულაციური, დაცვითი,** რომლებიც იძლევიან რისკის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის ვრცელ დახასიათებას.

ანალიტიკური ფუნქცია განპირობებულია მმართველობითი გადაწყვეტილების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტის არჩევით, რისთვისაც გადაწყვეტილების მიმღები პირი აანალიზებს და ადარებს ყველა შესაძლო ვარიანტს, აგებს პრიორიტეტების რანჟირებულ სისტემას.

ინოვაციური ფუნქცია განპირობებულია მაღალი რისკის სიტუაციის დაძლევით, რაც დაკავშირებულია შემუშავებული და დასანერგი ტექნოლოგიის ან ინოვაციური პროდუქტის, საქონლისა თუ მომსახურების სიახლესთან.

რეგულაციური ფუნქცია მოიცავს ორ ფორმას: კონსტრუქციულს (სადაც რისკი ასოცირდება საწარმოს წარმატებულ საქმიანობასთან) და დესტრუქციულს (ამ დროს რისკი იგნორირდება, ანუ გადაწყვეტილებების მიღება არ ეყრდნობა არც რისკის ალბათობისა და სიდიდის ანალიზის შედეგებს და არც საწარმოს საქმიანობის კანონზომიერებებს).

რისკის **დაცვითი** ფუნქცია ვლინდება საკუთრივ გადაწყვეტილებების მიღების შესახებ სამეურნეო რისკის ელემენტების შემცველი გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა უფლებების ინსტიტუციონალურ გამყარებაში.[1]

რისკების თეორიის შესახებ არსებული ლიტერატურა ხასიათდება არაერთგვაროვნებით ტერმინოლოგიური აპარატის დასმის, ძირითადი ელემენტების, მახასიათებლების, რისკის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ინტერპრეტაციის, რისკზე მოქმედი გაურკვევლობის ფაქტორების შემადგენლობისა და სტრუქტურის გაგების თვალსაზრისით. ცნება „რისკი" ამჟამად არ არის მდგრადი, ხოლო თავად ტერმინმა „რისკი" საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული განვითარების გზა განვლო. ამასთანავე, გაურკვევლობისა და რისკის არსებობა სამეწარმეო საქმიანობის განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენს. რისკის მრავალასპექტიანობა იწვევს უამრავ განსხვავებულ, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო რეალური საფუძვლების არსებობას.

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში რ. კანტილიონი მეწარმეში გულისხმობდა რისკის პირობებში მოქმედ ადამიანს. იგი იყენებდა ეკონომიკური კონიუნ-

[1] Качалов Р.М. Управление хозяйственным риском на предприятиях. М., 2003

ქტურის გაურკვევლობას, რომელიც გამომდინარეობს მოგების მისაღებად საბაზრო მოთხოვნისა და მიწოდების ცვალებადობიდან, ანუ ყიდულობს საქონელს დადგენილ ფასად, ხოლო ყიდის უცნობ ფასად.[1]

საბაზრო ეკონომიკაში შეზღუდული რესურსების განთავსებისა და ეფექტიანი გამოყენების პრობლემა რისკის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე იყო გამოკვლეული. იგი თეორიულ კვლევებში უბრალოდ იგნორირებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ თავად კატეგორია „რისკი“ გვხვდებოდა ადრეული კლასიკური პოლიტეკონომიის წარმომადგენლების ა. სმიტის, დ. რიკარდოსა და ჯ. მილის ნაშრომებში. მათი შეხედულებების თანახმად, მოგება უნდა მოიცავდეს ჯილდოს რისკისათვის. თუმცა, ისინი აღიარებენ რისკს დასაჯილდოებელ მოთხოვნად და განმარტავენ როგორც დანაკარგების მათემატიკურ მოლოდინს, რომელიც შეიძლება მოხდეს არჩეული გადაწყვეტილებების შედეგად და არ აკეთებენ უფრო საფუძვლიან ანალიზს.

თავის ნაშრომში „იზოლირებული სახელმწიფო“ გ. ფონ ტიუნენი აკავშირებს ცნებებს „რისკი“ და „მოგება“, განიხილავს მოგებას როგორც ნაშთს პროცენტის (ა), სადაზღვევო შენატანის (ბ) და ადმინისტრაციის ხელფასის (გ) გაცემის შემდეგ. ეს ნაშთი შედგება ორი ნაწილისგან: 1) რისკის გარკვეული სახეების საფასური, განსაკუთრებით ეს ეხება ფასების მოულოდნელი ცვლილებებისა და მთელი საწარმოს ჩავარდნის რისკს, რომლიდანაც შეუძლებელია თავის დაზღვევა; 2) წარმოების ორგანიზატორის შრომის მწარმოებლურობის შედეგი, რომელიც განპირობებულია იმით, რომ იგი მუშაობს საკუთარი თავისთვის, ბიზნესის დაგეგმვისათვის მიძღვნილი „უძილო ღამეების“ ხარჯზე.

თუმცა, ეკონომიკური მეცნიერების ადრეული წარმომადგენლები არ განიხილავდნენ „რისკისა“ და „გაურკვევლობის“ ცნებების შინაარსობრივ კავშირს და, მითუმეტეს, არ იზიარებდნენ მას. რისკის არსებობა უშუალოდაა დაკავშირებული გაურკვევლობასთან. გაურკვევლობა რისკის გაჩენის გარემოს წარმოადგენს, ამიტომაც მისმა ზრდამ შეიძლება უფრო მეტი რისკი გამოიწვიოს.

ერთ-ერთი პირველი ეკონომისტი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „რისკისა“ და „გაურკვევლობის“ თეორიაში, იყო, ფ. ჰ. ნაიტი. თავის ნაშრომში „რისკი, გაურკვევლობა, მოგება“, რომელიც გამოქვეყნდა 1921 წელს, იგი წერდა: „ზოგიერთ შემთხვევაში „რისკი“ ნიშნავს გაზომვას დაქვემდებარებულ ერთგვარ რაოდენობას, მაშინ როცა სხვა შემთხვევებში ეს სრულიად სხვა რამეა. თუმცა, ეს ორაზროვნება ყველაზე მნიშვნელოვანია. როგორც ჩანს, გაზომვადი გაურკვევლობა, ანუ საკუთრივ „რისკი“ იმდენად განსხვავდება არაგაზომვადისგან, რომ არსებითად არც წარმოადგენს გაურკვევლობას. სწორედ ასეთი, „ჭეშმარიტი“ გაურკვევლობა და არა რისკი, როგორც

[1] Herbert, R.F. The Entrepreneur. Mainstream Views and Radical Critiques / R.F. Herbert, A.N. Link. – N.Y., Praeger Publishers, 1982.- P.17

ამას ამტკიცებენ, წარმოქმნის მოგების სრულფასოვანი თეორიის საფუძველს და ხსნის განსხვავებას რეალურ და სრულყოფილ კონკურენციას შორის...“.[1]

ამრიგად, ფ.ჰ. ნაიტი რისკს უწოდებს გაურკვევლობას, რომელიც შესაძლებელია რაოდენობრივად გაიზომოს, ხოლო ის, რაც არ ექვემდებარება გაზომვას, არის გაურკვევლობა.

რისკისა და გაურკვევლობის კატეგორიებს შორის პრაქტიკული განსხვავება, ფ. ჰ. ნაიტის სიტყვებით რომ ვთქვათ, იმაში მდგომარეობს, რომ „...როცა საუბარია რისკზე, შემთხვევათა ჯგუფში შედეგების განაწილება ცნობილია აპრიორული გაანგარიშებების ან არსებული გამოცდილებიდან სტატისტიკური მონაცემების წყალობით, მაშინ როცა გაურკვევლობის პირობებში ეს ასე არ არის იმ მიზეზის გამო, რომ სიტუაცია, რომლის განხილვაც ხდება, ძალზე უნიკალურია და არ არის შესაძლებელი შემთხვევათა ჯგუფის ჩამოყალიბება. ყველაზე უკეთ გაურკვევლობის დემონსტრირება შესაძლებელია მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მსჯელობის ან მოსაზრებების ჩამოყალიბებისას; სწორედ ასეთი მოსაზრებები და არა მეცნიერული ცოდნა, მართავს რეალურად ჩვენს მიზანმიმართულ ქცევას. შემდგომ, თუ ცნობილია სხვადასხვა შესაძლო ხარჯების განაწილება შემთხვევათა ჯგუფში, შესაძლებელია ნებისმიერი სახის რეალური გაურკვევლობის თავიდან აცილება შემთხვევათა დაჯგუფების ან „გაერთიანების“ გზით. თუმცა ის, რომ ამის გაკეთება შესაძლებელია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს აუცილებლად მოხდება,... ცალკე აღებული რომელიმე შემთხვევის განხილვისას არ არსებობს განსხვავება გაზომვად რისკსა და არაგა-ზომვად გაურკვევლობას შორის...“.[2]

სამამულო ლიტერატურაში „რისკისა“ და „გაურკვევლობის“ კატეგორიების განხილვისას უნდა აღვნიშნოთ, რომ რისკისადმი, კერძოდ კი, ეკონომიკური რისკისადმი დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანაში წინააღმდეგობრივი და არაერთგვაროვანი იყო.

ჯერ კიდევ 20-იან წლებში იღებენ მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც ნორმატიულად განსაზღვრავენ „ნორმალური წარმოებრივ-სამეურნეო რისკის“ ცნების შინაარსს საწარმოო საქმიანობაში. ხოლო 30-იანი წლების შუახანებში „რისკს“ აღიქვამდნენ როგორც „ბურჟუაზიულ მოვლენას, რომელიც უცხო იყო ახალი სოციალურ-ეკონომიკური წყობისათვის. ნეპის (ახალი ეკონომიკური პოლიტიკის) ლიკვიდაცია, მართვისა და მეურნეობრიობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ჩამოყალიბება, ფულად-სასაქონლო ურთიერთობების „მეორეხარისხოვნობის“ შესახებ შეხედულებების გავრცელება, გეგმისა და ბაზრის დაპირისპირება, ცნობიერი საწყისების აბსოლუტიზაცია და სტიქიური საწყისების უარყოფა სოცი-

[1] ჰაიტი ფ. ხ., რისკი, გაურკვევლობა და მოგება (ინგლ. ენაზე), 2003, გვ. 360.
[2] იქვე.

ალისტური საზოგადოების ფუნქციონირებაში გარდაუვლად უწყობდა ხელს რისკის თანდათანობითი მოსპობის სტერეოტიპის ჩამოყალიბებას მეურ-ნეობრიობის სოციალისტური სისტემის გეგმური ხასიათის განვითარების კვალდაკვალ. შემდგომში იგი გადაიქცა ამგვარ წარმოდგენად: სოციალისტური ეკონომიკა და რისკი - შეუთავსებელი მოვლენებია.

საბაზრო დამოკიდებულებების ჩამოყალიბება და განვითარება ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკურ ლიტერატურაში რისკის თეორიის განვითარების წინაპირობა გახდა.

ხოლო ეკონომიკურ ლექსიკონში ამგვარი განმარტებაა: „რისკი (ეკონომიკაში) - მოგების მიღების ან პირდაპირი დანაკარგების მიღების საფრთხე ობიექტურად განპირობებული განუსაზღვრელი შედეგით. რისკი ნებისმიერი სამეწარმეო გადაწყვეტილების და მოქმედებების განუყოფელი ელემენტია...“[1] ხოლო ენციკლოპედიურ ლექსიკონის მიხედვით, **რისკი** ეს არის დაურწმუნებლობა საკუთარი მოქმედების შედეგში; ანუ დამანგრეველი შედეგების ვერგამოთვლის შესაძლებლობა, რომელიც ინდივიდუალური ნებისაგან დამოუკიდებლად შეიძლება მოხდეს.

რისკის ფესვები სათავეს უძველესი დროიდან იღებს, დროიდან, როცა ჯერ კიდევ საფუძველი ეყრებოდა ვაჭრობას და მევახშეებისა და მათი კლიენტებისათვის რისკს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.[2]

XV საუკუნეში მცხოვრები იტალიელი ბერი, მათემატიკის პროფე-სორი, ვენეციის ბუღალტრული სისტემის პირველი აღმწერი - ლუკა პაჩოლი, მუშაობდა იმ პრობლემებზე, რომელიც მოგვიანებით ალბათობის თეორიას მიაკუთვნეს. ორი საუკუნის შემდეგ კი ფრანგი მათემატიკოსის, ფილოსოფოსისა და გამომგონებლის - ბლეზ პასკალისა და ცნობილი მათემატიკოსის - პიერ დე ფერმას თანამშრომლობამ საფუძველი ჩაუყარა ალბათობის თეორიას, რომელიც უდიდესი მსოფლმხედველობითი და პრაქტიკული ნახტომია მომავლის პროგნოზის რაოდენობრივი შეფასების სფეროში. 1730 წელს ფრანგმა - ანრი დე მუავრმა შეიმუშავა ნორმალური განაწილების სტრუქტურა და რისკის ზომა - სტანდარტული გადახრა. შემდეგში, 1754 წელს, ბაიესის თეორემით, ნათლად გამოჩნდა, თუ რა გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე საჭირო ინფორმაცია.

ამრიგად, თანამედროვე რისკი, საფუძველს 1654 და 1754 წლებში იღებს. მიახლოებით ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ეკონომიკაში რისკის თეორიის განზოგადებას. რისკსა და შემოსავალს შორის დამოკიდებულება გახდა მკვლევართა დაინტერესების სფერო. ცნობილმა ეკონომისტმა - ადამ სმიტმა

[1] Экономический словарь [Текст] /под ред. А.И. Архипова. – М.: ТК Велби ; Проспект, 2005. 624с.

[2] ლაზვიაშვილი ნინო, რისკმენეჯმენტი, თბ., 2010, გვ. 19.

აღნიშნა, რომ მოგება იზრდება რისკის ზრდასთან ერთად, მაგრამ თანდათან სცილდება მას. გერმანელი მეცნიერი, აკადემიკოსი შტორხი, რომელიც მოწვეული იქნა რუსეთში ნიკოლოზ I–ის მიერ და იყო ტახტის მემკვიდრის მასწავლებელი, და რომელიც გახდა რუსეთის აკადემიკოსი, აღნიშნავდა, რომ მუშა ღებულობს გასამრჯელოს და არა მოგებას, ამიტომ ის არ რისკავს. აკადემიკოს შტორხთან ერთად კარლ მარქსიც ღებულობდა მონაწილეობას დისკუსიაში და დაობდა რისკის გაწევის შედეგად მიღებული მოგების მართებულობაზე. ამ სფეროში პირველი თეორიული შეჯამება, XX საუკუნის 20-იან წლებში გააკეთა ფრენკ ნაითმა თავის წიგნში: "რისკი, განუსაზღვრელობა, მოგება", რომელიც ითვლება ეკონომიკური მეცნიერების კლასიკად.

რისკის ცნების რამდენიმე განსაზღვრება არსებობს, მათ შორის არის როგორც მსგავსება, ასევე განსხვავება. მაგრამ ყველა მათგანს ერთმანეთთან აკავშირებს მოვლენის გაურკვევლობა, გეგმის ჩაშლის ალბათობა და შესაძლო დანაკარგები.

რისკის კლასიკური თეორიის ტრადიციების თანახმად, ზოგი მკვლევარი რისკს განმარტავს, როგორც „გეგმურ და ფაქტობრივ შედეგს შორის უარყოფითი გადახრის შესაძლებლობას, ანუ ერთ მოსალოდნელ გადაწყვეტილებაზე არახელსაყრელი დასასრულის საფრთხეს.

ზოგის განმარტებით კი რისკი „დანაკარგების, ზარალის, დაგეგმილი შემოსავლების, მოგების არასრულად მიღების წარმოქმნის ალბათობაა, ხოლო ზოგიერთის განმარტებით რისკში იგულისხმება ფულადი დანაკარგების საფრთხე, რომელიც ამა თუ იმ სამეურნეო ოპერაციებიდან გამომდინარეობს. პ. გ. გრაბოვის აზრით, რისკად მიჩნევა საწარმოს მიერ თავისი რესურსების ნაწილის დაკარგვის, შემოსავლების არასრულად მიღების ან დამატებითი ხარჯების გაჩენის საფრთხე წარმოებრივი და ფინანსური საქმიანობის განხორციელების შედეგად.

XXI საუკუნეში რისკების შეფასებისა და მართვის პრობლემებს უფრო მეტი ყურადღება დაუთმეს.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ სფეროში რისკი მუდმივია, ის ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი. ეს აიხსნება იმით, რომ აღნიშნული კატეგორია არ განიხილებოდა როგორც თეორიული კვლევის ობიექტი, მას განიხილავდნენ როგორც პრაქტიკას.

რისკი ასოცირდება სამეწარმეო საქმიანობაში არახელსაყრელ ეკონომიკურ შედეგებთან, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მოგებისა და რესურსების დანაკარგი.

რისკი ნებისმიერი ეკონომიკის საბაზო თვისებაა და დაკავშირებულია მიზანმიმართულ საქმიანობასთან. შეიძლება იმის მტკიცება, რომ საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი კანონზომიერება მდგომარეობს შემდეგში: რაც მეტია

მოსალოდნელი შემოსავალი, მით მეტია რისკი.

თეორიულ ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში მოცემულია რისკის რამდენიმე კლასიფიკაცია, მათ შორის მთავარია სამი ძირითადი ელემენტი: **გაურკვევლობა, დანაკარგები და არაგულგრილობა.**

წარმოდგენილი განმარტებების ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა გამოგვევლინა სარისკო სიტუაციისთვის დამახასიათებელი ნიშნები:

- რისკი დაკავშირებულია კონკრეტული მიზნის მისაღწევად მიმართული გადაწყვეტილების მიღებასთან;

- რისკის პირობებში შესაძლებელია გამოსავლის **ალბათობისა** და **მოსალოდნელი** შედეგების განსაზღვრა, თუმცა შეუძლებელია საბოლოო შედეგის წინასწარ განსაზღვრა;

- რისკის პირობებში, მოვლენათა განვითარების მინიმუმ ერთ-ერთი ვარიანტი გულისხმობს ზარალის წარმოქმნას, მოგების არასრულ მიღებას ან დასახული მიზნების შეუსრულებლობას;

რისკის თანამედროვე დახასიათებისას, რაც შეიძლება დაკარგოს საწარმომ არახელსაყრელი სარისკო მოვლენის განხორციელების შემთხვევაში არის რესურსი.

ჩვენი შეხედულებით, ზემოთ მოყვანილი განმარტებები უმეტეს შემთხვევებში არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს და არსებობის უფლება აქვს. „რისკის“ ტერმინოლოგიური აპარატის სინთეზი იძლევა შესაძლებლობას გამოვავლინოთ სარისკო სიტუაციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

1) მოვლენის შემთხვევითი ხასიათი;

2) დაკავშირებულია გადაწყვეტილებათა მიღებასთან;

3) შესაძლებელია გამოსავლის ალბათობის განსაზღვრა;

4) არსებობს დანაკარგების ან ზარალის წარმოქმნის ალბათობა;

5) დამატებითი მოგების მიღების შესაძლებლობა.

თუმცა, თუ რისკების მართვის კლასიკური და თანამედროვე თეორია მიმართულია დანაკარგების შესაძლებლობის და დანაკარგების შესაძლო დონის გამოვლენასთან, ნეოკლასიკური და მ.შ. ჯ. კეინზის მიერ შევსებული თეორია რისკს შესაძლებლობადაც განიხილავს. რისკის მატება არ ნიშნავს საწარმოს მდგომარეობის აპრიორის გაუარესებას. მაღალრისკიანი, ინოვაციური წარმოებრივ-სამეურნეო საქმიანობა მოგების დამატებითი ნორმის წყარო ხდება. ამასთან, ჯ. კეინზი აქცენტს აკეთებს რისკის სოციალურ ასპექტზე, ადამიანის როლსა და მნიშვნელობაზე სამრეწველო საწარმოს რისკის მართვის სისტემაში.

ამრიგად, მასობრივ შეგნებაში, ასევე მთელ რიგ სამეცნიერო პუბლიკაციებში შეინიშნება რისკის არსის განმარტებისადმი ორი ძირითადი ურთიერთსაპირისპირო მიდგომა. ერთი მხრივ, რისკი გვევლინება შესაძლო **წარუმატებლობის, საფრთხის, მატერიალური** და სხვა **დანაკარგების** სახით,

რომლებიც, სავარაუდოდ, დგება კონკრეტულ სისტემაში არჩეული გადაწყვეტილების რეალიზაციის შედეგად, მეორე მხრივ, იგი გაიგივებულია სავარაუდო წარმატებასთან, სასურველ გამოსავალთან.

თუ გავაანალიზებთ რისკის პრობლემისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ წყაროებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღემდე მეცნიერ-მკვლევარებს შორის არ არსებობს ერთიანი შეხედულება „რისკის“ კატეგორიის არსთან დაკავშირებით.

სარისკო სიტუაციისათვის დამახასიათებელი ძირითადი მომენტების გამოყოფის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „რისკი“ როგორც ეკონომიკური კატეგორია, განისაზღვრება, ერთი მხრივ, როგორც მომავალი დანაკარგების საფრთხე დამატებითი ხარჯების ან უფრო დაბალი შემოსავლების მიღების სახით, მეორე მხრივ კი - როგორც დაგეგმილთან შედარებით შემოსავლების არასრულად მიღების ან რესურსების დაკარგვის შესაძლო საფრთხე.

ეკონომიკაში გაურკვევლობაში გულისხმობენ გაურკვეველ, ზუსტად უცნობ გარემოებას, უზუსტობას ან არასრულ ინფორმაციას საქმიანობის შედეგების შესახებ, რომლებიც ქმნიან პროგნოზების მნიშვნელოვან ალბათობას ამ საქმიანობის საბოლოო შედეგების ალბათობის მიახლოებულ მაჩვენებლებთან.

რისკი უშუალოდ დაკავშირებულია **გაურკვევლობასთან,** რომელიც არაერთგვაროვანია გამოვლენის ფორმითა და შემადგენლობით. უპირველეს ყოვლისა ეს არის გაურკვეველი გარემო, რომელიც მოიცავს ობიექტურ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პირობებს, რომელთა ჩარჩოებშიც ხორციელდება სამეწარმეო საქმიანობა და რომელთა დინამიკასაც ის იძულებულია შეეწყოს. გაურკვევლობა დამოკიდებულია ცვალებად პიროვნებებზეც, რომელთა საქციელიც შეუძლებელია განისაზღვროს მისაღები სიზუსტით. გაურკვევლობის სუბიექტური და ობიექტური წყაროების იგნორირება კი უპერსპექტივოა. აქედან გამომდინარე, გაურკვევლობის ძირითად მიზეზებსა და შესაბამისად რისკის წყაროებს წარმოადგენს: ბუნებრივი პროცესებისა და მოვლენების სპონტანურობა; სტიქიური უბედურება; შემთხვევითობა; საწინააღმდეგო ტენდენციების არსებობა; საწინააღმდეგო ინტერესების შეჯახება;[1]

ანუ, როგორც უკვე აღინიშნა, გამოყოფენ გაურკვევლობის მიზეზების ფაქტორთა სამ ძირითად ჯგუფს:

პირველი ჯგუფია უცოდინრობა, რომელიც გამოიხატება გარემოს შესახებ ინფომრაციის არარსებობაში ან ნაწილობრივ არსებობაში.

მეორე ჯგუფია შემთხვევითობა, როგორც არსებული ობიექტური დამოკიდებულებებით განპირობებული დაგეგმილი შედეგის მიღწევის ალბათობა.

მესამე ჯგუფია სოციალური და ეკონომიკური სისტემების დაპირისპირება,

[1] ცაავა გიორგი, აბრამია თეონა, ცაავა დავით, რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი, თბ., 200, გვ. 42.

რაც განპირობებულია ადმინისტრაციული, კონკურენტული, კრიმინალური ინტერესებით.

წარმოქმნის ფაქტორების მიხედვით გაურკვევლობა შეიძლება იყოს პოლიტიკური და ეკონომიკური. პოლიტიკური გაურკვევლობები ყალიბდება პოლიტიკური ვითარების დინამიკით, ხოლო ეკონომიკური - მაკრო- და მიკროეკონომიკური ობიექტების გარემოში მიმდინარე ცვლილებებით.

კლიმატური, ბუნებრივი პირობები ქმნიან **ბუნებრივ** გაურკვევლობას.

გარე გარემოს გაურკვევლობა დასაბუთებულია საწარმოს გარემოცვით, ნორმატიული დოკუმენტაციით, პოლიტიკური სისტემით, ეკონომიკური და სოციალური პირობებით.

ეკონომიკური ან სოციალური ჯგუფების ინტერესთა კონფლიქტის არსებობა იწვევს განსაკუთრებული გაურკვევლობის წარმოქმნას.

სხვადასხვა სახის გაურკვევლობის არსებობა ართულებს ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესს.

დასკვნა

ამრიგად, გაურკვევლობის ფაქტორების გავლენის შედეგების მინიმიზაციისათვის მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციისას ყალიბდება „პირველი“ ან „მეორე სახის“ შეცდომის დაშვების რისკი. „პირველი“ სახის შეცდომა მდგომარეობს სამრეწველო საწარმოს საქმიანობის გეგმური მაჩვენებლების მიუღწევლობაში, რაც გამოიხატება გეგმურ დანახარჯებსა და არასრულ შემოსავლებში. „მეორე რიგის“ შეცდომა მდგომარეობს საწარმოს საქმიანობის გეგმური მაჩვენებლების გადაჭარბებაში, რაც გამოიხატება დანახარჯების არაპროპორციულ ზრდაში შემოსავლების ზრდასთან შედარებით. „პირველი რიგის“ შეცდომა ყალიბდება საბაზრო კონიუნქტურის ცვლილების შედეგად, ხოლო „მეორე რიგის“ შეცდომა წარმოადგენს სამრეწველო საწარმოს მართვის სისტემის არაპროფესიონალიზმის შედეგს. უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს გაურკვევლობისა და რისკის ცნებები განუყოფლადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ ჯაჭვში პირველადია გაურკვევლობა, რომელიც აშუალოებს წინასწარ დაუდგენელი სუბიექტის სამეურნეო საქმიანობის განხორციელების ყველა პირობას, ხოლო რისკი გვიჩვენებს ამგვარი მოვლენების დადგომის ალბათობის ადრეული შეფასების შეუძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლაზვიაშვილი ნინო, რისკმენეჯმენტი, თბ., 2010, გვ. 19.
2. ცაავა გიორგი, აბრამია თეონა, ცაავა დავით, რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი, თბ., 200, გვ. 42.
3. ჰაიტი ფ. ხ., რისკი, გაურკვევლობა და მოგება (ინგლ. ენაზე), 2003, გვ. 360.
4. Civil, ენციკლპედიური ლექსიკონი.
5. Herbert, R.F. The Entrepreneur. Mainstream Views and Radical Critiques / R.F. Herbert, A.N. Link. – N.Y., Praeger Publishers, 1982.- P.17
6. Качалов Р.М. Управление хозяйственным риском на предприятиях. М., 2003
7. Экономический словарь [Текст] /под ред. А.И. Архипова. – М.: ТК Велби ; Проспект, 2005. 624с.

Theoretical-conceptual introduction to Risk

Asmat Pipia, Doctor of Business Administration
Georgian Technical University

Izabela Perishvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article – “Theoretical-conceptual introduction to Risk” – contains important topics regarding risks. It also explains the content of the category of “Risk” in connections to its functions, that provide an extensive characterization of risk as an economic category.

Discussed in the article is the literature about the risk theory, where the definition of “risk” is heterogenous and different authors perceive it differently. As for “risk”, as a term itself, has come a long way. Risk, as a category, is mentioned in the works of representatives of political economists, such as A. Smith, D. Ricardo, and J. Mill. G. Von Tuenen connects the notions “risk” and “profit” to each other, while F. H. Knight contributed to the development of the theory of “Risk” and “Uncertainty”. Adam Smith, a famous economist, pointed out, that profit increases as does the risk, but they gradually become separate.

Even though there are several definitions of "risk", they have some similarities and differences, but each of them are connected to each other in uncertainty of an event, probability of disrupting the plan and possible loss.

If we analyze the literature dedicated to the problems of “risk”, we can conclude, that scientists don’t have a unified perception of the essence of the category of “risk”.

Key Words: Risks, uncertainty, profit, analytic, innovative, insurance, loss.

მარკეტინგული სტრატეგია, როგორც სასტუმრო პროდუქტის წინ წევის საშუალება

გვანცა ბერიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რეზიუმე

სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს სასტუმრო საწარმოს ეფექტური მართვის ძირითადი პროექციების კვლევა, პროფესიული მარკეტინგული კვლევის ჩატარება საშუალებას აძლევს სასტუმრო საწარმოს ობიექტურად შეაფასოს თავისი საბაზრო შესაძლებლობები, განსზღვროს საქმიანობის ის მიმართულებები, სადაც მიზნების მიღწევა შესაძლებელია მინიმალური რისკითა და მაქსიმალური ალბათობით. მარკეტინგული კვლევა ფუნქციაა, რომელიც ინფორმაციის მეშვეობით აკავშირებს სასტუმრო საწარმოს მომხმარებლებთან.

საკვანძო სიტყვები: სასტუმრო საწარმო, ფასწარმოქმნა, ეფექტიანობა, მარკეტინგული კვლევა.

შესავალი

თანამედროვე სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პროცესში, რაც ხანგძლივვადიანი მიზნების მიღწევასა და ამოცანების გადაჭრასთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარკეტინგის სამსახურს. მარკეტინგისა და რეკლამის დარგში სტრატეგიული ამოცანების ეფექტიანი გადაჭრის მიზნით, აუცილებელია სასტუმრო ბიზნესის სპეციფიკის, სასტუმრო პროდუქტის თავისებურებების, ძლიერი და სუსტი მხარეების, საბაზრო კონიუნქტურის ობიექტური შეფასება და სწორი გამოყენება

ძირითადი ნაწილი

დღესდღეობით უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარკეტინგული კომუნიკაციების კონცეფციას, ვინაიდან ეფექტიანი მარკეტინგული კომუნიკაციების გამოყენება ხელს უწყობს როგორც მარკეტინგული ქვედანაყოფის, ასევე საწარმოს კორპორაციული მიზნების განხორციელებას. პირველ რიგში ეს გამოიხატება ეკონომიკურ სფეროში - სასტუმრო საწარმოს სახსრების ეკონომიაში, მოგების ზრდაში, შემდეგ კი, სასტუმროს საქმიანობის, მისი ბრენდის, იმიჯის გაძლერებისათვის თანამოქმედებათა კოორდინაციასა და კონსოლიდაციაში.

მარკეტინგული კვლევის ჩატარების მიზნები და ამოცანები:

მარკეტინგული კვლევა ფუნქციაა, რომელიც ინფორმაციის მეშვეობით აკავშირებს სასტუმრო საწარმოს ბაზართან (მომხმარებლებთან).

ნებისმიერი მარკეტინგული კვლევის წინაპირობა მმართველობითი გადა-

წყვეტილების მიღებაა, რაც შეუძლებელია მთავარი რესურსის - ინფორმაციის გარეშე. თავის მხრივ, ინფორმაციის მიღების პროცესი, თუკი იგი ფორმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, უდაოვოდ კვლევასთანაა დაკავშირებული. ინფორმაციის მოპოვების ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდი, რესპოდენტთა გამოკითხვა და დაკვირვება, აგრეთვე ე.წ. პირველადი (Primary data) და მეორადი (Secondary Data) მონაცემების მოპოვებაა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველადი მონაცემების მოპოვება საკმაოდ ძვირადღირებულია (გამოკითხვის ანკეტების შედგენა, გავრცელება, ანალიზი, ინტერვიუების ჩატარება, სატრანსპორტო და ინფორმაციის კოდირების, სპეციალისტების მოწვევისა და სხვა დანახარჯების ანაზღაურება). მიუხედავად ამისა, პირველადი მონაცემები მიზნობრივია და ამიტომ უფრო ზუსტი, ობიექტური და ეფექტიანია.

მეორადი მონაცემების მოპოვება არ არის დაკავშირებული დროისა და ფინანსური სახსრების დიდ დანახარჯებთან, ვინაიდან ისინი შეიძლება სტატისტიკური მონაცემებიდან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული მასალებიდან და სხვა შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოვიპოვოთ.

XXI საუკუნემ მარკეტინგის მენეჯერები მარკეტინგული კომუნიკაციების ახალი რეალობების წინაშე დააყენა. სასტუმრო მომსახურების გაჯერებული საერთაშორისო ბაზრის პირობებში, უკვე აღარ არის საკმარისი მომსახურების ახალი სახეობის დანერგვა, ოპტიმალური ფასის დაწესება და სასტუმრო პროდუქტის განაწილების (გაყიდვების) ხელსაყრელი არხების გამოყენება.

- განვიხილოთ თითოეული მისი შემადგენელი:
- პროდუქტი (Product). იგულისხმება ბრენდი, კომფორტი, ხარისხი, ნაირსახეობა;
- ფასი (Price) - ფასების ასორტიმენტი, ფასდაკლების სისტემა (შეღავათები სხვადასხვა კატეგორიის სტუმრებისათვის), გადახდის პირობები;
- ადგილი (Place) - გაყიდვის არხები, ტერიტორიის დაფარვა, ასორტიმენტი, ადგიმდებარეობა;
- პროდუქტის წინ წაწევა (Promotion) -რეკლამა, პერსონალური გაყიდვები, გაყიდვების სტიმულირება, საზოგადოებრიობასთან ურთიერთობა (დიაგრამა 2).

საგულისხმოა, რომ მარკეტინგული კომპლექსის “4P”-ს შემადგენელი ელემენტებისგან, მხოლოდ ერთი - „ფასი“ უშუალოდ განსაზღვრავს სასტუმროს შემოსავალსა და მოგებას, დანარჩენი სამი კი (პროდუქტის წარმოება, გაყიდვების სტიმულირება, პროდუქტის წინ წაწევა) მნიშვნელოვან დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

დიაგრამა 2. ტრადიციული მარკეტინგული კომპლექსი, 4P სქემა



სასტუმრო მომსახურება იცვლება საწარმოთა სპეციალიზაციის დანიშნულებისა და კატეგორიის მიხედვით. შესაბამისად კონკრეტული მომსახურების ფასიც უნდა ასახავდეს იმ დანახარჯებს, რომლებიც ობიექტურად შეესაბამება მომსახურების პროგრამასა და პირობებს.

განვიხილოთ, თუ როგორია ფასწარმოქმნის სტრატეგია და ტაქტიკა სასტუმრო ბიზნესში.

ფასწარმოქმნის სტრატეგია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა დარგისა და ბაზრის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივა, კონკურენციის პირობები, სასტუმროს (კომპანიის) იმიჯი, კონკრეტული სატუმრო პროდუქტის პოზიციონირება, გაყიდვების მოცულობა და სხვ.

ფასწარმოქმნის ტაქტიკა კი გულისხმობს ფასების დაწესებასა და/ან ცვლილებას ყოველი თვის, დღისა და ზოგჯერ რამდენიმე საათის, კონკრეტული გარემოებების, მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის, ტურისტული მოგზაურობის თარიღის მოახლოების, სეზონურობის მიხედვით.

ტურისტული ცენტრის ან რეგიონისათვის, სეზონად ითვლება წლის ის პერიოდი, როდესაც ჩამოსულ ტურისტთა ყოველთვიური რაოდენობა აჭარბებს წელიწადში მათ საშუალო ყოველთვიურ რიცხვს. მაქსიმალური ტურისტული მოთხოვნის პერიოდს, ე.წ. „ცხელ სეზონს“, ან წითელ, მაღალ სეზონს უწოდებენ. ტურისტთა მინიმალური რაოდენობა კი „მკვდარი სეზონი“, ან ლურჯი, დაბალი სეზონია. ტურისტთა მოთხოვნაზე დამოკიდებული სასტუმროთა ფასი ძალზე მგრძნობიარეა თითოეული ზემოაღნიშნული პერიოდის მიმართ.

ორ სეზონს (უფრო ხშირად ზაფხულსა და ზამთარს) შორის შუალედი, ე.წ. სეზონთაშორისი პერიოდია, რაც იძლევა ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემის - სეზონურობის გამოთანაბრების საშუალებას სამკურნალო, ექსტრემალური, საქმიანი, სამეცნიერო ტურიზმის განვითარების გზით.

მარკეტინგის პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული ფასწარმოქმნის სამი მეთოდი: პირველი - სასტუმროს დანახარჯების მიხედვით; მეორე - მოთხოვნაზე ორიენტირებული და მესამე - კონკურენციის დონის გათვალისწინებით. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ფასწარმოქმნა დანახარჯების მეთოდით გულისხმობს ტურისტული პროდუქტის ფასის განსაზღვრას, როგორც ორი შესაკრების ჯამისა: წარმოების დანახარჯებისა და ინვესტიციიდან სასურველი მოგების მიღებისა.

ფასწარმოქმნისას კონკურენციის დონეზე ორიენტაციის მეთოდით, ითვალისწინებენ კონკურენტების სავარაუდო საპასუხო რეაქციას და ასეთ შემთხვევაში ფასი მერყეობს საშუალო საბაზროს ფარგლებში.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები:

გასული საუკუნის 80-იან წლებში "4P"-ს კონცეფციის საფუძველზე შეიქმნა ახალი თეორია, რომლის მიხედვით მომსახურების მარკეტინგის აღნიშნულ კომპლექსს დაემატა კიდევ სამი „P" და ამრიგად შეიქმნა ე.წ. "7P" კონცეფცია:

1. Process (ყიდვის პროცესი);
2. People (ყიდვა-გაყიდვის პროცესთან დაკავშირებული ადამიანები, მომხმარებლები);
3. Physical Evidence (მომსახურების გაწევის ფიზიკური დადასტურება).

იგულისხმება სასტუმრო მომსახურების შეძენის ფიზიკური გარემო, რაც აყალიბებს სასტუმროს (კომპანიის) იმიჯს, მომხმარებელთა დამოკიდებულებას სასტუმრო პროდუქტის მიმართ.

ამრიგად, ახალმა კონცეფციამ გადაიტანა აქცენტი მწარმოებლიდან მომხმარებელზე.

დასკვნა

შეიძლება დავასკვნათ, რომ სასტუმრო საწარმოს მარკეტინგული კომუნიკაციის ეფექტიანი მართვა მოითხოვს სისტემურ მიდგომას, ოპტიმალურ ღონისძიებათა ინტეგრაციას. ამგვარი მიდგომა საშუალებას აძლევს სასტუმრო საწარმოს სრულად მოიცვას არსებულ და პოტენციურ მომხმარებელთა მთელი სპექტრი, ჩამოაყალიბის საწარმოს იმიჯი და მნიშვნელოვნად გაზარდოს მოთხოვნა სასტუმრო მომსახურებაზე.

ლიტერატურა:

1. Gronroos, C., Service Management and Marketing: A Customer Relationship Management Approach, 2nd Edition. John Wiley & Sons, 2000.
2. Tan K. H., Prosser M. Qualitatively Different Ways of Differentiation of Tourism Services Achievements: A Phenomenographic Study // Assessment and Evaluation in Tourism, 2014. Volume 29. -N3. - P. 267-282.

3. Gronroos, C. A Service Quality Model and its Marketing Implications // European Journal of Marketing. 1984. Vol. 18. -No 4.

Marketing strategy as a hotel possibility to promote the product

Gvantsa Beridze, PhD student

Georgian Technical University

Summary

The main purpose of the article is to research the main proxies of efficient management of the hotel enterprise, conducting professional marketing research to enable the enterprise to objectively evaluate its market opportunities, to undertake activities in which the goals can be achieved with minimal risk and maximum probability. Marketing research is a function that connects with the company's enterprise customers.

Keywords: Hotel enterprise, Price range, Efficiency, Marketing research.

საერთაშორისო ურთიერთობები

INTERNATIONAL RELATIONS

გერმანელი მოგზაურის აუგუსტ ჰაქსტჰაუზენის ცნობები XIX საუკუნის თბილისისა და თბილისელთა ყოფა-ცხოვრების შესახებ

ივანე ოსაძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

აგრარული ურთიერთობების ცნობილი გერმანელი მკვლევარი და ხალხური სიმღერების და ლეგენდების შემკრები აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი 1843 წლის 3 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე იმყოფებოდა საქართველოში. მან იმოგზაურა ქვეყნის სხვადასხვა მხარესა და დასახლებულ პუნქტში, მათ შორის თბილისშიც.

ჰაქსტჰაუზენმა გამოაქვეყნა ორნაწილიანი წიგნი „ამიერკავკასია“, სადაც საქართველოს შესახებ მასალები მოცემულია პირველი წიგნის I-V თავებში, ასევე მეორე წიგნის XII-XIII თავებში და ზოგიერთ დამატებაში. (1).

გერმანელი მკვლევარის ცნობები ძალზე მრავალფეროვანია. ისინი ეხება ცხოვრების ყოველ მხარეს - პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, ტრადიციებს; ახასიათებს მოსახლეობას, მათი საცხოვრებლის ტიპებს, სოციალურ ფენებს, საამქრო წყობას, რუსული სამხედრო ძალის დამკვიდრებას. ჰაქსტჰაუზენი არ კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტების გადმოცემით - გვთავაზობს თავის დასკვნებს, სურვილებს და რეკომენდაციებს. მართალია ზოგიერთი რამ არ არის გასაზიარებელი, მაგრამ ეს არ ამცირებს ნაშრომის ღირებულებას.

საკვანძო სიტყვები: ტფილისი, ქართველები, თათრები, სომხები, რუსები, ვაჭრობა, ამქარი, ევროპა, აზია, ქრისტიანები, მაჰმადიანები.

შესავალი

ორიგინალური და ფრიად საინტერესოა ჰაქსტჰაუზენის კვლევის მეთოდი.

იგი აღნიშნავს, რომ ჯერ მოივლის უცხო ქვეყანას და მხოლოდ შემდეგ ეცნობა ამ ქვეყნის ისტორიას, მის შესახებ არსებულ ცნობებსა და გამოკვლევებს, რათა არ მოექცეს სხვისი აზრების გავლენების ქვეშ და იყოს მიუკერძოებელი. მხოლოდ ამის შემდეგ ავსებს თავის ხელნაწერებს საჭირო შენიშვნებითა და ცნობებით.

ჰაქსტჰაუზენი თავის ნაშრომში ეყრდნობა, როგორც საკუთარი თვალით ნანახს (გეოგრაფიული აღწერილობები - ქალაქები, გზები, ხიდები, ბუნება, მეურნეობის დარგები, საზოგადოებრივი დაწესებულებები, ბაზრები; მოსახლეთა კარმიდამოები და საცხოვრებლის ტიპები; მოსახლეობის წეს-ჩვეულებები, გარეგნობა, ხასიათი, ჩაცმა; სუფრა, ცეკვა - სიმღერა; ცალკეული პირები და სხვა), ისე ცოცხალ წყაროებს, ესენია ქართველი თავადები, რუსი დიდმოხელეები, განათლებული გერმანელი კოლონისტები, განათლებული სომეხი, რუსი ოფიცრები და ებრაელები.

მათ მიერ მოწოდებულ ცნობებსადარებს და აჯერებს თავისი თვალით დანახულთან და ავსებს სხვა მკვლევართა თუ მოგზაურთა ნაშრომებში მოძიებული მასალით. ჰაქსტჰაუზენი იცნობს და შეფასებას აძლევს კოხის, ვაგნერის, დიუბუას, შარდენის, გიულდენშტედტის, კლაპროტის, გამბას, დიუბუას, ბროსეს, სიოგრენის და როზენის ნაშრომებს.

ძირითადი ნაწილი

ჰაქსტჰაუზენი რეალისტურად გვიხატავს საქართველოში რუსული მმართველობისა და რუსთა ყოფნის სურათს. მართალია მოგზაური რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის მიერაა გამოგზავნილი და მისი მაქებარია, მაგრამ არსებულ სინამდვილეს გვერდს ვერ უვლის, იძლევა კრიტიკულ შეფასებას და ვითარების გამოსასწორებლად ზოგჯერ გამოთქვამს თავის აზრებს და შეხედულებებს.

გერმანელი მკვლევარი საკმაოდ კარგად ხედავს რუსული მმართველობის არსს, ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი დაკვირვება, რომ „მმართველობისა და ადმინისტრირების ფორმების ცენტრალიზაცია სავსებით შეესაბამება სახელმწიფოს მაღალ ფენებში ველიკორუსულ ხასიათს... ის, რაც ველიკოროსიისთვის სავსებით მისაღებია სისტემის თვალსაზრისით, მიუღებელია ან სულაც დამღუპველია ბალტიისპირა გერმანული პროვინციების და კავკასიის ქვეყნებისათვის... ყველგან უხეშად ესმოდათ კანონები და ადმინისტრირება, რომლებსაც თვითონ შეჩვეულები იყვნენ... ამასთან მთელი მმართველობა გასამხედროებული იყო, ყოველგვარი საჩივარი გამგებელ გენერალთან მიდიოდა... რუსები ერეოდნენ ადგილობრივი ცხოვრების წესებში და არ იყო გამორიცხული, რომ ეს იწვევდა ზიზღს თითქმის ყველა კავკასიელ ხალხში რუსული მმართველობის მიმართ“ (2, 75-76).

„რუსულ არმიას ამიერკავკასიაში განსხვავებული პოზიცია უკავია,

ვიდრე საკუთრივ რუსეთში; ის მრავალი წელია უცვლელად გარნიზონის მდგომარეობაშია დაპყრობილ ქვეყნებში! მთელი მმართველობა სამხედრო ძალას ემყარება, რის გამოც ქვეყანა ოხრავს, მაგრამ არმია, განსაკუთრებით კი ოფიცრები, ჯიუტად იცავენ მას, რადგან ეს მათ ინტერესებშია“! (2,99).

ასეთი შეფასების მიუხედავად, რუსული ხელისუფლების მსგავსად, ჰაქსტჰაუზენი ხაზს უსვამს რუსეთის კულტურულ-ცივილიზატორულ მისიას: „ამ მხარის დაკავებით, დამორჩილებით და კულტივირებით მთელი წინა აზიისათვის შესრულდება კულტურული და სამომავლო მისია“! ამ მისიის შესრულების ერთ-ერთ მაგალითად მას ტფილისის შენება მოჰყავს: „იმ მხარიდან, საიდანაც ტფილისში შედიხარ, მას მთლად ევროპული იერი აქვს. ქალაქის ეს ნაწილი რუსების მიერაა აგებული; სწორი ქუჩები, თანამედროვე სახლების მწკრივები, ელეგანტური მაღაზიები, აფთიაქები, კაფეები, საჯარო დაწესებულებები, გუბერნატორის სასახლე... ქუჩებში მრავალფეროვანი სამხედრო ფორმები, ფრანგული კოსტიუმები, ფრაკები და ა.შ. ყოველივე ამას ევროპაში გავყავართ“ (2, 58).

სერიოზულ ყურადღებას უთმობს ჰაქსტჰაუზენი ვაჭრობის განვითარების საკითხებს, აღნიშნავს ამ მხრივ ტფილისის მნიშვნელობას და მისი როლის გაზრდის შესაძლებლობას. იგი თავის მოსაზრებას და რეკომენდაციას სთვაზობს რუსულ მთავრობას. „რუსული მფლობელობის პირობებში ტფილისი წარმოუდგენლად გაიზარდა და გავნითარდა და კიდევ უფრო მოიმატებდა, რომ არ შეზღუდულიყო თავისუფალი ვაჭრობა და არ შემოეღოთ რუსული ბაჟი ევროპიდან შიდა აზიაში ვაჭრობაზე, რის გამოც საქონელი ტრაპიზონის გავლით მიემართება თავრიზისკენ მაშინ, როცა ბუნებრივი გზა ტფილისზე გადის“ (2, 62).

როგორც ჰაქსტჰაუზენი ამბობს, ის ბევრჯერ იყო ტფილისის ბაზარში და აღნიშნავს, რომ „აღმოსავლური ბაზარი არაჩვეულებრივად საინტერესოა. კვირა დღეს ქრისტიანები არ ვაჭრობენ, მხოლოდ თათრები. გარდა სხვადასხვა სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო საქონლით, ხელოსნური ნაწარმით და ღვინით ვაჭრობისა, ბაზარმა მისი ყურადღება იმითაც მიიქცია, რომ აქ მან იხილა და მოუსმინა მომღერალს დამკვრელთან ერთად, რომლებიც სიყვარულს და წარსულ გმირებს უმღეროდნენ,... ასევე ზღაპრებისა და ლეგენდების მთქმელს, რომელთაც ბევრი მსმენელი შემორტყმოდა გარს“. (2, 96). აქედან ჩანს, რომ იმდროინდელი ბაზარი იყო არა მარტო სავაჭრო, არამედ საზოგადოებრივი თავშეყრის და დროის გასატარებელი ადგილი.

ფრიად საყურადღებოა გერმანელი მკვლევრის ცნობები საამქრო წყობისა და ცხოვრების შესახებ. გარდა პირადი დაკვირვებისა მას ამ სფეროს შესწავლის საქმეში ჰყავდა მცოდნე გერმანელი კონსულტატები ზალცმანისა და ნოის სახით. ყველა ხელობის წარმომადგენელი ქმნის საკუთარ ამქარს, ქართველი,

რუსი და სომეხი ხელოსნები ამქრებად ერთადაც ცხოვრობენ, თათრები ცალკე. ჰაქსტჰაუზენი საუბრობს ამქრის შემადგენლობაზე - ოსტატებზე, ქვეოსტატებზე, შეგირდებზე - მათ უფლებებზე, არჩევნებზე, გადასახადებზე, სალაროზე, ამქრის სასამართლოზე; თუ საქმე ეხება კრიმინალს ის გადაეცემა პოლიციას, კრიმინალურ სასამართლოს ან ქალაქის თავს. (2, 122-125). ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა ამქრის წევრის დასაფლავების წესი: „დასაფლავებისას ამქრის ყოველი ოსტატი უნდა გავიდეს. ქართველებთან და სომხებთან ქალები, ჩვეულებრივ არ მიჰყვებიან მიცვალებულს. მიცვალებულის წაღება პატივად ითვლება. ჭირისუფალი უსტაბაშს აძლევს ფულს ოსტატის შესანდობრის დასალევად. ქელეხი არაა მიღებული, მაგრამ რვა დღის მანძილზე ღატაკებს აჭმევენ. ოფიციალური მსვლელობისას, მაგალითად, ქალაქისთავის დაკრძალვისას, თითოეული ამქარი ცალკე მიდის; დროშები და ემბლემები იშვიათად აქვთ ამქრებს (2, 126).

გერმანელი მოგზაური არა მარტო აღწერს თბილისის ხედებს და აქ მომუშავე სხვადასხვა ხელობისა და ეროვნების ადამიანებს, არამედ ახასიათებს მათ რაიმე განმასხვავებელი ნიშან-თვისებით: „... ამ ევროპული ქალაქის ბოლოს იწყება ნამდვილი აზიური ნაწილი ბაზრებით, ქარვასლებით, გრძელი ქუჩებით, სადაც ღია დუქნებში მისდევენ ყოველგვარ ხელობას... აქეთ თათრები თავიანთ სამოსში, რომლიდანაც უეჭველია და წარმოდგება პოლონური; იქით გამხდარი, მზით გარუჯული სპარსელები განიერი ჩამოშვებული (ფრიალა) სამოსით (კაბებით); ქურთები თამამი სახეებით; ცხენით მოვაჭრე ლეკები და ჩერქეზები; და ბოლოს, ქალები - მშვენიერი ქართველები, გრძლად ჩამოშვებული მანდილებით და მაღალქუსლიანი ტუფლებით! და ყველა ეს ადამიანი, თითოეული თავისებური სილამაზით, როგორიც არცერთ ქვეყანაში და ხალხში არ გვხვდება მსგავსი სიჭარბით და მრავალფეროვნებით!... არსად გვხვდება ევროპისა და აზიის კონტრასტები და თანხვდევნა ისე ახლოს ერთმანეთთან, როგორც ტფილისში! (2, 59).

ჰაქსტჰაუზენი ადგილობრივ მოსახლეობას ჩამოთვლის ეროვნებათა მიხედვით (ქართველები, სომხები, თათრები, გერმანელები, რუსები, ებრაელები), ხაზს უსვამს ამ ეროვნებათა განსხვავებულ საქმიანობას (ქართველები - მიწათმოქმედნი, მებაღეები; თათრები - ხელოსნები, მჭედლები; სომხები თითქმის ყველა ვაჭარია, გერმანელები - ხელოსნები, მხატვრები, ვაჭრები). მკვლევარის ყურადრებას იპყრობს თბილისში არსებული ეროვნული მრავალფეროვნება; „ცოტაა ისეთი ქალაქი, რომელშიც ამდენი სხვადასხვა ეროვნების ხალხი იყრიდეს თავს: რუსები, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, სპარსელები, თურქები, თათრები, სომხები, ქურთები, უზბეკები და კავკასიის ყველა ხალხი“ (2, 93).

გერმანელი მოგზაური იძლევა თბილისში მცხოვრები ქართველების,

თათრების და სომხების დახასიათებას. იგი წერს: „ქართველებს აქვთ პატიოსნის სახელი, მხოლოდ ერთი გამონაკლისით - უბრალო ქართველი სიამოვნებით იპარავს თაფლს და ფუტკარს“ (2, 95). ჰაქსტჰაუზენი იმეორებს ადრინდელი მოგზაურის შევალიე გამბას ნათქვამს ქართველების გარეგნობისა და ხასიათის შესახებ: „ქართველი ტანმაღალია და ძლიერი; შავი ლამაზი თვალის ჭრილით,... დაბადებით მეომარი, უმამაცესი ჯარისკაცი და მხედარი, ... გულადი, ხშირად უხეში, სტუმართმოყვარე, მაგრამ მცირედ მოლაპარაკე (სიტყვაძუნწი), ... ხალხი მიწათმოქმედია და ეწევა ხელოსნობას. ეჯავრება ვაჭრობა და ყოველგვარი ანგარიშიანობა (სპეკულაცია). - ქართველ ქალთა სილამაზე საქვეყნოდაა“ (2, 95).

თათრების შესახებ აღნიშნავს, რომ „სიამოვნებით ქურდობენ - განსაკუთრებით საქონელს იპარავენ, ყველაზე მეტად კი ცხენს! - ისინი უწყვეტად არ შრომობენ, მიწათმოქმედებას იმდენად მისდევენ, რასაც მათი საჭიროება მოითხოვს; ეწევიან მესაქონლეობას და მომთაბარულ ცხოვრებას; თუ არ ჰყავთ საკუთარი ფარები, ქირით მწყემსობენ; უფრო მეტად მეეტლეობას ეტანებიან! საკვების მხრივ, მცირით კმაყოფილდებიან, ოღონდ ცხენის ხორცი არ უნდა დაანახოთ“ (2,.95).

გერმანელი მკვლევარი მკვეთრად უარყოფითად წარმოგვიდგენს სომეხთა ბუნებას, „მე შევედი ერთ სომხურ დუქანში ზოგი წვრილმანის საყიდლად. ეშმაკმა სომეხმა ძალზე მოხერხებულად და სწრაფად გამაცურა და მომატყუა. სომხები, ჩვეულებრივ მატყუარები არიან“. (2.95). ჰაქსტჰაუზენი ხაზს უსვამს სომეხთა ფიც უმტკიცობისაკენ მიდრეკილებას; „სომხები უსასრულოდ უდარდელები (უგუნურები) და უღმერთოები არიან ფიცის მიცემისას. ხშირად ამ მიზნით თორმეტ მათგანს, რომლებმაც არაფერი იციან საქმის შესახებ, მოიყვანენ და დააფიცებენ, რომ მიწა ეკუთვნის ამას და ამას, რასაც შემდეგ კიდეც მიაკუთვნებენ“. (2.87).

გერმანელი მოგზაური გვაწვდის ცნობას ქალაქის მოსახლეობის რელიგიური სიჭრელის შესახებ;... „ყველანაირი სარწმუნოება გვხვდება: რომაული, ბერძნული, სომხური ეკლესიის ქრისტიანები, ყველა ჯურის პროტესტანტი, სუნიტი და შიიტი მაჰმადიანები, ებრაელთა სხვადასხვა სექტები და თვით წარმართულებიც.“ (2.93).

ჩვენი აზრით, ეს ცნობა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ იმდროინდელი თბილისი რჯულშემწყნარებლობისა და რელიგიური ტოლერანტობის სანიმუშო მაგალითი ყოფილა.

ჰაქსტჰაუზენი ყურადღებას ამახვილებს სწავლა-განათლებაზე. მან იცის, რომ იყო დრო, როდესაც საქართველო ხელოვნების, მეცნიერების და განათლების დონით არ ჩამორჩებოდა შუა საუკუნეების ევროპას. მკვლევარი თვლის, რომ რუსებმა განათლების ახალი იმპულსი შემოიტანეს. ის ამბობს, რომ „ტფილისში უკვე არსებობს დიდი აღმზრდელობითი დაწესებულება, სადაც

ქართველი ქალიშვილები ფრანგულად ლაპარაკობენ და ბალზაკის რომანებს კითხულობენ“ (2,96).

ჰაქსტჰაუზენი მოუწოდებს მთავრობას, დაარსოს და აღადგინოს სასულიერო სკოლები, ხოლო საერო მეცნიერებების დასაუფლებლად ადგილობრივი ახალგაზრდობა გაიგზავნოს გერმანიის გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში.

დასკვნა

გერმანელი მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი ეხება ცხოვრების ყოველ მხარეს - პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, ტრადიციებს. ყურადსაღებია თბილისის მოსახლეობის დახასიათება ეროვნული და რელიგიური კუთვნილების მიხედვით. მისეული აღწერიდან ცხადი ხდება, რომ იმდროინდელი ქალაქის ბაზარი იყო არა მარტო სავაჭრო, არამედ საზოგადოებრივი თავშეყრისა და დროის გასატარებელი ადგილი. ღირებულია მისი ცნობები ადგილობრივი საამქრო წყობისა და ცხოვრების შესახებ. სერიოზულია მკვლევარის მსჯელობა ვაჭრობის სფეროში თბილისის როლის გაზრდის თაობაზე. ჰაქსტჰაუზენი ეყრდნობა, როგორც საკუთარი თვალით ნანახს, ისე ცოცხალ წყაროებს და სხვა მკვლევართა თუ მოგზაურთა ცნობებს, რაც მეტად ზრდის მისი ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარტინა სტოიანოვ-ოდოი „რუსეთის დიდი მთავრინა ელენე და ბარონი აუგუსტ ფონ ჰაქსტჰაუზენი (ორი კონსერვატორი რეფორმატორი რუსეთის გლეხთა განთავისუფლების პერიოდში“), ვისბადენი 1991 წ. (გერმანულ ენაზე).
2. აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა; თბილისი, 2011წ.

German Traveler August Haskathausen Report on Life and Life of the XIX Century Tbilisi and Tbilisi

Ivane Osadze, professor
Georgian Technical University

Summary

German Traveler August Haskathausen's work "Transcaucasus" contains interesting materials about the life and residence of Tbilisi and Tbilisi residents of the XIX century. The German researcher is very diverse. They refer to every aspect of life - political, economic, social, and traditions; It is characterized by the population, their type of housing, social layers, workshops, and the establishment of Russian military force. The Haskathausen does not contribute only to the facts - suggests its conclusions, wishes and recommendations. While some things are not shared, it does not reduce the cost of the work.

Keywords: Tiflis, Georgians, Tatars, Armenians, Russians, Trade, Emir, Europe, Asia, Christians, Muslims.

მეხუთე კოლონა როგორც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი მიმართულება (რუსეთის სპეცსამსახურების მაგალითზე)

ალექსანდრე გეგეჭკორი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჰიბრიდული ომის დანიშნულებაა, სხვადასხვა საშუალებით მოწინააღმდეგეს მიაყენოს მაქსიმალური ზიანი, საჭიროებისამებრ დაასუსტოს მოწინააღმდეგე და სპეცსამსახურების საშუალებით მოახდინოს სახელმწიფოს ფარული მართვა. მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მთლიანად ან ნაწილის ანექსია რა დროსაც მოწინააღმდეგის მხრიდან არ იქნება გაწეული მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა. მაგალითისთვის საკმარისია მოვიყვანოთ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია, რაც კლასიკური ნიმუშია ჰიბრიდული ომის საბრძოლო მოქმედების გარეშე. ასევე რუსეთ-საქართველოს 1990 წლიდან დღემდე მიმდინარე ჰიბრიდული ომი პერმანენტული საბრძოლო მოქმედებებით.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული ომი, ანექსია, საბრძოლო მოქმედებები, „მეხუთე კოლონა“.

შესავალი

მსოფლიოში განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს, რომ საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინასწარ განსაზღვრა უკვე შესაძლებელია, რადგან „ჰიბრიდული ომის“ წარმოება და მის მიერ მოწინააღმდგეგეზე მიყენებული ზარალი, უფრო მძიმე და მნიშვნელოვანია ვიდრე მოწინააღმდეგეზე უეცარი და მოულოდნელი თავდასხმით მიღებული შედეგი.

ჰიბრიდული ომის თეორიულ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსმა სამხედრო თეორიტიკოსებმა, მათ შორის, აღსანიშნავია რუსეთის გენშტაბის უფროსის, ვალერი გერასიმოვის 2013 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ახალი თაობის ომის წარმოების მეთოდები“ რომელშიც განხილულია „არაბული გაზაფხულის“ მოვლენები და აღნიშნულზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნა, რომ „ახალი თაობის ომში“ სამხედრო ძალა გამოყენებული იქნება ფარულად, ოფიციალური დეკლარირების გარეშე, აქედან გამომდინარე, დღისათვის დამკვიდრდა ტერმინი „გერასიმოვის დოქტრინა.“ ვ. გერასიმოვმა განაცხადა, რომ რუსეთს აქვს საშუალება კომბინირებული „პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციული ტექნოლოგიური და ეკოლოგიური ზემოქმედების შედეგად დაამარცხოს მოწინააღმდეგე. მომავლის ომები არა ბრძოლის ველზე იწარმოება არამედ ადამიანების „თავებში“ [1. 2].

ძირითადი ნაწილი

ვალერი ვასილის ძე გერასიმოვი ფაქტობრივად, არის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი, რუსეთის ფედერაქციის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, არმიის გენერალი. „21-ე საუკუნეში აღინიშნება ტენდენცია რა დროსაც იშლება საზღვარი ომსა და მშვიდობას შორის. ომი ოფიციალურად აღარ ცხადდება, ხოლო დაწყების შემდგომ აღარ მიმდინარეობს ჩვეულებრივი შაბლონური მეთოდებით“ [2] განაცხადა მან. ვ. გერასიმოვმა ასევე, გამოაქვეყნა ნაშრომი „რუსული ომის“ ახალი დოქტრინა.

სიახლეს არ წარმოადგენს, რომ ე.წ. „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლები ხშირად აზიანებენ საკუთარ ქვეყანას ფსევდო იდელაების სახელით, რაშიც მათ დახმარებას მტრულად განწყობილი ქვეყნის სპეცსამსახურები უწევენ და აიარაღებენ, სწორედ ისინი განსაზღვრავენ განსაკუთრებულად სუსტ წერტილს სამიზნე ქვეყნისთვის, ამ მხრივ განსაკუთებული ყურადღება ეთმობა ქვეყნის ენერგომომარაგებასა და ენერგოწყაროების დაზიანებასა და მწყობრიდან გამოყვანას.

ხელის ყუმბარმტყორცნის სროლა მხოლოდ ჯავშან ლიმუზინისთვის როდი შეიძლება. გარემოს დამცველს, ის შუძლია პროტესტის ნიშნად, მომწამვლელი ნივთიერებით სავსე ცისტერნას ან ატომურ რეაქტორს ესროლოს. მშვიდობის დამცველს კი შეუძლია ამერიკული საბრძოლო ქობინების ბადრაგს ჩაუსაფრდეს და მისკენ გაუშვას“ [3. 284].

ატომური აფეთქება არ გამოვა მაგრამ მედიასაშუალებების მოსალოდნელმა რეაქციამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ამა თუ იმ პროცეზებსა და სახლელმწიფოთა ინტერესებზე.

რუსული სპეცსამსახურების დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფები საქართველოს წინააღმდეგ მუშაობენ არა მარტო საკუთარი ტერიტორიებიდან, არამედ სეპარატისტული აფხაზეთის და სამაჩაბლოს ასევე სომხეთის ტერიტორიიდანაც. სომხეთი წარმოადგენს ფაქტობრივად რუსეთის სატელიტს და სპეცამსახურების თვალსაზრისით, რუსეთის დანამატს.

საქართველო-სომხეთის საზღვარი არის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ, ქართული მხარის უყურადღებობის, დილეტანტიზმის თუ სხვა ფაქტორების გამო, სასაზღვრო ზოლი ორივე მხარეს ფაქტობრივად სომხეთის მიერ კონტროლდება. სომეხი მოსახლეობა ყოველდღიურად კვეთს საქართველოს საზღვარს, უკანონოდ სახლდება საქართველოს ტერიტორიაზე გაყავთ გზები სომხეთთან დასაკავშირებლად. საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს უკანონო მშენებლობები. განსაკუთრებით თვალშისაცემია ასეთი ნაგებობები შემაღლებულ ადგილებში – აშენებული ბეტონის დიდი მასიური ბლოკებით, რაც უფრო ბლოკჰაუზებს გავს ვიდრე საცხოვრებელ სახლებს. „სახლები“ შემოღობილია ასევე ბეტონის ფილებით და საბრძოლო მოქმედებების დაწყების

შემთხვევაში წარმოადგენენ ბრწყინვალედ მოწყობილ გამაგრებულ ობიექტებს. სამხედრო საქმეში ჩახედული თვალი ადვილად შეამჩნევს ამ „სახლებში“ საბრძოლო მოქმედებებისთვის განკუთვლილ კომუნიკაციას. აღნიშნული „ნაგებობების“ მფლობელთა ვინაობა როგორც წესი გაურკვეველია, სახლები და ეზოები დაკეტილია. საეჭვოა ისიც, რომ ქართველ მესაზღვრეებს ფაქტობრივად არ აქვთ უფლება ხელი შეუშალონ სომეხი ეროვნების, სასომხეთის მოქალაქეებს ააშენონ საქართველოს ტერიტორიაზე ნაგებობები, შექმნან დასახლებები და სოფლები, დამატებით გაიყვანონ სომხეთის რესპუბლიკასთან საკომუნიკაციო გზები. თანდათანობით მიმდინარეობს ქართული მიწების მიტაცებისა საზღვრის გადმოწევის პროცესი.

მსგავსი ბაზების არსებობა ხელს უწყობს განხორციელდეს დივერსიულ-ტერორისტული აქტები, ეს „ბაზები“ კი გამოიყენონ შეკრებებისათვის, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, სურსათის, გატაცებული მძევლის ევაკუაციისთვის, აგენტურული შეხვედრებისთვის, „ტურისტული მოგზაურობისთვის“, რა დროსაც შეისწავლება, სამომავალოდ, საბრძოლო დავალებების ადგილმდებარეობა, საჭირო გადაადგილების მარშუტები და განისაზღვრება გადაადგილების საშუალებები. როგორც ვხედავთ, სპეცრაზმის აგენტების მთავარი ამოცანაა, მოამზადონ უსაფრთხო თავშესაფარი ადრევე, მანამ სანამ მებრძოლები იქ გამოჩნდებიან. მაგალითად გ.რ.უ-ს ფულით აგენტი აშენებს ან ყიდულობს სახლს დასახლების განაპირა ადგილზე, მათთვის უფრო სასურველია ტყესთან, ხევთან ან მდინარესთან ახლოს. სახლს უნდა ჰქონდეს, მყარი სარდაფი და ავტოფარეხი, სადაც შეინახება საწვავი და სურსათი. როგორც წესი მსგავსი „სახლის“ სიახლოვეს დგას ძველი მაგრამ ტექნიკურად გამართული სამხედრო ან სამოქალაქო ავტომობილი. აგენტს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მიიღოს „ღამის სტუმრები.“ გაშიფვრის საფრთხის შემთხვევაში კი შეუძლია განაცხადოს მასზე მოხდა თავდასხმა, იმყოფებოდა მძევლად და ა.შ. მაგალითები ბევრი შეიძლება იყოს, რადგან ბაზა მზადდება არსებული საჭიროებების მიხედვით.

ასეთი სახის თავშესაფრები თუ გამოქვაბულები, შახტები, მიტოვებული შენობები, საქალაქო კანალიზაციის მაგისტრალი, სასაფლაოები, ძველი გემები, ფურგონები, კონტეინერები, მიტოვებული თუ დაქირავებული სახლები და ა.შ. გამოიყენება საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე, მათში შეიძლება თავშესაფარი ნახოს სპეცრაზმელმა, დივერსანტმა. სპეცრაზმის აგენტი ასევე გამოიყენება, როგორც მოთვალთვალე, დარაჯი, საფრთხის შემტყობინებელი, მან უნდა იმოქმედოს როგორც მთარგმნელმა, ტაქსის მძღოლმა, ინფორმაციის შემგროვებელმა, პოლიციასთან ან გარშემო მყოფებთან ნდობის მომპოვებელმა. ზოგიერთი აგენტი შეიძლება გადაბირებული იყოს შემდგომი დივერსიების მოწყობის მიზნით ან მის მომზადებაში – დამხმარედ.

საყურადღებოა, რომ ასეთ აგენტებზე საქართველოს სპეცსამსახურების მიერ პრობლემის შექმნის შემთხვევაში ისინი ადვილად პოულო-

ბენ „უფლებადამცველებს“ „პრესის თანამშრომლებს,“ რომლებიც სახალ-ხოთ აშუქებენ და ატყობინებენ მსოფლიოს საქართველოს სპეცსამსახურების მიერ, მათი ეთნიკური ნიშნით დევნის შესახებ. აგენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემთხვევაში, „უფლებადამცველები“ კატეგორიულად მოითხოვენ მათ თავდებში გაშვებას და საქმეს განიხილავენ, როგორც უსაფუძვლო პროვოკაციას, ანუ დემოკრატიის დაცვის სახელით ასრულებენ „აგენტის მფარველის როლს“.

გ.რ.უ-ს „სპეცრაზმის აგენტურულ ქსელს ბევრი აქვს საერთო საერთა-შორისო ტერორიზმთან, თვითონ გ.რ.უ-ში არის ორი დამოუკიდებელი და ძალიან ძლიერი დანაყოფი, რომელიც დაკავებულია ექსტრემისტებით და ტე-რორისტებით, ეს არის გრუ-ს 3-ე სამმართველო, ის სწავლობს ტერორისტულ ორგანიზაციებს და მათში შეღწევის საშუალებებს. ხოლო 5-ე სამმმართველო, დაკავშირებულია დაზვერვასთან და სპეცრაზმთან“ [4. 24].

გრუ-ს ურთიერთობა დივერსანტებათან და საბოტაჟის მომწყობ აგეტებთან მარტივია. არასდროს აძლებენ მათ დავალების შესრულებას, რადგან ვინ, თუ არა აგენტებმა უკეთესად იციან, როგორ უნდა დაანგრიონ თავიანთი ქვეყნის სიძლიერე, ასეთ სიტუაციაში მათ ექმნებათ ილუზია, რომ არიან დამოუკიდებ-ლები, მათ შეიძლება მხოლოდ უკანახონ მიმართულება თუ რა მიმართულებით არის საურველი განახორციელონ ქვეყნისთვის ძირგამომთხრელი ქმედებები. მოსკოვი არჩევს ასეთ ხალხს, ხელს უწყობს და აფინანსებს მათ. აგენტურის არ-ჩევისას უპირატესობა ენიჭება გარკვეული პრობლემების მქონე პიროვნებებს, რომლებსაც გ.რ.უ-ს დახმარების გარეშე პოლიტიკური სარბილეზე გამოჩენის არავითარი პერსპექტივა არ აქვთ.

რუსეთის სპეცსამსახურები მოწინააღმდეგის მიმართ ფართოდ იყენებს იდეოლოგიურ დივერსიასაც, რითაც ამართლებს მის აგრესიულ ქმედებას.

იდეოლოგიური დივერსია თავს მოხვეულია და მიმართულია ქვეყ-ნის ერთიანობის წინაარმდეგ, თავს ესხმის ყოველდღიურ ცხოვრების წესს-იდეოლოგიას, მორალს, პოლიტიკას, ეკონომიკას, სამართალს, მეცნიერებას, და ეს ყველაფერი ემსახურება მოწინააღმდეგის პოლიტიკურ მიზანს. დაასუსტოს და შემდგომ დაიმორჩილოს ქვეყანა, ან მოქმედი სახელმწიფო ინსტიტუტები, ამიტომ იდეოლოგიური დივერსიის გატარებისას ინიღბება ნამდვილი მიზანი.

„იდეოლოგიური დივერსია არის მართალსაწინააღმდეგო ჩარევა სხვა სახელმწიფოს საქმიანობაში“ [5].

იდეოლოგიური დივერსია ეყრდნობა სიცრუეს, ფაქტების დამახინჯებას და მათ აღრევას, რაც მიიღწევა მიზანი ქვეყნის შიგნით გატარებული ძირგამომ-თხრელი სამუშაოს მეშვეობით. იდეოლოგიური დივერსიის გატარებისას, გამოიყენება ქვეყანაში არსებული პრობლემური საკითხები, რასაც ერთი შეხედვით პოლიტიკასთან არ აქვს კავშირი. დარტყმის ძირითადი სფეროა: ზნეობის სფერო, კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები, დამკვიდრებუ-

ლი ჩვევები, ამ დროს შეტევა ხორციელდება არა „პირდაპირ“, არამედ „გვერდიდან“, ირიბად. შედეგად ზეწოლა ხორციელდება ყოველდღიურ ცხოვრების წესზე, შეხედულებებზე, რის შემდგომ არსებული ჩვევები გამოცხადდება მტრულ გამოვლინებად და ქვეყნისთვის საწინაარმდეგო, ან უბრალოდ უკანონო ქმედებად. ქვეყნის პატრიოტიზმი ცხადდება ღალატად და ქვეყნის ღალატი თანამედროვეობის მიღწევად. ასეთი იდეოლოგიური ტერორით დათრგუნული მოსახლეობა, ხდება უკმაყოფილო არსებული წყობილებისა, უჩნდება უნდობლობის, დაუცველობის და უსამართლობის გრძნობა, რის შემდგომ ადვილად ხდება იდეოლოგიური დივერსიის მსხვერპლი. საქართველოს რეალობაში გაჩენილია ტერმინები „ბნელი გრუზინი,“ „წარსულის გადმონაშთი“, სწორედ იდეოლოგიური ზემოქმედების შედეგად მყარდება აზრი: „რუსეთთან ომს აზრი არ აქვს და ამიტომ, არმიის ყოლა საჭირო არ არის,“ „თავისუფლების“ სახელით მოხდა მარიხუანის ლეგალიზაცია და ა.შ.

იდეოლოგიური დივერსიის საბოლოო ამოცანაა: „არსებული სახელმწიფო წყობილების ლიკვიდაცია ან მათი იმდენად დასუსტება, რომ შეიარაღებული აგრესიისას ვერ გაუწიონ სათანადო წინააღმდეგობა“ [5].

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, რუსეთის სპეცსამსახურებმა, იდეოლოგიური დივერისიის კუთხით, მუშაობა გააძლიერეს ყოფილი პოსტსაბჭოური ქვეყნების წინააღმდეგ და დემოკრატიის განვითარების აუცილებლობის მოწოდებით, შექმნეს ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, რომელთა მუშაობისას წარმატებულად გამოიყენება შენიღბვის პრაქტიკა. რუსული სპეცსამსახურების არსებული პრაქტიკას თუ დავაკვირდებით, შესამჩნევია, რომ ანტისახელმწიფოებრივად და იდეოლოგიური დივერსიის გამტარებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს, უნდა ქონდეთ ზუსტად იმის საპირისპირო დასახელება რასაც ისინი რეალურად საქმიანობენ. მაგალითად: ქალთა უფლების დაცვის სახელით, შეიძლება საკანაონმდებლო ცვლილების მოთხოვნა, რა დროსაც დარღვეული უნდა იყოს მამაკაცის უფლებები იმდენად, რომ ეს იწვევდეს აშკარა უკმაყოფილებას ქვეყანაში და საკანონმდებლო ქაოსს.

„იდეოლოგიური დივერსია ასევე ხორცილედება პოლიტიკის, ფილოსოფიის, სამართლებრივ ზნეობრივ, ესთეტიკურ, რელიგიურ და სხვა იდეურ სფეროში იქ სადაც ხდება იდეათა ჭიდილი“ [7].

როგორც ვხედავთ, იდეოლოგიური ომის წარმოება რუსეთის სპეცსამსახურებში ყოველთვის მაღალ დონეზე და განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო.

დივერსიის ცალკეული ფორმაა: „საბოტაჟი“, (ფრანგ: Fr. sabotage) და გულისხმობს რაიმე საქმის წინასწარ განზრახვით ჩაფუშვას მასში მონაწილეობისაგან თავის არიდებით ან მისი არაკეთილსინდისიერი შესრულებით.

საბოტაჟი, ასევე იწოდება დივერსიად, რა დროსაც ხდება სამხედ-

რო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების დანგრევა, მოშლა მოწინააღმდეგის ზურგში; ასეთი აქტის ჩადენა ხორციელდება, რომელიმე ქვეყანაში უცხო ქვეყანაში, იმავე სახელმწიფოს მოქალაქეებისაგან შექმნილი აგენტების მიერ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ. საბოტაჟის მოწყობით ქვეყანაში, ხდება სახელმწიფო წყობის მოშლა და პოლიტიკური ძალის დასუსტება, რაც იწვევს არსებული წეს-წყობილების უსუსურ მდგომარეობამდე მიყვანას, რის შემდგომაც მისი შეცვლა ან გადაგდება ადვილი ხდება. რუსეთის სპეცსამსახურებისთვის მახასიათებელია ისეთი საბოტაჟური ძალის შექმნა, რომელიც ურყევად შეასრულებს მის დავალებას. რუსეთის სპეცსამსახურების ხელწერა ხშირად მსგავსია.

საქართველოსა თუ ბალტიისპირეთის ქვეყნებში განსაკუთრებულად აქტიურობენ „ადამიანის უფლებათა დამცველი“ ორგანიზაციები. ასეთი ორ-განიზაციების განსაკუთრებული გააქტიურება შეიმჩნევა ევროპაშიც, გან-საკუთრებით გერმანიაში, სადაც ისინი ფსევდო-ლიბერალური ღირებუ-ლებების დამკვიდრებით ცდილობენ შეასუსტონ სახელმწიფო წყობილება და მისი თავდაცისუნარიანობა.

უფლებადამცველი ორგანიზაციების ძირითადი მოქმედების სფეროდ განი-საზღვრება ადგილობრივი მოსახლეობა, მათი დისკრედიტაცია საერთაშორისო ორგანიზაციების თვალში, როგორც ფაშიზმის მიმდევრების ან სხვა სახით. ხო-ლო მოსახლეობის უმრავლესობის უკმაყოფილების გამოწვევა ხორციელდება უსამართლობის განცდის ზრდის ხელშეწყობით, ყოველივე ეს არღვევს სა-ხელმწიფოს სიმტკიცეს და ულახავს ავტორიტეტს. რუსეთის სპეცსამსახურებს დაქვემდებარებული უფლებადამცველი ორგანიზაციები, როგორც წესი, დაფინანსებას იღებენ ევროპაში მოქმედი ორგანიზაციებიდან, მათი ამოცნობა არცთუ ისე ადვილია, ხოლო მათთან ბრძოლა ზოგჯერ შეუძლებელიც.

მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში საბჭოთა დაზვერვის ძალისხმევის შედეგად, ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებულად გაძლიერდნენ პროფკავშირები, გახშირდა გაფიცვები, მიტინგები და სახალხო გამოსვლები სახელმწიფოს მთავრობების წინააღმდეგ. გაძლიერდნენ პაციფისტთა ორგანიზაციები. მიტინგების მონაწილეთა რაოდენობებმა საშიშ ზღვარს მიაღწია. აღნიშნულმა მდგომარეობამ აიძულა დიდი ბრიტანეთის და აშშ-ს ხელისუფლება ქვეყნიდან გაეძევებინათ საბჭოთა დიპლომატები, რასაც მოჰ-ყვა მიტინგებისა და საპროტესტო გამოსვლების მკვეთრი შემცირება, ხოლო სულ მოკლე ხანში მიტინგებმა და გაფიცვებმა საერთოდ დაკარგა აქტუალობა. საგულისხმოა, რომ მიტინგების, მანიფესტაციების და დემონსტრაციების სა-თავეში ყოველთვის იყვნენ საბჭოთა სპეცსამსახურები, რომლებიც დემო-კრატიის სახელით, მოსამსახურეთა უფლებების დაცვის სახელით, მთელ ევროპას აყენებდნენ კოლოსალურ ფინანსურ ზარალს და იწვევდნენ ქვეყნების

დესტაბილიზაციას. ევროპაში მყოფი საბჭოთა კავშირის საელჩოების თანამშრომლების უმრავლესობა იყო დიპლომატიურ სამსახურს ამოფარებული სპეცსამსახურების თანამშრომლები, რომლებიც დივერსიულ, საბოტაჟურ და ტერორისტულ საქმიანობას ეწეოდნენ ადგილსამყოფელ სახელმწიფოებში.

დასავლურ ქვეყნებში იდეოლოგიური დივერსიის განხორციელებაში საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს განსაკუთრებული მიღწევები ჰქონდა, კერძოდ, იდეოლოგიური დივერსიის წარმართვის ხელმძღვანელად მოიაზრებოდა საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უფროსის მოადგილე გენერალი შელეპინი, საჯაროდ ის ცნობილი იყო როგორც „დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.“

„ამხანაგი შელეპინი ჟენევაში მიემგზავრება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სესიის სხდომაზე. ამხანაგი შლეპინი პოლიტბიუროს წევრია. ამხანაგი შელეპინი ს.უ.კ-ის თავმჯდომარის მოადგილე იყო იმავ დროულად (საჯაროდ) დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. ამხანაგი შელეპინი ორგანიზაციას უწევდა მანიფესტაციებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისთვის. მის სინდისზეა მშვიდობის დასაცავად გამართული გრანდიოზული მენიფესტაციები. მილიონობით სულელი მიჰყვებიდა ამხანაგ შელეპინს, ყვიროდნენ, მშვიდობასა და განიარაღებას მოითხოვდნენ. ნახევარ მსოფლიოს განაგებდა, მათ შორის დემოკრატიულ ახალგაზრდობასაც, რომელიც მშვიდობას მოითხოვდა. ამხანაგი შელეპინი საბჭოთა პროფკავშირებს ხელმძღვანელობდა, ჩვენი პროფკავშირები ს.უ.კ-ის ფილიალია“ [3:284].

საბჭოთა აგენტურის მიერ მოწყობილი საბოტაჟის საწინააღმდეგოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებში მოხდა ყოფილი საბჭოთა აგენტურის ლუსტრაცია. ასეთივე ლუსტრაცია განხორციელდა ყოფილი საბჭოთა ბანაკის ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც. შემდგომ რუსული დივერსიულ-საბოტაჟური ქმედებების აღსაკვეთად და რუსეთის აგენტურის ლუსტრაციისთვის ბალტიისპირელებმა გადადგეს გადამწყვეტი ნაბიჯები. ლატვიაში შექმნილია „ტოტალიტარიზმის შედეგების დოკუმენტაციის ცენტრი.“ რუსეთის სპეცსამსახურების აგენტურის წინააღმდეგ ლიტვა და ესტონეთშიც დაწესდა გარკვეული შეზრუდვები.

საბოტაჟის მიზნით, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ იყენებს არა მარტო საქართველოში შეძენილ აგენტურულ ქსელს, არამედ მათაც, ვინც ცხოვრობს, მუშაობს ან სწავლობს საქართველოს საზღვარებს გარეთ და, განსაკუთრებით კი, რუსეთში, რათა შემდგომ ისინი დაბრუნდნენ საქართველოში და რუსეთის სპეცსამსახურების ხელშეწყობით დაწინაურდნენ სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურაში თუ პოლიტიკს სფეროში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხო ქვეყნის წარმომადგენლებად დარჩნენ, რომელთა გადაბირება რუსეთის სპეცსამსახურებისთვის აუცილებელი გახდა. სტუდენტების წინააღმდეგ მუშაობს

რუსეთის ФСБ-ს ტერიტორიული და ცენტრალური დანაყოფები, სამხედრო დაზვერვის დანაყოფები.

„უმაღლეს სასწავლებლებში გადაბირება ხდება ერთდროულად (რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველო) GRU-ს ორი ორგანიზაციის მიერ.

GRU-ს მე-3 სამმართველო ახდენს ინფორმატორების გადაბირებას, რომლებიც შემდგომ დარჩებიან „ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში“ და GRU-ს ხელმძღვანელობას მიაწვდინა შიდა საიდუმლოებებს. 5-ე სამმართველო ახდენს გადაბირებას სპეცდანიშნულების ძალების ქსელისთვის“ [4. 24].

სპეცსამსახურების დივერსიულ-საბოტაჟური საქმიანობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სპეცრაზმებზე დამოკიდებული მოქმედებებით, მათი მახასიათებელი თვისება იყო ყველა შესაძლებლობის გამოყენება დასახული მიზნების მისაღწევად. საბჭოთა იდეოლოგია და საბჭოთა დაფინანსება ძლიერი მუხტი იყო დივერსიულ-საბოტაჟური ორგანიზაციების შესაქმნელად, კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებლად საბჭოთა ხელმძღვანელობა არ ერიდებოდა კრიმინალური ორგანიზაციების შექმნას და მათ დაფინანსებას სასურველი მიზნების მისაღწევად. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტურა 1960-1970 წლების იტალიაში, სადაც სპეცსამსახურების დახმარებით შეიქმნა კომუნისტური იდეების მიმდევართა დიდი არმია რომელიც დივერსია-საბოტაჟით ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი სახეობა იყო.

უნდა აღვნიშნოთ, იდეოლოგიური დივერსია აქტიურად გამოიყენებოდა რუსეთ საქართველოს 1990-1993 და 2008 წლის ომების დროს, ისტორია გვასწავლიდა რუსეთის აგრესიის მზადების სტრატეგიას მაგ: საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი რა დროსაც საბჭოთა ჯარი განლაგდა ფინეთის საზღვართან მოახდინა სამხედრო პროვოცირება და შეიჭრა ფინეთის ტერიტორიაზე. „რატომღაც ჩვენ განვათავსეთ საბჭოთა 4 არმია ფინეთის საზღვართან, შემდგომ მათ რატომღაც გვესროლეს ქვემეხიდან, და აი, აქ ავღშფოთდით და დაიძრა კეთილშობილი წითელი არმია, რათა თავისუფლების ალამი აღმართოს სხვის ტერიტორიაზე“ [3. 273].

საბჭოთა კავშირის მემკვიდრე არის რუსეთი და მისი პოლიტიკური შეხედულებებიარშეცვლილა ასევეარშეცვლილამოქმედებისფორმები.რუსული პოლიტიკის წინასწარ განჭვრეტა არც თუ ძნელია თუ გავითვალისწინებთ წარსულის გამოცდილებას.

2008 წელს რუსეთის ომში ჩართვის ოფიციალურ ვერსიად ხშირად, ქართული მხარის მიერ ცხინვალის დაბომბვას ასახელებენ, თუმცა ამ დაბომბვას რატომღაც არ გამოუწვევია მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი. აქვე, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს ტელევიზიით განათლების

მინისტრმა განაცხადა: „ცხინვალი აგღვილია პირისაგან მიწისა“, თუმცა ეს ასე არ იყო. აღნიშნულმა ომმა გვაჩვენა, რომ რუსეთის მიერ ხდებოდა ნიადაგის შემზადება საბრძოლო მოქმედების დაწყების მიზნით, რასაც ქართული მხარე დაუფიქრებლად დაყვა და შედეგად რუსეთმა მიიღო სტრატეგიული ტერი-ტორიები სვანეთის, ახალგორის და საქარათველოს სამხედრო სტრატეგიული გზიდან რამდენიმე ასეულ მეტრში.

როგორც ჩინელი ფილოსოფოსი სუნცზი ამბობდა: „იცოდე წინასწარ მოწინააღმდეგის განზრახვა -ეს იგივეა იმოქმედო, როგორც ღმერთი“ [9].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კემალ ანდრეევი. კიბერ ომი. რუსეთის მიერ მსოფლიოს მანიპულირება, მოსკოვი, 2015. (რუსულ ენაზე).
2. გაზ: „სამხედრო-წარმოების კურიერი“, თებერვალი, 2013.
3. ვ. სუვოროვი. აკვარიუმი, თბ. 2017. 1997 წ. ქ.მინსკი (დააზუსტე სდაა გამოცემული და როდის/სად და ის დატოვე)
4. ვ. სუვოროვი . სპეცრაზმი (გამოცემის წელი და ადგილი)
5. კონტრდაზვერვითი ლექსიკონი, მოსკოვი, 1972. (რუსულ ენაზე).
6. ერებისა და ბრბოს ფსიქოლოგია ვგუსტავ ლე ბონი თბილისი 2013 წ.
7. არჩილ ბეჟანიშვილი. არსენალი 2011წ. ნოემბერი. „კამიკაძე ღვთაებრივი ქარი“
8. ა.ვ.გერასიმოვი. „დანის პირზე ტერორისტებთან.“ 1985წ. მოსკოვი (რუსულ ენაზე)
9. საკუთარი დაზვერვა გვ4. 2000წ. მინსკი (რუსულ ენაზე)
10. https://www.litmir.me/br/?b=26362&p=24
11. https://ru.wikipedia.org/wiki/%

Fifth column as a hybrid war One of the directions

Aleksandre Gegechkori, PhD student
Georgian Technical University

Summary

Hybrid war aims at maximal damaging of opponent with various means; opponent’s weakening as necessary and concealed governing of the state through security services, complete or partial annexation of the opponent state without significant opposition from such opponent. As an example can serve occupation of Crimea by Russia that is the classic sample of hybrid war without military operations, as well as hybrid war between Russia and Georgia conducted since 1990 up to date with permanent military operations.

ევროკავშირის პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობები აშშ-სა და რუსეთთან

თამილა გოგატიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გასული საუკუნის 90-იან წლებში ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროებში არ ატარებდა რაიმე განსაკუთრებულ ხასიათს.

პრიორიტეტი უმთავრესად ენიჭებოდა ვაჭრობისა და ინვესტიციის სფეროებს. მდგომარეობა შეიცვალა აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, აშშ-მ უპრეცენდენტო ნაბიჯები გადადგა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

რა თქმა უნდა, ეს ზომები აისახებოდა ევროკავშირზეც. ამერიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ევროკავშირს განიხილავდა არა მატო როგორც საერთაშორისო ტერორიზმის მხრიდან პოტენციური საფრთხის ობიექტს, არამედ როგორც ძალზე ახლო და ღირებულ პარტნიორს, რომელმაც განაპირობა ურთიერთობების უფრო „კოოპერატიული“ და ნაკლებად ასიმეტრიული ურთიერთობების ხასიათი.

შესავალი

ევროკავშირის „საგარეო მიმართულების“ ზოგიერთი ნაბიჯის საფუძველში იდო უკვე საიმიგრაციო კონტროლის ექსტერნალიზაციის კონტექსტში არსებული იდეა იმის შესახებ, რომ აშშ-ს ტერიტორიაზე მისული ადამიანებისა თუ ტვირთების შემოწმება უნდა დაწყებულიყო აშშ-ს საზღვრებს გარეთ. ამიტომ ინტეგრაციული გაერთიანების წევრი სახელმწიფოები მაქსიმალურად უნდა ყოფილიყვნენ ჩართულნი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

2002 წლის იანვარში ევროკავშირში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია კონტეინერებზე კონტროლის ინიციატივამ. (Container Security Initiative). ამგვარი ინიციატივა ითვალისწინებდა მსხვილ საზღვაო პორტებში ამერიკის საბაჟო სამსახურების წარმომადგენელთა განთავსებას, რომლებსაც სკანირება უნდა მოეხდინათ ამერიკისკენ მიმავალი საეჭვო კონტეინერებისა, რათა ამით თავიდან აეცილებინათ ამ კონტეინერებში ასაფეთქებელი თუ რადიოაქტიური ნივთიერებების მოხვედრის შესაძლებლობა [1. 97-98].

ძირითადი ნაწილი

თავიდან ვაშინგტონმა დაიწყო მოლაპარაკება ევროკავშირის ზოგი-

ერთ წევრ სახელმწიფოსთან და ასევე ცალკეული საზღვაო პორტების წარმომადგენლებთან, რომელთაც გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ამერიკასთან ვაჭრობის მოცულობის სფეროში. ეს ევროპული სახელმწიფოები და ცალკეული პორტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები შიშობდნენ, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მათ შეიძლებოდა დაეკარგად ექსპორტის შესაძლებლობა ამერიკის ბაზარზე და, შესაბამისად, შემცირებულიყო სავაჭრო ტვირთბრუნვა. ამიტომაც ევროკომისიამ შიდა ბაზრისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის გათვალისწინებით მოითხოვა ერთი საერთო შეთანხმების გაფორმება ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

შესაბამისი დოკუმენტი ხელმოწერილ იქნა 2004 წლის აპირლში და მისი მოქმედების არეალი განისაზღვრა 23 საზღვაო პორტითა და 10 ევროკავშირის წევრი სახელმწიფოთი, რომლებმაც, თავის მხრივ, აიღეს ვალდებულება არაუგვიანეს 24 საათით ადრე კონტეინერების დატვირთვამდე წარმოედგინათ ინფორმაცია [1. 120].

რთული სიტუაცია შეიქმნა 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მალე მიღებული ამერიკული კანონის ირგვლივ, რომელიც ეხებოდა ავიასატრანსპორტო უსაფრთხოების საკითხებს. მასში აშშ-ს კანონი ყველა ავიაკომპანიას, რომლის თვითმფრინავები მიემართებოდნენ აშშ-საკენ, თხოვდა სპეცსამსახურებისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია მგზავრების შესახებ (Passager name record), მათ შესახებ ელექტრონულ სისტემაში შეტანილი მონაცემების მიწოდება აუცილებელი ხდებოდა, როდის შეიძინეს ბილეთები, ბრონი და ა.შ. ეს ნორმა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის 1995 წლის 24 ოქტომბრის N95/46 დადგენილებას პერსონალური ინფორმაციის დაცვის შესახებ, რაც აიძულებდა ევროპულ ავიაკომპანიებს ან დაერღვიათ ახალი ამერიკული კანონი და მუდმივად ეხადათ ჯარიმა 6 ათასი ამერიკული დოლარი თითოეულ მგზავრზე, ან აეტანათ სანქციები ევროკომისიის მხრიდან [2].

დასავლური სამყაროს უპირატესობა ზოგადად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სწორედ ის იყო, რომ მისი წარმოამდგენლები ერთმანეთთან ურთიერთობებში წამოჭრილ პრობლემებს ყოველთვის კონსენსუსის და მოლაპარაკებების გზით ჭრიდნენ და ეს დღემდე ასეა. აშშ-მ და ევროკავშირმა ყველა პრობლემა მოლაპარაკების გზით გადაჭრეს.

ევროკავშირისა და აშშ-ს ურთიერთობებში იყო და არის პრობლემები. აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა არაერთხელ გააკეთა უხერხული განცხადება ევროკავშირისა თუ მისი პარტნიორი ქვეყნების მიმართ. მაგალითად, გაეროს, ნატოს თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებასთან დაკავშირებით, მაგრამ დიალოგის რეჟიმი მათ შორის პრობლემების მოგვარების ერთადერთი საშუალებაა. ასე იყო მთელი 2000-იანი წლების მანძლზე, როცა მოლაპარაკებების გზით მიღწეულ იქნა ოთხი (2004, 2006, 2007 და 2012 წწ.)

შეთანხმება. მათში განისაზღვრა მგზავრების შესახებ მონაცემების მიწოდების პირობები და ამ მონაცემების შენახვის ვადები, ამერიკის სახელმწიფო ორგანოების და თანამშრომლების წინაშე რომელთაც ამ მონაცემებზე წვდომა უნდა შეძლებოდათ, ევროკავშირის მოქალაქეების უფლებების დაცვა იმ შემთხვევაში, თუ მათი პერსონალური მონაცემები არამართებულად იქნებოდა გამოყენებული და ა.შ.

ცნობილია, რომ მოლაპარაკების პროცესში ევროკავშირს მოუწია მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლა. მას ხშირად პირველს უწევდა ინფორმაციის მაღალი სტანდარტების დაცვაზე უარის თქმა. ამაზე ირიბად მეტყველებს არაერთი დასკვნა, რომელსაც ხელს აწერენ ევროინსპექტორები.

ნიშანდობლივია ისიც, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის და ევროკომისიის დიპლომატები საგარეო პოლიტიკაში თანდათან კარგავდნენ მაკოორდინირებელ როლს, რამდენადაც მათ არ გააჩნდათ და არც შეიძლებოდა ასე სწრაფად ჰქონოდათ ახალი რეალობის შესატყვისი პროფესიონალიზაციის დონე [3. 156].

აშშ-სა და ევროკავშირს შორის სექსტრადიციო შეთანხმებას ხელი არ შეუშლია ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან ანალოგიურ შეთანხმებაზე. სწორედ მასში უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი ყველაზე მწვავე პოლიტიკური რიგის საკითხები, რომელიც საკუთარი მოქალაქეების გადაცემას შეეხებოდა. ვაშინგტონს ბრიუსელთან შეთანხმებით მოუწია უარი ეთქვა ზოგიერთ იმ ნორმაზე, რომელიც ევროკავშირისათვის ჩვეულებრივი საკანონმდებლო ნორმა იყო. ჩარჩო-ხელშეკრულების ხელმოწერის გამო დაპატიმრებაზე ევროპული ორდერის გამო ევროკავშირის ზოგიერთმა სახელმწიფომ კონსტიტუციაშიც კი შეიტანა ცვლილება, რათა „გადაცემის“ (Surrender) საკითხი სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო საკუთარი მოქალაქეების მიმართ შიგნით გაჟღერებულ თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების პრინციპთან. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ ევროკავშირი და აშშ პრობლემებს, მათ შორის მწვავე პრობლემებს, ურთიერთგაგებისა და კონსენსუსის პრინციპით აგვარებენ, რასაც ვერ ვიტყვით ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობებზე.

რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობები თავისთავად უაღრესად აქტუალური თემაა. რუსეთი, მართალია, ევრაზიული სახელმწიფოა, მაგრამ მისი ისტორია წარმოუდგენელია ევროპასთან ურთიერთობების გარეშე. არ არსებობს ევროპის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც რუსეთი არ მონაწილეობდეს. რუსეთი მონაწილეობდა ორივე მსოფლიო ომში, რომელიც, უმეტესად, ევროპის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, სადაც მან თავისი მნიშნელოვანი კვალი დატოვა, ხოლო მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან და დასავლელ მოკავშირეებთან ერთად დაამარცხა

კაციობრიობის უბოროტესი მტერი - ფაშიზმი.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომი არ იყო დამთავრებული, როცა აშშ-ს პრეზიდენტი რუზველტი იმედოვნებდა, რომ საჭოთა კავშირთან შესაძლებელი იქნებოდა ნორმალური მჭიდრო თანამშრომლობა, მაგრამ მისი იმედები არ გამართლდა და ყოფილი მოკავშირეები (სსრკ, აშშ, დიდი ბრიტანეთი) ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

დაპირისპირება, როგორც ცნობილია, იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა. „ცივ ომში“ XX ს-ის 80-90-იან წლებში საბჭოთა კავშირი დამაცხდა და დაიშალა. დასავლეთში ბევრი ფიქრობდა, რომ ამის შემდეგ მაინც რუსეთი დაადგებოდა დასავლურ, ლიბერალურ ფასეულობებზე დაფუძნებულ გზას. ამის საფუძველს ისიც იძლეოდა, რომ ხელისუფლების სათავეში რეფორმეტორთა ჯგუფი მოვიდა, მაგრამ შემდეგ ოლიგარქიული მმართველობის სტილმა იმძლავრა და დასავლურ ორიენტაციაზე აღებულმა კურსმა კრახი განიცადა.

XX ს-ის 90-იან წლებში რუსული სახელმწიფო სუსტი იყო, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოება მაინც ვითარდებოდა.

2000 წელს, რუსეთის ხელისუფლების სათავეში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ, ვითარება შეიცვალა. მან ელცინის სუსტი რუსეთი, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, გააძლიერა და მსოფლიოს ისევ ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ აქცია.

პუტინმა მხარი დაუჭირა „სუვერენული დემოკრატიის“ პრინციპს და დასავლელ პარტნიორებს ამცნო ახალი რუსული იდეის შესახებ. 2007 წლის 10 თებერვალს კი მიუნხენში ვლადიმერ პუტინის გამოსვლის შემდეგ, სადაც მან მკაცრად გააკრიტიკა ერთპოლუსიანი სისტემის არსებობა აშშ-ს მეთაურობით, ნათელი გახდა, რომ ახალ ცივილიზაციურ დაპირისპირებას ეყრებოდა საფუძველი [4. 149].

უაღესად საინტერესოა ის თავისებურები, რომელიც ევროკავშირს გააჩნია რუსეთის ფედერაციასთან იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროებში.

რუსეთსა და ევროკავშირს, ცხადია, თავისუფლებისა და მართლმსაჯულების საერთო სივრცე აერთიანებთ. მათ შორის მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებიც არსებობს.

მართალია, ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში გაჩაღებული კონფლიქტების შემდეგ რუსეთს დასავლეთმა ზოგადად ეკონომიკურ ხასიათის სანქციები დაუწესა, მაგრამ ეს სანქციები იმდენად მასშტაბური მაინც არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მან რუსეთის ეკონომიკას გარკვეული ზიანი უკვე მიაყენა. იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროებში კი თანამშრომლობა კვლავაც აქტუალური რჩება უსაფრთხოების თემიდან გამომდინარე.

ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში აღნიშნულ სფეროებს თავიდან პრიორიტეტული მნიშვნელობა არ გააჩნდა. ამაზე მეტყველებს 1994

წელს ხელმოწერილი შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წელს. VIII განყოფილების 84-ე სტატიაში მხოლოდ ის იყო აღნიშნული, რომ მხარეები ითანამშრომლებენ ეკონომიკური დანაშაულის, ნარკოტიკების ბრუნვის, არალეგალური იმიგრაციის, სხვადასხვა სახის პროდუქტების უკანონო ფალსიფიცირების, დოკუმენტების გაყალბების სფეროებში [5. 124].

ამგვარი მოკლე განმარტება უმთავრესად იმით იყო განპირობებული, რომ თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის დოკუმენტების მომზადების პერიოდში ევროკავშირის საგარეოპოლიტიკური პროექტი ჯერ კიდევ ვერ იძენდა სათანადო მნიშვნელობას. შესაბამისად, თავისუფლების ევროპული სივრცე რუსეთისათვის შეზღუდული იყო და უპირატესობა იმ მომენტისათვის მოქმედ მაასტრიხტის ხელშეკრულებას ენიჭებოდა. რუსული მხარისათვის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა საკითხები მნიშვნელოვანი კი იყო, მაგრამ იგი უმეტესად ატარებდა „ტექნიკურ“ ხასიათს.

რუსეთს აქცენტი უმეტესად ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ჰქონდა გადატანილი. მსგავსი ხედვა იკვეთება თავად შეთანხმებაში: მაგალითად, სავიზო პოლიტიკის საკითხები ასახულია 37-ე სტატიაში და იგი ეხება ფიზიკური პირების დროებით გადაადგილებას სხვადასხვა საკითხებზე მოლაპარაკებების მიზნით, როგორც რუსული, ისე ევროპული მხარის მიმართ. კ. კაუნერტის სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაში იუსტიციისა და შინაგან საქმეთა ლოგიკა ერთიანი ევროკავშირის ბაზრის შექმნის ლოგიკაშია გამოხატული.

რუსეთის მიმართ ევროკავშირის საგარეო-პოლიტიკური მიმართულების არანაკლებ ნათელი მაგალითია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების გეგმის შემუშავება და შემდეგ ხელშეკრულების გაფორმება ჰელსინკში 1999 წლის დეკემბერში, რომელსაც ხელს აწერდნენ სახელმწიფოთა მეთაურები, შემდგომ ეტაპზე ეს ხელშეკრულება მოწონებულ იქნა თანამშრომლობის ორმხრივი საბჭოს მიერ 2000 წლის მარტში.

ერთის მხრივ, ევროკავშირი დაინტერესებული იყო რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობით უსაფრთხოების სფეროში და ამ მხრივ მის მიერ რუსეთთან თანამშრომლობაში მიღებული ზომებით იგი დიდად არაფრით განსხვავდებოდა ევროკავშირში გაწევრიანების მსურველ სახელმწიფოებთან გატარებული ანალოგიური პოლიტიკით, რაშიც იკვეთება ევროკავშირის სურვილი რუსეთისათვის ეჩვენებინა, რომ მას იგი თანასწორუფლებიან პარტნიორად მიიჩნევდა, მაგრამ მეორეს მხრივ მიღებულ დოკუმენტში საერთაშორისო კონვენციების მთელი კასკადი იყო წარმოდგენილი, რომლის რატიფიკაციის წინადადება იყო შეთავაზებული რუსეთისათვის. აქ, ალბათ, გასაკვირიც არაფერია, რადგან ევროპელები კარგად იცნობდნენ რუსეთის პოლიტიკურ ანატომიას და ნდობის

ხარისხი მის მიმართ დაბალი იყო. ამიტომ ეფექტური თანამშრომლობისათვის რუსეთს რიგი მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა.

თავის მხრივ, რუსეთი არ გამოხატავდა და დღემდე არ გამოხატავს სურვილს გახდეს ევროკავშირის წევრი. მისი პოლიტიკური არჩევანი ეს არ არის [6. 97].

აქვე უნდა ითქვას, ისიც, რომ რუსეთისათვის თავად ევროპული ნორმები საერთაშორისოსთან შედარებით ნაკლებ ლეგიტიმურია. აქაც გასაგებია რუსეთის პოზიცია საერთაშორისო სამართალსა და ნორმებს რუსეთი უფრო ადვილად აძლევს საკუთარ ინტერპრეტაციას, უფრო ადვილად იყენებს მის მიმართ „სხვა ენას", ვიდრე ევროპულის მიმართ. მისი გლობალური, ხშირად იმპერიალისტური მიზნების შეფუთვა საერთაშორისო სამართლის ნორმებით უფრო მარტივია. ამას ევროპაში ვერ გააკეთებ.

ევროგაერთიანების სახელმწიფოები უკვე მისი შექმნიდან სხვა პრინციპებითა და სხვა ფასეულობებით ცხოვრობენ, რუსეთმა კი მიზნად კვლავ ზესახელმწიფოს სტატუსით ცხოვრება დაისახა, თანაც ისე, რომ კაცობრიობას კვლავ ევროატლანტიზმის ალტერნატიულ იდეოლოგიას სთავაზობს. ეს იდეოლოგია მისი რწმენით ევრაზიულ პატრიოტულ ფასეულობებს ეფუძნება, რომლის შინაარსიც დღემდე ბუნდოვანი რჩება, თუმცა ზოგიერთი დეტალი მისი ნათელია. მაგალითად, „სუვერენული დემოკრატია".

რუსეთსა და ევროკავშირს შორის არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთს თავის ირგვლივ არ აწყობს ეკონომიკურად მაღალგანვითარებული და დემოკრატიული გარემო, რადგან ეს ხელს შეუშლის მის აგრესიულ ზრახვებს.

ვფიქრობთ, აქ შეხედულებებში გადაჭარბება შეინიშნება. ამის ნათელი მაგალითია კალინინგრადის ოლქში ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში წარმოქმნილი პრობლემა, რომელიც შეთანხმების გზით გადაიჭრა.

მთლიანობაში კი რუსეთი პრობლემურ მეზობლად რჩება ევროკავშირისათვის. ევროკავშირის დამოკიდებულება რუსულ გაზზე დიდია, ამიტომ იგი სიფრთხილით ეკიდება ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Occhipinti J. Partner or pushover? EU relations with the U.S. on internal security, Shoulder to shoulder: Forging a strategic U.S.–EU partnership, Washington, John Hopkins University, 2010.
2. Guild E., Brouwer E. The political life of data: The ECJ decision on the PNR agreement between the EU and the US http://www.ceps.eu/files/book/1363.pdf

3. გოგოლაშვილი კ., კაპანაძე ს., ჭყოიძე ვ., აკობია ე., გეგეშიძე ა., ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა, თბ., 2006.
4. ჭყოიძე ვ., აკობია ე., ჭოჭუა ე., გეგეშიძე ა., კაპანაძე ს., გოგოლაშვილი კ., რობაქიძე გ., ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები, თბ., 2007.
5. Common Strategy of the European Union of 4 June 1999 on Russia (1999/414/CFSP) , Official Journal of the European Communities. Brussels 2006.
6. Кузнецова, Е. Е. Европейский Союз как нормативная держава: принципы теоретического моделирования и политического проектирования, Нижний Новгород, 2009.
7. გრიგოლია თ., ევროკავშირის ისტორია, პოლიტიკა და გეოგრაფიული კონტურები, თბ., 2008.
8. Романова, Т. А. Институты и учреждения Европейского союза С.-Петерб. ун-та, 2009.
9. Шемятенков, В. Г. Европейская интеграция, М., 2003.

The European unit political and legal relations with
The United States and Russia

Tamila Gogatishvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The priorities of the EU always revealed relations with the major powers. This time we have emphasized the relations of EU with the US and Russia. These countries have a special significance for the EU. In the case of the US, we can say that all the problems are resolved through negotiation and consensus, a clear example of the fact were the events, which were held after September 11, 2001 terrorist attack, when America took unprecedented measures from the point of security. This fact has created certain obstacles to the EU as trade-economic so human resources. In spite of that, all problems were resolved through consensus and negotiation.

There are very interesting features that the EU connects with the Russian Federation in the justice and internal affairs fields. Russia and the EU are united with the common space of freedom and justice. There are exist also close economic and cultural relations.

Although after the conflicts in eastern part of the Ukraine and annexation of Crimea, the West has imposed economic sanctions on Russia in general, but these sanctions are not so large, even though it has caused some damage to the Russian economy. Cooperation in the justice and interior affairs fields is still actual according to security issue.

საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები

ედუარდ დემეტრაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მას შემდეგ, რაც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1992 წელს ოფიციალურად შეუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა ინტენსიურად არის ჩართული გაეროს სამუშაო პროცესში, მის სხვადასხვა ორგანოსა და ინსტიტუციაში.

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება. საკმაოდ აქტუალურია ჩვენი დასავლური პოლიტიკური გეზი და ნატოში გაწევრიანების საკითხი.

საკვანძო სიტყვები: გაერო, ნატო, დასავლური პოლიტიკა

შესავალი

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში საერთაშორიოს ორგანიზაციების რიცხვი უმნიშვნელო იყო. დღეს კი მათი რაოდენობა 2500-ზე მეტია და ეს რიცხვი მუდმივად იზრდება.

რატომ იქმნებიან საერთაშორისო ორგანიზაციები? საერთაშორისო ორგანიზაცია - ეს არის სახელმწიფოთაშორისი, მთავრობათშორისი ან არასამთავრობო ხასიათის მუდმივი გაერთიანება, შექმნილი საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, საერთაშორისო პრობლემების ერთობლივად გადასაჭრელად.

ამგვარი პრობლემების რაოდენობა კი საკმაოდ დიდია: საერთაშორისო მშვიდობა, საერთაშორისო უსაფრთხოება, ეკონომიკური კრიზისი, ეკოლოგიური პრობლემები. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის კატასტროფულმა შედეგებმა მსოფლიო აიძულა 1945 წელს საყოველთაო მშვიდობის მიზნით, შეექმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო).

ძირითადი ნაწილი

ათეული წლის წინ ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საქართველოს აღიარებასა და თავის რიგებში მიღებას დიდ მიღწევად აღვიქვამდით და საერთო სახალხო ზეიმით ვხვდებოდით. ეს სავსებით ბუნებრივი რეაქცია გახლდათ, რადგან მსოფლიო თანამეგობ¬რობასთან ზიარება 70 წლიანი ჩაკეტილი რკინის ფარდის შემდეგ, მართლაც, შეიძლებოდა სერიოზულ წარმატებად მიგვეჩნია.

დღეს ამგვარი ფაქტები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებისას უკვე ამ ინტეგრაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე ვიწყებთ ფიქრს. [7. 2-8]

1993 წლიდან საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, აქტიური თანამშრომლობა დაიწყო ისეთ ავტორიტეტულ ეკონომიკურ ორგანიზაციებთან, როგორიც მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი გახლავთ, ორიოდე წლის შემდეგ საქართველომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კარი შეაღო. ამ ორგა-ნიზაციის წევრები დღემდე არ არიან ისეთი ქვეყნები, როგორიც რუსეთი და ჩინეთია.

საქართველო, რეგიონალური პროექტების ფარგლებში, ჩართულია ისეთი ტიპის სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში, როგორიცაა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ორგანიზაცია, სუუამი და სხვა. მაგრამ ჩვენი ინტერესის სფეროს, ტრადიციულად, ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ინსტიტუტები წარმოადგენენ.

ყოველგვარ ასეთ თანამშრომლობას თან სდევს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან ურთიერთობით საქართველომ საბაზრო ეკონომიკის განვითარება დაიწყო, გატარდა რეფორმა, ქვეყანამ მიიღო ასეული მილიონობით შეღავათიანი კრედიტი, მაგრამ ამავე ორგანიზაციის წევრობით ჩვენ გარკვეული ვალდებულებები ავიღეთ, რომელთა შესრულება აუცილებელია, თუ ჩვენ კვლავ გვინდა მათი იაფი კრედიტებით სულის მოთქმა. იგივე კრედიტები, რომლებმაც, უდავოდ, სერიოზული როლი შეასრულა ჩვენი სახელმწიფოებრიობის ფორმირებაში, ხვალ შეიძლება სერიოზულ ტვირთად გვექცეს, რადგან ეს ჩვეულებრივი კრედიტებია და მათ, ადრე თუ გვიან, უსათუოდ გასტუმრება უნდა.

ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციები ჩვენ გვაძლევენ რჩევებს, გვთავაზობენ პრობლემების გადაწყვეტის უკვე ადაპტირებულ უნივერსალურ მიდგომებს, მაგრამ ჩვენ მაგივრად ვერც ერთი საერთაშორისო ინსტიტუტი ვერ შეძლებს ეკონომიკის ფეხზე დაყენებას, კორუფციასთან ბრძოლას, ნორმალური საკანონმდებლო ბაზის შექმნას. რაც არ უნდა კრიტიკულები ვიყოთ მათ მიმართ, მათ რიგებში გაწევრიანება ჩვენი სურვილი იყო და, შესაბამისად, შემდგომ შედეგებზე პასუხისმგებლობაც ჩვენვე უნდა ვიტვირთოთ.

მას შემდეგ, რაც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1992 წელს ოფიციალურად შეუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა ინტენსიურად არის ჩართული გაეროს სამუშაო პროცესში, მის სხვადასხვა ორგანოსა და ინსტიტუციაში.

გაეროში საქართველოს მუდმივი მისიის მიზანია დაიცვას საქართველოს ეროვნული ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე და უზრუნველყოს ქვეყნის ჩართულობა მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობისკენ აღებული ვალდებულების შესრულების გზაზე. საქართველოს მისია მჭიდროდ თანამშრომლობს დანარჩენი 192 წევრი ქვეყნის წარმომადგენლებთან როგორც ბილატერალური, ისე მრავალმხრივი ფორმატების გამოყენებით, და ასევე ჩართულია როგორც

ფორმალურ, ისე არაფორმალურ დიალოგში ყველა მხარესთან. საქართველოს მუდ¬მივ წარმომადგენლობას სურს გამოიყენის გაეროსთან არსებული ყველა მექანიზმი და სამართლებრივი ჩარჩო, რომ გაანალიზოს ეროვნული გამოწვევები და საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით გაუმკლავდეს მათ [17.63].

მუდმივი წარმომადგენლობის მთავარი პრიორიტეტია გაერო და და მისი წევრი სახელმწიფოები უფრო აქტიურად ჩართოს საქართველოს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონებში კონფლიქტების მოგვარების პროცესში. ამისათვის, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა გაეროში ყო-ველ¬წლიურად აყენებს რეზოლუციას „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ", რათა საერთაშორისო დონეზე მოხდეს დევნილთა ფუნდამენტური უფლებების დადასტურება და განმტკიცება. რეზოლუცია ატარებს ჰუმანიტარულ ხასიათს და მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ პირებზე კონფლიქტის გავლენის შესახებ ცნობიერების გაზრდას, და მოუწოდებს გაეროს ეძიოს მრავალმხრივი გამოსავალი, რომ გამოსწორდეს ადამიანთა უფლებების მდგომარეობა და საცხოვრებელი პირობები მათთვის, ვისაც შეეხო რუსეთის ოკუპაცია და ე.წ. გაყინული კონფლიქტები.

დასკვნა

ვინაიდან, საქართველო დიდ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას მშვიდობის შენარჩუნების, უსაფრთხოების, დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, მათ შორის ქვეყნის განვითარებისა და მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების წარმატების უზრუნველყოფის, ქვეყნის ტერიტორიის დეოკუპაციისა და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ომით გაყოფილ საქართველოს მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების შექმნის მიმართულებებით. საქართველოს საგარეო უწყების პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოსთან დაკავშირებული და მსოფლიოში მიმდინარე აქტუალური პრობლემატიკის მრავალმხრივი ფორმატების ფარგლებში შენარჩუნება და მათ გადასაჭრელად საერთაშორისო ორგანიზაციათა როლის გაზრდა.

ლიტერატურა:

1. კიღურაძე. "თანამდეროვე საერთაშორისო - თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები
2. Thruelsen, Dahl Peter. 2009. International Organisations: Their Role in Conflict Management. Denmark: Royal Danish Defense College.
3. Agner, Michael. 2009. The North Atlantic Treaty Organisation : An Alliance in Transition.. Edited by P.D. Thruelsen. International Organisations: Their Role in Conflict Management. Denmark: Royal Danish Defense College.
4. Møller, Bjørn. 2009. The Organisation for Security and Cooperation in Europe: Losing its raison d'etre? Edited by P.D. Thruelsen. International Organisations: Their Role in Conflict Management. Denmark: Royal Danish Defense College.
5. Mandrup, Thomas. 2009. The African Union: A Common Security Structure in the Making? Edited by P.D. Thruelsen. International Organisations: Their Role in Conflict Management.
6. Adler-Nissen, Rebecca. 2009. The European Security and Defence Policy:From Distant Dream to Joint Action. Edited by P.D. Thruelsen. International Organisations: Their Role in Conflict Management. Denmark: Royal Danish Defense College.
7. Madelbaum, Michael. 1999. A Perfect Failure: NATO's War against Yugoslavia. Foreign Affairs. http://www.jstor.org/discover/10.2307/20049444
8. UN. 1998. International Law. UN online. http://www.un.org/en/law

Georgia and International Organizations

Eduard Demetrashvili, PHD Student

Georgian Technical University

Summary

After becoming an independent country, Georgia joined the United Nations in 1992 and Georgian permanent representatives are actively involved in the work process of the UN as well as its various bodies and institutions.

For a country as small as Georgia, becoming a member of international organizations is crucial. The western political orientation and NATO membership are current important issues.

Key words: United Nations, NATO, Western Policy.

გერმანიის გაერთიანების დასკვნითი ეტაპის - საფრანგეთ-პრუსიის ომის საკითხები
(გაზეთ „დროების“ 1866-1885 წწ. ფურცლებზე)

შოთა მალაზონია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პერიოდული პრესის ერთადერთი ძირითადი პოლიტიკურ-ლიტერატურული ორგანოს, გაზეთ „დროების“ (1866-1885 წწ.) დამოკიდებულება ახალი დროის მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის, გერმანიის გაერთიანების დასკვნითი ეტაპის – საფრანგეთ-პრუსიის ომის საკითხებისადმი.

ავტორი მიმოიხილავს გაზეთ „დროების“ შეხედულებას საფრანგეთ-პრუსიის ომის გამომწვევი მიზეზებისა და საბაბის შესახებ. სტატიაში დაწვრილებით არის შესწავლილი და გაანალიზებული ევროპის დიდი სახელმწიფოების – ინგლისის, ავსტრია-უნგრეთის, იტალიისა და რუსეთის მიზნები და დამოკიდებულება იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო კონფლიქტის მიმართ.

ავტორი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ქართველი პუბლიცისტების მიერ საფრანგეთ-პრუსიის ომისადმი ევროპის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულების ასახვაზე, ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ გერმანიის გაერთიანების პირველ ეტაპზე ამ საკითხს გაზეთი „დროება“ არ შეხებია.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საფრანგეთ-პრუსიის ომის მთავარ „შემომქმედების“ – პრუსიის კანცლერ ოტო ფონ ბისმარკისა და საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ის მიმართ ქართველი პოლიტიკური მიმოხილველების დამოკიდებულებას.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების პროცესები სისტემატურად შუქდება პერიოდულ გამოცემებში. ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართული პრესაა. აქვე დავძენთ, რომ მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს ჯეროვნად ყურადღებას უთმობდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ბეჭდვითი სიტყვა, კერძოდ გაზეთი „დროება“ (1866-1885 წწ.).

წინამდებარე სტატიის მიზანია საფრანგეთ-პრუსიის ომისადმი ევროპის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულების ასახვა გაზეთ „დროების“ ფურცლებზე.

ძირითადი ნაწილი

ახალი დროის მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო გერმანიის გაერთიანება, რომელსაც წინ უსწრებდა ევროპული მნიშვნელობის სამი ომი. ამ ამბებმა უდიდესი გარდატეხა მოახდინეს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში და დიდი გამოხმაურება ჰპოვეს არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ბუნებრივია, გაზეთი „დროება“ გამოეხმაურა ამ ომებს, მაგრამ პირველი ორი ომის – დანიასთან ავსტრია-პრუსიისა და ავსტრია-პრუსიის – დროს არ შეხებია მათდამი ევროპის დიდი სახელმწიფოს დამოკიდებულებას. ამ მხრის გამონაკლისია საფრანგეთ-პრუსიის ომი.

გაზეთმა „დროებამ“ ჯერ კიდევ საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებამდე იწინასწარმეტყველა მისი გარდაუვალობა. ნიკო ნიკოლაძე წერდა: „საფრანგეთი, სადოვის ბრძოლის შემდეგ, ცუდი თვალით უცქერის პრუსიას. ბისმარკმა თავისი დანაპირები ვერ აასრულა და ნაპოლეონს რაინის მარცხენა ნაპირი ვერ მისცა. ამ საგანზე საფრანგეთი ძლიერ ნაკლული დარჩა და წლევანდელ ომს მეტი საფუძველი არ აქვს რა. ეს ომი მძიმე და საშინელი უნდა იყოს“ [1. 4].

ავსტრიასთან გამარჯვების შემდეგ ნაპოლეონ III ელოდა, რომ პრუსია გადასცემდა მას ადრე დაპირებულ ტერიტორიებს, მაგრამ ბისმარკი არ ჩქარობდა. მან გააგრძელა დიპლომატიური ვაჭრობა ლუი ნაპოლეონთან, რომ დრო მოეგო და პრუსიის არმია უკეთ მომზადებულიყო მომავალი ომისათვის [2. 70].

ბისმარკი თვლიდა, რომ საფრანგეთთან ომისთვის საჭირო იყო ისეთი საბაბის მონახვა, რომელიც გამოაშკარავებდა ლუი ნაპოლეონის მთავრობის აგრესიულ პოლიტიკას და ნეიტრალურ სახელმწიფოებს განაწყობდა პრუსიის სასარგებლოდ [3. 137].

ომის მზადებისათვის ბისმარკმა გამოიყენა შემდეგი საბაბი: 1868 წლის ზედაპირულმა რევოლუციამ ესპანეთში დაამხო დედოფალ იზაბელას რეჟიმი. ახალმა მთავრობამ ესპანეთის ვაკანტური ტახტი, ბისმარკის ფარული ჩაგონებით და მისი ინტრიგების წყალობით, შესთავაზე პრუსიის მეფის ვილჰელმ I-ის ნათესავს, ჰოჰენცოლერნთა დინასტიის გვერდითი განშტოების წარმომადგენელს, პრინც ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენს. ამ ცნობის გამოქვეყნებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია საფრანგეთში. ნაპოლეონ III-მ მოითხოვა, რომ პრინცს უარი ეთქვა შეთავაზებულ ტახტზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ომი საფრანგეთსა და გერმანიას შორის გარდაუვალი გახდებოდა [3. 137].

1870 წლის დამდეგს გაზეთმა „დროებამ“ დაბეჭდა მოსალოდნელი ომის პირველი ცნობა: „ივნისის დამლევს ესპანეთის მმართველს პრომს გამოუცხადებია საფრანგეთის ელჩისთვის, რომ ესპანეთის მთავრობას ტახტზე ასაყვან კანდიდატად პრუსიის ხელმწიფის ნათესავი, თავადი ჰოჰენცოლერნი

დაუნიშნავს. ეს თავადი თავისი დედით ნაპოლეონ III-ის ნათესავიც ყოფილა.

როცა ელჩმა ეს ამბავი საფრანგეთის მთავრობას შეატყობინა, პარიზში მმართველობამ გული მოიყვანა. გარეგანი საქმეების მინისტრმა პრუსიის ელჩს გამოუცხადა, რომ თუ პრუსიის ხელმწიფე თავის ნათესავს ესპანეთის ტახტზე გასვლას არ დაუშლის, საფრანგეთი პრუსიას ომს გამოუცხადებსო“ [4. 4].

ამრიგად, წარმოიშვა დიპლომატიური კონფლიქტი, რომელმაც მალე მეტად საშიში ხასიათი მიიღო. ორივე მხარე – საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობები, თითქოსდა „ეროვნული ღირსების“ დაცვის მიზნით, ყოველმხრივ ცდილობდნენ საქმე გარდაუვალ შეტაკებამდე მიეყვანათ, მაგრამ თუ პრუსიის მთავრობა მოქმედებდა ფრთხილად და მოხერხებულად, საფრანგეთის მთავრობა, პირიქით, ხმამაღლა გაჰყვიროდა, იმუქრებოდა [2. 71].

გაზეთი „დროება“, მიაპყრობდა რა თავისი მკითხველების ყურადღებას საფრანგეთის მთავრობის ავანტურისტულ, ტლანქ და მოუქნელ პოლიტიკას, წერდა: „სახელმწიფო საქმეებში მიღებულია, რომ სანამ სხვადასხვა სახელმწიფოს შუა რამე საგანზე მოლაპარაკება არ მოთავებულა, არც ერთმა მმართველობამ არ უნდა გამოაცხადოს მოლაპარაკების საგანი. ეს წესი იმიტომაა შემოღებული, რომ, როცა ხალხმა იცის, რა აზრზე იდგა რომელიმე მმართველობა და რას თხოულობდა მისგან მოწინააღმდეგე, მაშინ იმ მმართველობას არაფრის დათმობა აღარ შეეძლებოდა, იმიტომ, რომ ხალხი მის დათმობას უღონობად და შეშინებად ჩათვლის. საფრანგეთმა ეს წესი მიატოვა, საფრანგეთის მინისტრებმა საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ თუ პრუსიამ ჩვენი სურვილი არ აასრულა, ომს გამოვუცხადებთო. ამის შემდეგ პრუსიას რომ უარი ეთქვა, მის პასუხს ყველა სიძაბუნესა და უღონობას მიაწერდა“ [4. 4].

„დროების“ მიერ მოყვანილი მოსაზრების მიუხედავად, პრუსიის მეფე ვილჰელმი, რომელსაც საფრანგეთთან მომავალი ომის ეშინოდა და არაფერი იცოდა ბისმარკის დიპლომატიურ ოინებზე, მოლაპარაკებას აწარმოებდა საფრანგეთის ელჩ ბენედეტთან. ცდილობდა მშვიდობიანი გზით გადაეჭრა ორ ქვეყანას შორის წარმოშობილი უთანხმოება. ბენედეტმა მოითხოვა პრუსიის მეფეს ლეოპოლდის კანდიდატურა მოეხსნა ესპანეთის სამეფო ტახტზე. მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა. ვილჰელმ I დათანხმდა ზემოქმედება მოეხდინა პრინც ლეოპოლდზე, რომ შეთავაზებულ ტახტზე უარი ეთქვა. 12 ივლისს ლეოპოლდმა, რომელიც „არარაობას წარმოადგენდა, შეეშინდა იმ როლის, რომელიც მას უნდა ეთამაშა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში, და უარი განეცხადა თავის პრეტენზიებზე ესპანეთის ტახტზე“ [2. 81].

ამაზე გაზეთი „დროება“ წერდა: „პრუსიის კაროლმა განუცხადა საფრანგეთის ელჩს, რომ ესპანეთის ტახტზე მეფის აყვანა ესპანელების საქმეა და ჩვენ ამაში არც სარგებლობა გვექნება, არც მონაწილეობა გვაქვსო. ამის გარდა, თვითონ ჰოჰენცოლერნმა გამოაცხადა, რომ სინდისი ნებას არ აძლევს, რომ მისი

გულისათვის ომი ატეხოს გერმანიასა და საფრანგეთს შუა. ამის გამო ესპანეთის ტახტზე გამეფებაზე უარს ამბობს, რაკი პრუსიამ ამნაირად უპასუხა საფრანგეთს და რაკი თვითონ ჰოჰენცოლერნის უარის თქმით ყოველივე ომის მიზეზი ისპობოდა“ [4. 4].

კონფლიქტი ამით თითქოს უნდა ამოწურულიყო, მაგრამ სწორედ ეს ხელს არ აძლევდათ საფრანგეთის და არა მარტო საფრანგეთის, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავდა „დროება“, არამედ პრუსიის იმ მმართველი წრეებს, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ომის გაჩაღებით. ნაპოლეონ III-ის მითითებით ბენედეტი კვლავ ეწვია ემსში ვილჰელმს და მოითხოვა მისგან წერილობითი ვალდებულება – კატეგორიულად აეკრძალა ლეოპოლდისათვის ესპანეთის ტახტის დაკავება იმ შემთხვევაში, თუ მას კვლავ შესთავაზებენ ამ ვაკანტურ ადგილს. პრუსიის მეფემ უარი განაცხადა დაეკმაყოფილებინა საფრანგეთის მთავრობის ეს უპრეცენდენტო მოთხოვნა. როდესაც ბენედეტი იმავე დღესვე გამოცხადდა პრუსიის მეფესთან აუდიენციისათვის, უკანასკნელმა არ მიიღო იგი. მეორე დღეს, 14 ივლისს მაინც შეხვდა ვილჰელმ I-ს სადგურზე, როცა მეფე ემსიდან კობლენცში მიემგზავრებოდა. ვილჰელმა ბენედეტს განუცხადა, რომ ვერაფერს დაუმატებდა წინათ თქმულს და მოლაპარაკება ბერლინში გაგრძელდებოდა. ვილჰელმის მითითებით საგარეო საქმეთა მრჩეველმა აბეკურმა ბისმარკს გაუგზავნა პარიზში გასაგზავნი დეპეშა, რომელშიც გადმოცემული იყო მეფესა და ბენედეტს შორის წარმოებული მოლაპარაკების შინაარსი [5. 739].

„დროებამ“ ასეთი აზრი გამოთქვა ვილჰელმსა და ბენედეტს შორის წარმოებული მეორე მოლაპარაკების გამო: „...საფრანგეთმა მოსთხოვა პრუსიის ხელმწიფეს, პირობა მოგვეცი, რომ თავის დღეში არ მისცემ ჰოჰენცოლერნს ესპანეთის ტახტზე ასვლის ნებასო. ეს მეტისმეტი შეურაცხყოფა იყო პრუსიისათვის. ამის გამო ხელმწიფემ აღარ მიიღო საფრანგეთის ელჩი. რასაკვირველის, ეს ამბავი ომის გამოცხადებას ნიშნავდა. საფრანგეთმაც პრუსიას ომი გამოუცხადა და პრუსიამ თავის მხრით საომრად თადარიგს მოსდგა“ [4. 4].

უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენები მთლიანად ისე არ წარმართულა, როგორც ამას გაზეთი აღნიშნავდა. აქ უკვე საქმეში ერევა ბისმარკი. იგი მეტად აღაშფოთა ემსში წარმოებული მოლაპარაკების შედეგებმა.

1870 წლის 13 ივლისს მან სტუმრად მიიწვია გენერალური შტაბის უფროსი მოლტკე, სამხედრო მინისტრი როონი. ბისმარკმა მათ გამოუცხადა, თუ პრუსიის მეფე არ შეცვლიდა თავის პოლიტიკას საფრანგეთის მიმართ, იგი გადადგებოდა. უფრო გვიან ბისმარკი თავის მემუარებში წერდა: „ჩვენი საუბრის დროს მოვიდა დეპეშა ემსიდან. მე წავუკითხე ეს დეპეშა ჩენს სტუმრებს. ამ დეპეშამ ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ჩვენ აღშფოთებული ვიყავით და ვფიქრობდით, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო და ომიც არ იქნებოდა. მაშინ მე კითხვით

მივმართე მოლტკეს – მზად ვიყავით თუ არა ჩვენ ომისათვის. მოლტკემ მიპასუხა: თუ ომი აუცილებელია, მისი გადადება ჩვენთვის არაა ხელსაყრელი. როონიც დაეთანხმა მას, მაშინ კიდევ ერთხელ გულდაგულ წავიკითხე დეპეშა, ავიღე ფანქარი და გადავშალე ზოგიერთი ადგილი მასში, დავტოვე მხოლოდ დასაწყისი და დასასრული. შემდეგ წავუკითხე ჩემს სტუმრებს დეპეშა ახალი რედაქციით, რომელიც ასე ჟღერდა: „მას შემდეგ, რაც პრინც ჰოჰენცოლერნის უარი ესპანეთის სამეფო ტახტზე ოფიციალურად შეატყობინეს საფრანგეთის სამეფო კარს, საფრანგეთის ელჩმა ემსში მის უდიდებულესობას წაუყენა მოთხოვნა: აღჭურვოს ის უფლებით, ტელეგრამით მოახსენოს პარიზს, რომ მისი უდიდებულესობა ვალდებულებს იღებს არასოდეს არ მიცეს თავისი თანხმობა ჰოჰენცოლერნის კანდიდატურას, თუ ისინი კვლავ დაუბრუნდებიან ამას. ამის შემდეგ მისმა უდიდებულესობამ უარი განაცხადა მიეღო კვლავ ერთხელ საფრანგეთის ელჩი და უბრძანა მორიგე ადიუტანტს გადაეცა მისთვის, რომ მის უდიდებულესობას არაფერი არ აქვს სათქმელი ალჩისათვის“.

დეპეშის ახალი რედაქციით მოლტკე და როონი აღტაცებულნი დარჩნენ. მოლტკემ აღნიშნა, რომ თუ ადრე ის უკან დახევის სიგნალად ისმოდა, ახლა გამომწვევი საპასუხო ფანფარის მსგავსად მოისმისო“ [6. 259-261].

ამის შემდეგ ბისმარკმა შეცვლილი დეპეშის ტექსტი გადასცა პრესაში გამოსაქვეყნებლად. იგი წინასწარ იყო დარწმუნებული, რომ ეს საფრანგეთის მმართველებს წონასწორობიდან გამოიყვანდა. „ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, – ამბობდა ბისმარკი, – რომ ჩვენ ვიყოთ თავდასხმის მსხვერპლი. გალელთა ქედმაღლობა და ფხუკიანობა დაგვეხმარება ამაში“ [6. 261].

ბისმარკი მართლაც არ შემცდარა თავის ვარაუდში. პარიზში უდიდესი აღშფოთება გამოიწვია „ემსის დეპეშის“ გამოქვეყნებამ „... საფრანგეთის პრესტიჟი უაღრესად შეურაცხყოფილია. ჩვენი ერთადერთი პასუხი ამ შეურაცხყოფაზე შეიძლება მხოლოდ ომი იყოს“. ასეთი იყო საფრანგეთის სამეფო კარის და ოფიციალური პრუსიის გამოხმაურება ბისმარკის პროვოკაციულ ნაბიჯზე [7. 16].

ბისმარკის დიპლომატიურმა ხრიკებმა საფრანგეთ-პრუსიის ომის გაჩაღებაში დიდი როლი შეასრულა. მოგვიანებით იგი თავის მემუარებში ცინიკურად წერდა: „... ყველაფერი გამოვიდა ისე, როგორც საჭირო იყო“ [6. 261].

ამ ინტრიგებთან დაკავშირებით ქართველმა საზოგადოებრიობამ არაფერი იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა (ბისმარკმა ხომ თავისი მემუარები რამდენიმე წლის შემდეგ გამოაქვეყნა), მაგრამ ამის მიუხედავად, „დროებამ“ სწორი ორიენტაცია მისცა მკითხველ საზოგადოებას იმ საბაბზე, რომელმაც აუცილებელი გახადა ომი საფრანგეთსა და პრუსიის შორის.

გაზეთი „დროება“ თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა ისტორიული პიროვნების შეფასებას. გაზეთში დაიბეჭდა სტატია „გრაფი

ბისმარკი“, რომელშიც ზუსტად არის შეფასებული მისი მოღვაწეობა: „...1848 წლიდან დაწყებული ბისმარკის წადილი ის იყო, რომ სამხედრო მხრით გაეძლიერებინა პრუსია. როცა ამნაირად გაამზადა პრუსია, შემდეგ ბისმარკი შეუდგა თავისი გეგმების ასრულებას. ათი-თუთხმეტი წლის წინად პრუსია იმდენად ძლიერი შეიქმნა, რომ იმასთან ფეხის წამოკვრა გერმანიაში მხოლოდ ავსტრიას შეეძლო. მაშ, თავისი გეგმების აღსასრულებლად უპირველესი ცდა ბისმარკისი ის უნდა ყოფილიყო, რომ დაემარცხებინა ავსტრია და იმასაც თავზე დასჯდომოდა. აი, მხოლოდ ეს ჰქონდა სახეში ბისმარკს 1866 წელს, როდესაც ომიანობა აუტეხა ავსტრიას და თავის გაწვრთნილი ჯარებით საშინელად დაამარცხა ის. 1866 წლის ომის შედეგი იყო, ერთი მხრით, ავსტრიის დამცირება. ამის გარდა, თვითონ პრუსია გაძლიერდა ზოგიერთი პატარა სახელმწიფოების შემატებით, რომელთაგან შედგა „ჩრდილოეთ გერმანიის კავშირი“ და რომელნიც ვალდებული იყვნენ ომიანობის დროს პრუსიას დახმარებოდნენ პრუსიისავე წინამძღოლობით.

ეს არის პირველი ნაწილი იმ გეგმისა, რომელიც ბისმარკს უნდა შეესრულებინა. სრული გეგმა იმას თხოულობდა, რომ ყველა გერმანიის სახელმწიფოები პრუსიისათვის ეძღვნა, მაგრამ 1866 წლის შემდეგ, სამხრეთი გერმანიის სახელმწიფოები სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ პრუსიისგან. წლევანდელი ომიანობა სულ იმ მიზეზით არის ატეხილი, რომ პრუსიას მისცემოდა შეძლება თავისი გეგმის სრულად ასრულებისა. ბისმარკი იმდენად გამჭრიახი ჭკუის კაცია, რომ კარგად იცის, რომ ძლიერი საფრანგეთის დამარცხების შემდეგ წვრილი გერმანიის სახელმწიფოები პრუსიას წინ ვეღარ დაუდგებიან. ყველასათვის ცხადია და გაზეთებშიც წერენ ახლა, რომ, თუ გამარჯვებული დაბრუნდა პრუსია საფრანგეთიდან, მთელი გერმანიის წვრილმანი სახელმწიფოები შეერთდებიან და ერთს საზოგადო კავშირს შეადგენენ და ამ კავშირში, რასაკვირველია, პირველი ადგილი პრუსიიას მიენიჭება. სხვებმაც რომ არ მიანიჭონ, თვითონ თავისი ძალით მიინიჭებს. ამნაირად, ბისმარკი ასრულებს თავის წადილსა. მოდი და ნუ იტყვი, რომ ამისთანა საქმეების გამკეთებელი კაცი შესანიშნავი კაციაო...“ [8. 2-3].

ომის დაწყების წინ „დროებამ“ თავის ფურცლებზე დაბეჭდა ორივე მეომარი მხარის – საფრანგეთისა და პრუსიის მეფეთა განცხადებები ომის წარმოშობის მიზეზებთან დაკავშირებით. აი ისინიც: „... 7 ივლისს რაიხსტაგში პრუსიის კაროლმა სხვათა შორის სთქვა ამ საგანზე. ისეთმა უბრალო მიზეზებმა, როგორიც ჰოჰენცოლერნის პრინცის კანდიდატობაა ისპანიის ტახტისათვის, აიძულა საფრანგეთის იმპერატირო ომიანობაზე, თუმცა თავიდან ჩვენ ვცდილობდით, რომ ხალხთა შორის სისხლისღვრა არ გაჩენილიყო, მაგრამ ნაპოლეონმა იმდენი უპატიურობა მოგვაყენა, რომ ომი, საუბედუროდ, აუცილებელი შეიქმნა. ჩვენ დავიწყებთ ომს თავისუფლების და სიმართლის დასაცველად ...

ომის დროს მხოლოდ ის გვექნება მიზნად, რომ მშვიდობიანობა ჩამოვაგდოთ ევროპის ხალხების შორის“ [9. 3].

17 ივლისს „ოფიციალურ გაზეთში“ დაბეჭდილია ნაპოლეონის პროკლამაცია, რომლითაც ის მიმართავს საფრანგეთის ხალხს: „1866 წელს და ამის შემდეგ მუდამ ვცდილობდით, რომ ჩვენსა და პრუსიის შუა კეთილი განწყობილება ყოფილიყო, მაგრამ იმან არ მიაქცია ყურადღება არც ჩვენ კეთილ განზრახვას და არც მოთმინებას. ის მუდამ ცდილობდა სხვა სახელმწიფოების და ქვეყნების დამორჩილებას. ამით დაიმსახურა მხოლოდ ის, რომ ყველანი განზე უყურებენ იმას. ამნაირად, პრუსიის წყალობით, ევროპა იძულებულია მუდამ მზად ჰყავდეს ჯარი საომრად. ასე რომ, ყველა შიშში და უწესობის მოლოდინშია ჩავარდნილი. ჩვენ გერმანიას კი არ ვეომებით, ჩვენ ყოველთვის პატივს ვცემთ გერმანიის დამოუკიდებლობას. ჩვენ მხოლოდ გვინდა ისე გავაწყოთ საქმეები, რომ არაფრის შიში არ გვქონდეს მომავალში. ჩვენი სურვილია მშვიდობიანობა დამკვიდრდეს ქვეყანაში“ [9. 4].

როგორც ვხედავთ, პრუსიისა და საფრანგეთის მეფეთა ამ განცხადებებს არაფერი საერთო არ აქვთ ომის წარმომშობ ნამდვილ მიზეზებთან. გაზეთი „დროება“ აღნიშნავდა: „ჩვეულებისამებრ მეომარი მმართველები ერთმანეთს ედავებიან, არა შენი ბრალია ომის ატეხა და არა შენიო. პრუსიისა და საფრანგეთის მმართველებიც ამგვარად ცდილობენ მოწინააღმდეგეს ბრალი დადონ საზოგადოების თვალში და ომის ატეხა თუ ბევრი სხვა ავკაცობა აკიდონ კისერზე, ათასნაირ გამტყუნებაში, ცილისწამებაში და დაბრალებაში. ყველაზე უფრო შესანიშნავი ისაა, რომელიც გამოთქვა პრუსიის უფროსმა მინისტრმა ბისმარკმა. მისი სიტყვით, საფრანგეთი დიდი ხანია აგონებდა პრუსიას, რომ თუ ეს უკანასკნელი სახელმწიფო საფრანგეთს დაეხმარებოდა და ბელგიას შეაძენინებდა, საფრანგეთი სამაგიეროდ პრუსიას სამხრეთ გერმანიას შეუერთებდა. როგორც ბისმარკი ამბობს, ამ მოლაპარაკებაში, სხვათა შორის, საფრანგეთს ლუქსენბურგზეც მიუქცევია ყურადღება, რადგანაც, – აგრძელებს ბისმარკი, – ჩვენ (პრუსია) ამ პირობაზე არ დავთანხმდით და საფრანგეთმა დაინახა, რომ პრუსია იმას ადგილების შეძენაში ვერ დაეხმარებოდა, საფრანგეთის მმართველობა ახლა ძალის დატანებით ჩვენი დახმარებით შეძენას აპირებსო“ [10. 1].

გაზეთი სწორ კომენტარს უკეთებს ამ განცხადებას: „ვინ იცის, ვინაა მართალი ამ საქმეში და ვინ მტყუანი. საქმე კი იმაშია, რომ ორივე მეომარ მხარეს სურს საზოგადოების თვალში მოწინააღმდეგე გააშავოს და მთელი ევროპის მშვიდობიანობის დამრღვეველად გამოიყვანოს“ [10. 1].

გაზეთ „დროებისათვის“ ნათელია იმ მეთოდთა უპატიოსნობა, რომლითაც მოქმედებენ საფრანგეთისა და პრუსიის მმართველი წრეების ომის შემზადების დროს. რაც შეეხება ბისმარკის განცხადებას, უნდა ითქვას, რომ ის ნაწილობრივ

სიმართლეს შეესაბამება. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ავსტრია-პრუსიის ომის წინ თვით ბისმარკმა შესთავაზა საფრანგეთის ნეიტრალიტეტი მომავალ ომში. რაც შეეხება ბელგიას, ნაპოლეონ III-მ თავად მოსთხოვა ბისმარკს ეს ქვეყანა, რაზეც ბისმარკს არც თანხმობა განუცხადებია და არც უარი უთქვამს, საფრანგეთის ყეყეჩმა იმპერეტორმა ეს თანხმობად მიიღო. როგორც ვიცით, ბისმარკმა მას არც ერთი დაპირება არ შეუსრულა, მაგრამ რაში დასჭირდა ცბიერ ბისმარკს საფრანგეთის იმპერატორთან წარმოებული საიდუმლო მოლაპარაკების სააშკარაოზე გამოტანა? ეს ბისმარკის ახალი დიპლომატიური ტრიუკი იყო. ბისმარკმა კარგად იცოდა, რომ ეს განცხადება ინგლისის აღშფოთებას გამოიწვევდა. თუ რატომ, ამას შემდეგ განვიხილავთ. საერთოდ კი, როგორც პროფესორი ვარლამ დონაძე აღნიშნავს, „დროების“ ამ „წერილში კარგად არის ნაჩვენები საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III-ის უტაქტობა, დოყლაპიობა და უმეცრება ამ დიპლომატიურ ბრძოლაში. ასევე დამაჯერებლად, ისტორიული სინამდვილის შესაბამისად არის მოთხრობილი პრუსიის პრუსიის პირველი მინისტრის ბისმარკის ოინბაზობა, მისი ცბიერება და დიპლომატიური თამაში, რომლის ამოცანა იყო ნაპოლეონ III-ის ჯერ დაპირებით გასულელება, შემდეგ კი მისი წონასწორობიდან გამოყვანა და პროვოკაციულად ომისკენ წაბიძგება“ [11. 74].

იმდროინდელი საფრანგეთში შექმნილ ვითარებას შესანიშნავად აღწერს ნიკო ნიკოლაძე „დროებაში“ გამოქვეყნებულ ისტორიული მიმოხილვაში „შარშან და შარშანწინ“. ავტორი მასში სრული სიმართლით აშუქებდა მეორე იმპერიის იმ რთულ შინავითარებას, რომელმაც ნაპოლეონ III აიძულა პრუსიისათვის ომი გამოეცხადებინა: „...ყოველთვის, როცა საფრანგეთის შინაგანი საქმეები სძრავდნენ საფრანგეთის ხალხში უკმაყოფილებას ნაპოლეონის მოდგმაზე, ეს მოდგმა ცდილობდა, რომ გარეგანი ომი აეტეხა, რომ ზარბაზნების გრიალით შინაგანი უსიამოვნების ჩურჩული მოესპო; ამნაირად მოქმედებდა როგორც პირველი, აგრეთვე მესამე ნაპოლეონი ამ უკანასკნელის დრში. საფრანგეთის შინაგანი მდგომარეობა, ნაპოლეონ მესამის მიზეზით, ძლიერ მძიმედ შეიძრა. იმის გამო, რომ ნაპოლეონის ტვირთი შიგნით საფრანგეთში ძლიერ გაუძნელდათ ფრანგებს... მეტად კი იმიტომ, რომ გარეგან საქმეებში ნაპოლეონის მმართველობა ორ-სამ ადგილას ძლიერ დამარცხდა. მექსიკაში, მაგალითად, მისგან დაფუძნებული იმპერია დაეცა. ევროპაში, პოლონეთის საქმეებში ნაპოლეონს სრულიად არა გამოუვიდა რა, როგორც დანიისა და სხვა საქმეებში.

პრუსიის გამარჯვებამ ავსტრიაზე სამოცდაექვსში მეტიმეტად გამოაშკარავა ნაპოლეონის პოლიტიკის შორგაუმჭვრეტელობა. ამის გამო ნაპოლეონის ტახტი თვით საფრანგეთში შეიძრა.

ამგვარის მდგომარეობაში ნაპოლეონმა განიზრახა ერთბაშად, ერთი „დიდებული“ მოქმედებით გაემაგრებინა თავისი შერყეული ტახტი ყუ-

რადღება უცხო ქვეყნების დავიდარაბაზე მიექცია. ამ განზრახვით მოჰკიდა იმან ხელი გერმანელების შეერთების სურვილს და გამოვიდა გერმანელების ამ შეერთების მოსაშლელად. მისი აზრით, დიდება იმაში მდგომარეობს, რომ თვითონ დიდი და ძლიერი იყო და გარშემო უძლური და სუსტი ხალხი გერტყას. ამისთან პირებისათვის, რასაკვირველია, გაუგებარია ის გრძნობა, რომ ნამდვილი დიდება იმაში მდგომარეობს, რომ პატიოსანი ადგილი გეკავოს და დიდი იყო დიდებაში. ამნაირად, ერთი მხრით, იყო გერმანიის შეერთების და ერთი „საერთო“ გერმანიის დაფუძნების სურვილი, მეორე მხრივ, საფრანგეთის წაქეზება ამ სურვილის წინააღმდეგ. შერყეული ტახტის გასამაგრებლად ამ ორმა მხარემ შეადგინა შარშანწინდელი ომი და დაბადა საშინელი სისხლისღვრა“ [12. 4]; [13; 3].

ომის დაწყების წინ გაზეთი „დროება“ მიმოიხილავს ევროპის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულებას ამ ომისადმი. ამ საკითხებს კომენტარს უკეთებს ნ.ნიკოლაძე. უნდა ითქვას, რომ ეს „დროების“ წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან ავსტრია-პრუსიის ომის დროს გაზეთი ასეთ საკითხს არ შეხებია. აი, როგორ აფასებს ინგლისის დამოკიდებულებას ომისადმი ნ. ნიკოლაძე. ჩვენთვის ეს მიტომაც არის საინტერესო, რომ ამ სტატიაში ნათლად არის დანახული ბისმარკის დიპლომატიური ტრიუკის ნამდვილი მიზანი, რაზეც ჩვენ ადრე გვქონდა ლაპარაკი. „საფრანგეთს ჩრდილოეთისაკენ აკრავს ბელგია, ...საფრანგეთი ცდილობს ბელგიის დაკავებას, მაგრამ მას წინააღმდეგობას უწევს ინგლისი. ბელგია რომ საფრანგეთს ჰქონდეს, იმას, ინგლისის აზრით, ადვილად შესძლება ზღვაზე ინგლისის დამარცხება...

ბისმარკმა კარგად იცოდა, რა ძვირფასია ინგლისისათვის ბელგიის ცალკე ყოფნა და რადგანაც მას სურდა, რომ ინგლისის ხალხი და მმართველობა საფრანგეთს მტრად აკიდებოდა, გამოაცხადა პირობის პროექტი, რომლითაც ნაპოლეონი ბელგიის შეძენას აპირებდა და მაგიერად ბისმარკს სამხრეთის გერმანიას აძლევდა. ინგლისის მმართველობა დაფაცურდა ბელგიის დასაცავად. ბევრი მოლაპარაკების შემდეგ ინგლისმა მოახერხა პირობის შეკვრა. ეს პირობა აწესებდა, რომ არც საფრანგეთი და არც გერმანია არ შეეხება ბელგიას. ეს სახელმწიფო პირობის ძალით ნეიტრალური უნდა დარჩეს“ [14. 3].

ასევე საინტერესოდ და მართებულად შეაფასა ნ. ნიკოლაძემ იტალიისა და ავსტრიის დამოკიდებულება მომავალი ომისადმი. „სამოცდა ექვსში, როცა პრუსია ავსტრიას ომს უცხადებდა, იტალია პრუსიას დაუახლოვდა და გაუამხანაგდა საერთო ომის მოსახდენად. ბრძოლაში ომის ღმერთმა (ან როგორც იტალიელები ამბობენ, იტალიის მმართველობამ) იტალიის ჯარს და ხალხს უმტყუნა. ავსტრიამ საზარლად დაამარცხა იტალია ... მაგრამ რადგანაც პრუსია ამ ომში გამარჯვებული დარჩა, იმან ავსტრია აიძულა დაეთმო იტალიისათვის ვენეცია თავისი მაზრით, რომლის საშოვნელად ომობდა იტალია. იტალიას მეორე

ქალაქის და მაზრის შოვნა იმნაირივე გულით სურდა, როგორც ვენეციის. ეს ქალაქი და მაზრა რომი „საეკლესიო“ სახელმწიფოა. რომი აქამომდე საფრანგეთის ჯარს ეკავა, და საფრანგეთი ეწინააღმდეგებოდა რომის იტალიასთან შეერთებას. მაშასადამე, გასაკვირველი არ უნდა ყოფილიყო, რომ იტალიას პრუსიასთან წლეულსაც პირობა და ამხანაგობა შეეკრა და მისი დახმარებით რომიც ისე ეშოვნა, როგორც 1866-ში ვენეცია იშოვა. მმართველობა დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთი გაიმარჯვებსო და ამის მიზეზით დიდი სინაზით ეპყრობოდა ნაპოლეონის მმართველობას. მწერლები ამნაირ მოქმედებას იმით ხსნიან, რომ იტალიის ხელმწიფე (ვიქტორ ემმანუილი) ნაპოლეონის ბიძაშვილის (პრინცი ნაპოლეონი) სიმამრია და ამის გამო ნაპოლეონის ტახტის დაცემა არ სურსო“ [14. 3].

იტალიასთან დაკავშირებით საჭიროა ცოტაოდენ მოვლენებს წინ გავუსწროთ. საბოლოოდ, იტალიისათვის უდიდესი მნიშვნელობა იქონია 1870 წლის 1 სექტემბერს სედანთან ფრანგების სასტიკმა დამარცხებამ. სედანის კატასტროფის შემდეგ, 20 სექტემბერს, იტალიის არმია შევიდა რომში და ამით დასრულდა იტალიის გაერთიანება.

რაც შეეხება ავსტრიას, ნიკო ნიკოლაძე წერს: „სადოვის დამარცხების აქეთ ავსტრიის მმართველობა და განსაკუთრებით მისი იმპერატორი ერთი აზრით ცხოვრობს და სუნთქავს: როგორმა პრუსიას დამარცხება გადაუხადოს და უწინდელივით პირველი ადგილი დაიკავოს გერმანიაში... მაგრამ ჯარისა და ჯიბის მდგომარეობა ავსტრიის ბრძოლაში გარევის ნებას არ აძლევს და თუმცა ავსტრია ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ძალიან გულით ცდილობდა საომრად დამაგრებულიყო, იმას ფეხზე დადგომა და ძალის მოპოვება მაინც ვერ მიუხერხებია. მართალია, საფრანგეთის დახმარებით, ავსტრიას ადვილად შეეძლო ომში გარევა და პრუსიის საქმის გაჯანჯლება, მაგრამ რაკი ომში გაერევა ავსტრია, მაშინ სხვა სახელმწიფოებმაც უნდა გამოიღონ ხელი. პრუსიის მხრით ეს გარემოება აკავებთ ავსტრიის ჯარის უფროსებს. თვითონ ხალხს კი განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც გერმანელები სახლობენ, ის გარემოება აკავებს, რომ გერმანიის წინააღმდეგობა და გერმანიის მტრის დახმარება ავნებს საერთო მამულს, გერმანიას“.

ავსტრიასთან დაკავშირებით დამატებით შეიძლება ითქვას ის, რომ ავსტრიის ბურჟუაზია ომში ჩარევის წინააღმდეგი იყო, ასეთივე აზრი ჰქონდა უნგრეთის თავადაზნაურობას. მათ ეშინოდათ, თუ ავსტრია სამაგიეროს გადაუხდიდა პრუსიას, ის წაართმევდა პრივილეგიებს უნგრეთის გაბატონებულ კლასს, რომელიც 1867 წლის შეთანხმებით მიიღეს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ავსტრიისათვის ჰქონდა რუსეთის დამოკიდებულებას ამ ომთან.

ნიკო ნიკოლაძე სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეხებია რუსეთის იმპერიის დამოკიდებულებას საფრანგთ-პრუსიის ომისადმი. „თქვენ ფიქრობთ, რომ

მხოლოდ თქვენ გაქვთ თავმოყვარეობა, – უკმაყოფილოდ უთხრა ალექსანდრე II-მ პეტერბურგში თავის საყვარელ საფრანგეთის ელჩს გენერალ ფლიურს“ [5. 740]. ასე მარტივად აფასებდა მომავალ ომს რუსეთის იმპერატორი. რა თქმა უნდა, პეტერბურგში ეშინოდათ პრუსიის გაძლიერების, მაგრამ არც ის დავიწყებიათ, რომ ნაპოლეონ III იყო რუსეთისათვის დამამცირებელი პარიზის ზავის ერთ-ერთი ინიციატორი. ახსოვდათ აგრეთვე, თუ როგორ ჩაერია საფრანგეთი რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობაში პოლონეთის 1863 წლის აჯანყების დროს. ყოველივე ამას რუსეთ-პრუსიის დაახლოება მოჰყვა.

პეტერბურგში იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ საფრანგეთის გამარჯვება გააძლიერებდა ავსტრია-უნგრეთს. ამას მოჰყვებოდა პოლონეთის აღორძინების ცდა, რაშიც მონაწილეობას მიიღებდა თურქეთიც. ჯერ კიდევ 1868 წელს ალექსანდრე II-მ აღუთქვა ვილჰელმს, რომ თუ მოხდებოდა საფრანგეთ-პრუსიის ომი და ომში ჩაებმებოდა ავსტრია, რუსეთი დაეხმარებოდა პრუსიას [5. 741].

1870 წლის 11 ივლისს გამოქვეყნდა რუსეთის ნეიტრალიტეტის დეკლარაცია მომავალ ომში. ეს დეკლარაცია „დროებაშიც“ დაიბეჭდა: „ მისი იმპერატორობით დიდებულების ნებით ხმარებული იქნა ყოველი საცადი პრუსიისა და საფრანგეთს შუა ომის მოსაშლელად. ხელმწიფე იმპერატორი დიდად წუხს ომზე და შეურყეველს გადაწყვეტილებას იღებს – დაიცვას სასტიკი ნეიტრალიტეტი, სანამ რუსეთის ინტერესები შეუხებელნი დარჩებიან“ [4. 4].

საერთოდ უნდა აღენიშნოს, რომ საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871 წლების ომმა დიდი რეაქცია გამოიწვია რუსეთის საზოგადოებრივ წრეებში. დაიწყო ბრძოლა საზოგადოებრივ მიმართულებებს შორის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის საკითხებზე, გამოააშკარავა ღრმა უფსკრული, რომელიც არსებობდა რუსეთის ოფიციალურ დიპლომატიურ კურსსა და პროგრესული საზოგადოებრივი ძალების აზრს შორის. ამარტივებდა რა ამ რთულ პრობლემებს, ბისმარკი აღნიშნავდა: „1870 წელს რუსეთს რომ მთელი რუსი ხალხის ნებით ეხელმძღვანელა, მაშინ რუსეთის მეფის არმია გამოვიდოდა გერმანიის წინააღმდეგ. მხოლოდ მეფის პირადმა სიმპათიამ გერმანიის მიმართ შესაძლებელი გახდა საწინააღმდეგო პოლიტიკის დამარცხება“ [15. 1-3].

ეს ომი დიდ ინტერესს იწვევდა ქართველ საზოგადოებაშიც. გამოთქვავდნენ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს. როგორც ცნობილია, გრიგოლ ორბელიანი და მისი ნაცნობ-მეგობრები კოჯორში ხშირად დაობდნენ ომზე. ერთნი პრუსიას „იცავდნენ“, მეორენი – საფრანგეთსა და ზოგჯერ გაებუტებოდნენ კიდევაც ერთმანეთს“ [16. 193].

ნ. ნიკოლაძე შესანიშნავად გამოხატა ევროპის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულება საფრანგეთ-პრუსიის ომისადმი: „საზოგადოდ, მთელი ევროპა ომის დაბოლოებას უცდის. ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მთელი

ევროპა უცდის თუ რომელ მხარეს დარჩება გამარჯვება ახლანდელ ომში. რასაკვირველია, რომ ევროპა ეცდება არ გააძლიეროს ნამეტნად და არც ნამეტნად დააუძლუროს არც ერთი მეომარი მხარე [14. 3].

დასკვნა

ამრიგად, გაზეთი „დროება“ თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა ევროპაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების გაშუქებას, სახელდობრ, საფრანგეთ-პრუსიის ომისადმი ევროპის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულების ჯეროვან ჩვენებას. გაზეთი სათანადო ადგილს უთმობდა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების შეხედულებების ამ ომთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „დროება“, 1870, N 31.
2. Ерусалимский А.С. Бисмарк. Дипломатия и милитаризм. М.: Наука б 1968.
3. Потштейн Ф.А. Из историй Прусско-германской империи. М. – Л: Акад. Наук. СССР. К, 1948.
4. გაზეთი „დროება“, 1870, N 28.
5. История дипломатии, Под. Ред. В.А.Зорина. М.Госполитиздат, 1959, изд. 2-е Т.I.
6. Бисмарк. Отто. Мысли и воспоминания Оттона фон Бисмарка. СПБ, 1899.
7. ახალი ისტორია (მეორე პერიოდი) 6/ 1-თბ. თბ., უნ-ტი, 1973.
8. გაზეთი „დროება“, 1870, N 41.
9. გაზეთი „დროება“, 1870, N 30.
10. გაზეთი „დროება“, 1870, N 31.
11. დონაძე ვ., საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტიური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა, თბ., 1978.
12. გაზეთი „დროება“, 1872, N 1.
13. გაზეთი „დროება“, 1872, N 2.
14. „დროება“, 1870, N 35, გვ. 3
15. Шнеерсон Л.М., Франко-прусская война и Россия. Из историй русско-прусских и русск –французских отношений в 1867-1871 г.г., Минск: БГУ.
16. მაღრაძე ე., გრიგოლ ორბელიანი. წერილები. თბ., 1989.

The final stage of Germany's unification - France-Prussian war issues on the newspapers "Droeba" (1886-1885)

Shota Malazonia, PhD student
Georgian Technical University

Summary

The work deals with the only major political-literary body of the Georgian periodic press of the second half of the 19th century, the attitude of the newspaper "Droeba" (1866-1885) to one of the most important events of the new world history, the final stage of the unification of Germany - the French-Prussian War.

The author reviews the viewpoint of "Droeba" of the reasons for the French-Prussian war and the reasons. The article is further analyzed and analyzed the goals and attitudes of European big states - England, Austria, Hungary, Italy and Russia towards one of the most dangerous conflicts of Europe at that time.

The author emphasizes the importance of the Georgian publicists' attitude towards the French-Prussian War, reflecting the fact that the newspaper does not touch the issue at the first stage of Germany's unification.

The work focuses attention on the attitude of Georgian political observers towards the French "Prussian War" - the Chancellor Otto von Bismarck and the French Emperor Napoleon III.

საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები

ზურაბ მახარაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი რათქმაუნდა რუსეთის ფედერაციის პოლიტიკაა. რუსულმა მხარემ არაერთხელ დააფიქსირა, რომ საქართველოს და ზოგადად ნებისმიერი პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ნატოში გაწევრიანებას საკუთარი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების გამო-წვევად აღიქვამს. საქართველოს და უკრაინის მოვლენებმა ცხადყო, რომ რუსულ მხარეს შეუძლია და აქვს პოლიტიკური ნება, ძალის გამოყენებით შეუშალოს ხელი ამგვარ მოვლენების განვითარებას. პრობლემა დიდწილად იმაშიცაა, რომ ამას ნატოს წევრი ქვეყნებიც ათვიცნობიერებენ.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში წევრობისთვის, აუცილებელია მისი ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობა, ხოლო ევროპულ სახელმწიფოთა ნაწილი სულაც არ არის განწყობილი რუსული მხარის პროვოცირებისკენ, ამგვარი კონსესუსის ალბათობა საგრძნობლად მცირდება. შეიძლება დავასკვნათ რომ მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში საქართველოს გაწევრიანება ნატოში დიდი ალბათობით ვერ მოხერხდება. ასევე გასათვალისწინებელია ის შესაძლო სცენარიც, თუ რას მოიმოქმედებს რუსული მხარე ამგვარი ჰიპოთეტური თანხმობის მიღების შემთხვევაში.

შესავალი

ნატო არის სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეიქმნა. მისი უმთავრესი ამოცანა იყო წევრის სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ცივი ომის პირობებში. ორგანიზაციის დამფუძნებელ დოკუმენტში განსაზღვრულია როგორც კოლექტიური თავდაცვის ფუნდამენტური პრინციპები, ისე ახალი სახელმწიფოს მიღების წესი და რადგან ეს ორი საკითხი ჩვენი თემისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, ისინი დეტალურად უნდა გავაანალიზოთ.

ძირითადი ნაწილი

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პროცესი. პრინციპი „თავდასხმა ერთ წევრზე ნიშნავს თავდასხმას ყველა წევრზე“ არის უსაფრთხოების მთავარი გარანტი. ამ პრინციპის უმთავრესი არსი იმაში მდგომარეობს, რომ

ნატო-ს წევრი ნებისმიერი ქვეყნის წინააღმდეგ თავდასხმა ნიშნავს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ომს. ეს უკანასკნელი კი პლანეტის მასშტაბით ყველაზე ძლიერ სამხედრო ძალაა. სუპერ სახელმწიფოს სამხედრო ქოლგის ქვეშ არსებული გარანტირებული უსაფრთხოების ზონა იყო სწორედ ის მთავარი ფაქტორი, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპის გაერთიანების პროცესის დაწყება და ევროკავშირის ფორმირება. სწორედ ეს უსაფრთხო სივრცეა ჩვენი უმთავრესი მიზანი. თუმცა, ამავდროულად, ისმის შეკითხვა: სჭირდება კი ამ სივრცეს გაფართოება ჩვენ ხარჯზე და მზადა არის თუ არა ის, გასწიოს რისკები, რომლებიც ამ გაფართოების პროცესის დაწყებამ შეიძლება, გამოიწვიოს?

საქმე იმაშია, რომ სივრცე, რომელიც ჩვენთვის სიმშვიდისა და უსაფრთხოების გარანტიაა, მთავარი მოთამაშისა და ამ სიმშვიდის გარანტორი ძალისთვის, ანუ აშშ-სთვის სამხედრო ამოცანების გადაჭრის არეალია; საქართველოს ტერიტორიამ უნდა მისცეს მას დამატებითი სამხედრო შესაძლებლობები, რომლებიც პოტენციურად, ბევრად უფრო ღირებული იქნება, ვიდრე მოსალოდნელი რისკები.

ცალსახაა, რომ სამხედრო თვალსაზრისით საქართველო კავკასიის გასაღებია; ერთი მხრივ, იგი არის ნატო-ს წევრ თურქეთსა და მის მოკავშირე აზერბაიჯანს შორის დამაკავშირებელი რგოლი და მასზე გადის სატრანსპორტო და ენერგომატარებლების მარშრუტები. მეორე მხრივ, იგი არის შემაერთებელი რგოლი რუსეთსა და მის მოკავშირე სომხეთს შორის. სომხეთისთვის კი საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო კორიდორი, რომლითაც რუსეთთან ხორციელდება ტვირთბრუნვა და ენერგომატარებლების იმპორტი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან თურქეთისა და აზერბაიჯანის მიმართულება მისთვის დახურულია. თურქეთის შემთხვევაში მუშაობს სომეხთა გენოციდის თემატიკა და ტერიტორიული ურთიერთპრეტენზიები, ხოლო აზერბაიჯანთან – ყარაბაღის კონფლიქტი, რომელიც პერიოდულად მწვავდება და ფაქტობრივად მუდმივი საბრძოლო მოქმედებების მდგომარეობაში ამყოფებს ორ ქვეყანას.

აქედან გამომდინარე, თუკი რუსეთი შეძლებს საქართველოს ტერიტორიის სრულ კონტროლს, მისი სრული ზეგავლენის ქვეშ ავტომატურად ექცევა, ასევე, აზერბაიჯანი, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-ს ძალების განლაგების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანის ხაზის შეკვრა, რაც სომხეთის იზოლაციას და რეგიონის დაკარგვას ნიშნავს რუსეთისთვის, რომელსაც ამ სცენარის განხორციელების შემდგომ პრობლემები უკვე ჩრდილოეთ კავკასიაში შეექმნება.

ამ მსჯელობის ფარგლებში 2008 წლის ომი შესაძლებელია, განსხვავებულ კონტექსტში დავინახოთ, კერძოდ, როგორც გზავნილი ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის, რომ იგი კავკასიის რეგიონის დაკარგვას არ დაუშვებს და მზად

არის სამხედრო დაპირისპირებაზეც წავიდეს აღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად.

ასეთ რთულ სიტუაციაში რა გზა უნდა გაიაროს საქართველომ იმისთვის, რომ გახდეს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი?

უნდა მოხდეს ორი პროცესის თანხვედრა, კერძოდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა ჩათვალოს, რომ შესაძლო რისკები და ესკალაცია ღირს იმ სარგებლად, რომელსაც მას საქართველოს ნატო-ში ყოფნა მოუტანს. მთავარმა მოთამაშემ საკითხი პრინციპულად უნდა დააყენოს და არა რიტორიკის დონეზე. გარდა ამისა, ამავე საკითხზე კონსენსუსს ნატო-ს სხვა წევრებმაც უნდა მიაღწიონ; სხვა სიტყვებით, ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა, რომელთა შორისაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია გერმანიისა და საფრანგეთის პოზიცია, უნდა გადაწყვიტონ, ღირს თუ არა რუსეთთან იმ გამწვავებაზე წასვლა, რომელიც საქართველოს ნატო-ს წევრად მიღებას შეიძლება, მოჰყვეს (არსებული წესების თანახმად, სახელმწიფოს ნატო-ს ახალ წევრად მიღება ნატო-ს მხოლოდ ყველა წევრის თანხმობით ხდება) [1].

ჯერ ცოტა ხნით გვერდზე გადავდოთ ამერიკის მიერ მსგავსი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და განვიხილოთ გერმანიისა და საფრანგეთის შესაძლო თანხმობის საკითხი. ამ სახელწიფოებზე მსჯელობა საჭიროა იმდენად, რამდენადაც ისინი ეკონომიკურად და პოლიტიკურად ევროკავშირის ლიდერები არიან და მათი თანხმობის შემთხვევაში საეჭვო იქნება, რომ ამერიკისა და მათი გაერთიანებული პოლიტიკური წნეხის წინააღმდეგ ნატო-ს სხვა რომელიმე წევრი წავიდეს. რაში უნდა სჭირდებოდეს გერმანიას ან საფრანგეთს საქართველოს მიღება ნატო-ში?

როგორც უკვე ვთქვით, აღნიშნული ქვეყნებისათვის ნატო უსაფრთხოების ქოლგაა, რომელიც მათ კეთილდღეობას უზრუნველყოფს. თუკი ახალი სახელმწიფოს მიერთება არ იწვევს რაიმე საგრძნობ ზიანს მათი ნაციონალური ინტერესებისათვის, ისინი ახალი ელემენტის ინტეგრაციის წინააღმდეგნი არ უნდა იყვნენ. თუმცა საქართველოს შემთხვევაში, როდესაც დიდია რუსეთთან ისედაც დაძაბული ურთიერთობების კიდევ უფრო გამწვავების შანსი, გაუგებარია, რატომ უნდა დათანხმდნენ ისინი ამ ავანტიურაზე. მეტიც, ევროპისთვის რუსეთი ენერგომატარებლების წყარო და პროდუქციის გასაღების უზარმაზარი ბაზარია, ხოლო საქართველო – უბრალოდ ტერიტორია, რომლისგანაც რაიმე მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს არ უნდა ელოდნენ. მეორე მხრივ, თუკი ნატო-ს მთავარი არსი ამ ქვეყნებისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, ხოლო ჩვენი ინტეგრაცია ამ უსაფრთხოებას ეჭვის ქვეშ აყენებს, კიდევ უფრო გაუგებარი ხდება, რატომ უნდა გასწიონ მათ ამგვარი რისკი. ამდენად, თუ საერთაშორისო სიტუაციაში კარდინალური ცვლილებები არ მოხდება, რომელთა მასშტაბის პროგნოზირებაც ამ ეტაპზე შეუძლებელია, მოკლე და საშუალო პერსპექტივაში ნატო-ს შიგნით ვერ იქნება მიღწეული კონსესუსი საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ.

რაც შეეხება ამერიკის ინტერესებს, უდავოა, რომ კავკასიის რეგიონის სრული კონტროლი, რის გასაღებიც საქართველოა, ამერიკისთვის ფრიად სასარგებლო იქნებოდა. საკითხავი მხოლოდ ის არის, არსებობს თუ არა აღნიშნული ამოცანის გადაჭრის რეალური შესაძლებლობა. პირველ რიგში რაც უნდა აღვნიშნოთ, ის არის, რომ შავი ზღვის რეგიონში ამერიკას უკვე ჰყავს სტრატეგიული მოკავშირე და ნატო-ს წევრი ქვეყანა თურქეთის სახით. აქედან გამომდინარე, იმის მტკიცება, რომ საქართველოში სამხედრო ბაზების განთავსება ამერიკისთვის სასიცოცხლო ინტერესია, არასწორია. მართალია, ბოლო დროს თურქეთში განვითარებულმა მოვლენებმა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის სახით და პრეზიდენტ ერდოღანის შემდგომმა ქმედებებმა პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ შესაძლოა, თურქეთის აშშ-ის მიმართ ლოიალურობასთან დაკავშირებით ეჭვები გააჩინა, მაგრამ მაინც სწორედ ეს ქვეყანა არის და მომავალშიც დარჩება ამერიკის მთავარ სამხედრო დასაყრდენად შავი ზღვის რეგიონში. ამდენად, შეგვიძლია, ამერიკის ინტერესები განვსაზღვროთ როგორც სურვილი და არა პრინციპული და უპირობო ნება, დაიკავოს სამხრეთ კავკასიის რეგიონი.

რაში მდგომარეობს რისკები, რომლებიც ამერიკელებს და მათ ევროპელ პარტნიორებს შეიძლება, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობით შეექმნათ?

21-ე საუკუნის დასაწყისში რუსეთისა და ნატო-ს შესაძლო კონფ-ლიქტზე აღარავინ საუბრობდა და მიიჩნეოდა, რომ ეს ყველაფერი ცივი ომის დასრულებასთან და საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად ისტორიას ჩაბარდა. ახლა კი, როდესაც უკვე გამოვლილი გვაქვს 2008 წლის ომი, უკვე დამდგარი ფაქტია რუსეთის მიერ ყირიმის მიერთება და ომი აღმოსავლეთ უკრაინაში და ახლაც მიდის აქტიური საბრძოლო მოქმედებები სირიაში, მსგავსი ილუზიების ცოტას თუ სჯერა. ერთადერთი, რაზეც კამათი მიდის, კონფლიქტის ბუნებაა. ზოგს იმედი აქვს, რომ ეს ყველაფერი ეპიზოდური გამწვავებაა და უახლოეს მომავალში რუსეთი გარე ზეწოლით შეცვლის პოლიტიკას ან ეკონომიკური და პოლიტიკური წნეხის ქვეშ დაიშლება. სხვები კი უკვე ღიად აცხადებენ, რომ მსოფლიო ახალი ცივი ომის ფაზაში შევიდა და ყველაფერი ჯერ მხოლოდ იწყება.

მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში რაც არ უნდა მოხდეს, რუსეთი ჯერჯერობით მაინც რჩება ისეთ ფაქტორად, რომელსაც შეუძლია, საქართველოს ნატო-ში წევრობა შეუძლებელი გახადოს. რუსეთის უმაღლესი თანამდებობის პირებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ისინი არ მოითმენენ ნატო-ს ინფრასტ-რუქტურას საკუთარ საზღვრებთან.

ვლადიმერ პუტინის განცხადებით: „ნატო-ს გაფართოების პროცესს არ აქვს რაიმე კავშირი თავად ალიანსის მოდერნიზაციასთან ან ევროპის უსაფ-რთხოების უზრუნველყოფასთან. პირიქით, ეს სერიოზული მაპროვოცირებელი ფაქტორია, რომელიც ორმხრივი ნდობის ხარისხს ამცირებს“ [2].

რუსეთის მიერ ნატო-ს გაფართოება ყოფილი საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირე ქვეყნების ტერიტორიაზე აღიქმება, როგორც მტრული ინტერვენცია მისი გავლენისა და ინტერესის სფეროში. რა თქმა უნდა, საერთაშორისო სამართალი არ იცნობს გავლენის სფეროების ცნებას, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ, ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართალი, როგორც რაიმე რეალური ფაქტორი, გლობალურ მოთამაშეებს შორის არსებულ ურთიერთობებში აღარ არსებობს. რასაკვირველია, იგი ისეთ ქვეყანასთან მიმართებით, როგორიც საქართველოა, მუშაობს, მაგრამ ამერიკის, რუსეთის და ჩინეთის შემთხვევაში მასზე აპელირება უგუნურობაა. ამისთვის საკმარისია, გავიხსენოთ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარება, ამერიკის ინტერვენცია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გაეროს მანდატის გარეშე, ჩინეთის მიერ სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე ტერიტორიული პრეტენზიების გამოცხადება, რაც, საერთაშორისო ზეწოლის მიუხედავად, კვლავ ძალაშია. ამდენად, ჩვენ მოგვიწევს ვიმსჯელოთ და შევაფასოთ მოვლენები რეალური პოლიტიკის კუთხით. ამგვარი ლოგიკის შიგნით კი რუსეთი მკაფიოდ აფიქსირებს, რომ კავკასიის რეგიონს საკუთარი სამხედრო ინტერესების სფეროდ განიხილავს; რუსეთი და სომხეთი მოკავშირეები არიან, ხოლო რუსული სამხედრო ბაზა ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე რუსეთის პირველი დაცვის ზოლია, ხოლო ამ მოკავშირესა და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიას შორის განლაგებულია საქართველო, რომელსაც ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრობა სურს. დავუმატოთ ამას ის ფაქტი, რომ სომხეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება აზერბაიჯანი, რომელთანაც მას საომარი მდგომარეობა აქვს მთიან ყარაბაღში, ხოლო დასავლეთიდან თურქეთი, რომელიც აზერბაიჯანის მოკავშირეა და სომეხთა გენოციდის თემიდან გამომდინარე ამ ორ ქვეყანას შორის ფრიად სპეციფიკური ურთიერთობები არსებობს. ასე რომ, რუსეთის მიერ საკუთარ მოკავშირესთან და თავის ბაზებთან მიმავალი გზა სწორედ ჩვენ ქვეყანაზე გადის. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგები ხდება, რომ საქართველოს შემთხვევაში რუსეთმა შესაძლებელია, განსაკუთრებული პრინციპულობა გამოიჩინოს. რუსეთი ნატო-ს გაფართოებას საკუთარი ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედაც აღიქვამს.

„ნატო-ს გაფართოება და ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემების განლაგება რუსეთს აიძულებს ამაზე რეაგირება მოახდინოს“, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა [3].

საქართველოს რეგიონებში, რომლებიც რუსეთის დეფაქტო კონტროლქვეშაა, მობილიზებულია საგრძნობი სამხედრო პოტენციალი. ეს სამხედრო პოტენციალი ასევე მეტყველებს მის არაორაზროვან განზრახვაზე, არ დაუშვას საქართველოს ტერიტორიაზე მისთვის მტრული ძალების გამოჩენა.

დამატებითი ხელშემშლელი ფაქტორები. გასათვალისწინებელია ის ზოგადი მდგომარეობა, რომელიც გლობალური მასშტაბით შექმნილია საერთაშორისო სივრცეში და რომელსაც მართალია, პირდაპირი კავშირი არ აქვს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებასთან, მაგრამ ირიბად მაინც ახდენს გავლენას აღნიშნულ პროცესებზე.

მაიდანმა, რუსეთის მიერ ყირიმის საკუთარ ტერიტორიად გამოცხადებამ და სამოქალაქო ომმა უკრაინის აღმოსავლეთში პოლიტიკური ინტერესების ფოკუსი თავის მხარეზე გადაიტანა და ამჟამად 2008 წლის კონფლიქტი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ნატო-ში ინტეგრაცია აღარ არის მნიშვნელოვნად განსახილველი თემები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შიდა პოლიტიკურ სივრცეში ხშირია ბრალდებები იმის შესახებ, რომ ამის გამომწვევი მიზეზი ჩვენი ხელისუფლების პასიურობაა, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, აქ უფრო მეტად გარე ფაქტორები მუშაობს, ეს გარე ფაქტორები კი ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ამჟამად ჩვენი მოკავშირეებისა და მტრების ყურადღების ცენტრში ახლო აღმოსავლეთი და სირიაში მიმდინარე კონფლიქტია. შესაბამისად, სიტუაციის მეტად და მეტად გამწვავების ფონზე საქართველოს ნატო-ში შესვლის თემა ამ ეტაპზე ახალი დაძაბულობის წერტილის შექმნის მცდელობა უფრო იქნება, ვიდრე რეალური ნაბიჯი ჩვენი კოლექტიური უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მოხვედრისკენ მიმავალ გზაზე.

შიდა პოლიტიკური წინააღმდეგობები. ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკაშიც გამოჩნდებიან ისეთი ძალები, რომლებიც აშკარად დაუპირისპირდებიან ნატო-ში შესვლის თემას და თავიანთ პრორუსულ ორიენტაციას დააფიქსირებენ, მაგრამ ასეთები, როგორც წესი, მარგინალური ჯგუფები არიან და რაიმე ხელშესახებ პოლიტიკურ რესურსს არ ფლობენ. ერთადერთი, რისი უზრუნველყოფაც მათ შეუძლიათ, არის მედია საბაბები რუსეთისთვის, რათა რუსეთმა თავისი საკმაოდ ეფექტიანი ინფორმაციული ომის რესურსები სრულად გამოიყენოს და შექმნას სურათი საკუთარი სივრცის შიგნით, თითქოს საქართველოში ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს ძლიერი სახალხო წინააღმდეგობა უპირისპირდება. თუმცა ეს ყველაფერი, როგორც უკვე ითქვა, უფრო საინფორმაციო ომის სფეროა, ხოლო რეალურ პოლიტიკურ ძალებს შორის ფორმალურად მაინც ყოველთვის არსებობს კონსესუსი ნატო-ში ჩვენ მისწრაფებასთან დაკავშირებით.

მთავარ პოლიტიკურ წინააღმდეგობად ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სივრცეში ცალსახად ოკუპირებული ტერიტორიების თემაა. თუ საქართველოს ნატო-ში წევრობის საკითხი რეალურად მაინც დადგა დღის წესრიგში, დიდი შანსია, რომ იგი უშუალოდ დაუკავშირდეს ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების საკითხის მოგვარებას, რადგან ძნელად წარმოსადგენია, ნატო-ში მიიღონ ქვეყანა, რომლის ტერიტორიების ნაწილიც ამჟამად მტრულად განწყობილი მესამე მხარის კონტროლქვეშაა (საქართველოს ნატო-ში წევრობის

შემთხვევაში კოლექტიური თავდაცვის ვალდებულება დიდი ალბათობით ოკუპირებულ ტერიტორიებზეც გავრცელდება). როგორ უნდა მოიქცეს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი, რომელიც საქართველოს ამჟამად აღიარებულ საზღვრებში მიიღებს და იურიდიული თვალსაზრისით ჩვენ გაწევრიანებასთან ერთად შეიქმნება სიტუაცია, რომ ნატო-ს წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე მტრული სახელმწიფოს ჯარია განლაგებული? თუ გამოვრიცხავთ მოვლენების განვითარების ისეთ სცენარს, რომლის მიხედვითაც საქართველოს გამო ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის გლობალური თერმობირთვული კონფლიქტი იწყება (რაც არც რეალურია და არც სასურველი), ლოგიკურად ჩნდება დასკვნა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ნატოში გაწევრიანება შესაძლებელია პოლიტიკური სასწორის ორ სხვადასხვა პინაზე აღმოჩნდეს. რა უნდა გააკეთონ ამ შემთხვევაში ქვეყანაში მოქმედმა პოლიტიკურმა ძალებმა? ერთი მხრივ, ნებისმიერი პოლიტიკური პარტია ან კოალიცია, რომელიც დათანხმდება ჩვენ ტერიტორიებთან მიმართებით რაიმე სახის დათმობას, ავტომატურად დაკარგავს მოსახლეობის მხარდაჭერას და მისი ეს ქმედება ღალატის ტოლფასი იქნება. ამდენად, ასეთი ქმედება ფაქტიურად პოლიტიკური თვითმკვლელობაა. მეორე მხრივ, ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის სახელმწიფო იდეოლოგიისა და პოლიტიკის უმთავრესი ქვაკუთხედი ბოლო ათწლეულების მანძილზე; ნებისმიერი განცხადება იმის თაობაზე, რომ ჩვენ უარს ვამბობთ ევროატლანტიკურ კურსზე, ავტომატურად გამოიწვევს როგორც საგარეო მხარდაჭერის დაკარგვას, ისე სერიოზულ შიდა არეულობას. ამგვარი უარი ავტომატურად გაიგივებული იქნება აშკარა პრორუსულ კურსად და კოლაბორაციონიზმად, ასევე გამოცხადდება ღალატად. მაშ, როგორ უნდა მოიქცეს პოლიტიკური ძალა, თუკი მას გადამწყვეტ მომენტში გადაწყვეტილების მიღება მოუწევს?

მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება არჩევანი, ამ გადაწყვეტილების მიმღები ძალის პოლიტიკური მომავალი დიდი ალბათობით შეეწირება ზემოხსენებულ პროცესებს.

აქედან გამომდინარე, მმართველი პოლიტიკური ძალისთვის აღნიშნული თვალსაზრისით ოპტიმალურ მდგომარეობა არსებული მოცემულობის მაქსიმალურად ხანგრძლივი დროით გაყინვაა; ვიდრე არჩევანის გაკეთება აუცილებელი არ არის, შესაძლებელია სიტუაციური ლავირება.

წარმოსახვითი ექსპერიმენტი. მე გთავაზობთ, ჩავატაროთ წარმოსახვითი ექსპერიმენტი და მოვახდინოთ ყველაზე საუკეთესო სცენარის მოდელირება, რომელიც კი ამჟამად შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ. კერძოდ, ჩვენ მიერ შექმნილ სცენარში ყველა ზემოთ განხილული პოლიტიკური და ფორმალური პრობლემა დაძლეულია, კერძოდ, არანაირი ფორმით პრობლემა არ არის დაკარგული ტერიტორიები, დაძლეულია ევროპული სახელმწიფოების პოზიცია და არსებობს

კონსესუსი ალიანსში ჩვენ მიღებასთან დაკავშირებით; ჩავთვალოთ, რომ ერთ თვეში ტარდება სამიტი, რომელზედაც საქართველო ყოველგვარი „MAP-ის“ გარეშე ნატო-ს წევრი გახდება. რა ხდება ამ ერთი თვის განმავლობაში საქართველოში? მოდით, გავყვეთ შესაძლო მოვლენების ლოგიკას არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთისთვის ჩვენი ნატო-ში შესვლა პრინციპულად მიუღებელი საკითხია. რა შეიძლება მოიმოქმედოს მან ჩვენ მიერ აღწერილ სცენარში? სამხრეთ საქართველოს რომელიმე დასახლებულ პუნქტში, სადაც მოსახლეობა ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს იწყება საპროტესტო გამოსვლები. დემონსტრანტები აცხადებენ, რომ ნატო-ს ჯარი საქართველოში ნიშნავს თურქულ ჯარს, ხოლო თურქების მიერ სომხების გენოციდის ფაქტს ისინი არასოდეს დაივიწყებენ და, ამდენად, არ სურთ ცხოვრება ასეთ ქვეყანაში. ამ განცხადებებს ემატება ისტორიული პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ ჯავახეთი სომხეთის განუყოფელი ნაწილია. მწვავდება ეთნიკური დაპირისპირება და იწყება ინციდენტები. ხელისუფლებას უხდება ჩარევა და ძალის გამოყენება, რადგან არსებულ ვითარებაში შეუძლებელია პასიურ მდგომარეობაში დარჩენა. დემონსტრანტები ცდილობენ დაიკავონ ადმინისტრაციული შენობები. ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების და სამართალდამცავების ნაწილი სოლიდარობას უცხადებს დემონსტრანტებს. ყოველივე ეს ფართოდ შუქდება რუსეთის მთავარ საინფორმაციო საშუალებების მიერ და იქმნება სურათი, თითქოს ქართველები ეთნიკური უმცირესობების ძალისმიერ შევიწროებას ახდენენ. იწყება ბრალდებები ეთნიკურ წმენდაში. პარალელურად, ადგილზე ხდება პროვოკაციების სერია. ფიქსირდება მსხვერპლი და სიტუაცია ნელ-ნელა უმართავი ხდება. ხელისუფლების მიერ დამატებით საპოლიციო ან სამხედრო ძალების მობილიზება გამოიწვევს არა სიტუაციის განმუხტვას, არამედ კიდევ უფრო მეტად გამწვავებას.

რამდენად რეალურია ასეთი სცენარი? გაიხსენეთ, როგორ დაიწყო კონფლიქტი უკრაინაში. რუსეთის მიმართ ლოიალური მოსახლეობის განსახლების ზონებში მოეწყო დემონსტრაციები, მოხდა ადმინისტრაციული შენობების დაკავება და დაიწყეს საუბარი რეფერენდუმზე. ეს მეთოდი აპრობირებულია და მისი მეშვეობით რუსეთმა უკვე მოახერხა საკუთარ მოსახლეობაში ლეგიტიმაცია მიეცა მოვლენებისთვის, რომლებიც აღმოსავლეთ უკრაინაში ხდება. ამდენად, სავსებით ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ იგივე მეთოდი თავისუფლად შეიძლება, გამოყენებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზეც.

რა იქნება შემდეგ? რუსეთი გამოიყენებს ორ ფაქტორს იმისთვის, რომ საკუთარ სივრცეში ინტერვენციის ლეგიტიმაცია მოახდინოს. პირველი ფაქტორი, ეს არის უკრაინაში გატარებული იდეოლოგიური ხაზის ანალოგი; ნათქვამი იქნება, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ნაცისტური რეჟიმია და ადამიანებს, რომლებიც „დემოკრატიულად“ გამოხატავენ თავიანთ პროტესტს,

ეთნიკური წმენდა ემუქრებათ. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, აპელირება მოხდება ისტორიულ ფაქტორზე, რადგან მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება რუსებისთვის საკრალური თემაა და მოწინააღმდეგე მხარისათვის ფაშისტების იარლიყის მიკერება ავტომატურად მის დემონიზაციას გამოიწვევს. პარალელურად, რუსეთის ჩარევა „გამართლდება“ სუსტი და დაჩაგრული ხალხის დაცვის მოტივით, რომელსაც ავიწროებენ და ეთნიკური ნიშნით დევნიან. ამ ხაზით იქნება გამყარებული იდეოლოგიური დასაბუთების ეთიკური ხაზი. რაც შეეხება პრაგმატულ დასაბუთებას, რუსეთის საინფორმაციო საშუალებები საკმაოდ მკაფიოდ აუხსნიან თავის მოსახლეობას, თუ რას ნიშნავს ნატო-ს ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე: სომხეთი და იქ განლაგებული რუსული ბაზა ალყაში ექცევა და მათი მომარაგება შეიძლება, ეჭვქვეშ დადგეს, აგრეთვე საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების შემდეგ შეიძლება, ჩრდილოეთ კავკასიაში მრავალი სისხლისღვრისა და რესურსების ფასად მიძინებული კონფლიქტი კვლავ განახლდეს.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ინფორმაციული ხაზი პირველ რიგში გათვლილი იქნება სწორედ შიდა მოხმარებაზე, რადგან ამ ეტაპზე რუსეთისთვის აუცილებელია საკუთარი მოსახლეობის ლოიალურობის შენარჩუნება.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ქვეყნის გარეთაც იქნება გავრცელებული, მაგრამ ამ ეტაპზე რუსეთისთვის გარე ძალების დამოკიდებულება მისი გადაწყვეტილებების მიმართ იმდენად კრიტიკული არ არის. მას მაინც უწევს სანქციების ქვეშ ცხოვრება და, პრინციპში, მასზე ზემოქმედების არა ძალისმიერი მეთოდების რაოდენობა თანდათან უფრო და უფრო მცირდება. თუკი ჩვენ მოდელირებაში მივიღებთ მოვლენების განვითარების იმ ვერსიას, რომელშიც საქართველოს გამო მესამე მსოფლიო ომს და თერმობირთვულ გლობალურ კონფლიქტს არავინ იწყებს, მაშინ რუსეთს მაქსიმუმ სანქციების კიდევ უფრო გამკაცრების უნდა ეშინოდეს.

ასე რომ, კარგად მომზადებული ინფორმაციული ომისა და ადგილზე განხორციელებული პროვოკაციების შემდეგ რუსეთი ორი შესაძლო სცენარიდან აირჩევს ერთ-ერთს: პირველი, პირდაპირი ინტერვენციის გზით გაჭრის ე.წ. „ჰუმანიტარულ კორიდორს“ სომხეთის მიმართულებით ან, მეორე, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სეპარატისტული რეჟიმების სამხედრო ძალებს გააქტიურებს და საკუთარ სამხედრო ძალებს მოხალისეებად გაასაღებს. ორივე სცენარი უკვე ვნახეთ უკრაინის მაგალითზე, როცა ერთ შემთხვევაში რუსულმა არმიამ მოახდინა ყირიმის ნახევარკუნძულის დაკავება და შემდგომ ამ ტერიტორიის მიერთება მოხდა, ხოლო მეორე შემთხვევაში აღმოსავლეთ უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში, რუსეთი მისდამი ლოიალურ ძალებს დაეყრდნო და ცოცხალი ძალითა და ტექნიკით მხარდაჭერას დღემდე უარყოფს. სავარაუ-

დოდ მეორე სცენარი უფრო მოსალოდნელია, რადგან როგორც უკრაინის, ისე სირიის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ რუსეთი თავს იკავებს საკუთარი სახმელეთო ძალების მასიური გამოყენებისაგან, არამედ ყოველთვის ცდილობს ადგილობრივი, მისადმი ლოიალური ძალების ხარჯზე გადაჭრას ამოცანები, თავად კი შეიარაღება, საჰაერო და სადაზვერვო მხარდაჭერა და კოორდინაცია უზრუნველყოს.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, თუ რომელ ვარიანტს აირჩევს რუსეთი, ის შეძლებს ჩვენს ტერიტორიაზე იმგვარი სიტუაციის შექმნას, როდესაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობაზე საუბარიც კი უგუნურობა იქნება. შესაძლებელია თუ არა ამგვარი სცენარის საქართველოში განვითარება? უკრაინის მძიმე გამოცდილებიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ შესაძლებელია. აღნიშნული ჰიპოთეტური სცენარის მოდელირება მიზნად არ ისახავს იმის მტკიცებას, რომ მოვლენები მაინცდამაინც ამ სცენარით განვითარდება; იგი უბრალოდ აჩვენებს, რომ მთელი რიგი ურთულესი პრობლემების იდეალურად გადაჭრის შემთხვევაშიც კი, რაც ნაკლებად სავარაუდოა, რუსეთს რჩება ბერკეტები, რომელთა მეშვეობითაც ის შეძლებს, არ დაუშვას საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება.

Main impediments to Georgia's integration into the North Atlantic Treaty Organization

Zurab Makharadze, Phd student

Georgian Technical University

Summary

Perceptibly, the main obstacle to Georgia's integration into the North Atlantic Alliance is the policy of the Russian Federation. The Russian side has repeatedly emphasized that Georgia's (and any other Post-Soviet countries) integration in NATO is as a challenge for its sovereignty and security. The events of Georgia and Ukraine have revealed that the Russian side can and have a political will to hinder the development of such events by use of power. The problem is that the NATO member states also realize this issue. Probability of such consensus significantly reduces after taking into consideration the factors that for membership of NATO the consent of all its member states is necessary, and part of the European states are not desired provoking the Russian side at all. We can conclude, that in short and long-term perspectives integration of Georgia in NATO, presumably, is not possible. Also, it is worthwhile to take into consideration the possible scenario of what Russia will do if such a hypothetical consent is adopted.

პიროვნული თვისებები და სამოქალაქო პოლიტიკა

თინათინ კოსტავა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

პიროვნული თვისებების შემსწავლელთათვის კრიტიკული გარღვევა მოხდა, როცა გაანალიზეს რომ ცვლადების ტაქსონომია შესაძლოა განვითარდეს და შეიქმნეს მოდელი, სადაც თვისებები იქნება წარმოდგენილი გონივრულად, თუმცა ძუნწად, განზომილებების შეზღუდული რაოდენობის გამოყენებით. თუმცა, დიდი ხუთეულის მოდელის იდეა რამდენიმე წლის წინ შეიქმნა, სანამ რაიმე დონის კონსენსუსი მიიღწეოდა, პარამეტრების რაოდენობის ფართო რიცხვის გამო. სადაო იყო ამ პარამეტრების შინაარსი და რა სახელი დაერქმეოდა მათ. უთანხმოება გრძელდებოდა ამ და სხვა საკითხებზე, მაგრამ პიროვნული თვისებების ბევრი მკვლევარი ბოლო თხუტმეტი-ოცი წლის განმავლობაში შეთანხმდა, რომ ხუთი პარამეტრის შერწყმით შემოეთავაზებინათ ფართო, რეპროდუცირებადი, მაორგანიზებელი სტრუქტურა. ეს პარამეტრებია: ექსტრავერსია, შეთანხმებულობა, კეთილსინდისიერება, ემოციური სტაბილურობა და გამოცდილების მიღებისათვის მზაობა.

კვლევა დიდ ხუთეულზე მოითხოვს ლექსიკურ მიდგომას. აღიარებულია, რომ ძირითადი განსხვავებები პიროვნულ თვისებებში შეინიშნება ყოველდღიურ საუბარში. უმეტესწილად, ზედსართავი სახელების გამოყენებაში და ადამიანები არიან ინდივიდუალური განსხვავებების რეპორტიორები ამ სიტყვების გამოყენების მეშვეობით. დიდი ხუთეულის პარამეტრის ინდიკატორად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს თვითშეფასება და რესპონდენტები შეაფასებენ, თუ რა ხარისხით გააჩნიათ მათ ესა თუ ის თვისება. როცა მონაცემები შეგროვდება, პარამეტრების სტრუქტურა მოწმდება ფაქტორების ანალიზით. შესაძლოა, ყველაზე შთამბეჭდავი ემპირიული ძალა ამ ხისტი მიდგომის, არის თანმიმდევრულობა და რეპროდუცირების უნარი. არაერთი გამოკვლევა ჩატარდა სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ზედსართავული ფორმებით შეგროვებული მონაცემებით, ლექსიკით. მრავალი კვლევის შედეგად შეინიშნა იგივე ხუთი პარამეტრი.

შესავალი

კვლევები მას-პოლიტიკის შესახებ იკვლევს მოქალაქეთა პოლიტიკური შეხედულებებისა და ქცევის საწყისებს. სტრატეგია, რომელიც მოიცავს ყურადღების გამახვილებას პიროვნულ თვისებებზე ანუ „ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგიაზე“ ნდობას იმსახურებს ინტუიტიურ დონეზე [1. 7].

როგორც უინტერი აღნიშნავს, „პოლიტიკური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ცენტრალური აქსიომა არის, რომ პოლიტიკური სტრუქტურები და ქმედებები ფორმირდება და მართულია ადამიანთა პიროვნული თვისებების მიერ [2. 110].

თუმცა, პიროვნული თვისებებისა და პოლიტიკურ ქცევას შორის შესაძლო კავშირის ფართოდ გავრცელებულმა აღიარებამ არ წარმოქმნა შესაბამისი მუხტი ემპირიული კვლევებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა მეცნიერმა გამოიყენა პიროვნული თვისებების თეორიები პოლიტიკური ქცევის შესწავლის პროცესში, პიროვნული თვისებები თითქის არ დასახელებულა მას-პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის მოწინავე პოზიციაზე. გამონაკლის შემთხვევებში ხდება ამ საკითხის აქცენტირება და პიროვნული თვისებების ფართო მასშტაბური მოდელების გამოყენება.

ძირითადი ნაწილი

ელიტარული პოლიტიკისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომი მოიცავს ლიდერთა პიროვნული თვისებების დეტალურ კვლევას. ამგვარი მცდელობა მასის (უმრავლესობის) პოლიტიკაში შეზღუდულია. რადგან ეს საკითხი სულ რამდენიმე ბწკარით შემოიფარგლებოდა და იქაც აქცენტირებული იყო ის თვისებები, რაც გამოხატავდა ამ პიროვნების დამოკიდებულებას დემოკრატიული ღირებულებების მიმართ.

ადრეული პერიოდის ცნობილი ნაშრომი ამ ჟანრში იყო ადორნოს კვლევა [3] ავტორიტატულ თვისებებზე, მას მოჰყვა მაკკლოსკის [4. 361-382] იდეოლოგიის შესწავლა, სნიდერმენის [5] მიერ მაკკლოსკის მონაცემების გამოყენება იმისათვის, რომ განიხილოს ადამიანებში სხვადასხვა დოზით არსებული ღირსების გრძნობის პოლიტიკური მნიშვნელობა. პიროვნულ თვისებებზე აქცენტირება კიდევ უფრო გაიშვიათდა პოლიტიკური ქცევის სხვა ასპექტების კვლევისას, და რაც კი რამ კვლევა ჩატარდა, ძირითადად, გასცდა პოლიტიკური მეცნიერების სფეროს.

საკვირველია, რატომ უთმობენ ნაკლებ ყურადღებას პიროვნულ თვისებებს და რატომ შეისწავლიან მასის პოლიტიკას. როცა პიროვნული თვისებები პოლიტიკური ქცევის კვლევებში შევიდა და ამ მცდელობამ კარგი შედეგი გამოიღო. იმ მკვლევრებს შორის, რომლებიც პიროვნულ თვისებებს უკავშირებენ პოლიტიკურ ქცევას, ორი საკითხი არის ყოველთვის პრობლემატური:

1. იმის გამო, რომ პიროვნულ სხვადასხვაობას მივყავართ ადამიანთა საქმიანობის უამრავ ასპექტამდე, პიროვნული თვისებების პოლიტიკური მნიშვნელობა სცდება ტოლერანტობის საკითხებს. ჭეშმარიტად, შეგვიძლია ვარაუდი გამოვთქვათ, რომ უთანხმოება პიროვნულ თვისებებში, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს პოლიტიკური ქცევის თითქმის ყველა ასპექტთან;

2. მეორე მხრივ, პიროვნული თვისებების გონივრული მოდელების გამოყენება საკმაოდ იშვიათად ხდება; როცა პოლიტოლოგებმა გაგვაცნეს პიროვ-

ნული თვისებების საზომები, მათ ძირითადად ფოკუსირება მოახდინეს ერთ ან ორ თვისებაზე. ეს კი ქმნის საკმაო ბარიერს, რაზეც საუბრობს სნიდერმენი თავის ნაშრომში „პიროვნული თვისებები და დემოკრატიული პოლიტიკა“ [6. 16].

პიროვნული თვისებებისა და პოლიტიკის გამაერთიანებელი სფერო საკმაოდ ზედაპრული ხასიათის კვლევებით ხასიათდება, ამ ეტაპისათვის. დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლები განიხილავენ ფსიქოლოგიურ ჰიპოთეზებს, ხასიათის თეორიებსა და ექსპერიმენტების შედეგებს, ისე როგორც დაბნეული მყიდველი, რომელიც მზადაა შეიძინოს ის პროდუქტი, რომელიც მას იმ კონკრეტულ მომენტში ესაჭიროება. შედეგად ვიღებთ სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული იდეების ნაზავს, ზოგჯერ გამოცდილს და დასაბუთებულს, უმეტეს შემთხვევაში კი ისინი ინტუიტიურ და ანეკდოტურხასიათისას.

ამ ზედაპირულ თვისებას გააჩნია ორი მიზეზი: პირველი, როგორც აღვნიშნეთ, ყურადღების გამახვილება ხდება მთლიანად ინდივიდის პიროვნულ თვისებებზე, რომელიც მიჩნეული იყო არაპრაქტიკულ სვლად. თუმცა, ამ პრობლემის გამოსავალი, იქნება, შეიქმნეს პიროვნული თვისებების ფართო ნაკრები. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ პოლიტიკური მეცნიერების მუშაკები ისურვებდნენ, რომ ეს თვისებები წარმოედგინათ უფრო ფართოდ, ისინი ვერ მოახერებდნენ ეხელმძღვანელათ ფსიქოლოგიის სფეროში შექმნილი შრომებით, რადგანაც ეს უკანასკნელი მხოლოდ ამ ბოლო წლებში შეიქმნა. როგორც დიგმანი ხსნის, პიროვნულ თვისებებზე ფსიქოლოგიური კვლევები 1960-1970 წლებში არ წარმოებულა, და მხოლოდ 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყება აღმავლობა ამ სფეროში [7].

ამიტომაც ათი ან მეტწლიანი ჩამორჩენა სხვა სფეროებში, რაც გავლენას ახდენს პოლიტიკური მეცნიერების გამოყენებით კვლევებზე. ამგვარად, ნაკლებ გასაკვირია, რომ პოლიტიკის შემსწავლელთა მცირე ნაწილი გასცდა ზედაპირულ მიდგომას. მონაცემთა მოპოვების პრობლემა და ფართომასშტაბიანი მოდელების არარსებობა განაპირობებს პოლიტიკის კლევების უმეტესობის უწესრიგო ხასიათს. ფსიქოლოგები მივიდნენ კონსესუსამდე და იძლევიან რეკომენდაციას, გამოვყოთ კონკრეტული თვისებები და გვირჩევენ, რომ ხასიათის სხვადასხვაობა სერიოზულად იქნეს შესწავლილი. უინტერი მისდევს ამ რეკომენდაციას იმისათვის, რომ განავითაროს ჰიპოთეზები, რომლებიც ეხება პიროვნულ თვისებებსა და პოლიტიკურ ქცევას.

თუ პიროვნული თვისებები გაგებულია, როგორც განსხვავებული (და დამოუკიდებელი) ელემენტების ერთობლიობა, აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესაძლებელია ინდივიდუალური და კოლექტიური პიროვნული თვისებების სრული განსაზღვრა და პოლიტიკური ქცევის დადგენა ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც განხორციელდება ცვლადების კომბინაციის გამოყენებით.

მიგვაჩნია, რომ მოდელების არაპრაქტიკულობამ და არარსებობამ არ უნდა გვათქმევინოს უარი პიროვნების როლზე მსგავსი საკითხების კვლევა-ძიების დროს. სხვადასხვა დროის კვლევები გვიჩვენებს, რომ ახალი თაობის მოდელები გვთავაზობენ გლობალურ, სისტემურ მოდელს პიროვნული თვისებების შესწავლისათვის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოდელები წარმოადგენენ პიროვნულ თვისებებს, რომლებიც კარგად ერგებიან პოლიტიკურ ქცევას და პრაქტიკული მოთხოვნებს. ასეთი მოდელების გამოყენება გარანტიაა თეორიული სიღრმისა და ახსნა-განმარტებითი ძალის მქონე ინდივიდების შესწავლისა, რაც გვიბიძგებს ერთობლივი გამოკვლევისაკენ, რასაც განაპირობებს გაუმჯობესებული კომუნიკაცია სხვადასხვა სფეროებს შორის.

კავშირი პიროვნულ როლსა და პოლიტიკას შორის უნდა არსებობდეს ორი ძირითადი ფორმით. პირველი, პიროვნული როლის მრავალმხრივობა შესაძლოა პირდაპირ კავშირში იყოს პოლიტიკური ქცევის მრავალმხრივობასთან. ამომრჩეველთა ქცევა, ინფორმაციის მიღება და ჯგუფების წევრობა განსხვავდება ისეთი ინდივიდუალური დონის მახასიათებლებით, როგორიცაა: განათლება, ასაკი და მომხრეთა იდენტიფიკაცია. პოლიტიკური შეხედულებების და ქცევების შესაბამისად, პიროვნული როლებიც სხვადასხვაგვარია. კვლევა პოლიტიკურ ტოლერანტობაზე, მისი შედეგებით, რაც ამტკიცებს მჭიდრო კავშირს დოგმატიზმსა და შეუწყნარებლობას შორის, მაგალითია ამ ტიპის პირდაპირი ეფექტისა. ქვემოთ, ჩვენ ისევ ვაჩვენებთ ამ ტიპის კავშირს, რადგანაც, მოლოდინია, რომ აუცილებლად იქნება პირდაპირი კავშირი პიროვნულ თვისებებსა და ფაქტობრივად, ყველა ცვლადს შორის, რომელიც პოლიტიკური მეცნიერების შემსწავლელისათვის არის საინტერესო.

მეორე, პიროვნების როლის სხვადასხვაობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ირიბი, ანუ სიტუაციური ეფექტი პოლიტიკურ ქცევაზე. უახლესი კვლევა ფსიქოლოგიაში გვიჩვენებს პიროვნული თვისებების ურთიერთქმედებას სიტუაციაზე და ამ აზრის მიხედვით, პოლიტიკურ მეცნიერებაში ავტორიტარიზმის კვლევის უახლესი ტალღა ამტკიცებს, რომ ხასიათის გავლენა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე განპირობებულია სხვა ფაქტორებით. პიროვნული თვისებების გავლენა იოლად წარმოსადგენია. მაგალითად, პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბება, შესაძლოა, არ იყოს განპირობებული პიროვნული თვისებებით, კარგად ინფორმირებულ გარემოში, მაშინ როცა ხასიათი უმეტესწილად განსაზღვრავს ადამიანთა პოლიტიკურ შეხედულებებს, ნაკლებად ინფორმირებულ საზოგადოებაში. თუმცა, ჩვენ ქვემოთ ინდივიდის ხასიათის პოლიტიკურ შეხედულებაზე გავლენის მხოლოდ პირდაპირ ეფექტებს განვიხილავთ, ხოლო ირიბი ეფექტების საკითხს გაცილებით ვრცელი კვლევა-ძიება დასჭირდება.

ფუნდამენტური გამოწვევა პიროვნული თვისებების შემსწავლელ-

თათვის წარმოიშვა იმ ფაქტიდან, რომ ხდება ხასიათის ათასობით თვისების იდენტიფიცირება. როგორც ჯონი და სრივასტავა აღნიშნავენ „შედეგების სისტემური შეგროვება მკვლევრებს შორის გართულდა კონცეფციების სიმრავლისა და მასშტაბების სიდიდის გამო“ [8. 102].

პიროვნული თვისებების შემსწავლელთათვის კრიტიკული გარღვევა მოხდა, როცა გაანალიზეს რომ ცვლადების ტაქსონომია შესაძლოა განვითარდეს და შეიქმნეს მოდელი, სადაც თვისებები იქნება წარმოდგენილი გონივრულად, თუმცა ძუნწად, განზომილებების შეზღუდული რაოდენობის გამოყენებით. თუმცა, დიდი ხუთეულის მოდელის იდეა რამდენიმე წლის წინ შეიქმნა, სანამ რაიმე დონის კონსენსუსი მიიღწეოდა, პარამეტრების რაოდენობის ფართო რიცხვის გამო. სადაო იყო ამ პარამეტრების შინაარსი და რა სახელი დაერქმეოდა მათ. უთანხმოება გრძელდებოდა ამ და სხვა საკითხებზე, მაგრამ პიროვნული თვისებების ბევრი მკვლევარი ბოლო თხუტმეტი-ოცი წლის განმავლობაში შეთანხმდა, რომ ხუთი პარამეტრის შერწყმით შემოეთავაზებინათ ფართო, რეპროდუცირებადი, მაორგანიზებელი სტრუქტურა. ეს პარამეტრებია: ექსტრავერსია, შეთანხმებულობა, კეთილსინდისიერება, ემოციური სტაბილურობა და გამოცდილების მიღებისათვის მზაობა.

კვლევა დიდ ხუთეულზე მოითხოვს ლექსიკურ მიდგომას. აღიარებულია, რომ ძირითადი განსხვავებები პიროვნულ თვისებებში შეინიშნება ყოველდღიურ საუბარში. უმეტესწილად, ზედსართავი სახელების გამოყენებაში და ადამიანები არიან ინდივიდუალური განსხვავებების რეპორტიორები ამ სიტყვების გამოყენების მეშვეობით. დიდი ხუთეულის პარამეტრის ინდიკატორად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს თვითშეფასება და რესპონდენტები შეაფასებენ, თუ რა ხარისხით გააჩნიათ მათ ესა თუ ის თვისება. როცა მონაცემები შეგროვდება, პარამეტრების სტრუქტურა მოწმდება ფაქტორების ანალიზით. შესაძლოა, ყველაზე შთამბეჭდავი ემპირიული ძალა ამ ხისტი მიდგომის, არის თანმიმდევრულობა და რეპროდუცირების უნარი. არაერთი გამოკვლევა ჩატარდა სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ზედსართავული ფორმებით შეგროვებული მონაცემებით, ლექსიკით. მრავალი კვლევის შედეგად შეინიშნა იგივე ხუთი პარამეტრი.

ხუთი-ფაქტორის მოდელის დამცველები კამათობენ, რომ თავიანთი მოდელი ფართო აზრის მატარებელია, რადგანაც ისინი იჭერენ ყველაზე მნიშვნელოვან განსხვავებებს ადამიანთა ხასიათში. თუმცა, არ ამტკიცებენ, რომ მათი მოდელი იძლევა ხასიათის ამომწურავ გამოსახულებას. სოციერი და გოლდბერგი დიდი ხუთეულის მოდელს მიიჩნევენ საწყისად და წამოაყენეს იდეა, იმ ინდივიდუალური განსხვავებების ასპექტების იდენტიფიცირება მოეხდინათ, რომელიც არ შევიდა დიდ ხუთეულში [9. 495-524].

არსებობს ისეთი ფართო მოდელი, რომელსაც უინტერი იწონებს

პიროვნული თვისებებისა და პოლიტიკის კვლევისათვის დიდი ხუთეული ორ მიზანს ემსახურება: პირველიმოდელი გვთავაზობს საუკეთესო საშუალებას ხასიათის რელევანტურობის პირველადი კვლევისათვის მას-პოლიტიკის ბევრი არეალისათვის, სადაც ყურადღება ფსიქოლოგიურ წარსულზე შეზღუდული აღარაა. მეორე, იმ ანალიტიკოსებისათვის, რომლებმაც პოლიტიკურ ქცევასა და კონკრეტულ პიროვნულ თვისებებს შორის კავშირების იდენტიფიცირება მოახდინეს, დიდი ხუთეული წარმოადგენს საშუალებას, რომ კონტექსტი მიუმატონ ამ კვლევის შედეგებს. ოზერი და რეისე წერენ: „პიროვნული თვისებების ფსიქოლოგები, რომლებიც აგრძელებენ მუშაობას, რათა ჰქონდეთ თავიანთი საზომები, რომელიც არ შეჰყავთ დიდი ხუთეულის მოდელში, ჰგვანან გეოგრაფებს, რომლებიც გამოაქვეყნებენ სტატიას ახალ მიწებზე, თუმცა არ მიუთითებენ მათ გეოგრაფიულ მდებარეობას რუკაზე, რათა სხვებმაც ნახონ ისინი“ [10. 357-388].

უფრო მეტი სიცხადე დიდი ხუთეულის მოდელს მოეფინება, როცა განვიხილავთ მასში შემავალ ხუთ პარამეტრს ცალ-ცალკე, მათ მნიშვნელობასა და წარმოქმნაზე ვისაუბრებთ. თითოეულისათვის, დამოკიდებულებითი და ბიჰეივორისტული თანაფარდობა პოლიტიკის სამყაროსთან იძლევა საშუალებას, რომ შემოგთავაზოთ დიდი ხუთეულის პოტენციური სარგებლიანობა პოლიტიკური ქცევის შემსწავლელებისათვის. ქვემოთ ვაჩვენებთ დიდი ხუთეულის პოლიტიკურ მნიშვნელობას სამი ტიპის ცვლადზე ფოკუსირებით: პოლიტიკური დამოკიდებულება, მონაწილეობა, ინფორმაცია და ოპონირება. კვლევის მრავალხრივი მოლოდინი არის ორი ფორმის. ბევრ შემთხვევაში, კონკრეტულ ჰიპოთეზას შემოგთავაზებთ პროგნოზირებული კავშირების გათვალისწინებით დიდ ხუთეულის ფაქტორებსა და კონკრეტულ ცვლადებს შორის. სხვა შემთხვევებში, რომლებშიც წარსული კვლევა გვთავაზობს მხოლოდ სუსტ მითითებებს, მოლოდინები არის ნაკლებ კონკრეტული და უფრო მეტად ახსნა-განმარტებითი.

გამოცდილების მიღებისთვის მზაობა, არის დიდი ხუთეულის უახ-ლესი და ყველაზე საკამათო კომპონენტი. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გამოცდილების მიღებისათვის მზაობამ და ინტელექტმა ერთმანეთის სინონიმური მნიშვნელობა მიიღო ლიტერატურაში. ეს პარამეტრი მოიცავს სწავლის ქცევას, სტრატეგიებსა და შემეცნებით მიმართულებებს. მაღალი ქულები ასოცირდება კრეატიულობის მაღალ დონესთან, ცნობისმოყვარეობას, წარმოსახვასა და დაუმორჩილებლობასთან, ქმედითობასა და ჯანმრთელო-ბისათვის მაღალი რისკის შემცველ მოქმედებასთან.

მაგალითად, გამოცდილების მიღებისთვის მზაობა დაკავშირებული უნდა იყოს პოლიტიკურ შეხედულებებთან. რესპონდენტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან იდეოლოგიას აღიქვამენ, როგორც ტრადიციულ საკითხს,

კონსერვატიზმით, რომელიც ნიშანია წინდახედულობისა და ამ თვისების მაღალი ხარისხით ფლობა წარმოადგენს უფრო მაღალ ალბათობას თვითიდენ-ტიფიკაციის, როგორც იდეოლოგიურად ლიბერალური და დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერით. მსგავსად, ჩვენ ველოდებით, რომ გონებაგახსნილობა, რომელიც ამ თვისების მახასიათებელია, მოიტანს უკურეაქციას გამოცდილების მიღებისათვის მზაობასა და დოგმატიზმს შორის. ბოლოს, რადგანაც არსებობს კავშირი გამოცდილების მიღებისათვის მზაობასა და პიროვნული ქმედითობის გრძნობას შორის, ვფიქრობთ, რომ ეს ურთიერთკავშირი გასცდება პოლიტიკის სფეროს.

თუმცა, ჩატარებული კვლევები არ იძლევა საკმაო საფუძველს, წა-მოვაყენოთ ჰიპითეზა, რომ გამოცდილების მიღებისათვის მზაობა გავლე-ნას მოახდენს პოლიტიკაში ჩართულობაზე, ჩვენ ნამდვილად გვაქვს მოლოდინი, რომ ეს თვისება გავლენას მოახდენს მთელ რიგ ცვლადებ-ზე, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის შეძენასა და შეხედულების ჩამოყალიბებაზე. ზოგადად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის ინდივიდები, რომლებიც ამჟღავნებენ მზაობას გამოცდილების მიღებისათვის, იქნებიან დაინტერესებულნი პოლიტიკით და ყურადღებით ადევნებენ თვალყურს პოლიტიკურ მოვლენებს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ინდივიდების ცნობისმოყვარეობა და მზაობა გამოცდილების მიღებისათვის განაპირობებს, რომ მათ აქვთ დიდი პოლიტიკური ცოდნა და ოპონირების უნარი. ასევე, მათ გააჩნიათ სურვილი, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ დისკუსიებში.

თუ ალტერნატიულ ტერმინს „ინტელექტს“ გამოვიყენებთ, მაშინ გამოდის რომ, ის ასევე მოიცავს შემდეგ ცნებებს: განათლების დონე და პოლიტიკური ცოდნა. რა თქმა უნდა, უნდა ველოდეთ ასეთ ცვლადებს, მაგრამ ჩვენი ყურადღება გადატანილია დიდი ხუთეულის პარამეტრებზე. როგორც ემპირიული კვლევები გვიჩვენებს გამოცდილების მიღებისათვის მზაობა, მოიცავს ორივეს, განათლებასა და პოლიტიკურ ცოდნას. გამოცდილების მიღებისათვის მზაობა ორიენტირებულია ცოდნასა და განათლებაზე.

კეთილსიანდისიერებისფაქტორს,ხშირადახასიათებენ,როგორც„სუპერეგო ძლიერება“ ან „წინდახედულობა“ და „კონტროლი“. ორივე დაკავშირებულია პასუხისმგებლობის გრძნობასთან. ადამიანები, რომელთაც მაღალი ქულა აქვთ კეთილსინდისიერებაში, მიჩნეული არიან, როგორც მორჩილი, ორგანიზებული და სანდომიანი პიროვნებები. ხოლო, ისინი, რომელთაც მიიღეს დაბალი ქუ-ლები, მათ ყველაზე უფრო ერგებათ შემდეგი ეპითეტები: ზარმაცი, იმპულსური და არასანდო. კვლევა აღწერს კეთილსინდისიერებას, როგორც აკადემიურ და პროფესიულ კარიერაში წარმატების „არაინტელექტუალური“ მომასწავებელს, და შესაბამისობაში მოდის მრავალი ტიპის ჯანმრთელობის ქცევებთან, როგორიცაა მოწევისათვის თავის დანებება, მამოგრაფიის ჩატარება და ფიზი-

კური ვარჯიში. ეს, ასევე, შესაძლოა იყოს რესურსი სწავლისა და განათლების ასპექტების და მორჩილებასთანაც ჰქონდეს კავშირი.

კეთილსინდისიერება ასევე დაკავშირებულია რამდენიმე პოლიტიკურ შეხედულებასთან. უპირველესად, არსებული ვითარება მოსწონთ და არ გამოხატავენ სურვილს, რომ შეიცვალოს პოლიტიკური ვითარება. აქედან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ კეთილსინდისიერება დაკავშირებული უნდა იყოს პოლიტიკურ იდეოლოგიასთან და ისინი, ვინც ამ თვისებაში მაღალი ქულით შეფასდა, გამოხატავენ დიდ სურვილს, რომ თავიანთი, როგორც კონსერვატორების იდენტიფიკაცია მოახდინონ. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, რესპუბლიკელები ახდენენ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის იმ დონეზე აქცენტირებას, რომ შეიძლება ითქვას, კეთილსინდისიერება შეესაბამება რესპუბლიკური პარტიაში აფილირებას, ასევე რესპუბლიკური პარტიის ლიდერების მხარდაჭერას. მორჩილებისაკენ მიმართული ტენდენცია და ფიქრის სიხისტე გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ კეთისინდისიერებასა და დოგმატიზმს შორის პოზიტიური დამოკიდებულება იქნება.

იმ ინდივიდებმა, რომლებმაც მაღალი ქულები მიიღეს კეთილსინდისიერებაში, მათი მოვალეობის გრძნობა უნდა გამომჟღავნდეს პოლიტიკურ აქტივობაში. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კეთილსინდისიერება დაკავშირებული იქნება ამომრჩეველთა აქტიურობაში და ასევე, ისეთ ღონისძიებებში შესაძლო მონაწილეობაში, როგორიცაა ადგილობრივი პოლიტიკური შეხვედრები. ასევე, კეთილსინდისიერების მატარებელი ინდივიდები ცდილობენ იყვნენ ინფორმირებული პოლიტიკის შესახებ და ასევე პოზიტიურ კავშირს უნდა ველოდეთ კეთისინდისიერებასა და პოლიტიკურ დისკუსიებში ჩართვას შორის.

ექსტრავერსიის ფაქტორს ყველაზე უფრო ფართოდ განიხილავენ და არის ურიცხვი ადამიანური თვისებების შემადგენელი კომპონენტი. მისი ალტერნატიული სახელწოდებაა „კომუნიკაბელურობა“ და „აქტიურობა“. კარლ იუნგმა შემოიტანა „ექსტრავერსიისა“ და „ინტრავერსიის“ ცნება, როცა მოახდინა ადამიანთა კლასიფიკაცია იმის მიხედვით, თუ საითკენაა მიმართული მათი ენერგია: გარშემო სამყაროსკენ, ან პირიქით შინაგან სამყაროსაკენ [11].

ეისენკიმ [12] და მოგვიანებით კრეიმ [13] გააფართოვეს განმარტება, რომ აღეწერათ ადამიანები, რომლებიც ნეგატიურ ან პოზიტიურ განწყობას ატარებენ. ინტრავერტობა აღნიშნავს ადამიანის პასიურ და მორცხვ ხასიათს, მაშინ როცა ექსტრავერსია დააკავშირეს ლიდერობის, კომუნიკაბელურობის ცნებასთან. ასეთი ადამიანები სამსახურის მოსაძებნად, განათლების მისაღებად და პრობლემების გადაჭრის საშუალებად იყენებენ ინტერნეტ-ქსელებს.

იოლად შესამჩნევია კავშირი ექსტრავერსიასა და პოლიტიკურ ქცევას შორის. უპირველეს ყოვლისა ექსტრავერსია დაკავშირებულია ფაქტობრივად

ყველა ჯგუფურ პოლიტიკურ მოვლენებში თანამონაწილეობასთან. სოციალური აქტივობა არის ერთ-ერთი მახასიათებელი ექსტრავერტისათვის და ასევე, ერთობლივ პოლიტიკურ მოქმედებებში ჩართულობა. ამგვარად, ექსტრავერსია უნდა იყოს დაკავშირებული ისეთ ქცევებთან, როგორიცაა პოლიტიკურ შეკრებებზე დასწრება და სიტყვით გამოსვლა ასეთ შეხვედრებზე, გამოხატავენ სურვილს, ხელი მოაწერონ პეტიციებს და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ დისკუსიებში. თუკი ექსტრავერსული ხასიათი ადამიანს მოუწოდებს ჩაერთოს პოლიტიკურ დისკუსიებში, შესაბამისად, ექსტრავერსია პირდაპირ კავშირშია ოპონირებასთან. მესამე, ექსტრავერტის ოპტიმისტურ დამოკიდებულებას მიჰყავს ის თავდაჯერებულობამდე, და ამგვარად ექსტრავერტები გამოხატავენ უმაღლესი დონის შინაგან პოლიტიკური ქმედითობას.

ემოციური სტაბილურობის ფაქტორი მოიცავს ადამიანის რეაქტიულობას, შეგუებას, ემოციურობას და დაკავშირებულია ნერვიულობასთან, გაღიზიანებასთან, იმპულსების კონტროლთან, არასტაბილურობასა და ნეგატიურობასთან. პირველი ადამიანი, ვინც ნერვული ტენდენციების გაზომვა დაიწყო, იყო რობერტ ვუდუორთი, მან შექმნა პერსონალურ მონაცემთა ფურცელი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, რომ დაედგინა სამხედროში გაწვეულ პირთა ომში ჩაბმის ალბათობა. ანკეტები შეიცავდა კითხვებს, როგორიცაა: თუ გიჩნდება გადმოხტომის სურვილი, როცა სიმაღლეზე იმყოფები? მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო ფრთხილად შესრულებული სამუშაო, შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ის იყო საკმაოდ კარგი განმსაზღვრელი. ეს სფერო უკავშირდება ადამიანის ფსიქიკური აშლილობის დონეს [14. 59-60].

ემოციური სტაბილურობა არის ერთ-ერთი დიდი ხუთეულის შემადგენელი კომპონენტი და, შესაძლოა, ყველაზე ნაკლებ შეიძლებოდეს ამით განისაზღვროს ადამიანის პოლიტიკური ქცევა. ის ინდივიდები, რომლებსაც გააჩნიათ ემოციური სტაბილურობის დაბალი დონე, სხვადასხვა შესრულებულ საქმიანობებს უყურებენ კრიტიკულად და მათ მიიჩნევენ არადამაკმაყოფილებლად. ადამიანები, რომლებიც ამჟღავნებენ ემოციური სტაბილურობის მაღალ დონეს, არც ოპონირებას ეწევიან და ზოგადად, არ არიან საუბრის მოყვარული ადამიანები და არ იზიდავთ პოლიტიკური არენა. შესაბამისად, პოლიტიკურ დისკუსიებში ჩართულობა ამცირებს ემოციური სტაბილურობის დონეს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ემოციურად გაწონასწორებული ადამიანები საზოგადოებიდან იზოლირებას ახდენენ. პირიქით, ასეთი ადამიანი იქნება წყნარი და გაწონასწორებული პოლიტიკურ შეკრებებზე, თუკი დაბალი ემოციური სტაბილურობის მქონე ადამიანი, შესაძლოა, საერთოდ არ დაესწროს მას. შესაბამისად, ჯგუფურ პოლიტიკურ აქტივობებში ჩართვის ალბათობა მეტია იმ ინდივიდებში, რომელთაც მაღალი ქულა აქვთ ემოციურ სტაბილურობაში.

მომრიგებლობა მოიცავს თანამშრომლობას, თანადგომისა და ალტ-რუისტულ ტენდენციებს. ასეთი ადამიანები ავლენენ მზაობას, გახდნენ სხვადასხვა კოალიციების და სტრატეგიული ალიანსების წევრები, თავი-დან ირიდებენ კონფლიქტებს, აგვარებენ მათ და დიდ ყურადღებას უთმობენ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

ამ თვისების ყველაზე ნათელი გამოხატულება პოლიტიკურ ქცევაში არის ნდობა და ინდივიდები, რომლებიც ამ ხასიათის პარამეტრებში მიიღებენ მაღალ ქულას, აჩვენებენ ნდობის მაღალ დონეს. თუმცა, პოლიტიკური აქტივობისათვის მომრიგებლობა საკმაოდ დამაინტრიგებელ სურათს ქმნის. მაგრამ, უნდა აღი-ნიშნოს, რომ საკმაოდ იოლია, იმ ადამიანების დაყოლიება, რომელთაც მაღალი ქულა აქვთ მომრიგებლობაში, შეუერთდნენ სხვადასხვა ჯგუფებს, მაგალითად, პეტიციის ჯგუფს. მომრიგებელი ადამიანი, უფრო დიდი ალბათობით, ჩაერთვება საქველმოქმედო აქციაში, ვიდრე საპროტესტოში შეკრებებში. ადამიანს რომელსაც აქვს მომრიგებლობის მაღალი მაჩვენებელი, და ის არ ეთანხმება სხვადასხვა პოლიტიკურ ასპექტებს: პოლიტიზირების სხვადასხვა დონეები, ინტერესი პოლიტიკისადმი, ყურადღება პოლიტიკისადმი, პოლიტიკური ოპო-ნენციები, პოლიტიკური დისკუსიები და სხვა აქტივობები,შესაძლოა, დაბალი მომრიგებლობის მაჩვენებელი ჰქონდეს. ანუ, მას სურვილი არ აქვს მონაწილეობა მიიღოს რაიმე ჯგუფურ აქტივობაში, იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ ხედვას არ იზიარებს.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ნაყოფიერია დიდი ხუთეულის მოდელის გამოყენება საზოგადოების უმრავლესობის პოლიტიკაში, მოდელის არსებობის აღიარებაც კი პოლიტოლოგების მიერ ძალიან იშვიათია.

მარკუსი მიიჩნევს, რომ დიდი ხუთეულის მოდელი გვაძლევს მდიდარ შესაძლებლობას, ახალი კვლევები ჩავატაროთ და მან, თავის კოლეგებთან ერთად ჩაატარა კვლევა, რათა ეჩვენებინა კავშირი ტოლერანტობასა და დიდი ხუთეულის სამ პარამეტრს-ექსტრავერსიას, ემოციურ სტაბილურობასა, გამოცდილების მიღებისათვის მზაობას - შორის. ამ კვლევის მიხედვით, სამივე ცვლადი მოქმედებდა ტოლერანტობაზე. თუმცა, უპირატესად, რესპონდენტთა ემოციური სტაბილურობა მოქმედებდა მათ ტოლერანტულ განწყობასა და დემოკრატიულ ფასეულობებზე [15. 227].

საზოგადოების უმრავლესობის, მასის, პოლიტიკის ფარგლებს გარეთ, კოვერტმა და ჰერმანმა გამოიყენეს დიდი ხუთეულის მოდელი საგარეო პოლიტიკის შესწავლისათვის [16].

დიდი ხუთეულის მოდელის გამოყენებას საზოგადოებისა და ასევე პიროვნების პოლიტიკის შესწავლის საქმეში გვთავაზობენ ფსიქოლოგების გუნდი: კაპრარა, ბარბანელი და ზიმბარდო [17].

ამ პროექტის მიზანი იყო დაეწერათ სტატია, რომელიც მოიცავდა მასებისა

და ელიტარული ფენის გამოკითხვას იტალიაში და ერთმანეთისთვის შეედარებინათ მათი აზრი პოლიტიკურ ლიდერებზე და ამ უკანასკნელთა პიროვნული თვისებები. გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ ერთმანეთს ემთხვევა ეს შეფასებები და ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ლიდერების დახასიათებისას, საზოგადოება მსჯელობს დიდი ხუთეულის პარამეტრებიდან ორის -ექსტრავერსიისა და მომრიგებლობის მიხედვით.

ეს შედეგები ასევე მიგვანიშნებს, რომ დიდი ხუთეულის მოდელი შეიძლება გამოყენებული იქნეს საზოგადოებისა და პიროვნების პოლიტიკის შესასწავლად. ამ შემთხვევაში ჩვენი ძირითადი მიზანია, დავადგინოთ, რამდენად განსაზღვრავს ადამიანის პიროვნული თვისებები საზოგადოების წარმოდგენას მათზე და თუ არის რეალური თანხვედრა მათ შორის. ასევე საინტერესოა, ამ დიდი ხუთეულის პარამეტრებიდან, რომელია უმთავრესი, ანუ საზოგადოების მხრიდან რომელი მათგანი აღიქმება უპირატესად. თუმცა, ამას შესაძლოა მოჰყვეს მრავალწახნაგოვანი კვლევა-ძიება, ფაქტია,რომ ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა დიდი ხუთეულის გამოყენებით პოლიტიკური ქცევის შესწავლის პროცესში. შესაძლებელია, დიდი ხუთეულის ფაქტორების სხვადასხვა ცვლადთან დამოკიდებულების შესწავლა და მრავალი ჰიპოთეზის წამოყენება სამომავლო კვლევებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Jerry S. Wiggins, ed., The Five-Factor Model of Personality: Theoretical Perspectives (New York: Guilford Press, 1996), p. vii.
2. .David G. Winter, 'Personality and Political Behavior', in David O. Sears, Leonie Huddy and Robert Jervis, eds, Oxford Handbook of Political Psychology (Oxford: Oxford University Press, 2003), pp. 110–45, at p. 110.
3. T. W. Adorno, Else Frankel-Brunswick, Daniel J. Levinson and R. Nevitt Sanford, The Authoritarian Personality (New York: Harper, 1950). For a newer work in this area, see Karen Stenner, The Authoritarian Dynamic (New York: Cambridge University Press, 2005).
4. Herbert McClosky, 'Conservatism and Personality', American Political Science Review, 52 (1958), 27–45; Herbert McClosky, 'Consensus and Ideology in American Politics', American Political Science Review, 58 (1964), 361–82.
5. Paul M. Sniderman, Personality and Democratic Politics (Berkeley: University of California Press, 1975).
6. Sniderman, Personality and Democratic Politics, p. 16.
7. John M. Digman, 'Personality Structure: Emergence of the Five-Factor Model', Annual Review of Psychology, 41 (1990), 417–40. For further discussion of his-

torical developments in trait psychology, see Lewis R. Goldberg, 'The Structure of Phenotypic Personality Traits', American Psychologist, 48 (1993), 26–34; and Oliver P. John and Sanjay Srivastava, 'The Big Five Trait Taxonomy: History, Measurement, and Theoretical Perspectives', in Lawrence A. Pervin and Oliver P. John, eds, Handbook of Personality: Theory and Research, 2nd edn (New York: Guilford Press, 1999), pp. 102–38.

8. John and Srivastava, 'The Big Five Trait Taxonomy', p. 102
9. Saucier and Goldberg, 'The Language of Personality'; Gerald Saucier and Lewis R. Goldberg. 'What is Beyond the Big Five?' Journal of Personality, 66 (1998), 495–524.
10. Daniel J. Ozer and Steven P. Reise, 'Personality Assessment', Annual Review of Psychology, 45 (1994), 357–88.
11. Carl Jung, Psychological Types, or, The Psychology of Individuation (New York: Harcourt, Brace & World, 1933).
12. H. J. Eysenck, The Structure of Human Personality (New York: Wiley, 1953).
13. Jeffery Gray, 'Perspectives on Anxiety and Impulsivity: A Commentary', Journal of Research in Personality, 21 (1987), 493–509.
14. Robert S. Woodworth, 'Examination of Emotional Fitness for Warfare', Psychological Bulletin, 59–60.
15. George E. Marcus, 'Emotions in Politics', Annual Review of Political Science, 3 (2000), 221–50, p. 227.
16. Paul A. Kowert and Margaret G. Hermann, 'Who Takes Risks? Daring and Caution in Foreign Policy Making', Journal of Conflict Resolution, 41 (1997), 611–37. Satterfield makes reference to five-factor approaches in an article on a related subject, but the framework is much more central in the Kowert and Hermann study; see Jason M. Satterfield, 'Cognitive-Affective States Predict Military and Political Aggression and Risk Taking: A Content Analysis of Churchill, Hitler, Roosevelt, and Stalin', Journal of Conflict Resolution, 42 (1998), 667–90.

Personal qualities and civil policy

Tinatin Kostava, PhD student
Georgian Technical University

Summary

For students of personality, the critical breakthrough came with the realization that a viable taxonomy could be developed, a framework whereby attributes could be represented comprehensively yet parsimoniously using a limited number of dimensions. Although the roots of this, the Big Five approach, date back several decades, prolonged discussion was required before any level of consensus emerged regarding the number of dimensions to be included in a taxonomy of personality, and the content and labeling of those dimensions. Lingering pockets of disagreement continue on these and other points, butmany students of personality writing in the past fifteen to twenty years concur that five dimensions, extroversion, agreeableness, conscientiousness, emotional stability and openness to experience, combine to offer a broad, replicable organizing structure.

Research on the Big Five follows what is known as a lexical approach. In this, it is assumed that critical differences in personality are captured in everyday language, most often adjectives, and that people are capable observers and reporters of individual differences through the use of these words. Hence, indicators of the Big Five dimensions can be derived from self-rating data in which respondents assess the extent to which they possess a series of attributes. Once data are obtained, their dimensional structure is examined via factor analysis. Perhaps the most impressive empirical strengths of the Big Five approach are its consistency and replicability. Countless investigations have been conducted since the 1980s with variance in the form and content of adjectival markers, the subjects from whom data were gathered, and even language and culture. In study after study, the same five dimensions have been observed.

რუსეთის ენერგოპოლიტიკა და ენერგოსუვერენიტეტის გამოწვევები (რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა)

თამარ სისვაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ენერგოსპექტრის გამოჩენამ პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში განაპირობა რუსეთის მიერ ენერგეტიკის ფენომენის გამოყენება პოლიტიკურ იარაღად. აღნიშნული სახელმწიფო, რეალურად, წარმოადგენს მსხვილი ნავთობისა და ბუნებრივი აირის რეზერვების მფლობელ ქვეყანას. შესაბამისად, რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს ეს უპირატესობა გამოიყენოს და გახდეს მთავარი მოთამაშე ენერგობაზარზე როგორც რეგიონალურ, ასევე გლობალურ ასპექტში. თანამედროვე ეტაპზე, რუსეთისათვის ენერგორესურსები ძლიერ პოლიტიკურ ბერკეტად, ხოლო ენერგობაზარი პოლიტიკურ ინტერესთა ბრძოლის ასპარეზად იქცა.

წინამდებარე სტატია სიღრმისეულად მიმოიხილავს რუსეთის ენერგოპოლიტიკას, ენერგოუსაფრთხოების პრიორიტეტულ საკითხებს, რუსეთისა და გერმანიის ურთიერთობას, აანალიზებს „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტს და მის შესაბამისობას ევრორეგულაციების პაკეტებთან.

საკვანძო სიტყვები: ენერგოპოლიტიკა; ენერგოუსაფრთხოება; ენერგოსტრატეგია; ენერგოდამოუკიდებლობა; ენერგომომარაგების უსაფრთხოება; ენერგოდივერსიფიკაცია; მიწოდების უსაფრთხოება.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ენერგორუკაზე რუსეთი ერთ-ერთი მთავარი ენერგომწარმოებელი ქვეყანაა, რომელსაც გააჩნია უდიდესი შესაძლებლობები ენერგოსექტორში[1] და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენერგო ბაზარზე. ნავთობი, ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და ასევე, ბირთვული ინდუსტრია თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ხერხე-მალს ქმნის და ქვეყანას ანიჭებს სერიოზული მოთამაშის - „ენერგო სუპერ ძალის“ როლს საერთაშორისო ასპარეზზე[2]. შესაბამისად, ნავთობი და გაზი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რუსეთის გეოპოლიტიკურ პოზიციას და მის როლს გლობალიზებულ მსოფლიოში ენერგოუსაფრთხოების[3] უზრუნველსაყოფად.

[1]იგულისხმება ნავთობი და ბუნებრივი აირი.

[2] რეალურად, ნავთობი, ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი აირი წარმოადგენს რუსეთის მთლიანი ექსპორტის 2/3-ს.

[3] ენერგოუსაფრთხოება გულისხმობს ენერგომომარაგების უწყვეტ და ხარისხიან უზრუნველყოფას ხელმისაწვდომ ფასად. რუსეთის ენერგოუსაფრთხოების სტრატეგიაში ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი, რომ „ენერგოუსაფრთხოება - ეს არის სახელმწიფოს მექანიზმი, რათა ენერგომომარაგების გზით დაიცვას ქვეყანა, მოქალაქეები, საზოგადოება, ეკონომიკა სხვადასხვა საფრთხისგან, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც გარე (უმეტესად გეოპოლიტიკური), ასევე ქვეყნის შიგნით ენერგოსფეროში არსებული სხვადასხვა ფაქტორით“ [1].

რუსეთის ენერგოპოლიტიკა და ენერგოსუვერენიტეტის გამოწვევები

რუსეთის ენერგოპოლიტიკა[1] მოიცავს საგარეო პოლიტიკის პრაქტიკულ აქტივობებს, საგარეო ეკონომიკური და ენერგეტიკული სამსახურების ურთიერთთანამშრომლობას ეროვნულ კომპანიებთან და მათთან ერთობლივ საქმიანობას ენერგეტიკული პოლიტიკის განსახორციელებლად; მიზნად ისახავს ეროვნული ინტერესების დაცვას ენერგორესურსების წარმოების, ტრანსპორტირებისა და მოხმარების პროცესში. ამასთან, რუსეთის ენერგო-პოლიტიკის სტრატეგიული მიზნები არ არის მხოლოდ გლობალურ ენერგობაზარზე რუსეთის როგორც ყველაზე მსხვილი ენერგომიმწოდებელი ქვეყნის სტატუსის წარმოჩენა. იგი გულისხმობს რუსეთის ენერგორესურსების ექსპორტის მიმართულებების დივერსიფიკაციის[2] გამო ბაზარზე ქვეყნის ქმედებების ცვლილებების შეფასებას და მის დაგეგმვას, საერთაშორისო ენერგობიზნესის სრულიად ახალი ფორმების შემუშავებას, მსოფლიო მასშტაბით რუსული კომპანიების საქმიანობის გაფართოებას.

ენერგოპრობლემების გლობალური ხასიათი, მათი პოლიტიზირება, ასევე რუსეთის მზარდი როლი მსოფლიო ენერგოსივრცეში ენერგეტიკულად განაპირობებს იმ ფუნდამერტურ ელემენტებს, რომელსაც დღეს რუსეთის საგარეო პოლიტიკა ეფუძნება. ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დოქტრინაში პრიორიტეტულ საკითხებად განსაზღვრულია: ენერგორესურსების უწყვეტი მიწოდება ენერგომომხმარებლებისთვის, ენერგოსფეროს ინოვაციური და კომპლექსური განვითარება, ენერგოეფექტურობის ზრდა შიდა ეკონომიკის ყველა სექტორში, უცხოური ბაზრებისათვის რუსული ექსპორტიორების არადისკრიმინაციული ხელმისაწვდომობა, მსოფლიო ენერგობაზრებზე რუსეთის პოზიციის გაძლიერება.

ნახ.1. რუსეთის ენერგოუსაფრთხოების დოქტრინის პრიორიტეტული საკითხები

[1] ენერგოპოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს ზოგადი პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს და მოიცავს ქვეყნის ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს ენერგო სფეროში. ასევე, სამართლებრივ ბაზას (ენერგოკანონმდებლობა, ხელშეკრულებები, შეთანხმებები და ა.შ.). ნებისმიერ სახელმწიფოს გააჩნია ინდივიდუალური ენერგოპოლიტიკა, რომელიც ბუნებრივია შეიძლება იყოს ეფექტური ან არაეფექტური, ჩამოყალიბებული პოლიტიკური დოკუმენტების სახით ან მის გარეშე [2,4].

[2] ენერგოსფეროს დივერსიფიკაცია-საქმიანობის სფეროს გაფართოება ერთ მომწოდებელზე დამოკიდებულებისა და ციკლური ფაქტორების ზემოქმედების შემცირების მიზნით.

გასათვალისწინებელია, რომ რუსეთი მიყვება ენერგოპოლიტიკის ტრადიციულ მოდელს, რომელიც ვითარდება „ენერგოსტრატეგია 2030 წლამდე“ დოკუმენტის საფუძველზე და ითვალისწინებს ეკონომიკის გადასვლას ინოვაციური განვითარების გზაზე. რუსეთი ენერგორესურსების მოპოვებას, დარეზერვებას, ექსპორტს ახორციელებს არა მხოლოდ ზედმეტი ეკონომიკური შემოსავლების მისაღებად და ქვეყნის მოდერნიზაციისათვის, არამედ გეოპოლიტიკური გავლენის გასაფართოებლად. 2030 წლის სტრატეგიის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საწვავი და ზოგადად ენერგეტიკული რესურსების კომპლექსი უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედი. ხოლო 2035 წლის სტრატეგიისათვის მთავარი ამოცანა არის საწვავისა და ენერგოსექტორის რესურსული სისტემის ინოვაციურ განვითარებაზე გადასვლა. ეს ახალი მიმართულება რეალურად ორიენტირებულია ინფრასტრუქტურული განვითარების სტიმულირებაზე, რაც საბოლოო ჯამში, შექმნის შესაბამის პირობებს დივერსიფიკაციის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინფრასტრუქტურული შეზღუდვების მინიმალიზაციის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ამოცანების განხორციელება 2035 წლის გეგმისთვის ხორციელდება 3 ეტაპად[1] და მთავარი დანიშნულება ენერგოსფეროს თანდათანობით განვითარება და ახალი თაობის სისტემაზე გადასვლაა [3].

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ენერგოსფეროში ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად განიხილება ბუნებრივი აირის ინდუსტრია. ამასთან, მსოფლიო ბაზარზე გაზზე მოთხოვნის ზრდის, ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური არასტაბილურობის, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების მზარდი რისკის პირობებში, რუსეთი განიხილება როგორც ბუნებრივი აირის სტაბილური და უდიდესი ექსპორტიორი, რითაც, ბუნებრივია, აძლიერებს თავის გეოპოლიტიკურ პოზიციას. ეს ქმნის შესაძლებლობას, რომ ნავთობი გამოყენებულ იქნას როგორც პოლიტიკური გავლენის ინსტრუმენტი „გაზის გეოპოლიტიკის“ მიმართ. ამან შესაძლოა გაამწვავოს ურთიერთობები გაზის ტრადიციულ ექსპორტიორებთან[2].

რუსეთის ენერგოსტრატეგიის შემუშავების კიდევ ერთი პერსპექტიული მიმართულებაა ბირთვული ენერგია. სახელმწიფოს პოლიტიკა ამ სფეროში მიზნად ისახავს ბირთვული ტექნოლოგიების ექსპორტის პოტენციალის გაზრდას, ბირთვული საწვავის, მასალებისა და მომსახურებების ექსპორტის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს რუსეთის სტატუსის კიდევ უფრო გაძლიერებას მსოფლიო ბირთვული ენერგიის სფეროში.

[1] პირველი ეტაპი - 2014-2020 წ.წ. - შიდა რეორგანიზაცია; მეორე ეტაპი - 2021- 2025 წ.წ. - ინოვაციური განვითარება და ახალი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება; მესამე ეტაპი - 2026-2035 წ.წ. - ინოვაციური ეკონომიკის განვითარება და რუსეთის ენერგოსფეროს ფორმირება განვითარებული ქვეყნების დონეზე. ეს ეტაპები კოორდინირებულია დოკუმენტში-რუსეთის გრძელვადიანი სოციალური და ეკონომიკური განვითარება 2030 წლამდე.

[2] კერძოდ, ოპეკსა და თხევადი გაზის ექსპორტიორებს (კატარი, არაბეთი, ნორვეგია, ალჟირი) შორის.

რუსეთის ენერგოსტრატეგია ორიენტირებულია დსთ-ს, ცენტრალური აზიისა და კასპიის რეგიონის ქვეყნებიდან ენერგორესურსების მიწოდებასა და ენერგობალანსის ფორმირებაში ფართომასშტაბიან ჩართულობაზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ნავთობისა და ბუნებრივი აირის პროექ-ტების განხორციელების ხელშეწყობა, მათ შორის, ახალი სტრატეგიული ინფრასტრუქტურის მშენებლობა. რუსეთის ენერგო ინტერესები კასპიის რეგიონში პირდაპირ დაკავშირებულია როგორც გეოპოლიტიკურ, ასევე ამ რეგიონის სატრანზიტო და ეკონომიკურ სფეროში არსებულ ინტერესებთან. რუსეთსა და კასპიის რეგიონისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ენერ-გოურთიერთობაში უდიდესი ადგილი უჭირავს კასპიის რეგიონის ნავთობისა და ბუნებრივი აირის ბაზარზე ტრანსპორტირებისა და ტრანზიტის სფეროში თანამშრომლობას, ასევე კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის მოგვარებას.

ამავე დროს, რუსეთისათვის ევროკავშირი განიხილება ტრადიციულად მნიშვნელოვან ენერგოპარტნიორად. მას, როგორც ევროპისათვის ბუნებრივი აირის მთავარ მიმწოდებელს, ყოველთვის შეუძლია ეს გამოიყენოს გავლენის მთავარ ბერკეტად ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაზე. შესაბამისად, ბუნებრივი აირის მიწოდებაზე კონტროლის შენარჩუნება რუსეთისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია[1]. ამის პარალელურად კი ევროკავშირი მაქსიმალურად ცდილობს გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა ენერგო დივერსიფიკაციისათვის და რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების შესამცირებლად.

რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის“ პროექტის ფარგლებში

ენერგოპოლიტიკიისა და ენერგოდიპლომატიის ფენომენი რუსეთ-გერ-მანიისა და ზოგადად რუსულ-ევროპული ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნე-ლოვანი ასპექტია. ენერგოსფერო არაერთხელ გამხდარა თავად ევროკავშირის წევრებს შორისაც დავის საგანი. „ჩრდილოეთის ნაკადის“ ახალი - მეორე პროექტი რომელზე მუშაობაც ამჟამადაც აქტიურად მიმდინარეობს, თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს რუსეთთან დაკავშირებით ევროკავშირის ერთიანი პოზიციის წინააღმდეგ გერმანიის ქმედებების[2].

„ჩრდილოეთის ნაკადის“ პროექტის იდეა უკავშირდება 1997 წელს რუსული კომპანია „Gazprom“-ის და ფინური კომპანია „Neste“-ს მიერ ერთობლივი კომ-პანიის „ჩრდილოეთის ტრანსგაზი“-ს დაფუძნებას[3], რომელიც აქტიურად

[1] რეალურად, რუსული კომპანია -გაზპრომი თავისი გაზის 80%-ს სწორედ ევროპის ბაზარზე ყიდის.

[2] რუსეთ-ევროპის ენერგოთანამშრომლობა ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან იწყება - იმ პერიოდიდან, როდესაც ევროპისათვის ბუნებრივი აირის მიწოდება ოფიციალურად დაიწყო მაშინდელმა საბჭოთა კავშირმა.

[3] რეალურად, აღნიშნული კომპანია შეიქმნა ბალტიის ზღვის გავლით რუსეთიდან გერმანიისათვის ბუნებრივი აირის მიწოდების უზრუნველსაყოფად.

თანამშრომლობდა გერმანულ კომპანიასთან - „Ruhrgas“-თან. მოგვიანებით, 2005 წელს ფინურმა კომპანიამ თავისი წილი გაყიდა, რომელიც რუსულმა „Gazprom“-მა შეიძინა და ამით ის „ჩრდილოეთის ტრანსგაზი“-ს ერთადერთი მეპატრონე გახდა. ამავე წელს, „Gazprom“-მა ორ გერმანულ კომპანიასთან[1] ოფიციალურად გააფორმა ხელშეკრულება გაზსადენის მშენებლობის შესახებ. ამ კომპანიებმა 2005 წლის ბოლოს, დეკემბერში ერთობლივად შექმნეს კომპანია, რომელსაც 2006 წლის 4 ოქტომბერს ოფიციალურად ეწოდა „ჩრდილოეთის ნაკადი“. რუსულ-გერმანული კავშირის პირველი ერთობლივი კომპანია „ჩრდილოეთის ტრანსგაზი“ კი ოფიციალურად გაუქმდა. „ჩრდილოეთის ნაკადის“ მიერ პირველი სადგურის მშენებლობა ოფიციალურად დაიწყო 2010 წელს, პირველი მილსადენი 2011 წელს, მეორე კი 2012 წელს[2] შევიდა ექსპლუატაციაში [4].

2015 წლის 5 სექტემბერს „Gazprom“-სა და ხუთ ევროპულ პარტნიორ კომპანიას შორის ოფიციალურად გაფორმდა შეთანხმება „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შესახებ, 2017 წლის 16 ივნისს კი გაზსადენის მშენებლობის უზრუნველყოფისათვის გამოცხადებული პირველი ტენდერი დასრულდა. საინტერესოა, რომ აღნიშნული პროექტის ოპერირებას უზრუნველყოფს კონსორციუმი სახელწოდებით „Zug“-ი, რომლის 50%-იან წილს რუსული კომპანია „Gazprom“ ფლობს[3] [5]. აღნიშნული კომპანია პროექტის განსახორციელებლად დაახლოებით 10 მლრდ. ევრომდე ინვესტირების პასუხისმგებლობას იღებს. 2018 წლის გაზაფხულზე გერმანიის მთავრობამ ოფიციალურად გასცა ნებართვა მილსადენის მშენებლობისათვის და დაიწყო ინფრასტრუქტურული სამუშაოები პროექტის პირველ პუნქტზე, რომელიც მდებარეობს გრეიფსვილდში[4]. საინტერესოა, რომ „ჩრდილოეთის ნაკადის“ პროექტების ერთობლივი გამტარუნარიანობა საშუალოდ 110 მლრდ. $მ^3$-ია, რაც რეალურად საკმაოდ მაღალი მონაცემია. ფაქტობრივად, აღნიშნული პროექტის ექსპლუატაციის შედეგად, ბუნებრივი აირის სხვა მილსადენები, მათ შორის უკრაინული გაზსადენებიც, დიდ ალბათობით შეიძლება უმოქმედოდ დარჩეს. ამ მოსაზრებას „Gazprom“-ის ოფიციალური განცხადებებიც აძლიერებს[5]. ამ შემთხვევაში კი უკრაინა დაკარგავს სატრანზიტო ფუნქციას, მიიღებს დიდ ეკონომიკურ დარტყმას და ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობაც მნიშვნელოვნად შემცირდება. ამის პარალელურად კი პროექტის ამოქმედებით რუსული კომპანია გერმანიისთვის ბუნებრივი აირის მთავარი მიმწოდებელი და მისი ენერგობაზრის მაკონტროლებელი გახდება.

[1] BASF SE/Wintershall და E.ON Ruhrgas.

[2] თითოეული მილსადენის გამტარუნარიანობა საშუალოდ 27,5 მლრდ. $მ^3$-ია.

[3] დარჩენილ 50%-იან წილს ინაწილებენ გერმანული, ბრიტანული, ავსტრიული და ფრანგული კომპანიები 10%-იანი წილებით - „Uniper“ და „Wintershell“-10%-10%, „Royal Dutch Shell“, „OMV“, „Engie“.

[4] გერმანია. აქვე გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ პროექტს მხარს უჭერს შვედეთი და ფინეთი. პროექტის დასრულება სავარაუდოდ 2019 წლის ბოლოსთვის იგეგმება.

[5] „Gazprom“-ის განცხადებით, მას შემდეგ, რაც 2019 წელს უკრაინასთან არსებულ შეთანხმებას ვადა ამოეწურება, კომპანიის ხელმძღვანელობა მისი გაგრძელების შესაძლებლობას აღარ განიხილავს.

ამდენად, აშკარაა, რომ პროექტი „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ მნიშვნელოვან წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის ენერგოპოლიტიკასთან. ფაქტობრივად, იგი უზრუნველყოფს რუსეთის, როგორც ბუნებრივი აირის მთავარი მიმწოდებლის სტატუსის მინიჭებას. ამ მოსაზრებას აძლიერებს ის ფაქტი, რომ პროექტის ოპერირებას ახორციელებს კონსორციუმი, სადაც 50%-ან წილს ფლობს რუსული კომპანია „Gazprom“. ეს კი ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ მიწოდების უზრუნველყოფა გადადის ერთი სატრანზიტო მარშრუტისა და ერთი ქვეყნის ხელში.



ნახ.2. „ჩრდილოეთის ნაკადი 2“.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი აქტიურად მუშაობს ეფექტური ენერგოპოლიტიკისა და ენერგოდიპლომატიის ფორმირებაზე, რასაც საბოლოოდ ამყარებს სამართლებრივი კუთხითაც - ე.წ. რეგულაციების პაკეტებით[1], რომელთა შემოღებაც ორგანიზაციის მიერ მოხდა ეტაპობრივად და საბოლოოდ უზრუნველყო ენერგობაზარზე ზოგადი პრინციპებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს დამკვიდრება.



ნახ.3. ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის რეგულაციების პაკეტები.

1 1998 წლის პირველი პაკეტი - თავისუფალი ბაზრის პრინციპების ჩამოყალიბება და კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირება. 2003 წლის პაკეტი - არადისკრიმინაციულობის პრინციპის დამკვიდრება მესამე მხარის მიმართ. 2009 წლის პაკეტი - საბოლოო სახით ჩამოყალიბდა მესამე მხარისათვის არადისკრიმინაციულობის პრინციპი; ენერგოინფრასტრუქტურის მფლობელის და ასევე ოპერატორის დივერსიფიკაციის უზრუნველყოფის პრინციპი (აღნიშნული რეალურად ორიენტირებული იყო იმაზე, რომ არ მომხდარიყო ერთი მიმწოდებლის მიერ მონოპოლიის დამკვიდრება).

ყოველივე ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ მესამე პაკეტი თავის მხრივ უშვებს გამონაკლისის პრეცენდენტსაც. კერძოდ, ერთი მხრივ, ითვალისწინებს ახალი პროექტის ექსპლუატაციის საწყის ეტაპზე ზემოაღნიშნული ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას, ხოლო მეორე მხრივ აჩენს „მიწოდების უსაფრთხოების“ ვალდებულებას, რომელიც უფლებას იძლევა, რომ მიმწოდებელს უარი ეთქვას უსაფრთხო მიწოდებასთან დაკავშირებით რაიმე საფრთხის არსებობის დროს[1].

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რუსეთმა „სამხრეთის ნაკა-დის“ პროექტი სწორედ იმიტომ შეაჩერა, რომ ზემოაღნიშნულ რეგუ-ლაციებთან შეუთავსებლობა იყო, იმდენად რამდენადაც მესამე რეგუ-ლაციის არსებობა პროექტს ეკონომიკური კუთხით წამგებიანს ხდიდა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებსა და მკვლევარებს შორის, ასევე სამართლებრივ წრეებშიც არსებობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად არის მოქცეული „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტის ევროკავშირის მესამე რეგულაციის პაკეტში [6]. მკვლევართა ერთ ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროექტი როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზეც არ ხვდება რეგულაციის მესამე პაკეტში იმდენად, რამდენადაც ინფრასტრუქტურის გაყვანა ხდება ოფშორულ ზონაში - ზღვის ფსკერზე და შესაბამისად იგი განიხილება როგორც ბუნებრივის აირის მხოლოდ იმპორტის და განაწილების წყარო. ზუსტად იდენტური დასკვნა დადო იმ იურიდიულმა კომპანიამაც, რომელსაც ოფიციალურად მიმართა ევროკომისიამ. იურისტების დასკვნაში წერია, რომ რეგულაციის მესამე პაკეტი არ ვრცელდება ქვეყნის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონებზე და ასევე ტერიტორიულ წყლებზე.

ამრიგად, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მიმართ ევროკავშირის რეგუ-ლაციების მესამე პაკეტის ამოქმედება შეგვიძლია განვიხილოთ როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილება და არა კანონიერი ქმედება. რეალურად, თუ კონკურენტული ბაზრის პრინციპის დაცვის რეგულაციის პაკეტს ავამოქმედებთ, მაშინ პროექტის პირველ ნაწილზე-იმპორტის უზრუნ-ველყოფა-სერტიფიკატის გაცემისათვის ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ის ქვეყნები, რომელთა ტერიტორიულ წყალსაც კვეთს პროექ-ტის ინფრასტრუქტურა-რუსეთი, ფინეთი, შვედეთი, დანია და გერმანია. ამდენად, გამოდის რომ ბრიუსელის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელო-ბა ვერ ექნება.

რაც შეეხება პროექტის მეორე ნაწილს-გამანაწილებელ ფუნქციას, მისი უზრუნველმყოფელი ინფრასტრუქტურა უკვე ევროპის ტერი-ტორიაზე

[1] აღნიშნული წესი ცნობილია როგორც „Gazprom”-ის მუხლი იმის გათვალისწინებით, რომ ის იძლევა საშუალებას მხოლოდ და მხოლოდ უსაფრთხოების წინააღმდეგ არსებული რისკების აპელირების საფუძველზე მოხდეს მომწოდებლისთვის უარის თქმა, რაც სავარაუდოდ თავის თავში მოიაზრებს რუსული გავლენისგან თავის დაცვის ერთგვარი ოფიციალური, სამართლებ-რივი მექანიზმის არსებობას.

იქნება დამონტაჟებული. შესაბამისად, მასზე რეგულაციები სრული ძალით იმოქმედებს. თუმცა, აქ უკვე შეიძლება ამოქმედდეს გამონაკლისი-ახალი პროექტის გათავისუფლება საწყის ეტაპზე, მაგრამ მისი სარგებლობისათვის აუცილებელია შემდეგი წესის დაცვა - ინფრასტრუქტურა უნდა იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირის ოფიციალურ მფლობელობაში, რომელიც სამართლებრივად არანაირ კავშირში არ უნდა იყოს სისტემის ოპერატორთან. დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ გამონაკლისით სარგებლობა წარმოუდგენელია ვინაიდან მილსადენის 50%-ს და ასევე, ოპერატორი კონსორციუმის 50%-ის მფლობელი არის რუსული კომპანია.

აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის განხორციელებას ბევრი კრიტიკოსი ჰყავს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ამით კიდევ უფრო მეტად იზრდება ევროპის რუსეთზე დამოკიდებულება, მაშინ როდესაც ევროკავშირი უკვე დიდი ხანია ცდილობს ენერგოდივერსიფიკაციას და რუსეთზე დამოკიდებულების მინიმუმამდე შემცირებას. უკრაინა ღიად გამოხატავს პროექტით უკმაყოფილებას, რაც არაა გასაკვირი, ვინაიდან „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის ამოქმედების შედეგად ეს ქვეყანა კარგავს სატრანზიტო ფუნქციას. უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს პროექტი არის რუსეთის მიერ გერმანიისათვის გაღებული „ქრთამი ლოიალობისთვის“.

პროექტის მიმართ წინააღმდეგობრივი პოზიცია აქვს აშშ-საც. დონალდ ტრამპმა 2018 წლის 11-12 ივლისს ნატოს სამიტის ფარგლებში აშშ-ს პრეზიდენტისა და ნატოს გენერალური მდივნის შეხვედრის დროს „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის პროექტის განხილვისას გერმანია რუსეთის ტყვედ მოიხსენია. მან აღნიშნა, რომ გერმანიის მხრიდან, რომელიც რეგიონის უმდიდრესი ქვეყანაა, პროექტის განხორციელების მტკიცე მხარდაჭერა აშშ-ს მიმართ უსამართლობაა იმდენად, რამდენადაც ვაშინგტონი დიდ ფინანსურ ხარჯებს იღებს რუსეთისაგან ევროპის დასაცავად. აშშ-ს პოზიციას ბევრი ევროპელი მეცნიერი და მკვლევარი, ასევე პოლიტიკური წრეებიც იზიარებენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტრამპი ცდილობს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ამერიკული ენერგორესურსების ექსპორტს ევროპის ბაზარზე.

ზემოაღნიშნული კრიტიკის საპირისპიროდ კი გერმანია ამტკიცებს, რომ ეს პროექტი არ წარმოადგენს პოლიტიკური ინტერესების საგანს. თუმცა, ექსპერტებისა და მკვლევარების აზრით, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ პირდაპირ პოლიტიკურ ინტერესებზეა დაფუძნებული და ამის არგუმენტად ასახელებენ იმ ფაქტს, რომ ევროპას რეალურად 2 მილსადენით, რომლის მოცულობაც დაახლოებით 110 მლრდ. m^3-ია ბუნებრივი აირის მიწოდება სულაც არ ჭირდება, ვინაიდან ქვეყანა წელიწადში 80 მლრდ. m^3 გაზს მოიხმარს.

ამრიგად, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტი ორბუნებოვნებით გამოირჩევა. ერთის მხრივ, შორიდან აღიქმება როგორც ეკონომიკური პროექტი,

რომელიც დაკავშირებულია 2 ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებასთან, მაგრამ პროექტში ჩართული კომპანიების წარმომავლობით თუ დავინტერესდებით აშკარაა, რომ იკვეთება პოლიტიკური ინტერესების ნიშნები ორივე მონაწილე მხრიდან.[1]

უდავოა, რომ აღნიშნული პროექტი მოკლევადიან პერიოდში უწყვეტი ბუნებრივი აირის მიწოდების თვალსაზრისით გერმანიისათვის, ასევე ევროპისათვის შეიძლება ხელსაყრელად მივიჩნიოთ. გაიზრდება გერმანიის როლი ევროპის რეგიონში ბუნებრივი აირის განაწილების კუთხით, ვინაიდან „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტით გათვალისწინებული მილსადენით ბუნებრივი აირის მიწოდება განხორციელდება უშუალოდ გერმანიისათვის. მაგრამ, მეორე მხრივ, აშკარაა ისიც, რომ გერმანია დამოკიდებული ხდება რუსულ გაზზე და შესაბამისად, ეს მიმწოდებელს შესაძლებლობას აძლევს, რომ აკონტროლოს ტრანზიტი, შიდა გამანაწილებელი ინფრასტრუქტურა და ასევე, მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა. ეს უკანასკნელი კი რუსეთის ხელში ნებისმიერ დროს შეიძლება იქცეს პოლიტიკურ ბერკეტად [7].

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, პროექტის ამოქმედება საფრთხეს უქმნის ევროკავშირის ერთიანობას. პროექტის გარშემო არსებული აზრთა სხვადასხვაობა იწვევს წევრ ქვეყნებს შორის უთანხმოებას ენერგოპოლიტიკისა და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. რეალურად, პროექტის ამოქმედება საფრთხეს უქმნის არამარტო ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებას, არამედ დიდ ეკონომიკურ ზიანს აყენებს სატრანზიტო ქვეყნებს.

დასკვნა

უდავოა, რომ რუსეთის ენერგოსტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგეს ქვეყნის ინტერესების დაცვა მსოფლიო ენერგობაზრების განვითარებადი რეგულირების სისტემაში ისე რომ იგი არამარტო იცავს ენერგომომხმარებლების ენერგოუსაფრთხოების ინტერესებს, არამედ უზრუნველყოფს ინვესტიციების განხორციელებას ენერგორესურსების მწარმოებლების მსხვილ ინფრასტრუქ-ტურულ და ენერგოპროექტებში, ასევე ენერგორესურსების ტრანზიტის უსაფრთხოებას. რუსეთს რეალურად ენერგოპოლიტიკა ესმის არა როგორც მხო-ლოდ ეროვნული, არამედ გლობალური, მსოფლიო პრობლემების გადაჭრის ეფექტური საშუალება. ამავე დროს, რუსეთი ეწინააღმდეგება ცალმხრივად დისკრიმინაციული ზომების გამოყენებას გლობალური ენერგო დიალოგების წარმართვისათვის და მხარეთა ინტერესების დაბალანსებულ განხილვას.

[1] როგორც გერმანიის, ასევე რუსეთის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Energy Strategy of Russia for the period up to 2030. Approved by Decree N°1715-r of the Government of the Russian Federation dated 13 November 2009. Ministry of Energy of the Russian Federation. Moscow: Institute of Energy Strategy, PAC Energiya, 2010.
2. ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგია, საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის. თბ., 2013.
3. Энергетическая стратегия России на период до 2035 года.
4. https://www.nord-stream.com/ - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 17.04.19.
5. https://www.nord-stream2.com - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 17.04.19.
6. Goldthau A. Assessing Nord Stream 2: regulation, geopolitics and energy security in the EU, Central Eastern Europe and the UK. Strategy Paper (10-2016). London: The European Centre for Energy and Resource Security (EUCERS), Department of War Studies, King's College London, 2016.
7. ა. ალანია, გერმანულ-რუსული ურთიერთობების განხილვა „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის" პროექტის შესწავლის საფუძველზე. ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. 2017, ივლისი, 5.
8. http://www.bm.ge/ka/article/italiis-premierma-tap-is-milsadens-mxari-dauchira---qveyana-gazs-saqartvelos-gavlit-miigebs/26250 - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 17.04.19.
9. Hill F., Gaddy C., The Siberian Curse: How Communist Planners Left Russia Out in the Cold. Washington DC: brookings institution press, 2003.
10. Cohen S. B. Geography and politics in a world divided. Oxford University Press, 2nd edition, 1973.
11. ვ. მაისაია, შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. პარიზი: ქართულ-ევროპული ინ-ტი (პარიზი), კავკასიის ხალხთა საერთაშორისო ს/კ ინ-ტი (თბილისი), 2003
12. ნ. ბაბუაძე, ე. ბარათაშვილი, მ. პაპაშვილი, ი. კვესელავა. ეკონომიკური დიპლომატია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ. 2011.

Russia's Energy policy and challenges of Energy sovereignty

Tamar Sisvadze, PhD student,
Georgian Technical University

Resume

In the modern world, the appearance of energy spectrum in the field of politics and economics has led to Russia's use of energy phenomenon as a political tool. This state, in fact, represents the country of large oil and natural gas reserves. Therefore, Russia is trying to use this advantage and become the main player in the energy sector in both regional and global aspects. At the modern stage, energy resources for Russia have become a powerful political leverage and the energy market has become a part of the fight for political interests.

This article is deeply reviewed by Russia's energy policy, energy security priority issues, relations between Russia and Germany, analyzes the project of "North Stream 2" and its compliance with euro regulation packages.

Keywords: Energy politics; Energy security; Energy Strategy; Energy independence; Safety of energy supply; Energy Diversification. Safety of energy delivery.

დისკრიმინაციის აღმოფხვრის ძირითადი საერთაშორისო მექანიზმები

გიორგი ტალახაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ქვეყნების დემოკრატიზაციის პროცესში, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ადამიანის უფლებების დაცვა გადამწყვეტი ფაქტორია და შესაბამისად, განვითარებული სახელმწიფოების ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ საკითხს წარმოადენს. თანამედროვე მსოფლიო, ადამიანს, საზოგადოების რიგით წევრს, ზრუნვის უპირველეს ობიექტად აცხადებს.

ადამიანის თანასწორუფლებიანობისა და ღირსეული ცხოვრების უფლების უზრუნველყოფა გულისხმობს სახელმწიფოს მიზანს, დაამკვიდროს სამართლიანობა და გამორიცხოს სხვადასხვა სახის განსხვავებები.

დისკრიმინაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე, როგორიცაა: სქესი, რასა, კანის ფერი, ენობრივი ჯგუფებისადმი კუთვნილება, აღმსარებლობა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებები, ეროვნული და სხვა სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება. თუმცა აღსანიშნავია, რომ მითითებული საფუძვლები არ არის ამომწურავი რაზეც სასამართლო პრეცედენტული სამართლით, დადგენილია, რომ ნებისმიერი განსხვავება, შეიძლება, განიხილებოდეს დისკრიმინაციად, ვიდრე არ იქნება გამართლებული ობიექტურად და გონივრულად.

საკვანძო სიტყვები: დისკრიმინაცია, ადამიანის უფლებები, რასა, კანი. ფერი.

შესავალი

სახელმწიფოებისთვის, განსხვავებების გამორიცხვისა და სამართლიანობის რეალიზების ერთ-ერთ გზას დისკრიმინაციის აღმოფხვრა წარმოადგენს, რაც სახელმწიფომ შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით უნდა უზრუნველყოს.

საერთაშორისო ორგანიზაციები, წლების განმავლობაში მუშაობენ იმ სამართლებრივი ნორმების დახვეწაზე რომელიც უზრუნველყოფდა თანასწორი გარემოს შექმნას თანასწორი უფლებებით სარგებლობისთვის და არ დაუშვებდა პირის უფლებების შეზღუდვას სხვადასხვა ნიშნით.

დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. ადამიანის უფლება, იყოს დაცული დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან, განმტკიცებულია არაერთ

საერთაშორისო სამართლებრივ აქტში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაობა გამოიხატება სწორედ იმაში, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და თანასწორია თავისი ღირსებითა და უფლებებით“ [1] მაშინ სრულყოფილად ჩანს, რომ დისკრიმინაცია აკრძალულია ნებისმიერი უფლებებით სარგებლობისას.

მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული დოკუმენტების ნაწილი დისკრიმინაციის აკრძალვაზე მიუთითებენ ზოგადად, ხოლო სხვები კონკრეტულად ზღუდავენ დისკრიმინაციის აკრძალვას რამდენადაც ეს საჭიროა უფლებათა და თავისუფლებათა თანასწორი სარგებლობისთვის.

ძირითადი ნაწილი

დისკრიმინაციაზე საუბრისას აღსანიშნავია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“ [2], რომელიც დისკრიმინაციის დაუშვებლობის ერთ-ერთ უმთავრეს დოკუმენტს წარმოადგენს.

კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად. კონვენცია მოიცავს მთელ რიგ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, როგორიცაა, სიცოცხლის უფლება, წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის აკრძალვა, მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, კანონის გარეშე დანაშაულისა და სასჯელის არარსებობის პრინციპი (nullum crimen, nulla poena sine lege), პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, აზრის გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, ქორწინების უფლება [3].

შესაბამისად, მე-14 მუხლი მიუთითებს კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და გამორიცხავს არათანაბარ მიდგომას ნებისმიერი უფლებით სარგებლობისას.

აღსანიშნავია, რომ კონვენციის მიერ დაცული სხვა უფლებებისგან განსხვავებით, დისკრიმინაციის აკრძალვა არის ბლანკეტური ნორმა, რომელიც

განიხილება კონვენციისა და მისი ოქმების სხვა მუხლებთან ერთობლიობაში. მას ასევე „პარაზიტ“ ნორმასაც უწოდებენ, ვინაიდან მე-14 მუხლი საზრდოობს სხვა მუხლებით, ანუ, ჩვეულებრივ, იგი არ გამოიყენება დამოუკიდებლად და მისი დარღვევა ნაგულვები უნდა იყოს რომელიმე სხვა უფლებასთან მიმართებაში.

თავდაპირველად, კონვენცია მე-14 მუხლის მეშვეობით უზრუნველყოფდა მხოლოდ თავად კონვენციით გარანტირებული ულებებისა და თავისუფლებების დაცვას დისკრიმინაციის გარეშე, რაც, რასაკვირველია, დროთა განმავლობაში, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების პარალელურად, აღარ იყო საკმარისი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ეფექტიანი დაცვის თვალსაზრისით. კონვენცია ასახავს ადამიანის უფლებათა მინიმალურ სტანდარტებს, რაზეც სახელმწიფოებმა შეძლეს შეთანხმება 65 წლის წინ [3].

როგორც აღინიშნა, დისკრიმინაცია უნდა განიხილებოდეს სხვა ნორმასთან ერთობლიობაში, რაც გულისხმობს იმას, რომ დისკრიმინაციის დადგენა შესაძლებელია ისეთ შემთხვევაში როდესაც ადგილი აქვს სხვა უფლების შეზღუდვას.

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი გავრცელდა, ასევე, დამატებით ოქმებში გაცხადებულ უფლებებზე. დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ევროსაბჭომ კიდევ უფრო გააფართოვა მისი მოქმედების არეალი და 2000 წელს ხელმოსაწერად წარადგინა კონვენციის მე-12 ოქმი, რომელიც 2005 წელს შევიდა ძალაში. ოქმის პირველი მუხლით მოხდა დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა. კერძოდ, ის აღარ არის შემოფარგლული მხოლოდ კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით უზრუნველყოფილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით და ვრცელდება ასევე ადამიანის ყველა იმ უფლებებსა და თავისუფლებებზე, რომლებიც კონვენციის ხელმომწერი ქვეყნების კანონმდებლობითაა დადგენილი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არა ერთხელ განმარტა, რომ კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვა ვრცელდება არა მარტო კონვენციით უზრუნველყოფილ უფლებებზე, არამედ დამატებით იმ უფლებებზე, რომელთა დაცვაც სახელმწიფოებმა ნებაყოფლობით იკისრეს. ოქმის განმარტებითი ბარათის მიხედვით, მისი მიღება განაპირობა დისკრიმინაციის წინააღმდეგ დაცვის გაძლიერების სურვილმა, რაც უნდა გამხდარიყო ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის ძირითადი ელემენტი [3].

დისკრიმინაციის არსი და მისი გაგება დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა, რაც თავისთავად აისახებოდა შესაბამის აქტებში და მეტ კონკრეტიკას იძლეოდა დისკრიმინაციის განსაზღვრისთვის. გაფართოვდა აკრძალული ნიშნების ჩამონათვალი და მისი საფუძვლები, ადამიანის

უფლებათა დაცვის მექანიზმები დღითიდღე იხვეწება და მის განვითარებასთან ერთად, დისკრიმინაციამ შეიძინა ფართო განმარტება, რაშიც უდიდესი როლი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ითამაშა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 ოქმის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად. აღნიშნულმა მუხლმა გააფართოვა დისკრიმინაციის აკრძალვის არეალი. კერძოდ, ის აღარ არის შემოფარგლული მხოლოდ კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით უზრუნველყოფილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით და ვრცელდება ასევე ადამიანის ყველა იმ უფლებებსა და თავისუფლებებზე, რომლებიც კონვენციის ხელმომწერი ქვეყნების კანონმდებლობითაა დადგენილი [4].

დისკრიმინაციის აკრძალვის კონვენციისმიერი უზრუნველყოფა განსაკუთრებით ეფექტიანია იმ თვალსაზრისით, რომ მის სადარაჯოზე დგას ისეთი ინსტიტუცია, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებები სავალდებულოა აღსასრულებლად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის [5].

როგორც ავღნიშნე, ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცენდენტული სამართლის როლი, უმნიშვნელოვანესია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კუთხით, იგი იძლევა შესაძლებლობას ეროვნულმა სასმართლოებმა გამოიყენონ არსებული პრაქტიკა, რომელიც შექმნის დაცვის რეალურ და ქმედით მექანიზმს.

2005 წელს ძალაში შევიდა კონვენციის მე-12 ოქმი, რომლის პირველი მუხლით მოხდა დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა, რომელიც აღარ არის შემოფარგლული მხოლოდ კონვენციით უზრუნველყოფილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით და იგი გავრცელდა ადამიანის ყველა უფლებებსა და თავისუფლებებზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინეებული დისკრიმინაციის აკრძალვა ვრცელდება არა მარტო კონვეციით უზრუნველყოფილ უფლებებზე, არამედ დამატებით იმ უფლებებზე, რომელთა დაცვაც სახელმწიფოებმა ნებაყოფლობით იკისრეს. ოქმის დამატებითი ბარათის მიღება განაპირობა დისკრიმინაციის წინააღმდეგ დაცვის გაძლიერების სურვილმა, რაც უნდა გამხდარიყო ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის ძირითადი ელემენტი.

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი იყო და არის ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ არაერთ საკანონმდებლო აქტში და იგი განიხილება როგორც ძირითადი თავისუფლება, რომელიც პირველ რიგში უნდა იყოს დაცული. შესაბამისად, დისკრიმინაციის თემა ძალზედ ფართოა და მოიცავს მრავალ ასპექტს, რომელიც, ძირითადად, განიხილება ამ სფეროში ერთ-ერთი ფუძემდებლური საქმის „დ.ჰ და სხვები ჩეხეთის წინააღმდეგ" [6] მაგალითზე, რომლის საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ.

საყოველთაო უფლებები უნდა ეხებოდეს, განურჩევლად ყველას, ვენის დეკლარაციის და სამოქმედო პროგრამის სიტყვებით „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპია" (1993, პ.15) იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია დაიწერა 1940 წელს, აღსანიშნავია მისი ფრაზეოლოგია სადაც გამოყენებულია უსქესო ენა, მიუხედავად წინა წლებში შედგენილი პროექტებისა რომლებიც აცხადებდნენ „ყველა კაცის თანასწორობას". მიუხედავად ამისა, გაეროს ხშირად ქონდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო ბუნების გამეორების მიზეზები მაშინ, როცა, ამასათანავე, გარკვეული ჯგუფებისადმი მიძღვნილ დოკუმენტებსი კიდევ და კიდევ ახდენდა ამ უფლებების კოპირებას [7].

ამჟამად, დისკრიმინაცია გამოიყენება „უსამართლო დაუსაბუთებელი, დაუდასტურებელი, ან დესპოტური განსხვავების არახელსაყრელი მნიშვნელობით". რომელიც ეხება „ნებისმიერ ქმედებას თუ საქციელს, რომელიც უსპობს ადამიანებს თანასწორი მობყრობის მიღების საშუალებას, ვინაიდან ისინი განეკუთვნებიან საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს" [7].

დისკრიმინაციის დაუშვებლობა და მისი აღმოფხვრა, როგორც ცნება, განპირობებულია სამართლებრივი მოსაზრებებითა და თანასწორობის საჭიროებით. თანასწორობის საჭიროებას და დისკრიმინაციის აღმოფხვრას რეალურ ცხორებაში და სამართალში, პირველად მხარი დაუჭირა მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა საერთაშორისო სასამართლომ, საკონსულტაციო მოსაზრებით უმცირესობათა სკოლების შესახებ ალბანეთში.

ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი, უმნიშვნელოვანესია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კუთხით, იგი იძლევა შესაძლებლობას ეროვნულმა სასმართლოებმა გამოიყენონ არსებული პრაქტიკა, რომელიც შექმნის დაცვის რეალურ და ქმედით მექანიზმს.

განსაკუთრებით საინტერესოა დისკრიმინაციის საფუძვლების მნიშვნელობისა და იერარქიის განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ვინაიდან სწორედ მის მიერ შემუშავებული მიდგომები ახდენს ზეგავლენას ევროპული მართლმსაჯულების ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე როგორც, ზოგადად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის სფეროში, ისე ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით [4].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია კონვენციის მე-14 მუხლის გაგებით, თუ მას არ აქვს ობიექტური და გონივრული დასაბუთება და თუ ის არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს ან თუ გამოყენებული საშუალება არ არის მისაღწევი მიზნის თანაზომიერი [4].

1948 წელს, ისეთმა ძლიერმა ორგანიზაციამ როგორიც გაეროა, მიიღო ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია. აღნიშნული დეკლარაცია, ადამიანთა უფლება-თავისუფლების სფეროში ამკვიდრებს ისეთ ფუნდამენტურ ნორმა-პრინციპს როგორიცაა: დისკრიმინაციის აკრძალვა და თანასწორუფლებიანობა ყველა ადამიანისა. ამ დეკლარაციის მეორე მუხლში ვკითხულობთ: „დეკლარაციით გათვალისწინებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს თითოეულ ადამიანს განურჩევლად ნებისმიერი განსხვავებისა, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენისა, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა".

გაეროს წესდებამ შექმნა პრეცედენტი, რომლის საფუძველზეც დაიწყო სხვადასხვა სამართლებრივი აქტების მიღება, რომელთაგანაც გამორჩეულია საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1965 წ.) აღნიშნულ კონვენციაში ჩამოყალიბებული გარანტიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სამართალ სუბიექტობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და კანონით თანაბარი დაცვის აღიარება.

გაეროს წესდება მოიხსენიებს მხოლოდ, რასას, სქესს, ენასა და რელიგიას (მუხლი1, 55), ხოლო უახლესი საერთაშორისო ხელშეკრულებები შეეხება დისკრიმინაციას უფრო კონკრეტულად როგორიცაა სქესი, რასა ან ეთნიკური წარმოშობა, რელიგია, რწმენა, უნარშეზღუდულობა, ასაკი ან სექსუალური ორიენტაცია.

ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია მოიცავს უფრო ვრცელ და ფართო დებულებებს დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, კერძოდ, 21 მუხლი კრძალავს „დისკრიმინაციას დაფუძნებულს სქესზე, კანის ფერზე, ეთნიკურ ან სოციალურ წარმოშობაზე, გენეტიკურ ნიშნებზე,

ენაზე, რელიგიასა და რწმენაზე, პოლიტიკურ თუ სხვა შეხედულებებზე, ეროვნული უმცირესობის წევრობაზე, ქონებაზე, უნარშეზღუდულობაზე, ასაკსა თუ სქესობრივ ორიენტაციაზე“.

დასკვნა

წარმოდგენილი საერთაშორისო დოკუმენტების გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც პირდაპირ მითითებებს აკეთებენ დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე და ხაზგასმით აღნიშნავენ ადამიანების თანასწორი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულია დოკუმენტები რომლებიც უშუალოდ კონკრეტული ჯგუფების დისკრიმინაციის დაუშვებლობის გარანტიებს იძლევა, მაგალითად, ქალთა, დასაქმებული პირების, რასობრივი თუ სხვა. ყველა დოკუმენტი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია თანასწორობის განმტკიცებისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის მიზნის მისაღწევად. გარდა ამისა, საერთაშორისო დოკუმენტების ინპლენმენტაცია და მათი გაზიარება ქმნის საუკეთესო პრაქტიკას, ეროვნული კანონმდებლობის მოწესრიგების და საერთაშორისო აღიარებულ ნორმებთან დაკავშირებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“
2. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“;
3. კინწურაშვილი ნ., თბ., 2015.
4. https://sangu.ge/images/2015/natiakintsurashvili.pdf
5. დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში; მარინა კვაჭაძე ელენე ღვინჯილია, ნათია ჯუღელი; თბილისი, 2017 წელი; ხელმ: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/diskriminaciis-akrzalvis-saertashoriso-standartebis-asaxva-erovnul-sasamartlo-praktikashi.pdf
6. ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია, თბ., 2013.
7. დ.ჰ და სხვები ჩეხეთის წინააღმდეგ (D.H. and others v. the Czech Republic) [დიდი პალატა],N 57325/00, 13 ნოემბერი, §188, ECHR 2007.

8. მაკკინი ვ. ხელმ: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-------0-1l--11-ka-50--20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.2&d=HASH013ff-4c7373719a90e547cec.15&x=1
9. საქართველოს ორგანული კანონი "სახალხო დამცველის შესახებ";
10. სმიტი რონა კ. ადამიანის საერთაშორისო უფლებები, სახელმღვანელო. [მეორე გამოცემა]–რედ. გიორგი ჯოხაძე თარგმანი: მანანა კობიაშვილი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, „სეზანი".
11. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/diskriminaciis-akrzalvis-saertashoriso-standartebis-asaxva-erovnul-sasamartlo-praktikashi.pdf

Basic International Mechanisms for Elimination of Discrimination

Giorgi Talakhadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

Protection of human rights according to internationally recognized standards should be considered as a decisive factor in the democratisation process of a country. Thus and thereof, equal protection of human rights is a leading challenge for third states, as well as for developed countries. Elimination of all forms of discrimination and ensuring justice, constitutes a basis for democratic states.

International human rights law lays down the obligations of Governments to protect and promote human rights and fundamental freedoms. All human being is entitled to human rights, without discrimination based on many different characteristics, such as: gender, race, skin color, language, religion, political and other beliefs, national origin, belonging to minority groups and financial status. There still does not exist a full list of discrimination types and the Court case law (the ECJ and national courts) determines other types discrimination, unless it's justified. For all countries, elimination of discrimination is a mean for realization of equality and justice, which should be ensured by introduction of proper legislation and its effective implementation mechanisms. International organizations consistently develop standards for better protection of human rights and fundamental freedoms by undertaking series of measures to end discrimination.

სამართალმცოდნეობა

L A W

არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის გამომწვევი სამართლებრივი ფაქტორები

ოთარ ხინიკაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეძღვნება არასრულწლოვანთა დანაშაულობის გამომწვევ სამართლებრივ ფაქტორებს.

სტატიაში წარმოჩენილი და განხილულია დანაშაულობის ხელისშემწყობი ისეთი პირობები, როგორიცაა: სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობები, სამართლებრივი კულტურა, სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტები, არაფორმალური დაჯგუფებები, საზოგადოებრივი აზრი და მისი როლი არასრულწლოვანთან მიმართებაში.

სტატიაზე მუშაობისას გამოყენებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მოზარდის მართლზომიერი ქცევის მოტივები და პასუხისმგებლობის გრძნობა, პიროვნების მომავალ დამნაშავედ ჩამოყალიბებაში; ასევე, რა კავშირია არასრულწლოვან დამნაშავესა და არაადეკვატურ ფსიქოსოციალურ გარემო ფაქტორებს შორის.

სტატია, ასევე, ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს მხრიდან იმ შესაბამისი პირობების შექმნის აუცილებლობაზე, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა მიერ პოზიტიური სამართლებრივი აქტიურობის გამოვლენას.

სტატიის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლშეგნების ყველა

იმ სტრუქტურული კომპონენტების წარმოჩინება, რომელიც გავლენას ახდენს სისხლისსამართლებრივი ნორმების შემდგომ ჩამოყალიბებაზე

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანი, დანაშაულობა, სამართლებრივი ფაქტორი, მართლშეგნება.

შესავალი

ზოგადსამართლებრივი წარმოდგენები და სამართლის ინდივიდუალური ინტერპრეტაციაადამიანთამიერ,მიეკუთვნებაყველაზერთულფსიქოსოციალურ მოვლენას, რომელიც შეიცავს ისტორიულ, სახელმწიფოებრივ-ინსტიტუციურ, მსოფლმხედველურ, პიროვნულ და დეტერმინანტების კომპლექსს. ამასთანავე, მას ერთდროულად გააჩნია მრავალი მახასიათებელი ან განზომილება ისეთი პირობების ძირითადი ჯგუფების სახით, რომელსაც შეუძლია სამართლებრივი ნორმების ფუნქციონირების ეფექტიანობის უზრუნველყოფა, პირობათა შორის გვევლინება შემდეგი: [2].

1. მაკროსოციალური პირობები - (საზოგადოების რეალური სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობები, სამართლებრივი სისტემა, სოციალური ინსტიტუტები, სამართლებრივი კულტურა, საზოგადოებრივი აზრი, სამართლის პრესტიჟი და ა.შ.);

2. მიკროსოციალური პირობები - (სუბკულტურული სამართლებრივი ორიენტაციები სხვადასხვა ფორმალურ და არაფორმალურ სოციალურ ჯგუფებში, შრომით და სხვა კოლექტივებში გაწევრიანება);

3. პიროვნული პირობები - (სუბიექტური-სამართლებრივი აქტიურობა სამართალშემოქმედებასა და სამართალაღმასრულებელ ქცევებში).

ძირითადი ნაწილი

მაკროსოციალური პირობების გათვალისწინება, მიზნად ისახავს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებელი საზოგადოებისა და მისი მოქალაქეების ობიექტური მოთხოვნილებების ჰარმონიზაციას. ამის მიღწევა კი შეიძლება, თუკი კანონების დამუშავებისას (სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების უშუალო მუშაობაში) გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივი აზრი და მთლიანად მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის განვითარების დონე; მიღებული იქნება მიზანმიმართული ზომები მეცნიერული დასაბუთებისა და საზოგადოებაში სამართლის პრესტიჟის ამაღლების მხრივ; განხორციელდება მრავალგეგმიური პროფილაქტიკური საქმიანობა მოსახლეობას შორის [1].

მიკროსოციალური პირობების გათვალისწინება, რომელიც უზრუნველ-ყოფს სამართლის ნორმების ეფექტიანობას, გულისხმობს სამართლებრივი სუბკულტურის განვითარებაში ტენდენციების სოციალურ-ფსიქოლოგიური მონიტორინგის რეალიზაციას, რაც დამახასიათებელია ამა თუ იმ სოციალური

ფენისა და ჯგუფისათვის. ის ყოველთვის განსხვავდება სამართლის შესრულების პრაქტიკით, მისი გაგების თავისებურებით. მაგალითად, ბიზნესმენების წრეში, სადაც საქონლისა და ფულის ბრუნვა სწრაფად მიმდინარეობს, გარკვეული სამართლებრივი ფორმალურობის დაცვამ შეიძლება შეანელოს სავაჭრო-საფინანსო ოპერაციების სისწრაფე და მოცულობის მატება [1], ამიტომ, აქ, გარკვეულწილად, მიღებულია საქმიან პარტნიორებს შორის კონტრაქტების გაგრძელების ან დადების დროს იურიდიული აქტების შეთანხმებისაგან უკანდახევის პრაქტიკა და დიდ რისკთან დაკავშირებული გარიგებებიც კი, შეიძლება დაიდოს ზეპირი ე.წ. „პატიოსანი სიტყვის გარიგება“ სატელეფონო შეთანხმებების საფუძველზე და ა.შ. სუბიექტის პიროვნული პირობების გათვალისწინება, რომელიც სამართლის რეალიზაციას ახდენს, მოითხოვს, პირველ რიგში, ადამიანთა კონკრეტული ტიპების შიდა და საგარეო სამართლებრივი მოტივაციის თანაფარდობის შესწავლას. არასრულწლოვანთა მართლზომიერი ქცევის მოტივები გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით: [3].

1. საზოგადოებრივად სასარგებლო ქცევის რწმენა;
2. მოვალეობა საზოგადოების წინაშე;
3. პასუხისმგებლობის პროფესიული გრძნობა;
4. ქცევის პრაქტიკული სარგებლიანობა სხვისთვის;
5. ქცევის სტერეოტიპულობა;
6. კონფორმიზმი (უმრავლესობისადმი მორჩილება);
7. შურისძიება, ეჭვიანობა, ეგოისტური ინტერესები და ა.შ.

არსებობს მოზარდის მიერ პოზიტიური სამართლებრივი აქტიურობის გამოვლენისათვის პირობების შექმნის აუცილებლობა – ნებაყოფლობითი, ინიციატივიანი, შემოქმედებითი მოქმედების ჩასადენად, რომელიც ხელს შეუწყობს კანონიერებისა და მართლწესრიგის გაძლიერებას [7]. ასეთი აქტიურობისთვის მოზარდს უნდა ჰქონდეს სამართლის მიმართ ჭეშმარიტი ინტერესი და პატივისცემა. მოზარდმა უნდა აღიაროს სამართლებრივი დაწესებულებების საქმიანობის მაღალი პრესტიჟი და განახორციელოს თავისი უფლებამოსილების გამოყენება და მოქალაქეობრივი მოვალეობების რეალიზაციის, სამართლებრივ სფეროში ვალდებულებების უფრო მეტად ეფექტიანი გზების ძიება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პოზიტიური სოციალურ-სამართლებრივი აქტიურობა მთლიანად შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს სულისკვეთებასა და დემოკრატიულ საზოგადოებრივ წყობას, იგი ჯერ კიდევ არ არის დამახასიათებელი საქართველოს მოსახლეობის ფართო წრისათვის. სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბების მეტად ქმედითი საშუალება, არის გზა „ხალხიდან“, ანუ პიროვნების ცნობიერების ჩამოყალიბების საშუალებით, მისი შესაძლებლობითა და უნარით, შეაფასოს და დაიცვას საკუთარი უფლებები. [6]. ამასთან, პიროვნებისთვის პირველდაწყებითი მომენტი უნდა გახდეს სხვა

ადამიანთან ურთიერთობის რეგულირების უნარის განვითარება იმის გარეშე, რათა უგულებელყოს სხვისი და შეწიროს საკუთარი ინტერესები, ხოლო დამამთავრებელი - „სამართლებრივი ინტუიციის“ ფორმირება.

შეიძლება განვიხილოთ, ინტელექტუალურად განვითარებული პიროვნების ფუნქცია, როგორც მოზარდის ქცევის დადებითი სოციალური სტერეოტიპის ერთ-ერთი ასპექტი. გარდა აღნიშნულისა, სამართლის რეალიზაციის პროცესში კონკრეტული სამართლებრივი საქმის გადაჭრისას, სამართლის ნორმის შეფარდების აქტების გამოყენებისას და ნებისმიერი სახის სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებისას, მართლშეგნება მარეგულირებელ როლს თამაშობს. აქ უკვე სახეზეა იურისტის – პროფესიული მართლშეგნება. სამართლებრივ სფეროში საქმიანობისა და და ნებისმიერი გადაწყვეტილებების შეფასება, ასევე, ისეთი ინსტრუმენტის დახმარებით (მექანიზმით), წარმოებს როგორიცაა სამართლებრივი შეგნება. შეფასების შედეგს წარმოადგენს ქცევის (საქმიანობის) სამართლებრივად – მართლზომიერად ან პირიქით, არამართლზომიერად -მართლსაწინააღმდეგოდ აღიარება, ხოლო თუ მართლსაწინააღმდეგო ქცევას სჩადის სპეციალური სუბიექტი – თანამდებობის პირი, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკი სამსახურში ან სამსახურთან დაკავშირებით - ქცევა გვესახება კანონიერების დარღვევად. იურისტისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს მდგრადი დადებითი დამოკიდებულება სამართალთან და მისი გამოყენების პრაქტიკასთან, რაც ნიშნავს სამართლებრივ ნორმასთან (კანონმდებელთან) მაქსიმალურად მაღალი ხარისხის თანხმობას, სარგებლიანობის გაგებას, მისი გამოყენების აუცილებლობასა და სამართლიანობას, კანონის დაცვის ჩვევას. სამართლებრივი გონიერებისა და სამართლებრივი გრძნობების თავისებურებები გამოიხატება, ასევე, პროფესიულ გადაწყვეტაში, რაც წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფის, წინააღ-მდეგობის მოხსნის ან ნეიტრალიზაციის (რომელიც წარმოიქმნება სამარ-თლებრივი ნორმების გამოყენების პროცესში) წინადადების წყაროს. სამართლებრივი ცოდნის, სამართლებრივი განწყობისა და მნიშვნელოვანი ორიენტაციების ინტენსივობა, გამოხატვის ხარისხი, გამოვლენის სიმწვავე, განასხვავებს იურისტების მართლშეგნებას საზოგადოების დანარჩენი წევრების სამართლებრივი შეგნებისაგან. ამგვარად, სამართლებრივი შეგნება, როგორც სამართალშემოქმედებისა და სამართალრეალიზებული საქმიანობის ორგანული შემადგენელი ნაწილი, ასრულებს სამართლებრივი ნორმების ფუნქციონირების ეფექტიანობის მექანიზმისა და პირობების როლს. კანონმორჩილი საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს. სამართლებრივი ღირებულებებისა და ნორმების ათვისება სოციალიზაციის პროცესში თავდაპირველად, უპირველესად, არაცნობიერ დონეზე ხდება. ასე,

მაგალითად, ბავშვებისათვის იდენტიფიკაციის მნიშვნელოვან სუბიექტებად გამოდიან მათი მშობლები და მასწავლებლები. ისინი სწორედ მათგან იგებენ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სხვადასხვა სიტუაციაში, მათგან იღებენ სოციალური ქცევების მაგალითებს. ამასთან, ბავშვების მიერ ქცევის მოდელების შეთვისების სიღრმე. მათ მიერ სოციალური ღირებულებებისა და ნორმების (მათ შორის, სამართლებრივის) მიღების ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული კონკრეტული პირების მიმართ, ემოციურ დამოკიდებულებაზე.[4]. დადებითი დამოკიდებულების დროს, ბავშვი ითვისებს უფროსების არა მარტო გარეგნულ ქცევით მოვლენებს, არამედ სამართლებრივი სინამდვილის მიმართ მნიშვნელოვან-მსოფლმხედველურ დამოკიდებულებასაც. ხოლო მშობლებისა და მასწავლებლების მიმართ ბავშვის უარყოფითი დამოკიდებულების დროს უარყოფილნი არიან არა მხოლოდ ისინი, არამედ ზნეობრივი და სამართლებრივი ღირებულებების ის სისტემა, რომელთა მატარებლებიც არიან ისინი. ამის შედეგად, შეიძლება მოხდეს სხვა ადამიანებზე, სხვა, ხშირად ღირებულებების საწინააღმდეგო სისტემაზე სრული გადართვა, ე.ი. სიკეთის, ბოროტების, სამართლიანობის, დანაშაულისა და სხვა ზნეობრივი და სამართლებრივი მოთხოვნების სხვანაირი აღქმა. პიროვნების სამართლებრივი სოციალიზაციის ხელსაყრელი პირობების არსებობისას (ოჯახში სამართალმორჩილი მოქალაქეების განვითარება, სკოლაში მიზანმიმართული სამართლებრივი სწავლება და აღზრდა, თანატოლთა ჯგუფებში ურთიერთობა) მიიღწევა ინდივიდუალური მართლშეგნების მაღალი დონე. ამასთან, საკმაოდ განვითარებულია მართლშეგნების ყველა სტრუქტურული კომპონენტი:

1. შემეცნებითი;
2. ემოციურ-შემფასებლური;
3. ქცევითი.

მართლშეგნების შემეცნებითი კომპონენტი ხასიათდება სამართლებრივი წარმოდგენების, ცოდნის, ჩვევებისა და უნარების ერთობლიობით; [10]. ემოციურ-შემფასებლური – სამართლის ნორმების მიმართ შეხედულებითა და დამოკიდებულებით (დადებითი, გულგრილი, უარყოფითი) [10]. ქცევითი კომპონენტი გულისხმობს მართლზომიერ ქცევაზე განწყობის (წინასწარი განწყობის) არსებობას, სამართლებრივი ნორმების უსიტყვო შესრულების ჩვევასა და მათი დამრღვევების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას. პიროვნების სამართლებრივ სოციალიზაციაში დეფექტები შეიძლება წარმოიქმნას ისეთი უარყოფითი მომენტების გამო, როგორიცაა მშობლებთან კონფლიქტი, სოციალურად არასასურველ ოჯახებში აღზრდა (კრიმინოგენური, ამორალური, პრობლემური, არასრული, ფსევდოსასიკეთო, მარგინალური), თვითრეგულაციის სირთულეები სკოლაში, თანატოლების არაფორმალურ ასოციალურ ჯგუფებთან დაახლოება და ა.შ. ამის შედეგი შეიძლება იყოს როგორც

უმნიშვნელო სამართალდარღვევა, ასევე, სერიოზული დანაშაულის ჩადენა. [5]. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მიმართ მნიშვნელოვან წინაპირობად ბოლო წლებში, ხშირად მიუთითებენ განსაკუთრებული მენტალობის გავლენას, რომელიც ჩამოყალიბდა საბჭოთა პერიოდის საქართველოს საზოგადოებაში. მას ხშირად მივყავდით და ახლაც მივყავართ ან სამართლის მნიშვნელობის სათანადოდ ვერშეფასებამდე, რაც სამართლებრივი ნიჰილიზმის სახითაა ცნობილი, ან კანონის მოთხოვნების მიმართ დაუფიქრებელ, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამდე, რაც სამართლებრივ ინფატილიზმს გულისხმობს, ან კიდევ სამართლის ნორმების აქტიურ მიუღებლობამდე, რაც სამართლებრივ ნეგატივიზმს გულისხმობს.

საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის ხანგრძლივი დროით არსებობა მართლშეგნების სპეციფიკური დეფორმაციის მიზეზი გახდა. სოციალური ჯგუფების უმრავლესობისა და მთლიანად საზოგადოებისთვის დომინირებულ წარმოდგენად კანონის სადამსჯელო ფუნქცია გახდა, ხოლო თავად კანონები და სხვა ნორმატიული აქტები აღიქმება, უპირატესად, როგორც სახელმწიფოს წინაშე პიროვნების მოვალეობა.

სამართალშემოქმედებით საქმიანობაში პიროვნების, როგორც სამართლებრივი ერთეულის იგნორირება, აისახა სამართლებრივი ზემოქმედების ნორმებისა და ზომების გამოკვეთილ დაპირისპირებაზე, რომელიც აფიქსირებს სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების მიმართ პრიორიტეტულობას, კონკრეტული ადამიანის უფლებებთან შედარებით. თანამდებობის პირთა დაბალი სამართლებრივი კულტურა, რასაც აღრმავებს სამართლის ნორმებისგან გადახვევისათვის რეალური პასუხისმგებლობის არარსებობა, ყველაზე ხშირად ხდება სამართლის მიმართ უპატივცემლობისა და მისი უგულებელყოფის მიზეზი. ყველაფერი ეს აისახება არასრულწლოვანთა თანამედროვე დამნაშავეობაში. უკანასკნელ წლებში აღინიშნება არსებითი თვისებრივი ცვლილებები (რაც ყველაზე ხშირად ვლინდება არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევების, დამნაშავე და დაზარალებული პიროვნების) მოტივაციაში, რომელიც აუცილებელია გავითვალისწინოთ თანამედროვე დამნაშავეობასთან წარმატებული ბრძოლის ორგანიზაციისა და განხორციელების დროს. ფსიქოლოგიურ-სამართლებრივი და კრიმინოლოგიური გამოკვლევების მონაცემები, მათ შორის, სისხლის სამართლის საქმის შესწავლა (პირველ რიგში, ყველაზე ძალადობრივი დანაშაულებების შესახებ) გვიჩვენებს ზოგიერთ ასეთ ცვლილებას. ფართო გავრცელება პოვა დანაშაულებების მიმართ შემრიგებლურმა დამოკიდებულებამ და სამოქალაქო პასიურობამ, რომელიც, გარკვეულწილად, განპირობებულია იმით, რომ მოქალაქეთა სულ უფრო მეტი რაოდენობა, ამა თუ იმ სახით, დამნაშავეობების სფეროში ჩაებმება; სულ უფრო მჭიდრო ურთიერთობა აქვს პირებთან, რომლებიც ჩადიან დანაშაულს ან ერთიანდებიან დანაშაულებრივ ჯგუფებში (ოჯახის წევრები, მეზობლები

და სხვ.); ეცნობა შეხედულებებს, წარმოდგენებს, განწყობას, ქცევებისა და ურთიერთობების ნორმებს, რომელიც დამახასიათებელია დანაშაულის ჩამდენი პირისათვის, პასიურად იღებს ამ შეხედულებებსა და ნორმებს, ან ეთანხმება მათ. დამნაშავეობისა და დანაშაულებრივი გამოვლენების მიმართ მოზარდის თავისებური მიჩვევა, მის არსებობასთან თითქოსდა „შეგუება“, ვლინდება იქ, სადაც ეს არ ეხება და არ შელახავს პირად ინტერესებს, ან, პირიქით, ხელს უწყობს მის დაკმაყოფილებას.[8].

შესაძლებელია, მოსახლეობის მხრიდან დამნაშავეობისადმი სწორედ ასეთ „მიჩვევაში“, მასთან შეგუებაში ვლინდება წინანდელი ღირებულებებისა და მორალის გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისის დევალვაციის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შედეგი. ჯერ კიდევ ე.დიურკჰეიმმა მის მიერ შემუშავებულ ანომიის თეორიაში გვიჩვენა, რომ ეკონომიკური კრიზისების ან რადიკალური სოციალური ცვლილებების დროს ადამიანთა ცხოვრებისეული გამოცდილება აღარ შეესაბამება იდეალებს, რომელიც აისახება სოციალურ ნორმებში. სოციალური ნორმები ირღვევა, ადამიანები განიცდიან დეზორიენტაციის მდგომარეობას, და ყველაფერი ეს ერთობლიობაში განაპირობებს კოლექტიურ დევიაციას.

ცნობილია, რომ კრიმინოლოგია, როგორც ნებისმიერი სოციალური მეცნიერება, იწყება ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის აღწერიდან. ამ ემპირიული ინფორმაციიდან გამოიყოფა ქცევის ის ნიშნები, რომლებიც საერთოა დანაშაულისათვის, ამ მეთოდს, მაგალითად, ამერიკაში უწოდებენ დანაშაულებრივი ქცევის წინამორბედ გარემოებებს ანუ პირობებს რუსეთში იყენებენ ტერმინს - ინდივიადული დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი. XX საუკუნის შუა წლებიდან უკანასკნელ პერიოდამდე, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ნორმიდან მცირე გადახრაც კი, ითვლებოდა, როგორც ცალკეული ინდივიდის თვითნებობა. ამიტომ, დანაშაულის მიზეზებიც ამ თვითნებობაში მოიძიებოდა. დ. ლუნეევის მოსაზრებას, გულისხმობს, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდა პირდაპირპროპორციულად როდი გამოიხატება არასრულწლოვანთა დანაშაულის ზრდაში, იგი აიხსნება „რეგისტრირებულ დანაშაულთა“ შემცირებისა და გამოვლენილ პირთა გაზრდილ რაოდენობაში, არა მარტო მსჯავრდებულთა, არამედ უმცირესი ეჭვის საფუძველზე საზოგადოებისაგან „მოსაკვეთად“ განკუთვნილ პირთა ჩათვლით.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდის სოციალიზაციის საკითხს. ადამიანე-ბის მიერ სათანადო ქცევის ზომების განმსაზღვრელი კანონების, სამართლებ-რივი ცოდნისა და მოთხოვნების ათვისება, საკუთარი უფლებებისა და მათი რეალიზაციის საშუალებების გაცნობიერება, აგრეთვე სხვადასხვა ადამიანებს, მათ ჯგუფებსა და სოციალურ ინსტიტუტებს შორის რთული სამართლებრივი ურთიერთობის გაგება ხორციელდება სამართლებრივი სოციალიზაციის

პროცესში.[9] ამ პროცესს თან სდევს ცალკეული არასრულწლოვანის მიერ სამართლებრივი ღირებულებების, ნორმების სანქციის, როლების განაწესის ადეკვატური აღქმისათვის სპეციალური პირობები და მათი გადაყვანა პირად ქცევით რეგულატორულ მექანიზმში. საზოგადოებაში არსებულ სამართლებრივ კულტურას ადამიანი თავდაპირველად ეცნობა ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში. როლებით ბავშვური თამაშობანი განაპირობებს სამართლისა და მათი წარმომადგენლების ფუნქციების შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბებას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, უფროსების საუბრები, წიგნის კითხვა სამართლებრივი ღირებულებებისა და ნორმატიული ქცევების სტანდარტების შესახებ ცოდნის წყარო ხდება. ბავშვობაში წარმოქმნილი მსოფლიოს ინდივიდუალური სამართლებრივი სურათი ასაკთან ერთად მნიშვნელოვნად მდიდრდება და ზუსტდება მოქმედების (სწავლა, შრომა) ფორმის გართულების, ადამიანების ურთიერთობების წრის გაფართოების, მათ მიერ თვითაქტუალიზაციისა და თვითრეალიზაციის მცდელობის მიხედვით.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ ქცევას ვრცელი სამართლებრივი ასპექტები უდევს საფუძვლები. მათ შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს კრიმინოლოგიური და სხვა ფსიქო-სოციალური ფაქტორები, რაც პიროვნების, როგორც ინდივიდის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და გავლენას ახდენს მოზარდის დევიაციურ ქცევაზე.

არასრულწლოვანთა დანაშაულის ზრდა პირდაპირპროპორციულია ქვეყანაში მიმდინარე თანამედროვე პროცესების და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ის ისტორიულ სათავეს ჯერ კიდევ შორეულ, საბჭოთა პერიოდში იღებს.

სტატიაში განხილული ისტორიულ-სამართლებრივი შედარებები და მართლშეგნების ავტორისეული კლასიფიკაციები, ხელს უწყობს არასრულწლოვანთა დანაშაულობის სიღრმისა და პრიორიტეტულობის წარმოჩენას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mates, D., & Allison, K. R. (1992). Sources of stress and coping responses of high school students. Adolescence;
2. ღლონტი გ. და ავტორთა კოლექტივი. 2003. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა: აშშ & საქართველო. თბილისი, პოლიგრაფი;
3. ქეროალინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა

დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011წ.; ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (“იუნისეფი”) www.unicef.ge4 03.04.2018 წ.

4. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინის წესები“) მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/33 რეზოლუციით. http://www.mcla.gov.ge/ 17.06.2018 წ.
5. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ II. თ., 2007.
6. არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია (Unicef) https://www.unicef.org/georgia/ 05.05.2019
7. „ბავშვის უფლება მოუსმინონ“, პრ. 32-39.
8. ა.გაბიანი, ლ.ღვენეფაძე ,,არამართლზომიერი ქცევა ქუჩის მოზარდებში“-,, ალმანახი 1998 № 4“
9. ი. გოძიაშვილი ,,არასრულწლოვანთა დანაშაულობის ფორმირებისა და მასზე კონტროლის მექნიზმის დაწესების შესახებ“ ,, უწყებანი 1997“
10. ლ. ფაფიაშვილი;. არასრულწლოვნები; ჟურნალი “საქართველოს პარლამენტი”; 2007

Legal Factors Causing Delinquency Among Juveniles

Otar Khinikadze, Associated Professor
Technical University of Georgia

Summary

The present article is dedicated to the legal factors causing delinquency among juveniles.

The article is presented and discussed the terms of criminal procedures such as: social-economical institutes, informal groups, public opinion and its role in relation to juveniles.

The result of research of the present article show how important issue can be adults motives of legitimate behavior and responsibility, to forming the person’s future guilty, also, what the relationship is between juveniles and inadequate environmental factors.

The article also draws attention from the state the necessity of creatingappropriate conditions, which can help to determining positive lagalactivities by juveniles.

The aim of the article is to present all the structural components of juveniles, which effects the establishment of further criminal norms.

Key words: juveniles, offence, legal factor.

ფსიქოლოგია

PSYCHOLOGY

აგრესია, ბულინგი და პრევენციის არაძალადობრივი ფორმები

როზა გაფრინდაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

აგრესიის მიზეზი თანშობილია; იგი მაშინ ამოქმედდება, როცა ცოცხალი არსებების სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას საფრთხე დაემუქრება. განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანის აქტივობის პირველმიზეზიც უსაზღვროდ გაზრდილ-გამრავალფეროვნებული მოთხოვნილებებია, რაც აქტივობას აიძულებს; როცა მათ დაკმაყოფილებას წინ დაბრკოლებები ეღობება (ანუ, ამას ლეგალურად ვერ ახერხებს), ის - აშარებულია, ამის ნამდვილ მიზეზს კი ვერ აცნობიერებს და მიზეზს გარეთ, სხვაში ეძებს, დესტრუქციულ-აგრესიულ ქცევებს მიმართავს (ან ფსიქიკურად ავადდება).

აგრესიის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა - ბულინგი (ჩაგვრა); მასთან არაძალადობრივი ბრძოლის საჭიროების შესახებ ქართველი და უცხოელი ფსიქოლოგები რეკომენდაციებს გვთავაზობენ, რაც აგრესიის შედეგებთან ბრძოლისას არის ეფექტური და არა მის პირველმიზეზთან ბრძოლისათვის.

საკვანძო სიტყვები: აქტივობის პირველმიზეზი; მოთხოვნილებები; ტაბუ; აგრესია; ძალადობა; ბულინგი; აგრესორი, მსხვერპლი; ჩაგვრა; კიბერბულინგი.

შესავალი

აგრესიის/ძალადობის მიზეზი - თანშობილი აგრესიაა; მისი მიზეზია ადამიანების/მოზარდების უზომოდ გაზრდილ-გამრავალფეროვანებული მოთხოვნილებები, რაც აქტივობის პირველმიზეზს წარმოადგენს და რომელთა

დაკმაყოფილებაც ყოველთვის ვერ ხერხდება, რის გამოც ადამიანი/მოზარდი გაუცნობიერებლად აშარებული, აგრესიულია; „აშარებული ადამიანი“ მეტწილად სამართლიანად ვერ განსჯის, რაკი ემოცია ამახინჯებს აღქმას; ამიტომ მიზეზს ის გარეთ, სხვებში ეძებს და „კიდეც ხედავს“ - დესტრუქციულ-აგრესიულ ქცევებს მიმართავს (ან ფსიქიკურად ავადდება).

აგრესიის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა - ბულინგი (ჩაგვრა), რის გამოვლენა, განსაკუთრებულად პრობლემურია მოზარდებში.

აგრესიასთან/ბულინგთან არაძალადობრივი ბრძოლის საჭიროების შესახებ ქართველი და უცხოელი ფსიქოლოგები მრავალ რეკომენდაციებს გვთავაზობენ, რაც ძირითადად აგრესიის შედეგებთან ბრძოლისას არის ეფექტური და არა მისი პირველმიზეზთან ბრძოლისას.

ძირითადი ნაწილი

აგრესიის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა - ბულინგია; იგი აგრესორსა და მსხვერპლს შორის არსებულ ძალთა დისბალანსს გულისხმობს და შეიძლება იყოს მსხვერპლზე მიმართული ფიზიკური მუქარა, დაზიანება, დამამცირებელი სახელების შერქმევა, სექსუალური შევიწროება და ა. შ. რის ნამდვილი, მაგრამ გაუცნობიერებელი მიზეზი შეიძლება იყოს - რომელიმე რასისადმი, ეთნიკურობისადმი, რელიგიისადმი ან განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისადმი მიკუთვნებულობა, მსხვერპლის რაიმე ნაკლი/მანკიერება, გენდერული იდენტიფიკაცია, მოძალადის არასრულყოფილებისა და მისი კომპენსაციის გაუცნობიერებელი ძლიერი სურვილი, უსაქმურობა, ხელმიუწვდომელი მოთხოვნილებები, სურვილები და სხვ.

ფსიქოლოგები ბულინგის განსაკუთრებულ ფორმაზე - კიბერ-ბულინგზე და მისგან მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობენ, რაც ჩვენში, ჯერჯერობით, ნაკლებად გავრცელებულია, თუმცა მოსალოდნელ საფრთხედ მაინც გვესახება, რაც სერიოზულად აშინებს და ზიანს აყენებს მოზარდის თვითშეფასებას.

აშშ-ს, კანადისა და ევროპული ქვეყნების კვლევების მიხედვით, სადაც მოსახლეობაში ინტერნეტის გავრცელება 90 %-ს აღემატება, მოზარდების 20 % კიბერ-ბულინგის მსხვერპლი გამხდარა (რაც ზოგჯერ, მძმე შედეგებით დამთავრებულა).

კიბერ-ბულინგის საფრთხეს ზრდის - ინტერნეტ-თავისებურები.

2014 წელს Pew Research Center-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ჩვენში, გამოკითხულ რესპონდენტთა 73 % კიბერ-ბულინგის შემსწრე ყოფილა; მოზარდების 18,8% დან – 40.6 % მდე - თავად ყოფილა მსხვერპლი;

მოზარდთა 7 % აღნიშნავს, რომ მიუღია მუქარის შემცველი ან შეურაცხმყოფელი შეტყობინებები. კვლევის თანახმად, მოზარდთა 11% დან 20 % მდე ყოფილა თავად ბულერი; ამასთანავე 9 % აღნიშნავს, რომ დაუწერიათ შეურაცხმყოფელი კომენტარები და 5 % უშუალოდ დამუქრებია კონკრეტულ ინდივიდს.

თანამედროვე მოზარდებს, რაკი პრესტიჟული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება ნაკლებად აქვთ და არც მორალური აღზრდა მიუღიათ, უამრავი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებებისგან აღძრული და დაგროვილი ჭარბი ენერგია უგროვდებათ, „აშარებულ-აგრესიულები“ არიან, რის ნამდვილი მიზეზი მათ არ იციან, და „გარეთ“, სხვა მოსწავლეებში, რაღაცით მათგან განსხვავებულებში „ხედავენ“. ამასთან, დღეს, მათ მოუწოდებენ - ადამიანმა ის უნდა აკეთოს, რაც გულით სურთო, მიუხედავად იმისა, რომ მოზარდის ბუნებრივი სურვილები და ინტერესები ყოველთვის როდია უსაფრთხო როგორც საზოგადოებისთვის, ასევე თავად მათთვისაც.

ამგვარად, რაკი თანამედროვე მოსწავლეთა უმრავლესობის მოთხოვნილებების რეალიზაცია ხელმიუწვდომელია (ხელოვნება და სპორტი ძვირი სიამოვნებაა), აგრესია (ჭარბი, დაუხარჯავი ენერგია) მათ, დესტრუქციული აქტიურობისკენ უბიძგებთ (ჩხუბი, ჩაგვრა, ნგრევა-განადგურება) და ჯავრს „დამნაშავეზე“ - უფრო სუსტზე, მათგან რაღაცით განსხვავებულზე იყრიან (თუ ამასაც ვერ ახერხებენ, მათ ფსიქიკური აშლილობები ემუქრებათ).

როგორც სპეციალისტები წერენ, ხშირად მათთვის მასწავლებლები, მშობლები, ხელისუფლებისა თუ სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენლები, ავტორიტეტები აღარ არიან; ოჯახები ვეღარ ასრულებენ აღმზრდელობითფუნქციას; რაკიმათიზნეობრივი ღირებულებები,ძირითადად, მატერიალური კეთილდღეობაა, რის გამოც სტრესში არიან, შვილებისთვის კი დრო არ რჩებათ ან შვილებთან მხოლოდ აგრესიული ურთიერთობები აქვთ; თანამედროვე სკოლების უმრავლესობამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დაკარგა თავისი უმთავრესი - მორალურ-ფსიქოლოგიური აღზრდის ფუნქცია. მკვლევარებს, ამის მიზეზად, მასწავლებლების მხრიდან მოსწავლის მიმართ გამოვლენილი უყურადღებობა, უპატივცემულობა, ბავშვის პიროვნების იგნორირება მიაჩნიათ, რაც ბავშვში დაბალ თვითშეფასებას იწვევს და რის კომპენსაციის მცდელობად - ბულინგი გვევლინება.

გაეროს ბავშვთა ფონდს გამოკვლევის მიხედვით საქართველოს სკოლებში (2007-2008 წლებში), მოსწავლეების 80% ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ბულინგს განიცდიდა; ამის მთავარ მიზეზად მოზრდილთა გულგრილი - „მერე რა მოხდა“ დამოკიდებულებაც დასახელდა.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ პრობლემის მკვლევარების მიერ შეთავაზებული ბულინგის პრევენციის საშუალებები და ზნეობრივი შეგონებები აუცილებელი, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში - საკმარისი არაა!

დასკვნა

აგრესია/ბულინგის პირველმიზეზებთან ბრძოლის საშუალებად საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. მოზარდებმა უნდა ისწავლონ ზნეობრივ-რელიგიური და სამართლებრივი პრინციპების მიხედვით საკუთარი მოთხოვნილებების მართვა;
2. უნდა შეიზღუდოს მოზარდი თაობისათვის „მაცდუნებელი მოთხოვნილებების“ აღმძვრელი ინფორმაციის/ჩვენებების ხელმისაწვდომობა;
3. ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემის მოგვარებამდე, სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა დააფინანსოს მოსწავლეთა სპორტულ, სახელოვნებო და სხვა სექციებში სავალდებულო ჩართვა.

ეს ის ღონისძიებებია, რაც ხელს შეუწყობს მოზარდებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, დაიცავს მათ დროის უაზროდ, უკონტროლოდ გატარებისგან, მავნე ინფორმაციის გავლენისაგან და რაც მთავარია - გაანთავისუფლებთ იმ ჭარბი ენერგიისგან, რაც აგრესია-ბულინგისაკენ უბიძგებთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სოციალური ფსიქოლოგია, გაფრინდაშვილი რ., ბანძელაძე მ., „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2003;
2. ლაბარტყავა ნ., ძალადობა ონლაინ სამყაროში; კიბერ-ბულინგი;
3. ყაველაშვილი ს., intermedia.ge, 2017.
4. ქოჩიაშვილი ა., intermedia.ge, 2015.
5. Маиерс Д. Социальная психология СПБ 2003.
6. APA resolution on bullung amongchildren and uorh, 2004:

Aggression, bullying and nonviolent forms of prevention

Roza Gaprindashvili, associate professor
Georgian Technical Univesity

Summary

According to psychoanalysis the reason of aggression is an inborn one; it activates when danger threatens the satisfaction of vital needs of beings of high development stage.

Satisfaction of extremely increased and diversified human needs (activity or prime cause) is intercepted by cultural prohibitions; and unsatisfied needs force human to be active and if he/she cannot manage it through constructive activity, he/she is on edge; as he/she is unable to comprehend the real reason behind it, he/she starts to look for the reason outside, in other humans and starts to behave destructively and aggressively (or becomes mentally diseased). Bullying (oppression) is one of aggression expression forms.

Georgian and foreign psychologists gave many interesting and convincing recommendations related to the necessity of nonviolent fight against aggression and bullying as one of its manifestations (as they say, "aggression gives birth to aggression"). These recommendations are mainly effective for the fight against aggression results and not against its prime cause; a psychoanalytical explanation of aggression gives us an opportunity to make the following conclusion: "if there are unsatisfied wants, then there is aggression!".

ტემპერატურული ძაბვები და დეფორმაციები დისკურ ხერხებში

ვახტანგ აბაიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე:

მერქნის ხერხვა მრგვალი (დისკური) ხერხებით ყველაზე გავრცელებულია ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი საწარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში. მუშაობის პროცესში ხერხის დისკი გადაიხრება ბრუნვის სიბრტყიდან, ცხელდება და კარგავს მუშა მდგრადობას. დატვირთვები და ტემპერატურული ველი სიმეტრიულია დისკის ღერძის მიმართ, რის გამოც ძაბვები ბრუნვის ღერძიდან მანძილის ფუნქციაა. არათანაბარი გახურებისას ცენტრიდანული ძალების მიერ გამოწვეულია ძაბვებს ემატება აგრეთვე ტემპერატურული ძაბვები და დეფორმაციები.

ნაშრომში მიღებულია დიფერენციალური განტოლებები, რომლითაც განისაზღვრება გადაადგილების და ძაბვების მნიშვნელობები ტემპერატურული ფაქტორის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ხერხი, დისკი, ძაბვა, დეფორმაცია, ბრუნვის მაღალი სიჩქარე, განტოლება, დიფერენციალური, ტემპერატურული ძაბვები, ინტეგრება, მუდმივა.

შესავალი

მერქნის ხერხვა მრგვალი (დისკური) ხერხებით ყველაზე გავრცელებული პროცესია, რომელიც გამოირჩევა მრავალმხრივი კონსტრუქციითა და ტექნოლოგიური სქემებით. ჩარხების მოწყობილობის სიმარტივე და მაღალი

მწარმოებლურობა საშუალებას იძლევა მრგვალი ხერხები გამოყენებული იქნას მერქნის პირველადი და მეორადი დამუშავების ოპერაციებში.

ხერხვის პროცესში ხერხის დისკი ეხება განახერხის კედლებს, ცხელდება ხახუნის გამო და უარესდება დამუშავებული ზედაპირის ხარისხი. ამიტომ ხერხის დისკებში ძაბვების განსაზღვრა ტემპერატურული მოვლენების გათვალისწინებით აქტუალური საკითხია.

ძირითადი ნაწილი

მაღალი ბრუნვის სიჩქარის გამო ხერხის დისკში აღიძვრება ტემპერატურული ძაბვები, რაც გამოწვეულია ხახუნის გამო ტემპერატურის მნიშვნელოვანი მატებით.



ნახაზზე ნაჩვენებია მრგვალი (დისკური) ხერხის საანგარიშო სქემა.

ტემპერატურული ამოცანების გადასაწყვეტად ვიყენებთ წონასწორულ განტოლებას [1]

$$\sigma_r - \sigma_\theta + \frac{d\sigma_r}{dr} r = 0\,, \tag{1}$$

სადაც σ_r და σ_θ არის შესაბამისად რადიალური და ტანგენციალური (წრიული) ძაბვები.

აღვნიშნოთ r-თი ტემპერატურის მატება, რომელიც დამოკიდებულია ხერხის დისკის r რადიუსზე; ?-თი წრფივი გაფართოების კოეფიციენტი.

დისკურ ხერხებში დეფორმაციას, რომელიც განპირობებულია ძაბვებით, დავუმატოთ ტემპერატურული გაფართოება, მაშინ ფარდობითი დეფორმაციები რადიუსის მიმართულებით ε_r და წრიული ε_θ განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებებით

$$\varepsilon_\theta = \frac{1}{E}(\sigma_\theta - \mu\sigma_r) + \alpha T\,; \tag{2}$$

$$\varepsilon_\theta = \frac{1}{E}(\sigma_\theta - \mu\sigma_r) + \alpha T\,. \tag{3}$$

(2) და (3) გამოსახულებებში E არის დრეკადობის მოდული, ხოლო $\mu-$ პუანსონის კოეფიციენტი.

(2) და (3)-დან ვღებულობთ დეფორმაციის შემდეგ მნიშვნელობებს:

$$\sigma_r = \frac{E}{1-\mu^2}\left[\varepsilon_r + \mu\varepsilon_\theta - (1+\mu)\alpha T\right]; \tag{4}$$

$$\sigma_\theta = \frac{E}{1-\mu^2}\left[\varepsilon_\theta + \mu\varepsilon_r - (1+\mu)\alpha T\right]. \tag{5}$$

(4) და (5) გამოსახულებებში დეფორმაციები გამოვსახოთ გადაადგილებით

$$\varepsilon_r = \frac{du}{dr} \qquad \text{და} \qquad \varepsilon_\theta = \frac{u}{r}. \tag{6}$$

(6)-ს გათვალისწინებით (4) და (5) მიიღებს სახეს

$$\sigma_r = \frac{E}{1-\mu^2}\left[\frac{du}{dr} + \mu\frac{u}{r} - (1+\mu)\alpha T\right]; \tag{7}$$

$$\sigma_\theta = \frac{E}{1-\mu^2}\left[\frac{u}{r} + \mu\frac{du}{dr} - (1+\mu)\alpha T\right]. \tag{8}$$

აღვნიშნოთ $T^* = T_2 - T_1$, სადაც

T_1 არის ტემპერატურა დისკის შიგა ზედაპირზე,

T_2 არის ტემპერატურა დისკის გარე ზედაპირზე.

ტემპერატურის წრფივი ცვლილებებისას რადიუსის გასწვრივ

$$T = T^* \frac{r - r_1}{r_2 - r_1}. \tag{9}$$

(9)-ს გათვალისწინებით (7) და (8) მიიღებს სახეს

$$\sigma_r = \frac{E}{1-\mu^2}\left[\frac{du}{dr} + \mu\frac{u}{r} - (1+\mu)\alpha T^* \frac{r - r_1}{r_2 - r_1}\right]; \tag{10}$$

$$\sigma_\theta = \frac{E}{1-\mu^2}\left[\frac{u}{r} + \mu\frac{du}{dr} - (1-\mu)\alpha T^* \frac{r - r_1}{r_2 - r_1}\right]. \tag{11}$$

(10) და (11)-ის გათვალისწინებით (1) ასე გადაიწერება

$$\frac{d^2u}{dr^2} + \frac{1}{r}\frac{du}{dr} - \frac{u}{r^2} = \frac{1+\mu}{r_2 - r_1}\alpha T^*, \tag{12}$$

ანუ

$$\frac{du}{dr}\left[\frac{1}{r}\frac{d(ur)}{dr}\right]=\frac{1+\mu}{r_2-r_1}\alpha T^* . \tag{13}$$

(13)-დან გამომდინარეობს

$$u=c_1 r+\frac{D_1}{r}+\frac{1+\mu}{3(r_2-r_1)}\alpha T^* r^2 . \tag{14}$$

(14)-ის გათვალისწინებით (10) და (11) მიიღებს სახეს

$$\sigma_r=c+\frac{D}{r^2}-\frac{T^*}{3(r_2-r_1)}\alpha Er ; \tag{15}$$

$$\sigma_\theta=c-\frac{D}{r^2}-\frac{2T^*}{3(r_2-r_1)}\alpha Er . \tag{16}$$

სადაც $c=\frac{E}{1-\mu}\left(c_1+\frac{\alpha T^* r_1}{r_2-r_1}\right)$; $D=\frac{E}{1+\mu}D_1$.

D და D განისაზღვრება სასაზღვრო პირობებიდან.

როდესაც $r=r_1$, მაშინ $\sigma_{r_1}=0$ და $\sigma_{r_2}=0$, მაშინ $+\sigma_{r_2}=0$.

ტემპერატურის რადიუსის გასწვრივ წრფივი ცვლილებებისას ცენტრიდანული ძალის გათვალისწინებით (1) ასეთ სახეხ მიიღებს

$$r\frac{d\sigma_r}{dr}+\sigma_r-\sigma_\theta+\frac{\gamma}{g}\omega^2 r^2=0 , \tag{17}$$

სადაც $\frac{\gamma}{g}$ არის დისკის მასალის კუთრი მასა;

ω – არის ბრუნვის კუთხური სიჩქარე.

(17)-ის გათვალისწინებით (15) და (16) მიიღებს შემდეგ სახეს

$$\sigma_r=K+\frac{L}{r^2}-\frac{3+\mu}{8}\cdot\frac{\gamma}{g}\omega^2 r^2-\frac{T^*}{3(r_2-r_1)}\alpha Er , \tag{18}$$

$$\sigma_\theta=K-\frac{L}{r^2}-\frac{1+3\mu}{8}\cdot\frac{\gamma}{g}\omega^2 r^2-\frac{2}{3}\frac{T^*}{r_2-r_1}\alpha Er . \tag{19}$$

სადაც $L=B+D$, $L=B+D$ მუდმივები განისაზღვრება სასაზღვრო პირობებიდან.

დასკვნა

(18) და (19) განტოლებებით განისაზღვრება დისკურ ხერხებში დეფორმაციის მნიშვნელობები ტემპერატურული ფაქტორის გათვალისწინებით.

ლიტერატურა

1. ვ. აბაიშვილი. ძაბვები და დეფორმაციები დისკურ ხერხებში. განათლება, №4(23), 2018.
2. Бидерман В.Л. Механика тонкостенных конструкций. М., 1977.
3. Бидерман В.Л. Прикладная теория механических колебаний. М., 1972.
4. Пановко Я.Г. Основы прикладной теории колебаний и удара. Л., 1976.
5. Писаренко Г.С., Агарев В.Л. и др. Сопротивление материалов. Киев, 1973.

Температурные напряжения и деформация в дисковых пилах

Вахтанг Абаишвили, профессор ГТУ

Резюме

Пиление древесины круглыми (дисковыми) пилами – самый распространенный процесс механической технологии. В процессе пиления диск отклоняется от плоскости вращения, нагревается и теряет свою рабочую устойчивость. Нагрузки и температурное поле симметричны относительно оси диска, вследствие чего напяжения являются функциями расстояния от оси вращения.

В случае неравномерного нагрева диска к напряжениям, вызванным центробежными силами его собственной массы и контурными нагрузками, прибавляются температурные напряжения.

В работе выведены дифференциальные уравнения для определения перемещений в температурной задаче в дисковых пилах.

Ключевые слова: пила, диск, напряжение, деформация, высокое вращение, скорость, уравнение, дифференциальное, температурные напряжения, интегрирование, постоянные.

სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სისტემა

მზია წულუკიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დავით გამეზარდაშვილი, ქიმიის დოქტორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია: საკვები პროდუქტების სტანდარტებზე FAO/WHO გაერთიანებული პროგრამა; Codex Alimentarius-ის (კვების კოდექსი) სპეციალური კომისიის შექმნის აუცილებლობის მიზეზები: ფუნქციები, რეკომენდაციები, გამოყენება; HACCP-ის სისტემის, მსოფლიო კვების ინდუსტრიაში როგორც სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის წამყვანი სისტემის როლი და მნიშვნელობა საფრთხის სიტუაციების მართვისათვის; გამოყენების სფეროები; რისკის შეფასება ადამიანის ჯანმრთელობისათვის კვებითი წარმოშობის სახიფათო ფაქტორების ზემოქმედებისაგან. პროდუქტების ხარისხის დადგენილი ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ღონისძიებანი და დასჯის სისტემა.

საკვანძო სიტყვები: Codex Alimentarius-ის კომისია, FAO/WHO გაერთიანებული პროგრამა, მარკირება, შეფუთვა ჰიგიენურ პირობებში, ჯანმრთელობის დაცვა, HACCP-ის სისტემა, რისკის შეფასება, პასუხისმგებლობის ღონისძიებანი.

შესავალი

1961 წლის FAO-ს (სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) კონფერენციაზე საერთაშორისო სტანდარტების დადგენის, სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტებით ვაჭრობის გაადვილების მიზნით Codex Alimentarius-ის (კვების კოდექსი) სპეციალური კომისია შეიქმნა. FAO მოქმედებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) მანდატით. მანდატის თანახმად აღნიშნულ კომისიას უნდა შეემუშავებინა ხარისხის სტანდარტები საერთაშორისო ვაჭრობის უზრუნველსაყოფად, რითაც ომის შემდგომი მსოფლიოს მოშიმშილეთა მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. აცნობიერებდა რა, რომ სასურსათო პროდუქტების უსაფრთხოება ხარისხის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. FAO-მ მიმართა მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას (WHO) მოწოდებით, რათა გაეერთიანებინათ ძალისხმევა ამ მნიშვნელოვან საქმეში.

ძირითადი ნაწილი

1962 წელს საკვები პროდუქტების სტანდარტებზე წარმოიშვა FAO/WHO გაერთიანებული პროგრამა (ერთობლივი სსო/ჯმო სასურსათო სტანდარტების

პროგრამა), რომლის აღმასრულებელი ორგანო გახდა Codex Alimentarius-ის კომისია (კაკ).

კომისია Codex Alimentarius-ი არის სამთავრობოთაშორისო ორგანო, რომელიც ღიაა FAO და WHO-ს ყველა წევრისათვის, რომელშიაც გადაწყვეტილებებს მთავრობები იღებენ. თუმცა სტანდარტების შემუშავებისას კომისიის ყველა წევრის აზრი გათვალისწინებულია. დღეისათვის Codex Alimentarius-ის კომისიის შემადგენლობაში 163 წევრია.

სასურსათო პროდუქტების უსაფრთხოების Codex Alimentarius-ის კომისიის სტანდარტები სპეციალურადაა მითითებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების გამოყენების შესახებ – შეთანხმებებში.

სურსათის ხარისხის სხვა ასპექტებთან მიმართებაში Codex Alimentarius-ის რეკომენდაციები გამოიყენება როგორც საფუძველი ნაციონალური ნორმატივების შემუშავებისათვის – ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერებით შექმნილი მდგომარეობის შესახებ შეთანხმების გათვალისწინებით.

Codex Alimentarius-ის სტანდარტები, ტექნიკური ნორმები და წესები სახელმწიფო ორგანოებისადმი რეკომენდაციებს წარმოადგენენ, რომლებიც მათ უფლებამოსილებას ანიჭებენ ივაჭრონ ისეთი საკვები პროდუქტებით, რომლებიც არიან:

- უსაფრთხო;
- ხარისხიანი;
- სათანადო სახით მარკირებული;
- დამზადებული და შეფუთული ჰიგიენურ პირობებში.

Codex Alimentarius-ის სტანდარტებში მოყვანილია აგრეთვე საკვები პროდუქტების შემოწმებისა და სერტიფიკაციის სისტემების, ანალიზის მეთოდებისა და სინჯების აღების რეკომენდაციები, რაც სტანდარტების გამოყენების ბაზას ქმნის ისეთი საკვები პროდუქტებისათვის, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის მიმოქცევაშია.

სტანდარტის შემუშავებისას მოსახლეობის დაცვის მიზნით მოითხოვება რისკის შეფასება. ჩვეულებრივ, ამას აკეთებენ FAO/WHO-ის დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფები. რამდენადაც Codex Alimentarius-ის სტანდარტები სახელმწიფო დაწესებულებისადმი რეკომენდაციებს წარმოადგენენ, მათი გამოყენების (ან არგამოყენების) გადაწყვეტილებებს თვით სახელმწიფო უწყებები იღებენ. არც სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების გამოყენების შესახებ შეთანხმება და არც ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერებით შექმნილი მდგომარეობის შესახებ შეთანხმება მთავრობებს არ აიძულებენ კოდექსის სტანდარტების გამოყენებას.

თუმცა, ეს შეთანხმებები გათვალისწინებულია იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის ხელისუფლება იყენებს ისეთ ნორმატივებსა და ღონისძიებებს, რომლებიც Codex Alimentarius-ის სტანდარტებზე მეტად გამკაცრებულია.

ამგვარად, ეს შეთანხმებები ქმნიან სახელმწიფოების მიერ Codex Alimentarius-ის კომისიის სტანდარტების გამოყენების სამართლებრივ ჩარჩოებს, როცა ეს სტანდარტები აკმაყოფილებენ მათ ნაციონალურ და იურიდიულ მოთხოვნებს.

Codex Alimentarius-ის სტანდარტები შესაძლებელია სხვადასხვაგვარად იქნას გამოყენებული სხვადასხვა ქვეყნების ინდივიდუალური მოთხოვნების სამართლებრივი სისტემების შესაბამისად.

1995 წელს Codex Alimentarius-ის კომისიამ მიიღო „პრინციპების დეკლარაცია, რომელიც კოდექსის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეცნიერების როლსა და სხვა ფაქტორების გათვალისწინების ხარისხს ეხება“. იგი შემდეგ პრინციპებს ამტკიცებს:

– სტანდარტები და სხვა ტექსტები აგებული უნდა იყოს ღრმა მეცნიერულ ანალიზზე და აგრეთვე მონაცემებზე, რომლებიც უნდა შეიცავდნენ ამომწურავ ინფორმაციას, რაც ხელს უწყობს სურსათისთვის ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას;

– Codex Alimentarius-ის კომისია მხედველობაში უნდა იღებდეს სხვა კანონიერ ფაქტორებს, რომლებიც ეხება მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვასა და საერთაშორისო ვაჭრობის წახალისებას.

ზემოთაღნიშნული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკვები პროდუქტების მარკირება.

Codex Alimentarius-ის კომისიამ საკვები პროდუქტების ცალკეული სახეობებზე, როგორც ზოგადი ხასიათის, ისე კონკრეტული ტექნოლოგიებისათვის, პროდუქტებისა და საკვები დანამატების მარკირების, ჰიგიენის წესების სფეროში 200-ზე მეტი სტანდარტი მიიღო და საკვებ პროდუქტებში არსებული ქიმიური ნივთიერებების კონცენტრაციების კონკრეტული ზღვრული მნიშვნელობების 2800 სტანდარტი დაამტკიცა.

– Codex Alimentarius-ის კომისიის წევრი ქვეყნების მოსახლეობის დაცვის სათანადო დონის შესახებ შეთანხმების მიღწევისას, მაგრამ სხვა კანონიერ ფაქტორებთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობისას მათ შეუძლიათ სტანდარტის მიღებისგან თავის შეკავება ისე, რომ ამით ხელი არ შეეშალოს კოდექსით მიღებულ გადაწყვეტილებას.

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები აცნობიერებენ, რომ Codex Alimentarius-ის სტანდარტების, ზოგადი პრინციპებისა და რეკომენდაციების გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასურსათო პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობის მიერ წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, განსაკუთრებული ინტერესი ვლინდება საკვები პროდუქტების კონტროლის ნაციონალური სისტემების განმტკიცებისადმი, საერთაშორისო სტანდარტებთან ნაციონალური ნორმატიული ბაზის შესაბამისობისადმი და სასურსათო პროდუქტების იმპორტისა და ექსპორტის შემოწმებისა და სერტიფიკაციის სისტემების შექმნისადმი.

– აღნიშნულთან დაკავშირებით საკვებ პროდუქტებზე ხარისხისა და სტანდარტების FAO-ს სამსახური სახელმწიფო უწყებებსა და კვების მრეწველობის საწარმოებს ტექნიკურ კონსულტაციებსა და დახმარებას სთავაზობს საკვები პროდუქტების შემოწმების, ნიმუშების აღების, ანალიზისა და ზოგადი კონტროლის განხორციელების საკითხებში.

FAO-ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კადრების მომზადება სამუშაოს ეფექტურობის და ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, აგრეთვე საკვებ პროდუქტებსა და კვების კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებში აუცილებელი პრაქტიკული უმარ-ჩვევების განვითარება.

FAO-ს სემინარები და სასწავლო პროგრამები გამყარებულია პუბლიკაციებით, რომლებიც განთავსებულია სერიაში „FAO-ს შრომები საკვებ პროდუქტებსა და კვებაზე“, „სახელმძღვანელო საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლზე“. დღეისათვის გამოქვეყნებულია 18 ასეთი სახელმძღვანელო, რომლებიც გადაცემულია წევრი-ქვეყნებისა და საკვები პროდუქტების კონტროლის სამსახურების პერსონალისათვის. მათში მოცემულია პრაქტიკული რჩევები ძირითად თემატურ საკითხებში მაგ., „ექსპორტისათვის განკუთვნილი საკვები პროდუქტები“, „საკვები პროდუქტების შემოწმება“, „საკვები პროდუქტების კონტროლის მართვის პროგრამები“ და „ხარისხის უზრუნველყოფა მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიაში“.

ამრიგად, FAO/WHO-ის გაერთიანებული პროგრამების როლი საკვები პროდუქტების სტანდარტებზე და Codex Alimentarius-ის კომისიის როლი მნიშვნელოვნად ამაღლდა მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებები სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების გამოყენებისა და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ შეთანხმებები.

საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სისტემების შეფასება პროფილაქტიკური მიდგომის აუცილებლობის შესახებ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

საკვები პროდუქტების უსაფრთხოების გარანტირებული უზრუნველყოფისათვის შემუშავებულია საფრთხის ანალიზის სისტემა კრიტიკული საკონტროლო წერილების მიხედვით.

(Hazard Analysis and Critical Control Point, HACCP), რომელიც სასურსათო ნაწარმის წარმოებისას რისკის კრიტერიუმების დონის მიხედვით ხარისხის კონტროლის სისტემას წარმოადგენს. ამ სისტემას წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიო კვების ინდუსტრიაში.

იგი განსაზღვრავს საკვები პროდუქტების დამუშავების ანალიზისადმი სისტემურ მიდგომას, ნებისმიერი შესაძლო ქიმიური, ფიზიკური, ბიოლოგიური წარმოშობის რისკების ამოცნობას და მათ კონტროლს. HACCP-ის სისტემა

ორგანულად ეწერება ხარისხის სისტემაში და იგი რეკომენდირებულია 93/43EEC საბჭოს დირექტივით საფრთხის სიტუაციების მართვისათვის.

პირველად HACCP-ის სისტემა დამუშავდა და დაინერგა აშშ-ში 1970 წელს ქიმიურ მრეწველობაში და მიმართული იყო წარმოებაში ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტიაზე. 1972 წელს ეს სისტემა პირველად გამოიყენა ფირმამ Pillsbury კვების პროდუქტების წარმოებაში. მუშაობდა რა ორგანიზაცია Naza-სა და სამხედრო ლაბორატორიებთან იგი ამუშავებდა და აწარმოებდა პროდუქტებს ასტრონავტებისათვის. ამ პროდუქტების უსაფ-რთხოებისადმი წაყენებული იყო განსაკუთრებულად აღმატებული მოთხოვ-ნები – შემდგომში ეს მეთოდი გამოიყენებოდა ფირმებში Unilever, Nestle და სხვა.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები – International Commission of Microbiological Specifications for Food (ICMSF), რეკომენდაციას უწევდნენ HAC-CP-ის სისტემის გამოყენებას, როგორც საკვებ პროდუქტებზე უსაფრთხოების გარანტიის ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდს. განსაზღვრული იყო სისტემის საბაზო ელემენტები iso საერთაშორისო სტანდარტების სერია 9000-სთან ჰარმონიზაციაში.

HACCP-ის კონცეფციის გამოყენება შესაძლებელია კვების მრეწველობის ყველა დარგში – დაწყებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებიდან, მთელს საკვებ ჯაჭვში, გადამუშავების, მზა პროდუქციის წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ჩათვლით, მოხმარების მომენტამდე.

HACCP-ის კონცეფციის რეალიზაციისას ხელმძღვანელობენ მეცნიერული მონაცემებით ადამიანის ჯანმრთელობის შესაძლო საფრთხის შესახებ. საკვები პროდუქტები ყოველთვის შეიძლება შეიცავდნენ რომელიღაც ბიოლოგიურ რისკს.

რისკის შეფასება ადამიანის ჯანმრთელობისათვის კვებითი წარმოშობის სახიფათო ფაქტორების ზემოქმედებისაგან ცნობილი ან პოტენციურად უარყოფითი შედეგების მეცნიერულ დასაბუთებას წარმოადგენს. იგი საშუალებას გვაძლევს რომელიმე საფრთხის ფაქტორის ზემოქმედების შედეგად განვსაზღვროთ ზიანის სიმძიმის ხარისხი და შესაძლებლობა.

რისკის შეფასების ძირითადი კომპონენტებია:

– **საფრთხის შემცველი ფაქტორის აღმოჩენა** (ეპიდემიოლოგიური ან სხვა მონაცემების დახმარებით, რომლებიც ორგანიზმისა და მისი დაავადების წყაროს დაკავშირების საშუალებას იძლევიან);

– **რისკის ფაქტორის დახასიათება** (საკვებში დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების სიჭარბით გამოწვეული სიმძიმის ხარისხისა და უარ-ყოფითი ეფექტების ხანგრძლივობის ხარისხობრივი ან რაოდენობრივი შეფასებისათვის);

– **ზემოქმედების შეფასება** (საკვებით შთანთქმული დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების რაოდენობის შეფასებისთვის);

– **რისკის დახასიათება.** საწარმოებში ასეთი სისტემების დანერგვა იმის გარკვევის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, თუ რამდენად კონტროლირდება წარმოების პროცესი და შეაფასოს უსაფრთხო სასურსათო პროდუქციის უზრუნველყოფის დონე დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

HACCP-ის სისტემა შეიცავს 7 ძირითად პრინციპს:

1. საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის ჩატარება;
2. კონტროლის კრიტიკული წერტილების განსაზღვრა;
3. წარმოების პროცესებისა და დანადგარების ზღვრული ნორმატივების დადგენა და მათი მკაცრი დაცვა;
4. წარმოებისსრულიტექნოლოგიურიხაზისსისტემატიურიმონიტორინგი;
5. საწარმოო პროცესების კორექციის ღონისძიებების დამუშავება;
6. ტექნოლოგიური პარამეტრების მუდმივი ჩანაწერები;
7. ზემოთჩამოთვლილი პრინციპებისა და მათი გამოყენების შესახებ მიღებული დარეგისტრირებული ინფორმაციის მუდმივი გადამოწმება.

ნახაზზე მოყვანილია HACCP-ის მონაცემების შევსების ბლანკის ფორმის მაგალითი.

1. პროდუქციის დახასიათება. 2. ტექნოლოგიური პროცესის ბლოკ-სქემა (სქემატური გამოსახულება) 3.						
ჩამონათვალი						
ეტაპი	საფრთხის ფაქტორები	კონტროლის მეთოდები	კონტროლის კრიტიკული წერტილები	კრიტიკული ზღვრები	მონიტორინგის მეთოდები	რეგისტრაციის მონაცემები
4. ვერიფიკაცია (მეცნიერული დასაბუთება)						

HACCP-ის სისტემის დანერგვის შემდეგ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი ეფექტიანობის მუდმივ შეფასებას. ვინაიდან მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შემოწმდეს კვების კომპანიას შესწევს თუ არა ძალა აწარმოოს და (ან) გაყიდოს უვნებელი და მაღალხარისხოვანი პროდუქტები, HACCP-ი მიიჩნევს, რომ კვების მრეწველობამ და სახელმწიფო უწყებებმა უნდა

შეასრულონ სრულიად კონკრეტული ფუნქციები.

HACCP-ის სისტემა შეიძლება შეფასდეს ორ დონეზე:

– შემოწმება საკუთარი ძალებით, რომელიც შესრულდება პასუხისმგებელი პირებით;

– დამოუკიდებელი გარეგნული შეფასება (შემოწმება), რომელიც შესრულებულია სახელმწიფო კონტროლის უწყებებით, ან მესამე მხარით;

სახელმწიფო და საკუთარი შეფასების შედეგებმა უნდა აჩვენონ, რომ წარმოებაში ნამდვილად იქნა გამოყენებული HACCP-ის 7 პრინციპი, შექმნილია სათანადო წინაპირობები მათი რეალიზაციისათვის, HACCP-ის დანერგვის გეგმა განხორციელებულია და მოქმედებს.

ჩვეულებრივ, შეფასების პროცესი სამი ეტაპისაგან შედგება:

- დაგეგმვა-შეფასების ძირითადი მიზნის განსაზღვრა და მისი შესრულების რიგითობა;
- საკუთრივ შეფასება ადგილებზე – აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება;
- ანალიზი-შედეგების გადახედვა, ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელი ღონისძიებები.

HACCP-ი უცხოეთის მრავალ კვების საწარმოში გამოიყენება. იგი მუდმივად განვითარების სტადიაშია – იხვეწება დაშვება კონტროლირებად მაჩვენებლებზე, მატულობს ანალიზის მეთოდების სიზუსტე, ინგლისის კვების მრეწველობის ინსტიტუტის შედეგების სისტემა მნიშვნელოვნად დაიხვეწა და შეუერთდა წარმოების ტექნოლოგიურ ციკლს. დღეისათვის კვების მრეწველობის საწარმოებში HACCP-ის მოთხოვნების აუცილებელი შესრულება იურიდიულად დადგენილია ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში და რიგ ქვეყნებში მიღებულია კანონმდებლობით. რუსეთში HACCP-ის დანერგვა მეტად პერსპექტიულია, ვინაიდან მასში განიხილება არა მარტო იდენტიფიკაციის ელემენტები და რისკის ანალიზი, არამედ კრიტიკული წერტილების მართვის ელემენტები და მისი შედეგების შეფასება. ყოველივე კი წარმოებაში ხარისხის ეფექტური და ქმედითი სისტემის შექმნისა და მოწესრიგების რეალურ შესაძლებლობას იძლევა. დღეისათვის, ერთადერთი რუსული კომპანია რომელსაც აქვს BRS (British Retailer Consortium) შესაბამისობის სტანდარტის სერტიფიკატი და ეყრდნობა HACCP-ის სისტემას და iso სტანდარტს და აგრეთვე კვებითი სანიტარიის ნორმების კონტროლის დაცვას ეს არის „ВИММ – Билль-Данн“-ი.

პროდუქტების ხარისხის დადგენილი ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ღონისძიებანი და დასჯის სისტემა დამრღვევების მიმართ სანქციების 3 სახეს ითვალისწინებს:

- პროდუქტების კონფისკაცია სასამართლოს წესით;

- ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესაძლებლობა;
- საქმეების გადაცემა სასამართლო ორგანოებში კომპანიების მიერ პროდუქციის ცალკეული სახეების წარმოების ან რეალიზაციის აკრძალვის შესახებ წინადადებით.

დასკვნა

აღნიშნული ღონისძიებებით მკვიდრდება სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლის მკაფიო სისტემა საწარმოს დონეზე, რომელიც ხორციელდება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ზედამხედველობით.

ლიტერატურა:

1. მიქელაძე გ., წულაია დ. სასურსათო პროდუქტების სამომხმარებლო თვისებები და ექსპერტიზა. თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა, 2005, 283 გვ.
2. წულუკიძე მზია. პროდუქციის ხარისხის მართვის თანამედროვე მიდგომები. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013, 145 გვ.
3. Витол И. С., Нечаев А. П. Безопасность продовольственного сырья и продуктов питания. Учебник – М. Делипринт, 2013, 359 с.
4. Позняковский В. М. Гигиенические основы питания, безвредность и экспертиза пищевых продуктов. Новосибирск: Сибирское Университетское издательство, 2002, 556 с.
5. Донченко В. Л., Надыка В. Д. Безопасность пищевой продукции. М. ДелиПринт, 2007, 578 с.
6. Food Safety Management. A practical Guide for the Food Industry. Edited by Yamsine Motarjemi and Huub Lelieveld, 2014.
7. David Vogel. The politics of precaution regulating Health, Safety and environmental risks in Europe and the Unites States. Princeton, NJ, Princeton University Press. 2012, 298 p.
8. Robert Paarlberg. Food politics what everyone needs to know. Oxford University press, New York, 2010, 325;
9. www.Codex Alimentarius.com
10. სურსათის უვნებლობის მართვის HACCP-ის სისტემა. GDGI ჯგუფის სურსათის უვნებლობის მართვის ტრეინინგის მასალები. თბილისი, 2011;
11. სურსათის უვნებლობის სახელმძღვანელო „ფერმიდან – სუფრამდე“... სურსათის ეროვნული სააგენტო. თბილისი, 2017 (ევროპის კავშირის პროექტი), nfa.gov.ge

Международная система обеспечения безопасности пищевой продукции

Мзия Цулукидзе
профессор, Грузинский Технический Университет
Давид Гамезардашвили, Доктор химии

Резюме

В статье рассматривается: Объединенная программа FAO/WHO по стандартам на пищевые продукты; Цель создания специальной комиссии Codex Alimentarius (птщевщй кодекс): функции, рекомендации, применение; Роль и значение системы HACCP, как системы контроля качества и безопасности пищевых продуктов, занимающую ведущее место в мировой пищевой индустрии для управления опасными ситуациями; сферы применения; Оценка риска для здоровья человека от опасных факторов пищевого происхождения; Меры ответственности и система наказаний за нарушение устанавленных норм качества продуктов.

Ключевые слова: комиссия Codex Alimentarius, объединенная программа FAO/WHO, маркирование, упаковка в гигиенических условиях, защита здоровья, система HACCP, оценка риска, меры ответственности.

ელექტრონული სერვისები ბიზნესისთვის (G2B and B2G) და სამოქალაქო საზოგადოებისთვის (G2NGO)

ნიკოლოზ დავითაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოტენციალით სარგებლობისა და ინვესტიციების ამონაგებების ეფექტურობისა და ეფექტიანობის ოპტიმიზაციის მიზნით, საქართველომ ძალისხმევა უნდა მიმართოს მთავრობის, ბიზნესისა და მოქალაქეების მიერ საჯარო ონლაინ სერვისების ხელმისაწვდომობის (მიწოდება) და გამოყენების (მოთხოვნა და მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა) უზრუნველსაყოფად.

სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფიდან წარმოდგენილ დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობისას (მაგ.: მთავრობა, ბიზნესი, მოქალაქეები და არასამთავრობო და დაინტერესებული ორგანიზაციები), საქართველოს ელექტრონული სტრატეგიის „მომსახურების“ ხაზი ორიენტირებულია ონლაინ სერვისების მიწოდებაზე, მოთხოვნაზე, ცნობიერების ამაღლებასა და ონლაინ სერვისების მომხმარებელთა რაოდენობის ზრდაზე. ეს მოიცავს G2C, G2B/G2NGO/B2G და G2G სერვისებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს ეფექტური საჯარო სერვისის სტრატეგიაზე იმ მიზნით, რომ ფიზიკურ, სატელეფონო და წერილობით სერვისებზე მოთხოვნა ციფრული სერვისების მოთხოვნით შეიცვალოს. აღნიშნულ მცდელობას ხელს შეუწყობს მომხმარებლისთვის მოსახერხებელი, ხელმისაწვდომი და პირადი ელექტრონული სერვისები.

საკვანძო სიტყვები: ტელეფონი, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო, ეფექტურობა, ელექტრონული სერვისები.

შესავალი

გლობალურ დონეზე ცოცხალი და კონკურენტუნარიანი ბიზ-ნესგარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ად-მინისტრაციული წნეხის შემცირება, ეფექტური და ეფექტიანი ინფორ-მაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ელექტრონული სერვისების ინტერაქციის შესაძლებლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, საჯარო და კერძო სექტორებს შორის. მთავრობის მიერ ბიზნესის (G2B), სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის (G2NGO) და ბიზნესის მიერ მთავრობისთვის (B2G) განკუთვნილი ელექტრონული სერვისების მიწოდება, ინოვაციებსა და ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს საზოგადოებაში.

საზოგადოდ, კერძო კომპანიებსა და არასამეწარმეო სექტორში მოქმედ ორ-განიზაციებს უფრო ხშირი კონტაქტი აქვთ მთავრობასთან, ვიდრე მოქალაქეებს. ხშირ შემთხვევაში ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები წარმოად-გენს ბიზნეს-პროცესებისა და შიდა სტრუქტურის განუყოფელ ნაწილს კერძო სექტორში. ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდილი შესაძლებლობებისა და კერძო სექტორში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაზრდილი ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ბიზნესი უკვე ონლაინ რეჟიმში უნდა ახდენდეს ინტერაქციას მთავრობასთან. კომპანიებიდან საჯარო პირებისთვის ინფორმაციისა და მონაცემების მიწოდება უნდა ეფუძნებოდეს კარგად მოფიქრებულ პროცესს, სისტემიდან სისტემაში ინტეგრირებას. აღნიშნულის მსგავსად, სახელმწიფო შესყიდვების პროცესები, ღირებულებით ჯაჭვთან ერთად, სრულად ციფრული უნდა იყოს.

ძირითადი ნაწილი

ხარჯების შემცირებისა და პროცესების გამარტივებისთვის მთავარია სტანდარტული პროცესების სისტემატური ანალიზი და რეგულირება, რაც უნდა განხორციელდეს მთავრობისთვის ანგარიშის მიწოდებისა და ნებართვის მოთხოვნისთვის მონაცემების ონლაინ გადაცემით. სწრაფი მოგების სიღრმისეული ანალიზი, G2B და B2G მომსახურებების გაუმჯობესების მიზნით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადი და კონკურენტუნარიანი ზრდის უზრუნველყოფისთვის. ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გონივრული გამოყენება სცილდება არსებული პროცესების ციფრულ ფორმატში გადაყვანას. იგი საჭიროებს პროცესების ანალიზს, პროცესის შექმნას და მონაცემთა გაცვლის ფორმატის, ანუ ინტერფეისის ზოგად მახასიათებლებს, რათა მისცეს მიმართულება ანგარიშგების მექანიზმების სისტემიდან სისტემაში ინტეგრაციას, ახალი პროცესების დაგეგმვას და მონაცემთა გაცვლის ფორმატის, ანუ ინტერფეისის საყოველთაო დეტალიზაციას, ანგარიშგების მექანიზმების პირდაპირ სისტემიდან სისტემაში ინტეგრაციას.

G2B-ს ელექტრონული სერვისების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენ-ტი უკავშირდება მთავრობასა და ბიზნესს შორის ურთიერთობას. საჯარო სექტორის მაღალი მოცულობით, მაღალი გავლენით და დამატებითი სარგებ-ლით მოდერნიზაციის პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს საქონლის, მომსახურებების და სამუშაოების ონლაინ შესყიდვა. შესყიდვების ჯაჭვის ბევრი პროცესი შესაძლოა ონლაინ განხორციელდეს. დანახარჯების დაზოგვა, სტანდარტებისა და ხარისხის უზრუნველყოფა და პროცესების დაჩქარება მიიღწევა, როდესაც სახელმწიფო ტენდერებისა და სახელმწიფო შესყიდვების მთლიანი ღირებულების ჯაჭვის პროცესები ონლაინ რეჟიმში ხორციელდება. ელექტრონული შეტყობინებები, ელექტრონული ტენდერები, პროდუქტების

კატალოგები, საკვალიფიკაციო პროფილები, ელექტრონული შეკვეთები, ელექტრონული ანგარიშფაქტურები, ელექტრონული გადახდები და ა.შ. საჭიროებს საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებას, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს საერთაშორისო კონკურენცია და უცხოურმა კომპანიებმა მოახდინონ ინვესტირება საქართველოში.

მსგავსად G2C სერვისებისა, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის ელექტრონული სერვისების განვითარება და განხორციელება, პირველ რიგში, უნდა გულისხმობდეს მაღალი გავლენის მქონე სერვისების მიწოდებას შესაბამისი პორტალის მეშვეობით, ისეთი არხებით, როგორიცაა პორტალი mybusiness.gov.ge, თვითმომსახურების აპარატებით იუსტიციის სახლებში, საზოგადოებრივ ცენტრებსა და ბიბლიოთეკებში, ისევე, როგორც კომერციული არხებით.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულ კვლევაში ბიზნესის კეთების სიმარტივით საქართველო მე-9 ადგილს იკავებს (185 ქვეყნიდან), ქვეყანაში ბიზნესის კეთებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების პოტენციალი არსებობს, რაც მთავრობისა და ბიზნესის გონივრული ინტერაქციის მეშვეობით მიიღწევა. აღნიშნული პოტენციალის არსებობას ასევე ხაზს უსვამს ელექტრონულ მმართველობასა და ქვეყანაში ონლაინ მომსახურების ხელმისაწვდომობასთან (მიწოდება) დაკავშირებული კვლევა, რომელიც გაერომ 2012 წელს ჩაატარა. მიუხედავად ამისა, G2B ელექტრონული მომსახურებების გამოყენების დონე (მოთხოვნა და მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა) კვლავ დაბალია.

საქართველოში ბიზნესისთვის განახორციელდა რიგი ელექტრონული სერვისების მიწოდება, მაგალითად, შემოსავლების სამსახურის ელექტრონული დეკლარაციების სერვისი www.rs.ge-ს მეშვეობით უზრუნველყოფს რიგ ელექტრონულ სერვისებს შემოსავლების შესახებ ანგარიშის ფორმით. ის უშუალოდ არის ინტეგრირებული კომპანიის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და სამთავრობო სისტემებში, ელექტრონულ შესყიდვებსა თუ ელექტრონულ აუქციონებში, რომლებიც საჯარო ფინანსების მართვის სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

კიდევ ერთ სერვისს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემა, რომელიც შეიქმნა ფინანსთა სამინისტროს მიერ. სისტემა განკუთვნილია სამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნესისთვის, ბუნებრივი რესურსების სამართავად. სისტემაში გაერთიანებულია მომსახურებები კერძო სექტორისთვის (მაგ., საბანკო სერვისები). იგი ასევე უზრუნველყოფს ელექტრონულ სერვისებს შემდეგი სფეროებისთვის: G2C, G2B და B2G.

დასკვნა

ელექტრონული სერვისები სივრცითი, გეოლოგიური, გარემოსდაცვითი და გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული საკითხებისთვის შემოთავაზებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ საიტზე www.meteo.gov.ge.

ბიზნესისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დახვეწილი ონლაინ სერვისების მიწოდების მთავარი ხელშემწყობი საშუალება: ელექტრონული ბეჭედი, როგორც ინფრასტრუქტურული მომსახურების ფორმა ბიზნესისა და სამთავრობო უწყებებისთვის.

e-Services for business (G2B and B2G) and civil society organisations (G2NGO)

Nikoloz Davitashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

In order to optimize the efficiency and effectiveness of the use of information-communication technologies and optimize the effectiveness of investments, Georgia should make efforts to provide access to and access to public online services (demand and increase of consumers) by government, business and citizens. In line with the stakeholders (eg, government, business, citizens and NGOs and interested organizations) from different target groups, the line of electronic strategy "service" of Georgia is focused on providing online services, demand, awareness raising and increasing the number of online services. This includes G2C, G2B / G2NGO / B2G and G2G services. Attention should be paid to the effective public service strategy to change the demand for physical, telephone and written services by requiring digital services. This effort will facilitate user-friendly, affordable and personal electronic services.

სოციალური მეცნიერებები

SOCIAL SCIENCES

საზოგადოებრივი აზრი მეცნიერული ცნობიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ (სოციალური კვლევის შედეგები)

ლიკა არველაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საზოგადოებრივი ცნობიერება, როგორც საზოგადოებრივი ყოფიერების სულიერი ასახვა, წარმოდგენებში, იდეებსა და შეხედულებებში; მის ფორმირება-განვითარებაზე ზემომქმედი გეოგრაფიული, მატერიალური თუ სხვა ფაქტორების არსებობა. აქვე საუბარია საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებზე, მათ ფუნქციებსა და დიფერენციაციის კრიტერიუმებზე. ასევე ნაჩვენებია რესპოდენტები ფლობდნენ თუ არა ინფორმაციას საზოგადოებრივი ცნობიერების რომელიმე ფორმის შესახებ და რა წყაროდან ჰქონდათ ის მიღებული. შემდეგ კი ვრცლად განვიხილეთ საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი - ფორმის მეცნიერული ცნობიერების კვლევის შედეგები რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის ჭრილში.

კვლევის შედეგების თანახმად, რესპოდენტთა 61,8%-ს მიუღია ინფორმაცია საზოგადოებრივი ცნობიერების თუნდაც ერთი ფორმის შესახებ. მათგან 27,4%-ით ლიდერობს პოლიტიკური ცნობიერება.

რესპოდენტების უმრავლესობის აზრით, თითეული მოქალაქე უნდა ერკვეოდეს მეცნიერული ცნობიერების არსში, უნდა იღებდეს ამ კუთხით განათლებას ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში. მრავალფეროვანი იყო პასუხები იმასთან დაკავშირებითაც თუ რა საშუალებები უნდა იქნას გამოყენებული ამისათვის. ასევე უმრავლესობა თვლიდა, რომ ამ გზით მეცნიერული ცნობიერების ამაღლება სარგებელს მოუტანს პიროვნებასა

და მთელ საზოგადოებას. სხვადასხვაგვარი პასუხები მივიღეთ სარგებლიანობის კუთხითაც.

დასახელდა მეცნიერული ცნობიერების კუთხით დღესდღეისობით არსებული პრობლემებიც.

შესავალი

ცნობილია, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება, ერთ-ერთი თვალსაზ-რისით, „შეიძლება განისაზღვროს როგორც საზოგადოებრივი ყოფიერების სულიერი ასახვა, ადამიანთა წარმოდგენების, იდეებისა და შეხედულებების ერთობლიობა“ [1. 19].

ისიც ცნობილია, რომ „საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებასა და განვითარებაზე ზემოქმედებენ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა:

1. გეოგრაფიული გარემო, რომელშიც ცხოვრობს სოციალური საზოგადოება;
2. მატერიალური ცხოვრების დონე და მოხმარების ხასიათი;
3. საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმები;
4. ისტორიული წარსული და სხვა.“ [2].

საზოგადოებრივ ცნობიერებას გააჩნია ფორმები, რომელთა დიფერენციაცია ხდება ოთხი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით. ესენია:

ა) ასახვის ობიექტი;

ბ) ასახვის საშუალებები;

გ) მისი განვითარების თავისებურებები;

დ) შესასრულებელი ან სოციალური ფუნქცია [3].

საზოგადოებრივი ცნობიერების შემდეგ რვა ფორმას გამოჰყოფენ:

1. პოლიტიკური ცნობიერება;
2. ეკონომიკური ცნობიერება;
3. უფლებრივი, (სამართლებრივი) ცნობიერება;
4. ფილოსოფიური ცნობიერება;
5. ზნეობრივი ცნობიერება;
6. ესთეტიური ცნობიერება;
7. რელიგიური ცნობიერება;
8. მეცნიერული ცნობიერება [4].

საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებს აქვს სპეციფიკური ფუნქციები. მისი ძირითადი ფუნქციებია:

1. შემეცნებითი;
2. აღმზრდელობითი;
3. იდეოლოგიური;
4. ესთეტიკური;
5. ადამიანის ქცევის მორალური, სამართლებრივი, პოლიტიკური

რეგულირება;

6. პროგნოზირების ფუნქცია [5].

თითოეული ინდივიდი, მთელი ცხოვრების მანძილზე სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედების, სწავლისა და აღზრდის საშუალებით განიცდის საზოგადოებრივი ცნობიერების ზეგავლენას, თუმცა ამ ზეგავლენაში თავად აქტიური როლი უჭირავს [6].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას. ჩვენ ჩავატარეთ გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო დაგვედგინა რესპოდენტები ფლობდნენ თუ არა ინფორმაციას საზოგადოებრივი ცნობიერების რომელიმე ფორმის შესახებ და რა წყაროებიდან ჰქონდათ ის მიღებული, ასევე გვაინტერესებდა ის, თუ რა პრობლემები არსებობს საზოგადოებრივი ცნობიერების ისეთ ფორმებთან მიმართებაში, როგორიცაა მეცნიერული ცნობიერება; გვსურდა გაგვეგო საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, საჭირა თუ არა ფორმალური და არაფორმალური განათლების ზემოქმედება (და როგორი სახით), ამ მხრივ არსებული პრობლემების გადასაწყვეტად. ამასთანავე გვინდოდა გაგვერკვია, თუ რა სარგებელს მოუტანს აღნიშნული ღონისძიებები ცალკეულ პიროვნებასა და საზოგადოებას მთლიანად.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა 200 რესპონდენტი. მათ მიერ კითხვარის შევსების საფუძველზე მიღებულ იქნა შემდეგი მონაცემები:

- კითხვაზე, რომელიც შეეხებოდა საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებს – „მიგიღიათ რომელიმე მათგანის შესახებ რაიმე ტიპის ინფორმაცია?“ რესპონდენტთა საერთო მაჩვენებლისგან მიღებული მონაცემების მიხედვით დადებითი პასუხი დააფიქსირა 61,8%-მა; ხოლო აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა რესპოდენტთა – 38,2%-მა.
- თუ აღნიშნულ კითხვაზე პასუხს სქესთაშორისი განსხვავების მიხედვით გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ მამაკაცების – 94,1% დადებით პასუხსს აფიქსირებს და მხოლოდ რესპოდენტთა – 5,9% გვაწვდის უარყოფით პასუხს.
- რაც შეეხება მდედრობითი სქესის რესპოდენტებს, მათი – 80% ამბობს, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების რომელიმე ფორმის შესახებ მაინც მიუღია რაიმე ტიპის ინფორმაცია; მხოლოდ – 20% აღნიშნავს, რომ ინფორმაცია აღნიშნული საკითხების შესახებ არანაირი წყაროს საშუალებით არასდროს არ მიუღია.
- კითხვაზე თუ „რომელი ფორმის ცნობიერების შესახებ მიგიღიათ ინფორმაცია“ რესპოდენტთა საერთო მონაცემების მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება პოლიტიკურ ცნობიერებასთან მიმართებაში და იგი – 27,4%-ს შეადგენს; შემდეგ მაჩვენებლების მიხედვით

მოდის ეკონომიკური ცნობიერება. კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა 17,7% აფიქსირებს, რომ სწორედ საზოგადოებრივი ცნობიერების ამ ფორმის სესახებ მიუღია ინფორმაცია ამა თუ იმ წყაროდან; რაც შეეხება სამართლებრივი (იურიდიული) ცნობიერების შესახებ მიღებულ ინფორმაციას – აქ დადებით პასუხს 11,3% აფიქსირებს; ფილოსოფიური ცნობიერების შესახებ ინფორმაცია მიუღია გამოკითხულ რესპოდენტთა 12,9%-ს; რაც შეეხება ზნეობრივ ცნობიერებას, მის შესახებ ინფორმაცია მიუღია კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა 16,1%-ს; ასევე, ესთეტიკური ცნობიერების შესახებ ინფორმაციას უკვე რომელიმე წყაროს საშუალებით ფლობს რესპოდენტთა – 8,1%; რაც შეეხება საზოგადოებრივი ცნობიერების ისეთ ფორმას, როგორიცაა რელიგიური ცნობიერება – რესპოდენტთა 22,6 % აფიქსირებს, რომ ცნობიერების აღნიშნული ფორმის შესახებ მას აქვს მიღებული გარკვეული ინფორმაცია, ამა თუ იმ წყაროდან; მეცნიერული ცნობიერების შესახებ კვლევაში ჩართულ რესპოდენტთა – 8,1%-ს აქვს მიღებული ინფორმაცია; მთლიანად თუ შევაჯამებთ რაიმე წყაროთი, მეცნიერული ცნობიერების რომელიმე ერთი ფორმის შესახებ მაინც ინფორმაცია მიღებული აქვთ რესპოდენტთა სრული მაჩვენებლის – 38,7%-ს.

- მამაკაცი რესპოდენტების პასუხების პროცენტული მაჩვენებლები იმის შესახებ, თუ ცნობიერების რომელი ფორმის შესახებ მიუღიათ ინფორმაცია, შემდეგნაირად გადანაწილდა. პოლიტიკური ცნობიერების შესახებ რაიმე ტიპის ინფორმაციას ფლობს მამაკაც რესპოდენტთა 23,5%; შედარებით დაბალი მაჩვენებელი – 11,8% დაფიქსირდა ცნობიერების ოთხი ფორმის – ეკონომიკური, სამართლებრივი (იურიდიული), ფილოსოფიური და ზნეობრივი ცნობიერების შესახებ მიღებული ინფორმაციის კუთხით; რაც შეეხება ესთეტიკურ ცნობიერებას, მის შესახებ ინფორმაცია მიუღია მამაკაც რესპოდენტთა 5,9%-ს; ესთეტიკურ ცნობიერებასთან შედარებით რელიგიური ცნობიერების შესახებ გაცილებით მაღალი მაჩვენებელი – 23,5% ფიქსირდება რელიგიურ ცნობიერებასთან მიმართებაში; მეცნიერული ცნობიერების შესახებ კი ინფორმაცია მამაკაც რესპოდენტთა გაცილებით მცირე ჯგუფს, მხოლოდ – 5,9%-ს აქვს, ამა თუ იმ წყაროს საშუალებით; ერთიანად თუ შევაჯამებთ, გამოკითხულ მამრობითი სქესის რესპოდენტთა – 41,2% მიუთითებს, რომ ფლობს ინფორმაციას ცნობიერების რომელიმე ფორმის შესახებ.
- რაც შეეხება მდედრობითი სქესის რესპოდენტებს, აქ საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების შესახებ ინფორმაციის ფლობის თაობაზე მათი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: ყველაზე მეტად, მდედრობითი სქესის რესპოდენტები ინფორმაციას ფლობენ პოლიტიკური ცნობიერების შესახებ და მისი პროცენტული მაჩ-

ვენებელი წარმოადგენს – 28,9%-ს; შედარებით უფრო ცოტა მდედრობითი სქესის რესპოდენტი ამა თუ იმ წყაროდან ფლობს ინფორმაციას ეკონომიკური ცნობიერების შესახებ და მისი პროცენტული მაჩვენებელი – 20%-ს წარმოადგენს; რაც შეეხება სამართლებრივი (იურიდიული) ცნობიერებას, მის შესახებ ამა თუ იმ წყაროდან ინფორმაცია მოეპოვება მდედრობითი სქესის რესპოდენტთა – 11,1%-ს; ფილოსოფიურ ცნობიერებასთან დაკავშირებით აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი – 13,3%-ს შეადგენს; ზნეობრივი ცნობიერების შემთხვევაში კი ეს ციფრი იზრდება – 17,8%-ს შეადგენს; ესთეტიკური ცნობიერების შესახებ ინფორმაციას ფლობს კითხვარით გამოკითხულ, მდედრობითი სქესის რესპოდენტების – 8,9%; ხოლო რელიგიური ცნობიერების შესახებ ამა თუ იმ წყაროდან ინფორმაცია მიუღია ამავე ჯგუფის რესპოდენტთა – 22,2%-ს; რაც შეეხება მეცნიერული ცნობიერების შესახებ მიღებულ ინფორმაციას, აქ ამ კუთხით ინფორმირებულ, გამოკითხვაში მონაწილე მდედრობითი სქესის რესპოდენტთა პროცენტული მაჩვენებელი მხოლოდ და მხოლოდ – 8,9%-ს წარმოადგენს; რაც შეეხება მდედრობითი სქესის რესპოდენტთა საერთო, ჯამურ მაჩვენებლებს, რომელთაც მიუღიათ ინფორმაცია საზოგადოებრივი ცნობიერების თუნდაც ერთი, რომელიმე ან მეტი (2, 3, 4 ...) ფორმის შესახებ, ასეთ მდედრობითი სქესის რესპოდენტთა პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს - 37,8 %.

აღნიშნული კვლევისთვის შედგენილი კითხვარის მოცემული ბლოკის (რომელიც მეცნიერულ ცნობიერებას შეეხება) პირველი კითხვა შემდეგნაირად ჟღერს – „თქვენი აზრით, უნდა ერკვეოდეს თითეული მოქალაქე მეცნიერული ცნობიერების არსში?”

მასზე მიღებული პასუხების რაოდენობრივი ანალიზის შედეგების თანახმად რესპოდენტთა საერთო მაჩვენებელის – 51,6 % თვლის, რომ დიახ, თითოეული მოქალაქე უნდა ერკვეოდეს მეცნიერული ცნობიერების არსში; ხოლო რესპოდენტთა გაცილებით მცირე რაოდენობა – 41,9 % ვერ ხედავს აღნიშნულის საჭიროებას; გამოკითხულ რესპოდენტთა 6,5% – მა კი კითხვაზე პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა.

თუ აღნიშნულ კითხვაზე პასუხს სქესთაშორისი განსხვავების მიხედვით განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ მამრობითი სქესის რესპოდენტთა – 35,3% თითოეული მოქალაქის მხრიდან აღნიშნულ საკითხში გარკვევის საჭიროებას დადებითად უყურებს; ხოლო მათი მცირე ნაწილი – 34,9% კი უარყოფითად; აღნიშნულ კითხვაზე პასუხისაგან თავი შეიკავა მამრობითი სქესის რესპოდენტთა – 11,8%-მა.

რაც შეეხება მდედრობითი სქესის რესპოდენტთა მიერ დაფიქსირებულ პასუხებს, მათი უმრავლესობა 57,8 % თვლის, რომ თითეული მოქალაქე უნ-

და ერკვეოდეს მეცნიერული ცნობიერების არსში; 37,8% თვლის, რომ არ უნდა ერკვეოდეს; ხოლო – 4,4%-ს უჭირს აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა.

პასუხში კითხვაზე – „თქვენი აზრით, დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში რა მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს მეცნიერულ ცნობიერებასთან დაკავშირებით?“ – რესპოდენტთა საერთო მაჩვენებლების მიხედვით უმეტესწილად აქცენტი რამდენიმე პრობლემაზე გაკეთდა:

პირველ რიგში, რესპოდენტების უმრავლესობა დღევანდელი საზოგადოების პრობლემად რამოდენიმე მთავარ პრინციპს ასახელებს. ესენია:

1. შესაბამისი ცნობიერებისა და მეცნიერული ცოდნის დაბალი დონე;
2. ზოგადად მეცნიერების კრიზისი;
3. ადამიანები ვერ ხედავენ მეცნიერული ცნობიერებასა და მატერიალურ სარგებელს შორის კავშირს, რაც საზიანოა ქვეყნის განვითარებისათვის. ამის მიზეზი კი მეცნიერული ცნობიერების დაბალი დონეა;
4. ინტერესის დეფიციტი აღნიშნული საკითხებისადმი.

მამრობითი სქესის წარმომადგენლებს დამატებით განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

რაც შეეხება მდედრობითი სქესის რესპოდენტების მიერ გამოკვეთილ დამატებით პრობლემებს, აქ ქალბატონები გამოყოფენ შემდეგ საკითხებს:

1. საზოგადოებას არ აქვს საკმარისი მეცნიერული უნარ-ჩვევები თუ ხედვები;
2. მეცნიერული ცოდნა არაა ხელმისაწვდომი და დაფასებული, სხვადასხვა კუთხით;
3. სამეცნიერო საზოგადოება ბევრი თვალსაზრისით ძალიან ჩაკეტილი სივრცეა;
4. არ ხდება მეცნიერული მიდგომა მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტისას.

შემდეგი კითხვა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შედარებით უფრო დაკონკრეტებულ სახეს იღებს და ასე ჟღერს _ „თქვენი აზრით, უნდა იღებდეს თითეული მოქალაქე მეცნიერული ცნობიერების შესახებ რაიმე ტიპის განათლებას?“

აღნიშნულ კითხვაზე რესპოდენტთა საერთო მაჩვენებელის _ 67,7% დადებით პასუხს სცემს; კითხვარის საშუალებით გამოკითხულ რესპოდენტთა 27,4% _ უარყოფით პასუხს აფიქსირებს; ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა გამოკითხულ რესპოდენტთა _ 4,9%-მა.

თუ აღნიშნულ კითხვაზე მიღებულ პასუხებს სქესთაშორისი განსხვავების კუთხით გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ მამრობითი სქესის რესპოდენტთა _ 58,8 % თვლის, რომ თითეული მოქალაქე უნდა იღებდეს მეცნიერული ცნობიერების შესახებ რაიმე ტიპის განათლებას; აღნიშნულ საკითხზე უარყოფით შედეგს აფიქსირებს მამრობითი სქესის რესპოდენტთა _ 29,4%; ხოლო პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა _ 11,8%-მა.

რაც შეეხება მდედრობითი სქესის რესპოდენტთა მიერ მიღებულ მონაცემთა რაოდენობრივ ანალიზს, აქ დადებით შედეგს _ 71,1% აფიქსირებს; უარყოფით შედეგს რესპოდენტთა _ 26,7%; ხოლო აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს გამოკითხულ ქალბატონთა _ 2,2%-ს.

შემდეგი კითხვა _ „თქვენი აზრით, უნდა იღებდეს თითეული მოქალაქე მეცნიერული ცნობიერების შესახებ განათლებას ფორმალური განათლების ფარგლებში?“ _ კიდევ უფრო კონკრეტულია და მასზე პასუხების პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

რესპოდენტთა საერთო მაჩვენებელის 73,8% აღნიშნულ კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა და თვლის, რომ უნდა იღებდეს თითეული მოქალაქე მეცნიერული ცნობიერების შესახებ განათლებას ფორმალური განათლების ფარგლებში.

თუ პასუხებს სქესთაშორისი განსხვავების მიხედვით დავყოფთ, აღმოჩნდება, რომ აღნიშნულ კვლევაში მონაწილე მამრობითი სქესის რესპოდენტთა _ 52,9%-იც იგივე აზრზეა.

რაც შეეხება ქალბატონებს, რომლებიც აღნიშნული კვლევის ფარგლებში კითხვარის საშუალებით დადებით პასუხებს აფიქსირებდნენ, მათი პროცენტული მაჩვენებელი აღნიშნულ საკითხზე _ 48,9%-ს შეადგენს.

რაც შეეხება რესპოდენტთა პასუხს კითხვაზე, მათი აზრით, მოქალაქე რა ფორმით უნდა იღებდეს განათლებას მეცნიერული ცნობიერების შესახებ, მისი ამაღლების მიზნით სკოლამდელ საფეხურზე _ მამაკაცი რესპოდენტები აქ გამოყოფენ ასაკობრივი მახასიათებლების გათვალისწინების მნიშვნელობას; ხოლო მდედრობითი სქესის რესპოდენტები ამ შემთხვევაში ამ მიმართულებით არანაირ რეაგირებას საჭიროდ არ თვლიან.

რაც შეეხება შეკითხვას, თუ რა ფორმით უნდა იღებდეს ჩვენი საზოგადოება მეცნიერული ცნობიერების შესახებ ფორმალურ განათლებას საშუალო საფეხურზე, მამრობითი სქესის რესპოდენტები თვლიდნენ, რომ

1. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ყველა შესაძლო ფორმით, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; 2. უნდა ხდებოდეს მეცნიერულ ცნობიერებასთან დაკავშირებული გარკვეული ცოდნის მიწოდება-გამომუშავება.

ამასთან, მდედრობითი სქესის რესპოდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ

1. იგი უნდა ხორციელდებოდეს სხვა საგნებთან ინტეგრირებით;
2. ცალკე საგნის ფარგლებში;
3. მასალა ბავშვებისთვის უნდა იყოს გასაგები, დაძლევადი და საინტერესო;
4. სხვადასხვა წრეობრივი მუშაობის ფარგლებში;
5. მაღალ კლასებში ცალკე საგნად, სადაც მეცნიერული მასალის მოძიების, დამუშავების, მეცნიერებისადმი ინტერესის, პატივისცემის, შესაბამისი

აზროვნების განვითარება უნდა ხდებოდეს;

6. საჭიროა არსებობდეს სპეციფიკური სახელმძღვანელოები;
7. მნიშვნელოვანია ინტერნეტ რესურსების გამოყენებაც.

შემდეგ კითხვაზე, თუ რა ფორმით უნდა იღებდეს ჩვენი საზოგადოება მეცნიერული ცნობიერების შესახებ ფორმალურ განათლებას უმაღლეს საფეხურზე, მამრობითი სქესის რესპოდენტები აღნიშნავდნენ, რომ ეს უნდა მოხდეს ამ საფეხურზე მიღებული, მართებული საშუალებებით.

რაც შეეხება ქალბატონთა მოსაზრებებს, ზოგიერთი მათგანი საუბრობს სახელმძღვანელოების, სპეციალური პროგრამის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, ზოგიც კი ცალკე, სალექციო სავალდებულო კურსად გამოყენების აუცილებლობაზე.

რაც შეეხება მეცნიერული ცნობიერების ამაღლების საკითხს უმაღლესი განათლების მიღების შემდგომ, აქ ორივე სქესის რესპოდენტები თვლიან, რომ ეს უნდა მოხდეს სხვადასხვა ლიტერატურული წყაროების, ასევე ტრენინგ-კურსების მეშვეობით, სადაც მამაკაც რესპოდენტთა აზრით, თეორია და პრაქტიკა კარგად უნდა იყოს ერთმანეთთან შეზავებული.

რაც შეეხება მდედრობითი სქესის რესპოდენტებს, ისინი თვლიან, რომ შესაბამისი ტრენინგები უნდა ტარდებოდეს სამუშაო ადგილის, დამსაქმებელი ორგანიზაციის ეგიდითაც.

რაც შეეხება კითხვას - ,,თქვენი აზრით, უნდა იღებდეს თითეული მოქალაქე მეცნიერული ცნობიერების შესახებ განათლებას არაფორმალური განათლების ფარგლებში?", აქ პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

დადებითი პასუხები დააფიქსირა რესპოდენტთა საერთო მაჩვენებლის ფარგლებში - 76,2 % - მა. მამრობითი სქესის რესპოდენტებიდან - 64,7 % - მა; ხოლმა რაც შეეხება მდედრობითი სქესის რესპოდენტებს, მათი პროცენტული მაჩვენებელი - 46,7 % - ის ტოლია.

შეკითხვაზე თუ რა ფორმით წარმოუდგენიათ რესპოდენტებს ფილოსოფიური ცნობიერების ამაღლება არაფორმალური განათლების ფარგლებში, აქ ორივე სქესის წარმომადგენლების უმრავლესობა მიუთითებს იმაზე, რომ:

1. ეს უნდა განხორციელდეს ნებისმიერი მისაღები და იმ სიტუაციისთვის მოსახერხებელი ხერხით; 2. მასმედიის საშუალებით; 3. შესაბამისი კუთხით სამაგალითო ადამიანებთან სხვადასხვა სახის ინტენსიური ურთიერთობებით; 4. სხვადასხვა არასასწავლო (სახელმძღვანელო) ლიტერატურის კითხვის გზით.

ხოლო ქალბატონები დამატებით გამოყოფენ ოჯახის, საზოგადოების, ასევე, მეცნიერების პრაქტიკაში გამოყენებაში გარკვევის მნიშვნელობას, შესაბამისი აზროვნებითა და უნარებით შეიარაღებას.

კითხვაზე _ „მოუტანს რაიმე ტიპის სარგებელს ფორმალური ან არაფორმალური განათლების გზით მეცნიერული ცნობიერების ამაღლება აღ-

ნიშნულ პიროვნებას?“, აქ რესპოდენტთა დადებით პასუხთა საერთო მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი პროცენტული წილით _ 54,7%-ითაა წარმოდგენილი; უარყოფითი შედეგი დააფიქსირა გაცილებით მცირე ნაწილმა _ 8,1%; კითხვაზე პასუხის გაცემისაგან კი თავი შეიკავა გამოკითხული რესპოდენტების _ 37,2 %.

მამრობითი და მდედრობითი სქესის რესპოდენტთა პასუხებს თუ ცალ-ცალკე გავაანალიზებთ რაოდენობრივი კვლევის ჭრილში, დავინახავთ, რომ მამრობითი სქესის რესპოდენტთა 64,7%-ს მიაჩნია, რომ ფორმალური ან არაფორმალური განათლების გზით მეცნიერული ცნობიერების ამაღლება აღნიშნულ პიროვნებას მოუტანს სარგებელს; აღნიშნულ საკითხზე უარყოფით შედეგს აფიქსირებს _ 8,1%; ხოლო პასუხის გაცემა უჭირს _ 23,5%-ს.

რაც შეეხება აღნიშნულ საკითხზე ქალბატონების შეფასებას, აქ დადებითი პასუხი დააფიქსირა მანდილოსან რესპოდენტთა _ 82,2%-მა; უარყოფითი შესაბამისად გაცილებით ცოტამ _ 6,7%-მა; თავი კი შეიკავა _ 11,1%-მა.

კითხვაზე, თუ რა სარგებელს მოუტანს ფორმალური ან არაფორმალური განათლების გზით მეცნიერული ცნობიერების ამაღლება პიროვნებას, აქ ორივე სქესის რესპოდენტებმა დააფიქსირა შემდეგი საერთო პასუხები:

1. შესაძლებელი გახდება ყველა საკითხის უფრო ადექვატური აღქმა და მასზე რეაგირება;
2. დაეხმარება თვითგანვითარებაში.

ამასთან მამრობითი სქესის რესპოდენტებმა, ასევე, გამოთქვეს შემდეგი მოსაზრებები:

1. ეს დაეხმარება მოქალაქეს იყოს თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში;
2. ეს ხელს შეუწყობს მომავალი თაობის განვითარებას.

რაც შეეხება მდედრობითი სქესის რესპოდენტებს, ისინი დამატებით აღნიშნავენ, რომ ამის შედეგად: 1. პიროვნება მეტად განვითარდება მეცნიერული კუთხით; 2. ექნება თავისი დომოუკიდებელი აზრი ყველაფერზე.

შემდეგი კითხვა ამჯერად არა პიროვნებას, არამედ მთლიანად საზოგადოების სარგებელს შეეხებოდა და ასე ჟღერდა _ „მოუტანს რაიმე ტიპის სარგებელს ფორმალური ან არაფორმალური განათლების გზით მეცნიერული ცნობიერების ამაღლება საზოგადოებას, რომელშიც ის ცხოვრობს?”

აღნიშნულ კითხვაზე პასუხების ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი დადებით პასუხს ერგო და იგი რესპოდენტთა საერთო მაჩვენებლის 69,4%-მა დააფიქსირა; კითხვას უარყოფითი პასუხი გასცა _ 12,9%-მა; ხოლი დანარჩენმა - 17,7 % -მა თავი შეიკავა.

პასუხებს თუ გავუკეთებთ დიფერენციაციას სქესის მიხედვით, მამაკაცების _ 53% მიიჩნევს, რომ ეს მართლაც მოუტანს სარგებელს საზოგადოებას; აღნიშნულ

პასუხს ეწინააღმდეგება მამრობითი სქესის რესპოდენტთა _ 17,6%; პასუხის გაცემა კი _ 29,4%-ს უჭირს.

რაც შეეხება ქალბატონებს _ აქ დადებითი პროცენტი დააფიქსირა _ მდედ-რობითი სქესის რესპოდენტთა _ 75,6%-მა; უარყოფითი _ 11,1%-მა; ხოლო თავი კი _ 13,3%-მა შეიკავა.

კითხვაზე, თუ რა სარგებელს მოუტანს ფორმალური ან არაფორმალური განათლების გზით მეცნიერული ცნობიერების ამაღლება საზოგადოებას, აქ ორივე სქესის რესპოდენტების უმრავლესობამ დააფიქსირა შემდეგი პასუხები:

1. მივიღებთ შემწყნარებელ და საქმიან საზოგადოებას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის განვითარებას;
2. თანამედროვე, პროგრესულ საზოგადოებად ჩამოყალიბდება.

მამრობითი სქესის რესპოდენტები ასევე დამატებით აღნიშნავენ, რომ:

1. მივიღებთ პროგრესულ საზოგადოებას;
2. საზოგადოების წევრებს შორის იქნება ჰარმონიული ურთიერთობა.

ამასთან მდედრობითი სქესის რესპოდენტებში, დაფიქსირდა მოსაზრებები, რომ მეცნიერული ცნობიერების ამაღლება საზოგადოებას მოუტანს:

1. მეტ განათლებას;
2. ასეთი საზოგადოება დაინტერესდება მეცნიერული განვითარებით;
3. მოიტანს ტექნოლოგიების ამაღლებასა და ახალ გამოგონებებს;
4. საზოგადოება გახდება საინტერესო, სასიამოვნო და მებრძოლი;
5. განვითარდება მეცნიერება;
6. დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის ხარისხი გაიზრდება.

კვლევის შედეგების გაანალიზებისას დადგინდა, რომ:

საზოგადოების უმრავლესობას მიუღია ინფორმაცია საზოგადოებრივი ცნობიერების თუნდაც ერთი ფორმის შესახებ და მათგან ლიდერობს პოლი-ტიკური ცნობიერება.

მეცნიერულ ცნობიერებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი სურათი მივიღეთ, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ:

არც ისე დიდია იმ რესპოდენტთა პროცენტული მაჩვენებელი (51,6%), რომელიც თვლის, რომ თითეული მოქალაქე უნდა ერკვეოდეს მეცნიერული ცნობიერების არსში. ამას თუ დავუმატებთ რესპოდენტთა 6,5%-ს, რომლებსაც გაუჭირდათ კითხვაზე პასუხის გაცემა, მიღებული მონაცემი საკმაოდ დასაფიქრებლად უნდა მივიჩნიოთ. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ კუთხით მამრობითი სქესის რესპოდენტთა მაჩვენებელი, რომელიც მხოლოდ 35,3%-ით შემოიფარგლება.

რაც შეეხება მეცნიერულ ცნობიერებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, აქ ორივე სქესის რესპოდენტებს შორის გამოითქვა საერთო აზრი იმის შესახებ, რომ პრობლემას წარმოადგენს მეცნიერული ცნობიერების დაბალი დონე და

ზოგადად მეცნიერების კრიზისი და რომ, ადამიანები ვერ ხედავენ მეცნიერებასა და პრაქტიკულ/მატერიალურ სარგებელს შორის კავშირს, რაც საზიანოა ქვეყნისთვის.

გამოკითხულ რესპოდენტთა 67,7% -ის აზრით, თითეული მოქალაქე უნდა იღებდეს რაიმე ტიპის განათლებას მეცნიერული ცნობიერების შესახებს _ მათგან 73,8 % თვლის, რომ ეს უნდა მოხდეს ფორმალური განათლების, ხოლო 76,2%-ს მნიშვნელოვნად მიაჩნია არაფორმალური განათლება, რაც უთუოდ მეტყველებს როგორც მეცნიერული ცნობიერების, ასევე ფორმალური და არაფორმალური განათლებისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭებაზე რესპოდენტთა მხრიდან, მეცნიერული ცნობიერების აღმასვლის საქმეში.

ამასთან, შეკითხვაზე, თუ რა ფორმით, რა საშუალებებით უნდა იღებ-დეს მოქალაქე მეცნიერული ცნობიერების შესახებ რაიმე ტიპის განათ-ლებას მიღებული მწირი, ზოგადი ან არაერთგვაროვანი პასუხები (ცალკე საგნად, სხვა საგანთან ინტეგრირებულად, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით) მიუთითებს მეტ საჭიროებაზე არსებული ბუნდოვანების კონკრეტულ მეცნიერულად დასაბუთებულ ნაბიჯებად ჩამოყალიბების.

ის გარემოება, რომ არაფორმალური განათლების გამოყენებაში რესპო-დენტები ხედავენ ამ საკითხებში გარკვეულ/სამაგალითო ადამიანებისა და მასმედიის ჩართულობის საჭიროებას, ქალბატონები კი დამატებით აღ-ნიშნავენ მეცნიერების პრაქტიკული სარგებლიანობის კუთხის მეტი ცოდ-ნისა და უნარების შეძენის აუცილებლობის თაობაზე, მრავალი მნიშვნელო-ვანი, ნოვატორული პროექტის ჩამოყალიბება-განხორციელების საჭიროებაზე ნათლად მიუთითებს.

არაერთგვაროვანი და კვლავ წინა კითხვებთან ცოტათი შეუსაბამო შე-დეგებია იმის თაობაზე, მოუტანს თუ არა სარგებელს მეცნიერული ცნობიერების ამაღლება პიროვნებას (კი _ 54,7%) ან საზოგადოებას (კი _ 69,4%), დიდწილად შეიძლება მეტყველებდეს სწორედ მეცნიერული ცნობიერების ზემოაღნიშნულ არადამაკმაყოფილებელ განვითარებაზე და ამ ელემენტის ცნობიერების ზოგადად სხვა სფეროებთან თუ ფორმებთან ერთიან სისტემაში ხედვის დეფიციტზე, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია თითეული მოქალაქისთვის, როგორც საზოგადოებისა თუ ქვეყნის განუყოფელი, ფასდაუდებელი ელემენტისთვის.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალსახად ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მეცნიერული ცნობიერების ამაღლებას პიროვნებისა და საზოგადოებისთვის სარგებლიანობის კუთხით, რესპოდენტები (ისევე, როგორც მეცნიერება) უყურებენ როგორც პროგრესის, თანამედროვე გამოწვევებისათვის მზაობისა და საზოგადოებრივი ჰარმონიის მნიშვნელოვან პირობას, რაც არ გვაძლევს მოდუ-ნებისა და ამ სფეროს უყურადღებოდ მიტოვების უფლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კალანდაძე დ. ,,რა არის საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება". ფილოსოფია 1961 წ.
2. http://eurasialand.ru/txt/ilyin/62.htm- უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19.02.2019
3. http://lects.ru/phil/39_04.php უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.02.2019
4. https://studfilosed.ru/otvety-k-vstupitelnomu-ekzamenu-po-filosofii/153-obshhestvennoe-soznanie-tipy-urovni-formy.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 08.03.2019 წ.
5. http://poisk-istini.com/literatura/filosofiya-konspekty-lekciy-bushuev/formi-obshestvennogo-soznaniya უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.02.2019

Public Opinion on Some Issues of Scientific Consciousness (Results of Social Research)

Lika Arveladze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article covers social consciousness as a spiritual expression of human existence in imaginations, ideas and beliefs; geographical, material and other factors affecting its formation and development. The authors describes forms of social consciousness, functions and differentiation criteria of those forms. The article also shows whether respondents are aware of any form of social consciousness and from which source they found out about them. Subsequently, the author reviews the results of researching of one of the forms of social consciousness – political consciousness in the aspect of quantitative and qualitative analysis.

The research results show that 61.8% of respondents have received information about at least one form of social consciousness. Although, political consciousness is leading by 27.4%. Most of the respondents believe that every citizen should be able to understand the essence of scientific consciousness, and be educated in this aspect through formal and informal education. Variety of answers were obtained as to what resources should be used to achieve that. Majority of the respondents believed that raising awareness in this way would be beneficial for both an individual and an entire society.

The article also covers some of the current challenges that the society faces in terms of scientific consciousness.

ჩინური და ქართული ქალაქში მცხოვრები ოჯახების ტრანსფორმაცია

ალექსანდრა ლატარია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჩინური და ქართული ოჯახი, სტრუქტურა, ოჯახის როგორც სოციალური ინსტიტუტის დახასიათება, ოჯახების ქალაქად ცხოვრება, მოსახლეობის დემოგრაფია, ოჯახის ტიპები, ქორწინება და შვილების აღზრდა აქტუალურია 21-ე საუკუნეში.

მნიშნელოვანია „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივა, რომელსაც საქართველომ

როგორც ჩინეთის პარტნიორმა, აქტიურად დაუჭირა მხარი , ჩაერთო მასში და მუდმივად წინა რიგებშია. საქართველოსთვის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივის პროექტში ჩართვას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან გაძლიერდება სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობა.

საქართველო- ჩინეთს შორის განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობამ ხელი შეუწყო ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთგაგების გაზრდას და ჩინელ და ქართველ ერებს შორის ურთიერთობის უფრო გაღრმავებას.

ამ თემის აქტუალურობა განისაზღვრება რამდენიმე ფაქტორებით: პირველ რიგში, ინფორმაცია ჩინური ოჯახის შესახებ მწირი სახით მოეპოვება ქართველ მკითხველს, მეორე რიგში, ერთი სარტყელი, ერთი გზის ინიციატივის ფარგლებში, საქართველოსა და ჩინეთს შორის ურთიერთობების უფრო მჭიდროდ ჩამოყალიბება ხდება, შესაბამისად უფრო საინტერესო ხდება თანამედროვე ქართული და ჩინური ოჯახების კვლევა, მათი შედარება და ტრანსფორმაცია.

ცნობილი კონფუცის გამონათქვამია: „ვინც ვერ ასწავლის საკუთარ ოჯახს, ის ვერ ასწავლის სხვას.“

საკვანძო სიტყვები: ტრანსფორმაცია, კონფუციანიზმი, დემოგრაფია, მიგრაცია

შესავალი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და მოწინავე ქვეყანაა, რომელიც დღითი-დღე სულ უფრო იმყარებს პოზიციებს.

დასავლეთისგან განსხვავებით, ჩინეთში ოჯახს აქვს ძალიან დიდი დატ-ვირთვა, ის უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ინდივიდი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მჭიდრო ურთიერთობები აქვს როგორც ევროპულ, ასევე აზიურ ქვეყნებთან და ეს ურთიერთობები დღითი დღე უფრო და უფრო ღრმავდება და ვითარდება. დღევანდელი გლობალიზაციის პერიოდში კი ამ მრავალმხრივმა ურთიერთობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩინური ოჯახის ცვლილებაზე.

ქართული ოჯახი წარმოადგენს კავკასიური ოჯახის ტიპს. დღეს ქართული საზოგადოება უფრო დემოკრატიულია, მაგრამ ოჯახური ურთიერთობები კვლავ პატრიარქალური და ტრადიციული წარმოდგენებით რეგულირდება. თანამედროვე საქართველოში ოჯახმა ტრანსფორმაცია განიცადა, თუმცა მაინც ცდილობენ ტრადიციების შენარჩუნებას.

ძირითადი ნაწილი

ჩინური და ქართული ქალაქში მცხოვრები ოჯახების კვლევა არის ინტერდისციპლინარული მიმართულება, რომელიც თავიხ მხრივ მოიცავს ისტორიის, სოციოლოგიის, ეთნოგრაფიის, იურისპრუდენციის, ეკონომიკის, მედიცინისა და ა.შ კვლევას.

მსოფლიოს სხვადასხვა მკვლევარები და მეცნიერები ინტენსიურად მუშაობენ ამ საკითხზე. ტრადიციული ჩინური ოჯახი კარგად არის შესწავლილი და ბევრი ნაშრომია ამ თემასთან დაკავშირებით.

ჩინელი მოსახლეობის რაოდენობა იზრდება ყოველწლიურად როგორც სოფლად, ასევე ქალაქად. 2015 წელთან შედარებით, ჩინეთის მოსახლოება გაიზარდა 8.09 მილიონი ადამიანით და შეადგინა 1,382 მილიარდი.

რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა ამ მხრივ საქართველოში. 2017 წელს დაბადებულთა რიცხვმა 53 293 შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით ნაკლებია. 2016 წელს ცოცხლად დაბადებულთა რიცხვმა 56 569 შეადგინა, რაც 2015 წელთან შედარებით 4,5 პროცენტით ნაკლებია.

ოჯახის ტიპები - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქალაქად მცხოვრები ოჯახები და ოჯახური ინსტიტუტები განიცდიან ევოლუციას და უყალიბდებათ თავიანთი სპეციფიკური ნიშნები. ოჯახური ინსტიტუტები ეყრდნობა კონფუციანიზმის მორალს.

ჩინეთში ცნობილი გამონათქვამია: „ჯერ წესრიგში მოიყვანე შენი ოჯახი და მერე მართე შენი ქვეყანა“[1].

გლობალიზაციამ და საბაზრო ეკონომიკურმა რეფორმებმა ძალიან შეცვალა ჩინური ოჯახების ტიპები და სტრუქტურა, განსაკუთრებით კი ქალაქში მცხოვრები ოჯახების. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა განქორწინებაც და მეორედ დაქორწინებაც. „ ღიაობის“ პოლიტიკისა და სხვადასხვა რეფორმების შემდეგ დაიწყო ჩინელების შიდა მიგრაცია. ახალგაზრდები დაიწყეს დიდ ქალაქებში

[1] http://www.docin.com/touch_new/preview_new.do?id=1107855263

გადასვლა, მილიონობით ახალგაზრდა საერთოდ გადავიდა საზღვარგარეთ სასწავლებლად.

საინტერესოა ფეი სიათონგის (Fei Xiaotong) მოსაზრებაც, რომელიც ყოფს ჩინურ ოჯახებს გაფართოებულ, გაერთიანებულ, არასრულ და ნუკლეანურ ოჯახებად. ამ ტიპის ოჯახებიდან, გაფართოებულ ოჯახს მიიჩნევს ყველაზე საბაზისო სოციალურ ჯგუფს. [1]

განსხვავებულია სიტუაცია თანამედროვე საქართველოში. აქ ხშირია ქალების შრომითი მიგრაცია, ის ხდება ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, რის გამოც მას უწევს ოჯახისგან შორს ყოფნა , ამით კი საზოგადოება კარგავს დიდ სეგმენტს, რომელთა ინტერესები არაა ასახული ახალ ინსტიტუტებში, ასევე იკარგება პროფესიონალები, განათლებული კადრები.

დასკვნა

თანამედროვე ოჯახებს როგორც საქართველოში, ასევე ჩინეთში შეეცვალათ დამოკიდებულება განქორწინების მიმართ. ქალაქებში შეიცვალა დამოკიდებულება ბავშვის სქესის მიმართ, აქ უკვე აღარ არჩევენ შვილებს სქესის მიხედვით. [2]

ქორწინების ინსტიტუტი უფრო თავისუფალი გახდა. ქორწინება ჩინეთის ქალაქებში უკვე აღარ არის დამოკიდებული მშობლების ნება სურვილზე.

საქართველოში დღეს ახალგაზრდები ქორწინდებიან თავიანთი სურვილით. მოშლილია მზითევის მომზადება ქალისთვის და სტატუსური მდგომარეობით მეორე ნახევრის შერჩევა.

ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება ინტერესი ჩინური ოჯახის მიმართ, რასაც მოწმობს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული უამრავი კვლევა. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატება ეს ინტერესი ჩინური ოჯახის კვლევაში.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. Fei Xiaotong, Изменение китайской семейной структуры / Tianjin Social Sciences, 1982.
2. «中国古代家庭结构社会为何如此稳固» http://www.docin.com/touch_new/preview_new.do?id=1107855263
3. «全国妇联儿童工作部第二次全国家庭教育现状调查报告» http://www.doc88.com/p-7794591653654.html

[1] Fei Xiaotong, Изменение китайской семейной структуры / Tianjin Social Sciences, 1982.
[2] Попов, Арсений Геннадьевич, Трансформация традиционной городской семьи в Китае , 2005

4. Васильев Л.С., "Китай в двадцатом веке: трансформация, модернизация, вестернизация". Тезисы докладов двадцать четвертой научной конференции "Общество и государство в Китае". М 1993.
5. Герасимова И.А. Структура семьи. М., 1976.

Transformation of families living in Chinese and Georgian cities

Aleksandra Lataria, PhD student
Georgian Technical University

Summary

Chinese and Georgian families, structure, family as a social institution, population demography, family types, marriage and to raise children are actual and relevant in the 21st century.

"One belt, one road" initiative Georgia, as a traditional Chinese partner, has actively supported, engaged in it. Involvement of "one belt of one road" initiative into Georgia is great importance of Georgia, our country cooperate with China in various fields.

Cooperation in the field of education and culture between Georgia and China helped to increase mutual understanding among the peoples. To deep relations between Chinese and Georgian people.

Actuality of this topic is determined by several factors: first of all, Georgian readers have leak of information about the Chinese families, secondly, within one belt and one rode initiative, relationship between Georgia and China is getting closer year by year.

“It is not possible for one to teach others who cannot teach his own family “– famous Confucius quote.

მედიცინა

MEDICINE

ფსიქოლოგიური დარღვევებით გამოწვეული გულის იშემიური დაავადებები

ეთერ ვარშანიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სამედიცინო პერსონალის და განსაკუთრებით ექიმების შრომა განეკუთ-ვნება რთულ, დაძაბულ, ფსიქოემოციურ სფეროს, სადაც წლების მანძილზე ხდება ნეგატიური ემოციების დაგროვება. ფსიქოლოგიური რისკის ჯგუფში შედიან ის ადამიანები განსაკუთრებით, რომლებსაც უკვე აქვთ „გენეტიკური განწყობა“ აღნიშნული დაავადებების მიმართ, რომლებიც ითავისებენ სხვა ადამიანების ტკივილს, ტანჯვას, აქვთ სამუშაოს შესრულების მაღალი ტემპი, მაღალი პასუხისმგებლობა, ავადმყოფებთან და მათ ნათესავებთან მუდმივი კონტაქტი, დაძაბული სამუშაო გრაფიკი, ღამის მორიგეობა, დიდი მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობა, რაც ექსტრემალურ პირობებში მაღალ შრომისუნარიანობას და გამძლეობას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: გულის იშემიური დაავადება.სტრესი. ფსიქოსომატიკა. ნერვულ–ემოციური გადაძაბვა.

შესავალი

გულ–სისხლძარღვთა სისტემის დაავდებებს ერთ–ერთი პირველი ადგილი უჭირავს მოსახლეობის ინვალიდობაში. მათ შორის ყველაზე გავრცე-ლებულია გულის იშემიური დაავადება (გიდ), ჰიპერტონული დაავადება და ცერებრალური ათეროსკლეროზი.

სტატისტიკური მონაცემებით გულის იშემიური დაავდებით დაავადე-

ბულია მოსახლეობის 12%, უფრო მეტად 45–59 წლის მამაკაცები; ბოლო წლებში აღინიშნება გიდ-დაავადებულთა რიცხვის გაახალგაზრდავების ტენდენცია.

მკვლევარების მიერ დადასტურებულია, რომ გულის იშემიური დაავადებებს (პაციენტების 33-80%-ში), ხშირად წინ უსწრებს ისეთი ემოციური მოვლენები როგორიცაა შფოთვა, დათრგუნვა, დაავადებაზე ფიქსაცია, რაც დაკავშირებულია სიკვდილის შიშთან; ავადმყოფები, რომლებმაც გადაიტანეს მიოკარდიუმის ინფარქტი, აღენიშნებათ საერთო სისუსტე, ინტენსიური ტკივილები მკერდის ძვლის უკან, რის შემდეგაც საჭირო ხდება საწრაფო ჰოსპიტალიზაცია.

ძირითადი ნაწილი

გული და სისხლძარღვოვანი სისტემა მონაწილეობას ღებულობს ორგანიზმის სასიცოცხლო მოქმედებაში; სისხლძარღვების მდგომარეობა განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების სახეს, მის განწყობას და მდგომარეობას პროფესიონალურ და ოჯახურ წრეში. გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობაში დარღვევები დაკავშირებულია შიშთან, ბრაზთან, მოწყენილობასთან და სხვა ნეგატიურ ემოციებთან.

ფსიქოსომატური კომპონენტი უპირველესად დამახასიათებელია შემდეგი დაავადებებისათვის: ესენციური-არტერიული ჰიპერტონია, გულის იშემიური დაავადება, გულის რითმის მოშლა, კარდიო ნევროზები. ესენციური ჰიპერტონია ეკუთვნს ყველაზე გავრცელებულ დაავდებას ინდუსტრიული ქვეყნებში, სადაც ჰიპერტონიკებს ასე აღწერენ: ისინი არიან შრომისუნარიანები, კონტაქტური, აქვთ მოვალეობის გრძნობა, ამიტომ მათ აქვთ შინაგანი და გარეგანი კონფლიქტები.

ფსიქოსომატური მედიცინის ავტორი - ფრანც ალექსანდერი, ფსიქოსომატური დაავდებების ერთ–ერთ მიზეზად, ოჯახში სითბოს დეფიციტს და ძლიერ ემოციურ დატვირთვებს ასახელებდა.[1]

ძლიერ ემოციურ დატვირთვებს, აფექტებს, მოყვება ნევროტული მდგომარეობები. უდაოა, რომ ნებისმიერ ემოციურ მდგომარეობას, განსაკუთრებით ხანგრძლივ უარყოფით ემოციებს, თან ახლავს ორგანიზმის ფუნქციური სისტემის ცვლილება; უპირველეს ყოვლისა ეს ხდება გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრიდან, რაშიც ორგანიზმის ფიზიოლოგიური სისტემა ავტომატიურად, ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად ერთვება, როგორც უპირობო რეფლექსი.

ზრდასრული ადამიანის გული მშვიდ მდგომარეობაში წუთში 70–ჯერ იკუმშება, ამდენჯერვე აკეთებს შესვენებას (სისტოლა–დიასტოლა); შესაბამისად სისხლძარღვებიც იკუმშება და ფართოვდება 70–ჯერ, რათა სისხლის გადასროლა უზრუნველყოს სისხლის მიმოქცევის სისტემაში. ეს ხდება ერთი

[1]Франц Александер «Психосоматическая медицина. Принципы и применение»].

საათის განმავლობაში 4200 ჯერ, 24–ხისაათის განმავლობაში 100 800–ჯერ, წელიწადში, დაახლოებით 37 მილიონჯერ. ამასთან, კუნთების დატვირთვის, სხეულის მაღალი ტემპერატურის შემთხვევაშიც, შეკუმშვათა რიცხვი იზრდება. ბევრი დადებითი ან უარყოფითი ემოცია, აჩქარებს გულის მოქმედებას წუთის განმავლობაში 100–200–ჯერ; ანუ, რაც უფრო ხშირია ემოციური გადატვირთვა, რაც უფრო ხანგრძლივია, მით უფრო სწრაფია გულ–სისხლძარღვთა სისტემის „მოძველება“ (ცვეთა), მით უფრო სწრაფად იქმნება საფუძველი სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული გადაგვარებისათვის, განსაკუთრებით თუ აღნიშნულ პათოლოგიურ პროცესებს თან ახლავს არტერიული წნევის მომატება.[1]

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები მსოფლიოში სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზია, ანუ, ის არის ყოველწლიურად ჩვიდმეტი მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზი. ამ სიკვდილიანობის თითქმის 80 % ხდება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

ევროპის რეგიონის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილიანობის მიზეზი შეადენს 4,3 მილიონს (სიკვდილიანობის 48%) და 2,0 მილიონს ევროკავშირისა (42%). ყოველწლიურად ევროპაში 65 წელზე ზემოთ 800 000 ადამიანი ირუპება გულ-სისხლძარღვთა დაავადების გამო, ევროკავშირის რეგიონში 230 000 ადამიანი.[2]

ბიოლოგიური ფაქტორები დაკავშირებულია ასაკთან, სქესთან, ოჯახის ისტორიასთან და მემკვიდრეობასთან (ე.წ. „გენეტიკურ განწყობასთან“); ქოლისტერინის მაღალი დონე (ჰიპერჰოლისტერინემია). **გარემო ფაქტორები:** მოწევა, წყლისა და ჰაერის დაბინძურება, ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედება, და - მტვერი. **ქცევით ფაქტორებს მიეკუთვნება** - ნიკოტინის ან/და ნარკოტიკების მოხმარება, უმოქმედობა, ცუდი კვება, დიაბეტი, ჰიპერტენზია, და სიმსუქნე და სხვ.

ფსიქოლოგიურირისკისფაქტორები:ისფაქტორები,რომელიცშფოთვისგან, დეპრესისგან, აღშფოთებისგან და აგრესიისგან შედგება; მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ადამიანის ფსიქო-ტიპს; მწუხარება და სტრესი კი გადამწყვეტ როლს ასრულებს გულის დაავადებების გამოწვევასა და პროგრესირებაში.

აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით ეხება სამედიცინო სამყაროში მომუშავე პერსონალს - ექიმების ფსიქოემოციურ სფეროს, სადაც წლების მანძილზე ხდება ნეგატიური ემოციების დაგროვება. ფსიქოლოგიური რისკის ჯგუფში შედიან ის ადამიანები რომლებსაც უკვე აქვთ **„გენეტიკური განწყობა“** აღნიშნული დაავადებების მიმართ, რომლებიც ითავისებენ სხვა ადამიანების ტკივილს, ტანჯვას, აქვთ სამუშაოს შესრულების მაღალი ტემპი,

[1] *БОЛЕЗНИ СЕРДЦА - Heart-Disease.ru - 2007..* Физиология сердца

[2] Статистика сердечно-сосудистых заболеваний в Европе Источник: https://medbe.ru/materials/obshchee/statistika-serdechno-sosudistykh-zabolevaniy-v-evrope/© medbe.ru

მაღალი პასუხისმგებლობა, ავადმყოფებთან და მათ ნათესავებთან მუდმივი კონტაქტი, დაძაბული სამუშაო გრაფიკი, ღამის მორიგეობა, დიდი მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობა, რაც ექსტრემალურ პირობებში მაღალ შრომისუნარიანობას და გამძლეობას მოითხოვს.

პროფესული სტრესი არის მრავალწახნაგოვანი მოვლენა, რომელიც ვლინდება ორგანიზმის ფსიქოლოგიურ-სომატური რეაქციებით. ზოგიერთი სამუშაო უფრო მეტად დაძაბული და სტრესულია, ვიდრე სხვები. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღება, მექანიზმებისა თუ მასალების მუდმივი მონიტორინგი, ინფორმაციის გაცვლის განმეორებადობა, არასასიამოვნო ფიზიკური მდგომარეობები, არასტრუქტურირებული დავალებების შესრულება და ა.შ., რაც სტრესისადმი მიდრეკილია და შეუძლია „გამორეცხოს ყველაზე მყარი ფუნდამენტიც“ კი.

საზოგადოებისათვის ნკლებად ცნობილია, რომ ექიმები გაცილებით ნაკლებს ცოცხლობენ და უფრო ხშირად ავად ხდებიან, ვიდრე სხვა პროფესიის წარმომადგენლები. აღნიშნული პრობლემის მიზეზად ითვლება - სტრესი. ასე რომ, კარდიოქირურგის საშუალო ასაკად 42 + – 7 წელი ითვლება[1]

ექიმებში თანდათანობით გროვდება ფიზიკური დაღლილობა, რომელიც არ იხსნება ხანმოკლე დასვენებით; ნელ-ნელა მატულობს დაძაბულობის შეგრძნება და შფოთიანობის რაც მთავრდება: დეპრესიით, ალკოჰოლის და ფსიქოტროპული ნივთიერებების გადამეტებული რაოდენობის მიღებით, ფობიებით, პანიკური შეტევებით და სუიციდალური მცდელობებით (აღნიშნული პრობლემები უფრო მეტი ფიქსირდება ქალბატონებში). ამასთან – ექიმები არ აღიარებენ თავიანთ პრობლემებს, არ მიმართავენ დახმარებისათვის. შესაბამისად, სტატისტიკის მიხედვით მედ–მუშაკის მხოლოდ 2% შეიძლება ჩაითვალოს ჯანმრთელად რუსეთის კვლევების მიხედვით, პროფესიულ დაავადებებეს შორის სამედიცინო პერსონალის დაავადებებს მეხუთე ადგილიუჭირავს (ამ მხრივ, ისინი წინ უსწრებენ ქიმიური წარმოების თანამშრომლებს).

ექიმები ნაკლებად უფრთხილდებიან თავიანთ ჯანმრთელობას! მიუხედავად იმისა, რომ მათ ყველაზე კარგად იციან ადამიანის ჯანმრთელობაზე ნიკოტინის მავნებლობის შესახებ, მას ექიმთა 37% მოიხმარს. სამედიცინო პერსონალის 10% ახასიათებთ დეპრესიული სინდრომი, 21% ნაწილობრივ უძილობას უჩივის, 28% აღნიშნავს ზედაპირულ ძილს, 5% - ძლიერ უძილობას, 9% დღისით ძილიანობის მომატებას. ექიმთა მხოლოდ 7% მიმართავს დახმარებისათვის ფსიქოთერაპევტს. ექიმთა 50 % აღნიშნავს სამსახურში პერიოდულ სტრესულ სიტუაციებს, 15% აღნიშნავს, რომ სტრესი სამსახურში მუდმივად აქვთ. ექიმებს შორის, გამოკითხვამ აჩვენა, რომ: „ჩემი სამსახურით მე გავიფუჭე მხედველობა“, „გამიჩნდა ოსტეოქონდროზი“, „გავიფუჭე

[1] https://vademec.ru/news/2015/05/28/sredniy_vozrast_rossiyskogo_vracha_sostavil_44_5_goda/

ჯანმრთელობა“ და ა. შ. მაგრამ მდგომარეობის გამოსწორებას ისინი არ ცდილობენ.[1]

მაგრამ როცა ექიმები „ბარიკადების მეორე მხარეს“ აღმოჩნდებიან, ისინი პაციენტების სახით ძალიან პრეტენზიულები და ეჭვიანები არიან: ამჟღავნებენ უნდობლობას და უდისციპლინობას; მათი ყველა პრობლემა კლინიკური სურათის ჩარჩოში არ თავსდება; ექიმს არ სიამოვნებს უმკურნალოს თავის კოლეგას. როგორც ერთმა ბრძენმა ქალბატონმა თქვა, „უმკურნალო შენს კოლეგას ნიშნავს დიდი სისწრაფით ქალაქში ატარო მანქანა და მგზავრის სახით წინა საჯდომზე იჯდეს პროფესიონალი მძღოლი“.

ექიმები თავისთავს თვითონ უსვამენ დიაგნოზს, გამოკვლევების გარეშე იწყებენ თვითმკურნალობას. თუ კოლეგა აკეთებს დანიშნულებას ისინი კატეგორიულად ეპყრობიან სხვის აზრს და აკრიტიკებენ. ისინი ცუდად აფასებენ დაავადების სიმპტომებს დასწყისში. მაგრამ იმის შემდეგ როდესაც ისინი აღიარებენ დაავდებას იწყებენ მათი გართულებების შესწავლას.

სამედიციცინო პერსონალის შრომა განეკუთვნება სოციალურად მნიშ-ვნელოვან, საპასუხისმგებლო და რთული მოღვაწეობის სფეროს, რომელიც დაკავშირებულია მაღალი დონის ნერვულ–ემოციურ და გონებრივ დატვირ-თვასთან. კვლევებმა აჩვენა, რომ ექიმების პროფესიული დაავადებები მიმდინარეობს შედარებით ხანგრძლივად და მძიმედ სხვა პროფესიულ დაავადებებთან შედარებით. დაავადებების მაღალი მაჩვენენბლები ფიქსირდება: ანესთეზიოლოგებს, რეანიმატოლოგებს, კარდიოლოგებს, სტომატოლოგებს, ქირურგებს, პათოლოგანატომებს და მედ– დებს შორის (მედ–დები რომლებიც მოღვაწეობენ ანესთეზიოლოგებთან, რეანიმატოლოგებთან, კარდიოლოგებთან და სტომატოლოგებთან ერთად).[2]

ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს სამედიცინო პერსონალზე მოღვაწეობის პერიოდში მრავალმხრივია, ესენია ნერვულ–ფსიქიური გადაძაბვა, ხმაური, გამოსხივება, კანცეროგენები, იძულებული ფიზიკური პოზა. ნერვული სისტემის გადაძაბვის ფაქტორს ეთმობა მეტი ყურადღება. სამედიცინო პერსონალის შრომა არასოდეს არ იყო იოლი. მაგრამ ბოლო რამოდენიმე წლების კვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნული პროფესიის წარმომადგენლებს „ხოცავს“ გულის იშემიური დაავდება, მისი შემდგომი გართულებით - მიოკარდიუმის ინფარქტი.

მ. იოხანეს ზიგრისტის კვლევების თანახმად (დიუსელდორფის უნივერ-სიტეტის სამედიცინო სოციოლოგიის პროფესორი), მაღალი პასუხისმგებლობა, პაციენთებთან ურთიერთობა, მუდმივი ფსიქოლოგიური გადაძაბვა, რაც იწვევს მომატებული ადრენალინის რაოდენობას სისხლში, მაღლდება არტერიული

[1] https://studwood.ru/1243065/bzhd/vrednye_tyazhyolye_usloviya_truda

[2] https://glavkniga.ru/situations/s503311

წნევის მაჩვენებლები; აღნიშნული პათოლოგიის სიხშირის მიხედვით ვითარდება მისი გართულება - მიოკარდიუმის ინფარქტი.

იმის გამო, რომ ექიმები უდიდესი სტრესის ქვეშ იმყოფებიან ისინი დაავადებისადმი მოწყვლადები არიან;

ჩვენ ჩავატარეთ კვლევა რომელიც მიზნად ისახავდა ხაზი გაგვესვა ფსიქოლოგიური რისკის ფაქტორებზე და მათ ზემოქმედებაზე გულის დაავადებების პროგრესირებაში.[ბათუმი. შ.რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ჰიპერტენზიისა და ჰიპერტონიის ფსიქიკური საფუძვლები“. ბათუმი - 2010.]

რესპოდენტები ღებულობდნენ მონაწილეობას კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე 2010 წელს ჩტარებულ კვლევაში. აღმოჩნდა, რომ ორმოცი რესპოდენტიდან თოთხმეტს ქონდა ალექსითიმიის მაჩვენებელი. ანამნეზით მათ აღენიშნებოდათ გენეტიკური წინასწარგანწყობა. (alexithymia-, ინდივიდის მიერ საკუთარი გრძნობებისა და შფოთვის გაცნობიერების უნარის დაკარგვა – საკუთარი ემოციების და გუნების ფსიქოლოგიური გაგების გაძნელება. ზოგიერთი ფსიქიატრი დარწმუნებულია იმაში, რომ ეს არის ფსიქოსომატური სიმპტომების განვითარების ერთ-ერთი გზა.) აღენიშნებოდათ ესენციური (პირველადი) ჰიპერტონია, არტერიული წნევის პერიოდული მომატება. აღნიშნული ცდის პირები ფუნდამენტურ გამოკვლევებზე უარს აცხადებენ, მკურნალობენ სიმპტომატიურად (სიმპტომების განვითარების მიხედვით) და ძლიერ ემოციურ დაძაბულობას განიცდიდნენ სამსახურში პაციენტების გამო.

აღნიშნული რესპოდენტები აგრძელებენ მუშაობას ბათუმის სხვადასხვა სავადმყოფოში. თოთხმეტივე რესპოდენტს აღენიშნება ჰიპერტონული დაავადება, ათს ჩაუტარდა კორონაროგრაფიული კვლევა შემდგომი სტენტირებით, შემდგომში ათიდან სამს აორტო-კორონარული შუნტირება.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამედიცინო პერსონალის შრომა განეკუთვნება სოციალურად მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო და რთული მოღვაწეობის სფეროს, რომელიც დაკავშირებულია მაღალი დონის ნერვულ, ფსიქო-ემოციურ და გონებრივ დატვირთვასთან. კვლევებმა აჩვენა, რომ ექიმების პროფესიული დაავადებები მიმდინარეობს შედარებით ხანგრძლივად და მძიმედ სხვა პროფესიულ დაავადებებთან შედარებით. დაავადებების მაღალი მაჩვენენბლები ფიქსირდება: ანესთეზიოლოგებს, რეანიმატოლოგებს, კარდიოლოგებს, სტომატოლოგებს, ქირურგებს, პათოლოგანატომებს და მედდებს შორის (მედ–დები რომლებიც მოღვაწეობენ ანესთეზიოლოგებთან, რეანიმატოლოგებთან, კარდიოლოგებთან და სტომატოლოგებთან ერთად),

დასკვნა

აღნიშნული „ფსიქოლოგიური ფაქტორების მავნე (საშიში) ზემოქმედება“, სავარაუდოდ, ე.წ. „გენეტიკური განწყობის“ მქონე პაციენტებში (ექიმებში) შეინიშნება, რის დამტკიცებაც ჩვენი სადისერტაციო შრომის შემდგომი კვლევის მიზანს წამოადგენს და რაც ძირითადად მძიმე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზეზებს უკავშირდება.

ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები თბილისი 1949;
2. დ. უზნაძე განწყობის ფსიქოლოგიისათვის ტ.I, თბილისი, 1938;
3. Cardiovascular disease risk factors and attitudes towards prevencion amond Korean-american elders.http://emedicalj.com/22281.fulltexsthttp//jamanetvork.com/jurnals/jamainternationalmedicine/fularticle/216115
4. THE UNCONSCIOUS. NATURE FUNCTIONS METHODS OF STUDY Edited by A. S. PRANGISHVILI ACADEMY OF SCIENCES OF THE GEORGIAN SSR. A.E. SHEROZIA TBILISI STATE UNIVERSITY. F.V. BASSIN USSR ACADEMY OF MEDICAL SCIENCES “MECNIEREBA” PUBLISHING HOUZE TBILISI 1978 A Collective Monograph inFour 3.КиберЛенинка: https://cyberleninka.ru/article/n/sotsialno-psihologicheskie-aspekty-deyatelnosti-vracha
5. https://studwood.ru/1243065/bzhd/vrednye_tyazhyolye_usloviya_truda]
6. http://medvoice.ru/psixosomaticheskie-zabolevaniya/#hcq=HsjsDFp
7. http://samopoznanie.ru/articles/osnovnye_psihosomaticheskie_rasstroystva/#ixzz435bNCDk
8. http://medvoice.ru/psixosomaticheskie-zabolevaniya/#hcq=WyasDFp
9. https://glavkniga.ru/situations/s503311]
10. Психологические механизмы психосоматических заболеваний
11. Франц Александер «Психосоматическая медицина. Принципы и применение»
12. БОЛЕЗНИ СЕРДЦА - Heart-Disease.ru - 2007.. Физиология сердца].

Ishemic heart disease based on psychological mental disorder

Eteri Varshanidze, PhD student
Georgian Technical University

Summary

Negative factors which effects on medical staff while working has many sides. These are: neuropsychic overstrain, noise, irradiation, carcinogens, exhausting pose. The work of medical staff is important, responsible and complex working sphere, which is connected with high neurotic-emotional and mental pressure. The researches show that doctors professional diseases last longer and harder than others. High indicators in diseases are shown especially with nurses working with anesthesiologists, cardiologists, dentists, surgeons and pathologist.